

# უილიამ ფოლკნერი

## „ქალაქი“

### 1. ჩარლზ მალისონი

მე მაშინ დაბადებულნი არ ვყოფილვარ, მაგრამ ჩემი ბიძაშვილი გაუნი კი იყო იმხელა, უკვე შეეძლო, ყოველივესთვის თვალი მიედევნებინა, დაემახსოვრებინა და მერე, როცა წამოვიჩინე და მოსაზრების უნარი გამიჩნდა, ჩემთვისაც ეამბა. კაცმა რომ თქვას, მარტო გაუნი კი არა, გევინ ბიძიაც იყო იმხელა ან, უფრო სწორად, მარტო გევინ ბიძია კი არა – გაუნიც. ცამეტი წლის გახლდათ გაუნი. პაპამისი ბაბუაჩემის ძმა იყო. ოღონდ ჩვენი ჯერი რომ მოდგა, აღარც ვიცოდით, რად მოვუდიოდით ერთიმეორეს. ამიტომ გაუნი ბაბუაჩემის გარდა, ყველას ბიძაშვილებად გვიხსენიებდა და ჩვენც ყველანი, ბაბუაჩემის გარდა, ბიძაშვილს ვეძახდით, ეს იყო და ეს.

მისიანები ვაშინგტონში სახლობდნენ, გაუნის მამა სახელმწიფო დეპარტამენტში მსახურობდა თურმე. მერე უცებ სახელმწიფო დეპარტამენტს მამამისი ჩინეთში გაუმწესებია, ჩინეთში თუ ინდოეთში, თუ სხვაგან სადღაც დასაკარგავში, ორი წლით გაუგზავნია, დედამისიც იმას გაჰყოლია, ჰოდა, გაუნი ჩვენთან დაუტოვებიათ – მანდ იყოს და ჯეფერსონის სკოლაში ისწავლოს, სანამ დავბრუნდებოდეთო. იმხანად, „ჩვენთან“ – ბაბუას, დედას, მამაჩემსა და გევინ ბიძიას ნიშნავდა. იმასაც მოგიყვებით, რა იცოდა გაუნმა ამ ამბისა მანამდე, ვიდრე მე დავიბადებოდი და იმხელა შევიქნებოდი, რომ მეც მცოდნოდა. ჰოდა, ჩვენ-მეთქი, როცა ვამბობ, ან – ჩვენ ვფიქრობდით, ჩვენ გვეგონა-მეთქი, – მაშინ ჯეფერსონს ვგულისხმობ და კიდევ იმას, რასაც ჯეფერსონში ფიქრობდნენ.

ჯერ ის გვეგონა, წყალსატუმბის ავზი ფლემ სნოუჰის ძეგლი არისო მხოლოდ. მაშინ არაფერი გაგვეგებოდა. მერეღა მივხვდით – მისისიპის შტატის ქალაქ ჯეფერსონში წამომართული ავზი ძეგლი კი არა, ნაფეხური ყოფილა.

ერთ ზაფხულს ფლემმა ჯორჯბუბბული ფურგონი შემოიყვანა ჯეფერსონში სამხრეთ-აღმოსავლეთის გზაზე. ფურგონში ცოლი ესვა და ბავშვი, ოჯახის ქონებაც ზედ ეწყო. ჰოდა, მეორე დღესვე დახლში ჩადგა ვ. კ. რეტლიფის კუთვნილ პატარა რესტორანში. უკეთ რომ ვთქვათ, რეტლიფი და კიდევ ერთი კაცი წილში იყვნენ შემდგარნი და ისე ფლობდნენ ამ რესტორანს. რადგან რეტლიფი, საკერავი მანქანების გამსაღებელი აგენტი, ერთთავად გზაზე იყო გამდგარი თავისი ფურგონით (მაშინ პირველი გამოშვების „ფორდი“ ჯერ არ ჰქონია ნაყიდი), შიგ საკერავი მანქანის ნიმუში რომ ედგა, ანდა, უფრო სწორად, ჩვენ გვეგონა ასე – რეტლიფი კიდევ არისო იმ რესტორნის მოწილე, ვიდრე გაზინთულწინსაფრიანი კაცი არ დავინახეთ დახლთან, ჩასკვნილი, სიტყვაძუნწი კაცი, ბანტად შეკრული ერთი ბეწო ჰალსტუხი რომ ეკეთა,

ამღვრეული თვალები ჰქონდა და პატარა ცხვირი, კაუჭა, ქორის ნისკარტის მინაგვანი. ერთი კვირაც რომ გამოხდა, სნოუჰუსმა რესტორნის უკან ტილოს კარავი ჩადგა და შიგ დაესახლა ოჯახითურთ. მაშინ იყო, რეტლიფმა გევინ ბიძიას რომ უთხრა:

- აცალეთ ოღონდ და გროვერ კლივლენდსაც (გროვერ კლივლენდ უინბუში მისი კომპანიონი იყო) გააქრობს იმ რესტორნიდან.

ეს პირველი ზაფხული გახლდათ. „სნოუჰუსების პირველი ზაფხული“, როგორც გევინ ბიძიამ შეარქვა. თვითონ ბიძია მაშინ ჰარვარდში იყო, სწავლობდა, ხელოვნების მაგისტრობა უნდა მიეღო. ამის შემდეგ იურისპრუდენციის ფაკულტეტზე აპირებდა შესვლას - აქაურ, მისისიპის შტატის უნივერსიტეტში, რათა დაემთავრებინა და მამამისს თანაშემწედ დასდგომოდა. თუმცა უამისოდაც ყოველი არდადეგების დროს ეხმარებოდა მამამისს, ქალაქის პროკურორს. მისის სნოუჰუსი მაშინ თვალითაც არ ენახა ჯერ, რაღა თქმა უნდა, არც იცოდა, რომ გერმანიაში გაემგზავრებოდა, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში სასწავლებლად; ის კი არა, იმასაც ვერ ხვდებოდა - გულით მომინდებოდა ჰაიდელბერგს გამგზავრება: ისე ამბობდა ხოლმე - ოდესმე იქ წასვლაზე უარს არ ვიტყვოდიო. მისი შეხედულებით, ეს იყო ჩინებული აზრი, საამო საფიქრალი და მარჯვე დროს საუბარში ჩასართველიც.

გევინ ბიძია და რეტლიფი ხშირად მასლაათობდნენ. ეს იმიტომ, რომ, თუმცა რეტლიფს სკოლაც არ ჰქონდა ხეირიანად დამთავრებული და ერთთავად გზაზე იყო გამდგარი, საკერავ მანქანებს ყიდდა (ან ყიდდა, ან ცვლიდა, ან კიდევ, თავის მხრივ ყიდულობდა რამეს), მასაც და გევინ ბიძიასაც ადამიანები აინტერესებდნენ, გევინ ბიძიას თქმის არ იყოს, რადგან, ჩემთვის რომ გეკითხათ, უმთავრესად ის აინტერესებდათ, თავიანთი ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინათ როგორმე. უკეთ რომ ვთქვათ, აქამდე იყო ამგვარად საქმე. რადგან უბრალო ცნობისმოყვარეობა აღარ ეთქმოდა ამ ამბავს. ახლა შიშმა შეიპყრო ორივენი.

სწორედ რეტლიფისგან შევიტყეთ პირველად სნოუჰუსის ამბავი. ან, უფრო სწორად, სნოუჰუსების. თუმცა არა, მართალს არ ვამბობ: 1864 წელს პოლკოვნიკ სარტორისის ცხენოსანთა ესკადრონშიც ირიცხებოდა თურმე ერთი სნოუჰუსი, იმ ესკადრონში, იანკების მეწინავე ხაზებზე თავდასხმა და მათთვის ცხენების წაგვრა რომ ევალებოდა. მაგრამ ერთ დღეს ის სნოუჰუსი კონფედერატებმა შეიპყრეს, რადგან მათი ცხენების წახმაც დაუპირებია, და, ამბობენ, ჩამოახრჩვესო. ოღონდ არც ეს უნდა იყოს სიმართლე, რადგან (როგორც რეტლიფმა გევინ ბიძიას უთხრა) ამ ათიოდე წლის წინ ფლემი და ვილაცბერიკაცი, ეტყობა - მამამისი, ჩვენს მხარეში გამოჩენილან საიდანღაც და, პატარა ფერმა აუღიათ იჯარით ბილ უორნერისგან, რომლის ხელშიც იყო ლამის მთელი ოლქი, და ჯეფერსონიდან, ასე, ოც მილზე მდებარე პატარა სოფელი ფრანგისხევი. ის ფერმა იმდენად ერთი ციცქნა და მიღრინკული ყოფილა, იქაური მიწაც ისე მოყანებულიყო თურმე, მხოლოდ წყალწაღებული ფერმერების მეტი არავინ იღებდა იჯარით და წელიწადზე მეტხანს ვერც ისინი ძლებდნენო. მაგრამ ებსა და ფლემს მაინც აუღიათ იჯარით ის ნაკვეთი და, ეტყობა (როგორც რეტლიფმა თქვა), ებს თუ ფლემს, თუ ორივეს ერთად, უპოვია ის...

- რა უპოვიაო? - გევინ ბიძიამ იკითხა.

- მეც არ ვიცი ხეირიანად, - მიუგო რეტლიფმა. - ის, რაც ბიძია ბილმა და ჯოდიმ, მათი ფიქრით, საიმედოდ ჩაფლეს მიწაში, რადგან იმავე ზამთარს ფლემი ბიძია ბილის დუქანში დადგა ნოქრად. ჰოდა, იქ ნაპოვნი, ეტყობა, კარგად გამოადგათ, ანდა იქნებ

ადარც არაფრის მაქნისი იყო ის ნაპოვნი; იქნებ ფლემმა ახლა ისეთ რაღაცას მიაკვლია, რაც, უორნერების ფიქრით, დუქანშივე, დახლის ქვეშ იყო საიმედოდ დამალული. იმიტომ, რომ ერთ წელიწადში ები ფრანგისხევს გადაბარგდა თავის ვაჭიშვილთან, ამასობაში კიდევ საიდანღაც ახალი სნოუპსი გაჩნდა და იჯარით ალებულ ფერმაში დაესახლა; ორმა წელიწადმაც რომ ჩაიარა, ერთი სნოუპსიც გამოჩნდა და სამჭედლო აიღო იჯარით. ჰოდა, იმდენივე შეიქნენ სნოუპსები ფრანგისხევში, რამდენიც უორნერები იყვნენ; ხუთი წელი რომ გავიდა, სწორედ იმ წელიწადს, ფლემი ჯეფერსონში რომ გადმოსახლდა, უორნერებზე მეტიც შეიქნენ სნოუპსები, რაკი ერთი უორნერთაგანი სნოუპსს გაჰყვა ცოლად და კიდევ ერთ თოთო სნოუპსუკას აწოვებდა ძუძუს.

ეტყობა, ფლემს ახლა უკვე ბიძია ბილის სახლში ეპოვა რაღაც. მისი ერთადერთი ქალიშვილი ეპოვა, უორნერის შვილთაგან უმცროსი, უბრალო სოფლელი ლამაზმანი კი არა, მთელი ოლქის პირველი მზეთუნახავი. და ეს ამბავი ბილ უორნერის მიწისა და ფულის გამო კი არ გაუკეთებია მხოლოდ. იმიტომ, რომ მეც მინახავს ის ქალი და ვიცი, როგორი ქალიც იყო, თუმცა იმხანად ასაკში შესული ეთქმოდა უკვე, ქმარც ჰყავდა და ჩემზე უფროსი გოგოც. მე კიდევ, ჯერ თერთმეტის ვიყავი მხოლოდ, მერე – თორმეტის და ბოლოს ცამეტი წლისაც („კი, როგორ არა, – თქვა გევინ ბიძიამ. – თორმეტი წლისასაც საბრიყვედ ჩამოგერთმევა იმის წარმოდგენა – მე პირველად დავკარგე ჭკუა ქალისთვისო“). მოსული, ტანადი, როგორც იტყვიან, იუნონას სადარი არ ყოფილა ის ქალი. ისე იყო ძნელი დასაჯერებელი, რომ დედაკაცის ერთ ცოცხალ სხეულს შეეძლო ეტვირთა და დაეუნჯებინა ეს ყოველივე: ერთობ ჭარბი სითეთრე, ერთობ ჭარბი ქალურობა, იქნებ ერთობ ჭარბი ელვარება, ადარც ვიცი, რა დავარქვა; ეს იყო მხოლოდ, შეხედავდი იმ ქალს და უმალ მადლიერების გრძნობა დაგეუფლებოდა იმის გამო, მამაკაცად რომ იყავი გაჩენილი და ამქვეყნად ცხოვრობდი, მასთან ერთად არსებობდი დროსა და სივრცეში, ხოლო მომდევნო წამს (უკვე სამუდამოდ) რაღაცნაირი განწირულებაც მოგიცავდა, რადგან იცოდი, რომ ერთი მამაკაცი ვერასოდეს იკმარებდა საიმისოდ, რათა მისი ღირსი შექნილიყო, მისი თავი მოეპოვებინა და დაენარჩუნებინა. და საუკუნო იყო შენი გულის ჯავრი, რადგან ამიერიდან სხვა ვინმეზე ფიქრიც ადარ გაგივლიდა გულში.

აი, რა იპოვა ამჯერად ფლემმა. ერთ მშვენიერ დღეს, როგორც რეტლიფმა გვიამბო, ფრანგისხევში შეიტყვეს, რომ ფლემ სნოუპსი და იულა უორნერი მეზობელ ოლქში გამგზავრებულნიყვნენ, გადასახადი შეეტანათ და დაქორწინებულნიყვნენ; და იმავე დღეს, ისევ რეტლიფის სიტყვით რომ ვთქვათ, ისიც შეეტყვოთ ფრანგისხევში, რომ იულასთვის გულდამწვარ სამ ჭაბუკსაც გუდა-ნაზადი აეკრა წინაღამით, ვითომ ტეხასში გახიზნულიყვნენ თუ სადღაც სხვაგან, დასავლეთით, ისე შორს, რომ ბიძია ბილი და ჯოდი უორნერი, ძალიანაც რომ მოენდომებინათ, ვერაფრის დიდებით ვეღარ მოიძვედნენ. ერთი თვე რომ გამოხდა, ფლემი და იულაც ტეხასს გამგზავრებულან (როგორც გევინ ბიძიამ თქვა, იმ მხარეში, დამნაშავეთა, გაკოტრებულთა ან უბრალოდ, ოპტიმისტთა თავმესაფარი რომაა), მეორე ზაფხულს ჩამობრუნებულან და ქალიშვილიც ჩამოჰყოლიათ, სამთვიან პირობაზე ცოტათი მოზრდილი გოგო...

– ჰოდა, იმ ცხენების ამბავი კიდევ, – დასძინა გევინ ბიძიამ. ეს ამბავი კი ვიცოდით, ფლემ სნოუპსს პირველს არ ჩამოურევავს ცხენები ჩვენს მხარეში. თითქმის ყოველ წელიწადს დასავლეთიდან, პრერიებიდან ვინმე მოდენიდა გასაყიდად ველურ, გაუხედნავ ცხენთა რემას. ამჯერად ცხენები ვიღაც ტეხასელს მოუსხამს და სნოუპსიც სწორედ იმ დღეს ჩამობრუნებულა ცოლითურთ. ოღონდ ის ცხენები ნამეტანი ველურები ყოფილან და საქმე იმით დამთავრებულა, რომ ჩითივით ჭრელ-ჭრელი გაუხედნავი

მხეცები არამცთუ მთელ ფრანგისხევში, არამედ ჩვენი ოლქის მთელ აღმოსავლეთ ნაწილში მიმოფანტულან. და ის მაინც ვერავის დაუმტკიცებია, რომ ფლემის იყო ის ცხენები. - არა, არა, - თქვა გევინ ბიძიამ. - თქვენ ხომ ისე არ გაძურწულხართ, როგორც იმ სამმა მოუსვა ბიძია უორნერის თოფის გახსენებისთანავე. ის არ მითხრათ ახლა - ფლემ სნოუჰსმა რესტორნის ჩემი ნახევარი ერთ იმ ცხენში გამიცვალაო, სულერთია, არ დაგიჯერებთ. მაინც რაში გაგიცვალათ?

სუფთა ხალათით მოსილი, სანდომიანი, შავგვრემანი, წმინდად წვერგაპარსული რეტლიფი მის წინაშე იჯდა და თავის გონიერ, გამჭრიახ თვალებს, გევინ ბიძიას მზერას არიდებდა.

- იმ ძველ სახლში, - თქვა მან. გევინ ბიძიას ხმა არ გაუღია. - მოხუცი ფრანგის კარ-მიდამოში. - გევინ ბიძიას ხმა არ გაუღია. - ერთი სიტყვით, ფული რომ არის ჩამარხული. - აქ კი მიხვდა გევინ ბიძია: რადგან მთელ მისისიპის შტატში და, საერთოდ, მთელ სამხრეთში არც ერთი პლანტატორის ძველი, ომამდელი სახლ-კარი არ არის ისეთი, იანკებისგან გადასარჩენად ბაღში ჩაფლული ფულისა და ვერცხლის ჭურჭლეულის ლეგენდა რომ არ უკავშირდებოდეს, ამჯერად იგულისხმებოდა დანგრეული სახლი, უორნერს რომ ეკუთვნოდა, ძველად კი იმ პატარა სოფლის მფლობელის სამკვიდრო იყო და სწორედ აქედან წარმოდგა სახელწოდება - ფრანგისხევი. ისე, ყველაფერში ჰენრი არმსტიდი ყოფილა დამნაშავე, იმას მოსვლია აზრად, სნოუჰსს გასწორებოდა იმ ცხენის გამო, ტეხასელისგან რომ იყიდა, და მერე თვითონვე მოიტეხა ფეხი ცხენის დევენისას. - თუმცა არა, - თქვა რეტლიფმა, - მეც დამნაშავე ვარ, სხვებიც, ყველანი ვართ დამნაშავე. არც ისე ადვილი იყო იმის გამოცნობა, რად უნდოდა ფლემს ყველას თვალში გამოჩხირული ის ძველი კარ-მიდამო. იმას არ ვამბობ, ყიდვით რატომ იყიდა-მეთქი. მუქთად მიცემული რატომ აიღო-მეთქი, იმას მოგახსენებთ. ჰენრი რომ კვალში ჩაუდგა ფლემს, თვალთვალი რომ დაუწყო და ბოლოს ძველ ბაღში მიწის თხრისას შეისწრო, მერე აღარ გასჭირვებია ჩემი დაყოლიება - ხვალღამ წამომყევი და შენი თვალთ ნახე, მიწას რომ თხრისო.

- ჰოდა, ფლემი თხრას რომ შეეშვა და იქაურობას გაეცალა, თქვენ და ჰენრი ბუჩქებიდან გამომგვრით და თქვენც თხრას შეუდექით, - უთხრა გევინ ბიძიამ. - ჰოდა, იპოვეთ. განძის ნაწილს კი მიაკვლიეთ. ოღონდ მეტი არც ყოფილა საჭირო. სწორედ იმდენი მოიძიეთ, რომ მეორე დილასვე ფლემთან გავარდნილიყავით და რესტორნის თქვენი ნახევარი ფრანგის კარ-მიდამოს ნახევარში გაგეცვალათ. მერე თუ თხარეთ კიდევ დიდხანს თქვენ და ჰენრიმ?

- მე მეორე დამესვე შევეშვი, - მიუგო რეტლიფმა, - როგორც კი საქმე ავწონ-დავწონე და ის ფულიც უფრო გულდაგულ გავსინჯე.

- ასე და ამრიგად, - თქვა გევინ ბიძიამ. - ფული გავსინჯეო.

- ვერცხლის დოლარები მოვთხარეთ ჰენრიმ და მე. ძველებიც იყო იმათში. ჰენრის წილში მგონი, ოცდაათი წლის წინ მოჭრილიც აღმოჩნდა ერთი.

- გასაგებია. ერთი სიტყვით, ოქრო გაურევია ქვიშაში სატყუარად, ოქროს მამიებლებმა რომ იციან, ისე, - თქვა გევინ ბიძიამ. - ქვეყნის უხნესი ხრიკია და მაინც წამოგებულხართ იმ ანკესზე. ჰენრი არმსტიდი კი არა, თქვენ.

- კი, - რეტლიფმა თქვა. - ეგეც იმ ხნისაა თითქმის, როგორისაც ის მანდილი, იულა უორნერს რომ გადასძვრა მაშინ. და იმავე ხნისაა თითქმის, როგორისაც ბიძია ბილის

საფანტიანი თოფი. - ეს თქვა და მეტი აღარაფერი უთქვამს. ოღონდ ერთი წლის შემდეგ გვეინ ბიძია ქუჩაში შეაჩერა და უთხრა:

- თუკი სასამართლო წინააღმდეგი არ იქნება, ერთ შესწორებას შევიტანდი, იურისტო. „მაშინ“ მინდოდა, ასე შემეცვალა - „ჯერაც“-მეთქი.

- „მაშინ“ შეგეცვალათ და „ჯერაცო“ გეთქვათ?

- შარშან მოგახსენეთ: ის მანდილი, მისის ფლემ სნოუპსს რომ გადასძვრა-მეთქი მაშინ თავიდან; ახლა „გადასძვრას“ მაგივრად ვიტყვოდი - ჯერაც რომ გადამძვრალი აქვს-მეთქი თავიდან. ისე, ერთ კაცს კი ვიცნობ, ვინც ახლაც არ იტყოდა უარს, იმ მანდილისთვის ეპატრონა.

ამასობაში სნოუპსმა არამცთუ კომპანიონი გამოაბუნძულა რესტორნიდან ხუთ-ექვს თვეში, არამედ თვითონაც მოშორდა იქაურობას, ჰოდა, ჭუჭყიან დახლთან და ტილოს კარავშიც მისი ადგილი დაიჭირა სხვა სნოუპსმა, პირველის წინ წაწევით გაჩენილი სიცარიელის მიერ შეწოვილმა ფრანგისხევიდან. ესეც იმნაირადვე მოვევლინა ჯეფერსონს, რანაირადაც, რეტლიფის ნათქვამისამებრ, მთელი ფრანგისხევი გაევისოთ იმათ უწყვეტ ნაკადად: ყოველი ფრანგისხეველი სნოუპსი თითო საფეხურით მაღლა იწევდა და სივრცეს ათავისუფლებდა მომდევნო სნოუპსისთვის, რომელიც, კაცმა არ იცის, საიდან გამოტყვევებოდა და მის ადგილს იკავებდა. უეჭველია, ახლაც მორიგი სნოუპსი იქ იყო უკვე, თუმცა რეტლიფს ჯერ არ ეცალა საიმისოდ, რათა ფრანგისხევი ასულიყო და გული დაეჯერებინა.

ახლა ფლემსა და მის მეუღლეს ქალაქის განაპირას პატარა სახლი ჰქონდათ ნაქირავები და ფლემი საქალაქო ელექტროსადგურის ზედამხედველი შექნილიყო. ეს ელექტროსადგური წყალსატუმბს ამუშავებდა და დენს აწვდიდა ქალაქს. თავდაპირველად ყველანი სახტად დავრჩით; იმის გამო კი არ შევცბუნებულვართ, ადგილი რომ მიიღო ფლემმა, მაშინ აქამდე ჯერაც არ ვიყავით მისულნი; იმან გაგვაშტერა, მანამდე ეჭვადაც არ ვიცოდით, ამგვარი ადგილი თუ არსებობდა, ამნაირი თანამდებობაც თუ იყო ჯეფერსონში - ელექტროსადგურის ზედამხედველის თანამდებობა, რადგან ელექტროსადგურს - იმ ქვაბებსა და მანქანებს, წყალსადენის ტუმბოს და გენერატორს რომ ამოქმედებდა, უამისოდაც ართმევდა თავს ხეტყის სახერხის ძველი მოტორისტი, გვარად ჰარჯერი: გენერატორსა და ქალაქის ქსელზე კიდევ მაშინ თვალი ეჭირა ელექტროტექნიკოსს, რომელსაც ქალაქი კონტრაქტის მიხედვით უხდიდა ფულს. ერთი სიტყვით, რაც ჯეფერსონში წყალსადენი და ელექტროენერჯია გაჩნდა, იმ დღიდანვე დიდებულად იყო აწყობილი საქმე. და უცებ ელექტროსადგურს ზედამხედველი არ დასჭირდა მოულოდნელად?! და, ამავე დროს, ასევე მოულოდნელად, ზედამხედველი შეიქნა ვიღაც გადამთიელი, ჩვენს ქალაქში ორი წლის ნაცხოვრებიც რომ არ იყო და (როგორც ჩვენ გვეგონა) ელექტრონათურაც მის დღეში რომ არ ენახა ორი წლის წინანდელ იმ საღამომდე, აქ რომ შემოდგა პირველად ფეხი.

ეს იყო, ამან გაგვაოცა, თორემ ფლემ სნოუპსი რომ აღმოჩნდა ისგადამთიელი, არ გაგვეკვირვებია მაინცდამაინც. რადგან საიმდროოდ უკვე ყველას გვეავდა ნანახი მისის სნოუპსი. თუმცა ნახვით იშვიათად ვნახულობდით, რესტორნის დახლთან თუ კვიდებდით ხოლმე თვალს, ისეთივე გაზინთულწინსაფრიანი, კატლეტებს, შაშხიან ერბოკვერცხს თუ მაგარ-მაგარ ბიფშტექსებს რომ წვავდა ბინძურ ნავთქურაზე, ან კიდევ კვირაში ერთხელ შევეყრებოდით მოედანზე მარტოდ მავალს ნიადაგ; გეგონებოდათ,

გეზი არსაით ჰქონდა აღებული, ისე მიდიოდა, ისე იძვროდა ზნეკეთილობის, თავდაოკების, მარტოსულობის შარავანდედმოსილი, - ათჯერ უფრო თავდაუოკებელი და ასჯერაც უფრო ამაღლვებელი, ვიდრე იმნაირ საბანაო კოსტიუმში გამოწყობილი რომელიმე ქალიშვილი, ოცინი წლების დამდეგს რომ დაიწყეს ტარება; თითქოს შენს შეხედვამდე სულ რაღაც ერთი წამის წინ სამოსი წამოსწოდა და მობოხოქრე ქარბორბალასავით შემობლარდნოდა, ოღონდ - წამიერად მხოლოდ. კვალდაკვალ თუ გაჰყვებოდი, თვალის დახამხამებაშივე განიძარცვებოდა იმ სამოსისგან, რადგან ისე მიდიოდა, თითქოს ვარსკვლავი ყოფილიყოს, ცად მორონინე და დაძენძილი ქუფრი ღრუბლებიდან გამომზირალი.

ჰოდა, ჩვენს მერს, მაიორ დე სპეინს დიდი ხანი იყო ვიცნობდით. მისისიპის შტატის ჯეფერსონშიც და მთელ სამხრეთშიც იმხანად უამრავი იყო ისეთი ხალხი, გენერლად, პოლკოვნიკად ან მაიორად რომ იწოდებოდნენ, რადგან მათი მამანი თუ პაპანი გენერლები, პოლკოვნიკები, მაიორები თუ უბრალო რიგითები ყოფილიყვნენ კონფედერაციის არმიაში, ან კიდევ საერთო საქმეში თავიანთი წვლილი იმით შეეტანათ, რომ შტატის გუბერნატორის პოსტზე ემსახურათ თავდადებით. ოღონდ მაიორ დე სპეინის მამა მართლა იყო კავალერიის მაიორი, თავად დე სპეინმაც ვესტ-პოინტის სამხედრო აკადემია დაამთავრა, უმცროსი ლეიტენანტის ჩინით კუბაზე გაემგზავრა საომრად და იქიდან დაჭრილი დაბრუნდა - გრძელი ნაიარევი თმიდან მარცხენა ყურსა და მთელ ლოყაზე მიუყვებოდა. ამგვარი კვალი ან ხმაღს უნდა დაეტოვებინა, ან კიდევ, ზუმბას, ასე რომ, ჩვენ გულდაჯერებულნი ვიყავით - ვინმე ესპანელმა დაჭრაო ბრძოლის დროს, ხოლო არჩევნების წინ მისი პოლიტიკური მეტოქეები ამტკიცებდნენ - ვიღაც სერჟანტმა ნაჯახი ჩასცხო, როცა ზარს თამაშობდნენო.

რადგან დაბრუნდა და გაიძრო თუ არა იანკების ცისფერი ფორმა, მაშინვე ვიაზრეთ, რომ ისა და ჯეფერსონი ერთიმეორეს ვერაფრით შეეწყობოდნენ, რომელიმეს უეჭველად მოუხდებოდა იარაღის დაყრა. ოღონდ დე სპეინს არა, რაღა თქმა უნდა: არც ბრძოლის ველს დათმობდა და არც იმას იფიქრებდა - როგორმე შევეგუებოო ჯეფერსონს, აქეთ შეეცდებოდა, ისე მოეღვლეჭა ჯეფერსონი, ქალაქი ცდილიყო მასთან შეგუებას. ახალგაზრდებს დიდი იმედიც ჰქონდათ - თავისას უეჭველად გაიტანსო.

მანამდე კიდევ ჯეფერსონი ისეთივე იყო, როგორც ყველა სხვა პატარა ქალაქი სამხრეთისა: იმ დღიდან, რაც უკანასკნელმა იანკიმ ხელი ჩაიქნია და თავის გზას გაუყვა, ან კიდევ პირწავარდნილ მისისიპელად გადაიქცა, აქ აღარაფერი მომხდარა საგულისხმოდ. როგორც რიგი და წესია, ჩვენც გვყავდა მერი და საბჭო ოლდერმენებისა, რომლებიც, ახალგაზრდობის შეხედულებით, თავ-თავიანთ ადგილებზე ისხდნენ თუ ნოეს კიდობნის დროიდანვე არა, იმ დროიდან მაინც, რაც ჩიკასოს ტომის უკანასკნელი ინდიელი ოკლაჰომას გაამგზავრეს 1820 წელს. ჰოდა, მაშინაც ასეთივე ბერიკაცები იყვნენ, მეტი არც კი მოსძალეზიათ სიბერე; ქალაქის მერი, პატრიარქივით თეთრი და გრძელწვეროსანი მისტერ ადამსი, ჩემი ბიძაშვილის, გაუნისმაგვარ ყმაწვილკაცებს უფალი ღმერთის უხნესადაც მიაჩნდათ მგონი, გინდაც, ქვეყნიერებაზე პირველი კაცი ყოფილიყოს. გევიან ბიძია იმასაც ამბობდა - მარტო თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭები კი არ არიან ისეთნი, ბოლოში ს-ს რომ აკლებენ მის სახელს და ასე მიმართავენო: „მისტერ ადამ“. ხოლო ადამსის ჩაგოდრებულ ბებრუცუნას „მის ევა ადამს“ უწოდებდნენ, თუმცაღა ამ ჩაგოდრებულ ევას უკვე დიდი ხანი იყო, აღარავითარი საფრთხე აღარ ემოქრებოდა, რომ მისი ცდუნების სურვილით აღიძვრებოდა გველი თუ სხვა ვინმე.

ჩვენ გვანტერესებდა, რანაირ ნაჯახს იხმარდა ლეიტენანტი დე სპეინი ჯეფერსონის ისე გამოსაკოპიტებლად, რომ ქალაქი სწორედ მას მორგებოდა. მოძებნა კიდევ ამნაირი ნაჯახი. ჩვენი ელექტროტექნიკოსი (სწორედ ის, გენერატორებს, დინამო-მანქანებს და ტრანსფორმატორებს რომ უვლიდა) გენიოსი იყო. ერთხელ, 1904 წელს, თავისი უკანა ეზოდან ქუჩაში გამოვრიალდა ჩვენ მიერ ოდესმე ნანახთაგან პირველი ავტომობილით, თავისი ხელით რომ გაეკეთებინა მთლიანად - მოტორითა და მაგნეტოთი დაწყებული და თვლების მანებით დამთავრებული. გამოვრიალდა და სწორედ იმ დროს გაიჭრა მოედანზე, როცა პოლკოვნიკი სარტორისი ბედაურებშემბული თავისი ეტლით შინისკენ მირონიებდა. თუმცა პოლკოვნიკი სარტორისი და მეეტლე არ დაშავებულან და, როცა ცხენების დაჭერა მოხერხდა, ისინიც საღ-სალამათნი აღმოჩნდნენ, ხოლო ეტლის შეკეთება ელექტროტექნიკოსმა თვითონვე იკისრა (ამბობენ, პატრონს ისიც კი შესთავაზა - ბენზინის მოტორს დაგიყენებთო), პოლკოვნიკი სარტორისი მაინც სიტყვით გამოვიდა ოლდერმენტა საბჭოს მორიგ სხდომაზე, და მათ გამოსცეს ბრძანებულება, რომლის ძალითაც ჯეფერსონის ქუჩებში იკრძალებოდა ყოველგვარი მოტორიანი მიმოსვლის საშუალებით მგზავრობა.

დე სპეინმაც ამით ისარგებლა სწორედ. თანაც, არა მარტო დე სპეინმა. მხოლოდ ჯეფერსონში კი არა, ყველგან ამასვე ელოდებოდა ახალგაზრდობის მთელი აწინდელი თაობა, რომლის აზრითაც, ესმხრჩოლავი, მოხრიალე, თვითნაკეთი და თვითმომრავი დრანდულეტები, მისტერ ბაფალო (ელექტროტექნიკოსი) მოცალეობის ჟამს ყოველგვარი ხარახურისგან რომ აკოწიწებდა, მოვლენა კი არ იყო მხოლოდ, შეერთებული შტატების ბედი, მომავალი იყო ნამდვილი. დე სპეინს წინასაარჩევნო კამპანიაც აღარ სჭირდებოდა მერად გასახდომად - ოღონდ კი თავისი კანდიდატურა წამოეყენებინა. ქალაქის მრავალნაცადი მამანიც მიხვდნენ ამას, რადგან სწორედ მათ მიმართეს თავგადაკლულ საშუალებას: გამოიგონეს, გამოჩხრიკეს თუ გაიმეორეს (როგორც გენებოთ) ის ყბადაღებული ამბავი - კუბაზე ზარის თამაშისა და სერჟანტის ნაჯახის ამბავი. და მაშინ დე სპეინმა ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე ერთხელ და სამუდამოდ მოუღო ბოლო ამ ამბავს. კეისარი რომ კეისარი იყო, მეტ ფხას ვერც ის გამოიჩინდა.

დილით მოხდა ეს ამბავი, ფოსტის მოსვლის ხანს. ქალაქის მერი, ადამსი და მისი უმცროსი ვაჟიშვილი ტერონი, დე სპეინზე ახალგაზრდა და მასზე არცთუ ბევრად ჯანიანი, ოღონდ ცოტათი მაღალი, ფოსტიდან გამოდიოდნენ და დე სპეინს გადააწყდნენ. უფრო სწორად, დე სპეინი თავისთვის იდგა მოსეირეთა გროვით გარშემორტყმული და ის იყო, თითოთ მოისინჯა ნაიარევი, რომ ადამსსაც შეასწრო თვალი.

- დილა მშვიდობისა, ბატონო ჩემო, - უთხრა დე სპეინმა. - ეს რა ხმები დადის ქალაქში ზარის თამაშისა და ნაჯახის თაობაზე?

- სწორედ მაგ კითხვის დასმა სურდათ თქვენთვის ჯეფერსონელ ამომრჩევლებს, სერ, - თქვა მისტერ ადამსმა. - თუკი ამ ამბის უარყოფელი საბუთები მოგეპოვებათ და თუკი მათთვის კუბაზე არ მოგიწევთ გამგზავრება, ჩემი რჩევა იქნებოდა, წარმოგედგინათ ის ქალაქლები.

- მე უფრო ნაღდი საშუალებაც ვიცი, - მიუგო დე სპეინმა. - თქვენ, თქვენო მაღალღირსებავ, საამისოდ ხანდაზმული ბრძანდებით, მაგრამ ტერონი უკვე მოწიფული კაცია. თქვენი ნებართვით, აგერ მაკკაზლინის დუქანში გადავალთ ორივე, იქიდან ორ ნაჯახს გამოვიტანთ და ხელად გავარკვევთ, რომელია მართალი.

- კარგი ერთი, ლეიტენანტო! - თქვა ტერონმა.

- ჯავრი ნუ გაქვთ, - უთხრა დე სპეინმა. - ნაჯახები ჩემს ხარჯზე იყოს.

- კარგად ბრძანდებოდეთ, ჯენტლმენებო, - თქვა ტერონმა. მაშინ ამით მოთავდა საქმე. ივნისში კი დე სპეინი მერად აირჩიეს. ეს ნამდვილი გადატრიალება იყო. რადგან საქმე ის კი არ ყოფილა მხოლოდ, დე სპეინმა არჩევნებში რომ გაიმარჯვა. ჯეფერსონში ახალი ერა დაიწყო და დე სპეინი მისი ქომაგი იყო მხოლოდ, გოტფრიდ ბულონელი, ტანკრედი, მეოცე საუკუნის ჯეფერსონელი რიჩარდ ლომგული.

ღირსეულადაც ატარებდა ამ მანტიას. თუმცა არა, მანტია კი არ ყოფილა ეს, დროშა იყო, და ის დროშა მას ჰქონდა ნატვრით, უკვე წინ იყო გაჭრილი, ვიდრე ჯეფერსონელნი ვიაზრებდით, რომ მზად ვიყავით, ვეხდაფეხ მივყოლოდით. მისტერ ბაფალო ქალაქის ელექტროტექნიკოსად დანიშნა და თვითური ხელფასი დაუწესა. ოღონდ მისი პირველი ოფიციალური დადგენილება პოლკოვნიკ სარტორისის მიერ ავტომობილების თაობაზე გამოცემულ ბრძანებულებას შეეხებოდა მაინც. რაღა თქმა უნდა, ჩვენ ის გვეგონა, ქალაქის საბჭოს ახალ წევრებთან ერთად, იმ ბრძანებულებას თუნდაც იმიტომ გააუქმებს, რომ იმ დამპალმა ჯირკმა, პოლკოვნიკი სარტორისი რომ ჰქვია, მეორე ჯირკს - მერ ადამსს გამოაცემინა ის ბრძანებულება. მაგრამ ამგვარად როდი მოიქცნენ. როგორც მოგახსენეთ, მისი არჩევა ნამდვილ გადატრიალებას მოასწავებდა. ეტყობა, იმ საუბარმა მერ ადამსთან და ტერონთან ნაჯახის თაობაზე, მთელ ჯეფერსონელ ახალგაზრდობას აუხილა თვალი. ყველა იმას-მეთქი, ის მინდა ვთქვა, ვისაც საკუთარი დუქანი ან ბამბის საწმენდი მანქანა ჯერ არ გააჩნდა და არც საადვოკატო ან საექიმო პრაქტიკა ჰქონდა, ვინც ნოქრად იდგა მხოლოდ ან მოანგარიშედ დუქნებში, ბამბის საწმენდ მანქანებთან თუ კანტორებში და იმის ცდაში იყო, ცოტაოდენი ფულისთვის მოეყარა თავი და ცოლი შეერთო. ყველა ამათი ერთსულოვნების მეოხებით იქცა მერად დე სპეინი. ოღონდ მარტო ეს კი არ გაუკეთებიათ, მეტიც შეძლეს. ვიდრე თვითონ მიხვდებოდნენ ან გაფიქრებას მოასწრებდნენ, მიხრწნილი ოლდერმენები გამოაძევეს და ქალაქის მამათა ადგილებზე შეძვრნენ მანფრედ დე სპეინის კალთას თუ იმ ყბადაღებულ ნაჯახს ჩაჭიდებულნი. კაცი იფიქრებდა, იმ საავტომობილო კანონს მაშინვე სანაგვეზე მოისვრიანო სამუდამოდ, მაგრამ მათ, პირიქით, ის ბრძანება, დიპლომით თუ სიგელივით, პერგამენტის ნაჭერზე გადააწერინეს, ჩარჩოში ჩაასმევინეს და ქალაქის მმართველობაში კედელზე გამოკიდეს, შუშის ქვეშ, ელექტრონათურით განათებულ ადგილას. და მალე თვით ჩიკაგოდანაც კი ავტომობილით ჩამოსული ხალხი სიცილით კვდებოდა ამ ბრძანებულების დანახვისას, რადგან, როგორც გვენ ბიძიამ თქვა, იმ ზღაპრულ, ლეგენდარულ დროს ავტომობილი სასწაულად მიაჩნდათ თურმე; ეს ამბავი მანამდე იყო, ვიდრე ყოველ ამერიკელს საკუთარი ავტომობილი გაუჩნდებოდა და ბორბლებქვეშ მეტი ხალხი გაიჟლიტებოდა, ვიდრე ომში წყდება ხოლმე.

დე სპეინმა მეტიც გააკეთა. თავად ჩამოიყვანა ქალაქში პირველი ნამდვილი ავტომობილი - წითელი, გადახდილი, სამარულო ავტომობილი, მამის დანატოვარი ეტლში შესაბმელი ცხენები დაყიდა, თავლა და ბაგა მიანგრია, ჯეფერსონში პირველი გარაჟი გამართა და პირველი საავტომობილო სააგენტო დააარსა, ასე რომ, ახლა ავტომობილის ყიდვა ქალაქის საბჭოს წევრებსაც შეეძლოთ და სხვა ახალგაზრდებსაც, რომლებსაცარც ერთი ბანკი ცენტსაც არ მისცემდა საამისოდ. დიახ, მოტორების საუკუნემ ჯეფერსონშიც შემოიღო ფეხი და დე სპეინი მის მსვლელობას ჩაუდგა სათავეში იმ წითელი, გადახდილი ავტომობილით, უჩვეულო შესახედიც რომ იყო და მიმზიდველიც და ისეთივე მოურჯულებელ ბერბიჭას და ქარიხვეტიას რომ ჰგავდა,



როგორც თავად დე სპეინი გახლდათ. როგორც გახლდათ და როგორც დარჩა სამუდამოდ, მამისეულ ხის დიდ სახლში მზარეულისა და თეთრსერთუკიანი ლაქის ანაბარა მყოფი; კოტილიონის ცეკვისას მუდამ პირველ წყვილში იდგა, ქალებიც პირველს მას ირჩევდნენ; იმხანად კაფეში თავშეყრა რომ სცოდნოდა მემუდმივე ხალხს - არისტოკრატებს, ოთხას ოჯახს კი არა, სწორედ კაფეს მემუდმივე ხალხს - და ჩვენთანაც, ჯეფერსონშიც რომ შეეტყვოთ ეს ამბავი, აქაც პირველი იქნებოდა; ოცდაათიოდე წლით გვიან რომ დაბადებულიყო, მისგან ნარნარ ოლეოგრაფიას შექმნიდნენ და მასზეც ისე ილოცებდნენ, როგორც გეიბლზე, ჰარლოუსა თუ მონროზე ლოცულობენ, სიცოცხლეშივე ამერიკელ წმინდანებად შერაცხილ ადამიანებზე.

ჰოდა, მისის სნოუპსი პირველად მაშინ დავინახეთ, მოედანზე რომ მოდიოდა და გეგონებოდათ, მისი სხეული ამ შუადღისას საცაა, ცეცხლად ალაგუნებს ტანისამოსს, ასე რომ, ზედ ფერფლის თხელი რიდეც აღარ შერჩებაო; და გვეგონა, თვით ბედისწერას ვხედავდით, იმ ბედისწერას, რომლისადაც იყვნენ განწირულნი ორივენი - ეს ქალიც და მერი დე სპეინიც. არაფერი ვიცოდით, როდის შეხვდნენ, პირველად როდის შეხედეს ერთიმეორეს. არც გვესაჭიროებოდა, შეიძლება ითქვას, არც გვინდოდა ამის ცოდნა. იმას კი ვვარაუდობდით - რაღაც ემპაკური ხერხითა და საშუალებით ეს ქალი დამდამობით თავის სახლში დაჰყავსო, მაგრამ დაბეჯითებით არც ეს ვიცოდით. მის ადგილას სხვა ვინმე რომ ყოფილიყო, ჩვენ შორის ისეთებიც გამოინახებოდნენ, - რომელიმე ბიჭი ან ჭაბუკი, - მთელი ღამით ჩაუსაფრდებოდნენ და შეიტყობდნენ ამ ამბავს, მაგრამ დე სპეინს მზირად არ ვუსხდებოდით, პირიქით, მისი მხარე გვეჭირა ყველას. არაფრის შეტყობა არ გვეწადა, ისე ვიყავით მისი მოკავშირენი, კონფედერატები; მთელი ქალაქი მისი თანამზრახველი იყო და სნოუპსისთვის რქების დადგმაში ეშველებოდა, თუმცა, რომ გეკითხათ, ვერც იმას დაგიმტკიცებდით, რომ ეს ყოველივე თავიდან ბოლომდე ჩვენივე შეთხზული არ იყო. არაერთხელ გვინახავს, როგორ მეგობრულად მოდიოდნენ გვერდიგვერდ დე სპეინი და სნოუპსი, და სწორედ მაშინ (თუმცა ჩვენ ჯერჯერობით არაფერი ვიცოდით) დე სპეინი აწესებდა თუ იმის ფიქრში იყო, როგორ დაეწესებინა ელექტროსადგურის ზედამხედველის თანამდებობა (ისიც კი არ ვიცოდით, ამგვარი თანამდებობა რომ არსებობდა ქალაქში, იმას როგორღა ვიფიქრებდით - გვჭირდებაო ამგვარი თანამდებობა), დაეწესებინა და მერე მისტერ სნოუპსისთვის ებოძებინა. არა, მისტერ სნოუპსის წინააღმდეგნი როდი ვიყავით, ჯერ არ ამოგვეკითხა წერილნი და ნიშნნი, რომელნიც გაგვაფრთხილებდა, საფრთხეს გვაუწყებდა, საიმისოდ აღგვძრავდა, რათა მკერდით დაგვეცვა მისგან ჩვენი ქალაქი; არც ოჯახური ღალატის, ცოდვის მომხრენი ვყოფილვართ. ის იყო მხოლოდ, დე სპეინსა და იულა სნოუპსს ვემხრობოდით, იმას ვემხრობოდით, რასაც ეს ორნი განასახიერებდნენ და რასაც გვეინ ბიძია უბრალო, უცოდველი, უნაპირო და უკვდავი ვნების ღვთაებრიობას უწოდებდა; ამ ორს ვემხრობოდით, ერთურთის საბედოდ მიმჩნევს და იმის შემცნობელს, რომ ერთმანეთისთვის იყვნენ გაჩენილნი ამქვეყნად. თან გვეამაყებოდა, რომ სწორედ ჯეფერსონში ხდებოდა ეს ამხელა ამბავი.

გვეინ ბიძიაც კი გაოცდა, დიახ, ბიძია გვეინი. რეტლიფს უთხრა:

- არც ისე დიდია ჩვენი ქალაქი. რატომ არ წაასწრებს ფლემი?

- არ სურს ეგ, - მიუგო რეტლიფმა. - ჯერჯერობით არაფრად ესაჭიროება.

შემდეგ შევიტყვეთ, რომ ქალაქს - მერს, ოლდერმენტა საბჭოს, არ ვიცი, ვის და როგორ - ელექტროსადგურის ზედამხედველის თანამდებობა დაეწესებინა და ფლემ სნოუპსი დაენიშნა ამ ადგილზე.

დამდამობით ელექტროსადგურს ხეტყის სახერხის ყოფილი მოტორისტი ჰარკერი უვლიდა ზანგ ცეცხლფარემ ტომის ტერლ ბიუჩემთან ერთად, რომელიც საცეცხლეებს უტრიალებდა, ვიდრე მისტერ ჰარკერიც იქ იყო და მანომეტრებს ადევნებდა თვალს, რადგან ტომის ტერლს ამის გაკეთება არ შეეძლო თუ არ სურდა - როგორც ჩანს, ვერაფრით ეწყობოდა იმ აზრს, რომ შესაძლოა, რაიმე კავშირი არსებულიყო ქვაბქვეშ ცეცხლის შენთებასა და საქვაბეზე დამაგრებულ პატარა გათხუპნილ საათს შორის, დროსაც რომ არ უჩვენებდა არასოდეს. დღისით კიდევ მეორე ზანგი, ცეცხლფარეში ტომ-ტომ ბერდი მარტოკაც აუდიოდა ელექტროსადგურის მოვლას, ხოლო მისტერ ბაფალო თუმცა რეგულარულად კი აკითხავდა იქაურობას, ოღონდ უფრო რიგის და წესის დასაცავად დადიოდა, რადგან ტომ-ტომს ცეცხლის შეკეთება კი არ შეეძლო მხოლოდ, იმდენად განსწავლული კაცი იყო, მანომეტრების ჩვენებაშიც ერკვეოდა და, გარდა ამისა, მისტერ ბაფალოს ან მისტერ ჰარკერზე უარესად როდი იცოდა ორთქლის ძრავასა და დინამომანქანების წმენდა თუ დაზეთვა. წარმოუდგენელიც იყო ამ საქმის უკეთ აწყობა, რადგან უკვე დროული კაცი - მისტერ ჰარკერი დამის ცვლაში მუშაობას არ თაკილობდა, ის კი არა, მგონი, ამჯობინებდა კიდევ დღის ცვლას, ხოლო ბუღალსავით ჯანიან ტომ-ტომს, ორას გირვანქას რომ იწონიდა და სამოც წელს იყო მიტანებული, თუმცა შესახედავად ორმოცისაზე მეტის არ ჩანდა, ორიოდე წლის წინ მეოთხედ შეერთო ცოლი - ახალგაზრდა ქალი, რომელიც ელექტროსადგურიდან რკინიგზის ხაზის გასწვრივ ორ მილზე მდგარ ქოხში გამოემწყვდია ექვიან თურქსავით და ახლა დღის ცვლის გარდა არაფრის გაგონება აღარ სურდა. და თუმცა საამდროოდ ჩემმა ბიძაშვილმა გაუნმაცდაიწყო დამის ცვლაში ჰარკერთან მუშაობა, მისტერ სნოუპსს მანომეტრთა ჩვენებების შეტყობა და საზეთებში ზეთის ჩასხმაც კი ესწავლა უკვე.

ეს ამბავი ელექტროსადგურის ზედამხედველად მისი დადგომიდან ორი წლის შემდეგ მოხდა. გაუნმა გადაწყვიტა, შემოდგომიდან ჩვენს ფეხბურთელთა გუნდში ეთამაშა, და მაშინ ისიც მოუვიდა აზრად, - მე მგონია, თვითონაც არ იცოდა, როგორ და რანაირად, - რომ დამდამობით ელექტროსადგურის საცეცხლეში ნახშირის შეყრა ჩინებული წვრთნა იქნება, ამით მოწინააღმდეგის გვერდის ავლასა და ბურთის წართმევასაც ხელად ვისწავლიო. ოღონდ ამ აზრს დედაჩემი და მამაჩემი არ იზიარებდნენ, ვიდრე საქმეში გვეინ ბიძია არ ჩაერია (საამდროოდ გვეინ ბიძიას ჰარვარდის უნივერსიტეტი დაემთავრებინა და ხელოვნების მაგისტრობა მიეღო, გარდა ამისა, მისისიპის უნივერსიტეტის იურისპრუდენციის ფაკულტეტიც დასრულებული ჰქონდა, ადვოკატთა კოლეგიის წევრადაც ჩაერიცხათ და, რაკი ბაბუა თითქმის არავითარ საქმეს ხელს აღარ ჰკიდებდა, შეიძლება ითქვას, რომ ქალაქის პროკურორი გვეინ ბიძია იყო; უკვე ერთ წელიწადს გაევილო - ეს ამბავი იენისში ხდებოდა, გვეინ ბიძია ის-ის იყო დაბრუნდა უნივერსიტეტიდან და იმ ზაფხულს მისის სნოუპსი ჯერ არ ენახა - მას შემდეგ, რაც ჰაიდელბერგზე ლაპარაკს მოჰყვა ისე, სიტყვის მასალად).

- რატომაც არა? - თქვა გვეინ ბიძიამ. - გაუნი მეთოთხმეტეშია უკვე გადამდგარი: დროა, სხვაგანაც ათიოს დამე, სახლის გარდა. ჰოდა, ელექტროსადგურზე უკეთეს ადგილს სად ნახავს? მისტერ ჰარკერი და ცეცხლფარეში არ ჩაამინებენ.

გაუნი ტომის ტერლის ხელქვეითი შეიქნა და მისტერ ჰარკერი პირველი დამიდანვე არ აძლევდა ჩამინების საშუალებას, სულ მისტერ სნოუპსის ამბებს მოუთხრობდა, რადგანაირი გულშეუძვრელი განცვიფრებით ლაპარაკობდა, გინდაც პლანეტათა შეჯახების მომსწრე კაცს მოეყოლოს ნანახი. ეს ამბავი შარშან დაიწყო. ერთხელ ტომ-ტომს საცეცხლეები გამოუწმენდია და გასასვლელში ჩამომჯდარა, ჩიბუხი გაუჩაღებია. საცეცხლეები გუზგუზებდა, დამცველი სარქველიდან შუა ქვაბში ორთქლი მომხუოდა. ამ

დროს მისტერ სნოუპსი შემოსულა, გაჩერებულა რაღაცის მღეჭველი და მსტვინავ სარქველს მიმტერებია.

- რამდენს იწონის ეს სასტვენნი? - უკითხავს.

- ამ სარქვლისას თუ ბრძანებთ, ათ გირვანქამდე იქნება, - უთქვამს ტომ-ტომს.

- სხმული სპილენძია? - ჩასძიებია მისტერ სნოუპსი.

- ერთიანად, იმ ნახვრეტის გარდა, რითაც უსტვენს, თქვენი ბრძანების არ იყოს, - უთქვამს ტომ-ტომს. ჯერჯერობით ამით მოთავებულა საქმე. ორი თვეც რომ გავიდა, მისტერ ჰარკერი სადამოს სამორიგოდ მისულა და დაუნახავს, რომ დამცველი სარქველები სამივე ქვაბიდან გამქრალიყო და მათ ადგილზე მიეხრახნათ დუიმიანი ფოლადის ჭანჭიკები, ათას გირვანქა წნევასაც რომ უძლებს, ჰოდა, ტომის ტერლი მიმდგარი ყოფილა და, რაკი სტვენის ხმა არ ისმოდა, ხშირად უმატებდა თურმე საცეცხლეებს.

- ჰოდა, სამივე ქვაბის ძირი ჩალის ღვრითაც გაიხვრიტებოდა, - უთქვამს მისტერ ჰარკერს. - პირველი ქვაბის მანომეტრს რომ შევხედე, დარწმუნებული ვიყავი, სანამ რეგულატორთან მოვასწრებ მივარდნას, საიქიოს გავემგზავრები-მეთქი. ჰოდა, როცა როგორც იქნა შევასმინე ტერლის გოგრას - ამ ციფერბლატზე ასი იმას ნიშნავს, მარტო სამსახურს კი არ დაკარგავ, ისე დაკარგავ, ვეღარც შენ და ვეღარც სამუშაოს კაციშვილი ვეღარ გიპოვით-მეთქი, იმდენად დავშოშმინდი, იმის კითხვაც მოვახერხე - სარქველები რა იქნა-მეთქი?

- მისტერ სნოუპსს წაუღია, - მითხრა ტერლმა.

- კი, მაგრამ რა ჯანდაბად უნდოდა?

- მე რა ვიცი, მე იმას მოგახსენებთ, რაც ტომ-ტომისგან გავიგე. ასე მითხრა - მისტერ სნოუპსმა თქვა, წყალსატუმბის ავზში ტივტივა ნამეტანი მსუბუქია, მალე წყალი გაჟონავს, ჰოდა, ის სარქველები ტივტივას მინდა მივამაგრო დასამძიმებლადო.

- შენ იმის თქმა გინდა... - ვუთხარი და ენა დამეზა. - შენ იმის თქმა გინდა...

- ტომ-ტომმა თქვა, მე კი არა. მე არაფერი ვიცი მეტი.

ასე იყო თუ ისე, სარქველები გამქრალა; ავზში იყო ჩაშვებული თუ არა, ამის გამორკვევა იმ ღამეს არ ეხერხებოდა. წნევა რომ დაეცა და ყოველივე როგორღაც მოგვარდა, მე და ტერლი ცოტათი დავშოშმინდითო, ჰყვებოდა მისტერ ჰარკერი. ოღონდ, ღმერთმანი, მთელ ღამეს თვალი არ მოგვიხუჭავს, დილამდე ნახშირის გროვაზე ვისხედით, ისეთ ადგილას, საიდანაც სამივე მანომეტრი ჩანს. ჰოდა, ნაშუალამევიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც წნევა დაეცა, სამივე ქვაბში იმდენი ორთქლი აღარ იქნებოდა, მაყალი რომ გაეხურებინა. შინ რომ დავბრუნდი და ლოგინში ჩავწექი, ძილი არაფრით მომეკიდა. თვალს დავხუჭავდი თუ არა, ჯამისხელა მანომეტრი და ნიჩბისტოლა წითელი ისარი მესიზმრებოდა, ის ისარი ასი გირვანქისკენ მიცოცავდა და ოფლში გაღვრილს ყვირილით მეღვიძებოდაო.

რა გათენდა, ტერლი არ გამიგზავნია, მე თვითონვე ავძვერი წყალსატუმბზე და ტივტივა გავსინჯე. რა სარქველი, რის სარქველი! შესაძლოა, მისტერ სნოუპსს არც

უფიქრია იმ სარქველების იქ დამაგრება, ყველას დასანახავ ადგილზე, საიდანაც, ვინც კი მოისურვებდა, ყველას შეეძლო წაღება. და, თუმცა ის ავზი ორმოცდარვაფუტია სიმაღლით, მაინც შემეძლო ონკანი გამელო და წყალი დამეცალა. ოღონდ მე უბრალომოტორისტი ვარ, მისტერ სნოუპსი კიდეც, ელექტროსადგურის ზედამხედველი, თანაც დღის ცვლა უკვე დაწყებული იყო და ისიც ვიცოდი - თუკი ჯო ბაფალო სადგურში შეივლიდა და სარქველების მაგივრად, იმ ათასგირვანქიან ჭანჭიკებს ნახავდა, ტომ-ტომი ყველაფერს რიგიანად აუხსნიდაო.

ასე რომ, შინისკენ წავედი. ჰოდა, მეორე ღამეს ისიც ძლივს მოვახერხე, ტერლისთვის იმდენზე ამეწვეინებინა ორთქლის წნევა, დგუში დაეძრა როგორმე ადგილიდან, დინამო-მანქანებისას აღარაფერს ვამბობ; მომდევნო ღამესაც ასე იყო, მერეც. ამასობაში ათმა დღემ ჩაიარა და სატვირთო სადგურიდან რაღაც ყუთი მოგვიტანეს; ტომ-ტომი ელექტროსადგურში იყო და ჩვენ ორმა ავხადეთ თავი (ზედ დიდრონი შავი ასოებით ეწერა: „ფასდადებით“, ოღონდ იარლიყი აღარსად იყო. „კი ვიცი, სადაც გადააგდო“, - თქვა ტომ-ტომმა), ჭანჭიკები მოვხრახნეთ და ახალი დამცველი სარქველები დავაყენეთ. მერე ტომ-ტომმა მართლა იპოვაო დაჭმუჭნილი იარლიყი: „მისტერ ფლემ სნოუპსს, ელექტროსადგური, ჯეფერსონი, მისისიპის შტატი, ფასდადებით, ოცდასამი დოლარი და ოთხმოცდაერთი ცენტი“.

ოღონდ ამ საქმეში ისეთი ამბებიც ერია, მისტერ ჰარკერმაც რომ არ იცოდა, ვიდრე გვეინ ბიძიამ არ უამბო მას შემდეგ, რაც ტომ-ტომმა მოუთხრო გვეინ ბიძიას: ერთხელ ტომ-ტომი ნახშირის გროვაზე რომ იჯდა და ჩიბუხს აბოლებდა, მისტერ სნოუპსი შემოსულა და რაღაც ნივთი შემოუყოლებია. ტომ-ტომს ჯერ ის ეგონა, ჯორის ნალი არისო, მაგრამ მისტერ სნოუპსი იმ ნივთიანად კუთხეში მიმდგარა, ქვაბებს უკან, იქ, სადაც უვარგისი ნაწილების მთელი ხორო იყო დაზვინული - სარქველები, ღერძები, მილისები. მგონი, იმ დროიდან დაგროვილი, როცა ჯეფერსონში პირველად აინთო ელექტრონის შუქი; მერე მისტერ სნოუპსი დაჩოქილა, ყოველი ნაწილის მაგნიტით სინჯვა დაუწყია და ამორჩეულები გასასვლელში დაუგროვებია. მერე ტომ-ტომს დაუნახავს, ყოველი ნატეხი ხელახლა როგორ შეუმოწმებია მაგნიტით და სპილენძი რკინისგან გამოურჩევია. ბოლოს ტომ-ტომისთვის უბრძანებია - სპილენძი მოაქუჩე და კანტორაში გადაზიდეო.

ტომ-ტომმა სპილენძი ყუთში მოათავსა. სნოუპსი კანტორაში ელოდებოდა - იჯდა და იღეჭებოდა. წამითაც არ შეუწყვეტია ღეჭვა და ერთხელაც არ გადაუფურთხებიაო, უთქვამს ტომ-ტომს.

- ტერლს თუ ხარ შეწყობილი? - შეეკითხა მისტერ სნოუპსი.

- მე ჩემი საქმე ვიცი, - მიუგო ტომ-ტომმა. - ჰოდა, ტერლი რას აკეთებს, არაა ჩემი საქმე.

- ტერლი კიდეც სხვას ფიქრობს, - თქვა მისტერ სნოუპსმა. - ტერლს ის უნდა, დღის ცვლაში გადავიყვანო, ღამ-ღამე მუშაობით ვიღლებიო.

- ჯერ იმდენი იმუშაოს, რაც მე მიმუშავია, დღის ცვლაში მერე გადავიდეს, - თქვა ტომ-ტომმა.

- ამდენ ხანს მოცდას არ აპირებს, - უთხრა მისტერ სნოუპსმა. მერე მოუყვა ტომ-ტომს - ტერლს ელექტროსადგურიდან რკინის მოპარვა აქვს გადაწყვეტილი, მერე ამ ამბავს შენ გადმოგაბრალებს, რომ მე ავდგე და სამსახურიდან გაგაგდო. დიახ, დიახ.

ასე უამბო გვეინ ბიძიას ტომ-ტომმა - მისტერ სნოუპსმა სწორედ ასე თქვა: რკინის მოპარვაო. იქნებ მისტერ სნოუპსს იმ დღემდე მაგნიტის არაფერი სმენოდა და ამიტომ ეგონა - არც ტომ-ტომს სმენია არასოდეს და ვერც კი მიხვდა, რას ვაკეთებდიო. მე იმის თქმა მინდა, არც მაგნიტის ამბავი სმენოდა, არც სპილენძის, და სპილენძს რკინისგან ვერც არჩევდა-მეთქი. ანდა იქნებ იმას ფიქრობდა - რაკი ზანგია ტომ-ტომი, ეს ამბავი ფეხებზე უნდა ეკიდოსო. ან კიდევ - რაკი ზანგია, იცის თუ არ იცის, ფეხებზე კიდია თუ არ კიდია, სხვის საქმეში ცხვირს მაინც არ ჩაყოფს, მით უმეტეს, თუკი თეთრკანიანი არისო გარეული ამ საქმეში. ოღონდ, რასაკვირველია, ჩვენ ის თუ შეგვეძლო, გუმანით მივმხდარიყავით ამ ამბავს. ეს არც ისე ძნელი იყო. იდგა ბრგე, შავტუხა ტომ-ტომი, თავი დაეხარა - ნამდვილი შავი ბუღა იყო და ბუღასავით იმზირებოდა სწორედ. ტერლს კიდევ, პირიქით, ტყავის უნაგირის ფერი ედო და ნახშირით სავსე ნიჩბიანადაც ას ორმოცდაათ გირვანქას ან აიწონიდა, ან - არა. - აი, რა აქვს განზრახული, - თქვა სნოუპსმა. - ამიტომ მინდა, ეს ყველაფერი შენს სახლში წაიღო, ოღონდ კრინტი არავისთან დაძრა. მალე სამხილებს მოვუყრი თავს ტერლის წინააღმდეგ და გარეთ გავუძახებ.

- მე უკეთესი ხერხიც ვიცი, - უთხრა ტომ-ტომმა.

- რა ხერხი? - იკითხა სნოუპსმა. მერე თქვა: - არა, ეგ არ გამოდგება. ჩხუბი თუ ატეხე, ორივეს გაგყრით, იცოდე, როგორც გითხარი, ისე ქენი. რაღა თქმა უნდა, თუკი აქ მუშაობა არ მოგბეზრებია და იმას არ ფიქრობ, რომ ტერლს დაუთმო შენი ადგილი. ასე ფიქრობ?

- ცეცხლს მგონი, გვარიანად ვუკეთებ, საჩივარი ჯერ არავის უთქვამს, - მიუგო ტომ-ტომმა.

- მაშინ როგორც გითხარი, ისე ქენი, - თქვა სნოუპსმა. - ეს ყველაფერი ამ სადამოს სახლში წაიღე. ოღონდ ისე, დანახვით ვერავინ დაგინახოს, ცოლიც რომ იყოს შენი. ჰოდა, თუ არ გინდა, ისიც თქვი. ვინმე უფრო დამყოლს ვიშოვი.

ტომ-ტომი დაემორჩილა. ყოველთვის, როცა კი უვარგისი ნაწილები დაგროვდებოდა, ხედავდა ტომ-ტომი, როგორ სინჯავდა ამ ნაწილებს მაგნიტით სნოუპსი, სპილენძს ცალკე აქუჩებდა, მერე ტომ-ტომი იმ სპილენძს სახლში ეზიდებოდა და მალავდა. იმიტომ, რომ ორმოცი წელი იყო, ტომ-ტომი ცეცხლფარეშად მუშაობდა, მას აქეთ, რაც მოწიფული კაცი შეიქნა, ხოლო ამ სამ ქვაბს უკვე ოც წელიწადს დასტრიალებდა, სულ პირველადამანვე შეუნთო ცეცხლი. თავდაპირველად ერთ ქვაბს უკეთებდა ცეცხლს და თვეში ხუთ დოლარს იღებდა. მერე ქვაბი სამი შეიქნა, ტომ-ტომი სამოც დოლარს იღებდა ხელფასად, სამოცი წლის იყო და საკუთარი სახლი ედგა, მიწის ფრთაზე სიმინდიც ეთესა, ჯორიც ჰყავდა, ორთვლიან ეტლსაც ფლობდა და იმ ორთვალათი ყოველ კვირა დღეს ორ-ორჯერ მიემგზავრებოდა ეკლესიისკენ, ოქროს საათით დამშვენებული, თანაც გვერდით ახალგაზრდა ცოლი ესვა და თანაც მეტი ახალგაზრდა ცოლის ყოლა აღარც ეწერა ალბათ.

ოღონდ იმხანად მისტერ ჰარკერმა მხოლოდ ის იცოდა, რომ ლითონის ნაყარნუყარი თანდათანობით გროვდებოდა ქვაბების უკან, კუთხეში, მერე კი ერთ ღამეს ქრებოდა უცებ. და ახლა ყოველ სადამოს ერთსა და იმავე ხუმრობას იმეორებდა - ელექტროსადგურში აჩქარებული ნაბიჯით შევიდოდა და ტერლს ეტყოდა ხოლმე: „მე ისე ვატყობ, ჯერ არ გაჩერებულა ჩვენი მანქანა. იმ მილისებში და პოქოქიკებში გვარიანი ბევრია სპილენძი, ოღონდ ნამეტანი ჩქარა ბრუნავენ და მაგნიტს ვერ

მიუმარჯვებ. ამ ამბავში კი გაგვიმართლა, მგონი. ამ ქვაბებსაც გაასაღებდა, ის რომ იცოდეს, უამათოდ ცეცხლს რას შეუკეთებდით შენ და ტომ-ტომი”.

მისტერ ჰარკერმა ისიც გვიამბო, მერე რა მოხდა, ნახალწლევს, ქალაქში რევიზია რომ ჩამოვიდა.

- ორი კაცი ჩამობრძანდა, სათვალისანები. დავთრები შეამოწმეს, ყველგან ჩაყვეს ცხვირი, ყველაფერს აღრიცხავდნენ და იწერდნენ. მერე კანტორაში დაბრუნდნენ, ექვსზე, მე რომ მივედი, კიდეც იქ იყვნენ. რაღაცა აკლდათ, მგონი: რაღაც-რაღაც სპილენძის ნაწილები დავთრებში აღწუსებული ყოფილა და აღარ აღმოჩენილა; დავთრებში შეტანილი ახალთახალი სარქველები და წვრილ-წვრილი ნაწილები კი იყო ხელუხლებელი. ოღონდ მიწა გამისკდეს, ერთი ძველი დეტალი მაინც თუ ენახოთ, გარდა უვარგისი სარჭობისა, ისეთ ადგილას რომ ეგდო შემთხვევით, სადაც მაგნიტი ვერ მისწვდებოდა. საკვირველი იყო სწორედ. წამიყოლეს და ხელახლა მივაკითხეთ ელექტროსადგურს. მე ფარნით ვუნათებდი, ისინი კიდეც, ყოველ კუთხეს ჩხრეკდნენ და გვარიანდაც დაითხუპნეს თეთრ-თეთრი ხალათები მურით, კუპრითა და ჭვარტლით, მაგრამ აშკარა იყო - მთელი ის იმდენი სპილენძი გინდაც წყალს წაეღოს. იმ საღამოს ამით მოთავდა საქმე.

მეორე დილას ისევ მოგვადგნენ, ქალაქის მმართველობის მოხელეებიც ახლდნენ თან. მისტერ სნოუპსი იკითხეს, მაგრამ კარგა ხანს მოუხდათ ლოდინი, ვიდრე თავისი კუბოკრული კეპით გამოეცხადებოდა რაღაცის მღეჭველი. იდგა, იღეჭებოდა და შეჰყურებდა, ისინი კიდეც, ბუტბუტებდნენ, იმშუმნებოდნენ, ვერაფრის დიდებით ვერ აკადრეს თქმა. მერე ბევრი იბოდიშეს, ისევ იჭოჭმანეს და იბურტყუნეს, - ნამეტანი უკაცრავად კი გახლავართ, მაგრამ სხვა გზა აღარ გვაქვს, როგორც ელექტროსადგურის ზედამხედველს, თქვენ უნდა მოგმართოთ; ახლავე გვიბრძანეთ, ჰარკერი, ტომ-ტომი და ტერლი დავატუსალებინოთ, თუ ხვალამდეც შეიძლება მოცდაო? ის კიდეც, იდგა და იღეჭებოდა, თვალები ცომზე დაღვენთილ ცხიმის ორ წვეთს მიუგავდა, ჰოდა, რევიზორები ბოდიშობდნენ და ბოდიშობდნენ.

- სულ რამდენისაა? - იკითხა იმან.

- ორას თვრამეტი დოლარის და ორმოცდათორმეტი ცენტის, მისტერ სნოუპს.

- მეტის ხომ არაა?

- ორჯერ შევამოწმეთ, მისტერ სნოუპს.

- კარგი, - თქვა იმან, ჯიბეში ხელი ჩაიყო, ფული ამოაძვრინა, ორას თვრამეტი დოლარი და ორმოცდათორმეტი ცენტი ნაღდი ჩაუთვალა და ხელწერილი მოსთხოვა.

მომდევნო ზაფხულს გაუნი ტერლის ხელქვეითი შეიქნა, ასე რომ, აწი ყველაფერს თავისი თვალით ხედავდა ან ტერლისგან ტყობილობდა. ერთ საღამოს მისტერ სნოუპსი საქვების კარში გამოჩნდა უეცრად, ტერლი თითის დაქნევით გაიხმო და ამჯერად უკვე ტერლი და სნოუპსი აღმოჩნდნენ კანტორაში პირისპირ.

- რაზე ხართ შენ და ტომ-ტომი წაკიდებული? - შეეკითხა.

- მე და ტომ-ტომი? - გაშრა ტერლი. - მე რომ ტომ-ტომთან წაკიდება შემეძლოს, კაი ხანია, სადგურიდან აიბარებოდა და სხვა სამუშაოს იშოვიდა, თუგინდ

ოფიციალურად დადგებოდა. წაკიდებით ორი კაცი უნდა წაიკიდოს, ჰოდა, ტომ-ტომი მარტო მუშაობს, ისე ბუღალსავით კია.

- ტომ-ტომს ჰგონია, რომ შენ დღის ცვლაში გინდა გადასვლა, - უთხრა მისტერ სნოუჰსმა.

ტერლს თვალეზი აცაბაცა წაუვიდა.

- ისე, ნიჩაბს ტომ-ტომზე უარესად არ ვხმარობ, - თქვა მან.

- ტომ-ტომმაც იცის ეგ ამბავი, - უთხრა მისტერ სნოუჰსმა. - ისიც იცის, ხანში რომ შედის. ოღონდ არც ის ეშლება, რომ შენს მეტი ვერავინ წაართმევს სამუშაოს. - და მისტერ სნოუჰსმა ტერლს უამბო: აგერ ორი წელიწადი იქნება, ტომ-ტომი ელექტროსადგურიდან სპილენძს იპარავს და შენთვის უნდა ამ ამბის გადმოზრალე, რათა აქედან გაგაგდოთო; დღესაც მითხრა - ტერლი ქურდი არისო.

- მიჰქარავს, - თქვა ტერლმა. - რაკი არ მომიპარავს, ვერც ერთი შავკანიანი ხელს ვერ დამადებს, რაც უნდა ჯანიანი იყოს.

- რაღა თქმა უნდა, - უთხრა მისტერ სნოუჰსმა. - ჰოდა, ახლა ის სპილენძი უნდა დავაბრუნოთ.

- ეგ საჩემო საქმე აღარაა, - მიუგო ტერლმა. - მისტერ ბაკ კონნორსს ჯამაგირს სწორედ მაგაში აძლევენ.

ბაკ კონნორსი ქალაქის შერიფი გახლდათ.

- აბა, ვერ გადარჩენილხარ ციხეს და ისაა, - უთხრა მისტერ სნოუჰსმა. - ტომ-ტომი იმას იტყვის, სპილენძის არაფერი ვიციო. ჰოდა, ისე გამოვა, რომ მარტო შენ იცოდი სპილენძის ამბავი. როგორ გგონია, მისტერ კონნორსმა რა უნდა იფიქროს? ისე გამოვა, რომ შენ ერთს გცოდნია, სადაც იყო სპილენძი დამალული, ჰოდა, ბაკ კონნორსი იმდენს კი მიხვდება, მოპარულ საქონელს საკუთარ ფარდულში, რეგვენი რომ რეგვენია, ისიც არ დამალავსო. მოკლედ, იმ სპილენძის უკან მოზიდვის მეტი ვერაფერი გიშველის. დღისით მიაკითხე, როცა ტომ-ტომი სამუშაოზეა, აიღე და მომიტანე, ჰოდა, მე დავმალავ და სამხილი მექნება ტომ-ტომის წინააღმდეგ. თუმცა, იქნებ არც გინდა დღის ცვლაში მუშაობა? მასე გეთქვა თავიდან, ვინმე სხვას მოვმეზნიდი.

იმიტომ, რომ ტერლს ცეცხლფარეზად ორმოც წელიწადს არ ემუშავა. საერთოდ არ ემუშავა ამდენ წელიწადს, რადგან ოცდაათი წლის გახლდათ, მეტის კი არა. ოღონდ, ასისაც რომ ყოფილიყო, ორმოც წელიწადს მუშაობას კაციშვილი ვერ დააყვედრიდა.

- იმას თუ არ ჩავუთვლიდით, რაც ღამდამობით უწოწიალია, - თქვა მისტერ ჰარკერმა. - თუკი ტერლი ოდესმე დაოჯახდა თავისდა ჭირად, სულერთია, საკუთარ სახლშიც ფანჯრიდან მოუწევს გადამრომა, ასე თუ არ იქნა, იმასაც ვერ გაიაზრებს - რისთვის მოვედიო. მართალი არ ვარ, ტერლ?

ასე რომ, მისტერ ჰარკერის ნათქვამის არ იყოს, ეს ამბავი ტერლის დანაშაულზე მეტად, სნოუჰსის შეცდომა გახლდათ.

- შეცდომა ის იყო, - დასძინა მისტერ ჰარკერმა, - რომ ტომ-ტომის ახალგაზრდა და სახენათელი ცოლი დროზე ვერ გაახსენდა სნოუპსს. არ გინდა მოფიქრება, ჯეფერსონელი ზანგებიდან ტერლი შეარჩიო მაინცდამაინც, ის ტერლი, ამათი მილის არემარეზე ყოველ გოგოსთან ერთხელ მაინც უსიკვდილოდ რომ არის გადამძვრალი ფანჯრიდან, ნაცადი მაინც რომ აქვს გადამძვრა? ჰოდა, მაინცდამაინც ტერლი შეარჩია და ტომ-ტომისას გაგზავნა იმის მცოდნე, რომ ამ დროს, სალამოს ექვს საათამდე, ტომ-ტომი თვით მისტერ სნოუპსის ზედამხედველობით ნახშირს ექაჩებოდა, მერე კი ორი მილი ფეხით უნდა გაევილო სახლამდე. ეგონა, ტერლი დროს ტყუილუბრალოდ დაკარგავდა (ახლა გაუნი მთელ ღამეს მუშაობდა. რას იზამს: ხომ უნდა გამოეძინა ტერლს ნახშირის ორმოში ნაშუადამევის შემდეგ. ამასთან, ტერლი გვარიანად შეიფერთხა, ჰოდა, ეს მისთვის უძილობაზე გაცილებით უარესი ამბავი იყო), სხვაგან სადმე დაიწყებდა ფათურს, თუ არა ტომ-ტომის ლოგინში. ჰოდა, როცა იმას ვფიქრობ, როგორ ექაჩება ტომ-ტომი ნახშირს საცეცხლეებთან და ამ დროს ტერლი რქებს როგორ ადგამს მეგობრულად, სწორედ ისე, როგორც მერი დე სპეინია მისის სნოუპსთან, თუკი ბიძაშენს დავუჯერებთ და, გარდა ამისა, ტომ-ტომი სპილენძის მოპარვის გაწამაწიაშიაცაა, რათა ტერლმა სამუშაო არ წაართვას, ტერლი კიდევ მთელ ამ დროს დღისით-მზისით ტომ-ტომის მაგივრად მუშაობს მის საკუთარ სახლში, როცა ამას ვფიქრობ, მეჩვენება - ნამდვილად გულზე გავსკდები-მეთქი.

მაგრამ აქამდე არ უნდა მისულიყო საქმე: ყველამ ვიცოდით, რომ ამნაირი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანდა. ოღონდ ის არ ვიცოდით, რა უფრო ადრე მოხდებოდა: ტომ-ტომი წაასწრებდა ტერლს, მისტერ სნოუპსი წაასწრებდა ტერლს, თუ მისტერ ჰარკერს გაუსკდებოდა გული. გაიმარჯვა მისტერ სნოუპსმა. იმ სალამოს მისტერ ჰარკერი, ტერლი და გაუნი ცვლის გადასაბარებლად რომ მივიდნენ, სნოუპსი კანტორის კარში იდგა; ისევ გაიხმო ტერლი თითის ქნევით და კვლავ პირისპირ აღმოჩნდნენ კანტორაში.

- ახლა იპოვე? - შეეკითხა სნოუპსი.

- როდის ახლა? - თქვა ტერლმა.

- ამ სალამოს, შებინდებულზე, - უთხრა მისტერ სნოუპსმა. - შენ ყანა-ყანა რომ მიიპარე და ფანჯარაში გადაძვერი, მე ფარდულს უკან ვიდექი...

ამაზე ტერლს თვალები აცაბაცა წაუვიდა.

- იქნებ იქ არ ემებ, სადაც საჭიროა, - უთხრა მისტერ სნოუპსმა. - თავის ლოგინში თუ დამალა ტომ-ტომმა ის სპილენძი, სამი კვირის წინაც უნდა გეპოვა. ერთხელაც დაძებნე. ჰოდა, თუ მაინც ვერ მიაგენი, ტომ-ტომს ვთხოვ წაგეხმაროს. - ახლა ტერლს სულ გადაებრიცა თვალები.

- ხვალ სამი ან ოთხი საათით მეტხანს გავჩერდები იქ, - თქვა მან. - ჩემს მოსვლამდე ნუ გამოუშვებთ ტომ-ტომს.

- კარგი, ეგ ჩემზე იყოს, - თქვა სნოუპსმა.

- არსად გაგექცეთ, სანამ არ დავბრუნდები, ძალიანაც რომ შემავიანდეს, მაინც დამიცადეთ.

- კარგი, ეგ ჩემზე იყოს, - თქვა სნოუპსმა.



და ამით მოთავდა საქმე. მეორე საღამოს გაუნი და მისტერ ჰარკერი ელექტროსადგურში მივიდნენ და უცებ მისტერ ჰარკერმა სწრაფად მოათვალიერა საქვაბე. მაგრამ სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო, რომ მისტერ სნოუპსი უკვე კარში იდგა და კითხულობდა: „სადაა ტომ-ტომი?“ რადგან იმ საღამოს ცვლას ტომ-ტომი კი არ ელოდებოდა, არამედ მეორე ზანგი, ქვაბებს კვირადღეობით რომ უკეთებდა ცეცხლს, ვიდრე ტომ-ტომს ეკლესიაში მიყავ-მოყავდა თავისი ნორჩი მეუღლე.

დაგწყევლის ღმერთით, - წამოუძახია მისტერ ჰარკერს, გავარდნილა, მისტერ სნოუპსისთვის გვერდით ჩაუქროლია კანტორაში და ტელეფონის ყურმილს სწვდომია. მერე უკანვე გამოჭრილა და სირბილ-სირბილში გაუნისთვის მოუსწრია დაბარება:

- ოტისს მოველაპარაკე! - ოტისი მისი ძმისწული იყო თუ ბიძაშვილი, ერთისიტყვით, რადაც მოუდიოდა, ხეტყის სახერხში ის დადგა ჰარკერის ადგილას და ზოგჯერ, როცა ამას ღამის გაცდენა დასჭირდებოდა, საქვაბეშიც ცვლიდა ხოლმე. - თხუთმეტ წუთში აქ იქნება, მანამდე შენ მიხედე საქმეს, როგორც შეგეძლოს.

- მოითმინეთ, - უთხრა თურმე გაუნმა. - მეც თქვენთან ერთად წამოვალ.

- ჯანდაბამიც წასულხარ, - არც შეჩერებულა, ისე მოაყვია მისტერ ჰარკერმა, - მე შევნიშნე პირველად. - ამის თქმა იყო და, გავარდა უკანა ეზოში, სადაც ნახშირის ოთხთვალეობით გავლებული ნაკვალევი იმ გზისკენ მიუყვებოდა, რომლითაც ტომ-ტომი ყოველ დილა-საღამოს მიდი-მოდოდა სახლიდან სამუშაოზე თუ უკანვე. მთვარის შუქზე მირბოდა მისტერ ჰარკერი, რადგან ღამის გავსებული იყო მთვარე. მეორე საღამოსაც მთვარის სინათლით იყო ყველაფერი გადაქათქათებული, როცა მისტერ ჰარკერი და ტერლი უწყინრად გამოცხადდნენ დაწესებულ დროს ტომ-ტომის მოადგილის შესაცვლელად.

- კი, ძმაო, - უთქვამს მისტერ ჰარკერს გაუნისთვის. - სწორედ სულზე კი მივუსწარი. ტერლი სულ გადაირია, გესმის? უკანასკნელად მიადგა იმ სახლს, გადაწყვეტილი ჰქონდა, ან მოეძებნა ის სპილენძი, ან კიდევ, დაბრუნებულიყო და მისტერ სნოუპსისთვის ეთქვა - ვერ ვიპოვეო. ასე იყო თუ ისე, ეს სოფლის იდილია უნდა დასრულებულიყო. ასე რომ, დროზე მივუსწარი. ის იყო, ტერლმა სიმინდის ყანა გადაიარა თურმე, ფანჯარას მიადგა მთვარის სინათლეზე და გადაძვრა; სწორედ საიმისოდ ეყო დრო, რომ ოთახის გავლით საწოლამდე მისულიყო, საბანი გადაეწია, თავისი გულის მურაზისთვის ხელი ჩაევილო და ეთქვა: „იწეკი, ჩემო სიხარულო, მამიკო მოვიდა“. მაშინაც, მეორე საღამოსაც მე თვითონ ტერლზე ნაკლებად კი არ ვიყავი შეშინებული და გაცოცხლებული, - თქვა გაუნმა; რადგან ტერლი დარწმუნებული იყო - ტომ-ტომი ახლა ელექტროსადგურშია, სახლიდან ორ მილზე, და ჩემს მიბრუნებამდე იქიდან ფეხს ვერ გამოადგამსო. ჰოდა, საბანი რომ გადასწია, დაინახა, რომ თავიდან ფეხებამდე ჩაცმული ტომ-ტომი საწოლზე იწვა და ხელში გრძელი დანა ეჭირა. ისეთი, როგორითაც ყასბები საქონელს კლავენ ხოლმე.

- დროზე მივუსწარი, - თქვა მისტერ ჰარკერმა. - გინდაც განრიგის მიხედვით მისულიყოს საბარგოს ორთქლმავალი. ის იყო, ტომ-ტომს უნდა ესკუპა, რომ ტერლიც გამოტრიალდა და მოუსვა, სახლიდან გარეთ გამოვარდა, მთვარის სინათლეზე, ტომ-ტომი კიდევ ზედ მოახტა თავის დანიანად, ჰოდა, ჩემო ბატონო, სულ იმას ჰგავდნენ... რა ჰქვია იმ ორმაგ მხეცს, ნახევრად ცხენი რომ არის და ნახევრად კაცი, ძველ წიგნებში რომ ხატია?..

კენტავრიო, - შეაშველა გაუნმა.

- ...ჰო, სულ კიტავრს ჰგავდნენ, უკანა ფეხებით რომ მიჭენაობს და საკუთარი თავის გადასწრება უნდა წინა ფლოქვში გრძელი დანის მჭერელს. მერე მთვარის სინათლიდან ტყეში შერგეს თავი. კი, ძმაო, ტომ-ტომი ხომ ტერლზე ბევრად ზორბაა, მაგრამ, ღმერთმანი, ისე მიაჭენებდა ტერლი, ერთი წამითაც რომ შეჩერებულიყო, ის დანა თავისით ჩაესობოდა, სურდა თუ არა ტომ-ტომს ეს ამბავი.

- ტომ-ტომი ბუღასავითაა, - ჰყვებოდა მერე ტერლი. - ერთი სამჯერ კი იქნება ჩემზე დიდი. მაგრამ მაინც მივაჭენებდი. აბა, რა უნდა მექნა? რომ მივიხედავდი და იმ პრიალა დანას დავინახავდი, მეგონა, ტომ-ტომისთანას კიდეც ორსაც ავიკიდე და ნაბიჯსაც არ შევანელებ-მეთქი. ჯერ გავრბოდი და მეტი არაფერი მახსოვდაო, - ჰყვებოდა ტერლი. ხეებს შორის რომ მოვხვდი თუ მოვხვდით, მაშინ კი ვიფიქრე - იქნებ ხეს დავატაკო და გადმოვაგდო-მეთქი, მაგრამ ცალი ხელითაც ისე ჩამებლაუჭა, რამდენი მისი დატაკება ვცადე, იმდენი მეც შევასკდი ხეს. ჰოდა, მივჭენაობდი და მივჭენაობდი, ის დანაც მთვარის სინათლეზე ლაპლაპებდა და ისიც ვიცოდი, სირბილის მეტი რომ ვერაფერი მიშველიდა. ამასობაში ტომ-ტომი აბღავლდა - ჩამომსვიო. ორივე ხელით ჩამეჭიდა და მაშინ ვიაზრე - დანას მგონი, გადავურჩი-მეთქი. ოღონდ ისე ვიყავი გაქანებული, ფეხებს ჩემი აღარაფერი ეყურებოდათ, ტომ-ტომს რაღას დაუჯერებდნენ, თუმცა მთელი ხმით კი ღრიალებდა. მერე ტომ-ტომმა ორივე ხელი თავში მტაცა და, გიყვარდეს, მოწრიახება დამიწყო, ვითომ ლაგამამოდებული გადარეული ჯორი ვყოფილიყავი, და მაშინ მეც დავინახე ხრამი. სიმაღლით ორმოც ფუტამდე იქნებოდა, სიგანით კიდეც, ერთი მილის სიგანე ჩანდა, ოღონდ გვიანი იყო უკვე. ამ საცოდავ ფეხებს სირბილისთვის არც მოუკლიათ, სანამ გადავიჩეხებოდით, ეგერ ნახშირი რომაა დახვავებული, იმხელაზე გაირბინეს კიდეც ჰაერში და მერე დავასკდით ფსკერს.

გაუნმა ჯერ ის იკითხა - გადაგდებული დანის მაგივრად რა მოიმარჯვაო ტომ-ტომმა? არაფერიო, - მიუგო ტერლმა. უბრალოდ, დამსხდარან ხრამის ფსკერზე მთვარის სინათლეში და საუბარს შეჰყოლიან. გვეინ ბიძიამ ახსნა ეს ამბავი: ეს არისო საღმრთო ზარის დაცემა, გულისხმას მოსვლა, რომელიც ყოველწლიურ ცხოველს, მათ შორის ადამიანსაც მიემადლებს, როცა კი რაიმე გაუსაძლის განცდას, მაგალითად, სასტიკ სიშმაგეს ან სასტიკ შიშს გამოივლისო. ჰოდა, ისხდნენ იმ ფსკერზე ორივენი და ის კი აღარ მიაჩნდათ საგულისხმოდ, რომ ერთმა მათგანმა, გვეინ ბიძიას ნათქვამის არ იყოს, მეგობრულად დაადგა რქები მეორეს, არამედ ის, რომ პირმტკიცე კავშირი დაამყარეს ერთიმეორესთან: ტომის მტერი ტერლი კი არა, ფლემ სნოუჰსი იყო, ის დაძვრებოდა ტომ-ტომის სახლში; ტერლის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, მაგრამ ტომ-ტომი კი არა, ფლემ სნოუჰსი იყო, ვინც მას სიკვდილითემუქრებოდა.

- ამ დღეში იყვნენ, მე რომ მივუსწარი, - თქვა მისტერ ჰარკერმა.

- თქვენ მიუსწართ? - შეეკითხა გაუნი.

- მაგ მოგვებმარა, - თქვა ტერლმა.

- ვერ მოგართვეს, - გაუწყრა მისტერ ჰარკერი. - მე ისე გატყობთ, ორივეს დაგვიწყებიათ, რაც წუხელ საღამოს გითხარით იმ ხრამში. არც ვიცი თქვენი ამბავი რამე და არც მინდა ვიცოდე, დამკალით თუ გინდა, გესმით?

- კარგი, - თქვა გაუნმა. - მერე რა მოხდა?

და ტერლმა უამბო, როგორ მიბრუნდნენ ორივენი ტომ-ტომისას. ტომ-ტომმა სამზარეულოში სკამზე მიკოჭილი ცოლი ახსნა, მერე სამივემ ჯორი შევუბით, ფარდულიდან სპილენძი გამოვზიდეთ და ორთვალაზე დავტვირთეთ. ლამის ნახევარ ტონამდე ყოფილა ის სპილენძი და მთელ დამეს ეზიდებოდნენ თურმე, დილამდე.

- სად ეზიდებოდით? - შეეკითხა გაუნი.

მაგრამ მერე გაუნს უფიქრია - მისტერ სნოუპსმა გამოარკვიოს, სადაც ეზიდებოდნენო. უკვე თენდებოდა და მალე ტომ-ტომმა გზიდან გადმოუხვია, ნაკვალევს გამოჰყვა, რათა დღის ცვლაში ჩამდგარიყო. აი, სულ ახლოს მოვიდა ბრგე ტომ-ტომი, გრძელ კისერზე პატარა, ჯიუტი, ქვემეხის ყუმბარასავით მრგვალი თავი რომ ედგა, და ამ დროს ყველანი შებრუნდნენ და დაინახეს: მისტერ სნოუპსი საქვაბის კარში ჩამდგარიყო. გაუნმა თქვა: ეტყობა, მისტერ სნოუპსიც კი მიმხვდარი იყო - დროს ტყუილუბრალოდ დავკარგავ, თითის დაქნევით რომელიმე მათგანის მიხმობა რომ დავაპიროო; ჯიქურ მისდგომია ტერლს:

- რატომ არ იპოვე?

- არ იყო და იმიტომ, - უთქვამს ტერლს.

- რა იცი, მერე, რომ არ იყო? - უკითხავს მისტერ სნოუპსს.

- ტომ-ტომმა მითხრა, - მიუგია იმას.

რადგან ახლა დროის დაკარგვა აღარაფრის მაქნისი იყო, მისტერ სნოუპსი წუთით ტომ-ტომს შეაჩერდა და თქვა:

- რა უყავი?

- იქ დავდევიტ, სადაც უნდა დებულიყო თქვენი ნათქვამის კვალობაზე, - უპასუხა ტომ-ტომმა.

- დავდევიტო? - იკითხა მისტერ სნოუპსმა.

- ჰო, ტერლმა და მე დავდევიტ, - თქვა ტომ-ტომმა.

მაშინ მისტერ სნოუპსი წუთით ისევ შეაშტერდა ტომ-ტომს და თქვა:

- მე როდის ვთქვი?

- მაშინ ბრძანეთ, როცა ამიხსენით, დამცველი სარქველები სად მიგქონდათ, - მიუგო ტომ-ტომმა.

თუმცა საამდროოდ ავზში წყალმა გვარიანად დაიკრა სპილენძის გემო და დრო იყო, ვინმეს მიეხედა ამ საქმისთვის, - ავზი დაეცალა და გაეწმინდა, - მისტერ სნოუპსს არც უფიქრია ამის გაკეთება. რადგან საამდროოდ ელექტროსადგურის ზედამხედველი აღარ გახლდათ, „სამსახურის ინტერესებისთვის“ გადამდგარიყო, როგორც მისტერ დე სპეინი იტყოდა ლეიტენანტ დე სპეინობისას; ჰოდა, ახლა შეეძლო, დღენიდაგ მჯდარიყო ქალაქის განაპირას დაქირავებული სახლის გალერეაში და ჯეფერსონის სახურავებს ზემოთ ამართული ავზისთვის ეშხირა. თავის ძეგლს გასცქერისო, - ასე

იფიქრებდა ზოგიერთი. განა ძეგლი არ ყოფილა ის ავზი, ნაფეხური იყო. ძეგლი მხოლოდ იმას ნიშნავს – აი, რას მივაღწიეო, ხოლო ნაფეხური – აი, სად ვიყავი, როცა წინ დავიძარიო.

- ნუთუ მაშინაც არაფერი მოიმოქმედა? – შეეკითხა გევინ ბიძია რეტლიფს.

- არაფერი, – უპასუხა რეტლიფმა, – არ წაასწრო თავის ცოლს მანფრედ დე სპეინთან; მისთვის ეს იგივეა, კაცი პირველი გამგზავრებისას ქინძისთავით ოცდოლარიანს რომ მიიბნევს ხალათის შიგნით და იმედი რომ აქვს – თავს მემფისის საროსკიპოში ამოვყოფო. ჯერხნობით არაფრად ესაჭიროება იმ ქინძისთავის შეხსნა.

## 2. გევინ სტივენსი

ქინძისთავი ჯერაც არ შეეხსნა. ჩვენ კიდევ ყველას გვიკვირდა – თავს რით ირჩენს, რა ფულით, იმ თავისი დაქირავებული სახლის გალერეაში მთელი ზაფხული ცისმარე დღეს რომ ზის (ასე გვეჩვენებოდა) და წყალსადენის ავზს გაჰყურებსო. და, ვიდრე ქალაქის ხელისუფლებმა არ მოისაზრეს, ავზი დაეცალათ და ამოეწმინდათ, რათა წყალს სპილენძის გემო მოშორებოდა, ისიც არ ვიცოდით, რამდენი სპილენძი გაატანა ერთ ზანგ ცეცხლფარეშს, რათა მეორე ეიძულებინა, ამას ქურდობაში შეშველებოდა, და როგორ შეითქვა ორივე ზანგი საკუთარი ტყავის გადასარჩენად, როგორ გადაუძახა იმ სპილენძის ნაწილებს ავზში, საიდანაც ამან ვერ შეძლო, ვერ გაბედა ამოღება.

ახლაც არ ვიცით, ნამდვილად იქ იყო თუ არა ის სპილენძი. ვერასოდეს შევიტყობთ, ნამდვილად რამდენი გააყოლა ხელს და გაასალა (იმის თქმა მინდა – ვიდრე ტომ-ტომს თუ ტერლს მიიხმარდა-მეთქი) მანამდე, სანამ ვიღაცამ (ალბათ ბაფალომ, რადგან ის ბერიკაცი, ჰარკერი, რომ შეენიშნა – ნაწილები იკარგებო, სნოუჰისს გააცურებდა და თვითონ მოითხოვდა ხელს, იმიტომ, რომ, რაც უნდა მოეკატუნებინა თავი – მარტო ის მაინტერესებდა, რა მოხდებოდაო, – სინამდვილეში, თავს წყევლიდა სიბრძავესთვის) მუნიციპალიტეტს შეატყობინებდა და ელექტროსადგურს რევიზორებს მიუსვებდა. ცოდნით ის ვიცოდით მხოლოდ, რომ ერთ მშვენიერ დღეს სამივე დამცველი სარქველი სადღაც გაქრა. ისღა დაგვრჩენოდა, გვევარაუდა, წარმოგვედგინა, შემდეგ რა მოხდებოდა: მანფრედ დე სპეინი – სწორედ მანფრედი – თავისთან ახმობინებს და ეუბნება: „აი, რას გეტყვით, ჩემო ძმაო“, ან – „ოსტატო“, ან კიდევ – „მეგობარო“, ერთი სიტყვით, ვინ იცის, როგორ მიმართავდა მანფრედი იმ თავის... კარგი, ვთქვათ, ამფსონს თავისას, იქნებ – ინსპექტორო, ასეც ეუბნებოდა. „აი, რას გეტყვით, ინსპექტორო. აქ ოცდასამი დოლარის და ოთხმოცდაერთი ცენტის სპილენძი...“ – სანამ ახმობინებდა, ჯერ დავთარს ჩახედავდა, რალა თქმა უნდა. – „...დაკარგულა თქვენი გამგებლობისას. ჰოდა, ის სპილენძი ფასდადებითაც შეიძლება გამოიგზავნოს“. თანაც, ჰარკერის სიტყვით, ორი რევიზორი ორ დღეს იწურებოდა და ბლუკუნებდა, ვიდრე გულს გაიმაგრებდნენ და მოახსენებდნენ, რამდენის იყო დაკარგული სპილენძი მათი ანგარიშით და შეხედულებით. ამის შემდეგ იყო, სნოუჰისმა ჯიბეს რომ გაიკრა ხელი და გადაიხადა.

მაშასადამე, ორმოცდაათდოლარიანი ხელფასის მქონეს ის თავისი თანამდებობა ორას ორმოცდაორი დოლარი და ოცდაცამეტი ცენტი ნაღდი ფული დაუჯდა. ასე რომ, თავისი ჯამაგირი მისხალ-მისხალ რომ მოექუჩებინა ერთიანად, იმ ორასრადაც დოლარის გამოკლებით, და ერთი ორასის მოპარვა კიდევ რომ მოესწრო, სულერთია, ამ ფულით ოჯახს ვერ დაარჩენდა. და მაინც, აგერ ორი წელიწადი იყო, იმ თავის გალერეაში იჯდა და წყალსაწნევ ავზს გაჰყურებდა ნიადაგ. ეს ამბავი კვითხე სწორედ რეტლიფს.

- მეურნეობას აშენებს, - მიპასუხა რეტლიფმა.

- აშენებსო? - ვთქვი (კარგი, თუნდაც შევყვირე მე). - რა უნდა აშენოს, როცა დილიდან საღამომდე იმ ავზსაა მიჩერებული?

- სნოუპსებს აშენებს, - განმიმარტა რეტლიფმა. - სნოუპსები უნდა მოაშენოს: მაგენის მთელი გვარი დედიან-ბუდიანად მაგას მოსდევს კიბე-კიბე, თითო საფეხურით ზევით მოტოტყავს. ოღონდ ის ერთი, რესტორანი რომ ერგო მემკვიდრეობით, სნოუპსი არაა. ნამდვილად, უეჭველად არაა სნოუპსი. ამაში დაეჭვებაც არ შეიძლება, არ გეპატიება კაცს, იმიტომ, რომ დედამისმაც, ქმრის მხრიდან დანათესავებული ერთი გადასარევი ქალის არ იყოს, როგორც ძველი ბუკოლიკური პოეტი იტყვის, „უმაღ შეიხსნა წელზე სარტყელი“, ვიდრე იმ სნოუპსს გაჰყვებოდა ცოლად, ვინც ეკის კანონიერ მამად მიაჩნდათ.

ჰო, ეკი ერქვა იმას, იმ კისრის ძვალგადატეხილ კაცს, სწორედ ასეთი ჩამოვიდა ჩვენს ქალაქში ფლემის შესანაცვლებლად - ტყავისღვედებიანი ფოლადის საყელური ეკეთა. სნოუპსების არაფერი ეცხო. რეტლიფმა მიაჩნო - სახერხში დაემართაო ეს ამბავი. (მისმა სახლიკაცებმაც იცოდნენ, ფლემმაც იცოდა, სნოუპსი რომ არ იყო: ხეტყის სახერხში უკრეს თავი, ისეთ ადგილას, სადაც, პატრონი რომ პატრონია, ფინანსური გენიოსი თუ არ იქნა, უეჭველად გაკოტრდება, ჯიბიდან გავარდნილს კიდევ, იქ არაფერი ესაქმება, რადგან ხეტყის გარდა მოსაპარავი არაფერია, ჰოდა, ერთი ვაგონი ყავრის აწაპვნა იგივეა, რაც ფოლადის სეიფის ანდა იმ... კი, კი, იმ ავზის ათაქვა.)

ჰოდა, ადგა ფლემი და ბილ უორნერის სახერხში უკრა ეკს თავი (ასე რომ არ ექნა, მგონი, ისღა დარჩენოდა, მოეწამლა ან თოფით მოეკლა, ვითომ მიჯანდაგებული ქოფაკი ან უვარგისი ჯორი ყოფილიყო); რეტლიფმა გვიამბო: ერთხელ ეკს უთქვამს - თითო დოლარს თუ მოგვცემთ, მე და ის მუშა ზანგი (სხვებზე ჯანიან და სხვებზე გამოშტერებულ ზანგზე უთქვამს) იმ უშველებელ კვიპაროსის მორს ავწევთ და ხერხს დავუდებთო. ასე მორიგებულან ამ საქმეზე (ხომ ვთქვი უკვე, ერთი - სნოუპსთაგანი არ იყო, ხოლო მეორე ჰკუაზე მწყრალად ბრძანდებოდა-მეთქი); აუწევიათ კიდევ ის უშველებელი ხე, მხარზე გაუდვიათ, და ამ დროს ზანგს ფეხი დასხლტომია თურადაც უბედურება დამართია, ერთი სიტყვით, დაცემულა. ეკს რა, ეკს შეეძლო, სულაც ხელი შეეშვა მორისთვის და განზე გამხტარიყო. თქვენც არ მომიკვდეთ: სნოუპსების რომ აღარაფერი ვთქვათ, ისედაც სად მოიძებნებოდა იმნაირი დამთხვეული, არ გამოსცლოდა, მხარი არ გამოერიდებინა და დარტყმა საკუთარ თავზე მიეღო? ზანგის მხარზე ნადები ბოლო მიწას დაასკდა, ეკი კიდევ, იდგა თურმე იმ მორს შეყუდებული, ვიდრე ვილაცამ არ მოიფიქრა და ზანგი არ გამოათრია ხის ქვემიდან.

ამ ამბავშიც არ იყო უბრალო სიმარჯვე, სნოუპსური სიმარჯვის რომ აღარაფერი ვთქვათ: უნდა გამომხტარიყო, უნდა მოესაზრებინა - ჯოდი უორნერი რომ ჯოდი უორნერია, თავისივე ზანგის გადარჩენისთვის ისიც არაფერს გამოიმეტებსო. არა, იდგა

თურმე, იმ წყეულ ხეს იმაგრებდა, ამასობაში პირიდან სისხლი წასკდომია. კიდევ კარგი, ვიღაცას მოუფიქრებია, მორისთვის ბიჯგი შეედგა და იქიდან გამოერიდებინა. ხის ძირში მიმჯდარა ერთიანად მოკრუნჩხული, სისხლს აფურთხებდა და თავის ტკივილს უჩიოდაო. („ის არ მითხრათ ოღონდ - ის დოლარი კი გადაუხადესო, - ვთქვი, კარგი, თუნდაც შევევირე მე. - ეგ არ მითხრათ!“)

ნამდვილად არ არის სნოუპსი ის ეკი: საამდროოდ ცოლით და ვაჟიშვილითურთ რესტორნის უკან ჩადგმულ კარავში ცხოვრობდა, გაზინთული წინსაფარი ეკეთა, თავი იმ ფოლადის საყელურში ჰქონდა ჩარგული, ტყავისღვედებიანში (გაჭვარტლულ ნავთქურაზე ერბოკვერცხს და ხორცს წვავდა დახლთან მდგარი, ოღონდ ხეშეში საყელოს გამო თავის ნახელავს თვალს ვერ ატანდა, ასე რომ, მიყურადებით, სმენით ამზადებდა საჭმელს, გინდაც ბრმა პიანისტს დაეკრას). თუმცა, კაცმა რომ თქვას, აქაც არ იყო მისი ადგილი, ის კი არა, უფრო ნაკლებადაც დაედგომებოდა, ვიდრე ხეტყის სახერხში, რადგან იქ ის თუ შეეძლო, საკუთარი ძვლები მიეღეწა მხოლოდ, აქ კიდევ მთელი თავისი სახლეულის ოდინდელ ტრადიციას ემუქრებოდა შემუსვრით - შეუპოვარსა და თავშეუდებელ მძარცველობას. სულ იმის ბრალი კი იყო ყველაფერი, იმ გასაშტერებელი და მიამიტი გულდაჯერების - კაცნი პატიოსანნი და გულოვანნი არიანო; თანაც რა მარტივი მიზეზი ჰქონია თურმე ამ ამბავს - ასე რომ არ იყოს, ხომ შიშსა და შფოთვაში იცხოვრებდნენო ყველანი. ადგა და ასე თქვა სწორედ ნამალევად კი არა, ხმამალა თქვა, სნოუპსებს ნათესავადაც რომ არ ეკუთვნოდნენ, იმ უცხო ხალხის თანდასწრებით: „კატლეტი, ჩემო ბატონო, ხორცის უნდა კეთდებოდეს, არა? ჰოდა, არ ვიცი, რას ვჩურთავთ ამ საჭამადში, ოღონდ ხორცი არაა ნამდვილად“.

მერე ისინიც ადგნენ და გამოაპანდურეს (ისინი-მეთქი, როცა ვამბობ, სნოუპსებს ვგულისხმობ, ხოლო - სნოუპსებიო, რომ იტყვი ჯეფერსონში, ფლემ სნოუპსს ნიშნავს). სხვაგვარად არც იქნებოდა, რესტორანში არ დაედგომებოდა. ოღონდ, რასაკვირველია, უმალვე აღიძრა კითხვა: კარგი, მაგრამ სადმე მაინც დაედგომებოდა ჯეფერსონში, ესე იგი, ჯეფერსონის კი არა, სნოუპსის მეურნეობაში (დიახ, დიახ, სნოუპსიო, ჯეფერსონელი რომ იტყვის, ფლემ სნოუპსს ნიშნავს)? სად იქნებოდა ისეთი ადგილი, სნოუპსები რომ არ ეზარალებინა? რეტლიფმა ესეც იცოდა. უკეთ - ყველამ იცოდა უკვე, რადგან ოცდაოთხ საათში მთელმა ჯეფერსონმა შეიტყო კატლეტების თაობაზე ნათქვამი ის ფრაზა და, რასაკვირველია, ყველა ხვდებოდა, რომ ეკ სნოუპსისთვის რაღაც უნდა მოეხერხებინათ, თანაც - დაუყოვნებლივ. და, რაღა თქმა უნდა (დაინტერესებული პირი გახლდათ), ფლემმა გაიგო თუ არა, სხვებმაც შეიტყვეს, როგორც იყო საქმე. უკეთ - რეტლიფმა მითხრა ასე. უფრო სწორად - რეტლიფის გარდა სხვას ვის უნდა მოეთხრო ჩემთვის ყოველივე, იმ ამოუცნობი სახის მქონე რეტლიფის გარდა, ცბიერი, სათნო, უმანკო და აზრიანი თვალები რომ აქვს, ერთობ უმანკო და ერთობ აზრიანი:

- ღამის დარაჯად მუშაობს, რენფროს ნავთობსაცავში, სადგურთან. აღარც კისრის დაჭიმვა მოუხდება, აღარც ქურაზე დახრა იმის გასაგებად - დამწვრის სუნი რამ დააყენაო. არც ისაა საჭირო, თავი აიშვიროს და უთვალთვალოს - ავზი თუ დგასო თავის ადგილზე. იმის მეტი არაფერი ექნება საქმე, რომ შეამოწმოს ხანდახან - ფსკერი ხომ არ გავარდნია იმ ავზს. თუ არა და, ისიც შეუძლია, თვითონ იჯდეს არხეინად და დროდარო თავისი ბიჭი გაგზავნოს დასახედად, აი, ის, კვიცს რომ ჩამოჰგავს ცოტათი, - მითხრა რეტლიფმა.

- ვინ გაგზავნოსო? - ვთქვი, არა, შევევირე მე.

- ეკის ვაჟიშვილისას მოგახსენებთ, - მითხრა რეტლიფმა, - უოლსტრიტ-ჰანიკა რომ ჰქვია. მეც იქ ვიყავი იმ დღეს, როცა სნოუჰის ველურ ცხენებს ასაღებდა ის ტეხასელი. ის იყო, მისის ლიტლჯონთან ვივანშემთ, ის იყო, დაწოლას ვაპირებდი, ტანზე ვიხდიდი ჩემს ოთახში. ამ დროს ჰენრი არმსტიდი და ეკი თავის ბიჭიანად ბაკში შესულიყვნენ თავ-თავიანთი ცხენების დასაჭერად. ეკს იქიდან ორი ცხენი ერგებოდა: ერთი იმ ტეხასელმა აჩუქა აუქციონის დასაწყებად, მეორეს თვითონ შეევაჭრა, ასე უნდაო, იფიქრა, რაღაი ერთი მუქთად ვიშოვეო, ადგა და ესეც იყიდა. ჰოდა, ჰენრი არმსტიდს ჭიშკრის მიხურვა რომ დაავიწყდა, კინაღამ მთელმა რემამ გადათქერა და მერე ბაკიდან რომ გაჯლიოგინდა ის რემა, მაშინ ეკს ალბათ თავის სიცოცხლეში პირველად მოუხდა, საჩქაროდ გადაეწვიტა თავსამტვრევი ამოცანა: რომელ ცხენს უნდა გამოჰკიდებოდა - იმას, ტეხასელმა რომ უფეშქაშა, ესე იგი, პირწმინდა მოგებას, თუკი დაჭერას მოუხერხებდა, თუ იმ მეორეს, რომელშიც მამასისხლად ნაშოვნის ხუთი თუ ექვსი დოლარი ჰქონდა გადახდილი; ესე იგი, უნდა გადაეწვიტა, რომელი უფრო ძვირად უღირდა, ნაჩუქარი ცხენის ასი პროცენტი თუ ექვსდოლარიანის ასი პროცენტი? უკეთ - ხომ არ აჯობებდა, ის ცხენი გაემეტებინა, რომელიც, გინდაც დაჭერა მოხერხებულიყო, ექვსი დოლარი დასჯდომოდა უკვე, და იმას გამონთებოდა, რომელიც შეემლო, პირწმინდა მოგებად შეერჩინა?

ანდა იქნებ ისიც გადაწყვიტა - სანამ ამას გამოვითვლი, მე და ჩემი ბიჭი გავიყოთ და ორივე ცხენს გავსდიოთო. ერთი სიტყვით, ის იყო, შარვალი გავიძვრე და პერანგის ამარამ ფანჯრიდან გადავიხედე - რა ამბავია-მეთქი, აგერ ყურისძირში შეიქნა რაღაცა ხმაური. შევბრუნდი და რას ნახავ - ცხენი ჩამდგარა კარში და მომჩერებია, იმის უკან, დერეფანში ის ბიჭი დგას, ეკის ვაჟი, ხელზე თოკდახვეული. ჰოდა, მე ასე მგონია, ერთად ვიშვირეთ ფეხი: მე ფანჯრიდან გადავვძვი პერანგის ამარა, ცხენი უკან გავარდა, დერეფანში. დავიხედე და შარვალი არ მაცვია. შემოვურბინე სახლს, შესასვლელისკენ მოვუსვი, ჰოდა, ამ დროს მისის ლიტლჯონი არ მოდის თურმე ვერანდაზე?! ცალ ხელში სარეცხი სჭერია, მეორეში - ფიცარი, ასე შეფეთებია ცხენს. დაიკარგე აქედან, შე ძაღლის დაგდებულოო, - უთქვამს თურმე და ის ფიცარი თავში უთხლებია ცხენისთვის. ფიცარი შუაზე გადაჰობილა, ამას ხელში შერჩენილი ნახევარიც მიუყოლებია და ცხენი უკანვე გაჭენებულა დერეფანში. ის იყო, კიბე ავირბინე, ცხენი იმ თოკიან ბიჭს გადაეველო, ერთი თმა არ შეურხევია მის თავზე, აივანზე გამობრახუნდა; დამინახა თუ არა, არც შეჩერებულა, შებრუნდა, გალერეა გადაირბინა, მოაჯირს ზემოთ კამარა შეკრა და ბაკში გადაფრინდა კაი ცირკის ცხენით. მთვარე ზედ დანათოდა, ისე გადაიჯირითა ბაკი და ჭიშკარში გავარდა - ჭიშკრის მიხურვა მაინც ვერავის მოეფიქრებინა. იმასღა მოვკარი ყური, ბოგირზე როგორ გაითქარუნა ბუკრაიტის გადასახვევთან. ამასობაში ბიჭიც გამოვიდა სახლიდან, უკან თოკი მოსთრევდა: გამარჯობა, მისტერ რეტლიფ, ცხენი საით გაჭენდაო? ოღონდ სწორს არ ბრძანებთ მაინც.

კვიცს ჰგავსო. კვიცი იყოს, ლეკვი, კნუტი, მაიმუნის ბაჭყატი, - ერთი სიტყვით, ვინც გნებავთ, ის იყოს, ოღონდ სნოუჰის დაგდებული ნუ იქნება. გარნა უნდა გაიფიქრო, მხოლოდ გაიფიქრო - გაიფიქრებ და ძრწოლა აგიტანს: ერთი თაობაც ჩაივლის ეკ სნოუჰისა და მისი მიამიტობის შემდეგ; ერთი თაობაც და მიამიტი გულდაჯერება - პატიოსნება და გულოვნება სავსებით ბუნებრივი რამ არისო - მიინავლება, მიიბჟუტება, ასე რომ, პატიოსნებისა და გულოვნების განყენებული ცნებებია შემორჩება; მაშინ დაურთეთ ამას მომდევნო თაობის მიერ მემკვიდრეობით მიღებული, სუნთქვასავით უნებლიე რამედ ქცეული გულშეუძრავი მძარცველობა, და ძრწოლა აგიტანთ ამის გაფიქრებისას: განყენებული ცნებები - გულოვნება და პატიოსნება, მძარცველობას შერწყმული, თუ მძარცველობა - რაღაც ხარისხში აყვანილი

თავად ცნებებით გულოვნების და პატიოსნებისა; მაშინ კვიცი კი აღარ გაიზრდება დაუფარავი ჯეფერსონის უმწეო მკვიდრთა შორის, არამედ ვეფხის თუ ლომის ბოკვერი, ჩინგიზ ყაენი ან თემურ ლანგი, ან კიდევ - ატილა. რეტლიფი კიდევ შემომყურებდა. თვალი არ მოუცილებია. ოღონდ ის იყო, შემკრთალმა უცებ გავიფიქრე - წამით სულაც ხომ არ დამავიწყდა-მეთქი რეტლიფი?

- რაო, - ჩავეკითხე, - რა მითხარით?

- არ ბრძანებთ-მეთქი სწორს. იმისას მოგახსენებთ, ეკმა ღამის დარაჯის ადგილი როგორ იშოვა ნავთობსაცავთან. ამჯერად მანფრედ დე სპეინი არაფერ შუაშია. სულ მასონების საქმე გახლავთ.

- რა მითხარით? - ვთქვი, არა, შევყვირე მე.

- კი, ჩემო ბატონო. ბიძია ბილ უორნერის მასონთა ნამდვილი წინამდგომი იყო ეკი ფრანგისხევში. სწორედ ბიძია ბილმა უბრძანა ჯეფერსონელ მასონებს - რამე რიგიანი, იოლი საინვალიდო სამუშაო უშოვეთო.

- ასეთი სახიფათოა ეს ამბავი? - ვთქვი მე. - მართლა ასეთი სახიფათოა? ნუთუ ის კაცი, ეკს ვინც მოჰყვება უკან, იმდენად საზიზღარია, საშიში და სახიფათო, რომ თვითონ ბილ უორნერს, ჯეფერსონიდან ოცდაორ მილზე მოსახლე ბილ უორნერსაც თავისი გავლენის გამოყენება დასჭირდა მისგან ფრანგისხევის დასახსნელად? ის არ ჩადგა რესტორნის დახლში ეკის მერე - ის ა. ო., მჭედელი, იგივე მასწავლებელი, იგივე ორცოლიანი თუ ორცოლიანობის მეოხებით გვარის გამგრძელებელი? - ის დალეული, დაგვაჯული, ენაჭარტალა პიროვნება, ქრცვინს რომ მიუგავს ცხვირ-პირი, ძველ-ძველ ანდაზებსა და ნაკვესებს რომ აფრქვევს უსაზმოდ, უადგილოდ, პირის დაუმუწავად? თვითონ მჭედლის უროიანად იმდენს ვერც აიწონიდა, რამდენსაც სხვისთვის წართმეული და მიჩემებული გრდემლი იწონიდა იმ სამჭედლოში; ის იყო (ესეც რეტლიფისგან ვიცი), ენაგაუჩერებელი რატრატით რომ გაჩნდა ფრანგისხევში, უფრო სწორად, პირის დაუმუწავად გამოცხადდა ერთ დილას უორნერის სამჭედლოში, სადაც ორმოცდაათ წელიწადს ტრამბლი საქმიანობდა მარტოდმარტო, მჭედელიც თვითონ იყო და ხელის ბიჭიც.

ოღონდ ის ა. ო. არაფერი მჭედელი არ ყოფილა. ადგილი ჰქონდა დაკავებული მხოლოდ. მის ნაცვლად სხვა მუშაობდა, ჩვენი ეკი, მისი ბიძაშვილი (თუ რადაც მოუდიოდნენ ერთმანეთს. - ან იქნებ ისიც საკმარისია, ორივეს სნოუჰისის გვარი გქონდეთ, - თუკი ეკივით უღირსად არ შეერაცხები ამ გვარს, - რათა ორი მასონის მსგავსად საუკუნოდ დაკავშირდეთ ცხოვრებასთან ბრძოლაში, - თუკი რჯულს არ გადაუდექი ეკივით). სწორედ ეკი აკეთებდა ყველაფერს. იმ დღემდე, ერთ დილამდე, როცა შინაყმა ეკი ჯერ არ მოსულიყო, ხოლო მოძღვართმოდვარს, ეტყობა, აზრად მოუვიდა - ჩემი უფლებაა, ჩემი ნებაა, ზორვას შევუდგე, ვის შეუძლია ხელი შემშიშალოსო? სწორედ ის დილა იყო, ჯერ ჰიუსტონმა თავისი ვაყა ცხენი რომ მიიყვანა დასაჭედად და სნოუჰისმა უმაღლეს გავტარა ფლოქქვემ ლურსმანი, რის შემდეგაც ჰიუსტონმა ხელი წამოუსვა სნოუჰისს და წყლიან როფში ჩააყუდა, მერე გადარეული ცხენი როგორღაც დააკა, ნალი ლურსმნიანად ამოაძრო, ცხენი გარეთ გაიყვანა, მიაბა და შებრუნებულმა ისევ როფში გადაუმახა სნოუჰისს.

არც არაფერი მასწავლებელი ყოფილა. თანაც უცხო ვინმესგან კი არ მიუმძლავრებია ის ადგილი, თავის ნათესავს ააციცლა მასწავლებლის წოდება. ოღონდ ფრანგისხევში ჯერ არ იცოდნენ ეს ამბავი. ერთადერთი ის იცოდნენ, რომ იმ სამჭედლოდან გამოხაზაკვებაც



(თუ ჰიუსტონის მიერ როფში ჩაყირავების მერე შემოხვდა) ვერ მოასწრო, რომ მაშინვე მასწავლებლად მოეწყო (პროფესორად, როგორც ფრანგისხევეში უწოდებდნენ, თუკი შარვლიანი იყო ის პროფესორი), ერთოთახიან სკოლაში, რომელიც უორნერის საბრძანებლის განუყრელი კუთვნილება იყო აგრეთვე. იმიტომ კი არ იყო განუყრელი, თითქოს თავად უორნერს ან ვინმე სხვა ფრანგისხეველს მიეჩნის, - ახალგაზრდობის აღზრდა საზოგადოებრივი ცხოვრების ხარვეზებს ავსენს ანდა ისედაც აუცილებელიაო, - არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მის საბრძანებელში სკოლა უეჭველად უნდა არსებებულიყო საერთო სურათის გასამშვენებლად.

იქცა ა. ო. მასწავლებლად; მალე ფრანგისხეველი ქალი შეირთო და ერთ წელიწადსაც არ გაევილო, უკვე ჩვილს დააგორებდა თვითნაკეთი ეტლით, ხოლო მისი ცოლი ისევ ფეხმძიმედ იყო; მაშინვე შეგემლოთ გეთქვათ - ამ კაცმა არამეტუ მკვიდრად მოიგდა ფეხი, ასე ვთქვათ, განწირულიც არისო მკვიდრი ცხოვრებისთვის. გარნა ამ დროს, მისი იქ მკვიდრობის მესამე წელს, გაბარადინებული, ბობრი, არცთუ ხანში შესული ქალი, ასე, ხუთწლიანი, ფუმფულა, ბობრი ბიჭითურთ ფორანში მჯდარი მიადგა უორნერის დუქანს.

- ცოლი გახლდათ მისი, - თქვა რეტლიფმა.

- ცოლიო? - ვთქვი, არა, შევყვირე. - მე მეგონა...

- ყველას მასე გვეგონა, - მითხრა რეტლიფმა. - იმ ეტლში ისედაც ორი თოთო ბიჭი უჯდა, ამჯერად ტყუპი - ბილბო და ვარდამანი, ჰოდა, ის პირმშო სხვა იყო კიდევ - კლარენსი. ჰო, ჩემო ბატონო, სამი ვაჟი ჰყავდა უკვე. ამ დროს გავიხედეთ და მეორე ცოლი არ გამოტყვრა კიდევ ერთი ვაჟიშვილიანად? არადა, თვითონ როგორი იყო - დაფსხრიკული, მჭლე, კიბორჩხალაზე დიდი თუ იქნებოდა და თუ არა; ჰოდა, მეორე ცოლიც - არა, იმისას მოგახსენებთ, ფრანგისხევეში რომ იშოვა იმ პირველის ჩამოსვლამდე, სწორედ იმისას, დისწულად თუ ძმისწულად რომ ერგებოდა მისის ტალის დას, - დიდი ვერაფერი თარაქამა იყო, მაგრამ იმისგანაც ზუსტად ისეთივე ფუმფულა, ბობრი ბიჭები ჰყავდა, დედამისთან ერთად რომ მობრძანდა ფორნით. ჰოდა, დედამისი გალერეაში მსხდომთ შეესიტყვა: ა. ო. მანდ უნდა იყოს, დუქანში (კი, იქ იყო ნამდვილად, ხმაც გვესმოდა მისი), თქვენი ჭირიმე, უთხარით - ცოლი ჩამოგივიდა-თქო.

მეტი არაფერი. არ კმაროდა თუ? სამი წლის წინ ფრანგისხევეში რომ ჩამოვიდა ა. ო., ერთი დიდი საკვოიაჟი მოჰყვა, იმ სამ წელიწადშიც რაღაც-რაღაცას კი მოუყრიდა თავს, სამი ვაჟიშვილის რომ აღარაფერი ვთქვათ. მაგრამ თავისი ავლადიდებისთვის აღარ მიუკითხავს, დუქნის უკანა კარიდან გავარდა ხელად. კაი ხანი იყო გასული, რაც ფლემმა იმ ბერიკაცს, ტრამბლს, უორნერის დუქანი გამოაცალა ხელიდან, მაგრამ აწი მასწავლებელიც ახალი უნდა ეშოვათ, როგორც კი ა. ო. პირველსავე მოსახვევეში თვალს მიეფარებოდა და მოუსვამდა. ეტყობა, მართლა ასე ქნა, თუმცა გზაზე ამდგარი მტვერი არავის დაუნახავს მაშინ. ამბობენ, ქაქანსაც კი შეეშვაო, ოღონდ მე მაინცდამაინც არ მჯერა ეს ამბავი. თუმცა ისე, კაცმა რომ თქვას, ოდესმე კი უნდა დააჭიროს კაცმა ენას კბილი.

დაჭერით კი უნდა დააჭიროს, მაგრამ ა. ო. არ გაყუჩებულა. ესე იგი, ისევე აქაქანებული ჩადგა რესტორნის დახლში. გაზინთული წინსაფარი ეკეთა, შეკვეთებს იღებდა და ყველაფერს უკუღმა აკეთებდა - ისე არ ხრაკავდა, როგორც საჭირო იყო, უკეთ, იმას არ წვავდა და არ ხრაკავდა, რისი შეწვაც და მოხრაკვაც მართებდა. თანაც

იმიტომ კი არა, ერთობ ხელსწრაფად რომ საქმიანობდა, არამედ იმიტომ, რომ წამითაც არ აყენებდა ენას, ასე რომ, ვერავინ ასწრებდა, ან შეესწორებინა მისთვის რამე, ან გაეჩერებინა. არა, გაუწყნარებლად, ყოვლად უაზროდ აფრქვევდა აბურდული და არეული ანდაზების თუ ნაკვეთების უწყვეტ ნაკადს.

ცოლიც იქვე ჰყავდა. ნომერ პირველი ცოლისას ვამბობ, ასე რომ ვთქვათ - ძირითადი ცოლისას, პირველ ნომრად რომ ეწერა პროგრამაში, თუმცაღა სცენაზე გამოსვლის რიგის მიხედვით, მეორე ნომერი აღმოჩნდა. ის, პროგრამის მიხედვით მეორე ნომერი, თუმცაღა სცენაზე გამოსვლის რიგის მიხედვით ნომერი პირველი ცოლი, ტალის ცოლისდის დისწული თუ ძმისწული, ბობრი-ბობრი ბიჭების მეორე პორცია რომ დაუსკუპა - კლარენსი და ტყუპი - ვარდამანი და ბილბო, ის ცოლი ფრანგისხევში ჩარჩა. არა, პირველის ამბავს მოგახსენებთ, იმისას, ფორანზე მჯდარი რომ მოვევლინა ფრანგისხევს, იმავე ფორნით რომ გამოემგზავრა იქიდან და ხუთი წლის მერე რომ გამოჩნდა ჯეფერსონში ისევე მჯდომარე, თითქოს იმ ფორნიდან, რომელშიც ამ ხუთი წლის წინ იხილა რეტლიფმა აქედან ოცდაორი მილის სიშორეზე, კაცმა არ იცის, როგორ და რანაირად, პირდაპირ საქანაო სავარძელში გადაენაცვლებინოს, ავეჯით გაწყობილი სახლის გალერეაში. იქ იჯდა ყველას თვალწინ, მუხლები სწორკუთხად ჰქონდა მოხრილი, თითქოს ბარძაყის სახსრები არც უმოძრავესო, და მისგან რადაცნაირი განსაკუთრებული სიმძიმე გამოსჭვიოდა, სხვაგვარი ინერტულობა, გინდაც ბრძენი ყოფილიყოს, ანდა ურანი, ასე რომ, ფორნიდან იმ მოქანავესავარძელში მის გადასასვენებლად ზეადამიანური ძალა იქნებოდა საჭირო, სამისოდ ათი ა. ო-ც არ იკმარებდა.

ამასობაში სნოუპსი საკვირველი სისწრაფით სძრავდა წინ თავის ეშელონებს. ის ა. ო. თავისი ფაშფაშა ბობრი ცოლითურთ და ფუმიფულა ბობრი ბიჭითურთ - ბიჭს მონტგომერი უორდი ერქვა - არც კი დახანებულა რესტორნის გვერდით ჩადგმულ კარავში, სადაც ჯერაც ეკი ცხოვრობდა ცოლთან და ორ ვაჟიშვილთან ერთად. („რა მოხდა მერე? - თქვა რეტლიფმა. - მარტო კატლეტების შეწვა კი არა, ბევრი რაღაც-რაღაცის გაკეთება შეიძლება კიდევ თვალის მიუტანებლად“) ა. ო-ს ოჯახმა იმ კარავს გვერდი აუარა და მისი ცოლი უმაღლ მოკალათდა ავეჯით გაწყობილი სახლის გალერეაში დადგმულ საქანაო სავარძელში; დიდი იყო ის სახლი, ოთხკუთხა, დაუდეგრად გაღებელი; იქ ჩერდებოდნენ ჯორებით თუ ცხენებით მოვაჭრე მეჯოგეები და გადაამყიდველები; ნაფიცი მსაჯულები და საგანგებო მოწმეებიც იქვე ჰყავდათ ხოლმე გამომწყვდეული სასამართლოს სესიის დროს. იჯდა იქ ის ქალი, სავარძელში ირწეოდა და არაფერს აკეთებდა - არც კითხულობდა, იმასაც კი არ მიადევნებდა თვალს, კარში ვინ შედი-გამოდიოდა, ქუჩაში ვინ მიაბიჯებდა: ასე იჯდა და ირწეოდა მთელ ხუთ წელიწადს, მანამდეც და მერეც, როცა ის ავეჯით გაწყობილი სახლი ნამდვილ საკურდღლედ გადაიქცა და გალერეის ერთ სვეტზე გაჩნდა ფიჭვის ფიცარი, რომელზეც ადლიანი ასოებით წაეწერათ - „სნოუპსის სასტუმრო“.

მაშინ ეკმა, რომელსაც თავისი პატიოსნების თუ გულუბრყვილობის გამო, თუ ორივე ამ ამბის გამო, რესტორნიდან გუდა-ნაზადი აუკრეს და ნავთობსაცავთან დააყენეს ღამის დარაჯად, იმ კარვიდან გადაიყვანა ცოლი და ორივე ვაჟიშვილი (უოლსტრიტ-პანიკა, - დიახ, რეტლიფის არ იყოს, მეც არაფრით ვიჯერებდი, რომ ამნაირი სახელი შეიძლებოდა რქმეოდა კაცს, - და უმცროსი, ადმირალი დიუი, - ეს სახელი კი დავიჯერეთ). ოლონდ მთელი რესტორანი არ გაუყიდიათ თავისი შიგანიანად, არა, შიგანი ერთბაშად გამოაცალეს, - ასე რომ, მუშტრებს არც კი შეუნიშნავთ, ვაჭრობა ერთი დღითაც არ შეწყვეტილა, - და გადაიტანეს ახალ სასაუზმეში, რომელსაც მისის ეკი უძღვებოდა; სავარძელში მოქანავე სხეულთან ახლოს ჩაატარეს ყოველივე. ხოლო ის

სხეული იმდენი ხანი იყო, სავარძელში ირწოდა, რომ აბრასავით იხსენიებდნენ უკვე. სოფლები ჯეფერსონში რომ ჩამოვიდოდნენ და სნოუპსის სასტუმროს იკითხავდნენ, პასუხად გზას ასე მიასწავლიდნენ ხოლმე: სავარძელში მოქანავე ქალს რომ დაინახავთ, სასტუმროც იქ არისო.

და ამ დროს ისიც მოგვევლინა, ვისი ტიტული და პროფესია მიიჩემა ერთხანს ა. ო. სნოუპსმა. ეს უკვე ნამდვილი სნოუპსი იყო - მასწავლებელი. არა: მასწავლებელს ჰგავდა მხოლოდ. თუმცა არა: გვანებით ჯონ ბრაუნს ჰგავდა, ოღონდ ერთი განუშორებელი და დაუფარავი ნაკლი ახლდა: ამ მაღალ, ხმელ-ხმელ კაცს, გაზინთული სერთუკით მოსილს, ზონარივით მოკონწიალე ჰალსტუხისა და პოლიტიკანის ფართოფარფლიანი ქუდის მტარებელს, გამოციებული, მძვინვარე თვალები უხსნდა და ყბედის ნიკაპი წამოგრძელებოდა; ოღონდ ამას სიტყვამრავლობის ფადართი კი არ ჰქონდა ატეხილი თავის ქვისლივით (თუ რადაც მოუდიოდა ა. ო. საერთოდ, ისინი სისხლის ნათესავებად თითქოს არც კი მოუდიოდნენ ერთმანეთს, ისე იყვნენ ყველანი სნოუპსები, მსგავსად იმისა, როგორც ვირთხების თუ ტერმიტების კოლონია ვირთხები და ტერმიტებია და სხვა არაფერი), არამედ რაღაცნაირ უცდომელ ინსტინქტს ფლობდა კამათის დროს უსაზიზღრეს და უსულმდაბლეს დამამტკიცებელ საბუთთა გამოსაჩხრეკად და შემხვედრთათვის ალღოს ასაღებად: დემაგოგის ინსტინქტს, ყოველი კაცის თავისდა სასარგებლოდ გამომყენებელს; ამასთან, ეს ყოველივე კულტურისა და რელიგიის თხელი ფენით იყო შემოგარსული; თავად სახელები მისი ვაჟებისა - ბაირონი და ვირგილიუსი - მაგალითს კი არ წარმოადგენდა მხოლოდ, არამედ გამაფრთხილებლადაც ჟღერდა.

კაცმა რომ თქვას, მასწავლებელი არც ის ყოფილა; ესე იგი, თავისი ქვისლისგან განსხვავებით, ისე ცოტა ხანს მასწავლებლობდა, ანგარიშშიც არ იყო მისათვლელი. ან იქნებ ზაფხულის დამდეგიდან შემოდგომამდე იყო ჩვენთან, ისე, ერთ სამუშაო ადგილსა და მეორეს შორის. ანდა კიდეც, იქნებ ჭეშმარიტ ბუკოლიკურ თავშესაქცევართა მოკლე-მოკლე შუალედებში ჩნდებოდა მხოლოდ სასაუზმეში თუ მოედანზე. ამ თავშესაქცევართა ასპარეზად და მოქმედების ადგილად შეგულებული ჰქონდა მივარდნილი სოფლური ეკლესიები, ღელისპირები თუ მდინარის კიდეები, სადაც ზაფხულის ცხელ დღეებში მლოცველი ხალხი იკრიბებოდა და ნათლობები იმართებოდა: ამას გვარიანი ბარიტონი ჰქონდა და ჩრდილოეთ მისისიპიში ალბათ სულაც უკანასკნელი სალამური, კამერტონის ნაცვლად; ტონს თვითონვე აძლევდა და სიტყვებსაც კარნახობდა, ვიდრე ერთხელ ოჯახის მამათა მობობოქრე გროვამ თოთხმეტწლიან გოგოსთან არ შეისწრო ერთ ფარდულში და ოლქიდან არ გააძევა კუპრსა და ბუმბულში ამოგანგლული. ამბობენ, დაკოდვას უპირებდნენ, მაგრამ რომელიღაც მფრთხალმა კონსერვატორმა სხვები დაიყოლია: იმას დავაჯეროთ, რომ დავემუქროთ - უკან მობრუნება თუ გაივლე გულში, უეჭველად დაგასაჭურისებთო.

ერთი სიტყვით, ორი ვაჟიშვილი დარჩა - ბაირონი და ვირგილიუსი. ოღონდ დიდხანს აღარც ბაირონი დახანებულა - მემფისს გაემგზავრა და კომერციულ სასწავლებელში შევიდა ბუღალტერიის დასაუფლებლად. არაფრით იმის დაჯერება არ გვინდოდა, რომ თავად პოლკოვნიკი სარტორისი იყო ამ საქმეში გარეული: თავად, პირადად პოლკოვნიკისარტორისი, თავის კაბინეტში - ბანკის უკანა ოთახში დაბრძანებული ზვიადად. მივიკითხ-მოვიკითხეთ კიდეც ეს ამბავი, მაგრამ მერე ისიც გაგვახსენდა, რაც ჩვენგან უფროსებს, მათ შორის მამაჩემსაც, არასოდეს დაგვივიწყებია: სნოუპსთაგან პირველი - ებ სნოუპსი სწორედ ის პატრიოტი მერემონტე ან, მარტივად რომ ვთქვათ, ის ცხენის ქურდი იყო (იმისდა მიხედვით, თუ რომელი მხარე ჰყვებოდა ამ ამბავს), რომელიც ჩამოახრჩვეს (თანაც, სამხედრო პოლიციის ფედერალურ უფროსს კი არ

ჩამოუხრჩვია, არამედ, გადმოცემა გვაუწყებდა - კონფედერატულმა ჩამოახრჩოო). ჰოდა, ის სნოუპსი პოლკოვნიკ სარტორისის ცხენოსან რაზმში მსახურობდა, ნამდვილი პოლკოვნიკის, აწინდელი ჩვენი ბანკირისა და საპატიო პოლკოვნიკის მამის რაზმში. ჩვენს პოლკოვნიკს მაშინ ოფიცრის წოდება არც ჰქონდა მიღებული და მამამისის შტაბში ადიუტანტად ირიცხებოდა იმ ბურუსით მოცულ ხანაში, 1864-1865 წლებში, როცა მრავალნი (და არა მარტო სნოუპსის გვარის მქონენი) იმას კი არ უნდა ცდილიყვნენ, რომ ღირსეულად შეენარჩუნებინათ საკუთარი სიცოცხლე, არამედ არჩევანი უნდა მოეხდინათ უმაქნის ღირსებასა და თითქმის ასევე უმაქნის სიცოცხლეს შორის.

მოკლედ, შეეხიზნა ჩიტი ნარს. კი, ჩვენ ყველანი ასე ვოხუნჯობდით, ჭკუისკოლოფები: ასეთ შესაძლებლობას ხელიდან რა გაგვაშვებინებდა! საქმე ის კი არ გახლდათ - გვჯეროდა თუ არ გვჯეროდა, რომ ასე იყო ეს ამბავი. ჩვენ გვინდოდა, იმ ძველი პოლკოვნიკის სახელი შეუბღალავად დაგვეცვა და თავადვე გვეთქვა ის, რის გამოც, ჩვენი ფიქრით, სნოუპსების მთელი ხროვა ქირქილებდა. მართლაც, ვერც ერთი პოლიციის უფროსი იმ პირველ ებ სნოუპსს ვერ გარდაქმნიდა, მაგრამ სნოუპსებმა მისი ჩონჩხისგან თვითონვე შექმნეს საფრთხობელა, რათა საამისოდ შესაფერისი პირის გამოჩენისთანავე, როგორც იტყვიან, ხელი შეეხოცათ ების მეთაურის რომელიმე შთამომავლისთვის. ამჯერად ბანკს აჰკიდეს ის ცოდვა, ჩვენი აწინდელი პოლკოვნიკის - სარტორისის მიერ ხუთი წლის წინ დაარსებულ ბანკს.

ოღონდ მართლა კი არ ვფიქრობდით ასე. მე იმის თქმა მინდა, სულაც არ იყო-მეთქი საჭირო ჩვენი პოლკოვნიკი სარტორისის იმ ჩონჩხით დაშინება. ჩვენს მხარეში ხომ აგერ ორმოცდაათი წლის გასვლის შემდეგაც ყველანი ვაიდვალვდით იმ წაგებული ბრძოლის გმირებს, იმ ადამიანებს, რომლებიც მამაცურად, აუცდენლად, განურინებლად დამარცხებულიყვნენ; მართლა გმირებად მიგვაჩნდნენ ისინი, - განა ჩვენი მამანი, პაპანი, ბიძანი თუ ბიძის მშობელნი არ დარაზმა პოლკოვნიკმა სარტორისმა აქ, მეზობელ ოლქებში? და ვის ჰქონდა მეტი უფლება მათი გაიდვალვებისა, თუ არა ჩვენს პოლკოვნიკ სარტორისს, სწორედ იმ პოლკოვნიკი სარტორისის ძეს, რომელმაც ეს რაზმი შეკრიბა და გაწვრთნა, რომელიც მრავალ მათგანს ბრძოლაში სიკვდილს სტაცებდა ხელიდან, ხოლო ბრძოლისა და ბრძოლის შუალედებში მიწყვიტ კაცობრიულ ვნებათა და ბიწიერებათა მორევს გამოარიდებდა ხოლმე. ბაირონ სნოუპსი იმ ასეულების, ბატალიონებისა თუ პოლკების ოდინდელ მებრძოლთა პირველი შთამომავალი როდი იყო და პირველმა როდი გამოსცადა ჩვენი პოლკოვნიკი სარტორისის გულკეთილობა.

ოღონდ თავის ნარზე ჩამომჯდარი ჩიტის ანდაზა მაინც უფრო მიესადაგება ამ ამბავს. თანაც იმდენად ხუმრობა არ ეთქმოდა ამას, რამდენადაც მეყსეული, ერთსულოვანი, დიახ, მედგრად გამაბიზრუებელი უკუგდება ყოველივე იმისა, რაც სიტყვა „სნოუპსით“ განსახიერდებოდა ჩვენთვისაც და სხვა დანარჩენთათვისაც, ვისთვისაც კი ამ გვარის უბრალოდ ხსენებაც ყველაფრის შებილწვასა და მოშხამვას ნიშნავდა.

ყოველ შემთხვევაში, ნარზე ჩამოსაჯდომი ის ჩიტუნა დროულად გამოცხადდა კომერციული სასწავლებლის დიპლომით აღჭურვილი; ჩვენ შეგვეძლო, გისოსებს მიღმა დაგვენახა ხოლმე, იმ გისოსებს მიღმა, რომლებიც პოლკოვნიკ სარტორისისთვის მიზარებულ ჩვენს ფულსა და მასთან დაკავშირებულ რთულ ანგარიშგებას იცავდა. და ის სნოუპსი, ბაირონი, ისე იყო წახრილი საბუღალტრო დავთრებზე, თითქოს მოწიწებით ქვედამხობილი კი არ არის, თავსაც კი არ იმცირებს ბრჭყვიალა მონეტების ელვარების წინაშე, არამედ თავისი ღირსების შემნარჩუნებელი პატივის მიგებით, გულმოდგინე ცნობისწადილით ცდილობსო ჩასწვდეს ფულის ანგარიშის მექანიკას; კი არ შეცოცებულიყო ამ საიდუმლოს შემომბლარდნელ თვალისმომჭრელად კაშკაშა

შარავანდედში, უფრო იმას ესწრაფოდა, ყურადღება არ მიეპყრო, ისე აენია ამ საიდუმლოს სამოსის კალთა.

ბანკის რთულ იერარქიაში ბოლო კაცად მყოფი, ბამბუკის სათევზაო ჯოხს იგრძელებდა თითქოს, ვიდრე საწადელს მისწვდა. ხოლო ის ბამბუკი (იძულებული ვარ, ისევ ამ აბნეულსა და უსაზმნო მეტაფორას მივსდიო) იმავე კაპარჭში ჰქონდა მიკვლეული, ელექტროსადგურის ზედამხედველის ადგილსაც რომ იპოვებოდა, რამეთუ პოლკოვნიკი სარტორისი იმ ძველი მაიორის, დე სპეინის ამფსონი გახლდათ ნადირობაში, - ომის შემდეგ მცირე ხანი რომ გამოხდა, მაიორმა ბანაკი დასცა დიდ ხევში და იმ ბანაკიდან ყოველ წელიწადს ერთად ნადირობდნენ დათვსა თუ ირემზე; ხოლო პოლკოვნიკმა სარტორისმა ამ ხუთი წლის წინ თავისი ბანაკი რომ დააარსა, მანგრედ დე სპეინმა მამამისის ფული შეიტანა და ამ ბანკის ერთი პირველი აქციონერო და დირექტორი შეიქნა.

დიახ, ბატონო! ბოლოს და ბოლოს, ბელელში შეფრთხილდა ჩიტუნა. მერე კი (ჩვენ ლოდინის მეტი აღარაფერი დაგვრჩენოდა, თუმცა, რამდენიც არ გვეჭირა თვალი, რაღა თქმა უნდა, ის მაინც ვერ შევიტყვეთ, როგორ მოხდა, იმის დაზუსტებალა მოვახერხეთ, ასე თუ ისე, როდის მოხდა ეს ამბავი) ბელლის პატრონადაც იქცა, ხოლო პოლკოვნიკი სარტორისი „განბელლეს“, ისევე როგორც რეტლიფი და გროვერ კლივლენდი „განრესტორნეს“ თავის დროზე. ცხადია, ჩვენ ვერაფერი შევიტყვეთ, როგორ მოხდა ეს, არც იყო ჩვენი საქმე; იმას ვერ ვიტყვი, ჩვენ შორის ისეთებიც არ მოიძებნებოდნენ, არაფრის შეტყობა რომ არ სურდათ-მეთქი; ისეთები, რომლებიც მიხვდნენ - სულერთია, ჯეფერსონს სნოუპსებისგან მაინც ვერასდროს გადავარჩენთო, და რომლებსაც ამგვარი რამეც შეეძლოთ ეთქვა: მოდი, მივცეთ, დავუთმოთ სნოუპსებს ჯეფერსონიც, ბანკიც, მერის თანამდებობაც, მუნიციპალიტეტიც, ეკლესიაც, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რათა სხვა სნოუპსებისგან თავის დამცველმა სნოუპსებმა ჩვენც დაგვიცვანო - მათი ვასალები, შინაყმები მათი.

კაპარჭი მანგრედ დე სპეინს ჰქონდა მოგდებული, ოღონდ ისრებს სხვა სტყორცნიდა, ის წყეული, საზღაპრო დიაცი, ფრანგისხეველი მშვენიერი ელენე, სემირამიდა - არა, ელენე და სემირამიდა კი არა - ლილითი: ევამდე რომ იყო, სწორედ ის, და შეცბუნებული, შეშფოთებული შემოქმედი იძულებული რომ შეიქნა, თავადვე, პირადად აღეზოცა, გაეცამტკერებინა, მოესპო, რათა ადამს შესძლებოდა აღორძინებულიყო, გამრავლებულიყო და დაესახლებინა ქვეყანა. ახლა კი მე და რეტლიფი ჩემს კაბინეტში ვსხედვართ. არა, არც გამომიძახია და არც მომიწვევია - ისე შემომყვა და მოუჯდა მაგიდას ჩემ პირდაპირ - კვლავინდებურად უმწიკვლო, გამოხუნებული, ლურჯი ხალათით მოსილი, უჰალსტუხო, სახე მზით აქვს დამწვარი, გადატკეცილი, უშფოთველი, და თავისი ეშმაკური, გონიერი თვალებით შემომყურებს.

- წინ თქვენც გეცინებოდათ იმათზე ცოტ-ცოტა, - მითხრა რეტლიფმა.

- მერე რა მოხდა? - ვთქვი მე. - სხვა რა უნდა გვექნა? თქვენ კი გაგიმართლათ, რასაკვირველია: კატლეტების შეწვა აღარ მოგიწევთ. ოღონდ აცალეთ იმ ხალხს ცოტა: იქნებ რომელიმე იმათგანი უკვე დაუსწრებლად სწავლობს იურიდიულ ფაკულტეტზე. მაშინ მეც აღარ მომიწევს ოლქის პროკურორად მუშაობა.

- მე მოგახსენეთ - თქვენც-მეთქი, - მითხრა რეტლიფმა.

- რა მითხარით?

- თავდაპირველად თქვენც გეცინებოდათ-მეთქი იმათზე ცოტ-ცოტა, - თქვა რეტლიფმა. - ოღონდ იქნებ არც ვამბობდე მართალს, იქნებ თქვენ ახლაც გეცინებათ რაღაცნაირად? - ამბობს და მითვალთვალებს - ცბიერი, გამჭრიახი. - მაინც, რატომ არ მეტყვიო?

- რას არ გეტყვიო?

- მოუსვით, რეტლიფ, ჩემი კაბინეტიდანო.

- მოუსვით, რეტლიფ, ჩემი კაბინეტიდან, - ვუთხარი მე.

### 3. ჩარლზ მალისონი

აღბათ იმის გამო, რომ დედაჩემი და ბიძია გევინი ტყუპი იყო, დედაც მაშინვე მიხვდა, როცა რეტლიფი, რა დღეშიც ჩავარდნილიყო გევინ ბიძია.

იმხანად პაპაჩემისას ვცხოვრობდით ყველანი. ესე იგი, ბაბუა ჯერაც ცოცხალი იყო და გევინ ბიძიასთან ერთად სახლის ნახევარი ეჭირა: საწოლი და კიდევ ერთი ოთახი, ჩვენ მის კაბინეტს რომ ვეძახდით მუდამ, ქვედა სართულზე იყო, ხოლო ბიძაჩემის ოთახები - იმავე მხარეს მეორე სართულზე. იქ გევინ ბიძიამ გარეთა კიბე მოაშენა, რათა ეზოდანაც შესძლებოდა შესვლა-გამოსვლა. დედაჩემი და მამაჩემი გაუნთან ერთად სახლის მეორე ნახევარში იდგნენ, გაუნი ჯეფერსონის სკოლაში სწავლობდა და ვაშინგტონის მოსამზადებელ კურსებზე შესვლას აპირებდა, რათა იქიდან ვირჯინიის უნივერსიტეტში გადასულიყო.

დედა მაგიდის ბოლოს იჯდა ხოლმე, ბებიას ადგილას, პაპა - მის პირდაპირ, ერთ მხარეს მამა ეჯდა, მეორეს - გევინ ბიძია და გაუნი (მე მაშინ დაბადებული არ ვყოფილვარ და, რომც ვყოფილიყავი, სუფრას სამზარეულოში მივუჯდებოდი, ალექსენდერის გვერდით); და, გაუნის თქმით, იმ დღეს გევინ ბიძია იმასაც კი არ ცდილა, თავი მოეჩვენებინა - საჭმელს ვჭამო: ისე იჯდა თურმე და სწოუპსების ამბებს ჰყვებოდა (აგერ ორი კვირა გადიოდა, რაც ეს დასჩემებოდა სუფრასთან ჯდომისას). გეგონებოდათ, საკუთარ თავს ესიტყვებო, თითქოს მომართული ყოფილიყოს და ვერაფრით ვეღარ გათავებულებიყოს მონამართი, შეჩერებისას აღარაფერს ვამბობ; თუმცა, კაცი იფიქრებდა - ამ ლაპარაკის შეწყვეტა ქვეყნად ყველაზე მეტად, თვითონ გევინ ბიძიას ენატრებო. არა, ლანძღვით არ ულანძღია სწოუპსები. გაუნმა ვერაფრით ამიხსნა, რა იყო ეს. ისე გამოდიოდა, ვითომ გევინ ბიძიას რაღაც უნდოდა მოეყოლა, ოღონდ იმდენად სასაცილო იყო ის რაღაცა, გევინ ბიძია იმას უფრო ცდილობდა, ისე ძალიან საცინრად არ წარმოედგინა ყოველივე, როგორც სინამდვილეში მომხდარიყო, რადგან ისე სასაცილოდ რომ ეთქვა, როგორც სინამდვილეში მომხდარიყო, ყველანი გადაფიჩინდებოდნენ და მეტს ვეღარაფერს გაიგონებდნენ. დედამაც თავი მიანება თურმე საჭმელს: გაბუსუნებული იჯდა და გევინ ბიძიას თვალს არ ამორებდა; მაგრამ ამ დროს ბაბუას საყელოდან ხელსახოცი ამოუძვრია და წამომართულა, მამაჩემი, გევინ ბიძია და გაუნიც წამომდგარან, და ბაბუას ჩვეულებისამებრ უთქვამს დედასთვის:

- მადლობელი ვარ სადილისთვის, მარგარეტ, - მერე ხელსახოცი მაგიდაზე დაუდვია, ხოლო გაუნი კართან მისულა და იქ გაჩერებულა, ვიდრე ბაბუა გავიდოდა (ისე, როგორც მე ვაკეთებდი შემდეგში - როცა დავიბადე და წამოვიზარდე). ჩვეულებრივ, გაუნი ასე იდგა კართან, ვიდრე დედა, მამა და გევინ ბიძიაც გავიდოდნენ ხოლმე სასადილოდან. მაგრამ იმ დღეს ყველაფერი სხვაგვარად ხდებოდა. დედა არც შერხეულა, იჯდა და გევინ ბიძიას შეჰყურებდა; მაშინაც გევინ ბიძიას იყო მიჩერებული, მამას რომ მიმართა:

- შენ და გაუნიც ხომ არ ისურვებდით გავლას?

- არა, მემ, - მიუგო გაუნმა. რადგან იმ დღეს ბიძიას კაბინეტში იყო, როცა რეტლიფი შემოვიდა და თქვა:

- სადამო მშვიდობისა, იურისტო. სნოუჰსებზე ახალ-ახალი ამბების გასაგებად შემოვიარეთ, - ხოლო გევინ ბიძია შეეკითხა:

- რომელი ახალი ამბების? - და რეტლიფმა უთხრა:

- თქვენ იმის თქმა გნებავთ - რომელი სნოუჰსებისო? - მერე დაჯდა, გევინ ბიძიას შეაჩერდა და ბოლოს უთხრა: - რატომ ახლაც არ მეტყვიო? - და გევინ ბიძიამ ჰკითხა:

- რას არ გეტყვიო?

- მოუსვით, რეტლიფ, ჩემი კაბინეტიდანო.

ასე რომ, გაუნმა თქვა:

- არა, მემ!

- მაშინ, იქნებ მე მომცე წასვლის უფლება? - თქვა გევინ ბიძიამ და ხელსახოცი მაგიდაზე დადო. მაგრამ დედაჩემი არც ახლა შერხეულა.

- შენ გინდა, იმას ვიზიტით ვეწვიო? - თქვა დედამ.

- ვის იმას? - იკითხა გევინ ბიძიამ.

და გაუნსაც კი მოსჩვენებია - გევინ ბიძიამ ეს ნამეტანი სწრაფად წარმოთქვაო. რადგან ამასობაში მამაჩემსაც კი მოუსაზრებია, რაშიც იყო საქმე. თუმცა რა ვიცი. მე ასე მგონია, იმ ამბავს რომ შევსწრებოდი თუნდაც გაუნის ხნისა, მაშინვე მოვისაზრებდი, რომ, ოცი წლისაც რომ ვყოფილიყავი ანდა ნაკლებისაც, როცა მისის სნოუჰსმა პირველად გადაიარა ჩვენი ქალაქის მოედანი, იმას კი არ ვიაზრებდი მხოლოდ, როგორც იყო საქმე, მე თვითონაც ალბათ გევინ ბიძიას ადგილას აღმოვჩნდებოდი. მაგრამ გაუნმა მიაშბო - მამაშენმა ისე დაიწყო ლაპარაკი, ვითომ ახლალა მოისაზრა, რაშიც არისო საქმე.

- დასწყევლოს ღმერთმა! - უთქვამს გევინ ბიძიასთვის. - თურმე რა ჭია შეგჩენია ეს ორი კვირაა. - მერე დედას მიუბრუნდა: - არა, ღმერთს გეფიცები! ჩემი ცოლის მისვლა იმ...

- ვინ იმ, თქვი, ვინ იმ? - მკვახედ მიახალა გევინ ბიძიამ.

დედა ჯერაც არ შერხულიყო: იმათ შორის იჯდა უშფოთველად, ისინი კიდეც თავს ადგნენ.

- სერ, - თქვა დედამ.

- ბატონო, - უთხრა გევინ ბიძიამ.

- ვინ იმ, სერ? - თქვა დედამ. ანდა იქნებ ასე თქვა მხოლოდ: „სერ?“ - თავაზიანად იკითხა.

- შენ ბრძანე ჩემი სათქმელი, - უთხრა მამამ გევინ ბიძიას. - შენც კარგად იცი, რანაირიცაა, რანაირადაც ახსენებს მთელი ქალაქი. ისიც მთელ ქალაქს აქვს გაგებული - მისი და მანფრედ დე სპეინის ამბავი.

- რას ნიშნავს, - მთელი ქალაქიო? - თქვა გევინ ბიძიამ. - ვინაა მთელი ქალაქი, თქვენ გარდა ვინაა? ალბათ ისინი, მზად რომ არიან, მეგისაც კი მოსცხონ ჩირქი, თქვენზე მეტი ამ საქმის არაფერი რომ არ იციან.

- შენ იმასაც მიბედავ, ჩემი ცოლი ასე ახსენო? - უთხრა მამამ.

- არა, მე იმას ვბედავ, ჩემი და და მისის სნოუპსი ვახსენო ასე.

- ბიჭებო, ბიჭებო, ბიჭებო, - თქვა დედამ. - ჩემი ძმისწული მაინც დაინდეთ, - და გაუნს მიუბრუნდა: - გაუნ, არაფრით არ გინდა, ცოტა გაისეირნო?

- არა, მემ, - უპასუხა გაუნმა.

- ჯანდაბას ძმისწული! - თქვა მამამ. - მე მამიდამისს უფლებას არ მივცემ...

- ესე იგი, ისევ შენი ცოლის შესახებ ლაპარაკობს? - უთხრა გევინ ბიძიამ. ოღონდ ამ დროს დედაც წამოდგა, ისინი კიდეც ერთიმეორეს მისჩერებოდნენ მაგიდაზე წახრილნი.

- ახლა კი მართლა კმარა, - თქვა დედამ. - ორივემ ბოდიში მომიხადეთ. - იმათ მოუხადეს ბოდიში. - ახლა გაუნსაც მოუხადეთ. - გაუნმა მითხრა, - ბოდიში მეც მომიხადესო.

- ისე, მაინც ჯანდაბას ჩემი თავი, არ მოგცემ უფლებას... - დაიწყო მამამ.

- ამ წუთში არ გთხოვეთ ორივეს ბოდიშის მოხდა? - უთხრა დედამ. - მართლა იმნაირიც რომ იყოს მისის სნოუპსი, როგორსაც შენ ამბობ, და მეც ისეთი თუ ვარ, როგორადაც გევინს და შენ მიგაჩნივართ ორივეს, - ყოველ შემთხვევაში, ამაში მაინც შეთანხმებულებს ჰგავხართ, - რას დამაკლებს ერთ ათ წუთს იმის სასტუმრო ოთახში დახანება? თქვენი უბედურება ისაა, ქალების არაფერი გაგეგებათ. ქალებს ზნეობა არ აინტერესებთ. ქალებს, უზნეობა რო უზნეობაა, ისიც არ აინტერესებთ. ჯეფერსონელი მანდილოსნები იმის გამო კი არ იკლავენ თავს - ეს ქალი რას აკეთებსო. იმას არ აპატიებენ არასოდეს - როგორ გამოიყურება. არა - ჯეფერსონელი კაცები როგორ უყურებენ ხოლმე.

- შენ შენი ძმის ამბავი თქვი, - უთხრა მამამ. - მე ერთხელაც არ შემიხედავს იმ ქალისთვის მის სიცოცხლეში.



- მით უარესი ჩემთვის, - მიუგო დედამ. - ესე იგი, რაღაცა მუდო მყოლია ქმრად. არა, მუდო თბილისისხლიანია, შენ კიდევ, განათხარი თევზი ყოფილხარ და მეტი არაფერი.

- ჯანდაბას ბარემ ჩემი თავი! - თქვა მამამ. - ერთი სიტყვით, ისეთი ქმარი გინდა, არა? ყოველ შაბათს მემფისში რომ დაეთრეოდეს და მთელ ღამეს მალბერი-სტრიტზე (მალბერი-სტრიტი - გასართობი სახლების რაიონი (რედ.)) წრიალებდეს?

- ახლა კი მიბრძანდით-მეთქი, უნდა გთხოვოთ, გაგიხარდებათ თუ არა, სულერთია, - თქვა დედამ. ჯერ გევინ ბიძია გავიდა, თავის ოთახს მიაშურა მეორე სართულზე, დედამ დარეკა და ჩვენი გასტერი იხმო, გაუნი კართან გაჩერდა, დედა და მამა გაატარა, მერე დედა და გაუნი ვერანდაზე გავიდნენ (ოქტომბერი იყო, მაგრამ ისე თბილოდა, დღისით ვერანდაზე ჯდომა შეიძლებოდა), დედამ საკერავს მიჰყო ხელი. ამ დროს უკვე ქუდდახურული მამა გამოვიდა და უთხრა:

- ფლემ სნოუპსის მეუღლე მოსამართლე ლემუელ სტივენსის ასულის კალთას ჩაჭიდებული შემოგოგმანდება ჯეფერსონის საზოგადოებაში, - და ქალაქში წავიდა საყიდლებზე.

ამ დროს გევინ ბიძია გამოვიდა და შეეკითხა:

- აბა, თანახმა ხარ?

- რაღა თქმა უნდა, - უპასუხა დედამ. - ვითომ ასე უბედურადაა საქმე?

- ვეცდები, ისე მოვაგვარო, რომ სულ არ გაუბედურდეს, - უთხრა გევინ ბიძიამ. - ქალი კი ხარ, მაგრამ ხომ გყავს ის ნანახი, ხომ გინახავს?

- ყოველ შემთხვევაში, ის მაინც მინახავს, კაცები როგორ უყურებენ ხოლმე, - მიუგო დედამ.

- ჰო, - თქვა კი არა, ამოიოხრა გევინ ბიძიამ. - ჰო...

- ესე იგი, გადაარჩინო გინდა, არა? - უთხრა დედამ. ოღონდ მისთვის არ შეუხედავს, საკემსავ წინდას არ ამორებდა თვალს.

- ჰო! - სწრაფად, უკვე ამოუოხვრელად უპასუხა გევინ ბიძიამ, ისე ნაჩქარევად აღმოთქვა, კინაღამ ყველაფერი დაყაჭა, სანამ გონს მოეგებოდა, ასე რომ, დედას ისღა დარჩენოდა, მის ნაცვლად თვითონვე დაესრულებინა:

- მანფრედ დე სპეინისგან.

მაგრამ ამასობაში გევინ ბიძია გონს მოეგო და ხმა მკვეთრი გაუხდა.

- შენც იქით გაუტე? შენ და შენმა ქმარმა - ორივემ - საუკეთესო ხალხმა, ყველაზე წმინდა ხალხმა, ყველაზე უცოდველებმა? ჩარლზმაც, თვითონ რომ გვიმტკიცებს - ერთხელაც არ შემიხედავსო; შენც, ისევ ჩარლზი რომ გვიმტკიცებს - მარტო მოსამართლე სტივენსის ასული კი არა, კეისრის ცოლიც არისო.

- მაინც რა... - დაუწყია დედას, მაგრამ მერე შეჩერებულა და გაუნისთვის შემოუხედავს: - არ გინდა, ერთი წუთით გახვიდე? შენი ჭირიმე!

- არა, მემ, - მიუგო გაუნმა.

- ესე იგი, შენც იქით მიერეკები, - უთხრა დედამ. - შენც გინდა, კაცი იყო, ხომ? - მერე ისევ გვეინ ბიძიას მიუბრუნდა: - მაინც რა უფრო გაგულისებს, კაცმა რომ თქვას? ის ამბავი, რომ მისის სნოუპსი არც ისე სათნო აღმოჩნდა, თუ ის, რომ, როგორც ეტყობა, მანფრედ დე სპეინი შეურჩევია თავისი სათნოების შემლახველად?

- ჰო! - თქვა გვეინ ბიძიამ. - უფრო სწორად, არა! ტყუილია ეგ ამბავი, ჭორია. ეგ ყველაფერი...

- კი, მართალი ხარ, - უთხრა დედამ. - ეტყობა, მასეა საქმე. შაბათ დღეს საპარიკმახეროში მოხვედრა ცოტა ძნელია, მაგრამ მაინც შეეცადე მოხვდე, გვერდით რომ ჩაუვლი.

- მადლობელი ვარ, - მიუგო გვეინ ბიძიამ. - ოღონდ თუკი ჯვაროსნულ ლაშქრობას წამოვიწყებ და იმედის რაღაც ნასახი მაინც მექნება, ის აჯობებს, დაუვარცხნელი და გაბურძენილი ვიყო, ასე უფრო დამიჯერებენ. აბა, მიხვალ?

- რალა თქმა უნდა, - მიუგო დედამ.

- მადლობელი ვარ, - თქვა გვეინ ბიძიამ და გავიდა.

- ახლა შეიძლება, მეც წავიდე? - იკითხა გაუნმა.

- ახლა რაღატომ? - უთხრა დედამ. თვალს მიადევნებდა, როგორ გაჰყვა გზაწვრილს გვეინ ბიძია და ქუჩაში გავიდა. - მელისანდრა ბეკუსი უნდა შეერთო, - დასძინა დედამ. მელისანდრა ბეკუსი ქალაქიდან ექვს მილზე გაშენებულ პლანტაციაში ცხოვრობდა ვისკისბოთლიან მამამისთან ერთად. იმის თქმა როდი მინდა - ლოთი იყო-მეთქი მამამისი: არა, გვარიანი მეოჯახე გახლდათ. ოღონდ ის იყო, მთელ თავისუფალ დროს ზაფხულობით ვერანდაზე ატარებდა, ზამთრობით კიდეც, ბიბლიოთეკაში - ვისკის ბოთლი იქვე ედგა და ლათინურ ლექსებს კითხულობდა ნიადაგ. ხოლო მის მელისანდრა სკოლაშიც და კოლეჯშიც დედაჩემთან ერთად სწავლობდა. მოკლედ, მის მელისანდრა მუდამ ოთხი კლასით უმცროსი იყო დედაჩემზე. - ერთი პირობა მეგონა - ასეც იზამს-მეთქი. მაგრამ, ეტყობა, არაფერი გამეგებოდა.

- ვის შეერთო, გვეინს? - იკითხა გაუნმა.

- კი, - უთხრა დედამ. - ჯერჯერობით მეტისმეტად ახალგაზრდაა. ეგ იმნაირი კაცია, მოწიფულშვილებიანი ქვრივების შესართავად რომ არიან ხოლმე განწირულნი.

- ახლაც შეუძლია, მის მელისანდრა შეერთოს, - თქვა გაუნმა.

- ახლა გვიანაა, - თქვა დედამ. - ვეღარც კი ამჩნევს მის მელისანდრას.

- კი, მაგრამ რამდენი მის მელისანდრა ქალაქში ჩამოვა, ყოველთვის ხვდებიან ერთმანეთს.

- შესაძლოა, რამეს უყურებდე და ვერ ხედავდე, ისევე როგორც შესაძლოა, უსმენდე და არ გესმოდეს, - უთხრა დედამ.

- ოღონდ მისი სწოუპსს რომ შეხედა პირველად, მაშინ კი ხედავდა ყველაფერს! - თქვა გაუნმა. - იქნებ იმას უცდის, ლინდას გარდა, კიდევ ერთი ბავშვი როდის ეყოლება და როდის წამოეზრდებიან შვილები?

- არა, არა, - უთხრა დედამ. - სემირამიდას ცოლად არ თხოულობენ, მისი გულისთვის საკუთარ ცხოვრებას ილუპავენ ხოლმე. ამგვარი რისკის გაწევა - სემირამიდას ცოლად მოყვანა - მარტო ისეთ ჯენტლმენებს შეუძლიათ, რომლებსაც დასაკარგავი საერთოდ არაფერი აქვთ, მისტერ ფლემ სწოუპსის არ იყოს. აფსუს, დიდი ბიჭი ხარ უკვე. ამ ორი-სამი წლის წინ ავდგებოდი და სტუმრად წაგიყოლებდი იმ ქალთან. ახლა შენ თვითონ უნდა თქვა სიმართლე, რომ ძალიან გინდა წამოსვლა, იქნებ შემეხვეწო კიდევ - წამოგყვებითო.

მაგრამ გაუნი აღარ შეხვეწნია. იმ შაბათ საღამოს ფეხბურთის მატჩი იყო დანიშნული და, თუმცა გაუნი პირველ გუნდში ჯერაც არ მიეღოთ, წინასწარ არაფრის თქმა არ შეიძლებოდა, - იქნებ ვინმეს ფეხი მოეტეხა, ან უცებ ავად გამხდარიყო, ანდა იქნებ სულაც, მოთამაშე არ ჰყოფნოდათ. გარდა ამისა, დედაჩემს დამხმარე აღარც დასჭირვებია, ისედაც მთელი ქალაქი ეხმარებოდა: მეორე დილას ეკლესიისკენ მიმავალნი, მოედნამდევ არ ვიყავითო მისულნი, მიაშბო გაუნმა, პირველივე გზად შემოყრილი ქალი მხიარულად შეგვეხმინა - წუხანდელი ამბავი უკვე გავიგეო.

- რას მეუბნებით? - შეეხალისა თურმე იმ ქალს დედაჩემიც.

გზად შეხვედრილ მეორე მანდილოსანს (ბაირონის წრისა და კოტილიონის კლუბის წევრს) უთქვამს:

- სულ იმას კი ვამბობდი - რამდენად უფრო გაგვიადვილდებოდა ცხოვრება, მარტო იმას რომ ვიჯერებდეთ, და იმასაც მთლად არ ვენდობოდეთ, რასაც საკუთარი თვალით ვიხილავთ-მეთქი.

- რას მეუბნებით? - ამ მანდილოსანსაც ისევე შეეხალისებია დედაჩემი.

ბაირონის წრე და კოტილიონის კლუბი - ორივე ერთადაც და ცალ-ცალკეც - ყველაფრის საზომად იყო მიჩნეული. ბიძია გევინიც შეეშვა სწოუპსებზე ლაპარაკს. ესე იგი, გაუნის ნათქვამის მიხედვით, თითქმის საერთოდაც აღიკვეთა ლაპარაკი. საიმისოდ აღარც ეცალა თითქოს, რომ აზრი მოეკრიბა და ლაპარაკი საუბრად, ხელოვნებად ექცია, - ეს კი ყოველი კაცის მოვალეობად მიაჩნდა. საიმისოდ აღარც ეცალა თითქოს, რომ რაიმე მოემოქმედა, და იმასლა ელოდებოდა, თავისით როდის მოხდებოდა რაიმე, ვითომ ლოდინი ერთადერთი საშუალება ყოფილიყოს იმ რაიმეს თავისით მოსახდენად. უფრო მეტიც, კი არ ელოდებოდა მხოლოდ, არამცთუ შემთხვევას არ გაუშვებდა ხელიდან, რითიმე მიშველებოდა დედაჩემს, ათასგვარ წვრილ-წვრილ საქმესაც იგონებდა სამისოდ, ასე რომ, თვითამრახების დროსაც თითქოს ორი კურდღლის ერთად დაჭერას აპირებდა ამით.

საამდროოდ ფიცხად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკი დასჩემებია. მისი სიტყვები ხშირად აღარაფრით უკავშირდებოდა იმას, რასაც დედაჩემი, მამა და ბაბუა ამბობდნენ წამის წინ; ჩვეულებისამებრ, უბრალოდ კი აღარ ააკაკანებდა ხოლმე თავის ტყვიამფრქვევს (როგორც თვითონვე იცოდა თქმა), მოუზომველ ქება-დიდებას გადმოაფრქვევდა

უცრად, იმდენად გადაჭარბებულს, რომ ცამეტი წლის გაუნიც კი ხვდებოდა – ნამეტანიაო. ეს ქება-დიდება რომელსამე ჯეფერსონელ ქალს მიემართებოდა, ვინმე იმათგანს, ვისაც თვითონ გვეინ ბიძიაც და დედაჩემიც მთელი სიცოცხლე ისედაც იცნობდნენ, ასე რომ, ყოველ მათგანთან მათი დამოკიდებულება, მათი შეხედულება დიდზე დიდი ხნის წინ იყო ცნობილი. და მაინც, მთელ თვეს, ყოველ სამ-ოთხ დღეში ერთხელ, სუფრას მიმჯდარი გვეინ ბიძია უცებ შეწყვეტდა გულმოდგინე ლექვას და, რასაც უნდა შეხებოდა პაპაჩემის, დედასა და მამას საუბარი, ამ საუბარში, ასე რომ ვთქვათ, ლამის თმით ჩაითრევდა ხოლმე მორიგ მანდილოსანს: თანაც ბაბუას კი არ მიმართავდა, არც მამაჩემს და გაუნს, უშუალოდ დედას ამცნობდა, თუ რაოდენ გულკეთილი იყო, ან რაოდენ ლამაზი, ან – გონიერი, ან კიდევ – თავშესაქცევი ერთი იმ ქალთაგანი, რომელსაც დედაჩემი ისედაც შეზრდოდა თითქმის.

დიახ, დიახ, ის მანდილოსნები ყველანი ბაირონის წრისა და კოტილიონის კლუბის ან ერთ-ერთი მათგანის წევრები იყვნენ (მარტო დედამ იცოდა ალბათ, რომ გვეინ ბიძია ცდილობდა, მაინცდამაინც კოტილიონის კლუბი დაენარჩუნებინა), და ჩვენიანები უმალ ხვდებოდნენ, რომ კიდევ ერთი მათგანი სწვეოდა ვიზიტით მისის ფლემ სნოუპსს. ოღონდ გაუნი ბოლოს და ბოლოს გაკვირდა – ყოველთვის რანაირად იგებს გვეინ ბიძია მავანი და მავანი მანდილოსნის ვიზიტის ამბავს, როგორ ამოშლის ხოლმე იმათი სიიდან, ვინც ჯერაც არ არის იქ ნამყოფი, ან იმათ სიაში როგორ შეაქვს, ვინც ნამყოფია, ერთი სიტყვით, სათვალავს როგორ უძღვებაო? ჰოდა, გაუნმა დაასკვნა – იქნებ მისის სნოუპსის სახლს უთვალთვალეზო ბიძია გვეინი. არადა, ნოემბერი იყო, მშვენიერი სანადირო ამინდი იდგა და, რაკი გაუნი ფეხბურთის გუნდს უკვე ჩამოხსნოდა, მასა და ტაპს (ტაპი ალექ სენდერის უფროსი ძმა გახლდათ, ოღონდ, ჩემი არ იყოს, იმხანად არც ალექ სენდერი ყოფილა დაბადებული. მე იმის თქმა მინდა, ტაპიც ჩვენი გასტერის ვაჟი იყო-მეთქი, და, რადგან გასტერის ქმარსაც ტაპი ერქვა, მამას – უფროს ტაპს, ხოლო ვაჟიშვილს – უმცროს ტაპს ეძახდნენ) სკოლის მერე ყოველდღე შეეძლოთ ეკურდლავათ გვეინ ბიძიას ნაჩუქარი ტერიერებით. მაგრამ, ნაცვლად ამისა, გაუნი თითქმის მთელი კვირა ყოველ საღამოს მისტერ სნოუპსის სახლის უკან ხევში იყო ჩასაფრებული და იმ სახლს კი არ ზვერადა, იმაზე ეჭირა თვალი – გვეინ ბიძია ხომ არ არის სადმე ჩამალული, რათა უთვალთვალოს, ამჯერად რომელი მანდილოსანი ეწვევაო ვიზიტით მისის სნოუპსს. რადგან იმხანად გაუნი ცამეტი წლის იყო, მეტის კი არა, და მარტოდენ გვეინ ბიძიას უთვალთვალეზა; შემდეგში, დიდი ხნის მერეა მოუსაზრებია – ცოტა მეტხანს რომ ვმჯდარიყავი ხოლმე იმ ხევში და უკეთაც მედარაჯა, მისტერ დე სპეინსაც შევისწრებდი და დავინახავდი – უკანა ფანჯარაში როგორ მიძვრება ან გარეთ როგორ მოფორთხავსო; ხომ მთელი ჯეფერსონი გულდაჯერებული იყო – ასე ხდებოდა ეს ამბავი, ასე რომ, გაუნს ისეთი რამე ეცოდინებოდა, რისთვისაც ბევრ ჯეფერსონელს აართმევდა თითო-ოროლა დოლარს.

ოღონდ, თუკი გვეინ ბიძია მართლა იმალებოდა იმ ხევში, გაუნმა მაინც ვერც ერთხელ ვერ შეისწრო. მეტიც: გვეინ ბიძიასაც არც ერთხელ არ შეუსწრია გაუნი იქ. რადგან დედაჩემს ოდესმე რომ შეეტყო – გაუნი მისტერ სნოუპსის სახლის უკან ხევში იმალება იმის მოვარაუდე, რომ გვეინ ბიძიაც იქ იმალებოდა, მაშინ, გაუნის თქმის არ იყოს, იმას ვერ იტყოდი, გვეინ ბიძიას რა დღეს დააყრიდა, მაგრამ გაუნს რასაც დამართებდა, ამის მიხვედრა კი შეიძლებოდა. იქნებ უარესიც მომხდარიყო: ერთიც ვნახოთ და, მისტერ სნოუპსს შეეტყო – გაუნს იმის ეჭვი აქვს, რომ გვეინ ბიძია ხევში იმალება და მის სახლს უთვალთვალეზო. ან ამაზე უარესიც: ერთიც ვნახოთ და, მთელ ქალაქს შეეტყო – გაუნი ხევში იმალება, რადგან ეჭვი აუღია – გვეინ ბიძია იქ იმალებოდა.

მაგრამ როცა კაცი ცამეტი წლისაა და მეტის არა, თვითონაც ვერ ხვდება ხოლმე, რასაც აკეთებს, და მაშინ არც არაფრის ეშინია. დღემდე მაგონდება, რას არ ვაკეთებდით მე და ალექსენდერი ასევე მიუმხვდარად, და დღემდე მიკვირს - საერთოდ როგორ აღწევინ-მეთქი პატარა ბიჭები მოწიფულობის ასაკამდე ცოცხალნი. მახსოვს, თორმეტის გავხდი. ის-ის იყო, გვეინ ბიძიამ თოფი მაჩუქა; ეს უკვე მას შემდეგ ხდებოდა (მამაჩემის განმარტებისამებრ), რაც მისის სნოუპსმა გვეინ ბიძია იძულებული გახადა, ჰაიდელბერგში დაესრულებინა განათლების მიღება; მერე გვეინ ბიძია ომშიც იყო, მერე დაბრუნდა კიდეც და მისთვის ზედგამოჭრილი ადგილიც უბოძეს - ოლქის პროკურორად აირჩიეს. ჰოდა, ერთ შაბათს ხუთნი წავედით საკურდღლაოდ - მე, სამი თეთრკანიანი ბიჭი და ალექსენდერი კიდეც. ციოდა, ასეთ სუსხიან ამინდს ჯერ არ მოვსწრებოდით. ხერიკენ-კრიკს რომ მივატანეთ, დავინახეთ, რომ რუ სულ ერთიანად ყინულით დაფარულიყო, და ბჭობა შეგვექნა - ვინ რამდენად დაახტებოდა ყინულს. ალექსენდერმა გვითხრა - ოთხივენი თითო-თითო დოლარს თუ მომცემთ, დავახტებო. ჩვენ დავყაბულდით და მაშინვე, ვიდრე მის შეჩერებას მოვასწრებდით, ალექსენდერი, როგორც იყო ჩაცმული, ისევე წამოვარდა და ყინულით გადაფარულ რუში ისკუპა.

ამოვართიეთ წყლიდან, სანამ ტანზე იხდიდა, ცეცხლი დავანთეთ, ჩვენ-ჩვენს სამონადირო კურტაკებში შევფუთნეთ და მისი ტანისამოსის შრობას შევუდექით, რათა სამოსი არ შეყინულიყო, ბოლოს ისევ ჩავაცვიტეთ და ამ დროს გვითხრა - კარგი, ახლა დოლარ-დოლარი მომეცითო.

ამაზე აღარ გვიფიქრია. იმ დროს მისისიპის შტატის ქალაქ ჯეფერსონში, და, საერთოდ, მთელ მისისიპის შტატშიც, არც ერთ ჩემს ნაცნობ ბიჭს დოლარიანი არასოდეს ჰქონია, ჰოდა, ოთხი ბიჭიდან ოთხივეს ერთბაშად რომ ჰქონოდა თითოს თითო დოლარი, ამის წარმოდგენაც არ შეიძლებოდა. ასე რომ, სავაჭროდ შეგვექნა საქმე. ჯერ ბაკ კონნორსი მოურიგდა: ალექსენდერმა უთხრა - შენც თუ დაახტებო ყინულს, დოლარი მიპატიებიაო. ბაკი დაახტა და, სანამ იმას ვაშრობდით, მე ვთქვი:

- რაკი დახტომა გვიწევს, მოდი, ყველანი ერთად დავახტეთ და მოვათაოთ ეს ამბავი.

ის იყო, დავიძარით კიდეც რუსკენ, რომ ალექსენდერი აყვირდა - თეთრკანიან ბიჭებს ჩემი გასულელება გინდათ, ზანგი რომ ვარ, იმიტომო, რაც მე გავაკეთე, იმის გაკეთებით აპირებთ, დოლარ-დოლარი შეირჩინოთო. ისევ ვაჭრობა მოგვიხდა. მომდევნო ეშლი ჰოლკომი იყო. ეშლი ხეზე აძვრა და, როცა ალექსენდერმა უთხრა - გეყოფა ასვლაო, თვალდახუჭული გადმოხტა და ალექსენდერმა დოლარი აპატია. მერე ჩემი ჯერი დადგა და ვილაცამ თქვა - რადგან ალექსის დედა ამათი მზარეულია და ეს და ალექსი დაბადებიდან შეზრდილები არიან, ალექსენდერი სულ უბრალო რამეს გააკეთებინებსო. მაგრამ ალექსენდერმა თქვა - არა, მაგაზე მეც ვიფიქრე და სწორედ ამიტომ ამას ეშლიზე მეტი უნდა მოვთხოვო, და ზედ ასკილის ბუჩქებზე გადმომდგარი ხე შეარჩია საჩემოდ. რაღა თქმა უნდა, გადმოვეშვი; ისე მომეჩვენა, ქარ-ცეცხლში ჩავხტი-მეთქი, ხელები და სახე დამეკაწრა, შარვალი დამეხა. ოღონდ სამონადირეო კურტაკი ახალთახალი მეცვა, მტკიცედ ნაკერი (გვეინ ბიძიას გერმანიიდან გამოუგზავნია, როგორც კი ჩემი დაბადების მაუწყებელი დეპეშა მისვლია დედასგან; ჰოდა, როცა იმდენად წამოვიზარდე, რომ მისი მორგება შევძელი, ყველანი ამბობდნენ - ამაზე ლამაზი კურტაკი მთელ ჯეფერსონში არ მოიძებნებო), ასე რომ, კურტაკი ძალიან არც დაფხრეწილა, ჯიბე აეხა მხოლოდ. დარჩა ჯონ უესლი რობეკი და ამასობაში ალექსენდერმა, ეტყობა, მოისაზრა - უკანასკნელი დოლარიც ხელიდან

მეცლებათ; რადგან, რას არ აღუთქვამდა უესლი, მაგრამ ალექი არაფრით არ თანხმდებოდა. ბოლოს უესლიმ შესთავაზა: რიგრიგობით ყველაფერს თავიდან გავაკეთებ - ჯერ ყინულს დავახტები, მერე ორივე იმ ხიდან ცალ-ცალკე გადმოვშვებო, მაგრამ ალექი მაინც უარზე იყო. საბოლოოდ ერთ რამეზე მორიგდნენ, თუმცა ამგვარი გარიგება ალექ სენდერის მიმართ რადაცნაირად, უსამართლობა გამოდიოდა, რადგან ამ ორი წლის წინ ჯონ უესლის იმ ბერიკაცმა - ებ სნოუქსმაც მიაყოლა ზურგში საფანტი, ასე რომ, ჯონ უესლისთვის ეს ამბავი პირველი არ ყოფილა, - იქნებ ამიტომაც დაჰყაბულდა ასეთ პირობას. მორიგებით კიდევ ამნაირად მორიგდნენ: ჯონ უესლიმ ჩემი სამონადირო კურტაკი აიღო და თავისაზე მოიცვა, რადგან უკვე მიხვედრილი ვიყავით, რომ ჩემი კურტაკი ყველაზე გამძლე იყო, მერე ეშლის სვიტერი გამოართვა და თავ-კისერი დაიბურა, ჩვენ ოცდახუთი ნაბიჯი გადავთვალეთ, ალექ სენდერმა თავისი თოფი ცალი ტყვიით გატენა, და ვიღაცამ, იქნებ მე ვიყავი სულაც, ძალიან ნელა დაიწყო თვლა - ერთი, ორი, სამი; და როცა იმ ვიღაცამ - ერთიო, ჯონ უესლიმ მოკურცხლა, ჰოდა, - სამიო, იმ ვიღაცამ როცა თქვა, ალექ სენდერმა ჯონ უესლის ზურგში ესროლა; მერე ჯონ უესლიმ მე და ეშლის კურტაკი და სვიტერი დაგვიბრუნა და ჩვენც (უკვე გვიანი იყო) შინისკენ გავწიეთ. ოღონდ მე მთელი გზის სირბილ-სირბილით გავლა მომიხდა, რადგან იმნაირი სიცივე მანამდე არასოდეს დაეჭირა ჩვენს მხარეში, ხოლო ჩემი სამონადირო კურტაკი დასაწვავი შეგვექნა: იმის თქმა უფრო ადვილი იყო - კურტაკი დაკვარგე-მეთქი, ვიდრე იმის განმარტება, თუ რატომ იყო იმ კურტაკის ზურგი ექვსი ნომერი საფანტით დაცხრილული ერთიანად.

მერე ისიც შევიტყვეთ, საიდან იგებდა გვეინ ბიძია, თუ რომელი მანდილოსანი ეწვეოდა ხოლმე ვიზიტით მისის სნოუქსს. თურმე მის ნაცვლად მამაჩემი აღრიცხავდა ამ ამბავს. იმის თქმა როდი მინდა - მამაჩემი გვეინ ბიძიასთან მსტოვრობდა-მეთქი. ყველაზე ნაკლებად გვეინ ბიძიასთვის დახმარების გაწევა, მისთვის მხარში ამოდგომა ეხალისებოდა. გვეინ ბიძიაზე მეტად ალბათ დედაზე იყო გამწყრალი იმ პირველ დღეს, დედამ მისის სნოუქსის ნახვა რომ დააპირა; გეგონებოდათ, ის უნდა, რომ ორივეს გადაუხადოსო - დედასაც და გვეინ ბიძიასაც: გვეინ ბიძიას იმის გამო, რომ მისის სნოუქსთან დედას შევლა მისი მოფიქრებულიაო, დედას კიდევ იმის გამო, რომ აქვე, გვეინ ბიძიას და გაუნის გასაგონად ხმამაღლა თქვა - სტუმრობითაც ვესტუმრები და ეს ამბავი დასაძრახიც არაფრით იქნებაო. სიმართლე რომ თქვას კაცმა, როგორც გაუნმა მიაჩნო, მამაჩემი გაცილებით მეტს ფიქრობდა თურმე მისის სნოუქსზე, ვიდრე გვეინ ბიძია. საკმარისი იყო ხელების ფშვნეცხით ოთახში შემოსულ მამას ეთქვა: „ფუი, დაგწყევლის ღმერთი!“ - ან კიდევ რამე ამდაგვარი: „იღბალი არ გინდა?“ - უკვე ყველამ ვიცოდით, რომ ან ის-ის იყო, მისის სნოუქსს გადაჰყროდა ქუჩაში, ან ამბად შეეტყო - კოტილიონის კლუბის კიდევ ერთი მანდილოსანი ეწვიაო ვიზიტით მისის სნოუქსს.

ბოლოს დეკემბერიც დადგა; ის იყო, დედამ გვიამბო - კოტილიონის კლუბმა ერთხმად გადაწყვიტა, საშობაო მეჯლისზე მისტერ და მისის სნოუქსებს მოსაწვევები გავუგზავნოთო, ბაბუაც უკვე წამოდგა, ხელსახოციმაგიდაზე დადო და თქვა: „მადლობელი ვარ სადილისთვის, მარგარეტ“, და გაუნმაც კარი გაუღო ბაბუას, რომ ამ დროს მამაჩემმა თქვა:

- ცეკვებზე იწვევთ? მერე, რომ არ ეცოდინოს ცეკვა? - და გაუნმა თქვა:

- რად უნდა იმას ცეკვის ცოდნა? - და სიჩუმე ჩამოვარდა; გაუნმა მიაჩნო - ყველანი ერთხმად გაყურდნენ და მე შემომამჩერდნენო; ისიც მითხრა - თუმცა დედაშენი და გვეინ ბიძია და-ძმად მოუდიან ერთიმეორეს, მაინც ერთი ქალია, მეორე - მამაკაცი,

ჰოდა, მამაშენი იმათი სისხლისმიერი ნათესავი არც არის, ოღონდ სამივეს ზუსტად ერთი და იგივე გამომეტყველება აღბეჭდოდა სახეზე, როცა შემომყურებდნენო. მერე მამას უთქვამს დედაჩემისთვის:

- აბა, ერთი, აღვირით დაიჭირე, კბილებს გავუსინჯავ, შენ არ ამზობდი - ცამეტისაა, მეტის არაო?

- რა ვთქვი ისეთი? - უკითხავს გაუნს.

- ჰო, რას ვამზობდით? - განაგრძო მამაჩემმა. - ჰო, ცეკვებიო, საშობაო მეჯლისიო. - ახლა გვეინ ბიძიას მიმართავდა: - კაცი არ ვიყო, მანფრედ დე სპეინი უკან თუ არ გყავდეს მოტოვებული უკვე. ერთი საცოდავი ობოლი ბიჭია, არც ცოლი ჰყავს, არც ტყუპისცალი დაი, ჯეფერსონის ყველა ლიტერატურული და სნობისტური კლუბის დამფუძნებელი; ჰოდა, ფლემ სნოუპსის ცოლთან ის თუ შეუძლია, რომ... - ამ სიტყვებამდეო, მიაშო გაუნმა, დედაშენი გვეინ ბიძიასა და მამაშენს შორის იყო ჩამდგარი, ორივესთვის მკერდზე ხელი ჰქონდა მიბჯენილი, რათა ერთიმეორეზე არ მიეშვაო. მაგრამ ამ სიტყვებზე ორივენი - დედაც და გვეინ ბიძიაც - მამასკენ შებრუნებულან, დედაჩემს ცალი ხელით მამასთვის პირი დაუმუწავს, მეორით იმას ცდილობდა თურმე, გაუნისთვის ყურები დაეცო; მერე დედასაც და გვეინ ბიძიასაც ერთი და იგივე ამოუძახიათ, ოღონდ გვეინ ბიძიას დედასნაირად არ უთქვამს თავისი სათქმელი:

- არ გაბედო, გესმის?

- თქვი, აბა, თქვი!

მამას ხმა აღარ ამოუღია. ოღონდ წინასწარ მამაც ვერ მიმხვდარა, კიდევ რა ჰქონდა გულში ამოჭრილი მის ცოლისძმას: გვეინ ბიძია იმას ცდილობდა თურმე, დედაჩემი დაეყოლიებინა - კოტილიონის კლუბი იმ საშობაო მეჯლისზე მანფრედ დე სპეინს სულაც ნუ მოიწვევსო.

- არ იქნება ეგ, დასწყევლოს ღმერთმა! - უთქვამს მამას.

- ვითომ რატომ არა? - შეეკითხა დედა.

- მანფრედ დე სპეინი ქალაქის მერია, - უთხრა მამამ.

- ქალაქის მერი ხალხის მსახურია, - თქვა დედამ. - რაღა თქმა უნდა, მთავარი მსახურია, მაჟორდომი. მაგრამ მაჟორდომს იმის გამო არავინ სტუმრად არ ეპატიჟება, მაჟორდომი რომაა. სტუმრად ამისდა მიუხედავად იწვევენ ხოლმე.

მაგრამ მერმა დე სპეინმა მიწვევა მაინც მიიღო. იქნებ დედამ, გვეინ ბიძიას სურვილის საწინააღმდეგოდ, ეს მიწვევა სწორედ იმ მიზეზის გამო არ გააუქმა, მამასთან საუბრისას რომ ახსენა, განმარტა და დააზუსტა კიდევ: მე და ჩემი კოტილიონის კლუბი სულაც არ ვართ ვალდებულნი, მანფრედ დე სპეინი მოვიწვიოთ იმის გამო, რომ ქალაქის მერი არისო; ჰოდა, ეს რომ დაემტკიცებინათ, ადგნენ და მიიწვიეს ქალაქის მერი. მარტო მამაჩემი იყო, ეს მიზეზი რომ არ ირწმუნა:

- არა, მე ვერ გამაბრიყვებთ, თვალში ნაცარს ვერ შემომაყრით. თქვენ სკანდალი გინდათ, ნეტავი რამე მოხდესო, იმას ნატრობთ. შფოთი გიყვართ. თქვენ ის გინდათ,

ეს ორი მამლაყინწა ერთიმეორეს ემიძგილავს თქვენ გამო - დედლების გამო. სადაც გინდა, იქ შერეავთ, ოღონდ კი ერთმა სისხლი ადინოს მეორეს; იმიტომ, რომ სისხლის ყოველი წვეთი, ყოველი ამოღურჯებული თვალი, ანდა ყველას დასანახავად გადაფხრეწილი საყელო, ტანსაცმლის ნაფლეთი და ლაფში ამოსვრილი შარვალი თქვენთვის იგივეა, რაც ხელახალი გულის მოფხანა მამაკაცთა მოდგმაზე, რომელსაც დამონებული ჰყავხართ, დღედაღამ ტყვედ გამომწყვდეული, ჰოდა, იმის მეტი აღარაფერი გაქვთ საქმე, რომ ის მამაკაცები დააპუროთ და დროდადრო ტელეფონით იჭორაოთ. რომც არ არსებულებოთ კლუბი, სადაც ორი კვირის მერე მეჯლისის მოწყობა შეიძლებოდა, კაცობას ვფიცავ, ახალს ჩამოაყალიბებდით, ოღონდ კი მისის სნოუპსი მიგეწვიათ გვერდს სტივენსთან და მანფრედ დე სპეინთან ერთად. თუმცა ამჯერად ტყუილუბრალოდ ფლანგავთ დროსაც და ფულსაც - გვერდის ჩხუბის ატეხას თავს ვერ მოაბამს.

- გვერდის ჯენტლმენია, - თქვა დედამ.

- აბა, რა, - მიუგო მამამ. - არ უნდა-მეთქი, იმას კი არ ვამბობ, როგორ ატეხოს, ის არ იცის. არა, არ სინჯავსო, ვერც ამას იტყვი კაცი. რისიც ძალა შესწევს, ყველაფერს შეეცდება. ისე, ვერ შეძლებს, იმნაირი დაკა-დაკა წამოიწყოს, რომ მანფრედ დე სპეინსთან კაცი ჩაითრიოს ამ ამბავში.

მაგრამ მისტერ დე სპეინმა რაც გაეწყობოდა, ყველაფერი მოიმოქმედა საიმისოდ, რათა გვერდის ბიძიასთვის ესწავლებინა, თუ როგორ უნდა ჩხუბის ატეხა. ეს ამბავი იმ დღეს წამოიწყო, როცა მოსაწვევები დაგზავნეს და დე სპეინსაც მიუვიდა. მანამდე, ადრე, თავისი წითელი სამარულო ავტომობილი როცა შეიძინა, უპირველეს ყოვლისა ის გააკეთა, რომ სირენა დაუყენა ავტომობილს, და მერად მისი არჩევის დღემდე, იმ სირენის ხმა აყრუებდა მთელ ქალაქს. ამის შემდეგ ცოტა ხანში ლიუშუს ჰოგენბეკმა ვიღაც დაიყოლია (ვგონებ, მისტერ როტ ედმონდსი, ანდა იქნებ მისტერ დე სპეინიც, რადგან ლიუშუსის მამა - ბუნ ჰოგენბეკი ჯერ კიდევ იმ დროს, როცა მაიორი დე სპეინი სანადირო ადგილებს ფლობდა, ამ მაიორ დე სპეინს, აგრეთვე მისტერ როტის მამას - ედმონდს მაკკაზლინს და ბიძამისს - აიკ მაკკაზლინს ემსახურებოდა, რადგან კურძვალის - მეძაღლის - ერთგული პარასკევას მაგივრობას უწევდა), ნახმარი პიკაპის საყიდლად თამასუქი აწყალობებინა და ტვირთის გადაზიდვას თუ ხალხის გადაყვანა-გადმოყვანას მიჰყო ხელი. სირენა ამასაც ეყენა ავტომობილზე. ჰოდა, კვირაობით, ნასადილევის, ჯეფერსონელ მამაკაცთა ნახევარი თავ-თავიანთ ცოლებს გამოეპარებოდა ხოლმე შინიდან, გზის სწორ მონაკვეთზე იყრიდნენ თავს, ქალაქიდან, ასე, ორ მილზე (თუმცა ხმაური უფრო შორიდანაც ისმოდა, როცა იმ მხრიდან უბერავდა ქარი), და იქ მისტერ დე სპეინი და ლიუშუსი ეჯიბრებოდნენ ერთიმეორეს. ამ მარულაში მონაწილეობისთვის ლიუშუსი ყოველ მგზავრს თითო ნიკელს ართმევდა, ხოლო მისტერ დე სპეინი უფასოდ სვამდა ყველას.

და უცებ პირველი, რაც მისტერ დე სპეინმა მოიმოქმედა მერად არჩევის შემდეგ, ის იყო, რომ ბრძანება გამოსცა - ქალაქის ფარგლებში სირენის აყვრება აკრძალულიაო. ასე რომ, მრავალ წელიწადს ჩაევილო უკვე, რაც სირენის ხმა აღარავის გაეგონა. და უცერად, ერთ დილას, სწორედ ის ხმა შემოგვესმა. უკეთ, ჩვენებს შემოესმათ, - ბაბუას, დედას, მამას, გვერდის ბიძიას და გაუნს, - რადგან სირენა ზედ ჩვენი ფანჯრების ძირში აკვილებულა დილაადრიანად. გაუნს მაშინვე, ფანჯარაში გადახედვამდე უცვნია, ვისიც იყო ის მანქანა: ერთი რომ ლიუშუსის მანქანა სულ სხვაგვარად ხმიანებდა, და, გარდა ამისა, თუ ქალაქის მერსარა, სხვას ვის უნდა გაეგონა კანონად ქცეული ბრძანებულების დარღვევა? ის იყო, რაღა თქმა უნდა:



წითელი მანქანა კუთხეს მიჰფარებია და სირენაც მაშინვე ჩაჩუმებულა, როგორც კი ჩვენს სახლს გასცილდა თურმე. ჰოდა, გვეინ ბიძია იჯდა თავისთვის და საუზმეს შეექცეოდა, ვითომც არაფერი მომხდარიყოს.

შუადღისას სკოლიდან მობრუნებულმა გაუნმა ჩვენი სახლისკენ რომ შემოუხვია, ისევ მოესმა სირენის ხმა: მისტერ დე სპეინს რამდენიმე კვარტალით გაეგრძელებინა გზა, ოღონდ კი ჩვენი სახლის წინ მეორე სიჩქარით ჩაეველო სირენაკვივლებულს. და ამის შემდეგაც, დედა, მამა, გვეინ ბიძია და გაუნი სადილობას რომ უნდა მორჩენილიყვნენ; ჰოდა, დედაჩემი ქვადეცეულივით იჯდა და არსაით იყურებოდა, მამა გვეინ ბიძიას უმზერდა, გვეინ ბიძია კი იჯდა და კოვზით ყავას ურევდა, თითქოს ფინჯანში კოვზის წკარუნის გარდა მთელ ქვეყნიერებაზე სხვა რამე ხმაური არც არსებულებოდა.

და ერთხელ კიდევ, ასე, ექვსის ნახევარზე, შებინდებისას, როცა მედუქნეებიც, ექიმებიც, ადვოკატებიც, მერებიც, საერთოდ, მთელი ის ხალხი შინისკენ მიემშრებოდა, რათა გუნებებრად ევახშმა და ხვალ დილამდე სახლიდან ფეხი აღარ გამოედგა; ამჯერად გაუნმა იმასაც კი მოატანა თვალი, რომ, როდესაც დე სპეინმა სახლს ჩაუქროლა, გვეინ ბიძია სირენის ხმას აყურადებდა. უკეთ, გვეინ ბიძია ამჯერად აღარავის უმაღავდა, რომ ესმოდა იმ სირენის კვილი: თავი აუღია და ისე სჭერია გაზეთი ხელში, ვიდრე სირენა ხმიანებდა და მერე ჩაჩუმდა, როცა დე სპეინი ჩვენს სახლს გასცილდა და პედალს ფეხი მოაშორა; გვეინ ბიძიასაც აუღია თავი და ბაბუასაც, როცა მანქანამ ჩაიქროლა, ოღონდ ამჯერად ბაბუა ოდნავ შეჭმუხნილა, ხოლო გვეინ ბიძიას არაფერი დასტყობია, ისე იჯდა და იცდიდა უშფოთველად. და გაუნს თითქოს ესმოდა კიდევ მისი ნათქვამი: მორჩა და გათავდა. მეოთხედაც ხომ უნდა ჩამოეველო, ისე ვერ მოხვდებოდა თავისი სახლის გზაზე.

და მართლაც, მეტი აღარაფერი გაუგონიათ აღარც ვახშმობისას, აღარც ნავახშმევს, როცა ყველანი გავიდნენ კაბინეტში, სადაც დედაჩემი საქანაო სავარძელში მოკალათდებოდა და ნიადაგ კერავდა რაღაცას (მეტწილად გაუნის წინდებს კემსავდა), მამა და ბაბუა კიდევ, საწერ მაგიდასთან ჭადრაკს მიუსხდებოდნენ ხოლმე; ზოგჯერ გვეინ ბიძიაც შემოვიდოდა წიგნით ხელში, თუკი იმის ცდაში არ იყო, რომ, რაღაც უნდა დასჯდომოდა, დედასთვის ჭადრაკი ესწავლებინა, რაც მანამდე გრძელდებოდა, ვიდრე მე დავიბადე და იმხელა შევიქენი, რომ მე შემომჩენოდა.

ის დროც მოვიდა, როცა კინოში წამსვლელი ხალხი კინოსკენ გაემართა, სხვანი კიდევ, ნავახშმევს შინიდან გამოვიდნენ, ქალაქის ცენტრში ჩაიარეს, რათა კრისტიანის საკონდიტროში ჩამომსხდარიყვნენ, ან კომივოიაჟორებს გამოლაპარაკებოდნენ სასტუმროს ჰოლში, ანდა სულაც საყავეში შეეველოთ თითო ფინჯანი ყავის დასალევად; ყველას შეეძლო ეფიქრა – ბიძია გვეინს მეტი აღარაფერი ემუქრებოდა. მაგრამ ამჯერად მამამ კი არა, თავად ბაბუამ აიღო თავი და თქვა:

- რას ჰგავს ეს! დღეს მეორედაა უკვე!
- არა, მეხუთედ, - მამაჩემმა უთხრა. - ეტყობა, ფეხი აუცდა.
- რა ქნაო? - იკითხა ბაბუამ.
- მუხრუჭზე უნდოდა დაეჭირა, რომ ჩვენს სახლთან წყნარად ჩაეველო, - უპასუხა მამამ. - მაგრამ, ეტყობა, ფეხი აუცდა და მუხრუჭის მაგივრად სირენის პედალს დააჭირა.

- ადექი, კონნორსს დაურეკე, - უთხრა ბაბუამ, მისტერ ბაკ კონნორსს გულისხმობდა.  
- ვერ მოვითმენ ამას.

- ეგ გევინის საქმეა, - მიუგო მამაჩემმა. - როცა თქვენ ჭადრაკის თამაშით ხართ დაკავებული, ქალაქის მთავარ იურიდიულ ხელისუფლებას გევინი წარმოადგენს. პოლიციის უფროსსაც გევინი უნდა შეეხმებოდეს. ანდა, ის აჯობებს, ქალაქის მერს თუ დაელაპარაკება. მართლაც არ ვამბობ, გევინ? - და გაუნმა მითხრა: ყველამ გევინ ბიძიას შეხედა, მე კიდევ, შემრცხვა, გევინ ბიძიას გამო კი არა, სხვა ჩვენთანების, დანარჩენთა გულისთვის შემრცხვაო. ისეთივე გრძნობა მქონდა, როგორც იმის შემხედვარეს გიჩნდება, როცა კაცს შარვალი სძვრება, ხელები კი დაკავებული აქვს - სახურავს იმაგრებს, რათა თავზე არ ჩამოემხოსო. ეცოდებოდა კიდევ, ეცინებოდა, რცხვენოდა, მაგრამარც იმის შეუმჩნევლობა იქნებოდა, რომ გევინ ბიძიას უცებ, მოულოდნელად სახის სიშიშვლის დაფარვა მოუხდა, როცა ერთბაშად აკივლდა ის სირენა და მანქანამ წელი სვლით ხელახლა ჩაუარა ჩვენს სახლს, თუმცა უკვე ყველას შეეძლო ეფიქრა - წედან, ვახშობისას უკანასკნელად ჩაგვიარა, ხვალამდე მაინც მეტი აღარ უნდა გაჭაჭანდესო. და ამ დროს იკვილა სირენამ, გინდაც ვინმე ახარხარებულიყოს, და ასე მიხარხარებდა, ვიდრე ქუჩის კუთხეში არ შეუხვია, იმ ადგილას, სადაც მისტერ დე სპეინი ყოველთვის ფეხს იღებდა პედლიდან. ოღონდ სიცილიც მართლა ისმოდა - მამაჩემი იცინოდა; ჭადრაკის დაფასთან მიმჯდარი, გევინ ბიძიას უყურებდა და იცინოდა.

- ჩარლი! - დედამ უთხრა. - გაჩერდი! - მაგრამ უკვე გვიან იყო. გევინ ბიძია წამოხტა, კარისკენ გაემართა გაჩქარებული, თითქოს ველარაფერს ხედავსო, და გავიდა.

- ეს რაღა ამბავია? - იკითხა ბაბუამ.

- ტელეფონისკენ გაიქცა ბაკ კონნორსთან დასარეკად, - უთხრა მამამ. - რაკი ასეთი ამბავი ხუთჯერ ხდება დღეში, ეტყობა, დაასკვნა - იმ ყმაწვილს ფეხი მუხრუჭისთვის არ აუცდენიაო. - ოღონდ დედა უკვე თავს ადგა მამას, ცალ ხელში წინდა და საკემსავი სოკო ეჭირა, მეორეში ნემსი ეპყრა ხანჯალივით.

- იქნებ გაჩუმდე, გენაცვალე? - უთხრა დედამ. - იქნებ შენთვის დაეგდ... ჯანდ... მაპატიე, მამა, - ბაბუას უთხრა. - მაგრამ ასე იცის ამან... - და ისევ მამაჩემს მიუბრუნდა: - გაჩუმდი, გაიგე? გაჩერდი ახლავე!

- როგორ გეკადრება, ჭირიმე, - მიუგო მამამ. - მე თვითონაც მშვიდობა მინდა და სიწყნარე. - მერე დედა გავიდა, დაწოლის დრო იყო უკვე, და გაუნმა მიაბზო - ვხედავდი, როგორ ჩამომჯდარიყო გევინ ბიძია ჩაბნელებულ სასტუმრო ოთახში, შუქი არ ენთო, წინა ოთახიდან ეფინებოდა ცოტაოდენი სინათლე, ისე, რომ, კიდევ მოენდომებინა, კითხვას ვერ შეძლებდაო. ოღონდ არც აპირებდა თურმე კითხვას: ისე მჯდარა მრუმეში, ვიდრე დედაჩემი, უკვე ხალათმოსხმული, თმაგამლილი ჩამოსულა ქვემოთ და გაუნისთვის უთქვამს:

- რატომ არ წვები? წადი, დაიძინე! გესმის? - და გაუნს მიუგია:

- დიახ, მემ. - დედა კიდევ, სასტუმრო ოთახში გასულა, გევინ ბიძიას სავარძლის უკან გაჩერებულა და შესიტყვებია:

- დავურეკავ იმ კაცს, - ხოლო გევინ ბიძიას უკითხავს:

- ვის დაურეკავ? - მერე დედაჩემი სასტუმროდან გამოსულა და უთქვამს: - ახლავე წადი და დაიძინე, ამწუთას! - მერე გაუნი წინ გაუშვია და თვითონაც მიჰყოლია კიბეზე. ჰოდა, გაუნი რომ დაწვა და შუქი ჩააქრო, დედა მის კარს მიადგა თურმე და ღამე მშვიდობისა უსურვა, და ახლა მათ ყველას იმის მეტი აღარაფერი დარჩენოდათ, რომ დალოდებოდნენ. რადგან, თუმცა ხუთი კენტი რიცხვია, ხოლო გევინ ბიძიასთვის საღამო რომ დამთავრებულიყო, ლუწი გახლდათ აუცილებელი, მაინც, ეტყობა, დიდხანს არც მოუწევდათ ლოდინი, რამეთუ საკონდიტრო კინოს დამთავრებისთანავე იკეტებოდა, ხოლო სასტუმროს ჰოლში კომივოიაჟორთა დაწოლის შემდეგაც თუ დაახანებდა ვინმე, იმას, რაც უნდა უცოლშვილო კაცი ყოფილიყო, მერე მთელი ჯევერსონისთვის უნდა აეხსნა - ასე და ასეო. და გაუნს უფიქრია: სხვა თუ არაფერი, ჩვენც და გევინ ბიძიაც მოსვენებულად, თბილად ვართ და ისე ველოდებით, თუმცა გევინ ბიძია მარტოდმარტო კი ზის ჩაბნელებულ სასტუმრო ოთახში, ეს მაინც უკეთესია, ვიდრე საკონდიტროში ან სასტუმროს ჰოლში ყურყუტი და დროის გაწელვაო.

ოღონდ ამჯერად მისტერ დე სპეინს მოედანზე გამოსვლისთანავე ჩაურთავს სირენა: გაუნს ესმოდა, როგორ ძლიერდებოდა მისი კვილი, როცა მანქანა ჯერ ერთ, მერე მეორე მოსახვევს გამოსცდა და ჩვენი სახლისკენ გამოემართა. დამცინავად ისმოდა მისი ხმიანობა, მაგრამ ერთი კი იყო, რომ მანქანა მეორე სიჩქარით აღარ მოდიოდა, ამიტომ სწრაფად ჩაუქროლა ჩვენს სახლს, ჩაბნელებულ სასტუმრო ოთახს, სადაც გევინ ბიძია იჯდა, ერთხელ შეუხვია, მეორედ, რათა თავის ქუჩაზე გასულიყო, და სირენის ხმაც მიჩუმდა, ასე რომ, ღამის სიწყნარელა შემორჩა ირგვლივ და მერე - ფეხის ხმა, როდესაც გევინ ბიძია კიბეს შეუყვია. მერე წინა ოთახშიც ჩაქრა სინათლე და ყოველივე დასრულდა.

ესე იგი, იმ ღამეს დასრულდა, საიმდღეოდ. რადგან ყოველივე სულ დამთავრდაო, - გევინ ბიძიასაც არ უფიქრია. ის კი არა და, მალე ყველა მიხვდა, რომ გევინ ბიძიას სულაც არ უნდოდა, რომ ყოველივე ამით დასრულებულიყო; მეორე დილას, საუზმობისას, პირველად სწორედ გევინ ბიძიას აუწევია თავი და გაუნისთვის უთქვამს:

- აი, შენი ბიძაშვილი ჩარლიც რომ შეიძენს მანქანას, შენც მისტერ დე სპეინივით გაერთობი ხოლმე, არა, ჩარლი? - ოღონდ ეს ამბავი ალბათ არასოდეს მოხდებოდა, რადგან მამაჩემმა გევინ ბიძიას დამთავრება აღარც აცალა:

- მაგ აყროლებული ჯაბახანის მყიდველი ვარ?! არა, სამაგისო გამბედაობა არ მეყოფა. ჩემი კლიენტები თავისი დღე დამოსწრება ჯორით და ცხენით მიდი-მოდიოდნენ.

ოღონდო, მითხრა გაუნმა, მამაშენს რომ მართლა ეყიდა მანქანა, სანამ თქვენსას ვიდექი, კი ვიცოდი, როგორც მოვიხმარდი, აბა, სწორედ, სახლის წინ ვაქროლებდი და სირენას ვაყვირებდიო!

მერე იგივე მოხდა, როცა გაუნი შინისკენ მოდიოდა სასადილოდ, მერეც - როცა ყველანი სუფრას უსხდნენ. ოღონდ მარტო გაუნი კი არ იყო მიმხვდარი - გევინ ბიძია სულაც არ აპირებს ამ ამბავს ბოლო მოუღოსო, რადგან, დედა რომ წაადგა გაუნს თავზე, გევინ ბიძია ჯერ არც შებრუნებულიყო. ალექსენდერი სულ იმას ამბობდა - დედაჩემის თვალი და ყური კედელშიც ატანსო (როცა წამოიზარდა, იმაშიც დაგვიწყო დარწმუნება - დედაჩემი ტელეფონით ლაპარაკის დროსაც იკრავს ხოლმე სუნს, როცა ნასვამი ვარო). შესაძლოა, ყველა ქალი, ვინც კი დედად იქცევა ან ვისაც დედობის გაწევა მოუხდება, - როგორც დედაჩემს უხდებოდა, დედის მაგივრობა გაეწია

გაუნისთვის, ვიდრე ის ჩვენთან ცხოვრობდა, - ასევე გრძნობს ხოლმე ყოველივეს, ხოლო დედაჩემი ამგვარად მოიქცა: სწორედ იმ დროს გამოვიდა სასტუმრო ოთახიდან, როცა გაუნი ჯიბეში იდებდა იმას.

- რა უყავი? - უთქვამს დედას. - სად წაიღე ის, გვეინმა რომ მოგცა? ჭიკარტებიანი კოლოფია, ხომ? ჭიკარტებიანი კოლოფი! გზაზე უნდა მოაბნო, რომ სალტეები დაეხვრიტოს, ხომ? გვეინი პატარა ბიჭივით იქცევა, ღლაპივით. არა, მელისანდრა ბეკუსი უნდა ითხოვოს, სანამ მთელი ოჯახი არ დაუღუპია.

- თქვენ ხომ ამბობდით - უკვე ძალიან გვიან არისო, - უთხრა გაუნმა. - ისეთ ქვრივს შეირთავს უსიკვდილოდ, თან რომ ოთხი შვილი მოჰყვებაო.

- ალბათ იმის თქმა მინდოდა, ძალიან ადრე არის-მეთქი, - უპასუხა დედამ. - მელისანდრას ჯერ ქმარიც არ ჰყავს. - მერე, გაუნს თითქოს ვერც ხედავსო, უთქვამს: - მანფრედ დე სპეინიც კარგი ვინმეა. ღლაპი. - შემომყურებდა და სულაც ვერ მხედავდაო, მითხრა გაუნმა. მერე ანაზად ისეთი კარგი შეიქნა, სულ გოგონას დაემსგავსაო: - არა, ყველანი ერთნაირები არიან ეგენი. - აქ ისევ დაუნახავს გაუნი. - არ გაბედო მაგის გაკეთება, გესმის? აბა, ერთი გაგიბედა!

- კარგი, მემ! - უპასუხა გაუნმა. ამაზე ადვილი რა უნდა ყოფილიყო. ისა და ტაპი მუჭში ჭიკარტებს დაიჭერდნენ და შუა ქუჩაში გაირბენდნენ, თითქოს ჯერ ვერ გადაუწყვეტიათ, საით წავიდეთო. ჰოდა, ამასობაში ჭიკარტები თავისით ჩაცვივდებოდა ავტომობილის ნაკვალევში: მისტერ დე სპეინს უკვე ცხრაჯერ გაევლო იმ ადგილას, ასე რომ, გზას ორი ნაკვალევი დასჩნეოდა. ერთი კია, რომ დიდხანს მოუხდათ სიცივეში ყურყუტი, რადგან გულით ეწადათ, მოსახდენ ამბავს შესწრებოდნენ. ტაპმა თქვა - სალტეები რომ დასკდება, ავტომობილიც აფეთქდებაო. ეს ამბავი გაუნს მაინცდამაინც არ სჯეროდა, ოღონდ დაბეჯითებით არაფერი იცოდა, იქნებ ტაპი ნაწილობრივ მაინც იყო მართალი, იმდენად მაინც, რომ მოცდა უეჭველად ღირდა.

ჟასმინის მაღალი ბუჩქის უკან მოუხდათ ჩამალვა. ბინდდებოდა, სუსხი უფრო და უფრო ეძალებოდა, გასტერმა სამზარეულოს კარი გამოაღო და ტაპს დაუწყო ძახილი, მერე კართანაზე გამოდგა და ორივეს ეძახდა. სულ ჩამოხნელდა და სამაგლადაც აცივდა, და, როგორც იქნა, ფარების შუქიც გამოჩნდა. მანქანამ შესახვევს მოატანა, სირენა კიოდა და კიოდა, და მანქანამ ნელ-ნელა, ხრიალით ჩაიარა, ესენი კიდეც მიჩერებულნი იყვნენ, აყურადებდნენ, მაგრამ არაფერიც არ მომხდარა, მანქანა გაშორდა და სირენაც კი ჩაჩუმდა; იქნებ ჭიკარტები ჯერ კარგად არ ჩარჭობია, დავიცადოთო, - უთქვამს გაუნს. დაელოდნენ, მაგრამ მაინც არაფერი მოხდა. ისედაც კარგა ხანი იყო, რაც გაუნს სახლში შესვლა მართებდა.

ნავახშმევს ყველანი კაბინეტში ისხდნენ ისევ, მაგრამ საერთოდ აღარაფერი ხდებოდა, მანქანასაც კი აღარ ჩაუვლია, და გაუნმა იფიქრა - იქნებ მანქანა სახლში მისვლის მერელა აფეთქდა და ახლა გვეინ ბიძია ვეღარც გაიგებს - შეუძლია თუ არა ჩაბნელებული სასტუმროდან მაღლა ავიდეს და დაწვესო. მაშინ გაუნმა იმდენი მოახერხა, გვეინ ბიძიას უჩურჩულა - გინდა, იმის სახლთან მივირბენ და შევიტყობ, რა ხდებაო. მაგრამ მამამ მაშინვე იკითხა:

- რა ამბავია? რას ჩურჩულებთ მანდ? - ასე რომ, არაფერი გამოვიდა. არც მეორე დილას შეცვლილა რამე და სირენამ ისე ახლოს გაიხმინა ჩვენს სახლთან, იტყოდით - მომდევნო ჩავლისას აგერ სასტუმროში აყვირდებაო. მერე ორჯერ კიდევე შუადღისას. ჰოდა, ნასადილევის, გაუნი სკოლიდან რომ ბრუნდებოდა, ტაპმა ანიშნა და ორივენი

სარდაფში ჩავიდნენ; ტაპს ძველი ფოცხი ჰქონოდა, ტარგადატეხილი, ისე რომ, ამათ მოუხდათ ცეცხლი დაენთოთ და ტარის ნარჩენი მოეწვათ. კარგად რომ ჩამოხნელდა, გაუნი დარაჯად დადგა, ტაპმა კიდეც ნაკვალევს გარდიგარდმო თხრილი ამოიღო, ფოცხს კბილები ამოაშვერინა, ზემოდან ფოთლები წააფარა და ორივენი ხელახლა ჩასაფრდნენ ჟასმინის ბუჩქთან და დაელოდნენ, ვიდრე მანქანა ჩავლიდა. ოღონდ არც ამჯერად მომხდარა არაფერი, თუმცა ესენი, მანქანა რომ თვალს მიეფარა, გზაზე გავიდნენ და თავისი თვალით ნახეს, რომ ბორბლებს ზედ ფოცხის კბილებზე გადაეველო.

- ერთხელაც ვსინჯოთ, - თქვა გაუნმა. ადგნენ და მეორე დილასაც სინჯეს: ისეც არაფერი. ჰოდა, ნასადილევს ტაპმა ძველი ქლიბი აამუშავა ფოცხის კბილებზე, მერე გაუნი შეენაცვლა; ოღონდ იმასაც მიხვდნენ, რომ გაის ამ დრომდე მოუწევდათ ქლიბვა, როცა კოტილიონის კლუბი კიდეც გამართავდა საშობაო მეჯლისს.

- სალესი ქვა გვინდა, - თქვა გაუნმა.

- ბიძია ნუნს აქვს სალესი ქვა, - უთხრა ტაპმა.

- თოფი გავიყოლოთ, ვითომ საკურდღლაოდ მივდივართ, - თქვა გაუნმა. ასეც მოიქცნენ: ბიძია ნუნ ჰეიტვუდის სამჭედლოს მიაშურეს გარეუბანში. ბიძია ნუნი მაღალი კაცი იყო, წაყვითალო; ცალი ფეხი თითქოს საგანგებოდ ჰქონდა მუხლში მოკაკვული, რათა წინა საოლავთან ცხენი მოერგო ხოლმე ფეხზე; ცხენს ფეხში ხელს წაავლებდა, მუხლს მიაბჯენდა და მეორე ხელით იქვე ჩასობილ ბოდს მოეჭიდებოდა, ჰოდა, თუკი ამასობაში ბოძი არ წამოეცეოდათ, ცხენს რამდენიც უნდოდა, იმდენი ევართხალა დაეტლინკავა, ბიძია ნუნი ცხენთან ერთად იქნანავებდა აქეთ-იქით, ოღონდ ფეხი არც კი შეერხეოდა. ბიძია ნუნმა გაუნსა და ტაპს ნება მისცა სალესი მოეხმარათ, ტაპი ბორბალს აბრუნებდა და წყალს უსხამდა, გაუნმა კიდეც ისე წამახვა ყველა კბილი, ავტომობილის სალტეს კი არა, რასაც გინდათ, იმას გახვრეტდა.

ამის მერე აუცილებლად სიბნელეს უნდა დავლოდებოდითო, მიაშობდა გაუნი. სიბნელეს და მოგვიანო ხანს, რომ არავის დავენახეთო. რადგან წამახული კბილები თავისას თუ იზამდნენ, ისეც შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ მანქანა არც ძალიან წასულიყო ხელიდან, და მაშინ მისტერ დე სპეინი იმის მოსაზრებასაც მოასწრებდა - აქ რაღაც ამზავიაო. ერთიც ვნახოთ, მაშინვე ძებნა დაეწყო და ფოცხი ეპოვა? ჯერ ეგონათ - ყველაფერი ჩინებულად მოეწყობაო, რადგან დეკემბრის გრძელი საღამო იდგა და მიწა ისე გაყინულიყო, ხელახლა მოუხდათ თხრილის გაჭრა, თანაც გუშინდელზე ბევრად უფრო გრძელი თხრილისა, რათა ფოცხისთვის თოკი ჩაებათ და იმ თოკით უკანვე, ჩვენს ეზოში შემოეთრიათ, როცა სალტე გასკდებოდა, ხოლო მისტერ დე სპეინს ჯერაც არ ეცოდინებოდა ავარიის მიზეზი. ოღონდ ის მეორე დღე შაბათი იყო, თქვა გაუნმა, ასე რომ, მთელი დღე თავისუფალი გვექონდა და შეგვეძლო, ფოცხი ისე გაგვემართა, რომ ჟასმინის ბუჩქთან ჩასაფრებულებს ყოველივე დღის სინათლეზე დაგვენახაო.

ჩაუსაფრდნენ კიდეც. ბუჩქს უკან ისხდნენ და გაუნს თოკის ბოლო ჰქონდა ჩაბლუჯული, როცა ხმაური შემოესმათ, მანქანაც დაინახეს, მერე კი სირენა აკვივლა და მანქანამ ჩაიარა, ჰოდა, სირენა მხიარულად მიხმიანებდა თურმე: „ხა-ხა, ხა-ხა, ხა-ხა“, და ის იყო, იფიქრეს - ახლაც ყველაფერი ჩავვიფლავდაო, რომ უეცრად სალტემ - ბუჰო, დაიძახა; ოღონდ გაუნს თოკის გამოქაჩვა ვეღარ მოუსწრია, რადგან თოკი იქით გაქაჩულა, ხელიდან გასხლტომია და ჟასმინის ბუჩქს დახვევია გველივით; მანქანა კიდეც მიდიოდა და მისძახოდა: „ხა-ხა, ხა-ხა, ხა-ხა-ბუჰ“, - სალტემი

ჩარჭობილი ფოცხი ავტომობილის ფრთას მანამ ეხატეუნებოდა, ვიდრე მისტერ დე სპეინმა მანქანა არ გააჩერა. ამ დროს მათ ზურგს უკან სასტუმრო ოთახის ფანჯარა გაღებულა და ფანჯარაში დედა და მამა გადმომდგარან. მერე დედას უთქვამს:

- მიდით, შენ და ტაპი და მიეხმარეთ. შენც უნდა იცოდე მანქანის მოვლა, საცაა შენი ბიძაშვილი ჩარლიც იყიდის ალბათ ავტომობილს.

- მაგ აყროლებული ჯაბახანის მყიდველი ვარ?! - უთქვამს მამაჩემს. - ხომ დავკარგე ყველა მუშტარი, ან ცხენს ვინდა იყიდის ჩემგან, ან ჯორს!

- კარგი ერთი, - მიუგია დედას. - მგონი, დღესვე იყიდდი მანქანას, მამაჩემის რომ არ გერიდებოდეს. იცი, რას გეტყვი? - მობრუნებია მერე გაუნს. - შენ მიეხმარე მისტერ დე სპეინს, ტაპი სახლში მჭირდება.

ჰოდა, ტაპი სახლში შესულა, გაუნი კი მიახლება მანქანას, სადაც მისტერ დე სპეინი იდგა და გამსკდარ სალტეს ათვალაიერებდა. ხელში ფოცხი ეჭირა, ტუჩები წამოებურცა, თითქოს თავისთვის უსტვენსო. მერე გაუნს გადმოხედა, ჯაყვა ამოიღო, თოკი გადაჭრა, ფოცხი პალტოს ჯიბეში ჩაიდო და თოკის აკეცვას შეუდგა, თან თვალს მიადევნებდა, როგორ მოძვრებოდა თოკი ჩვენი ეზოდან; ტუჩები ისევ წამოებურცული ჰქონია მსტვინავი კაცივით. ამ დროს ტაპი გამოსულა სახლიდან, ქათქათა ქურთუკი სცმია, იმ ქურთუკს მაშინ იცვამდა, როცა დედა სუფრის მომსახურებას ასწავლიდა ხოლმე, ხელში სინი სჭერია, ზედ ყავის ფინჯანი, სანაღებე და საშაქრე მდგარა. მის მეგიმ გაახლათ, ყავას ხომ არ ინებებთ, სანამ სიგრილეში ისვენებთო, - მოახსენა თურმე ტაპმა.

- დიდი მადლობელი ვარ, - თქვა მისტერ დე სპეინმა. ჩვენი თოკი უკვე აკეცა. ტაპს სინი გამოართვა, მანქანის ფრთაზე ჩამოდგა და მერე დახვეული თოკი ტაპს გაუწოდა. - აჰა, შენ საანკესედ.

- ჩემი არაა მაგ თოკი, - უთხრა ტაპმა.

- ახლა შენია, - მიუგო მისტერ დე სპეინმა. - შენთვის მიჩუქნია. - და ტაპმა ჩამოართვა თოკი. მაშინ მისტერ დე სპეინმა ტაპს უთხრა - შენი თეთრი ქურთუკი გაიხადეო, მერე საბარგე გახსნა, გაუნსა და ტაპს უჩვენა, დომკრატი და სალტის დასაწებებელი სადაც იდო, და მერე ყავის სმას შეუდგა, ვიდრე ტაპი მანქანის ქვეშ იყო შემძვრალი, დომკრატს უყენებდა და ისა და გაუნი მანქანას სწევდნენ. მერე მისტერ დე სპეინმა დაცლილი ფინჯანი დადო, პალტო გაიხადა და გახვრეტილ სალტესთან ჩაიმუხლა ხელსაწყოებმომარჯვებულმა. ოღონდო, მიაშობდა გაუნი, ერთადერთი, რაც ამასობაში ვისწავლეთ, ისეთი გინება იყო, რომლის მაგვარი მანამდე არც გაგვეგონაო. მერე მისტერ დე სპეინი წამომდგარა, ხელსაწყოები იქით მიუყრია და ამჯერად გაუნისთვის უთქვამს: - სახლში შეირბინე, ბაკ კონნორსს დაურეკე, უთხარი ჯებო მოიყვანე-თქო ჩქარა! - ამასობაში მამაჩემიც მოსულა ამათთან.

- ძალიან ბევრი ხომ არ გყავთ თანაშემწე? - უთქვამს მამას. - შემობრძანდით, გადავკრათ ცოტა. ადრე კია, ვიცი, მაგრამ შობის დღეებია ახლა.

ყველანი სახლში შესულან და მამას მისტერ კონნორსისთვის დაურეკავს - ჯებო მოიყვანეო. ბიძია ნუნ ჰეიტვუდის შვილი იყო ჯებო. მჭედლობას ეპირებოდა, მაგრამ ამ დროს მისტერ დე სპეინმა ის თავისი წითელი ავტომობილი იყიდა და, როგორც ბიძია ნუნის იტყოდა ხოლმე, „დალუპა ბიჭი“. თუმცა გაუნი ვერ ხვდებოდა, რატომ

ერქვა ამ ამბავს დაღუპვა, რადგან, როცა ჯებო მჭედელი იყო და მეტი არაფერი, რომ გამოტყვევებოდა, წელიწადში სამჯერ-ოთხჯერ მაინც ხვდებოდა ციხეში; ახლა კი, მას აქეთ, რაც ჯეფერსონშიავტომობილები გაჩნდა, ჯებო ჩვენი ოლქის საუკეთესო მექანიკოსად იქცა, და, თუმცა ძველებურად სვამდა და ციხეშიც ხვდებოდა ისევ, მაგრამ ერთ ღამეზე მეტს აღარ ახანებდა იქ, რადგან მეორე დილასვე აღმოჩნდებოდა, რომ ჯებო უსიკვდილოდ დასჭირვებოდა რომელსამე მანქანის პატრონს და ჯებოს გამოსახსნელ ჯარიმასაც ის იხდიდა ხოლმე.

ყველანი სასადილოში შესულან. დედას უკვე გამოედგა გრაფინი და ჭიქები.

- მომითმინეთ, - თქვა თურმე მამამ. - გევის დაგუძახებ ახლავე.

- წავიდა უკვე, - ერთობ საჩქაროდ უთხრა დედამ. - დაბრძანდით, პუნში მიირთვიეთ.

- იქნებ ჯერ არ წასულა, - თქვა მამამ და გავიდა.

- იმათ ნუ დაელოდებით, თქვენი ჭირიმე, - უთხრა დედამ მისტერ დე სპეინს.

- არა უშავს, დავუცდი, - მიუგო მისტერ დე სპეინმა. - ჯერ ადრეა, რამდენიმე წუთს შეიძლება მოცდა. - ოღონდ ამასობაში მამაც შემობრუნდა.

- გეინმა - დიდი ბოდიშიო, - თქვა მამამ. - გულისწვა აწუხებს ამ ბოლო ხანებში.

- გულისწვას მარილი ძალიან შველის-თქო, უთხარით.

- როგორ? - მამაჩემი შეეკითხა.

- მოდით-თქო, უთხარით, - მიუგო მისტერ დე სპეინმა. - მეგი ჩვენ შორის სამარისე ჩადგამს-თქო, უთხარით. - ამით მოთავდა ყველაფერი. მოვიდა თოფიანი მისტერ კონნორსი, ხელბორკილდადებული ჯებოც მოჰყვა, და ყველანი მანქანისკენ გაემართნენ. მერე მისტერ კონნორსმა თოფი ჯებოს დააჭერინა, ხელბორკილის გასახსნელად გასაღები ამოიღო და ისევ ჩამოართვა თოფი. ჯებომ ხელსაწყოები მოიმარჯვა და ხელად მოაძრო საბურავი ბორბალს.

- თქვენ ასე უნდა გექნათ, - უთხრა მამაჩემმა. - როგორმე ჯებო უნდა დაგებალზამებინათ, - რამენაირად ისე, რომ არ გაყინულიყო და საჭმელიც არ მოეთხოვა, - მერე მანქანისთვის უნდა დაგეკრათ სათადარიგო ბორბალივით. ჰოდა, საბურავი თუ შეგექნებოდათ გამოსაცვლელი ან მოტორი დასაქოქი, მოხსნიდით, დააყენებდით და განაბალზამებდით. მგონი, ასე უნდა ითქვას, არა? - განაბალზამებდით.

- საბურავი რომ დააწებო, - მიმართა მისტერ დე სპეინმა ჯებოს, - კანტორაში მომიტანე.

- მესმის, სერ, - უთხრა ჯებომ. - მისტერ ბაკმა კიდევ ჯარიმის ქვითარი წამოიძღვანოს.

- დეიდაშენს ყავისთვის მადლობა მოახსენე, - უთხრა მისტერ დე სპეინმა გაუნს.

- დეიდა კი არა, ბიძაშვილია ჩემი, - უპასუხა გაუნმა. - პუნშის მადლობაც ვუთხრა?

- მე ცენტრამდე გამოგყვებით მანქანაში, - უთხრა მამამ მისტერ დე სპეინს.

ეს ყოველივე შაბათს მოხდა. ხოლო კოტილიონის მეჯლისი ოთხშაბათისთვის იყო დანიშნული. ორშაბათს, სამშაბათსა და ოთხშაბათს ჯეფერსონში მეტი ყვავილი გაიყიდა, ვიდრე მთელი წლის განმავლობაში სალდებოდა, იმაზე მეტიც კი, ვიდრე ბებერი გენერლის კომპსონის დაკრძალვისას გასაღდა, ხოლო კომპსონი მარტო ბრიგადის გენერალი კი არ ყოფილა, მისისიპის შტატის გუბერნატორიც გახლდათ - მართალია, ორ დღეს გუბერნატორობდა სულ; მაგრამ მისტერ დე სპეინმა უჩვენოდ შეიტყო, რაც გევინ ბიძიას ჩაედვა გულში, და იფიქრა - მეც იგივე უნდა გავაკეთო. რაღა თქმა უნდა, სასიამოვნო იქნებოდა იმის ფიქრი - ერთი და იგივე აზრი ორივეს თავ-თავისთვის მოუვიდაო, ოღონდ ნამეტანს კი ემგვანებოდა ეს ამბავი.

ასე რომ, ეტყობა, მისის რაუნსველმა გათქვა ყველაფერი. ამ მანდილოსანს საყვავილე მაღაზია ჰქონდა; იმიტომ კი არა, გევინ ბიძიას ნათქვამის არ იყოს, თითქოს ყვავილები ჰყვარებოდეს, იმიტომაც კი არა, თითქოს ფულის სიყვარულით ყოფილიყოს შეპყრობილი; უფრო იმიტომ, რომ დასაფლავებებისთვის კარგავდა ჰკუას; თავად ორი ქმარი მიეზარებინა მიწისთვის, მეორე ქმრის შემდეგ მიღებული სადაზღვევო პრემიით გახსნა სწორედ ის მაღაზია და ჯეფერსონის ყველა მიცვალებულს ამარაგებდა ყვავილებით; ამ ქალმა უჩუმათა მისტერ დე სპეინს - გევინ ბიძიას მისის სნოუპსისთვის სამეჯლისოდ ყვავილების გაგზავნა უნდაო. ოღონდ დედას თურმე უთქვამს - მისის სნოუპსს ხომ ქმარი ჰყავს, მარტო მისთვის ყვავილების გაგზავნა არ ივარგებსო. ამაზე გევინ ბიძიამ - შენ იქნებ ის გინდა, ყვავილები მისტერ სნოუპსსაც გავუგზავნო? მამამ კიდევ - შენი დაიასი მშვენივრად მესმისო. და გევინ ბიძიამ თქვა: კარგი, ბატონო, მაშინ კოტილიონის კლუბის ყველა მანდილოსანს გავუგზავნიო. ჰოდა, მისტერ დე სპეინიც იძულებული შეიქნა იგივე გაეკეთებინა, ასე რომ, მარტო მისის სნოუპსს კი არა, ყველა დანარჩენ მანდილოსანსაც ორ-ორი თაიგული უნდა მიეღო.

ჯეფერსონის სხვა მკვიდრთათვის აღარაფერს ვამბობ: კლუბის ყველა მანდილოსნის ქმართა და არშიყთათვის კი არა მხოლოდ, არამედ მეჯლისზე მიწვეული ყველა ქალაქელი მანდილოსნის ქმართა და არშიყთათვის; განსაკუთრებით იმათთვის, ვინც დიდზე დიდი ხნის წინ იყო ოჯახს მოკიდებული; ისინი ხომ გულშიც არ გაივლებდნენ თავიანთი ცოლებისთვის თაიგულები გაეგზავნათ და არც მათი მეორე ნახევრები იქნებოდნენ ამის მომლოდინენი, გევინ ბიძია და მისტერ დე სპეინი რომ არა. ოღონდ მთავარიმანც გევინ ბიძია იყო, რადგან სწორედ იმან ატეხა ეს ამხელა ამბავი. ჰოდა, კაცებისთვის რომ მიგეგდოთ ყური სადალაქოში, როცა სამეჯლისოდ თმას იკრეჭდნენ, ან კიდევ მისტერ კილენდის სამკერვალოში, საიდანაც ნაქირავები ფრაკები გამოჰქონდათ, იტყოდით - გევინ ბიძიას ლინჩის მოწყობას უპირებენო.

ოღონდ მათში ისეთებიც იყვნენ, რომლებიც გევინ ბიძიას ლანძღვას არ სჯერდებოდნენ: მისტერ გრენიე უედდელი და მისის მორის პრისტი. თუმცა ეს ცოტათი მოგვიანებით შევიტყვეთ, მეჯლისის მეორე დღესღა მოგვწვდა ყველას ამბავი. მანამდე კი ხალხი ხედავდა, რომ მისის რაუნსველის სავაჭროში, მამაჩემის ნათქვამის არ იყოს, „რაუნსველის პანიკა“ დაწყებულყო. (იძულებული გავხდი ასე მეხუმრა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, გევინს იუმორის გრძნობა რაღაცა მოუჩლოუნგდა და ამგვარი პრიმიტიული ნაკვესის თქმაც ვერ მოახერხაო. ისე მამაჩემიც უკურობდა გევინ ბიძიას, რადგან ახლა დედასთვის თაიგული უნდა გაეგზავნა; ადრე არ ფიქრობდა ამის გაკეთებას, მაგრამ, რაკი გევინ ბიძია უგზავნიდა, მამას რაღა ეთქმოდა? ასე რომ, დედას ლამის



სამი თაიგული უნდა მიეღო, - იქნებ სხვა კაცებიც დაფეთებულიყვნენ და გადაეწვიტათ - კლუბის ყველა დიასახლისს თითო თაიგული უნდა გავუგზავნოთო.) ერთი სიტყვით, მისის რაუნსველმა ორშაბათისთვის ერთიანად დაყიდა თავისი ყვავილები; საიმდროოდ, როცა სამშაბათს სამხრეთის მატარებელმა ამოიარა, ჯეფერსონის სამხრეთით თუ ჩრდილოეთით მდებარე მეზობელი ქალაქი უკვე პირწმინდად იყო გამოწოვილი; ოთხშაბათს კიდევ საგანგებოდ დაქირავებულმა ავტომობილმა სისხამ დილას იმდენი ყვავილი მოზიდა მემფისიდან, რომ მისის რაუნსველს ხელახლა შეეძლო დაკვეთები დაეგზავნა თავისი შიკრიკის ხელითაც და ლიუშუს ჰოგენბეკის მანქანითაც, მერე კი მისის იუნის ჰებერშემისგან ბოსტნეულის დასატარებელი ურიკაც კი იქირავა, რათა ყველა თაიგული დროულად დაეგზავნა; ჰოდა, ჩვენსას ხუთი თაიგული მოზიდეს და ის იყო, ჩვენებმა დაასკვნეს კიდევ - ყველა დედასიაო, რომ ამ დროს დედამ კოლოფებზე წარწერები გადაიკითხა და თქვა:

- ეს ჩემი არაა, გევინისაა. - ჰოდა, ყველანი იდგნენ და გევინ ბიძიას შეჰყურებდნენ, ის კიდევ ადგილიდან არ იძვროდა, ჰოდა, კოლოფს მიშტერებოდნენ ყველანი, და გევინ ბიძიამ წაიღო კიდევ ხელი კოლოფისკენ, ოღონდ ჰაერშივე გაუშემდა ის ხელი. მაგრამ მერე კანაფი გადაჭრა, თავსახური ახადა, პაპიროსის ქალაღი ააცალა და მაშინვე, - გაუნმა თქვა: მოულოდნელად, ოღონდ აუჩქარებლადო, - პაპიროსის ქალაღი ისევ წააფარა და თავიც დაახურა კოლოფს.

- ჩვენ არ გვაჩვენებ? - დედა შეეკითხა.

არაო, მიუგო გევინ ბიძიამ. მაგრამ გაუნს უკვე ყველაფრისთვის მოეტანებინა თვალი. ფოცხი იდო იქ, ორი კოკრით გაწყობილი, რაღაც ზორტით თუ ზონრით შეკონილი, და გაუნმა ისიც დაინახა, რომ რეზინის იყო ის რაღაცა, ოღონდ მიხვედრით მერეულ მიხვდა, რაც იყო, ერთი-ორი წლის მერე, როცა წამოიზარდა და მოიწიფა; თუმცა, კაცმა რომ თქვას, მაშინაც იაზრა, რაც იქნებოდა, და იმასაც კი მიხვდა, ის რაღაც ნახმარი რომ იყო უკვე და ისიც ინიშნა მაშინვე, რა უნდა ეფიქრა გევინ ბიძიას ამის თაობაზე, - სწორედ ამისთვის აახლა მისტერ დე სპეინმა ის საგანი: რა ბედენაა, სწორად მიხვდა თუ ვერა გევინ ბიძია, როგორ და რანაირად იყო ის რაღაც ნახმარი, სულერთია, დანამდვილებით მაინც ვერაფერს შეიტყობდა და ამიტომ სამუდამოდ დაკარგა მოსვენება.

იმხანად გაუნი ცამეტს არ გადასცილებოდა და მანამდე ასე ეგონა - ქუდი რომ შემეგდონ, კოტილიონის მეჯლისზე შემსვლელი მაინც არ ვარო. მაგრამ ამასობაში იმდენ რამეს შეესწრო, ახლა უეჭველად მართებდა იქ მოხვედრა და ნახვა - კიდევ რა შეიძლებოდა მომხდარიყო, თუმცა ვერაფრით წარმოედგინა, ისეთი ამბავი უნდა დატრიალებულიყო ჩვეულებრივ მეჯლისზე. ჰოდა, თავის გამოსასვლელ ლურჯ კოსტიუმში გამოეწყო და შეაჩერდა, როგორ მისციებოდა მამას თმდახვეული, ბებიასეულ ბრილიანტის საყურეებდაკიდებული დედაჩემი - მითხარი, ამ ოთხიდან ხელში რომელი თაიგული დავიჭიროო: შენ რომ მომიძღვენი, ის, თუ ამ სამში შევარჩიო ისეთი, რომელიც ჩემს კაბას უფრო მოუხდებაო; მერე გაუნი გევინ ბიძიას ოთახში შევიდა და იმან, თვითონ რომ ეკეთა, ისეთივე თეთრი ჰალსტუხი გაუნასკვა გაუნს, ღილაკლოში კიდევ ყვავილი გაურჭო; ბოლოს ყველანი დაბლა ჩავიდნენ, მათ მომლოდინე ეტლში ჩასხდნენ და მოედნისკენ გაემგზავრნენ. ოპერის თეატრთან სხვა ეტლებიც მოდიოდა, ხანდახან - ავტომობილიც, და გადმოდიოდნენ და გადმოდიოდნენ წვეულნი - გამოწკეპილნი, დახვეულ-დახუჭუჭებულნი, სურნელგადაფრქვეულნი, შალმოსხმულნი, საყურეებიანნი, გრძელ-გრძელ თეთრ ხელთათმანიანი დედაჩემივით, ან კიდევ ფრაკით მოსილნი, გახამებულხალათიანნი, თეთრჰალსტუხიანნი, აგერ

გუშინდელი გაკრეჭილნი მამაჩემით და გვეინ ბიძიასავით; ხოლო ცუდმავალა ხალხი, ზანგები და თეთრკანიანი ბიჭები კართან ირეოდნენ და ორკესტრის აგრილებას ელოდებოდნენ.

პროფესორი ჰენდი დირიჟორობდა, ბილ-სტრიტიდან მოწვეული, მემფისელი. ჩრდილოეთ მისისიპიში ყველა მეჯლისზე მისი ორკესტრი უკრავდა ხოლმე. მთელი დარბაზი საშობაოდ იყო მორთული, ხოლო კოტილიონის კლუბის მანდილოსანნი თავიანთ კავალრებთან ერთად ჩამწკრივებულიყვნენ და სტუმრებს ასე ეგებებოდნენ. ყვავილთა სურნელი ქვემოდანვე, კიბის დასაწყისთანვე იგრძნობოდა თურმე, სამეჯლისო დარბაზში რომ შეხვიდოდი, იტყოდი - ამ სურნელებას თვალთაც ვხედავო, გინდაც სუსხიან დილას ჭაობის თავზე დამდგარი ნისლი ყოფილიყოს. მისტერ სნოუპსიც იქ იყო ნაქირავებ ფრაკში გამოწყობილი; და ალბათ მთელი ჯეფერსონი თავდაპირველად იმას ფიქრობდა - ეს ნაქირავები ფრაკი ნაფეხური არისო მხოლოდ, მის მიერ გადადგმული იმ მეორე ნაბიჯის კვალია და მეტი არაფერია; შემდეგშილა მიხვდნენ ყველანი, რომ ის ფრაკი სულაც არ ყოფილა კვალი, ისევე როგორც წყალსაწნევი კოშკი არ იყო ძეგლი: წითელი ალამი იყო ის ფრაკი. არა, რკინიგზის ლიანდაგის მოსახვევში აღმართული გამაფრთხილებელი ნიშანი იყო: მატარებელს მოერიდეთო!

რაკი კოტილიონის კლუბის წინამდგომობა იმ წელიწადს დედაჩემს უწევდა (ხოლო საიმდროოდ, როცა მისის რაუნსველი ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რანაირ ოქროს საბადოსაც წასწყდომოდა, ქალაქში უკვე აღარავის ექჳებოდა, რა ამბავიც ტრიალებდა მისტერ დე სპეინს, გვეინ ბიძიასა და მისის სნოუპსს შორის), ყველას ასე ეგონა - პირველსავე ცეკვაზე გვეინ ბიძიას მისის სნოუპსთან დააწყვილებსო. მაგრამ დედა ასე როდი მოიქცა, მისის სნოუპსთან პირველად გრენიე უედდელი აცეკვა - ისიც მარტოხელა კაცი იყო. ამის შემდეგაც ცეკვის რიგს გვეინ ბიძიასა და მისტერ დე სპეინს თანაბრად უნაწილებდა, ვიდრე მისტერ დე სპეინმა წყალში არ ჩაუყარა ყველაფერი. მისტერ დე სპეინი ხომ ნამდვილი ბერბიჭა იყო. გვეინ ბიძია სულ იმას ამბობდა - არიან გამოსწორებელი, მოურჯულებელი ბერბიჭები, გინდაც ასჯერ იყვნენ დაქორწინებულნი, და არიან კიდევ განწირული, დადებლებული ქმრები, თუ გინდა ერთი ქალის შერთვაც ვერ მოახერხონო. ჰოდა, მისტერ დე სპეინი სწორედ ამგვარი კაცი იყო. ესე იგი, პირველ კატეგორიას ეკუთვნოდა: გამოუსწორებელი, მოურჯულებელი ბერბიჭა, მუდმივი საფრთხე გახლდათ, რაც უნდა შემთხვეოდა. რადგან, გვეინ ბიძიას ნათქვამის არ იყოს, შემთხვევები, გარემოებანი, პირობები ისეთ კაცთათვის არ იქმნება ხოლმე, როგორც იყო მისტერ დე სპეინი, პირიქით - მისნაირი ადამიანები თავადვე იქმნებიან შემთხვევებისა და გარემოებათათვის.

ამჯერად გაუმარჯვდა და ის იყო. მე იქ არ ვყოფილვარ, არაფერი მინახავს, ოღონდ ახლა ვხვდები, რომ არც გაუნს ესმოდა, რასაც უყურებდა. მაგრამ შემდეგში მეც დავიბადე, წამოვიზარდე და ჩემი თვალთ ვიხილე მისის სნოუპსი, მერე კი იმდენად მოვიწიფე, ისიც ვიგრძენი, რასაც გრძნობდნენ მისი შემხედვარე გვეინ ბიძიაც და მისტერ დე სპეინიც (ესენიც და ყველა ჯეფერსონელი მამაკაციც, ფრანგისხველნიც, ყველანი, ვისაც კი ოდესმე თვალი მოეკრა იმ ქალისთვის, ის მფრთხალი კაცუნებიც კი, იმგვარად გულადნი და ხელმოცარულნი რომ არ იყვნენ, როგორც იყო გვეინ ბიძია, და არც იმგვარად გულადნი და ქუდბედიანნი, როგორც მისტერ დე სპეინი იყო, თუმცადა თავი უფრო კეთილგონიერ ადამიანებად კი მიაჩნდათ იმ კაცუნებს). მერე ხანი გამოხდა, ის ქალი მიიცივალა და მისტერ დე სპეინიც გაემგზავრა ჩვენი ქალაქიდან, ოფიციალურად შავებში ჩაცმული, თითქოს მისი კანონიერი მეუღლე ყოფილიყოს ის ქალი, რომელსაც ჯეფერსონში აღარ ახსენებდნენ, ოღონდ, ჩემი არ იყოს, მრავალნი იგონებდნენ და გლოვობდნენ, დარდობდნენ. იმას დარდობდნენ, რომ

მის ქალიშვილს ისეთი რაღაც არ გამოჰყოლოდა, რაც მას ჰქონდა მიმადლებული; ოღონდ მერე ხვდებოდნენ - იმის გამო როდი დარდობდნენ, რომ მის ასულს იმგვარი რაღაც არ გამოჰყოლოდა; არც იმის გამო, რომ დაგვკარგოდა რაღაც იმგვარი; ის აწუხებდათ, რომ მსგავსი რამ აღარასოდეს განმეორდებოდა. მე მგონია, თავდაპირველად მისტერ დე სპეინსაც დაუდგა ისეთი წუთი, როცა შედრკა, წუთი, როდესაც იმანაც კი უთხრა: „დადექი, შეჩერდი“, ვაითუ ისეთ რაღაცას გადავეყარე, რაც ჩემზე წმინდა კი არაა მხოლოდ, ჩემზე გამბედავიცაა, გამბედავიც და გაუტყეხელიც, რადგან უფრო წმინდაა და უბიწო!“ არადა, მართლა ასე იყო საქმე.

შემდეგში გაუნი მიაშობდა - მთელი ის ამბავი იმიტომ ატყდა, მისის სნოუპსი მისტერ დე სპეინს რანაირად ეცეკვებოდაო. უფრო სწორად - მისტერ დე სპეინი მისის სნოუპსს რანაირად ეცეკვებოდაო. მანამდე გევინ ბიძიაც, თავად მისტერ დე სპეინიც, სხვა დანარჩენი მამაკაცებიც, ვისაც კი მისის სნოუპსის სამეჯლისო პროგრამაში თავისი სახელის ჩასაწერად გზავნიდა დედაჩემი, დარბაისლურად და წესიერად აცეკვებდნენ მისის სნოუპსს. და უეცრად ყველას თავი მიუნებებია ცეკვისათვის, როგორღაც მიმდგარ-მომდგარან და გაუნს დაუნახავს, რომ მისის სნოუპსი და მისტერ დე სპეინილა ცეკვავენ, ხოლო ირგვლივ ყველანი გაშემებულიყვნენ გაცეცხისგან. მე რომ წამოვიზარდე და თოთხმეტის, ან იქნებ თხუთმეტი-თექვსმეტი წლისაც შევიქენი, მაშინლა მივხვდი, სახელდობრ რა დაინახა მაშინ გაუნმა ისეთი, რომ თვითონაც არ ესმოდა, რასაც უყურებდა: იმწამს მოატანა თვალი, როცა მისტერ დე სპეინმა (რომელიც თვითონაც კი არ განცვიფრდა მხოლოდ, არც კი დაიჯერა, შეძრწუნდა - ამას რას ვშვრებო) იმნაირად დაიწყო ცეკვა მისის სნოუპსთან, რათა შური ეძია გევინ ბიძიაზე იმის გამო, რომ გევინ ბიძიამ ასერიგად დააფრთხო ის, მისტერ დე სპეინი, აიძულა ღლაპივით მოქცეულიყო - სირენა ეკვილებინა თუ ფოცხი მოერთმია ძღვნად, ან კიდევ ყვავილები იმ ნახმარი რაღაცით შეეკონა; აიძულა თავისივე თავის შეშინებოდა, მიმხვდარიყო - სულაც არ ვყოფილვარ ისეთი, როგორიც ამდენ ხანს მეგონა ჩემი თავი, რაკი ამდაგვარი სიბრყველების ჩადენა ვიკადრეო; ხოლო მისის სნოუპსი იმნაირად ცეკვადა, უკეთ, მისტერ დე სპეინს იმიტომ აძლევდა უფლებას, ხალხის თვალიწინ იმნაირად ეცეკვა მასთან, რომ ცოცხალი ადამიანი იყო და არ ერცხვინებოდა ეს ამბავი, ისე როგორც იმწუთას - ან იქნებ მუდამაც - ერცხვინებოდათ მისტერ დე სპეინსაც და გევინ ბიძიასაც. ისეთი გახლდათ, როგორიც იყო, შესახედაობაც ისეთი ჰქონდა, როგორიც იყო, და არ ეთაკილებოდა ეს ამბავი, არც ეშინოდა, არც რცხვენოდა იმისა, რომ ამგვარი ყოფის მოხარული იყო, იმისიც კი არ რცხვენოდა, თუ როგორ ვლინდებოდა ეს სიხარული, რადგან მხოლოდ ამგვარად შეეძლო მისი გამოვლენა, და არც ეშინოდა, არც რცხვენოდა იმისა, - ამ არაკაცთა აღშფოთებული ბრბო უცებ ყოველივეს არ მიხვდესო. ხოლო ისინი მიმდგარ-მომდგარიყვნენ, ენაჩავარდნილნი, დამფრთხალნი იდგნენ და მოცეკვავეთ მისჩერებოდნენ. და იმ განწირულსა და საწყალობელ არაკაცებს, შიშნეულად დაქორწინებულსა თუ დაუქორწინებელ ვაჟებს იმგვარად აღშფოთებული, იმგვარად შეურაცხყოფილი იმიტომ ჰქონდათ სახეები, ცდილობდნენ ერთიმეორისგან ის ამბავი დაეფარათ, რომ ყველაზე მეტად ტირილი უნდოდათ, ქვითინი, რადგან გულოვნება, მამაცობა აკლდათ, რადგან ყოველმა მათგანმა იცოდა - ქვეყნიერებაზე ერთადერთი მამაკაციც რომ ყოფილიყო თვითონ (იმისას ნულარას ვიტყვით, ამ სამეჯლისო დარბაზში რომ ყოფილიყო ერთადერთი), არამცთუ ვერ გაუმაგრდებოდა თუ ვერ გაუმკლავდებოდა, - ვერც კი გადაურჩებოდა ამ დიდმშვენიერებას, ამ დიდებულ უსირცხვილობას.

რასაკვირველია, ჩარევით ამ საქმეში მისტერ სნოუპსი უნდა ჩარეულიყო - ქმარი, უფალი, კანონიერი მფარველი ხომ ის გახლდათ. მაგრამ მის ნაცვლად გევინ ბიძია

ჩაერია, თუმცა არც ქმარი ყოფილა, არც უფალი, არც რაინდი, არც დამცველი, არც მფარველი, უბრალოდ - გვეინ ბიძია იყო: უცებ მისთვის სულერთი შეიქნა - გადაიქვლებოდა ან დაწყულდებოდა თუ არა შერკინებისას მისის სნოუჰისი, ოღონდ კი მისგან რაღაც მაინც გადარჩენილიყო მას შემდეგ, რაც გვეინ ბიძია სულს გააფრთხოვინებდა მისტერ დე სპეინს. გაუნმა მიაგზო, როგორ ეკვეთა ბიძია მისტერ დე სპეინს, მხარში ჩააფრინდა და მოზიდა, ჰოდა, ამ ამბის შემყურე კაცები ეზოში ჩამავალ კიბეს მისწყდომიან, ქალებიც უკვე აწივლებულან, თან მიჰყოლიან სირბილით მამაკაცებს, ასე რომ, გაუნს მოუხდა ქვედაბოლოებსა და ფეხებს შუა ძრომით დაშვებულიყო საფეხურებზე. ხოლო ეზოში მოზორიალე ფეხებს იქით გაუნმა თურმე დაინახა, როგორ ცდილობდა წამომდგარიყო ძირს დაცემული გვეინ ბიძია. მერე გაუნმა იმ ფეხებს შორის გზა გაიკაფა და დაინახა, რომ გვეინ ბიძია ხელახლა წამოდგა, სახე ერთიანად დასისხლიანებული ჰქონდა; ორმა კაცმა მიირბინა თურმე მასთან, ეტყობა, რაღაცით მიშველება უნდოდათ, ოღონდ გვეინ ბიძიამ ისინი იქით მიაწყვიტა და კვლავ მისტერ დე სპეინს ეკვეთა. ჰოდა, რომ წამოვიზარდე, ამასაც მივხვდი: გვეინ ბიძიას სულაც არ უნდოდა მისტერ დე სპეინის მოკვლა ან თუნდაც დაჭრა, იმ წუთში მისთვის უკვე ცხადი შეიქნა - სულერთია, ვერაფერს გავაწყობო. და იმ წუთს გვეინ ბიძია ისევ გვეინ ბიძიად იქცა. ისე ცდილობდა საკუთარი სისხლით დაეცვა ის კანონი, რომლის თანახმადაც დაცვა ხამს ქალის სიწმინდის და სათნოებისა, იმისდა მიუხედავად, არსებობს თუ არა ის სიწმინდე და სათნოება.

- დაგწყველის ღმერთი, - თქვა მისტერ დე სპეინმა. - გააკავეთ ვინმემ, მაცალეთ აქედან წასვლა. - ჰოდა, მამაჩემმა გვეინ ბიძია გააკავა, ვილაცამ კიდევ მისტერ დე სპეინს პალტო და შლაპა მოურბენინა და ისიც გაეცალა იქაურობას. გაუნი თურმე მტკიცედ ყოფილა გულდაჯერებული - ახლა კი უეჭველად ავტომობილის სირენა აკივლდებაო. მაგრამ სირენას ხმაც არ გაუღია. ყველაფერი მიწყნარდა. მხოლოდ გვეინ ბიძია იდგა და ჯერ თავისი, მერე კი მამაჩემის ცხვირსახოცი სისხლს იწმენდა სახიდან.

- ბრიყვო! ბრიყვო! - ეუბნებოდა მამაჩემი. - როგორ არ გესმის, რომ შენი ჩხუბი არ იქნება? რომ არ იცი, რა გაჩხუბებს?

- მერე, შენი აზრით, ვითომ სხვა ხერხიც არსებობს სასწავლებლად? - უთხრა გვეინ ბიძიამ.

შინ მიბრუნების მერე შეიძლებოდა კაცს ჟილეტიც გაგეხადა, საყელო ჰალსტუხიანად მოგეძრო და სახეზე სველი პირსახოცი მიგეფინა სისხლის შესაჩერებლად. ამ დროს საბაზანოში დედაჩემი შევიდა, ხელში ყვავილი ეჭირა, თაიგულიდან ამორჩეული წითელი ვარდი.

- აჰა, - უთხრა დედამ. - იმან გამოგიგზავნა.

- არ არის ეგ მართალი, - მიუგო გვეინ ბიძიამ. - შენი ყვავილია.

- შენ არ ამბობ მართალს, - უთხრა დედამ. - იმ ქალმა გამოგიგზავნა.

- არა, - თქვა გვეინ ბიძიამ.

- ესე იგი, უნდა გამოგიგზავნა! - უთხრა დედამ. მერე ატირდა თურმე; გაუნმა თქვა - ეხვეოდა გვეინ ბიძიას თუ მუჭებს უტყავუნებდაო, თან სლუკუნებდა და ეუბნებოდა: - სულელო! შე სულელო! რა შენი ღირსი არიან ისინი! არც ერთი არაა შენი ღირსი,

თუ გინდა ყველაზე ლამაზიც იყოს, თუ გინდა ისე იქცეოდეს, როგორც... როგორც ნამდვილი კახა! არავინ არაა შენი ღირსი, არავინ, არავინ!

ოღონდ იმ საღამოს მისტერ სნოუპსს მხოლოდ ეს კვალი კი არ დაუტოვებია ჯეფერსონის ცხოვრებაში, მის გამო კიდევ ერთ ცხვირს ადინეს სისხლი და ორი თვალი დაალურჯეს კიდევ. დედაჩემმა რომ თაიგულები მიიღო, იმათგან მეოთხე - გრენიე უედდელის გამოგზავნილი იყო. ისიც ბერბიჭა გახლდათ მისტერ დე სპეინივით. ესე იგი, იმგვარი ბერბიჭა, რომლებიც, გვეინ ბიძიას ნათქვამის თანახმად, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ბერბიჭობენ, სულერთია, შეირთავენ თუ არა ოდესმე ცოლს. იქნებ ამიტომაც არ გაჰყვა ცოლად სელოლი ჰეპტონი. ყოველ შემთხვევაში, ბეჭედი უკან გაუგზავნა და მორის პრისტს მისთხოვდა. ჰოდა, გვეინ ბიძიამ და მისტერ დე სპეინმა ის ამბავი რომ ატეხეს, რასაც მამაჩემი რაუნსველის პანიკას უწოდებდა, გრენიემ იფიქრა - ახლა კი დრო ვიშოვეო, და მისისპრისტს სტანდარტული საპანიკო ყვავილთა კონა კი არ გაუგზავნა უბრალოდ, სამი იმხელა სიდიდის თაიგული აახლა. შესაძლოა, მისის პრისტმა ის თაიგული მეჯლისზე სწორედ იმიტომ ვერ წამოიძღვანა, ნამეტანი დიდი რომ იყო. ყოველ შემთხვევაში, ყვავილები თან არ მოჰყოლია, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, გვეინ ბიძიამ და მისტერ დე სპეინმა ეზოში ადგილი რომ დაცალეს, გრენიე და მორის პრისტი სწორედ იქითკენ გაეშურნენ, და მერე გრენიე ნომერი პირველი ამოღურჯებული თვალით გამოვიდა იქიდან, ხოლო მორისი ცხვირგატეხილი დაბრუნდა შინ. ჰოდა, მეორე დილით სელოლი ქალაქში რომ გამოვიდა, ნომერი ორი ჩალურჯებული თვალი იმას დაუნახეს. მართალია, თავისი თაიგულით ვერ გაიბრწყინა ყველას წინაშე, მაგრამ იმ ჩალურჯებული თვალით კი გვარიანად გაიკვლეოდა. მთელ დილას ხომ დადიოდა და დადიოდა ქალაქში, ნასადილევისაგ გამოგომანდა, რათა ის ჩალურჯებული თვალი ყველას დაენახა, თუ ვერ ნახავდნენ, ამბავი მაინც მისწვდენოდათ მისი. კაცი იფიქრებდი, იმ თავისი ჩალურჯებული თვალით კიდევ ამაცობსო, - თქვა გაუნმა.

#### 4. ვ.ვ. რეტლიფი

კი, ნამდვილად ამაცობდა. მაგის მომთხრობელს დეიდამისისთვის რომ ეკითხა (იმ ორი ბიძისთვის კი არა, არც ბაბუასთვის, - რომელიმე ნათესავი ქალი რომ შეეწუხებინა,) ის მიახვედრებდა, რატომაც ეამაყებოდა სელოლის - ისეთი ქმარი მყავს, შეუძლია თვალი ამომიღურჯოსო, ჰოდა, ცოლიც ისეთი დავუდივარ, ჯერ კიდევ შემიძლია ჭკუიდან გადავაცდინოო.

ჰო, პირველი ჯეფერსონელი სნოუპსი ფლემი კი არ ყოფილა, მინკი იყო პირველი. რვა თვე იჯდა ჯეფერსონის საპყრობილეში, ვიდრე პარჩმეში გაემგზავრებოდა მუდმივ საცხოვრებლად ჯეკ ჰიუსტონის მოკვლისთვის. და ამ რვა თვეს სულ ის ფიქრი აწვალებდა - ხომ არ გადავცდიო.

არა, ჯერ ჰიუსტონის მოკვლის გამო როდი ეჭვობდა, ამ მხრივ კი იცოდა, რასაც სჩადიოდა. ჯეკი ქედმაღალი იყო, თანაც მარტოხელა კაცი, ჰოდა, ამნაირი შეხამება ვერაა კარგის მომასწავებელი; მარტოხელა იმიტომ გახლდათ, ახალგაზრდა ცოლი დაეღუპა, იმას კიდევ, ერთი რომ, კაი ხანს მიუწევდა გული იმ ქალისკენ, ვიდრე დაინარჩუნებდა, მეორეცაა და ქორწინებიდან წელიწადსაც არ გაევიდა, ისე გამოეცალა ხელიდან ცოლი; ხოლო ქედმაღლობით იმდენად ქედმაღალი იყო, ოთხ წელიწადშიც

ვერ აიძულა თავი, ის ქალი დაევიწყებინა. ანდა იქნებ სხვა რამეც იყო მიზეზი: ცოლთან ერთად ექვს-შვიდ თვეს იცხოვრა სულ, მის დანარჩუნებას კიდევ ექვსი-შვიდი წელიწადი მაინც მოანდომა, მეტი თუ არა. ჰოდა, შეადარეთ, ჩემო ბატონო, ექვსი-შვიდი თვე და ექვსი-შვიდი წელიწადი. დალუპვითაც ისე დაელუპა, უარესი რომ აღარც ითქმის: თავლაში წიხლების ცემით მოკლა სწორედ იმ წმინდა სისხლის ულაცის მამამ, რომლიდანაც ოთხი წლის მერე მინკმა ტყვიით ჩამოაგდო ჯეკი. ჰოდა, ცოლის დალუპვის მერე ჰიუსტონი უფრო პირქუში შეიქნა და ოთხ წელიწადს სულ იმას იგონებდა, როგორ მოხდა ის ამბავი. ასე რომ, კაცს ქედმაღლობა თუ მოსდგამს და თან გამოწყვეტილი დარჩება და სიქუშე მიეძალება, მერე და მერე ამპარტავნობაც ემატება და ემატება ხოლმე.

მაგრამ ფრანგისხვევლებმა კაი ხანია იცოდნენ, ამაყი კაცი რომ იყო, ისიც მოეხსენებოდათ, რანაირად გაუძნელდა ლიუსი პეიტის აღმზრდელთა დაყოლიება – ცოლად გამატანეთო. ასე რომ, მინკ სწოუპსს რომ არ გადასწყდომოდა, არაფერი უჭირდა საქმეს.

იმიტომ, რომ მინკი გულდრმო კაცი იყო, ერთადერთი სულით ხორცამდე დაბოლმილი სწოუპსი იყო იმათგან, ვისთანაც კი მოგვწევია შეხვედრა. შეშლილებიც ერივნენ სწოუპსებში, გულფიცხებიც – თოფის წამალივით რომ იფეთქებდნენ ხოლმე, იმ ბერიკაცის – ებისნაირი გადამბუგველნიც, ანდა უწყინარნი და უბოროტონი – ეკისმაგვარნი; თუმცა, კაცმა რომ თქვას, ეკი არც იყო სწოუპსთაგანი, რაც უნდა წაეგდო ენა დედამისს, ეკი სწოუპსების ბუნაგში დასაბადებელი არ იყო, ისე როგორც ბელურას არ მართებს ძერას ბუდეში გამოჩეკა; რეგვენიც ჰყავდათ სახლეულთაგანი ერთი, პირწმინდა რეგვენი – ა. ო. ოლონდ მანამდე არ შეგვხვედროდა ისეთი კაცი, ასე უანგაროდ და თანაც უნუგემოდ დაბოლმილი რომ ყოფილიყო.

იქნებ ამიტომაც იყო ერთადერთი ბოლმიანი სწოუპსი: გამორჩენით ვერაფერს გამორჩებოდნენ ისინი ამ ბოლმას. ოლონდ თავისი სახლიკაცის ა. ო-სი არ იყოს, ეტყობა, სიყვეყჩე ამასაც მოსდგამდა, თორემ ასე არ გადაცდებოდა არაფრით. არა, ჩემო ბატონო, იმას კი არ მოგახსენებთ, გადაცდენა ის იყო, ჰიუსტონს რომ ესროლა-მეთქი; იმას მოგახსენებთ, რომ მაინცდამაინც ისეთი დრო შეარჩია საამისოდ, როცა ფლემი ტეხასში იყო და თავლობის თვეები ჯერაც არ მოემთავრებინა. რასაკვირველია, კი იცოდა ის ამბავი, რომ ფლემი არ ჩამოზრუნებულიყო. ანდა იქნებ წინადღეს ისიც შეატყობინეს სწოუპსური უმავთულო ტელეგრაფით – სახვალიოდ ფლემი ფრანგისხვევში ამოზრუნდებოდა, ჰოდა, მერეღა გამოჩხრიკა ის თავისი დაჟანგული, მეათე კალიბრის ვაზნებით გასატენი თოფი, ბუჩქებში ჩაუსაფრდა და ცხენიდან ჩამოაგდო ჰიუსტონი. თუმცა რა ვიცი... იქნებ საიმდროოდ ყველაფერი სულერთი შეიქნა ამისთვის, ოლონდ კი ჰიუსტონი მიზანში ამოელო და თოფის გასროლისას ბიძგი ეგრძნო მხარში.

ერთი სიტყვით, ამნაირი საქმე მოახდინა ამ კაცმა, და, ეტყობა, როცა ჰიუსტონი გზისპირა ტალახში ეგდო უკვე, ჰოდა, მისი დაფეთებული. აღვირმომშვებული, ცარიელუნაგირიანი და უზანგებმოკონწიალე ულაცი უორნერის დუქნისკენ მიჭენაობდა, ვითომ იქ მომხდარი ამბის მიტანა ნდომებოდეს, ეტყობა, მაშინღა მიხვდა მინკი და ზარი დაეცა: ნამეტანი აჩქარებულიყო იმ საქმის მოსახდენად, რასაც აღარაფერი ეშველებოდა აწი. სწორედ ამიტომ შეეცადა, გვამი გადაემალა, მერე კიდევ თოფი წყალში მოისროლა და დუქანს მიადგა. ჰოდა, მერე, სანამ შერიფი ჰიუსტონის ძებნაში იყო, სულ იქ წრიალებდა, იმიტომ კი არა – შერიფმა კვალს მიაგნო თუ ვერ მიაგნო, არა, ჩემო ბატონო, იმას უცდიდა – ფლემი ტეხასიდან ჩამოზრუნდებოდა და გამოიხსნისო; ასე იყო ეს ამბავი, სანამ ჰიუსტონის ძაღლმა იმ მადიებლებს გვამი არ

მიაკვლევინა, ვიღაც მეთევზეებმა კიდევ წყალში თოფი იპოვეს და ყველამ ის თქვა – მინკის თოფი არისო, იმიტომ, რომ იმნაირი თოფი სხვას ვერაფრით ვერ ექნებოდა.

ჰოდა, მაშინ ბოლმამ და ნაწყენობამ – ეს რა უსამართლობა ხდება, რანაირი დალატიაო – სულ გაუტეხა გული კაცს, რადგან ასე დაასკვნა თუ ასე მოისაზრა, ერთი სიტყვით, იფიქრა: ეტყობა, ფლემმა ჰიუსტონის მოკვლის ამბავი გაიგო და განგებ არ ბრუნდება ფრანგისხევში, საერთოდ, მისისიპიში, ჩემი მოშველება რომ არ დასჭირდესო. არა, გულის გატეხა არც ეთქმოდა ამ ამბავს, ჩვეულებრივი ბოლმა იყო და ნაწყენობა: ამას უნდოდა ფლემ სნოუპსისთვის დაემტკიცებინა – მეც ფეხებზე მკიდიხარო; შერიფი საპყრობილისკენ რომ მიამგზავრებდა ხელბორკილიანს, დრო მოიხელთა, გადასახურის ორ კადონს შუა კისერი გააძვრინა და მერე ფეხებისა და ტანის გადმოთრევასაც შეეცადა, ვიდრე არ იმარჯვეს და უკან არ შეათრიეს ეტლში.

ოღონდ ის იყო, რომ აღშფოთებაც, წყენაც, გულის გატეხაც დიდხანს არ გაჰყოლია. ალბათ გულისხმას მოვიდა – უნდა მოთავდესო ეს ამბავი, და, ეტყობა, გაიხარა კიდევ, ყოველივე მართლა რომ მოთავდა და სიმშვიდეც და საღი გონებაც ხელახლა დაუბრუნდა. ახლა ისლა დარჩენოდა, საპყრობილეს უკეთ შეწყობოდა და ფლემ სნოუპსის დაბრუნებას დალოდებოდა, რადგან ფლემ სნოუპსი რომ ფლემ სნოუპსია, იმასაც შეეძლო სამუდამოდ გადაკარგულიყო, თუნდაც სათაფლობისთვეოდ და თუნდაც ტეხასში.

ასეც მოიქცა. იჯდა თავისთვის საკანში, ზედა თაროზე (აბა, რა, ნაღდი, პირველხარისხოვანი მკვლელი გახლდათ, ვიღაც კარტის მოთამაშე ზანგი კი არა, ასე რომ, სამუშაოდ ეს არ გაჰყავდათ), იჯდა და მოუთმენლობაც არ ემჩნეოდა; სარკმელს მიადგებოდა ხოლმე, გისოსებს ხელს ჩასჭიდებდა და იმ ქუჩას, იმ ტროტუარს გამზერდა, საიდანაც ფლემი მოედანზე უნდა გამოსულიყო. პირველი თვე ისე გაილია, არავითარი მოუთმენლობა არ დასტყობია, მეორე თვესაც არ წუხდა მაინცდამაინც, თუმცა ბრალდება უკვე წაყენებული ჰქონდა; ხანდახან თუ შეეხმიანებოდა რომელსამე გამვლელს – ფლემი ხომ არ ჩამობრუნებულაო; მეორე თვის მიწურულშიდა იფიქრა – ეტყობა, ჯერ არ ჩამოსულაო, ასე რომ, გამვლელებს ახლა იმას გასძახოდა: ბილ უორნერს გადაეცით ფრანგისხევში – ჩამოვიდეს და მნახოსო.

ჰოდა, გასამართლებამდე ორი კვირის მეტი რომ აღარ იყო დარჩენილი და მაინც, კაცს არ მოუკითხავს ამისთვის, არც ბილ უორნერს და არც სხვა ვინმეს, მაშინ კი იაზრა: ვერაფრის დიდებით ვერ დავიჯერებ, რომ ფლემი აქამდე არ ჩამობრუნებულაო, ისაა, რომ იმ ხალხს, ვისაც სარკმლიდან გავძახოდი, ჩემი თხოვნის გადაცემა არც უფიქრიაო. ჰოდა, რაკი ახლა ღამდამობით ცოტა ხანს ეძინა ხოლმე (შეიხედავდი ამის საკანში კაცი და მოჰკრავდი თვალს: ზედა თაროზე, გისოსებს მიღმა სიბნელე იდგა, მაგრამ ქუჩის ფარნის სინათლე აჩენდა თეთრ ლაქას – ამის სახეს, და ორ ლაქას კიდევ – გისოსებისთვის ჩაჭიდებულ ხელებს), საიმისო დრო ბევრი ჰქონდა, რომ ასე მდგარიყო და თუ გინდა დილამდე დალოდებოდა, როდის ჩაივლიდა ისეთი ვინმე, ვისაც ანდობდა თავის დასაბარებელს: რომელიმე ყმაწვილი, ვთქვათ, სტივენსების ბიჭის (იურისტ სტივენსის ძმისწულის) მაგვარი, ვინმე ისეთი, უფროსებს ჯერ რომ არ გაეთახსირებინათ, ამის მტრად არ ექციათ ჯერ. ჩურჩულით შეეხმიანებოდა ხოლმე ასეთებს, ბოლოს ისინიც შეჩერდებოდნენ და ამოხედავდნენ, ეს კიდევ ჩურჩულსვე დაადევნებდა შიშით უკუქცეულებს:

- ყმაწვილებო! ბიჭებო! ეი, თქვენ, მანდ! ათი დოლარი არ გინდათ? ჰოდა, გადაეცით ფრანგისხევში ფლემ სნოუპსს, ასე უთხარით - შენი ბიძაშვილი მინკ სნოუპსი რომ არის, იმან შემოგიტვალა, ჩქარა ჩამოდი-თქო, გესმით, ჩქარა-თქო!

ასე გახლდათ ეს ამბავი იმ დილაამდე, სასამართლომდე. შემოიყვანეს თუ არა ხელბორკილიანი, თვალები ააცეცა, იქაურობა მოათვალიერა, კიდეც და კიდეც წაიგრძელა კისერი, უყურებდა, როგორ შემოჭედულიყო ხალხი, როგორ მოძვრებოდნენ და მოძვრებოდნენ, თუმცა დასაჯდომი ადგილი აღარსად მოიძებნებოდა უკვე; ასე იყო მიშტერებული, ვიდრე მსაჯულებს აფიცებდნენ, სკამზე შედგომაც კი დააპირა, ვითომ - უკეთ დავინახო, სანამ ძალით არ ჩამოათრიეს; მდივანი უკვე საბრალდებო აქტს კითხულობდა, ჰოდა, ეს კისერს იგრძელებდა ისევ, წრიალებდა, ვიდრე ბოლოს არ შეეკითხნენ - თავს დამნაშავედ თუ ცნობთ?

მაშინ ხელახლა აძვრა სკამზე, შეჩერებაც ვერ მოასწრეს, სასამართლოს დარბაზის ბოლოში ჩარიგებულ სახეებს გახედა და აღმოთქვა:

- ფლემ!

ამასობაში მოსამართლემ ჩაქუჩი ააკაკუნა, სასამართლოს მიერ მისთვის დანიშნული ვეჯილიც წამოვარდა, მდივანიც აყვირდა - სიწყნარე დაიცავითო.

ოღონდ მინკი მაინც თავისას გაიძახოდა:

- ფლემ! ფლემ სნოუპს!

მაშინ თავად მოსამართლე გადმოიხარა ამისკენ და მიმართა:

- ეი, თქვენ! სნოუპს! - ვიდრე ბოლოს და ბოლოს მინკიც არ მიუბრუნდა და არ შეხედა. - ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?

- რაო? - იკითხა მინკმა.

- თქვენ მოკალით თუ არა ჯეკ ჰიუსტონი? - უთხრა მოსამართლემ.

- ხელს ნუ მიშლით! - მიუგო მინკმა. - ვერ ხედავთ, საქმე რომ მაქვს? - ამის თქმა იყო და ისევ შებრუნდა იმათკენ, იმ ხალხისკენ, ვინც იმის შესატყობად იყო მოსული - ერთიც ვნახოთ და არ ჩამოახრჩონო; რადგან, თუმცა იმას კი ამბობდნენ - ჭკუიდან გადამცდარი არისო, მაინც, რაკი თვითონვე მოისურვა ეს ამბავი, თვითონვე ჩამოიხრჩო კინალამ თავი, ისე გამოდიოდა, რომ სასამართლოს მისივე გულისწადილი უნდა შეესრულებინა. ჰოდა, იდგა და გასძახოდა: - ეი, რომელი ხართ მანდ! რომელს გყავთ მანქანა? უორნერის დუქანში გავარდით ახლავე და ფლემ სნოუპსს დამიძახეთ! რასაც ეტყვით, გადაგიხდით ის კაცი, აქეთ დაგისართავთ კიდეც - ათ დოლარს მოგიმატებთ, ოცს მოგიმატებთ...

შარშანდელ ზაფხულს იურისტს რაღაც უნდა მოემოქმედა, ოღონდ ის არ იცოდა, რისი გაკეთება მართებდა მაინც. ახლაც უნდა მოემოქმედა რაღაცა, ოღონდ ახლა მისთვის უკვე სულერთი იყო, რასაც მოიმოქმედებდა. არა მგონია, ძებნით ეძებნოს რამე. ჩემი შეტყობით, ისე, ალაღბედზე გაიწოდა ხელი და რაღაცას ჩაეჭიდა, სიფთაზევე ხელში მოხვედრილ საქმეს; ჰოდა, შემთხვევით ეს აღმოჩნდა იმ სპილენძის ნაწილების საქმე, რომლებიც, კაცმა არ იცის, სად იკარგებოდა ელექტროსადგურიდან და რომელთა



ამბავიც მთელ ჯეფერსონს, ფლემ სნოუპსის ჩათვლით, - კი, ჩემო ბატონო, სწორედ ფლემ სნოუპსის ჩათვლით, - სურდა სამუდამოდ დაევიწყებინა თუნდაც სულ უბრალო ზრდილობის გამო.

როგორც შტატის პროკურორმა, ეს საქმე რომ აღძრა, იურისტმა სააქციო კომპანიისა და მერ დე სპეინის წინააღმდეგ, ბრალად რომ დასდო სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და დანაშაულებრივი თანამონაწილეობა, ერთი სიტყვით, რაც ჰქვია ამ ამბავს იმათ ენაზე, ჩვენ ყველამ, რასაკვირველია, ის ვიფიქრეთ - ალბათ იმას აპირებს, მივიდეს და ეს ქაღალდები მანფრედ დე სპეინს საწერ მაგიდაზე დაულაგოსო. ოღონდ შევცდით ყველანი: მერ დე სპეინთან გარიგებას ახლაც ისევე არ აპირებდა თურმე, როგორც იმ სადამოს კოტილიონის კლუბის ეზოში, როცა მისმა სიძემ უთხრა - ჩხუბი რა შენი საქმეა, რომ არ იცი, რა გაჩხუბებსო. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ეს ამბავი იურისტს თავადაც კარგად მოეხსენებოდა, რადგან ოცდაორი წლის, იქნებ ოცდასამისაც იყო უკვე. დე სპეინისგან არაფერი არ უნდოდა, იმიტომ, რომ თვითონ არც იცოდა, რა იყო ის რაღაც, ერთადერთი რამ, რაც დე სპეინს მიმადლებული ჰქონდა და იურისტს ესაჭიროებოდა, ვიდრე მამამისმა არ აუხსნა იმ უკანასკნელ დღეს.

ჰოდა, აღძრა საქმე იურისტმა. მალე დილის მატარებელს სააქციო კომპანიის მიერ მოვლენილი ახალგაზრდა კაცი ჩამოჰყვა, კოხტა ქალაქური კოსტიუმი ეცვა, კოხტა ქალაქური ჩემოდანი ეჭირა ხელში. ჩამოვიდა და ჯერ ის თქვა - აბა, მეგობრებო, ერთი თქვენი ჩინებული ვისკი გადავკრათ და მოვსინჯოთ, ამ საქმეზე იქნებ კიდევ მოვრიგდეთო. მერე კი მთელ დღეს წრიალებდა დაფეთებული, საქალაქთაშორისო ტელეფონით რეკავდა და რეკავდა, შუალედებში კიდევ იმ ორ ზანგ ცეცხლფარეშს ელაპარაკებოდა - ტომ-ტომ ბერდს და ტომის ტერლ ბიუჩემს, თანაც იმას უცდიდა, როდის ჩამობრუნდებოდა საიმდროოდ უცებ მეზობელ ოლქში სტუმრად გამგზავრებული ფლემი.

მერე, ჩემო ბატონო, მესამე დღეს სააქციო კომპანიის ერთი წარმომადგენელი კიდევ ჩამობრძანდა, ეტყობა, ნამეტანი დიდი კაცი, - თმაც გასჭადრაკებოდა, პულმანის ვაგონითაც ემგზავრა, ზოლიანი შარვალი ეცვა, საათის ოქროს მეწკვი იმსისხო ეკონწიალებოდა, მორებს გადაათრევდი იმით კაცი; სათვალევ ოქროსი ეკეთა, კბილის საჩიჩქნიც კი ოქროსი ჰქონდა, ჰოდა, სერთუკიანი იყო, შლაპიანი; ერთი სიტყვით, იმხელა ბობოლა გახლდათ, სადამოსთვის ჰოლსტონის სასტუმროში ერთ ჭიქა წყალსაც აღარავინ მოგადირსებდათ, იმიტომ, რომ ყველა ოფიციალტი და ყველა მსახური იმის კართან იყო დაყუდებული, იმას ემსახურებოდა; მოკლედ, რომ მოესურვებინა, სახვალიოდ ნებისმიერ ჯეფერსონელ ზანგს აახლებდნენ, თუკი იმას მოიფიქრებდა, რით დაესაქმებინა ამდენი ხალხი. მიმართვით კიდევ ყველას ასე მიმართავდა: „ჯენტლმენებო, ჯენტლმენებო, ჯენტლმენებო“. ჰოდა, ჩვენი მერი დე სპეინი იქ გამოცხადდა, სადაც მრგვალ მაგიდას მისხდომოდნენ ყველანი, გაიცინა და მერე თქვა:

- ბოდიშს ვიხდი, მაგრამ წასასვლელი გახლავართ. ჯეფერსონი რომ ჯეფერსონია მისისიპის შტატში, იმის მერსაც უხდება ზოგჯერ წამუშავება.

ჰოდა, იურისტი სტივენსი მშვიდად იჯდა, სახეზე გადაფითრებულიყო და შესახედადაც ზუსტად იმნაირი გახლდათ, როგორც იმ სადამოს, თავის სიძეს რომ უთხრა - შენი აზრით, ვითომ სხვა ხერხიც არსებობს ჩხუბის სასწავლებლად?

ფლემ სნოუპსი ჯერაც არ ჩამობრუნებულიყო, მოძებნითაც ვერსად მოეძებნათ, - ეტყობა, მოგზაურობდა, ტყეში მიდი-მოდიოდა სადმე, უტელეფონო ადგილებში; ჰოდა, იმ ბოზოლა მოხელემ, თეთრყილეტიანმა, კბილის საჩიჩქინც ოქროსი რომ ჰქონდა, ბრძანა: დარწმუნებული ვარ, მისტერ დე სპეინი სიამოვნებით გადადგება, მოდი, დავთანხმდეთ მის გადადგომას და ამით მოვათათო, ყოველგვარი უსიამოვნება დავივიწყოთ. ამაზე იურისტმა სტივენსმა მიუგო: დე სპეინი კარგი მერია, მისი გადადგომა სულაც არ გვინდაო. მაშინ თეთრყილეტიანმა: აბა, რა გნებავთ? თქვენ იმის დამტკიცება მოგიხდებათ, რომ ჩვენი კლიენტის წარმომადგენელმა ნამდვილად მოიპარა სპილენძის ნაწილები, საბუთად კი იმ ორი ზანგის ნათქვამის მეტი არაფერი მოგეპოვებათ, იმიტომ, რომ თავად მისტერ სნოუპსი ქალაქიდან წასულიაო.

- კი, მაგრამ წყალსაწნევი ავზი ხომ არსად წასულა, - უთხრა იურისტმა სტივენსმა. - ხომ შეგვიძლია დავცალოთ ის ავზი.

მაშინ, როგორც თვითონ ამბობდნენ, ქალაქის საბჭოს წევრთა საგანგებო სხდომის მოწვევა მოუხდათ. ჰოდა, ამის მაგივრად რაღაც საჯარო თავყრილობა გამოუვიდათ, ისეთი, სილამაზის დედოფალს რომ ირჩევენ ხოლმე; რვა საათიდან სასამართლოს შენობაზე ზარი რეკავდა, გეგონებოდათ, მართლა დამის სხდომისმაგვარი რამე ყოფილიყოს დანიშნული, მოდიოდა და მოდიოდა ქუჩებში ხალხი, მოედანზე იკრიბებოდა, თან გაუჩერებლად ხუმრობდნენ, იცინოდნენ ყველანი. მერე იმათ დაასკვნეს - მერის კაბინეტში ამ ხალხის ნახევარიც ვერ დაეტევო, და სხდომათა დარბაზში გადაინაცვლეს, ვითომ სასამართლო დაწყებულიყოს.

იანვარში ხდებოდა ეს ამბავი; იმ საშობაო მეჯლისის მერე სამი კვირა თუ იქნებოდა გასული, მეტი არა. ჰოდა, მოწმეები რომ გამოვიდნენ, მაშინაც კი კაცი იფიქრებდა - მასხრობა არისო ეს ყველაფერი, რადგან უმრავლესობა სეირის საყურებლად მოსულიყო. ვიღაცამ მოსამართლის ჩაქუჩი ააკაკუნა მაგიდაზე, ვიდრე სიცილი და ოხუნჯობა არ მიწყნარდა, და მაშინ ქალაქის საბჭოს ერთმა წევრმა დაიწყო:

- არ ვიცი, რა დაჯდება იმ ავზის დაცლა, მაგრამ, მიწა გამისკდეს...

- სამაგიეროდ, მე ვიცი, - იურისტმა სტივენსმა უთხრა. - გავიკითხე უკვე. სამას ოთხმოც დოლარად შეიძლება დამხმარე ცისტერნა აშენდეს და წყალი იმაში გადაიქაჩოს, მერე ისევ მთავარ ავზში გადმოისხას წყალი და დამხმარე ცისტერნა დაირღვეს. ჰოდა, ავზში ჩამრომა და შემოწმება არაფერი დაგვიჯდება - მე თვითონ ჩავძვრები შიგ.

- კარგი, - თქვა ქალაქის საბჭოს იმავე წევრმა. - ოღონდ მაინც, მიწა გამისკდეს, თუ...

- კეთილი, - თქვა იურისტმა სტივენსმა. - მე გადავიხდი ყველაფერს. - ჰოდა, სააქციო კომპანიიდან მოვლინებული ბატონი, ის, თეთრყილეტიანი, ამბობდა: „ჯენტლმენებო, ჯენტლმენებო, ჯენტლმენებო“. ამასობაში მეორე წამოვარდა, ახალგაზრდა კაცი, და აღრიალდა:

- ვერ ხვდებით, მისტერ სტივენს? ხვდებით თუ ვერა? სპილენძის ნაწილები რომ იპოვოთ იმ ავზში, სულერთია, დანაშაულის შედგენილობა მაინც არ გექნებათ, იმიტომ, რომ ის ნაწილები ქალაქის ქონებაა.

- მაგაზეც ვიფიქრე, - მიუგო იურისტმა. - სპილენძის ნაწილები ისედაც ქალაქს ეკუთვნის, ავზი რომ არ დავცალოთ, მაინც, ოღონდ სადაა ის ნაწილები?

ამაზე იმ ახალგაზრდამ, სააქციოდან ჩამოსულმა:

- მომითმინეთ! მომითმინეთ! მაგისას არ ვამბობ! მე იმისას მოგახსენებთ, რომ, რაკი სპილენძის ნაწილები სახეზეა, ესე იგი, დანაშაულის შედგენილობაც არ არსებობს, ესე იგი, ის ნაწილები არასოდეს მოუპარავთ.

- კი, მაგრამ ტომ-ტომ ბერდი და ტომის ტერლ ბიუჩემი ამბობენ - მოვიპარეთო, იმიტომ, რომ თვითონ გაზიდეს ის ნაწილები, - თქვა იურისტმა.

ამასობაში ქალაქის საბჭოს ორი წევრი ერთად აყაყანდა. მოიცა, მოიცაო, - ორივე გაჰყვიროდა, ვიდრე უფრო მაღალხმიანმა, ჰენრი ბესტმა არ აჯობა.

- კი, მაგრამ, გევინ, ვის ადანაშაულებ? ვითომ ის ზანგებიც მანფრედის დაყენებულები არიან?

- დანაშაული არ დასტურდება, ბატონო! ჩვენ ვიცით, რომ სპილენძის ნაწილები ავზშია, ზანგები თვითონ არ ამბობენ - ავზში გადავუძახეთო? - იყვირა სააქციოდან ჩამოსულმა ახალგაზრდამ. ის მეორე კიდეც, უფროსი, თეთრჭილეთიანი, იმეორებდა და იმეორებდა: „ჯენტლმენებო! ჯენტლმენებო!“ - გეგონებოდათ დიდი დოლი ბუბუნებსო შორიდან, ოღონდ ყურადღებასაც აღარავინ აქცევდა. ჰენრი ბესტი აღრიალდა:

- მაცალეთ, დაგწყევლით ღმერთი! - იმხელა იღრიალა, ყველანი ჩაჩუმდნენ, მერე ჰენრიმ თქვა: - ის ზანგები კი გამოტყდნენ - სპილენძის ნაწილები მოვიპარეთო, მაგრამ, ვიდრე ავზს არ დავცლით, ქურდობის არავითარი საბუთი არ გვექნება. ასე რომ ჯერჯერობით შეგვიძლია ვიფიქროთ - იმ ზანგებს არაფერი მოუპარავთო. ჰოდა, ავზი თუ დავცალეთ და ის დაწყევლილი სპილენძი მოვიძიეთ, მაშინ გამოვა, რომ იმათ მოუპარავთ და ქურდობაში არიან დამნაშავენი. ოღონდ სპილენძის ნაწილები ავზში თუ აღმოჩნდა, ისიც ხომ გამოვა, რომ არაფერი მოუპარავთ. იმიტომ, რომ სპილენძის ნაწილები არამცთუ ქალაქის საკუთრებად იქცევა ხელახლა, არამედ იმ ნაწილებს აქამდეც არ შეუწყვეტიათ ქალაქის საკუთრებად მყოფობა. დასწყევლოს ღმერთმა, გევინ, ნუთუ ამის დამტკიცებას აპირებთ? კი, მაგრამ რა ეშმაკად გინდათ ეს ამბავი? რა ეშმაკად?

ჰოდა, იურისტი სტივენსი იჯდა თავისთვის წყნარად, ხმის გაუღებლად, აუზღვრველი სახე მიტკალივით გადათეთრებოდა. ჩხუბი იქნებ არ იცოდა ჯერ, მაგრამ არც ისეთი წესი სმენოდა სადმე - სინჯვაც აკრძალულიაო.

- მართალია, - თქვა მან. - თუკი ავზში არის სპილენძის ნაწილები, ქალაქის მვირად ღირებული ქონება, ქალაქის ერთ-ერთი მოსამსახურის მხრივ ხელის შეშვებისა და მიჩქმალვის შედეგად იმ ავზში უკანონოდ გადაადგილებული, მაშინ, ის ნაწილები კიდეც რომ მოიძებნოს, სახეზეა დანაშაულის ჩადენის მცდელობა ქალაქის ერთ-ერთი მოსამსახურის მხრივ ხელის შეშვების ვითარებაში. მაგრამ იმ ავზს, per se (თავისთავად (ლათ.)) , აგრეთვე იმ ფაქტს - არის თუ არა მასში ის სპილენძის ნაწილები per se, არც აქვს მნიშვნელობა. გარნა ჩვენ ვკადნიერდებით და პატივცემული სააქციო საზოგადოების ყურადღებას შემდეგ კითხვას მივაპყრობთ. სახელდობრ რაგვარი ბოროტმოქმედება ჩაიდინა ქალაქის პატივცემულმა მერმა? სახელდობრ რაგვარ ბოროტმოქმედებას და ვის მიერ ჩადენილს მფარველობს ჩვენი ქალაქის უმთავრესი მსახური? - ოღონდ იურისტმა თვითონაც არ იცოდა, რა უნდოდა.

და როცა ხვალინდელ დღეს მამამისმა აუხსნა - შენი საქციელის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედ ესა და ეს გინდაო, და იურისტი ვითომ დაეთანხმა კიდევ მამამისს, მაინც სხვა რამე გახლდათ ეს ამბავი.

ჰოდა, მაშინ მეტს ვედარაფერს ეწივნენ ისინი, ისლა ბრძანეს - ამ საქმეს უბრალო მოყვარულთა ჯგუფი, ქალაქის საბჭოს წევრთა კრებისნაირი, ვერაფრისდიდებით ვერ გადაწყვეტსო. ამ საქმის გადაჭრა პროფესიონალს, ნამდვილ, უტყუარ მოსამართლეს მართებდა. სურდათ თუ არა ეს ამბავი, ისეთ ჩიხში მოემწყვდნენ, სასამართლოს გარეშე თავს ვედარაფერს მოაზამდნენ. მე არც კი ვიცოდი, მსაჯული დიუკინფილდი თუ ხალხში იჯდა, ვიდრე ჰენრი ბესტი არ წამოდგა და მთელ დარბაზს არ გადააწვდინა ხმა:

- მოსამართლე დიუკინფილდო! აქ არის თუ არა მოსამართლე დიუკინფილდი?

ჰოდა, მოსამართლე დიუკინფილდი უკანა რიგში წამოდგა და თქვა:

- დიახ, ჰენრი?

- ეტყობა, მოგვიწევს დახმარება გთხოვოთ, მსაჯულო, - უთხრა ჰენრიმ. - მგონი, ჩვენზე ნაკლებად არ მოვისმენიათ, რაც აქ ითქვა, და, იმედია, ჩვენზე უკეთესად კი მიხვდებოდით, როგორცაა საქმე.

- კეთილი, კეთილი, - თქვა მოსამართლე დიუკინფილდმა. - ხვალინდელ სხდომაზე, დილის ცხრაზე მოვისმენთ ამ საქმეს. ჩემი ფიქრით, არც მოსარჩელეს და არც მოპასუხეს დღეს აქ გამოსულთა გარდა სხვა დამცველები არ დასჭირდებათ, ოღონდ, თუკი მოისურვებენ, შეუძლიათ მოიწვიონ დამატებითი მოწმეები, თუ - სეკუნდანტებიო, ასე უნდა მეთქვა?

ამის მერე ყველანი ლაპარაკ-ლაპარაკით, ხუმრობითა და სიცილით წავედ-წამოვედით; არც ერთის მხარე არ დაგვიჭერია, ისე, პრინციპის გულისთვის ვიყავით ყველანი იმ უცხოების, სააქციო კომპანიიდან მოვლენილების წინააღმდეგნი მხოლოდ იმიტომ, გარეშენი რომ იყვნენ ისინი ჩვენთვის; ჰოდა, იმ ამბისთვის ყურადღებაც არ მიგვიქცევია, რომ იურისტს მისი ტყუპისცალი და გვერდში ამოსდგომოდა, ვითომ მცველი ყოფილიყოს მისი და თითქოს ჰენრი ბესტისთვის ნდომოდეს თქმა - ახლა ხომ მოისვენებთ, იქნებ ჩემს ძმას ახლა მაინც დაეხსნათო. არც ბიჭისთვის მიგვიქცევია ყურადღება, - ვერ გავარჩიე, რომელი იყო, ხალხში რომ გამძრა-გამომძრა და მაგიდასთან მისულმა რაღაცა გადასცა იურისტს, ჰოდა, იურისტმაც ხელიდან გამოართვა; არც ის გაგვიგია, რომ სადამოს კრებასა და ხვალინდელ დილას შორის ისეთი რაღაც მოხდა, რაც ვერაფრის დიდებით ვერ შევიტყვეთ და, მე ასე მგონია, ვერც ვერასოდეს შევიტყობთ; წავედ-წამოვედით სახლებში თუ ჩვენ-ჩვენს საქმეზე, მოედანი დაცარიელდა, ოღონდ რკინა-კავეულის დუქნის თავზე, სადაც იურისტის და მამამისის კაბინეტი იყო, ერთი ფანჯრიდან კიდევ გამოდიოდა შუქი. ჰოდა, ჩემო ბატონო, იჯდა ის კაცი იქ მარტო, - რაღა თქმა უნდა, თუკი მართლა იქ იჯდა და თუკი მართლა მარტო იყო, - და, როგორ ითქმის? - განსცდიდა სულსა თვისსა.

## 5. გვეინ სტივენსი

პოეტები, ცხადია, მართალს არ ამბობენ. იმათ რომ მივუგდოთ ყური, მე ის კი არ უნდა მცოდნოდა მხოლოდ, თუ ვინ გამომიგზავნა ბარათი, ისიც უნდა მეგრძნო წინასწარ – აი, ახლა ბარათს მომიტანენ–მეთქი. სინამდვილეში კიდევ უცბად ვერც კი მივხვდი, ვისი იყო ის ნაწერი, რომ წავიკითხე, მას შემდეგაც. ოღონდ პოეტები ხომ თითქმის ყოველთვის ცდებიან, როცა კი ფაქტებს შეეხება საქმე. იმიტომ ცდებიან, რომ ფაქტები, კაცმა რომ თქვას, არც აინტერესებთ: იმათ სიმართლე აინტერესებთ მხოლოდ. სწორედ ამიტომ მათ მიერ ნაუბარი სიმართლე იმდენად მართებულია, რომ იმათაც კი, ვისაც რაღაცნაირი თანდაყოლილი, პრიმიტიული სიძულვილით ჰყავთ პოეტები მოძაგებული, ეს სიმართლე აღტაცებითა და ძრწოლით აღავსებს ხოლმე.

არა, არაა ეს მართალი. ეს იმის გამო ხდება, რომ სასოებით ყოფნას ვერ ბედავ, გეშინია სასოებით ყოფნისა. იმედის იმ სიღრმისა კი არ გეშინია, რომლის ძალიც შეგწევს, იმის გეშინია, რომ შენ – სისხლისა და ხორცისგან შეთხზული მყიფე ჩიტბადე, სადაც ძილგამკრთალი ოცნებებითა და სასოებით ფანცქალეზს ეს მიკმენდილი, მფრთხალი, უნაპირო გულისთქმა, – ვერ შეძლებ ამ ნდომის შესრულებას; რეტლიფი ასე იტყოდა: იმიტომ, რომ იცი – არასდროს გეყოფა საიმისო ვაჟკაცობა, რათა ისეთი ზიანი მიაყენო, ისეთი ზარალი დაატეხო, როგორსაც დაატეხდი, ნაღდი მამაკაცი რომ ყოფილიყავიო; აქ ისიც შეეძლო დაემატებინა, ანდა მე დავსძენ მის ნაცვლად – ჰოდა, ღმერთს მაღლი შესწირე, ასე რომ არისო. ო, დიახ, მაღლი შესწირე ღმერთს, მაღლი მიუძღვენი ყოველივე იმისთვის, რასაც სიმშვიდე დაგიმკვიდრებს, როცა ერთობ გვიან იქნება უკვე: და მაშინ დამცხრალი იმ მყიფე ჩიტბადესაც დაინანავებ მუხლებზე, იმ ძილგამკრთალ, პერობილ კაეშანსაც, და ჩურჩულით ამეტყველდები: „კმარა, კმარა, გაივლის ეს ყველაფერი; ვიცი, გაუძლებ, ვიცი, გულმაგარი რომ ხარ“.

კაბინეტში რომ შევედი, პირველ ყოვლისა ყველა ნათურა ავანთე: იანვარი რომ არ ყოფილიყო, ოცდაათგრადუსიანი ყინვა რომ არა, კარსაც გავაღებდი და მოფრიალებულს დავტოვებდი – ეს იქნებოდა კიდევ ერთი გამოვლინება იმ ქალის წმინდა სახელის დასაცავად მისისიპელი ჯენტლმენის მხრივ სათუთი ზრუნვისა და მაშინვე გავიფიქრე: ღმერთო ჩემო! გაჩახჩახებულია ყველაფერი, ხომ მთელი ქალაქი დაგვინახავს! – კი ვიცოდი, რომ გროვერ უინბუში (ჩვენი ქალაქის კონსტებლი) ამწუთას ამოიჭრებოდა ჩემთან, ვითომ მე დამეძახებინოს, რადგან, მარტო მაგიდის ნათურა რომ ყოფილიყო ჩართული, იფიქრებდა – ზის და მუშაობსო, და დამეხსნებოდა, მაგრამ ამ გაჩირადნებული ოთახის შემხედვარე უეჭველად გამომეცხადებოდა – მოულოდნელი სტუმრის შესასწრებად კი არა, ისე, წასამასლაათებლად.

ასე რომ, უნდა წამოვმხტარიყავი, ზედა შუქი გამომერთო იმის მცოდნეს, რომ, წამოვდგებოდი თუ არა, სავარძლის სახელურებს ჩაჭიდებულ თითებს დავხსნიდი თუ არა, უეჭველად გავიქცეოდი, შინისკენ გავიძურწებოდი, მეგისკენ, – დედაჩვენის გარდაცვალების შემდეგ მეგი სულ იმას ცდილობდა, დედობა გაეწია ჩემთვის და შესაძლოა ოდესმე მექცეს კიდევ დედად. ჰოდა, ვიჯექი და ვფიქრობდი – იმის შესაძლებლობა და დრო მქონდეს–მეთქი, რომ როგორმე შევატყობინო, ავუხსნა, დავუკავშირდე იმ ქალს, სადაც უნდა იყოს ახლა სახლიდან ჩემკენ მომავალი, – რომ შემემძლოს–მეთქი რეზინისლანჩიანი, უჩუმრად საბიჯებელი ფეხსამოსი შევახსენო, თალხი მოსასხამი და თავშალი, უჩინმაჩინად მქცეველი; არადა, იმასაც ვხვდებოდი – უჩუმრად საბიჯებელი ფეხსაცმლის და თალხი თავსაბურავის გახსენებაც კი საბოლოოდ გამორიცხავდა, აქარწყლებდა მათი მოხმარების საჭიროებას, რადგან მაშინ მე იქნებ არც

შევცვლილიყავი, რაც ვარ, იმადვე დავრჩენილიყავი, ოღონდ შიშის, ხვაშიადობის, გატრუნვის უღირსსა და გამქელველ გრძობას მინებებული ის ქალი საბოლოოდ დაკნინდებოდა.

ასე რომ, კიბეზე მისი ფეხის ხმა რა შემომესმა, ისიც არ მიფიქრია - თუ ღმერთი გწამთ, ფეხზე გაიხადეთ, ან ფეხის წვერებზე მაინც იართ-მეთქი. ეს არა და სხვა რამე კი გავიფიქრე: „როგორ წყნარად მობაკუნობს ქუსლებზე, თითქოს სულ უბრალოდ, ჩვეულებრივად იძვროდეს, მაშინ როცა ვაგნერის მუსიკად უნდა მოედინებოდეს, მუსიკის თანხლებით კი არა, მუსიკის წიაღშივე, გრგვინვის თუ სპილენძის საყვირთა აჟღერებულ ნაკადში, როდესაც მთელი სხეული ბგერათა დინებას, ქარიშხლისა და ძალოვანი არფების ხმას არის შეწყობილი“. მერე ვიფიქრე - რაკი თვითონვე გადაწყვიტა, სწორედ აქ დაენიშნა ჩემთვის ასე თუ ისე საიდუმლო და გვიანი პაემანი, თვალეში მაინც უნდა შემომხედოს-მეთქი. მანამდე არ შემოუხედავს ჩემთვის. იქნებ საერთოდ ვერც კი მხედავდა, ვიდრე მე ვტუტუცობდი, რათა მისი ყურადღება მიმეპყრო, მის წინაშე მალაყებს გადავდიოდი, ქუჩაში ჭიკარტებით ვცელქობდი საძაგელი ბიჭვით, თანაც პატიოსნად მოქრთამვას კი არ ვჯერდებოდი, ჩემსავე ნაგვიანვე ყმაწვილობას ვიყავი აყოლილი (ყმაწვილობას და ცნობისმოყვარეობასაც - ეს არ უნდა დავივიწყოთ), ნამდვილ ყმაწვილკაცს ვაქეზებდი, ჰოდა, რატომ მერე? რისთვის? რა მინდოდა, რას მივესწრაფოდი? გინდაც ბალღი ვყოფილიყავი, თივის ზვინის ქვეშ ასანთს რომ გაჰკრავს და თან შიშით რომ კანკალებს - ცეცხლი არ გავაჩინოო.

გამიგეთ? - შიში იყო. იმის გაფიქრებაც კი ვერ მოვასწარი - რა ჭირი უნდა-მეთქი ჩემგან: შიში იყო მხოლოდ, როცა ბიჭუნამ მისი ბარათი მომაჩეჩა და როცა ბოლოს დრო ვიხელთე, რათა გამეშალა და წამეკითხა, და მერეც (შიშით) მოვიკრიბე მთელი ჩემი სიამაცე, სასოწარკვეთილება, თავზე ხელაღებულობა, - რაც გნებავთ, ის უწოდეთ, რაც გინდათ, ის ერქვას, თუნდაც შეუცნობლად იყოს აღძრული ჩემში, - ოღონდ კართან კი მივედი, გამოვალე და გავიფიქრე (მაშინაც იგივე აზრი მეზადებოდა, როცა მის გვერდით აღმოვჩნდებოდი ხოლმე - ვეცეკვებოდი თუ მისი ღირსების შემლახველს ვაცხრებოდი თავს): არა, შეუძლებელია, ნუთუ ასეთი ტანმორჩილი, ასეთი კაფანდარაა-მეთქი? - თუმცა ტანად სულ ოდნავ თუ იქნებოდა ჩემზე დაბალი, მე კი ექვსი ფუტი ვარ სიმაღლით; და მაინც, ერთობ ტანმორჩილი იყო და გაწლობილი: ერთობ გალუული საიმისოდ, რათა ასერიგად დაერღვია ჩემი მყუდროება, ამდენი ხნით გაეკრთო ჩემთვის ძილი, ავეფორიაქებინე, ყოველივე გაეცამტვერებინა, რასაც კი სიმშვიდედ მივიჩნევდი. სინამდვილეში ლამის ჩემსიმაღლე იყო, რომ შემოეხედა, მისი თვალები ჩემსას გაუტოლდებოდა. ოღონდ არ მიცქეროდა: ერთადერთხელ შემავლო აუმღვრეველი ლურჯი (თვალები მუქლურჯი ჰქონდა) მზერა, ეს იყო და ეს; მეტი აღარც სჭირდებოდა ჩემთვის შემოხედვა - თუკი შემომხედა საერთოდ, ეს ერთადერთი მთლიანი აღქმა უფრო იყო, თუმცა ეპითეტი „მთლიანი“ ისევე ტრივიალურად ჟღერს იმ მზერის მიმართ, როგორც ეპითეტი „ტენიანი“ თავად ლურჯ ზღვასთან დაკავშირებით. ერთადერთი შემოხედვა მხოლოდ, რათა ერთიანად მოვეცვი, მერე დავემალე და ბოლოს განვეშორებინე; თითქოს ამიტაცა იმ აუმღვრეველმა და მონიო სილურჯემ, შემომებლარდნა, ყოველი მხრდან შემეხო და მერე ისევ ჩემს ადგილას დამიშვა. ოღონდ თვითონ არ დამჯდარა ქალი. არც კი შერხეულა. და უცებ მივხვდი, რომ იდგა და ჩემს კაბინეტს ათვალეერებდა, ისევე როგორც ჩვეულებრივ ათვალეერებენ ხოლმე ქალები მანამდე უნახავ ოთახს.

დაბრძანდით-მეთქი, ვუთხარი.

- გმადლობთ, - თქვა და მაგიდასთან მიმდგარ იმ ჩვეულებრივ სავარძელში მჯდომი კვლავაც ერთობ გალუული მეჩვენებოდა საიმისოდ, რათა შეესრუტა, დაეტია ის იმდენი უძილობა, იმდენი სევდა, როცა, პოეტის ნათქვამის არ იყოს, სიმწრით თითებს იჭამ კაცი; ჰოდა, თითებს მარტო მე კი არ ვიჭამდი, ყველა ჯეფერსონელი მამაკაცი ჩემს დღეში იყო, ის კი არა და დედამიწის ზურგზე მცხოვრები ყველა კაცი, რადგან დაჭმა ყველა იმათი ხვედრია, ვისაც იმის უფლება აქვს მოპოვებული, რომ მამაკაცად იწოდებოდეს; ერთობ გალუული, ერთობ კაფანდარა იყო საიმისოდ, რათა ეს ყოველივე ეტვირთა, დაეტია... ჰოდა, მე ჩემდათავად ამ ხუთი წლის წინ ვნახე, კი, უნდა მენახა, თუმცა, შარშან ზაფხულსლა შევხედე მხოლოდ, დიახ, შარშანდელ ზაფხულამდე არ შემიხედავს, - მანამდე დიდად დაკავებული გახლდით, იურისპრუდენციის ფაკულტეტზე გამოცდებს ვაბარებდი, - შარშანლა მოვიხარე, მოვიდრიკე ჭეშმარიტი თაყვანისცემისთვის: მაინცდამაინც ზუსტად გამოთვლა რა საჭიროა, ორასი თქვით ივნისიდან იანვრამდე, ორასი ღამე, - თვალის მოტყუებას იშვიათად თუ ვახერხებდი, - როცა გამალელებული მოვაფრიალებდი ხოლმე ჩემს სამმო (სამონაზვნო) მოსასხამს, რათა მოძალადისგან დამეცვა მისი ღირსება.

გამიგეთ? ერთხელაც აზრად არ მომსვლია მეკითხა მაინც - რა სურდა. იმასაც კი არ ველოდებოდი - თვითონვე მეტყვის-მეთქი. უბრალოდ იმ ორასი ღამის კულმინაციას ველოდებოდი, ისევე როგორც ზოგიერთ ღამეს, ან, უფრო სწორად, ზოგიერთ ღამეულ საათს იმ წუთის მოლოდინით ვატარებდი - თუკი მოვიდა-მეთქი ის ქალი, თუკი ამიხდა, თუკი აღსრულდა! მერე ქარიშხალმა გამიტაცოს, გრიგალმა დამგრავნოს, ქარბორბალამ მიმომაწყვიტოს, გამსრისოს, გამატიალოს, რათა მერე დაცლილი, სულთმობრძავი, უგრძნობელი გარსი წამით მდორედ მიჰყვეს გამოცატიელებული სიცოცხლის გრძელ დინებას, შემდეგ კი არარაობა ჩამოდგეს-მეთქი.

გარნა ამდაგვარი არაფერი მომხდარა, არავის უცდია მიმოვეგრაგნე, გამოვეწურე, ყოველივე შთაენთქა ჩემი, გარდა საბოლოო მადლიერი ურღვევი გარსისა; უფრო ის იყო, რომ მარღვევდნენ, მშლიდნენ მე საცოდავს, ისევე როგორც დამბალზამებელი შლის ხოლმე გვამს და ხელუხლებლად მარტო იმას ტოვებს, რასაც სიცოცხლე ეთქმის კიდეც, თუნდაც მატლის სიცოცხლე. რადგან ის ქალი არამცთუ ხელახლა შესდგომოდა ჩემი კაბინეტის თვალსიერებას, მივხვდი - არც კი შეეწყვიტა, იქაურობას გულმოდგინე მზერას ავლებდა.

- მე მგონია, აქ არაფერი უჭირს, - თქვა. - კი, ნამდვილად აქ ემჯობინება.

- ა-აქ? - აღმოვთქვი მე.

- კი, აქ, ამ თქვენს კაბინეტში. კარი შეიძლება დაკეტოთ, ასე გვიან საექვოა ვინმე ტანმალალ კაცს მაინცდამაინც არ ეძინოს და ფანჯარაში შემოხედვა იფიქროს. თუმცა იქნება... - ამის თქმისას წამოდგა, - მე შერხვევის თავიც არ მქონდა, - ფანჯარასთან მივიდა და ფარდის დაშვებას შეუდგა.

- ა-აქ? - თუთიყუშით გავიმეორე მე. - ა-აქ? აი, აქ? - ახლა მხარზევიდან შემომყურებდა. დიახ, ბატონო. არც კი შემობრუნებულა ჩემკენ, თავი მოატრიალა მხოლოდ, სახე მომაქცია, რათა მხარზევიდან შემოეხედა, ხელებით კიდეც ფარდის დაშვებას განაგრძობდა და უკანასკნელი მსუბუქი მოძრაობით რაფას შეეხო. არა, ხელახლა კი არ შემოუხედავს ჩემთვის. შემოხედვით ერთხელ შემომხედა მხოლოდ, შემოსვლისას. ხოლო ახლა მის მხარს ზემოდან სილურჯე მეფინებოდა, თითქოს ზღვა ყოფილიყოს, არრასმკითხველი, არრას მიმლოდინე, ისევე როგორც ზღვას არ სჭირდება

შეკითხვა თუ ლოდინი, უბრალოდ ზღვად ყოფნა მართებს. - ჰო-ო, - ვთქვი მე, - თქვენ ალბათ წასასვლელი ხართ, გეჩქარებათ, დრო ცოტა გაქვთ, არა? ახლა ხომ ქმარს უნდა უწვეთ გვერდით, ანდა იქნებ ამაღამ მანფრედის ჯერია? - ის კიდევ მაკვირდებოდა და მაკვირდებოდა, უკვე მთლიანად შემობრუნებულიყო და ზურგით მგონი, რაფასაც მიჰყვანებოდა ოდნავ, გულდასმით მიმზერდა, მცირედი ცნობისმოყვარეობაც უკრთოდა თვალებში. - რაღა თქმა უნდა, - ვუთხარი, - ამჟამინდელი ღამე მანფრედისაა, თქვენ ხომ ფლემის კი არა, მანფრედის დასახსნელად ხართ მოსული. არა, მომითმინეთ, - ვთქვი, - იქნებ ვცდები, იქნებ ორივეს საშველად მოხვედით, იქნებ ორივემ მოგაგზავნათ - ისე შეშინდნენ და წახდნენ; ორივენი იმდენად დაფრთხენ, რომ ეს უკანასკნელი ნაბიჯიც აღარ ითაკილეს, თქვენი ბედი შეაგდეს სასწორზე, ქალის, მათი საზიარო ქალის ბედი. - ის კიდევ მაკვირდებოდა და მაკვირდებოდა, ის აუმღვრეველი, უძირო, უშფოთველად მომლოდინე სილურჯე, ჩემი კი არა, დროის მსვლელობის მომლოდინე. - არა, სხვას ვამბობ, - ვთქვი ისევ, - თქვენც კარგად მოგეხსენებათ. ვიცი - მანფრედის საქმეა ეს ამბავი. ისიც ვიცი - მანფრედს არ მოუგზავნიხართ. ნამდვილად არა. - ახლა წამოდგომაც შევძელი. - ჯერ ის მითხარით, რომ მაპატიებთ.

- კარგი, - მითხრა იმან. მაშინ მივედი და კარი გამოვაღე. - ღამე მშვიდობისა, - ვუთხარი მე.

- აბა, არ გინდათ? - შემეკითხა.

ამჯერად გასაცინებლადაც მეყო ძალა.

- მე მეგონა, გინდოდათ ეს ამბავი, - მითხრა იმან. და მაშინ იყო, თვალებში შემომხედა. - აბა, რაღატომ იქცეოდით იმნაირად?

დიახ, ბატონო, ახლა ვიცინოდი კიდევ მოფრიალებულ კართან მდგარი, საიდანაც სუსხიანი წყვილიანი უჩინარ ღრუბლად მოძვრებოდა, ჰოდა, თუკი გროვერ უინბუმი სადმე მოედანზე იდგა (თუმცა რა გააჩერებდა ამ ყინვაში, არც ასეთი რეგენია), მარტო განათებულ ფანჯრებს კი არ დაინახავდა. დიახ, ახლა თვალებში შემომყურებდა: ზღვა, რომელიც წამის შემდეგ შთანთქმავდა, განზრახ კი არა, წინასწარ მომიზნული ტალღით კი არა, იმიტომ შთანთქმავდა, რომ იმ ცნობაუქონელი ტალღის მოსავარდნზე ვიდექი. არა, სწორს არ ვამბობ. ის იყო, რომ ანაზღად ადგილიდან დაიძრა.

- მიხურეთ კარი, - მითხრა. - ცივა. - და აუჩქარებლად წამოვიდა. - აბა, თქვენ იფიქრეთ - იმის გამო, მანფრედის გამო მოვიდაო?

- არა თუ? - ვუთხარი მე.

- იქნებ მასეც იყო, - აუჩქარებლად მიახლოვდებოდა. - თავიდან იქნებ მასეც იყო. ოღონდ სულ ერთია ეს ამბავი. მანფრედისთვის-მეთქი, ის მინდა ვთქვა. ის სპილენძის ხარახურა არაფრად მიაჩნია. ეხალისება კიდევ, თავს იქცევს ამით. მიხურეთ კარი, სანამ არ გაყინულა აქაურობა. - მე კარი მივხურე და უმალ შემოვბრუნდი უკან-უკან დახეული.

- არ მომეკაროთ! - ვუთხარი.



- კარგი, - თქვა იმან. - ოღონდ თქვენ ხომ ვერაფრით... - და იმანაც კი გაწყვიტა სიტყვა, უგრძობელმა ზღვამაც იცის ხოლმე შებრალება, მაგრამ მე ამის ატანაც შემეძლო; მისი სათქმელიც კი დავასრულე:

- მანფრედისთვის სულერთი იქნებოდა, იმიტომ, რომ მე ვერაფრით ვავენებ, ვერაფერს დავუშავებ, ზიანს ვერ მივაყენებ; მანფრედის ამბავი არაა ეს, ჩემიც არაა, რაც უნდა მოვიმოქმედო. მანფრედი თვითონაც სიამოვნებით გადადგებოდა, მხოლოდ იმიტომ არ აკეთებს ამას, რომ დამიმტკიცოს - შენ ვერ მაიძულებო. კეთილი. თანახმა ვარ. ოღონდ მაშინ რატომ არ მიბრძანდებით აქედან? რა გნებავთ?

- იმიტომ, რომ უბედური ხართ, - მითხრა იმან. - არ მიყვარს უბედური ხალხი. ხელს გიშლიან ხოლმე. მით უმეტეს, თუკი შეიძლება...

- დიახ! - წარმოვთქვი, წამოვიყვირე მე. - თუკი შეიძლება ასე იოლად, ასე უბრალოდ... თუკი შემჩნევითაც ვერავინ შეამჩნევს, ყველაზე ნაკლებად კიდეც - მანფრედი, რადგან ჩვენ ორივენი შევთანხმდით, რომ გვეინ სტივენსი მანფრედ დე სპეინს ვერაფერს დააკლებს, თუგინდ მის საყვარელთანაც რომ დაადგას რქები. აბა, იმიტომ მოხვედით მხოლოდ, რომ შემიბრალებთ, შემიცოდეთ, არა? ალალი შიშის გამოც კი არ მოსულხართ, ანდა უბრალო პატივისცემის გულისთვის. შემიბრალებთ, შემიცოდეთ, ხომ? - და ანაზღადად ყოველივე ცხადი შეიქნა ჩემთვის. - თქვენ მარტო იმის დამტკიცება კი არ გსურდათ - იმის მიღებისას, რაც სასურველი გგონია, უფრო ბედნიერი ვერ შეიქნებო, თქვენ ის გინდოდათ გეჩვენებინათ - იმის გულისთვის, რაც სასურველი გგონა, არ ღირს უბედურად წარმოიდგინო. ნუთუ არაფრად მიგაჩნიათ ის ამბავი? ფლემთან-მეთქი, არ ვამბობ, ნუთუ მანფრედთანაც არა? - ვამბობდი, არა, ვყვიროდი მე. - ის არ მითხრათ ოღონდ - მანფრედმა სწორედ იმიტომ გამომგზავნა, უბედური კაცი მენუგეშებინაო!

გარნა ის იდგა ისევ და იმ უძირო, აუძღვრველ, ზარდამცემ სილურჯეს მაფენდა. - თქვენ ლოდინს ანდომებთ ძალიან დიდ დროს, - მითხრა. - ნუ იცდით. ცოცხალი კაცი ხართ, გინდათ, გმართებთ და აკეთებთ კიდეც, ესაა და ეს. მოლოდინში დროს ნუ კარგავთ. - და ჩემკენ წამოვიდა, მე კიდეც მარტო კარით კი არა, მაგიდის კუთხითაც ვიყავი გზადანშული და მიმწყვდეული.

- არ მომეკაროთ! - ვუთხარი. - აბა, საიმისოდ ჭკუა რომ მყოფნოდა, რომ აღარ დავლოდებოდი, უკეთ - არასდროს არ მეცადა, გული არ მეიმედებინა, არ მეოცნება, ხომ? იმდენი ჭკუა მყოფნოდა, რომ უბრალოდ მეთქვა: ცოცხალი კაცი ვარ, მინდა და ვიზამ კიდეც - და გამეკეთებინა - ასე რომ მექნა, შემეძლო მანფრედის ადგილას ვყოფილიყავი, ხომ? კი, მაგრამ ნუთუ არგესმით? ნუთუ არ შეგიძლიათ იმის გაგება, რომ მაშინ მე - მე აღარ ვიქნებოდი? - არა, ის არც კი მისმენდა, უბრალოდ მიმზედრა: გაუსაძლისი, უძირო სილურჯე, ფიქრიანი და უშფოთველი.

- იქნებ იმის ბრალია ეს ამბავი, რომ თქვენ ჯენტლმენი ხართ, მე კიდეც ჯენტლმენ კაცს დღემდე არ შევხვედრივარ.

- მანფრედიც ჯენტლმენია, - ვუთხარი მე. ისიც, ის სხვა, ის პირველი, თქვენი ბავშვის მამა, მანფრედის გარდა, ერთადერთი-მეთქი, - გავიფიქრე, რადგან ახლა - დიახ, დიახ! ახლა კი ვიცოდი უკვე: სნოუჰისი იმპოტენტი ყოფილა. ვთქვი კიდეც ასეთი რამ: „ის, მანფრედის გარდა, ერთადერთი, ფრანგისხევივე მოვლენილი, რეტლიფმა მიაგზო მისი ამბავი, ის, ექვსი თუ შვიდი ბიჭი რომ მიფანტ-მოფანტა, ის ბიჭები, თქვენს ეტლს რომ დაეცნენ, იმან კიდეც მათრახის ტარით მიბეგვა ისინი,

ცალი ხელით, რადგან მეორით თქვენ გიფარავდათ, ჰო, ცალი ხელით, მოტეხილი ხელითაც დაიფრინა ის ბიჭები, მე კიდევ იმდენიც ვერ შევძელი, რომ ერთადერთ მოწინააღმდეგესთან ჩემითვე დაწყებული ბრძოლა მიმეყვანა ბოლომდე“. ის კიდევ ჯერაც ადგილიდან არ იძვროდა, ჩემ წინ იდგა და მე ქალის სუნს კი არ ვისუნთქავდი, არამედ იმ საშინელ, იმ ყოვლის შთანთქმელ უფსკრულს. - ისინი ორივენი ერთმანეთს ჰგვანან, - აღმოვთქვი. - მე ვერ ვარ მათგვარი... სამივენი ჯენტლმენები ვართ, ოღონდ ვაჟკაცი ორი აღმოჩნდა მხოლოდ.

- ჩაკეტეთ კარი, - მითხრა იმან. - ფარდა ხომ ჩამოვუშვი უკვე. ნუ გაქვთ ყველაფრის შიში, - თქვა. - რატომ გეშინიათ ასე?

- არა! - ვთქვი, შევყვირე მე. შემეძლო... კინალამ გავარტყი იმას, ისე მკვეთრად გავიქნიე ხელი, ოღონდ ამასობაში მეტი საძრაობა მომეცა: ხაფანგს თავი დავაღწიე, იმ ქალსაც კი ავუარე გვერდი, სახელურს ვწვდი და კარი გამოვადე. დიახ, უკვე მიმხვდარი ვიყავი: - მე შემეძლო მანფრედი გამომესყიდა, მაგრამ ფლემის გამოსყიდვა არ მსურს, - ვუთხარი. - ფლემმა მოგაგზავნათ, ხომ? ხომ? - გარნა ჩემ წინაშე ოდენ ცისფერი სიღრმე იყო და მიმქრალი ვაგნერი, საყვირებიც, გრიგალიც და დაბალი დვრინი, diminuendo (მინელეზა (იტალ. მუს.)) , - ნუ იცდითო, მითხარით. თქვენ თვითონვე რატომ არ შეეცდებით? კი, ჩვენ ყველანი ვყიდულობდით აქ სნოუპსებს ნება-უნებურად; თქვენ კი უნდა გცოდნოდათ ეს ამბავი. მე არ ვიცი, რატომ ვყიდულობდით. ესე იგი, არ მესმის, რაში გვჭირდებოდა: რა ფული იყო, სად გავფლანგეთ და როდის ისე უჭკუოდ, რომ სნოუპსები მიგვეღო. ოღონდ ასე კი მოხდა. მაგრამ თქვენ ხომ ვერავინ გაიძულებთ, თუკი არ მოგესურვებათ, ვერც ერთი სნოუპსი ვერ გაიძულებთ, თუგინდ სპილენძის ნაწილების მპარავი იყოს. და რაც არაფრად ღირს, იმას ფასიც არ დაედება, ასე რომ, იქნებ ჩემი უარიც იმ ფასად შეგეფასებინათ, რასაც მე ვიხდი ამ უარში. - ამ დროს ის ადგილიდან დაიძრა და მაშინდა შევნიშნე, რომ თან არაფერი მოეყოლებინა - არავითარი ხელთათმანი, ჩანთა, შარფი თუ სხვა რამე იმ წვრილმანთაგან, ქალებს რომ მოჰყვებათ ხოლმე ოთახში, ისე, რომ მათი წასვლის დრო როცა მოატანს, ისეთი წრიალი შეიქნება, თითქოს სახლის დიდი დალაგების ფაციფუცი ყოფილიყო. - თქვენი ქმრის ამბავი ნუ შეგაწუხებთ, - ვუთხარი. - უბრალოდ, იგულისხმეთ, რომ მე ჯეფერსონის წარმომადგენელი გახლავართ და ამიტომ ფლემ სნოუპსი ჩემი სატვირთი ჯვარიცაა. მე ერთი შემთხვევა გავაკეთო - ჩემი საქციელი თქვენსას შევუფარდო, ისევე დიდად დავაფასო ის კაცი, როგორც თქვენ აფასებთ, რისი დასტურიცაა თქვენი აქ მოსვლა. მშვიდობით!

- მშვიდობით! - მითხრა იმან. ცივი, უჩინარი ღრუბელი ისევ შემოდგა ოთახში და მეც ისევ მივუხურე კარი.

## 6. ვ.კ. რეტლიფი

მეორე დილას უცებ შევიტყვეთ - მოსამართლე დიუკინფილდმა უარი თქვა და სასამართლოს თავმჯდომარედ თავის ნაცვლად იურისტის მამა - მოსამართლე სტივენსი დანიშნაო. აი, ამ ამბავზე კი უნდა აეტეხათ განგაში, იმიტომ, რომ შეეხო თუ არ შეეხო წუხანდელი ამბები ქალაქის ინტერესებს, დღევანდელი სხდომა უეჭველად ეხებოდა. მაგრამ იმათ დახურული სხდომა დანიშნეს, მოსამართლის კაბინეტში, ჰოდა, ის გალია, მოსამართლე დიუკინფილდი თავის კაბინეტს რომ უწოდებდა, ყველას ვერ

დაგვიტევდა ვერაფრით. ასე რომ, ამჯერად იმასღა შევეცადეთ, მოედნის მახლობლად მოვხვედრილიყავით შემთხვევით, - ვინ დუქნის კარში ჩადგა, ვინ კიდევ რომელიმე ზედა სართულის ფანჯრიდან იჭვრიტებოდა უნებურად - ექიმის მისაღებიდან თუ სხვა ადგილიდან, ვიდრე ის ბერიკაცი, ჯობი (მოსამართლე დიუკინფილდის მსახური რომ იყო უხსოვარი ხნიდან, ასე რომ, ჯეფერსონელესაც, თავად მოსამართლესაც და ბებერ ჯობსაც დავიწყებული ჰქონდათ - როდიდან), მოსამართლე დიუკინფილდის ძველ ფრაკში გამოწყობილი (იმ ფრაკს კვირადღეობით იცვამდა ხოლმე), სასამართლოს შენობის უკან ჩადგმულ აგურით ნაშენებ მცირე სახლში, სადაც მოსამართლის პირადი კაბინეტი იყო მოთავსებული, მტვერს წმენდა და ხვეტავდა. ხალხი მაშინღა შეუშვა, როცა გული შეიჯერა - ყველაფერი დავასუფთავეო.

ვხედავდით, როგორ გადაიარა მოედანი თავისი სახლიდან გამოსულმა მოსამართლე სტივენსმა და კარი შეაღო. მერე ისიც დავინახეთ, როგორ გადაჭრა მოედანი სააქციო კომპანიიდან ჩამობრძანებულმა იმ ორმა ვაჟბატონმა თავიანთი ჩემოდნებითურთ. უფრო ახალგაზრდა რომ იყო, იმას თავისი ჩემოდანი თვითონ მიჰქონდა, ოღონდ იმ მეორის, თეთრჟილეტიანის უკან მის ჩემოდანს სასტუმროს შვეიცარი სამსონი მიათრევდა, სამსონს კიდევ თავისი უმცროსი ბიჭი მისდევდა და, როგორც მენიშნა, დაკეცილ მემფისურ გაზეთს მიაბრუნებდა, იმ ბობოლა პირის მიერ საუზმობისას გადათვალთქვნილს. მერე სამსონის და მისი ბიჭის გარდა ყველანი მოსამართლის სახლში შევიდნენ. მერე იურისტიც მოვიდა მარტოდმარტო. ჰოდა, ამის შემდეგ, რასაკვირველია, მანქანის ხმაური შემოგვესმა, მერი დე სპეინი მოგრიალდა, გადმოვიდა და მოგვმართა:

- დილა მშვიდობისა, ჯენტლმენებო! მე მელოდებით რომელიმე? მაშინ ბოდიში, ერთი წუთით შევივლი, ჩვენს ჩამოსულ სტუმრებს მოვიკითხავ და დავბრუნდები ახლავე. - ისიც იმ სახლში შევიდა - მეტი არც არავინ ყოფილა შიგ: მოსამართლე სტივენსი მაგიდას მისჯდომია სათვალთან, ხელში გაშლილი გაზეთი უჭირავს, მის პირდაპირ ის ორნი ჩამომსხდარან მიყუჩებულნი, მოწიწებულნი და თან დადარაჯებულნი, იურისტი მაგიდის ბოლოს უზის, მანფრედი კიდევ არც დამჯდარა, ისე მიჰყუდებია მოპირდაპირე კედელს. ხელები ჯიბეებში ჩაუწყვია და სახეზე თავისი მუდმივი აგდებული გამომეტყველება აღბეჭდვია, გეგონება, საცაა გაიცინებსო, თუმცა კი არ იმჩნევს არაფერს. მერე მოსამართლე სტივენსი გაზეთს აუჩქარებლად გულდასმით კეცავს, წინ იდებს. სათვალესაც იხსნის, იმასაც კეცავს, ბოლოს ხელებს იწყობს წინ ერთიმეორეზე და ამბობს:

- საქმის მოსარჩელემ დღეს უარი თქვა საჩივარზე. საქმე - თუკი საქმე ეთქმოდა ამ ამბავს - შეწყვეტილია. მხარეები - მოსარჩელე, მოპასუხე და ბრალდებული - ვინმე ამგვარი რომ ყოფილიყო - თავისუფალი ბრძანდებიან. სასამართლო სენტლუისელ ჯენტლმენებს ბოდიშს უხდის იმის გამო, რომ ჩვენი ქალაქიდან ცოტათი გულნაკლულებს ვისტუმრებთ, და ჩვენ გვწამს, იმედს გამოვთქვამთ, რომ მათი მომავალი ვიზიტი სხვაგვარად წარიმართება. სასამართლო დარბაზს ტოვებს. კარგად ბრძანდებოდეთ, ჯენტლმენებო, - მაშინ ის ორი ჩამოსული წამოვარდება და მოსამართლე სტივენსს მადლობას უხდის, მერე თავიანთ ჩემოდნებს ხელს დაავლებენ და ლამის თითის წვერებზე გაილალებიან. ასე რომ, უცხო აღარავინაა ოთახში, მხოლოდ იურისტი ზის სახეზე მიტკალივით გადათეთრებული და ოდნავ თავდახრილი, მოსამართლე სტივენსიც დამჯდარა და ადგილიდან არც ის იძვრის, თითქოს არ უყურებს არავის, ჰოდა, მანფრედ დე სპეინი ისევ ისე დგას კედელს მიყრდნობილი, ფეხი ფეხზე გადაუდვია, სახე ისეთი აქვს, აგერ-აგერ უნდა გადაიხარხაროს, ოღონდ ელოდება რაღაცას. ჰოდა, მოსამართლე სტივენსმა იმას შეხედა.

- მანფრედ, - უთხრა, - გადადგომას აპირებთ?

- რასაკვირველია, სერ, - მიუგო დე სპეინმა. - თავს ბედნიერად ჩავთვლიდი. ოღონდ, რაღა თქმა უნდა, ქალაქის კი არა, გვეინის გამო. გვეინის გულისთვის სამისოდაც მზად ვახლავართ. გვეინს ისღა დარჩენია - გთხოვთო, მითხრას.

და მაინც, იურისტი არც შერხეულა, ისევ ისე ზის, სახეც უძრავი აქვს, მიტკალივით გადათეთრებული, გეგონება გაყინვიაო, ხელებიც მაგიდაზე დაუწყვია, მამამისივით შეტყვევებული ხელები კი არა, ისე, უბრალოდ ჩამოდებული. ჰოდა, ამ დროს მანფრედი სიცილს მოჰყვა - ჩუმად, აუჩქარებლად, დამდგარა თავისთვის, ფეხი ფეხზე გადაუდვია, ხელები ჯიბეებში ჩაუწყვია და იცინის; მერე კარისკენ გაემართა, გამოაღო, გავიდა და გაიხურა ისევ ისე მოცინარემ. ოთახში იურისტი და მამამისიღა დარჩნენ. ჰოდა, ჩემო ბატონო, სწორედ მაშინ თქვა იურისტმა ის სიტყვები.

- აბა არ გინდა, რომ გადადგეს? - უთხრა მოსამართლე სტივენსმა. - მაშინ რა გინდა? ცოცხლებში რომ აღარ ეწეროს, ხომ?

ჰოდა, მაშინ თქვა იურისტმა: - ახლა რაღა ვქნა, მამა? მამაჩემო, რა შემიძლია გავაკეთო ახლა მე?

ეტყობა, ქალაქის მამათა ღამეული კრების მერე სასამართლოს დილის სხდომამდე რაღაც უნდა მომხდარიყო, ოღონდ, თუკი ჩვენ მაინც შევიტყვეთ, რა მოხდა სახელდობრ, იურისტის წყალობა არ ყოფილა ეს ამბავი. მე იმის თქმა მინდა, ჩვენ იქნებ კიდევ ვიცოდით, ვხვდებოდით მაინც - რა მოხდა და სად მოხდაო, - რაკი იქ, მაღლა, იმის კაბინეტში ყველა ნათურა გაჩახახახებული იყო; რა ხანია მთელი ჯეფერსონი დასაძინებლად დაწოლილიყო, ჰოდა, იქ მაინც ენთო შუქი. ოღონდ ისეთი დღევ მოვა, როცა იურისტი თვითონვე მოჰყვეს იქნებ ყველაფერს, იძულებული გახდება, ვინმეს მაინც უამბოს და დაიმშვიდოს თავი. ჩვენ იმას ვერ შევიტყობთ ვერასოდეს, მაინც როგორ მოხდა მთელი ის ამბავი. იმიტომ, ჩემო ბატონო, რომ, იურისტი როცა მოჰყვება იმ ამბავს, იმის თქმა სულ არ დასჭირდება - ასე და ასეო: ოღონდ კი მოჰყვეს, ილაპარაკოს, და რას იტყვის და ვის ეტყვის, ვინ მოუსმენს, - მისთვის სულერთი იქნება.

იმ სამიდან ერთადერთი, ვისაც იმ ქალის ესმოდა, ფლემი იყო. იმიტომ, რომ იმ ქალსა და მანფრედ დე სპეინს შორის იმის საჭიროება არ გაჩენილა, ერთმანეთისთვის გაეგოთ, მოეწადინებინათ ერთმანეთის გაგება. კაცმა რომ თქვას, ერთმანეთის გაგება იმათ მარტო ერთ რამეში სჭირდებოდათ - ის უნდა გაეგოთ ხოლმე, სად და როდის შეყრილიყვნენ. ოღონდ ყოველივე დანარჩენის გარდა იმაზე სულ არ უხდებოდათ დროის დახარჯვა - ერთმანეთს გავუგოთო, ისე, როგორც მზესა და წყალს არ სჭირდებათ შეთანხმება ღრუბლების გასაჩენად. როგორც მზეს და წყალს არ ესაჭიროებათ ხელის შეწყობა ერთმანეთთან შესახვედრად, ისე არც იმათ სჭირდებოდათ. კაცმა რომ თქვას, მანფრედის გასაკეთებელი საქმის დიდი ნაწილი იმ ყმაწვილმა მოილია ფრანგისხევში - მაკკერონმა. თუმცა პირველი კი იყო ის ბიჭი, მანფრედს უმცროს მძად თუ გამოადგებოდა. ფრანგისხევში არც იმას უცხოვრია და იქაურებს თვალთაც არ ენახათ, ამბავიც არ სმენოდათ მისი იმ ზაფხულამდე, როდესაც გეგონებოდათ, საგანგებოდ გამოემწესებინათ ფრანგისხევისკენ სწორედ საიმდროოდ, როცა ის გოგო შეეძლო ენახა; ისეთივე როგორც, კაცმა რომ თქვას, მანფრედ დე სპეინიც ჯეფერსონში გამოამწესეს საიმდროოდ, როცა შეეძლო, თვალი მოეკრა იმ ქალისთვის.

ისე, მაკკერონის გასაკეთებელი საქმის ნაწილიც სხვამ მოილია მის მაგივრად, იმიტომ, რომ იმ გოგომ თავისი ხელით მიისვენა მაკკერონი: იმ ღამის მერე, როცა ხუთი ფრანგისხვევლი ბიჭი ჩაუსაფრდა და იმათ ეტლს დაესხა თავს, - მაკკერონის გადმოთრევას და გალახვას, ანდა იქნებ უბრალოდ დაშინებას აპირებდნენ, რათა ფრანგისხვევს აღარ გაჰკარებოდა, - ნელ-ნელა ხმა დაირხა: ხელმოტეხილმაც ყველა მიფანტ-მოფანტა, ეტლი შეაბრუნა და, ქალწულის ხანმოკლე გულისწასვლას თუ არ ჩავთვლით, შვილი მშობლებს მშვიდობიანად მიჰგვარაო. ოღონდ ცოტათი სხვაგვარად მოხდა ეს ამბავი. რადგან იმ ხუთ ბიჭს (მათგან ორს კარგად ვიცნობდი) არაფერი მოუყოლია, ჰოდა, ეს უტყუარი საბუთი გახლავთ. მოკლედ, იმას ხელი რომ მოსტეხეს, გოგო მათრახს დასწვდა და მსხვილი ტარი სთხლიშა უკანასკნელს, ანდა იქნებ ორსაც, მერე ეტლი თვითონვე შეაბრუნა და იქაურობას გამოშორდა, თუმცა არა, შორს არსად წასულა, ყოველ შემთხვევაში, სახლისკენ არ გამგზავრებულა: ისეთი ადგილი შეარჩია, სადაც, ნათქვამის არ იყოს. შეიძლებაოდა, ტრიუმფატორი გვირგვინით შემკობილიყო ჯერაც ბოლომდე დაუმცხრალ ბრძოლის ველზე - იქვე, მიწაზე, ჩაბნელებული გზის შუაგულში, იმის მეტი არაფერი იყო საჭირო, რომ დაფეთებული ცხენი გაეჩერებინა, ჰოდა, მერე ის ცხენი თავზე ადგათ, გოგო კიდევ ბიჭს უნდა შემველებოდა, რადგან ამას მოტეხილ ხელზე დაყრდნობა გაუჭირდებოდა ალბათ. ჰოდა, ეს გოგოსთვის პირველი ამბავიც იყო და მუცლადღების ამბავიც. კი, ხალხი კი ამბობს - პირველ გზობაზე ეს ამბავი არ ხდებოა, მაგრამ იმისგან, რაც სინამდვილეში ხდება და რაც უნდა მოხდეს, მე პირველს ვარჩევ ხოლმე ყოველთვის.

ოღონდ იურისტ სტივენსს არც ესმოდა ოდესმე იმ ქალის და ვერც გაუგებს ვერასოდეს: ის ვერ გაეგო, რომ მანფრედ დე სპეინი კი არ იყო მისი რაყიფი, არა, მის წინაშე იყო ჩვეულებრივი ნაღდი ძალა, ხან დე სპეინის, ხანაც მაკკერონის სახით მოვლენილი, და, ვიდრე ის ქალი ცოცხალი იყო და სულს ითქვამდა, იმ ძალას უნდა შეევესო ქალის არსება, მის ცხოვრებაში გაჩენილი სიცარიელე. იურისტს კიდევ ვერ გაეგო, რომ თავად ვერც მაკკერონობას გასწევდა ოდესმე და ვერც დე სპეინობას. ის ვერაფრით მოესაზრებინა, რომ ქალს კი ესმოდა მისი, - იმ ქალს ხომ ერთხელაც არ მოუყოლია მისთვის ის ამბავი, თვითონაც რომ არ იცოდა, იმნაირად მომხდარი. ქალები კიდევ, ჩემო ბატონო, ორი-სამი წლიდანვე ხვდებიან თავის ამბავს ყველაფერს, ოღონდ მერე ავიწყდებათ და კვირვობენ ხოლმე, - სწორედ ისე, როგორც ის კაცი, აგერ ორმოცი წლის გასვლის მერე თავის ძველ შარვალს გადაგდებას რომ დაუპირებს და უცებ ოცდახუთ ცენტს იპოვის ჯიბეში. არა, დავიწყებით არაფერი ავიწყდებათ, ისე გადადებენ ხოლმე ერთი ათი, ოცი, ორმოცი წლით, ჰოდა, მერე, საჭიროება რომ მოატანს, მიმოიხედავენ, მიაგნებენ იმას, რაც სჭირდებათ, გამოიყენებენ, მერე კი ლურსმანზე ჩამოკიდებენ და არც ახსენდებათ, რა გამოიყენეს, როგორც ის არ ახსენდებათ, რომელი თითით მოუფხანიათ გუშინ თავი; ოღონდ თავის მოფხანა ხვალაც უეჭველადმოუწევთ, და ისინიც ყოველთვის მიაგნებენ ხოლმე იმას, რაც საამისოდ არის საჭირო.

თუმცა, რა ვიცი, იქნებ იურისტი ხვდებოდა კიდევ ყველაფერს, იქნებ კიდევ ეწია თავისას. უფრო სწორად, იმას კი არა, რაც თვითონ უნდოდა, იმას, რაც შეეძლო დაენარჩუნებინა, - სანაცვლო, მეორე ხარისხი, სულ არარაობას რაღაცა ხომ სჯობია მაინც, თუგინდ მეორე ხარისხისაც იყოს ის „რაღაცა“. რადგან ელენეების, ჯულიეტების, იზოლდების და ჯინევრების გვერდით მარტო ლანსელოტები და ტრისტანები, რომეოები და პარისები კი არ აღმოჩნდებიან ხოლმე. სხვებიც არიან, ვისი სახელიც ლექსებად წიგნებში არ მოხვედრილა, სხვები, მეორე ნომრები, გარჯით ისინიც გვარიანად გარჯილან და ოფლიც კარგად უღვრიათ. ჰოდა, პარისის მერე მეორე

კაცად ყოფნა, რასაკვირველია, მაინც მეორე ნომრად ყოფნა ყოველთვის, ოღონდ არც ისეთი ურიგო საქმეა. ელენეს ყოველი კაცი არ დაუფლებია, მაგრამ არც ყოველ კაცს დაუკარგავს ელენე.

ჰოდა, ჩემო ბატონო, მე ვითომ შემთხვევით აღმოვჩნდი სადგურში იმ დღეს, როცა ლიუშუს ჰოგენბეკმა თავისი ავტომობილი მოაყენა და ავტომობილიდან ჩვენი იურისტი გადმოვიდა საკვოიაჟით და ჩემოდნით ხელში, ბილეთიც აღებული ჰქონდა მოტსტაუნამდე, სადაც მემფისიდან ნიუ-იორკს მიმავალ ექსპრესზე უნდა გადამჯდარიყო, მერე გემზე ასულიყო და იმ გერმანული უნივერსიტეტისკენ აეღო გეზი: ორი წელიწადი გადიოდა, რაც იმას ამბობდა სულ – თუკი მოგეხასიათა კაცს, იქ წასვლა კარგი იქნებაო; ასე იყო ეს ამბავი გუშინ თუ გუშინწინდელ დღიამდე, როცა მამამისს უთხრა: „ახლა რაღა ვქნა, მამა? მამაჩემო, რა შემძლია გავაკეთო ახლა მე?“ ცივი დღე იდგა, ასე რომ, იმან ჯერ თავისი დაია მოსაცდელ დარბაზში შეიყვანა და ჩემთან მერე გამოვიდა ბაქანზე.

– ჩინებულია, – მითხრა, თან ისეთი მხნე იყო, ისე მკვირცხლად ირჯებოდა, უკეთესს ვერც ინატრებდი კაცი. – ნამდვილად იმედი მქონდა, რომ გამგზავრების წინ შეგხვდებოდით და თქვენს მტკიცე მარჯვენას გადმოვაბარებდი ჩირაღდანს. ახლა თქვენ მოგიხდებათ ფორტის დაცვა, თქვენ უნდა იტვირთოთ ჯვარი.

– რა ფორტი? – შევეკითხე. – რომელი ჯვარი?

– ჯეფერსონი, – მიპასუხა იმან. – სნოუპსები. როგორ გგონიათ, გაუმკლავდებით იმათ ჩემს ჩამობრუნებამდე?

– მე კი არა, ასი ჩემისთანაც ვერ გაუმკლავდებოდა, – ვუთხრათ მე. – ამ საქმეს მარტო ის ეშველება, რომ სულ მოიშორო ისინი თავიდან, მოსპო ერთიანად.

– არა, არა, – მითხრა იმან. – წარმოიდგინეთ ერთი, იოკნაპატოვამი ვეფხვთა ხროვა გაჩნდეს ანაზდად, უმჯობესი არ იქნება, ჯორების სადგომ ბაკში დაამწყვდიოთ ისინი? მაშინ იმას მაინც მოახერხებ, თვალყური ადევნო, თუნდაც მესერთან ათ ნაბიჯზე ყოველი მიახლოებისას ხელს ან ფეხს კარგავდეს კაცი. ეს არ სჯობს იმას, რომ თავის ნებაზე მიუშვა – მთელ ოლქში იწაწალონო? არა, ახლა ხელში გყვანან ჩაგდებული, ჩვენ გვეკუთვნიან. მართალია, ის აღარ ვიცი, რა ცოდვების გამო დაიმსახურა ჯეფერსონმა ამგვარი სასჯელი, ამნაირი უფლება, ამნაირი უპირატესობა რით მოიპოვა. ოღონდ ასე კი მოხდა და. ასე რომ, ახლა უნდა ვიბრძოლოთ, უნდა გავუძალიანდეთ, მოვითმინოთ და (თუ შევძელით) გადავრჩეთ კიდეც.

– კი, მაგრამ რაღა მაინცდამაინც მე? მთელ ჯეფერსონში მე რატომ შემარჩიეთ სამაგისოდ?

– იმიტომ, რომ მარტო თქვენ გენდობით მთელ ჯეფერსონში.

არა, კაცმა სიმართლე რომ თქვას, ეტყობა ისიც, მეორე ნომერიც არასდროს კარგავს ხოლმე ელენეს, იმიტომ, რომ ელენეც, სანამ სული უდგას, მისგან, იმ მეორე ნომრისგან თავის დახსნას თვითონაც არ ცდილობს ხოლმე. არ სურს ალბათ და იმიტომ.

## 7. ჩარლზ მალისონი

მახსოვს, რეტლიფმა თქვა - მთელი ქვეყნიერების ელენები სინამდვილეში არასოდეს კარგავენ იმ მამაკაცებს, რომლებსაც ელენე ჰყვარებიათ და დაუკარგავთო. შესაძლოა იმიტომ, რომ არ სურთო ეს ამბავი.

გევინ ბიძია ჰაიდელბერგს რომ გაემგზავრა, მე დაბადებულიც არ ვყოფილვარ, ჰოდა, პირველად რომ ვნახე, უკვე ჭაღარა ჰქონდა შეპარული, მგონი. იმიტომ, რომ საიმდროოდ თუმცა დაბადებული კი ვიყავი, მაინც ვერ გამიხსენებია, როგორი იყო შესახედად, როცა ომის მძვინვარების ხანს ევროპიდან ჩამოვიდა, რათა წვრთნა გაეწოდო და ისევ გაბრუნებულიყო. სულ ბოლო წუთამდე გულდაჯერებული ვიყავი, ასე თქვა, როგორც კი ფილოსოფიის დოქტორის ხარისხს მივიღებ, მაშინვე გერმანიის არმიასში წავალ სანიტრადო; ბოლო წუთამდე კი იყო დაჯერებული, ოღონდ მერე საკუთარ თავს გამოუტყდა, რომ ის გერმანია, მას რომ ესოდენ გულმხურვალედ შეეძლო შეეყვარებინა, ლიეჟის და ნამიურის ფორტებსა და 1848 წელს შორის მომკვდარიყო სადღაც. უფრო სწორად, გევინ ბიძიას არ უყვარდა ის გერმანია, 1848 წელსა და იმ ბელგიურ ციხესიმაგრეთა შაულებდში რომ იშვა, რადგან ეს გოეთესა და ბახის, ბეთჰოვენის, შილერის გერმანია აღარ იყო უკვე. და, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, გულს უკლავდა ეს ამბავი, ამის გამხელა მაშინაც კი ეძნელებოდა, როცა ამსტერდამს ჩააღწია და გამოწვლილვით შეიტყო ამერიკის არმიის ასავალ-დასავალი, მანამდე ყურმოკრული რომ ჰქონდა მხოლოდ.

ოღონდ გევინ ბიძიამ ისიც თქვა - ჩვენ, ამერიკელები, ევროპულ ომებს არ შევჩვევივართ და ჯერაც დიდ რამე ამბად მიგვაჩნიაო; ასეა თუ ისე, ორ წელიწადს ხომ ვიყავი გერმანული უნივერსიტეტის სტუდენტი. ფრანგები სხვა საქმეაო: გერმანიასთან ახალი ომი მათთვის კვლავინდებურად საისტორიო ქრონიკის სამწუხარო უსიამოვნებაა მხოლოდ. ეს პრაქტიკულ პესიმისტაა ერი ყოველ კაცს, მისი პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად, საშუალებას აძლევს ის გააკეთოს, რაც მოეგუნება, მით უფრო იმას, ვინც მზადაა, უსასყიდლოდ გაისარჯოსო. ასე რომ, გევინ ბიძიამ ის ხუთი თვე ვერდენტან გაატარა თავისი საკაცებითურთ, ფილტვების ანთება აიკიდა და ამერიკელთა ჰოსპიტალში ამოყო თავი. ახლა შეეძლო ჯეფერსონს ჩამობრუნებულიყო და, როგორც თვითონვე თქვა, იმ დღეს დალოდებოდა, როცა ჩვენც ჩავებმებოდით ომში. აღარც ის დღე არისო შორს.

მართალიც იყო: ორი სარტორისი - პოლკოვნიკ სარტორისის ტყუპი შვილიშვილი უკვე ინგლისში გაემგზავრა სამეფო საჭაერო ფლოტში გასამწყვებლად, მერე აპრილიც დადგა და გევინ ბიძია, როგორც ახალგაზრდა ქრისტიანთა ასოციაციის მდივანი, კვლავ საფრანგეთში გაგზავნეს ამერიკის პირველ მხედრობასთან ერთად. მაშინ უცბად მოგვევლინა მონტგომერი უორდ სნოუპსი, პირველი იმათგან, ვისაც რეტლიფი ასე იხსენიებდა ხოლმე - ის ფუმფულა, ბობრი ბიჭები, ა. ო-ს შვილებიო; სწორედ დედამისი გახლდათ, სნოუპსის სასტუმროს ფანჯარასთან რომ ირწეოდა სავარძელში, რადგან სიცივე იდგა და გალერეაში ჯერ ვერ გადაესვენებოდა. ამასობაში ჯექსონ მაკლენდონს ჯეფერსონელთაგან ასეული შეედგინა, ჯექსონი კაპიტნად აერჩიათ, ასე რომ, მონტგომერი უორდს შეეძლო იმ ასეულში ჩარიცხულიყო, მაგრამ ამის მაგივრად გევინ ბიძიას მოაკითხა - ახალგაზრდა ქრისტიანთა ასოციაციის ხაზით საფრანგეთში წამიყვანეთო; მაშინ იყო, რეტლიფმა რომ თქვა: იმ კაცებს, ტროელი ელენე რომ ჰყვარებიათ და დაუკარგავთ, ჰგონიათ მხოლოდ - დაკვარგეთო. ოღონდ აჯობებდა კი

დაემატებინა - ელენეც და ყველა მისი ნათესავიცო, იმიტომ, რომ გვეინ ბიძიასაც ასე დაემართა. მე იმის თქმა მინდა, მონტგომერი უორდი თან წაიყვანა-მეთქი.

- რა ჭირად გინდოდათ, იურისტო, - უთხრა რეტლიფმა, - სნოუჰუსია ის ბიჭი.

- რაღა თქმა უნდა, - გვეინ ბიძიამ მიუგო. - მერე ჩვენს დროში ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთზე შესაფერის ადგილს სად ნახავს კაცი სნოუჰუსისთვის? ამიენიდან და ვერდენიდან რაც გაეწყობა შორს, დასავლეთის მხარეს.

- კი, მაგრამ რისი გულისთვის?

- მაგაზე მეც ვიფიქრე, - თქვა გვეინ ბიძიამ. - სამშობლოს დაცვა მინდაო, ეს რომ ეთქვა ჩემთვის, ჰებ ჰემპტონს ვუბრძანებდი - ციხეში ჩასვი, ბორკილი დაადე და თვალი არ მოაშორო, სანამ მე ვაშინგტონში დავრეკავდე-მეთქი. მაგრამ იმან ასე მითხრა: სულერთია, მალე ისეთი კანონი გამოვა, ყველას გაგვრეკავენ ჯარში, ჰოდა, ახლა თქვენ რომ წამოგყვეთ, უფრო ადრე მოხვდებით იქ და მიხედვ-მოხედვას მაინც მოვასწრებო.

- მიხედვ-მოხედვასო, ხომ? - თქვა რეტლიფმა. გვეინ ბიძიამ და იმან ერთმანეთს გადახედეს. რეტლიფმა ორჯერ თუ სამჯერ დააფახულა თვალი.

- კი, - დაუდასტურა გვეინ ბიძიამ, და რეტლიფმა ისევ დააფახულა თვალი ორჯერ თუ სამჯერ.

- მიხედვა-მოხედვასო, - თქვა მერე.

- კი, - დაუდასტურა გვეინ ბიძიამ. ჰოდა, გვეინ ბიძიამ თან წაიყოლა მონტგომერი უორდ სნოუჰუსი და მაშინ იყო, რეტლიფმა რომ თქვა იმ ხალხის ამბავი, ვისაც ჰგონია - ტროელი ელენე სამუდამოდ დაკვარგო. ამასობაში გაუნი ისევე ჩვენსას ცხოვრობდა; იქნებ ევროპაში ატეხილი ომის გამო იყო, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი მის დედ-მამას ნებას არ რთავდა დაბრუნებულიყვნენ ჩინეთიდან თუ საიდანღაც, ერთი სიტყვით, სადაც გაემწყესებინათ, იქიდან. მოედნის გავლით შინისკენ მიმავალი გაუნი კვირაში ერთხელ მაინც რეტლიფს გადაეყრებოდა, გეგონებოდათ, რეტლიფი საგანგებოდ ელოდებოდა, და გაუნი უყვებოდა - გვეინ ბიძია ამას და ამას იწერებოდა, რეტლიფი კიდევ ეტყოდა ხოლმე:

- მისწერე - თვალი ფხიზლად გეჭიროთ-თქო. ჩემგანაც შეუთვალე - რაც გამეწყობა, ყველაფერს ვაკეთებ-თქო.

- „რაც გაეწყობათ“ რა არის? - შეეკითხა გაუნი ერთხელ.

- ვიცავ და ვტვირთულობ.

- რას იცავთ და რას ტვირთულობთ? - შეეკითხა გაუნი და, ეს რომ ჰკითხა, მაშინდა შენიშნა, რომ რეტლიფს სულაც ვერ ხედავ კაცი, ვიდრე ნამდვილად არ დაინახავ უცებ. ყოველ შემთხვევაში, მე კი ასე დამემართაო, - თქვა გაუნმა. ამის შემდეგ გაუნი იქით ემებდა ხოლმე რეტლიფს. მომდევნო შეხვედრისას კიდევ, რეტლიფმა ჰკითხა:

- რამდენი წლის ხარ შენ?

- ჩვიდმეტის, - მიუგო გაუნმა.



- აბა, დეიდაშენი, რალა თქმა უნდა, ყავის დალევის ნებას კი გაძლევს უკვე, - უთხრა რეტლიფმა. - რას იტყვი...

- დეიდა კი არა, ბიძაშვილია ჩემი, - თქვა გაუნმა. - კი, ყავას კი ვსვამ ხოლმე, ოღონდ არ მიყვარს მაინცდამაინც. რატომ მკითხეთ?

- ისე, ნაყინს ხანდახან მეც გეახლები, - თქვა რეტლიფმა.

- მერე რითაა ცუდი მაგ ამბავი? - იკითხა გაუნმა.

- რას იტყვი, საკონდიტროში რომ შევიდეთ და ნაყინი მივირთვათ? - უთხრა რეტლიფმა.

შევიდნენ კიდეც. რეტლიფი ყოველთვის ხენდროს ნაყინს ამჯობინებდაო, - მითხრა გაუნმა. ერთი სიტყვით, გაუნს შეეძლო, ლამის ყოველდღე შეხვედროდა რეტლიფს, ასე რომ, ახლა, რაკი ამ საქმეს გაუნმაც მოჰკიდა ხელი, სურდა თუ არა, ნაყინიც უნდა ეჭამა ხოლმე, გადახდით კიდეც რიგ-რიგობით იხდიდნენ ის და რეტლიფი. ჰოდა, ერთხელ რეტლიფმა, ხელში რომ ვარდისფერ თავმოდგმული ვაფლის ჭიქა ეჭირა, ასე თქვა:

- ამაზე კარგი გამოგონება არაფერი ვიცი სწორედ. რა სჯობია იმას, კაცს რომ არ გეშინია - პირს დავიწვავო. უარესს ნამდვილად ვერაფერს წარმოვიდგენდი: რა საცოდაობა იქნებოდა, ნაყინით რომ პირს იმდულრავდეს კაცი! ჰოდა, რას იტყვი, ნაყინი რომ კვირაში ერთხელ ვჭამოთ, სხვა დროს კიდეც ისე გავაგებინოთ ერთმანეთს ახალ-ახალი ამბები?

გაუნი დაეთანხმა, ამის შემდეგ ისე ხვდებოდნენ ერთმანეთს, და გაუნი რეტლიფს გზადაგზა უამბობდა გევინ ბიძიას მიერ მოწერილ ამბებს: - ასე შემოგიტვალათ, რაც გამეწყობა, მეც ყველაფერს ვაკეთებო, ოღონდ თქვენ მართალი იყავით - ერთი კაცი არ კმარაო. - მერე გაუნი რეტლიფს შეეკითხა: - რა ერთი კაციო? რისთვის არ კმარაო? - მაშინ გაუნი ჩვიდმეტი წლის იყო, უფროსებს სჯეროდათ თუ არა ეს ამბავი, სხვა საქმეებიც ჰქონდა, მაგრამ მაინც დაუზარებლად გადასცემდა ხოლმე იმას, რასაც, დედას ნათქვამის არ იყოს, სარეტლიფოდ იწერებოდა გევინ ბიძია. ასე იყო ეს ამბავი, როცა გაუნი რეტლიფს ხვდებოდა, უფრო სწორად, როცა რეტლიფი ხვდებოდა, იჭერდა ხოლმე გაუნს თითქმის ყოველდღე, ასე რომ, გაუნს უკვირდა კიდეც - თავის სარჩენი ფულის შოვნას როდისღა ასწრებსო. ოღონდ გაუნი ყოველთვის როდი უსმენდა რეტლიფის ნათქვამს, ასე რომ, მერე თვითონაც არ იცოდა, როგორ ჩააგონა და როდის ჩააგონა რეტლიფმა (იმ ზომამდე, რომ გაუნს ინტერესი აღეძრა - თითქოს თამაშში ჩაბმულიყოს, შეჯიბრებაში, ანდა ნამდვილ ბრძოლაში, ომშიც კი) - სწოუპსებზე სულ თვალი უნდა გეჭიროს, გინდაც ასპიტა ან ვეფხვთა შემოსევა ყოფილიყოსო; ჰოდა, გევინ ბიძია და რეტლიფი სწორედ ამას აკეთებდნენ თუ ცდილობდნენ გაეკეთებინათ, რადგან, ეტყობა, ჯეფერსონში სხვა ვერავინ გრძნობდა საფრთხეს. ასე რომ, იმ ზამთარს, როცა ბოლოს და ბოლოს მობილიზაცია გამოცხადდა და ბაირონ სწოუპსი პოლკოვნიკ სარტორისის ბანკიდან ჯარში წაიყვანეს, გაუნი მშვენივრად მიხვდა, რას გულისხმობდა რეტლიფი, როცა უთხრა:

- როგორ მოახერხებს, არ ვიცი, ოღონდ ცენტზე მილიონს ჩამოვდივარ, რომ შეერთებული შტატებიდან არსად წავა ის ბიჭი; ჰოდა, ერთზე ასს ჩამოვდივარ, რომ მისისიპის შტატს არც გასცილდება, არკანზასის საზღვართან რომ ფორტია, სადაც

დააბანაკებენ პირველ ხანებში, იმას იქით აღარ წავა; მომეცი ათი დოლარი და თერთმეტს მოგცემ სამაგიეროდ, თუ სამი კვირის მერე ჯეფერსონში არ დაბრუნდეს. – გაუნს ათი დოლარი არ მიუცია, მაგრამ მერე ამბობდა – ვინანე, რატომ არ მივეციო; იმიტომ, რომ რეტლიფი ორი დღით შემცდარა, მერე კი ბაირონ სნოუპსი ისევ მოკალათდა ბანკში. ოღონდ ჩვენ არ ვიცოდით, რანაირად მოახერხა ეს, ვერც რეტლიფმა შეიტყო ვერაფერი, ვიდრე იმან, იმ ბაირონ სნოუპსმა ბანკი არ გაძარცვა და მექსიკაში არ გადაიხვეწა. ჰოდა, რეტლიფმა თქვა: სნოუპსები ყოველთვის ყველაფერს ახერხებენ, რადგან დიდიან-პატარიანად იმის ცდაში არიან ნიადაგ, რომ სიტყვა „სნოუპსობა“ მხოლოდ ზოოლოგიური ჯიშისადმი კუთვნილებას კი არ ნიშნავდეს, ხელის მოცარვასაც იმთავითვე გამორიცხავდესო; ამას კიდევ იმის წყალობით აკეთებენ, რომ ერთადერთ წესს, კანონს, ერთადერთ საღმრთო ფიცს იცავენ მოუშლელად – მის დღეში არავის გაუმხელენ, როგორ ახერხებენ და რანაირად ახერხებენო. ბაირონს ასე მოუხერხებია: ყოველდამე დაწოლისას მარცხენა ილღიაში საღეჭ თამბაქოს იწებებდა და ამით სიცხეს იწევდა, ვიდრე არმიის ექიმებმა ბოლოს და ბოლოს დემობილიზაციით არ გამოუმეგეს სახლში.

ახლა რაღაც-რაღაც ახალი ამბები კი შეგვეძლო შეგვეტყობინებინა გვერდ ბიძიასთვის – სნოუპსების ამბებს მოგახსენებთ. და სწორედ ამ დროს რეტლიფმა შენიშნა, რომ აგერ რამდენიმე თვე გადიოდა უკვე, რაც გვერდ ბიძია ერთ სიტყვასაც აღარ იწერებოდა მონტგომერი უორდ სნოუპსის შესახებ. ოღონდ საიმდროოდ, როცა გვერდ ბიძიასგან მიღებულ პასუხში წავიკითხეთ: „ჩემთვის გამოგზავნილ ბარათებში ეს სახელი აღარასოდეს მიხსენოთ. გაგონებაც აღარ მინდა“, საიმდროოდ უკვე შეგვეძლო გვერდ ბიძიასთვის ჩვენი საკუთარი ცნობები მიგვეწოდებინა სნოუპსის შესახებ.

ეს ამბავი ახლა ეკს შეეხებოდა.

– ბიძაშენი მართალი იყო, – რეტლიფმა თქვა.

– ხომ გითხარით – ბიძა კი არა, ბიძაშვილია-მეთქი ჩემი, – უთხრა გაუნსმა.

– კარგი, ბატონო, მასე იყოს, – თქვა რეტლიფმა. – ეკი ხომ სნოუპსი არ ყოფილა. ამან დაღუპა სწორედ. ეტყობა, ნამდვილი სასნოუპსო ადგილი მთელ ქვეყნიერებაზე არსად მოიძებნებოდა, ჰოდა, ადგენენ სნოუპსები და თვითონვე მოიძიეს ის ადგილი მარტო იმის წყალობით, რომ ერთმანეთს არიან ჩაპორწიალებული; ჰოდა, ერთი მათგანი პირველად რომ მოცურდა, ერთმა სნოუპსმა რომ წაიფორხილა ან, თუ გინდა ასე ვთქვათ – ვერ ისნოუპსა-თქო, დანარჩენ ხროვას ისიც არ დასჭირვებია, სული გაეფრთხობინებინა მისთვის, როგორც მგლებს სჩვევიათ: თავად ბედისწერა იყო, შემთხვევას რომ ელოდებოდა და ისარგებლა კიდევ ამ შემთხვევით.

ღვედებით გაწყობილ ფოლადისსაყელურიანი ეკი ღამის დარაჯი გახლდათ, ნავთობის კომპანიის ბაკს ყარაულობდა სადგურთან; მისი ამბავი მეც შევიტყვე, რადგან მაშინ უკვე ოთხი წლის ვიყავი თითქმის. სადამოხანს, დღისსულ მოხდა ის ამბავი; ვახშმად ვისხედით, ჰოდა, უეცრად საშინელი აფეთქების ხმა გაისმა, ისეთი გრიალი, მანამდე რომ არ სმენოდა ჯეფერსონს, ისეთი გამაყრუებელი, რომ ყველანი უმაღვე მივხვდით – ბოლოს და ბოლოს გერმანელებმა ჩვენს ქალაქშიც ბომბი ჩამოაგდესო; ამ ამბავს ჩვენ, უფრო სწორად, მერი დე სპეინი – იმ დღიდანვე ველოდებოდით, გერმანელებმა „ლუზიტანია“ რომ ჩაძირეს და ბოლოს და ბოლოს ჩვენც მოგვიხდა ომში ჩაბმა. მერ დე სპეინს ხომ ვესტ-პოინტის აკადემია ჰქონდა დამთავრებული და ლეიტენანტადაც იყო კუბაზე. ჰოდა, ეს ომი რომ ატყდა, მასაც მოესურვა ბრძოლაში ჩაბმა, მაგრამ,

ეტყობა, ვერ მოახერხა და ამიტომ შეეცადა მოლაშქრეთა ასეულისთვის მოეყარა თავი, ოღონდ ამ საქმეს თვითონ მის გარდა საგულისხმო ამბად არავინ მიიჩნევდა. თუმცა ის კი იყო, რომ განგაშის ჩვენი სისტემა გვქონდა დაწესებული - გერმანელთა საჰაერო თავდასხმისას ეზოში ზარის რეკვა უნდა ატეხილიყო.

ჰოდა, ის გამაყრუებელი გრგვინვა რომ გაისმა და ზარის რეკვაც ატყდა, ყველანი მივხვდით, რაც მომხდარიყო, და მომდევნო ბომბის ჩამოვარდნას ველოდებოდით, ხოლო ქუჩაში ყვირილ-ყვირილით გამოცვენილმა ხალხმა - სად იყო, სადო? - ბოლოს შეიტყო - აფეთქება სადგურთან მოხდაო სადღაც. ნავთობსასხმელი ბაკი იდგა იქ, ტობე, მრგვალი ბაკი, ოცდაათ ფუტამდე დიამეტრისა და ათ ფუტამდე სიმაღლის, აგურის ბურჯებზე შეყენებული. უკეთ რომ ვთქვათ, წინ იყო ამნაირი ის ბაკი, ახლა მისგან აღარაფერი დარჩენილიყო, იმ ბურჯების კვალიც კი აღარსად ჩანდა. ჰოდა, საამდროოდ იმათ მისის ნანერის ბლავილი შეაწყვეტინეს, როგორც იქნა და აამბობინეს, რაც მომხდარიყო.

მისის ნანერი სედრიკის დედა გახლდათ, ხუთი წლის ბიჭი იქნებოდა სედრიკი, დედა-შვილი ბორცვზე წამომდგარ პატარა სახლში ცხოვრობდა, ზედ სადგურის გვერდით. ჰოდა, როცა, როგორც იქნა, ჩამოაჯინეს მისის ნანერი და ვიღაცამ ვისკი გადააყლაპა, ქალმა მოთქმა შეწყვიტა და ამბავს მოჰყვა. ასე, ხუთი საათი იქნებოდა თურმე, როცა მისის ნანერის სედრიკი ვერსად მოუძებნია, და იქითკენ წასულა, სადაც მისტერ სნოუპსი სკამზე იჯდა ხოლმე საპირფარეოსხელა ხუხულასთან, თავის კანტორას რომ უწოდებდა. მისის ნანერი იმის საკითხავად მისულა - სედრიკი ხომ არსად დაგინახავთო? მისტერ სნოუპსს სედრიკი არ დაენახა, მაგრამ მაშინვე წამომდგარა, რათა დედამისს მოძებნაში მიშველებოდა. ჰოდა, სათადარიგო ხაზზე მდგარი ყველა საბარგო ვაგონი მოუჩხრეკავთ, პაკვაუზიც დაუთვალიერებიათ, გარშემო ყველაფერი გადაუქოთებიათ, უმახიათ და უმახიათ სედრიკისთვის, ოღონდ მისის ნანერიმ ის ვერაფრით გაიხსენა, ნავთობსასხმელი ბაკი რომელს მოაგონდა პირველად. მგონი, მისტერ სნოუპსს უნდა მოჰგონებოდა, რაკი სწორედ იმან იცოდა, ბაკი დაცლილი რომ იყო, თუმცა მისის ნანერისაც ალბათ დანახული იქნებოდა ბაკისთვის მიდგმული კიბე, რომლითაც მისტერ სნოუპსი ზემოთ ასულიყო, რათა სამკრენი აეხადა და გაზი ამოეშვა ბაკიდან.

მისტერ სნოუპსს ალბათ ეგონა - გაზი თითქმის ამოცლილი იქნებოდა, ოღონდ, ეტყობა, ისიც იფიქრა ორივემ - რაც ჩარჩენილია, სედრიკის მოსაწამლავად ისიც იკმარებდა, თუკი ბაკში ჩაძვრაო. რადგან მისის ნანერიმ თქვა - კი, ორივეს ასე გვეგონა, სედრიკი შიგ არის, მკვდარი გდიაო; მისის ნანერი იმდენად დარწმუნებული ყოფილა ამ ამბავში, ერთი წამითაც აღარ შეეძლო მოცდა; გავარდნილა, თვითონაც არ იცოდა, საით გარბოდა, ისე მიექანებოდა თურმე, როცა მისტერ სნოუპსს თავისი „კანტორიდან“ ანთებული ფარანი გამოუტანია; მერეც გარბოდა და გარბოდა თურმე, ვიდრე მისტერ სნოუპსი კიბეზე ადიოდა, მერეც, როცა იმან თოკჩაბმული ფარანი სამკრენში ჩაუშვა; მაშინაც გარბოდა, როცა აფეთქებას (გაგონებით მისი ხმა არ გამოგონია, თორემ გავჩერდებოდით, - თქვა მისის ნანერიმ) წაუტყვევია და მისირგვლივ ბზიკების გუნდვით აზუზუნებულა ბაკის ნამსხვრევები. ჰოდა, ელექტროსადგურიდან გამოჭრილი მისტერ ჰარკერი პირველი მოვარდნილა და, რომ წამოუყენებია, მისის ნანერი ისევ გასაქცევად იქაჩებოდა თურმე, მოსთქვამდა და ჰაერს პოტნიდა ხელებით, მისტერ ჰარკერს კიდევ გაკავებული ჰყავდა, ვიდრე არ აიძულა დამჯდარიყო და ერთი ყლუპი ვისკი მოესვა, ამასობაში სხვებმაც მოუსწრეს, აგურის ნამტვრევთა გადაქექვა-გადმოქექვას შეუდგნენ, იქნებ სედრიკისა და მისტერ სნოუპსის კვალს მაინც

მივაგნოთო, ოღონდ ამასობაში გახვითქულმა სედრიკმაც მოიბრინა – აფეთქების ხმა რომ გაისმა, ბაკიდან ნახევარ მილზე საწრეტთან თამაშობდა თურმე.

მისტერ სნოუპსს კიდევ მეორე დილამდეც ვერსაც მიაკვლიეს, ვიდრე სამუშაოზე მიმავალმა ტომ-ტომ ბერდმა, ელექტროსადგურის ცეცხლფარეშმა, იმ ადგილიდან, ასე, ორას იარდზე, სადაც წინ ბაკი იდგა, ტელეგრაფის მავთულეებზე ჩამოკიდებული რაღაც საგანი არ შენიშნა. ტომ-ტომმა გრძელი ჯოხი მოძებნა, ის რაღაცა ჩამოაგდო და ელექტროსადგურში მისულმა მისტერ ჰარკერს უჩვენა. მისტერ სნოუპსის ფოლადის საყელური ყოფილიყო, ოღონდ ღვედების ნასახიც აღარსად ჩანდა.

მაგრამ თვით მისტერ სნოუპსის ნაშთს ვერაფრით მიაკვლიეს; კარგი კაცი იყო მისტერ სნოუპსი, ყველას უყვარდა, – ჩამოჯდებოდა ხოლმე თავისთვის სკამზე „კანტორის“ კართან, საიდანაც ბაკიც ჩანდა, ანდა იქვე მიდი-მოდიოდა, ვიდრე სანავთეებში, ვედროებსა და კანისტრებში ნავთი ისხმებოდა, ფოლადის საყელური ეკეთა ისე, რომ თავს ვერ აბრუნებდა აქეთ-იქით, მთელი ტანით უნდა შებრუნებულიყო გახევებული. ჩვენს ქალაქში ყველა ბიჭი იცნობდა, რადგან ძალიან მალე შეიტყვეს, რომ სოფლიდან მთელი ტომარა მიწის თხილი წამოედღვანა და გამვლელებ-გამომვლელებ ბალებს ურიგებდა ხოლმე.

გარდა ამისა, მასონიც გახლდათ, ძველისძველი მასონი, თუმცა თავის ორდენში აღზევებით არ აღზევებულა. ასე რომ, ის საყელური წესისამებრ კუბოში ჩასვენეს და ისე დაკრძალეს: დასაფლავების ამბებს მასონები განაგებდნენ; ყვავილები მოსალოდნელზე მეტიც აღმოჩნდა, ნავთობის კომპანიასაც კი გამოეგზავნა ყვავილები, თუმცა მისტერ სნოუპსმა იმხელა ბაკი სულ ტყუილუბრალოდ კი აუფეთქა კომპანიას, იმიტომ, რომ ბაკში სედრიკ ნანერიც არ ყოფილა ჩასული.

ერთი სიტყვით, რაც მოიძებნა, ის დამარხეს; დაკრძალვას ბაპტისტი ქადაგი ესწრებოდა, წინსაფრიანი მასონები კიდევ სამარეს მუჭით მიწას აყრიდნენ და – ვაგლახ, ძმაო ჩემოო – აღმოთქვამდნენ. მერე ახალმოყრილ მიწას ყვავილები მოაფრქვიეს (ერთ ყვავილს მასონთა ნიშანი ჰქონდა ჩატანებული): ჰოდა, ბაკი დაზღვეული გახლდათ, ასე რომ, ნავთობის კომპანია მისტერ სნოუპსის წყევლას აღარ მოჰყოლია – მოწიფულ კაცს ამნაირი სიბრყვე რამ ჩაადენინა, ის კი არა და მისის სნოუპსს თანაგრძნობის ნიშნად ათასი დოლარიც გადაუხადეს, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ რეგვენს გაჰყოლოდა ცოლად. უკეთ რომ ვთქვათ, ის ფული მისის სნოუპსს იმიტომ მიუთვალეს, რომ მის უფროს ვაჟიშვილს, უოლსტრიტს მაშინ თექვსმეტი ჯერ არ შესრულებოდა, თუმცა მოხმარებით მაინც უოლსტრიტმა მოიხმარა ის ფული.

ოღონდ ეს ამბები მერე მოხდა. მაშინ ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ იმდენ ხანს მეთაურად ნამყოფ მერ დე სპეინს ბოლოს ეღირსა თავისი ზარი ჩამოერეკა და განგაში აეტება, ჩვენ კიდევ შესაძლებლობა მოგვეცა, გვეინ ბიძიასთვის რაღაც-რაღაც ახალი ამბები შეგვეტყობინებინა სნოუპსის შესახებ. ახლა ჩვენ-მეთქი, როცა ვამბობ, ჩემს თავსაც ვგულისხმობ უკვე. გაუნის მშობლები ბოლოს და ბოლოს დაბრუნდნენ ჩინეთიდან თუ საიდანღაც და გაუნის ვაშინგტონს გაემგზავრა (შემოდგომა იდგა), რათა სკოლა დაემთავრებინა და მომდევნო წელს ვირჯინიის უნივერსიტეტში შესულიყო. ჰოდა, ერთ დღეს დედამ სასტუმრო ოთახში ახმობინა ჩემი თავი და, რომ შევედი, იქ რეტლიფი დამხვდა, თავისი ლურჯი, გამოხუნებული, უჰალსტუხო ხალათით მოსილი დარბაისლურად ჩამომჯდარიყო, სახეზე სიმშვიდე გადაჰფენოდა (სუფრაზე ჩაის სინი იდგა, რეტლიფსაც ჩაის ფინჯანი და კიტრიანი ბუტერბროდი ეპყრა ხელთ, მე კიდევ ახლა უკვე ვიცი – იმ ოლქის ამბავი რომ აღარაფერი ვთქვათ, სადაურიც გახლდათ

რეტლიფი, ჯეფერსონშიც ბევრს არავის გაეგებოდა, რა უნდა მოეხერხებინათ ჩაის ფინჯნისთვის დღის ოთხ საათზე, იქნებ რეტლიფიც პირველად მოსწრებოდა ასეთ რამეს, ოღონდ მისი შემხედვარე ამას ვერავინ იფიქრებდა), ჰოდა, დედამ მითხრა:

- მიესალმე მისტერ რეტლიფს, ბიჭიკო, მისტერ რეტლიფი ჩვენს მოსანახულებლად მობრძანდა, - და რეტლიფმა თქვა:

- აბა, ასეთ სახელს ეძახით? - და დედამ უთხრა:

- არა, ისე ვეძახით, როგორც მოგვიხდება ხოლმე, - და რეტლიფმა თქვა:

- ზოგჯერ ჩარლზის სახელის მქონე ბიჭუნას, სკოლაში როცა დაიწყებს სიარულს, ჩიკსაც დაუძახებენ ხოლმე. - მერე მე შემეკითხა: - ხენდროს ნაყინი თუ გიყვარს? - და მე მივუგე:

- ყველანაირი მიყვარს, - და რეტლიფმა თქვა:

- მაშინ შეიძლება შენმა ბიძაშვილმა უკვე გითხრა... - და გაჩუმდა, მერე კი დედაჩემს მიმართა: - მაპატიეთ, მისის მალისონ, იმდენჯერ გამისწორეს, რომ, ეტყობა, ჯერჯერობით დრო დამჭირდება შესაჩვენად.

მას შემდეგ სწოუპსებზე მე და რეტლიფს გვეჭირა თვალი და არა გაუნს და რეტლიფს, ოღონდ ორი პორცია ნაყინის ნაცვლად რეტლიფს ახლა სამისყიდვა უხდებოდა, რადგან, როცა ქალაქში უდედაჩემოდ მივემგზავრებოდი, ალექ სენდერი მახლდა ხოლმე. არ ვიცი, როგორ მოხდა, მით უფრო ვერ გამიხსენებია - როდის მოხდა, რადგან მაშინ ხუთი წლისაც არ ვყოფილვარ, მაგრამ, გაუნის არ იყოს, რეტლიფმა მეც ჩამაგონა - სწოუპსებმა ჯეფერსონი ისე აავსეს, როგორც გველებმა ან ტყის ნადირებმაო, თანაც გვეინ ბიძიას და ჩემ მეტს არავის ესმის, რა საფრთხეც გვემუქრება ყველას, ჰოდა, ახლა მე მარტოდმარტო მაქვს ნატვირთი ჯვარი, ვიდრე ბოლოს და ბოლოს ომი არ დამთავრდება, გვეინ ბიძია არ დაბრუნდება და არ შემეშველებაო. - დროა უკვე, შენც იცოდე ეს ამბავი, - მითხრა რეტლიფმა, - თუმცა ხუთს არ გადაცილებიხარ ჯერ. სულერთია, ბევრი რამის შეტყობა მოგიწევს კიდევ, სანამ წამოიზრდებოდე და შენ თვითონაც შეძლებდე იმათთან ბრძოლას.

ნოემბერი იყო. და, აი, ის დღეც დადგა, როცა სასამართლოს ეზოში ხელახლა ატყდა ზარის რეკვა. ოღონდ ამჯერად იმ ზარს ეკლესიის ზარებიც აჰყვენენ გამალებული, თუმცა შუა კვირა იყო, ეკლესიის ზარები კიდევ კვირადღეობით რეკდნენ ხოლმე ჩვეულებრივ; მერე რამდენჯერმე თოფი და რევოლვერიც გავარდა, - ასევე ისროდნენ კონფედერაციის ჯარისკაცის ძეგლის გახსნისას ძველი ვეტერანები, ვინც კი ცოცხალი იყო ჯერაც. ოღონდ ესენი, ახლანდელნი, ომში ჯერ არ ყოფილიყვნენ, ასე რომ, შესაძლოა, ესენი იმასაც ზეიმობდნენ, რომ ეს ომი მანამდე დამთავრებულიყო, ვიდრე ამათ მოუწევდათ ჯარში წასვლა. ახლა გვეინ ბიძიას შეეძლო შინ დაბრუნებულიყო და რეტლიფსაც შეეძლო შეჰკითხოდა, - ისეთი რა ჩაიდინა მონტგომერი უორდ სწოუპსმა, რომ მისი სახელის ხსენებაც აგვიკრძალებოთ. მაშინ იყო, რეტლიფმა რომ მითხრა:

- დროა, შენც შეაჩვიო ყური ამნაირ საუბარს, თუმცა ხუთს არ გადაცილებიხარ ჯერ.

- ისიც მაშინ მითხრა: - როგორ გგონია, რა უნდა გაეკეთებინა ისეთი? შენს ბიძაშვილს ათ წელიწადს ეჭირა თვალი, სწოუპსებზე; ერთი იმათგანი საფრანგეთშიც ჩაიყვანა, თავად იზრუნა საიმისოდ, ის ბიჭი დროს რომ არ ჩამორჩენოდა. როგორ

გაგონია, რა უნდა გაეკეთებინა იმ სნოუქსს, ათი წლის მერეც ისე გაემტერებინა, ისეთ საგონებელში ჩაეგდო, რომ მისი სახელის გაგონებაც აღარ უნდა?

ანდა იქნებ დააპირა მხოლოდ ამის თქმა, ოღონდ აღარ უთქვამს, რადგან გევინ ბიძია ორი კვირით ჩამობრუნდა. სამხედრო ფორმისგან, არმიისგან, ახალგაზრდა ქრისტიანთა ასოციაციისგანაც თავი კი დაეხსნა გევინ ბიძიას, ოღონდ ყოველივე ამისგან თავი დაეხსნა თუ არა, მაშინვე შეეყვანათ ევროპაში ომის შედეგების სალიკვიდაციო რომელიღაც საბჭოში თუ კომისიაში, ანდა მგონი, ბიუროში, რადგან ევროპაში იმდენ ხანს იყო ნაცხოვრები და გერმანიაშიც ესწავლა ორ წელიწადს. ანდა შესაძლოა სულაც იმიტომ ჩამობრუნდა გევინ ბიძია, რომ ომის ბოლო წელიწადს ბაბუა გარდაიცვალა, ჰოდა, გევინ ბიძიაც ჩვენს მოსანახულებლად გამოემგზავრა, როგორც ახლობელთა დაკარგვისას სჩვევიათ ხოლმე. ოღონდ მე მაშინ ასე მეგონა - გევინ ბიძია იმიტომ ჩამოვიდა, რომ რეტლიფს მონტგომერი უორდ სნოუქსზე ისეთი საშინელება რაღაც უამბოს, წერილშიც რომ არ მოიწერება-მეთქი. ეს მაშინ იყო, როცა რეტლიფმა მითხრა - კიდევ ბევრი რამის შეტყობა მოგიწევსო, რითაც იმას გულისხმობდა, რომ, თუკი ისევ მარტოს მოუხდებოდა ჯვრის ტვირთვა, მე ამით მაინც ვუშეღავათებდი ცოტათი.

ჰოდა, ერთხელ - ახლა დედაჩემი ზოგჯერ მარტოსაც მიშვებდა ხოლმე ქალაქში, მე იმის თქმა მინდა, ზოგჯერ ვერც ამჩნევდა-მეთქი, რომ მივდიოდი, და აღარ მომძახოდა, - აბა, დაბრუნდიო. თუმცა არა: მე იმის თქმა მინდა, დედაჩემი მიხვდა-მეთქი, რომ არ მომწონდა, როცა ერთობ მკაცრად მექცეოდა, - ჰოდა, ერთხელ რეტლიფის ხმა შემომესმა - აქ მოდიო, მეძახდა. საამდროოდ რეტლიფმა თავისი ფურგონი და ცხენები გაყიდა და ახლა „ფორდი“ ჰყავდა, უკანა დასაჯდომის ადგილას ატარა შედეგილ სახლაკდადგმული, იმ სახლაკს შიგნით კიდევ საკერავი მანქანა ედგა; იმნაირ ავტომობილებს ახლა პიკაპს ეძახიან, ოღონდ ის პიკაპი რეტლიფმა და ნუნ ჰეიტვუდმა თავისით გააკეთეს. რეტლიფი საჭეს უჯდა. მანქანის კარი უკვე გამოეღო ჩემთვის, მე გვერდით მივუჯექეი, იმან კარი მოიჯახუნა და ნელ-ნელა გავუყვივით განაპირა ქუჩებს.

- ჰო, რამდენი წლის ხარ შენ? - მკითხა რეტლიფმა და მეც ხელახლა ვუთხარი - ხუთის-მეთქი. - ჰოდა, ამ ამბავს აღარაფერი ეშველება, ასე არაა?

- რას არ ეშველება აღარაფერი? - ვკითხე მე. - რატომ არ ეშველება?

- კაცმა რომ თქვას, იქნებ სწორსაც ამბობდე, - მითხრა რეტლიფმა. - ოღონდ ახლა ერთ ადგილას უნდა შევიაროთ აქვე. მონტგომერი უორდ სნოუქსს, ჩემო ბატონო, ამნაირი ამბავი დაემართა - მოქმედ არმიას შეეშვა და საქმეს მოჰკიდა ხელი.

- რა საქმეს? - შევეკითხე.

- რა საქმეს და... სავაჭრო გახსნა ჯარისკაცებისთვის. კი, სავაჭრო. ამ საქმეს დაადგა, შენს ბიძაშვილს როცა ახლდა ევროპაში. ისინი იმ ქალაქში იყვნენ გაჩერებული, შალონი რომ ჰქვია სახელად, შენი ბიძაშვილი სამსახურის საქმეებისთვის იმ ქალაქში უნდა ყოფილიყო, მონტგომერი უორდი კიდევ სხვებზე უფრო მოცლილი გახლდა, ჰოდა, შენმა ბიძაშვილმა დაავალა - ჯარისკაცებისთვის სავაჭრო გახსენიო, მეორე ქალაქზე უთხრა, იმათგან ახლოს რომ იყო, სავაჭრო იქ გამართეო. სავაჭრო კიდევ, ერთი პატარა სახლია, შიგ დახლი დგას მაღაზიასავით, ჰოდა, როცა ჯარისკაცები გერმანელებთან არ ომობდნენ, შეეძლოთ შესულიყვნენ იმ სავაჭროში და კანფეტები, გაზიანი წყალი და ხელით ნაქსოვი წინდები ეყიდათ ხოლმე, - ასე გვითხრა იმ კვირას შენმა ბიძაშვილმა, ხომ გახსოვს? ოღონდ სულ მალემონტგომერი

უორდის სავაჭროს იმდენი ხალხი მისწდომია თურმე, რამდენიც მთელ საფრანგეთში და თუგინდ სხვაგანაც, არც ერთ სხვა ჯარისკაცურ სავაჭროს და არც ახალგაზრდა ქრისტიანთა ასოციაციის სავაჭროებს არ ეხვეოდა, ასე რომ, ბოლოს შენი ბიძაშვილი ამდგარა და იმ ქალაქში ჩასულა - ვნახო ერთი, რა ხდებოდა: ჰოდა, ჩემო ბატონო, უნახავს, რომ მონტგომერი უორდს იმ სავაჭროს უკანა კედელი გამოეტეხა და ცალკე შესასვლელიანი გასართობი ოთახი მოეწყო, იმ ოთახში კიდევ ერთი თავისი ნაცნობი დაებინავებინა, ახალგაზრდა ფრანგი ქალი. ჰოდა, როცა ჯარისკაცს წინდების ყიდვა ან შოკოლადის წუწნა მოსწყინდებოდა, შეეძლო, მონტგომერი უორდისგან ბილეთი ეყიდა, იმ უკანა ოთახში შესულიყო და ესამოვნა თავის ხარჯზე.

ეს ამბავი შენმა ბიძაშვილმა გაიგო, ჩემო ბატონო. ოღონდ არმიის და ახალგაზრდა ქრისტიანთა ასოციაციის წესდებაში ერთი რაღაცა მუხლი ყოფილა, ამნაირ გართობას რომ კრძალავს თურმე; ჯარისკაცი წინდებს და გაზიან წყალს უნდა დასჯერდესო, - ასე ფიქრობდნენ თურმე ისინი. ანდა იქნებ შენი ბიძაშვილიც ჩაერია ამ საქმეში, კი, ეტყობა, ის უნდა ჩარეულიყო ნამდვილად. იმიტომ, რომ არმიას და ახალგაზრდა ქრისტიანთა ასოციაციას იმ უკანა ოთახის ამბავი რომ შეეტყვოთ, მონტგომერი უორდს იქიდან კინწს უკრავდნენ და ჯეფერსონში ხელბორკილიანი დაბრუნდებოდა, თუკი ლივენუორტში (ივენუორტი - საკატორლო ციხე) არ ამოყოფდა თავს, კანზასის შტატში რომაა. მახსოვს, შენს მეორე ბიძაშვილს, გაუნს ვუთხარი ერთხელ, დიდი ხნის წინ, შენი სახსენებელიც რომ არ იყო, მაშინ: ვისაც ტროელი ელენე დაუკარგავს, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ისიც იფიქროს - ნეტავ არასოდეს შემხვედროდაო.

- როგორ იყო? - შევეკითხე. - სად ვიყავი მე მაშინ, თუკი არ ვყოფილვარ?

- კი, რაღა თქმა უნდა, შენი ბიძაშვილის ამბავი იყო. მონტგომერი უორდს იმ გასართობ ოთახში შესასვლელი ბილეთებით იმდენი ფული კი შეეძლო მოეგროვებინა, რომ თავი გამოეხსნა, ოღონდ აღარც დასჭირებია, შენმა ბიძაშვილმა გამოიხსნა. მონტგომერი უორდი, თვითონ იცოდა თუ არ იცოდა, სურდა თუ არ სურდა ეს ამბავი, ოღონდ გინდაც ძაძა ყოფილიყოს შენი ბიძაშვილისთვის, დაკარგული სიყვარულის და ერთგულების სამახსოვროდ მოსხმული. ანდა იქნებ ჯეფერსონი იყო მთელი საქმე. იქნებ შენი ბიძაშვილი იმ ამბავს ვერ მოინელებდა, რომ ლივენუორტის ციხეში ჯეფერსონელი მოქალაქე ჩამჯდარიყო, თუგინდ ამის წყალობით თვით ჯეფერსონს ერთი სნოუჰსი მაინც მოჰკლებოდა. ასე რომ, ეტყობა, ის საქმე მოაგვარა და მერე უთხრა - ოღონდ საფრანგეთში თვალით აღარ დაგინახო.

ეს იმას ნიშნავდა - მე აღარასოდეს დამენახო თვალით, იმიტომ, რომ მონტგომერი უორდი ძაძა გახლდათ, ჩემო ბატონო: ეტყობა, შენმა ბიძაშვილმაც ისეთივე ზვიადი, ბეჩავი, აღზევებული, თავმოდრეკილი ძრწოლა განიცადა თავისი სიმტკიცის წინაშე, როგორსაც ის უწინდელი განდეგილები განიცდიდნენ, უდაბნოში რომ განმარტოვდებოდნენ ხოლმე და უდრეკი სიმტკიცით ისხდნენ ქვებზე თავარა მზის გულზე და მზე სისხლს უშრობდა და ფეხებს უკრუნჩხავდა, ჰოდა, ამასობაში მონტგომერი უორდს ახალ-ახალი გამართობი ქალები დაჰყავდა თავის ახალ სავაჭროში, პარიზში რომ გაეხსნა...

- არმიის სავაჭროებში შოკოლადი და გაზიანი წყალი არისო, ასე თქვა გვეინ ბიძიამ, - ვუთხარი მე. - ჰო, კიდევ, საღეჭი რეზინიო...

- კი, მაგრამ ეგ ამერიკის არმიაზე თქვა, - მითხრა რეტლიფმა. - ამერიკის არმიამ ისე ცოტა ხანს იომა, რომ, ეტყობა, ვერ შეეჩვია ამ ამბებს. ჰოდა, მონტგომერი უორდის

ახალი სავაჭრო, კაცმა რომ თქვას, ფრანგული სავაჭრო იყო, ამერიკელ ჯარისკაცებთან მონტგომერი უორდს კერძო კავშირები თუ ჰქონდა. აბა, ფრანგებმა კი იომეს საკმარისად, ვინ იცის, რამდენი ბრძოლა გადაუხდიათ, ჰოდა, იმასაც მიხვდნენ – რამე ამბისგან თავის დახსნის საუკეთესო საშუალება ის არის, რომ იმ ამბავს მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ მიაქციო. ფრანგებმა, ეტყობა, იფიქრეს – ისეთი სავაჭრო, მონტგომერი უორდმა ამჯერად რომ გახსნა, ყველაზე ნაღდი, ყაირათიანი და, ასე რომ ვთქვათ, შემომტანი არისო; იმიტომ, რომ რამდენი ფულიც უნდა შემოვიდეს ნაყინის, შოკოლადის თუ გაზიანი წყლის გაყიდვით, ის ფული, რაღა თქმა უნდა, არსად გაიქცევა, ოღონდ ის შოკოლადი, ის ნაყინი და ის გაზიანი წყალი ხომ აღარ იქნება, ხომ შეიჭმება და დაილევა. ჰოდა, იმ ფულის ნაწილი ხელახლა უნდა დაიხარჯოს მარაგის შესავსებად, მაშინ როცა წმინდა გართობა არ ცოტავდება, არ ილევა, მისი მარაგის შესავსებად შრომის და ფულის ხარჯვა სულ არაა საჭირო: საერთო და აბსოლუტური გაცვეთის მეტი არაფერი ხდება, ოღონდ ამას უკვე ვეღარსად გაექცევი კაცი.

- იქნებ ახლა მონტგომერი უორდი ჯეფერსონში აღარ დაბრუნდეს? – ვკითხე მე.
- მის ადგილას მე არ დავბრუნდებოდი, – მომიგო რეტლიფმა.
- უცებ რომ ადგეს და თავისი სავაჭრო თან ჩამოიტანოს?
- მაგ შემთხვევაში ნამდვილად აღარ დავბრუნდებოდი, – თქვა რეტლიფმა.
- ამას სულ გვეინ ბიძიასას ამბობთ? – შევეკითხე.
- აჰ, მაპატიე, – მითხრა რეტლიფმა.
- თქვენ – გვეინ ბიძიაო – ასე რატომ არ ემახით?
- აჰ, მაპატიე, – მითხრა რეტლიფმა. – ჰო, ბიძიაა შენი; იმან ამრია, იმ შენმა ბიძაშვილმა გაუნმა (ახლა მგონი, სწორად ვთქვი, ხომ?!), ოღონდ მეტი აღარდამავიწყდება, სიტყვას გაძლევ.

მონტგომერი უორდი კიდევ ორ წელიწადს არ ჩამოსულა. მაგრამ ცოტათი რომ წამოვიზარდე, მერეღა მივხვდი, რას გულისხმობდა რეტლიფი, როცა თქვა – მონტგომერი უორდი წელეზე ფეხს დაიდგამს, ოღონდ კი ჩამობრუნებამდე მისისიპისთვის შესაწყნარებელი რაიმე ახსნა მოიგონოს იმის თაობაზე – რა სავაჭრო იყო ის სავაჭრო, პარიზში რომ ჰქონდაო. შინ დაბრუნებულ იოკნაპატოფელ ჯარისკაცთაგან მონტგომერი უორდი უკანასკნელი იყო. კაპიტან მაკლენდონის ასეულიდან ერთ-ერთი ამერიკელთა მიერ გადახდილ პირველსავე ბრძოლაში დაიჭრა და 1918 წელს ჩამობრუნდა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი. მერე, 1919 წლის დამდეგს, მთელი ასეული ჩამოვიდა, ოღონდ ორი ჯარისკაცი გრიპს ემსხვერპლა თურმე, რამდენიმე ჰოსპიტალში იწვა ისევ, დაბრუნებულნი კიდევ ერთხანს სამხედრო ფორმითვე დასეირნობდნენ ქალაქის მოედანზე. მაისში ერთი ტყუპისცალიც გამოჩნდა – სარტორისის შვილიშვილი (მეორე შარშან ივლისში მოეკლათ), ბრიტანეთის საჰაერო ძალებში ნამსახური. ოღონდ იმას ფორმა კი არ სცმია, დაბალ-დაბალი, დიდი სამარულო ავტომობილი ჩამოჰყვა, ისეთი, რომ იმასთან შედარებით მერ დე სპეინის მომგრო წითელი მანქანა სათამაშო გეგონებოდათ. ჰოდა, იმ ავტომობილს ქალაქში დააქროლებდა იმ მოკლე-მოკლე შუაღედებში, როცა მისტერ კონნორსს არ ჰყავდა დაპატიმრებული სიჩქარის გადამეტებისთვის. მაგრამ მეტწილად, დაახლოებით კვირაში



ერთხელ, მემფისში გაიჭრებოდა და მერე უკანვე მოექანებოდა, სულ იმას ცდილობდა, გაშინაურებულიყო როგორმე. უფრო სწორად, დედაჩემი იტყოდა ხოლმე ასე – გაშინაურებას ცდილობსო.

ოღონდ, ეტყობა, იმანაც ვეღარ შეძლო ხეირიანად გაშინაურებულიყო, ეტყობა, ომმა ისიც წაახდინა. მონტგომერი უორდ სნოუჰის ამბავს მოგახსენებთ. როგორც ჩანს, ომიანობას ვერაფრით გადაეჩვია, შინ ვეღარ ბრუნდებოდა. ჰოდა, ბაიარდ სარტორისი დაბრუნებით კი დაბრუნდა, მაგრამ გაშინაურებით ვეღარ გაშინაურდა და ისეთი სისწრაფით დაქრიალებდა სარტორისის კარ-მიდამოსა და ჯეფერსონს შუა, რომ პოლკოვნიკი სარტორისი, რომელსაც ავტომობილები ბაბუაჩემზე ნაკლებად არ ეჯავრებოდა და ავტომობილის ყიდვის მოსურნე კაცისთვის ბანკიდან სესხიც არ ემეტებოდა, თავის ეტლსა და სანაქებო ცხენებს შეეშვა და ბაიარდის მანქანით შეუდგა მგზავრობას იმის მოიმედე, რომ, ვიდრე ბაიარდს თვითონ არ გამოსვლია წირვა ან სხვა ვიღაცა არ გაუსტუმრებია საიქიოს, იქნებ სისწრაფეს მოუკლოსო.

ბოლოს და ბოლოს, ბაიარდმა ჩვენი (იოკნაპატოფას მოწიფული ხალხის) მოლოდინისამებრ მაინც გაისტუმრა საიქიოს ერთი კაცი და ის კაცი ბაბუამისი გახლდათ სწორედ. ჩვენ ის არ ვიცოდით, პოლკოვნიკ სარტორისის ცუდი გული თუ ჰქონდა; პიბოდის, ექიმს, სამი წლის წინ უთქვამს მისთვის ეს ამბავი და სასტიკად გაუფრთხილებია – ავტომობილს სიახლოვესაც არ გაეკაროთო. მაგრამ პოლკოვნიკმა სარტორისმა თავისი გასაჭირი არავის გაუმხილა, საკუთარ დასაც კი არ გაენდო თურმე, მისის დიუ პრეს, მის ოჯახს რომ უძღვებოდა: ადგა და შვილიშვილს ჩაუჯდა მანქანაში, ყოველდღე იმით მიდი-მოდიოდა სახლსა და ქალაქს შუა – იქნებ ბაიარდმა ისე სწრაფად აღარ იქროლოსო (ის კი არა, იმდენი მოახერხეს, მის ნარცისა ბენბოუ დაიყოლიეს როგორღაც, ცოლად შერთეს ბაიარდს, იმის იმედი ჰქონდათ, ასე უფრო მალე გაშინაურდებოთ). მაგრამ ერთ დილას ბაბუა და შვილიშვილი გორაკიდან თავქვე რომ დაემშენნა საათში, ასე, ორმოცდაათი მილის სიჩქარით, გზაზე ზანგების ოჯახით დატვირთული ფურგონი შემოეჩეხათ, ხოლო ბაიარდმა – ბაბუა, მარჯვედ იყავიო, და პირდაპირ ხევში გადაუხვია; ავტომობილი არ გადაბრუნებულა, ზიანიც არაფერი მოსვლია, ისე შეჩერებულა ხევში, მაგრამ პოლკოვნიკი სარტორისი უძრავად იჯდა და თვალები ჯერაც ღია ჰქონდა თურმე.

ასე რომ, ბანკი უპრეზიდენტოდ დარჩა და ჩვენ მაშინღა შევიტყვეთ, ვის ეკუთვნოდა ყველა აქცია: თურმე პოლკოვნიკი სარტორისი და მაიორი დე სპეინი, მერ დე სპეინის მამა, ორ ყველაზე დიდ პაკეტს ფლობდნენ სიცოცხლეში, ხოლო მესამე ფრანგისხვეელი ბილ უორნერის ყოფილა. ჰოდა, ჩვენ ვფიქრობდით – იქნებ ბაიარდ სნოუჰსმა მარტო იმის წყალობით კი არ მიიღო ბანკში ადგილი, რომ მის წინაპარს პოლკოვნიკ სარტორისის მამის ხელქვეითად ემსახურა კავალერიაში, იქნებ ბებერი ბილ უორნერის ჩაურევლადაც არ მომხდარაო ეს ამბავი. ოღონდ ამაში გულდაჯერებულნი არასოდეს ვყოფილვართ, რადგან პოლკოვნიკ სარტორისს საკმაოდ კარგად ვიცნობდით და ისიც მოგვეხსენებოდა, რომ მისთვის საკმარისი იყო ერთხელ დაზვერვაში წასულიყო, ანდა თუგინდ ისე ჩამომჯდარიყო ლაშქრობისას ცეცხლის პირას ვინმესთან ერთად, რომ მაშინვე გამოეცნო, რა კაციც იყო ის კაცი.

რადა თქმა უნდა, მრავალი აქცია, იქნებ უფრო მეტიც, ვიდრე იმ სამის ხელში იყო, წვრილ-წვრილად ბევრ ოჯახს ჰქონდა, ვთქვათ, კომპსონებს, ბენბოუებს, პიბოდებს, მისის იუნის ჰებერშემს, ჩვენებს და კიდევ ჩვენი ოლქის ასობით ფერმერსაც. ოღონდ პოლკოვნიკ სარტორისის ადგილას მერი დე სპეინი რომ აირჩიეს პრეზიდენტად, ჩვენ მხოლოდ მას შემდეგ შევიტყვეთ (კაცმა რომ თქვას, სწორედ ამის წყალობით

შევიტყვეთ), რომ ერთი და ორი წელიწადი არ ყოფილა გასული, რაც მისტერ ფლემ სნოუპსი, სადაც კი მოიხელთებდა, აქციებს ყიდულობდა თურმე – თითო-თითოს თუ ათ-ათს ერთად; ეს აქციები მისტერ უორნერისა და მერ დე სპეინის მიერ მამისგან მემკვიდრეობით მიღებულ აქციებთან ერთად საიმისოდ საკმარისი იქნებოდა, რომ ვიცე-პრეზიდენტიდან პრეზიდენტად ქვეულიყო (იმდენი ამბავი ხდებოდა, რომ, ვიდრე, ასე ვთქვათ, წყალი არ დაიწმინდა, ჩვენ ისიც ვერ შევნიშნეთ, რომ მისტერ ფლემ სნოუპსიც ვიცე-პრეზიდენტი გამხდარიყო ამასობაში), თუნდაც რომ მისის დიუ პრესა და ბაიარდის ქვრივს (თავად ბაიარდმა ბოლოს და ბოლოს წირვა გამოიყვანა, როცა ახლა თვითმფრინავს ცდიდა ოჰაიოში – ამბობდნენ, იმ თვითმფრინავით გაფრენა სხვამ არავინ ისურვა, ჰოდა, არც ბაიარდისთვის იყო მანცდამანც აუცილებელი იმაში ჩაჯდომა) ხმა არ მიეცათ მისთვის.

მერი დე სპეინი გადადგა, თავისი საავტომობილო სააგენტო გაყიდა და სწორედ დროზე შეიქნა ბანკის პრეზიდენტი. პოლკოვნიკ სარტორისის ბანკი სახელმწიფო ბანკი იყო, რადგან, რეტლიფის ნათქვამის არ იყოს, პოლკოვნიკმა სარტორისმა, ეტყობა, იცოდა, რომ სოფლელი ხალხი ამას უფრო საიმედო ამბად მიიჩნევდა და ერთ ათიოდე დოლარს უფრო გაიმეტებდა ბანკში შესატანად; ქვრივ-ობლებისას აღარაფერს ვამბობ იმიტომ, რომ ქალებს, ქვრივებიც რომ არ ყოფილიყვნენ, მამაკაცთაგან წამოწყებული არავითარი საქმე არ უწამებიათ არასოდეს, მით უფრო – ფულის საქმე. რეტლიფმა ისიც თქვა – პრეზიდენტის შეცვლასთან დაკავშირებით მთავრობას ვისიმე მოვლინება მოუხდება, რათა დავთრები შეამოწმონო, თუმცა კი წლიური რევიზიის დრო ჯერ არ დამდგარიყო; ჰოდა, იმ დილას, რვა საათზე, ორი რევიზორი უკვე ბანკის წინ იდგა და იცდიდა – კარს გაგვიღებენ და შეგვიშვებენო; ეს ამბავი ბაირონ სნოუპსს უნდა გაეკეთებინა, ოღონდ ბაირონ სნოუპსი არსად ჩანდა. ასე რომ, იმათ მოუწიათ სხვა ვისმე დალოდებოდნენ, გასაღების მქონეს; და კარი მისტერ დე სპეინმა გააღო.

ჰოდა, ცხრის თხუთმეტ წუთზე, როცა დაახლოებით ცამეტი წუთი იყო გასული მას შემდეგ, რაც რევიზორებმა ბაირონის დავთრების გასინჯვა დააპირეს, მისტერ დე სპეინმა სნოუპსის სასტუმროში შეიტყო – წუხანდელ საღამოს აქეთ ბაირონი კაციშვილს არ უნახავს, მას შემდეგ, რაც ცხრასა და ოცდაორ წუთზე სამხრეთის მატარებელმა ჩაიარაო; ხოლო საშუადღეოდყველამ იცოდა, რომ ბაირონი ალბათ ტეხასში იყო უკვე, თუმცა მექსიკამდე, ასე, ერთი დღის გზა კიდევ ექნებოდა დარჩენილი. ოღონდ მთავარმა რევიზორმა ორი დღის შემდეგლა გამოთვალა დაახლოებით, რამდენი აკლდა ფული; მაშინ ბანკის გამგეობა შეყარეს, მისტერ უორნერიც კი ჩამოვიდა, ზოგჯერ წლობითაც რომ არ ჩნდებოდა ჯეფერსონში, ჰოდა, თითქმის მთელ წუთს უსმენდა მთავარ რევიზორს და მერე თქვა:

– ჯანდაბას პოლიცია. ფრანგისხევეში ააგზავნეთ ვინმე ჩემს რევიზორზე და მერე მომამხრობინეთ, რომელ მხარესაა გაქცეული.

მაგრამ ეს არაფერი იყო იმ ვაიუშველებელთან შედარებით, თავად მისტერ დე სპეინმა რომ ატეხა, და მთელი ჯეფერსონი უმზერდა და უსმენდა ამ ამბავს, ხოლო მესამე დღეს რეტლიფმა თქვა, თუმცა კი მე ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა: – აი, რამდენი ყოფილან თურმე. ახლა ის მანც ვიცით, მისის ფლემ სნოუპსი რა ღირებულა. ახლა ბიძამენი რომ დაბრუნდება, იმის ფიქრი აღარ მოუწევს – რამდენი დავკარგეო, ზუსტად, უკანასკნელ ცენტამდე ეცოდინება, რაც კი დაუზოგავს. – იმიტომ, რომ თვითონ ბანკმა არაფერი იზარალა. ბანკი ხომ სახელმწიფო იყო, ბაირონის მიერ მოპარული ფული, ბაირონს დაიჭერდნენ თუ ვერ დაიჭერდნენ, მანც ანაზღაურდებოდა. ჩვენ მისტერ დე სპეინზე გვეჭირა თვალი. რაკი მამამისის ფული

პოლკოვნიკ სარტორის ბანკის დაარსებაში შეეწია და თავად მისტერ დე სპეინი მისი ვიცე-პრეზიდენტი იყო, პრეზიდენტად რომ არ აერჩიათ სწორედ ამ ამბის წინ, როცა რევიზორებმა ბაირონ სნოუპსის დავთართა შემოწმება განიზრახეს, სულერთია, როგორც ჩვენ ვფიქრობდით, იმას დაიჩემებდა, რომ მთელი ფული ანაზღაურებულიყო უკანასკნელ ცენტამდე. ჩვენ იმის შეტყობას ველოდებოდით - დე სპეინმა თავისი სახლი დააგირავაო, და, რაკი ამგვარი ხმა არ მოგვწვდენია, ისევ ის დავასკვნით - საავტომობილო სააგენტოთი გაკეთებულა, ჩვენ რომ არ ვიცოდით, ფულისთვის თავი ისე მოუყრიაო. იმიტომ, რომ მისგან სხვას არაფერს მოველოდით; ჰოდა, როცა სახვლიოდ გამგეობის ხელახალი საგანგებო სხდომა მოიწვიეს, მეორე დღეს კიდევ გამოაცხადეს - პრეზიდენტმა მოპარული ფული თავისივე ნებით საკუთარი სახსრების ხარჯზე აანაზღაურაო, არც კი გაგვკვირვებია ეს ამბავი. რეტლიფის ნათქვამის არ იყოს, იმდენად არ გაგვკვირვებია, რომ ორი თუ სამი დღის შემდეგღა მოვედით აზრზე: კი, მაგრამ მგონი, ისიც მაშინ გამოაცხადეს - ფლემ სნოუპსი ბანკის ვიცე-პრეზიდენტი შეიქნაო.

ახლა - წელიწადიც რომ გამოხდა - ორი უკანასკნელი ჯეფერსონელი ჯარისკაციც ჩამობრუნდა სამუდამოდ, ანდა ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით მაინც სამუდამოდ: გევინ ბიძია ბოლოს და ბოლოს დაბრუნდა ომით გატანჯული ევროპიდან (რომლის აღსადგენად იღწვოდა ამდენ ხანს) და ოლქის პროკურორად აირჩიეს, რამდენიმე თვის შემდეგ კი მონტგომერი უორდ სნოუპსიც დაბრუნდა, ოლონდ, ბაიარდ სარტორისის არ იყოს, ისიც ჯერჯერობით სამუდამოდ ჩამოვიდა. სამხედრო ფორმით არც ის ყოფილა შემოსილი, შავი კოსტიუმი ეცვა და რაღაცნაირი საკვირველად შეკერილი უსახელო პალტო, თავზე შავი ველვეტის რაღაცა მოეგდო გვერდულად, ხარის ბუმბუსნაირი, ყელზე კი გრძელი, ბოლოებგაშვებული ჰალსტუხი ეკონწიალებოდა, გრძელი თმა-წვერიც მოეშვა: და მის ჩამოსვლასთან ერთად ჯეფერსონში ახალი სნოუპსური საქმე გამოჭახრაკდა. ვიტრინის მინაზე წარწერილი სახელწოდება ამ ახალი დაწესებულებისა რეტლიფმაც ვერ განმიმარტა, და მე რომ კიბეს ავუყვივი, კაბინეტში შევედი (სადაც გევინ ბიძია ახალ წელიწადს ელოდებოდა, რათა მისი დადგომისთანავე ოლქისპროკურორად ქცეულიყო) და ეს ამბავი ვუთხარი, გევინ ბიძია მთელ ორ წამს არ შერხეულა, მერე კი წამოხტა და პირდაპირ კარისკენ გაემართა.

- მაჩვენე სადაა, - მითხრა გევინ ბიძიამ.

იქითკენ წავედით, სადაც რეტლიფი გველოდებოდა. ის დაწესებულება შესახვევის კუთხეში იყო მოთავსებული, გვერდითი კარიც შესახვევში გადიოდა. მღებავი ის იყო ამთავრებდა საკვირველება რაღაცა ასობის გამოყვანას მინაზე:

მონტის ატელიე

შიგნით კიდევ, მინის მიღმა, მონტგომერი უორდი დავინახეთ. თავზე ისევ ის ფრანგული რაღაცა დაეკოსებინა (გევინ ბიძიამ გვითხრა - ბასკური ბერეტი არისო), ოლონდ პიჯაკი არ ეცვა. მაშინ შიგნით არ შევსულვართ. გევინ ბიძიამ თქვა: - წავიდეთ. დაამთავროს ჯერ. - მაგრამ რეტლიფი არ წამოგვყვა. ასე თქვა:

- გავიხედოთ და ჩემი მიხმარება დასჭირდეს? - მაგრამ გევინ ბიძიამ ხელი ჩამვიდა.

- ატელიე ფოტოგრაფიას თუ ნიშნავს, ასე რატომ არ წააწერა? - ვიკითხე მე.

- ჰო-ო, - თქვა გევინ ბიძიამ. - მეც კი მინდა მაგ ამბის შეტყობა, - და თუმცა რეტლიფი კი შევიდა შიგ, ნახვით ვერაფერი ნახა. იქიდან გამოსული ჩემნაირი შესახედავი იყო.

- ფოტოგრაფიაო, - თქვა რეტლიფმა. - საინტერესოა, პირდაპირ ასე რატომ არ წააწერა?

- გევინ ბიძიამაც არ იცის, - მე მივუგე.

- მე კიდევ ვიცი, - თქვა რეტლიფმა. - არც მიკითხავს ვინმესთვის. ისე მოვინახულე და მეტი არაფერი. - მე შემომხედა. მერე ორჯერ თუ სამჯერ თვალი დააფახულა. - ფოტოგრაფია, - თქვა. - რაღა თქმა უნდა, შენ ჯერ პატარა ხარ საამისოდ. ფოტოგრაფიული ატელიე გახლავს. - ისევ დააფახულა თვალი. - კარგი, მაგრამ რაში სჭირდება? იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რასაც ომის დროს აკეთებდა, ისეთი კაცი არ უნდა ბრძანდებოდეს, რომ წვრილმან რაღაცას დასჯერდეს, როგორც იოკნაპატოფელი შინაყუდები ვართ შეჩვეული ნება-უნებურად.

მაგრამ მაშინ ველარაფერი შევიტყვეთ. რადგან მეორე დღეს იმან ბრძანა ფანჯარაზე გაზეთები აეფარებინათ, ისე, რომ შიგნით ველარავის შეეხედა, კარიც ჩაკეტილი ჰქონდა. ჩვენ ერთადერთს იმას ვხედავდით, რომ ფოსტაში სირსისა და როუბეკის მიერ ჩიკაგოდან გამოგზავნილ ამანათებს იღებდა და დაბრუნებული კარს ისევ შეიკეტავდა ხოლმე.

ჰოდა, ოთხშაბათს, საქალაქო გაზეთის მორიგი ნომერი რომ გამოვიდა, პირველი გვერდის ლამის ნახევარი ეჭირა ვერნისაჟის მაუწყებელ განცხადებას, რომელშიც ნათქვამი იყო: „განსაკუთრებით მანდილოსნებს ვიწვევთ“, ქვემოთ კიდევ ეწერა: „ჩაი“.

- რაო? - ვკითხე. - მე მეგონა, ფოტოგრაფია იქნება-მეთქი.

- არის კიდევ, - თქვა რეტლიფმა. - ოღონდ შეგიძლია ერთი ფინჯანი ჩაიც დალიო იქ შესულმა. ერთი კია, რომ ტყუილუბრალოდ დაიხარჯა. ყველა ჯეფერსონელი ქალი და კაცების ნახევარი უამისოდაც მიაკითხავდნენ მარტო იმის გასაგებად - კარი ჩაკეტილი რატომ ჰქონდაო.

დედაჩემს ისედაც უკვე ნათქვამი ჰქონდა - წავალო.

- შენ არ წამოხვალ, რაღა თქმა უნდა, - გევინ ბიძიას უთხრა დედამ.

- კარგი, გნებდებით, - თქვა გევინ ბიძიამ. - ესე იგი, კაცების უმეტესობაც მოვა. - მართალიც აღმოჩნდა. გახსნის ცერემონია მთელ დღეს გაგრძელდა, რათა ყველა მიმსვლელს შეძლებოდა მასში მონაწილეობა მიეღო. მონტგომერი უორდს მაინც ნაწილ-ნაწილ მოუხდებოდა ხალხის შემვება, მისი სავაჭრო ახლაც ისევე ცარიელი რომ ყოფილიყო, როგორც იჯარით აღების დღეს. მაგრამ ახლა იმ სავაჭროში ათი კაციც ვერ დაეტეოდა ერთად, იმდენად გამოეჭედათ ყოველგვარი ნივთით, თანაც გრძელ-გრძელი, იატაკამდე ჩამოშვებული შავი ფარდები ეკიდა ყველგან, ხოლო როცა ფარდები სპეციალური ბლოკების შემწეობით გადაიწეოდა, კაცს გეგონებოდა, ფანჯარაში ვიხედებო; ჰოდა, იმან ასე გვითხრა - ერთი ხედი პარიზის პანორამა არისო, მეორე - სენის ხიდები და სანაპიროები, მესამე - ეიფელის კოშკი, მეოთხე - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარიო; კიდევ ტახტები იდგა იქ, შავი ბალიშებით გაწყობილი,

მაგიდებზე კიდევ ვაზები ელაგა და პინაკები, რომლებშიც რაღაც იწვოდა და სურნელს აკმევდა. თავდაპირველად ფოტოაპარატსაც ვერ შენიშნავდი კაცი. მაგრამ მერე იმასაც შეამჩნევდი და უკანა კედელში დატანებულ კარსაც. და ამასობაში მონტგომერი უორდმა ნაჩქარევად აღმოთქვა, დაიძრა კიდევ კარისკენ, ვიდრე იმის მოსაზრებას მოასწრებდა, რომ მისთვის აჯობებდა, ასე არ ექნა:

- აქ ლაბორატორიაა. ჯერჯერობით დაკეტილია.
- ბატონო? - გევინ ბიძიამ უთხრა.
- აქ ლაბორატორიაა, - თქვა მონტგომერი უორდმა. - ჯერჯერობით დაკეტილია.
- თქვენ გგონიათ, ჩვენ იმას მოველით, რომ ლაბორატორია ხალხისთვის ღია იქნება?
- უთხრა გევინ ბიძიამ.

ოღონდ მონტგომერი უორდი უკვე მეორე ფინჯან ჩაის აწვდიდა მისის რაუნსველს. კი, რაღა თქმა უნდა, ყვავილებიანი ვაზაც იდგა იქვე; გაზეთში ხომ სწორედ ასე იყო დაბეჭდილი: „რაინსველის ყვავილები“; მაშინ იყო, გევინ ბიძიას რომ ვკითხე: „კი, მაგრამ მისის რაუნსველის მეტი სხვა ვინ ყიდის ყვავილებს ჯეფერსონში, ჰა?“ ჰოდა, გევინ ბიძიამ - რაუნსველის ქალმაალბათ განცხადების ფასის ნახევარი გადაიხადა და უკანასკნელი დასაფლავებიდან შემონახული ექვსი ვარდის კოკორიც მიართვა, ოღონდ იმ ვარდებს ხვალ-ზეგ ალბათ ხელახლა გაასაღებსო. მე იმ ქალის ვაჭრობას ვგულისხმობდი და იმედია არ შევმცდარვარო. გევინ ბიძია წუთით კარს უმზერდა, მერე მონტგომერი უორდს შეხედა, ჩაის როგორ უსხამდა მისის რაუნსველს. - ჩაით იწყება, - თქვა ბოლოს.

მერე გამოვედით, ადგილი უნდა დაგვეცალა. - კი, მაგრამ ფულს სად იშოვის, თუ ყველას უფასოდ ასვა ჩაი? - ვკითხე მე.

- ხვალ აღარავის დააღვეინებს, - მითხრა გევინ ბიძიამ. - ეს სატყუარა იყო, ქალებისთვის მოწყობილი. ჰოდა, ახლა მე გეკითხები: ის რაღად დასჭირდა, რომ ჯეფერსონელი მანდილოსნები ყველანი ერთ დღეს შეყრილიყვნენ მაგის ბუნაგის სანახავად? - ახლა გევინ ბიძია სულ რეტლიფივით ლაპარაკობდა; რეტლიფი კიდევ სწორედ ჩვენი ჩავლისას ვითომ შემთხვევით გამოვიდა კავეულის დუქნიდან.

- უკვე მიირთვით ჩაი? - უთხრა გევინ ბიძიამ.
- ჩაი, - თქვა რეტლიფმა. კითხვით არ უკითხავს. ისე თქვა. თვალს აფახულებდა გევინ ბიძიას მაცქერალი.
- ჰო, - უთხრა გევინ ბიძიამ. - ჩვენცგაახელით. ოღონდ ლაბორატორია ჯერჯერობით დაკეტილია.
- ვითომ უნდა გაიღოს? - იკითხა რეტლიფმა.
- კი, - მიუგო გევინ ბიძიამ. - ვიყავით იქ.
- იქნებ შევიტყო რამე, - თქვა რეტლიფმა.
- მაგის იმედიც გაქვთ? - უთხრა გევინ ბიძიამ.

- იქნებ ყური მოგვკრა რამეს, - თქვა რეტლიფმა.

- მაგის იმედიც გაქვთ? - უთხრა გევინ ბიძიამ.

- იქნებ სხვამ შეიტყოს რამე, ჰოდა, იქნებ მე იქვე ვიდგე და ყური მოგვკრა, - თქვა რეტლიფმა.

ეს იყო და ეს, მონტგომერი უორდი მუქთი ჩაით აღარავის უმასპინძლდებოდა, ოღონდ მცირე ხნის შემდეგ მის ვიტრინაში თანდათანობით ფოტოსურათები გამოჩნდა - სულ ნაცნობ-ნაცნობი ხალხი: ქალები, ბავშვებითურთ იქნებოდა თუ უბავშვებოდ, უფროსკლასელი მოწაფეები და სკოლის დამთავრებისას შეკერილ კაბებში გამოწყობილი თვალადი ქალიშვილები, ანდა ზოგჯერ მივარდნილი სოფლიდან ჩამოსული ახალჯვარდაწერილი წყვილი, შესახედად შებოჭილი, უხერხულ დღეში ჩავარდნილი, ოდნავ გამომწვევი იერის მქონე; ჰოდა, კაცს შუბლზე ვიწრო ზოლი გასდევს თეთრად - მზის განარუჯსა და შეკრეჭილ თმას შუა; ზოგჯერ კიდევ ორმოცდაათი წლის შეუღლებული ცოლ-ქმარი, რომელსაც დიდზე დიდი ხანია ვიცნობდით, ოღონდ მანამდე ვერ ვხვდებოდით, რამდენად დამსგავსებოდნენ ერთმანეთს, იმისაც თუ აღარაფერს ვიტყვით, რომ ორივეს თანაბრად გაცოცხლებული გამოხედვა ჰქონდა, თუმცა ვერ გაიგებდი, რა აოცებდათ - ის ამბავი, რომ მათთვის სურათი გადაეღოთ, თუ ის, რომ ამდენი ხანი გაეტარებინათ ერთად.

ჰოდა, მაშინაც კი, როცა ვინიშნეთ, რომ ვიტრინაში აგერ უკვე ორი წელიწადი იქნებოდა, არამტუ ერთი და იგივე ხალხი, ამ ხალხის ერთი და იგივე ფოტოსურათები იყო გამოფენილი შეუცვლელად, თითქოს მას მერე, რაც მონტგომერი უორდმა თავისი ატელიე გახსნა, ჯეფერსონში უცებ სკოლის დამთავრებაც შეეწყვიტოთ და ჯვრისწერაც, და თითქოს ცოლ-ქმარნიც გადაშენებულიყვნენ, მონტგომერი უორდი მაინც სულ დაკავებული იყო რაღაცით - კაცმა არ იცის, ახალ ფოტოსურათებს იღებდა და ვიტრინაში არ ფენდა, თუ ძველებს ამრავლებდა და ასალებდა, რათა ქირის გადასახდელი ფული ეშოვა და უსახსრობის გამო ატელიე არ დაეხურა. დასაქმებული გახლდათ და, ეტყობა, უმთავრესად ღამდამობით უხდებოდა მუშაობა ლაბორატორიაში, რადგან ახლა ჩვენც ვიაზრებთ, რომ უმთავრეს საქმეებს ღამით აგვარებდა, თითქოს უსიბნელოდ ვერ მოგვარდებოდა ის საქმეები. ჰოდა, კლიენტებად ახლა მეტწილად მამაკაცები ჰყავდნენ, - დიდ ოთახში, სადაც გახსნის ცერემონია მოეწყო, ახლა სიბნელე იყო, კლიენტები შესახვევის მხარეს დატანებულ გვერდით კარში შედი-გამოდოდნენ; თანაც იმნაირი იყო ის ხალხი, სურათის გადაღებას მაინცდამაინც ვერ აფიქრებინებდი. საქმე კიდევ ფრთებს შლიდა; მეორე ზაფხულს ისიც შევნიშნეთ, რომ კლიენტები - ჩვეულებრივ, ისეთივე ჭაბუკები, როგორც მისი ჯეფერსონელი მუშტრები იყვნენ - მეზობელი ქალაქებიდანაც ჩამოდოდნენ და ღამდამობით გვერდით კარიდან შედიოდნენ ატელიეში, რათა ჩაეხარებინათ ან წამოეღოთ ფოტოსურათები თუ ნეგატივები, ან, ერთი სიტყვით, რაც იყო, დანამდვილებით ვერაფერს მოგახსენებთ, რა მოჰქონდათ ან რას აძლევდნენ იმ კაცს.

- არა, არა, - უთხრა გევინ ბიძიამ რეტლიფს, - შეუძლებელია, ჯეფერსონში ეგ წარმოუდგენელია.

- ზოგი იმასაც ამბობდა - ჯეფერსონში ბანკის გაძარცვა წარმოუდგენელიაო, - გაეპასუხა რეტლიფი.

- კი, მაგრამ ხომ უნდა ასაზრდოოს, - თქვა გევინ ბიძიამ, - ხანდახან მაინც ხომ უნდა გაატარ-გამოატაროს და ჰაერი გადააყლაპოს.

- სად გაატარ-გამოატაროს? - ვიკითხე მე. - ვინ გაატარ-გამოატაროს?

- ერთი კია, რომ სასმლის ამბავიც ვერაფრის დიდებით ვერ იქნება, - თქვა რეტლიფმა. - თქვენი პირველი ვარაუდი იმას მაინც გულისხმობდა - ყველაფერი უჩუმრად კეთდებაო, ჰოდა, ვისკით ვაჭრობაზე ვერ იტყვი ამას.

- რომელი პირველი ვარაუდი? - ვიკითხე მე. - ვინ უნდაგაატარ-გამოატაროს? - რადგან ვისკის ან აზარტული თამაშის სახსენებელიც არ შეიძლებოდა იქ ყოფილიყო; გროვერ კლივლენდ უინბუშმა (იმან, რეტლიფს რომ ჰყავდა წილში შემდგარი პატარა რესტორნის მფლობელად, ვიდრე ფლემ სნოუპსმა იმასაც არ აუკრა გუდა-ნაბადი. ახლა ღამის პოლისმენად მსახურობდა) თვითონაც იფიქრა თურმე ამის თაობაზე. გვეინ ბიძიას მანამდე ეახლა, ვიდრე გვეინ ბიძიას აზრად მოუვიდოდა ან ის გამოეძახა, ან მისტერ ბაკ კონნორსი, ეახლა და ასე მოახსენა: ყოველ ღამეს ღამის იქ ვათენებდი. იმ ფოტოსტუდიაზე მეჭირა თვალი, ვაკვირდებოდი, ვზვერავდი, ჰოდა, ახლა სავსებით გულდაჯერებული ვარ, რომ მონტგომერი უორდთან არც არავინ თვრება, არც ვისკით ვაჭრობენ, არც ზარს და არც კარტს არ თამაშობენო; ჩვენ ყველანი ვუფრთხილდებით ჯეფერსონის სახელს და ის გვინდა, რომ დიდი ქალაქების ბინძური გარყვნილებისა და ავკაცობისგან დავიცვათ, ჰოდა, სხვებზე უფრო ეს ამბავი მე მაფიქრებსო. ეს ამდენი ხანია იმის მაგივრად, რომპოლიციის უბანში ჩემს სავარძელში ვიყო მოკალათებული და მორიგი შემოვლის დროს ისე ველოდებოდე, სულ ფოტოგრაფიასთან ვარ დარჭობილი, მაგრამ ერთხელაც ვერაფერი შევნიშნე ისეთი, ზარის თამაშის ან ლოთობის ეჭვი ამელო, არც ის შემიმჩნევია, რომ მონტგომერი უორდისგან გამოსულ ვინმე კლიენტს სპირტიანის სუნი ჰქონოდა, ანდა ვინმე ნასვამს მაინც ჰგვანებოდაო; ეს კიდევ არაფერი, ერთხელ დღისით, როცა მარტო ჩემი კანონიერი უფლება კი არა, სამსახურებრივი მოვალეობაც იმას მოითხოვდა, რომ სახლში ვყოფილიყავი და მძინებოდა ჩემთვის, ახლანდელის არ იყოს, როცა დასვენების მაგივრად აგერ ქალაქში ჩამოვედი, რათა თქვენთვის, როგორც ოლქის პროკურორისთვის, თუმცა რწმუნებულება ჯერ არც მიგიღიათ, ყოველივე მომეხსენებინა, იმისას თუ აღარაფერს ვიტყვით, რომ, საცა სამართალია, ეს ყველაფერი თავად ბაკ კონნორსს უნდა გაეკეთებინა, ჰო, ერთხელ დღისით მთავარი შესასვლელიდან შევედი იმ განზრახვით, რომ პირდაპირ ლაბორატორიაში მოვხვედრილიყავი, თუგინდ კარის შემტვრევაც დამჭირებოდა. იმიტომ, რომ ჯეფერსონელმა მოქალაქეებმა ნდობა გამომიცხადეს, ღამის პოლიციელად გამამწესეს, რათა დიდი ქალაქების უკეთურება და გარყვნილება, აზარტული თამაშები იქნება თუ ლოთობა, არსად გავაჭაჭანო; ჰოდა, ჩემდა გასაოცრად, მონტგომერი უორდი წინ კი არ გადამდგომია, არც დაუცდია ჩემი თხოვნისთვის, ლაბორატორიის კარი თვითონვე მოაფრიალა და იქაურობა დამათვალეიერებინაო.

ასე რომ, მეც გული შევიჯერე და თქვენც გარწმუნებთ - იმ უკანა ოთახში არც ლოთობაა, არც აზარტული თამაშები და არც სხვა რამე სიწამხდრე, ისეთი არაფერი ხდება, რომ ჯეფერსონელ სათნო ქრისტიანებს შეანანოს - რატომ ვენდეთ, რაზე გავაპოლისმენეთო; ჰოდა, ჩემი წმიდათაწმიდა მოვალეობა იყო ასე მოვქცეულიყავი, გინდაც რომ ჯეფერსონის სახელს რომელიმე რიგით მოქალაქეზე მეტად არც ვუფრთხილდებოდე, ჰოდა, თუ კიდევ რამეში შემიძლია გამოგადგეთ ჩემი წმინდა მოვალეობის აღსასრულებლად, მარტო ერთი სიტყვა მიბრძანეთო. მერე გროვერ კლივლენდ უინბუშში გავიდა და უკვე კარს გაცილებული შეჩერდა და თქვა:

- გამარჯობა, ვ. კ., - და კიბე ჩაიარა. მაშინ კაბინეტში რეტლიფი გამოჩნდა.

- მოედანი ისე გადმოიარა და კიბეს ისეთი ამბით შემოუყვავა, კაცი იტყოდა - რაღაცას მიაკვლიაო, - თქვა რეტლიფმა. - ოღონდ, მე მგონია, მიკვლევით ვერაფერს მიაკვლევდა. მე მგონია, მონტგომერი უორდ სნოუპსს იმ სტუდიიდან მაგის გამობუნძულება იმაზე მეტად არ გაუძნელდებოდა, ვიდრე ფლემ სნოუპსს - ჩვენი რესტორნიდან.

- ჰო, - თქვა გევინ ბიძიამ. მერე ჰკითხა: - რით უფრო უყვარდა თავის შექცევა გროვერ უინბუმს ახალგაზრდობაში?

- თავის შექცევა? - იკითხა რეტლიფმა. მერე თქვა: - ჰო-ო... ალტყინება უყვარდა.

- როგორ, ალტყინება? - შეეკითხა გევინ ბიძია.

- ენის ტარტალით ალტყინება, - მიუგო რეტლიფმა.

- რა ენის ტარტალით? - იკითხა გევინ ბიძიამ.

- აი, იმ ამბავზე, - თქვა რეტლიფმა. თან თითქოს მე გადმომხედა ამის თქმისას. არა: ვითომ ჩემთვის არც გადმოუხედავს. ანდა არა, არც ესაა სწორი. რადგან, თვალის რომ არ მოგეშორებინათ მისთვის, იმას მაინც ვერ იტყოდით - გევინ ბიძიას წამით მაინც მზერა მოსწყვიტაო. ორჯერ დააფახულა თვალი. - სადიაცო ამბებზე უყვარდა ალტყინება, - თქვა ბოლოს.

- სწორია, - გევინ ბიძიამ თქვა, - ოღონდ როგორ?

- საქმეც ესაა, - თქვა რეტლიფმა, - როგორ?

იმიტომ, რომ მე მეცხრე წელში ვიყავი გადამდგარი, ჰოდა, თუკი გევინ ბიძიამ და რეტლიფმა, ერთი სამჯერ მაინც ჩემზე უფროსებმა (რომელთაგან ერთი ევროპაშიც იყო ნამყოფი, ხოლო მეორეს იოკნაპატოფას ოლქის ყოველ ორღობეში, ყოველ თემშარაზე. ყოველ გზაწვრილსა თუ გზაჯვარედინზე თითოჯერ მაინც ჰქონდა ფეხი დადგმული), არ იცოდნენ, რა ამბავი იყო ეს ამბავი, ვიდრე ვიღაც არ ეახლა და არ მოახსენა, რაღა საკვირველია, რომ მეც არაფერი მცოდნოდა.

ჰოდა, ერთი საქმე კიდევ იყო იმასთან დაკავშირებული, რასაც რეტლიფი სნოუპსების საშოვარს უწოდებდა ახლა, ოღონდ გევინ ბიძიას არ უნდოდა ასე მოეხსენიებინა ის საქმე, რადგან ჯერაც არ სურდა დაეჯერებინა, რომ ეკი სნოუპსი იყო. ეკის ვაჟიშვილის ამბავს მოგახსენებთ, უოლსტრიტ-პანიკა რომ ერქვა, იმისას. იმის მიხედვით თუ ვიტყვით, საქმეს რანაირად მოჰკიდა ხელი, როგორც კი ჯეფერსონში მოხვდა და მიიხედა-მოიხედა ცოტა, და მგონი, თავის მოსწრებაში პირველად იაზრა - სულაც არაა აუცილებელი, სნოუპსურად ირჯებოდე, რათა სუნთქვა შეიძლო, ამის მიხედვით თუ ვიტყვით, იმისდა მიუხედავად - სნოუპსი იყო თუ არა მამამისი, თავად, რაღა თქმა უნდა, სნოუპსი არ ყოფილა.

ამბობდნენ (ის ბიჭი თორმეტის იქნებოდა, ფრანგისხევიდან ჯეფერსონს რომ გადმოსახლდნენ), ქალაქში ჩამოვიდა თუ არა და შეიტყო - აქ სკოლა არისო, ის კი არ აიჩემა მხოლოდ, რომ დედ-მამას სკოლაშიგაემვა, თავისი ექვსწლიანი ძმა - ადმირალი დიუიცი წაიტანა სკოლაში. ორივენი ერთად დასხდნენ მოსამზადებელ კლასში, სადაც დედები დაატარებდნენ პატარებს, შუადღემდეც ძლივს რომ ძლებდნენ თავ-თავის



ადგილებზე, იმხელა ბალებს, ჰოდა, საგუბარში იხვის ჭუჭულებს შორის ცხენი რომ გაერიოს, იმას ჰგავდა იმ ბავშვთა გროვას გარეული უოლსტრიტი.

ოღონდ ის იყო, ამ საბავშვო ბაღში სიარულს არ თაკილობდა: იქ დახანება ერცხვინებოდა მხოლოდ, ასე რომ, ნაშუადღევს გაეცლებოდა ხოლმე; ერთი კვირა რომ გამოხდა, უკვე პირველ კლასში დასვეს, საშობაოდ მეორეშიც გადაიყვანეს, და მის ვეიდენ უაიოტმა, მეორე კლასის მასწავლებელმა, განუმარტა უოლსტრიტი და პანიკა რასაც ერქვა, ასეთი სახელი არ შეგფერისო, უთხრა. მერე მომდევნო ზაფხულს ამეცადინა, მესამე კლასი გაასრულებინა და შემოდგომაზე მეოთხე კლასში რომ დაჯდა, უკვე უოლ სნოუპსს ეძახდნენ, რადგან მის ვეიდენ უაიოტმა ურჩია – უოლი კარგი სახელია, მისისიპის შტატში ბევრს ჰქვია, ერთ გენერალსაც კი ერქვა უოლი, ასე რომ, თუ გინდა, შენს სახელს „სტრიტი“ სულაც მოაშორეო; ჰოდა, უოლმა პირველსავე დღეს თქვა და შემდეგშიც, როცა კი შეეკითხებოდნენ – სკოლაში შესვლა ასე რამ მოგანდომებინაო, სულ იმას ამბობდა – ფულის ანგარიში მინდა ვისწავლოო.

ეს რომ, გვენ ბიძიამ გაიგო, გვითხრა:

– ხომ ხედავთ! ეტყობა, სწორი მითქვამს: სულერთია, ყოველ სნოუპსს სურს, ფულის თვლა ისწავლოს, თუმცა არაფრად კი არ ესაჭიროება, კაცმა რომ თქვას; ისედაც თქვენ უნდა დათვალოთ მის მაგივრად, თორემ თქვენთვისვე იქნება უარესი.

იმას, უოლისას ვამბობ, ფულის თვლა უნდა ესწავლა. იმ პირველ ზამთარსაც, პირველი და მეორე კლასის მოწაფე რომ იყო, კიდევ მუშაობდა. სნოუპსის რესტორნის გვერდით, სადაც მათ კარავში ჰქონდათ ბინა დადებული, იქვე მცირე დუქანი იყო, საბაყლო. უოლი ყოველ დილას გაკვეთილების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე დგებოდა. ამასობაში დღემ შემოკლება დაიწყო, ისე, რომ მალე სიბნელეში უხდებოდა ადგომა. რკინის ღუმელს შეუკეთებდა და დუქანს გამოგვიდა ხოლმე, სკოლიდან დაბრუნებული კიდევ გაყინულ საქონელს ჩამოარიგებდა ურიკათი, ვიდრე ბაყალმა ნახმარი ველოსიპედი უყიდა და მერე ყოველ კვირას ხელფასიდან უქვითავდა იმის საფასურს.

შაბათობით და უქმე დღეებში კიდევ ნოქარს ენაცვლებოდა დუქანში. ზამთარიც ასე გაატარა და მთელი ზაფხულიც, ვიდრე მის უაიოტი მესამე კლასის დამთავრებაში ეშველებოდა. ამითაც არ მოთავებულა ყველაფერი: ქალაქში საკმაოდ კარგად იცნობდნენ უკვე, ასე რომ, ერთი მემფისური გაზეთის გასაღება ანდეს, ოღონდ ისე იყო დაკავებული თავისი საქმეებით, გაზეთის დატარება მმას დააკისრა. მომდევნო შემოდგომაზე, უკვე მეოთხე კლასში რომ სწავლობდა, ჯექსონის გაზეთებიც მოიგდო ხელში და ახლა ადმირალ დიუის გარდა კიდევ ორი ბიჭი ემსახურებოდა, ასე რომ, საამდროოდ ყოველი მედუქნე, საქონლით მოვაჭრე, მქადაგებელი თუ კანდიდატი, ყველა, ვინც უნდა ყოფილიყო, ვისაც კი რაიმე პროსპექტის გავრცელება დასჭირდებოდა, უოლს მიაკითხავდა ხოლმე, რადგან ამას უკვე მთელი ორგანიზაცია ჰქონდა შექმნილი.

ფულის თვლაც იცოდა და დაუნჯებაც. ასე რომ, თექვსმეტი წლისას იმ ცარიელი ბაკის აფეთქების დროს მამა რომ დაეღუპა და ნავთობის კომპანიამ მისის სნოუპსს ათასი დოლარი გადაუხადა, ასე, ერთი თვის მერე შევიტყვეთ, რომ მისის სნოუპსს საბაყლო დუქნის მენახვერის წილი ეყიდა, უოლს კიდევ სკოლა დაემთავრებინა და იმ მედუქნის კომპანიონად ქცეულიყო. ოღონდ ისევ ისე წამოხტებოდა ხოლმე უთენია ზამთარში, ღუმელს ანთებდა და იატაკს გვიდა. ხოლო ცხრამეტის რომ შესრულდა, მისმა

კომპანიონმა დუქნის თავისი ნახევარი მისის სნოუპს მიჰყიდა და საქმეს შეეშვა, და, თუმცა უოლი ჯერაც უწლოვანი იყო და დუქანს თავის სახელზე ვერ დაიწერდა, ყველამ ვიცოდით, ვინც იყო იმ დუქნის ნამდვილი პატრონი, და უოლმა ახლა თვითონვე აიყვანა ხელის ბიჭი, რათა ის წამომხტარიყო ზამთარში უთენია, ღუმელი დაენთო და იატაკი გამოეხვეტა.

ჰოდა, ერთი ამბავი იყო კიდევ, ოღონდ იმ ამბავს სნოუპსების საშოვარი არ ეთქმოდა, იმიტომ, რომ მოგებას არ იძლეოდა არავითარს. თუმცა არა, სწორს არ ვამბობ: ამ ამბისთვის ერთობ დიდი ჯაფა გავწიეთ, გვეინ ბიძიამ კიდევ თქვა – ყოველივე, რისთვისაც ხალხი ამდენ ჯაფას გასწევს, უეჭველად მოგებას იძლევა, მოგებისთვის კეთდება, იმის მიუხედავად, შეგიძლიათ ან თუნდაც გსურთ თუ არა, ის მოგება დოლარებად და ცენტებად აქციოთო.

უკანასკნელი სნოუპსი, რომელიც იმათ ჯეფერსონს ჩამოიყვანეს, ქალაქში აღარ შემოჰყოლიათ. მე იმის თქმა მინდა, იმ ადგილამდე იმგზავრა-მეთქი, საიდანაც უკვე ჩანდა კომპზე გამართული ქალაქის საათი, და ამის მერე უარზე დადგა; ამბობდნენ, იმუქრებოდა კიდევ – ფრანგისხევში ავბრუნდებო, გინდაც ბებერი ხარი ან ჯორი ყოფილიყოს, ბაკის გაღებულ ჭიშკრამდე რომ მიდენითდა მერე ძვრას ვეღარ აქნევინებთ ადგილიდან.

ესის ბერიკაცი გახლდათ. ზოგიერთი ამბობდა – ფლემის მამა არისო, სხვები იმას ამტკიცებდნენ – მამა კი არა, ბიძამისიაო. სქელ-სქელი, ჯმუხი, ბინძური ბერიკაცი იყო, დაფანჩულ წარბებქვეშ პატარ-პატარა ბოროტი თვალები უსხდა, ჰოდა, რეტლიფის თქმით, კისერი მანამდე დაებერებოდა და წამოუჭარხლდებოდა ხოლმე, ვიდრე შენ ერთი სიტყვის თქმას მაინც მოასწრებდი მისთვის. ქალაქიდან ერთ მილზე სახლი უყიდეს და იქ დაბინავდა თავის შინაბერა ქალიშვილთან და ტყუპ შვილიშვილთან ერთად; ტყუპს ვარდამანი და ბილბო ერქვა. ა. ო. სნოუპსის მეორე ცოლის ბიჭები იყვნენ, იმ ქალის ვაჟიშვილები, გვეინ ბიძია ნომერ მეორე ცოლს რომ უწოდებდა ნომერი პირველი ცოლისგან განსასხვავებლად, აი, იმისგან, სნოუპსის სასტუმროს გაღერებაში სავარძელში რომ ირწეოდა დღენიადაც.

სახლს მიწის მცირე ნაკვეთი ეკრა და ბერიკაცმა იმ ნაკვეთზე ბოსტანი და ბაღჩა გააშენა. სწორედ ის ბაღჩა გახლდათ საშოვარი. თუმცა არა, მართალს არ ვამბობ. მე ვიტყვოდი – საშოვარი ბაღჩის მეოხებით გაჩნდა-მეთქი. რადგან იმ ბერიკაცს, როგორც ეტყობა, საზამთრო გასაყიდად ანდა, თუ გნებავთ, საჭმელად კი არ მოჰყავდა, არამედ სატყუარად აშენებდა, რათა იმ სატყუარის წყალობით დამტკბარიყო, სპორტს მიჰყოლოდა, შეტოქებაში ჩაბმულიყო, ანდა გულს შემოსკდომოდა და საზამთროს მპარავი ბიჭუნები დაეწიოკებინა; იმიტომ რგავდა, იმიტომ უვლიდა და თავს დასტრიალებდა საზამთროებს, რათა მერე გატენილი საფანტის თოფით ხელში თავისი სახლის უკანა ვერანდასთან ჩასაფრებულიყო ბაღჩიდან შლიგინ-შლიგინის მომლოდინე და მერე თოფი დაეხალა იმ ბიჭუნებისთვის.

მაგრამ ერთ მთვარიან ნათელ ღამეს იმ ბერიკაცმა მართლა დაჭრა ჯონ უესლი რობეკი, ჰოდა, მეორე დღეს ჰებ ჰემპტონი, ჩვენი შერიფი, სნოუპსს მიეჭრა და დაემუქრა – ერთხელაც თუ გაგისვრია მაგ თოფიდან, მოვბრუნდები და ჩამოგართმევ, შენ კიდევ თავს ციხეში გიკრავო. ასე რომ, სნოუპსი სროლას ვეღარ ბედავდა, ისლა დარჩენოდა, ღობის გასწვრივ ალაგ-ალაგ ქვები დაეხვავებინა, ბარდებში მჯდარიყო კეტით ხელში და ფარანიც თან ჰქონოდა გამზადებული.

ასე დაიწყო ეს საშოვარი. მისტერ ჰემპტონი ქალაქში რომ დაბრუნდა, ყველა მშობელი გააფრთხილა - ბავშვებმა იმ დაწყველილ ბაღასთან გაკარებაც აღარ გაბედონო, თუ მაინცდამაინც ძალიან მოუნდათ საზამთრო, ჩემი ფულით ვუყიდი, იმიტომ, რომ ის ბერიკაცი სულ თუ ასე გადარიეს, ადრე იქნება თუ გვიან, დამბლა დაეცემა და სული გასძვრება, ჰოდა, ყველას ციხეში ჩავვაჯენენო. ოღონდ ეს ამბავი ბერიკაცმა არ იცოდა, რადგან ვარდამანს და ბილბოს არაფერი უთქვამთ მისთვის. ისინი იმას ელოდებოდნენ, სნოუპსი ნასადილევს თავს როდის მიდებდა, მერე კი შევარდებოდნენ და აღვიძებდნენ და აღვიძებდნენ, გაჰყვიროდნენ, ღრიალებდნენ - ვიღაც ბიჭები ბაღაში გადმოსულანო; ისიც ყვირილ-ყვირილით და გინებ-გინებით წამოვარდებოდა, კეტს ხელს წამოავლებდა და თავქუდმოგლეჯილი გარბოდა ბაღისკენ, ჰოდა, ბაღაში არავინ დახვდებოდა ხოლმე, ირგვლივ კაციშვილი არ ჭაჭანებდა, მხოლოდ სახლის კუთხეს მიფარებული ვარდამანი და ბილბო კვდებოდნენ სიცილით, მერე ბერიკაცს გაექცეოდნენ და თავს უშველიდნენ, ის კიდევ მიწაზე ქვებს მოიფათურებდა და ესროდა.

ვერაფრის დიდებით ვერ მიხვდა, რა უბედურება ტრიალებდა მის თავს. თუმცა არა, სწორს არ ვამბობ. მიხვდომით მუდამ ხვდებოდა. მისი საცოდაობა ის იყო, რომ გული არ უზამდა, საწოლიდან არ წამომბტარიყო, როცა ისინი ყვირილ-ყვირილით შემოცვივდებოდნენ - ბაბუა! ბაბუა! ბაღაში ბიჭები გადმოსულანო, - ვაითუ მართალი ყოფილიყო მათი მოტანილი ამბავი. ისევ კეტისთვის უნდა წამოველო ხელი და გავარდნილიყო წინასწარ იმის მცოდნე, რომ ბაღაში ალბათ არავინ იქნებოდა, გარდა კუთხის უკან მიყუჟული ვარდამანის და ბილბოსი. ჰოდა, დაჭერით ვერც იმათ დაიჭერდა, ქვები უნდა მიეყოლებინა იმათთვის და ელანძლა, ვიდრე ქვებიც არ შემოეღეოდა და სულისთქმაც, მერე კი შეჩერდებოდა აქლომინებული, სუნთქვაშეკრული, კისერგაჭარხალებული და სალანძღავ სიტყვათა ჩურჩულითა აღმომთქმელი. ჰოდა, ჩვენ - ექვსიდან თორმეტ წლამდე ასაკის ყველა ჯეფერსონელი ბიჭი, ხანდახან უფრო მოწიფულნიც - მივდიოდით და იმ ღობის უკან ვიმალეობდით სათვალთვალოდ. ჩვენ ხომ არასოდეს გვენახა, როგორ კვდება დამბლის დაცემისგან კაცი, ჰოდა, გვეშინოდა, ასეთი შემთხვევა ხელიდან არ გაგვეშვა და ამ ამბავს ვერ შევსწრებოდით.

ეს ამბავი მაშინ მოხდა, როცა გვეინ ბიძია ბოლოს და ბოლოს ჩამობრუნდა ევროპის აღდგენის შემდეგ. მოედანზე გადავდიოდით და იმ გოგოს შევეყარეთ. ძნელი სათქმელია, გვეინ ბიძიას შეხედა თუ არა, ოღონდ ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ ჩემთვის ზედაც არ შემოუხედავს და, რაღა თქმა უნდა, დალაპარაკებითაც არ დამლაპარაკებია, გვერდით როცა ჩავუარეთ. რას იზამ, არც ველოდი ამას: ზოგჯერ კი შემესიტყვებოდა ხოლმე, ზოგჯერ კიდევ ხმასაც არავის სცემდა, და შეჩვეულიც ვიყავით ამ ამბავს. ამჯერადაც ასე მოხდა: ისე ჩავგვიარა, პოინტერმა რომ იცის ჩარბენა ნაბულის გაკეთების წინ. ჰოდა, მერე დავინახე, რომ გვეინ ბიძია შეჩერდა და თვალი გააყოლა იმას. მაშინ გამახსენდა, რომ გვეინ ბიძია 1914 წლის მერე აღარ ყოფილა ჯეფერსონში, უკვე რვა წელიწადს გაეველო მას აქეთ, ასე რომ, ის გოგო ხუთი-ექვსი წლის თუ იქნებოდა, როცა გვეინ ბიძიამ ნახა უკანასკნელად.

- ვინ არის ეს გოგო? - მკითხა გვეინ ბიძიამ.

- ლინდა სნოუპსია, - მიუუგე, - იცნობ შენ, მისტერ ფლემ სნოუპსისქალიშვილია. - მეც ვიდექი და თვალს მივაყოლებდი. - პოინტერივით კი დადის, - ვთქვი მერე. - მე იმის თქმა მინდა - იმ პოინტერივით-მეთქი, რომელმაც ეს-ესაა...

- მესმის, რისი თქმაც გინდა, - მითხრა გვერდ ბიძიამ. - მშვენივრად მესმის, შენ რომ იცოდე.

## 8. გვერდ სტივენსი

მშვენივრად მივხვდი, რისი თქმაც უნდოდა. ის გოგო თანაბარი ნაბიჯით მოემართებოდა, ამკარად გვხედავდა, და მაინც, ერთხელ არ შემოუხედავს; მის მზერას მკაცრი არ ეთქმოდა, არც ჯიუტი, უფრო დაუნჯებული იყო, ფიქრმიძალეული. ჩვენ გარეშე, ჩვენ უკან მისციებოდა რაღაცას ის მზერა. მოზარდ პოინტერს სჩვევია ასე - ზედ გადაგახტება, გზიდან თუ არ მოეცალე, როცა რამდენიმე ნაბიჯილა ამორებს მიზანს - ნაბულის გაკეთებას; ამ დროს უცდომელ გეშს კი აღარ მიჰყვება, მიზანში ამოღებული მსხვერპლისთვის მოუტანებია უკვე თვალი. თანაბარი ნაბიჯით ჩაგვიარა, თითქოს მოზარდი მონადირე ძუკნა ყოფილიყოს, ცხადია, ჯერაც აუმძუვნებელი, დაუნერბავი, ჯიშინი მონადირე ძუკნა, უბიწოებაშეულახველი, მიწის უგულუბელმყოფელი კი არა, მისგან ასხლეტის მოწადინე, რადგან მიუდგომელს უნდა ევლო დედამიწაზე; მიწისგან, ჩვენგან განდგომილს თავგაუყადრებლობის, ყოველივეს არადმიჩნევის გამო კი არა, ისე - თავისი უცხოობით, უცოდნელობით, უბიწოებით მიუხებელს, ისევე როგორც მთვარეულია მიუხებელი ქვეყნიურ ღელვათა და შფოთთაგან.

ცამეტი-თოთხმეტი წლის იქნებოდა ალბათ უკვე. მე ვერ ვიცანი, ოღონდ იმიტომ კი არა, რომ რვა წელიწადი იყო გასული, რაც აღარ მენახა, ხოლო კაცთა ნაშიერნი, მით უფრო ქალები, ერთიანად შეიცვლებიან ხოლმე ათიდან თხუთმეტი წლის ასაკამდე. დედამისის გამო ვერ ვიცანი. თითქოს, თქვენი არ იყოს, მეც ისე მქონოდეს წარმოდგენილი, რომ მისნაირ ქალს თავისი პირწავარდნილი ასლი უნდა გაეჩინა უეჭველად, რომ სხვაგვარად არ ეგებოდა არაფრის დიდებით. იულა უორნერისას მოგახსენებთ, გამიგეთ? - იულა უორნერი-მეთქი და არა იულა სნოუჰსი, თუმცა კი შემემლო - მმართებდა კიდეც - გვერდივერდ წარმომედგინა ისინი ლოგინში. გარნა ის ქალი ჩემთვის იულა სნოუჰსი ვერასდროს ვერ იქნებოდა თუნდაც იმიტომ, რომ არ ეგებოდა ეს ამბავი, იმიტომ თუნდაც, რომ მე ვიუარე ამის აღიარება. ჰოდა, იულა უორნერი ვალდებული იყო ეს მაინც მოემოქმედა, ამით მაინც შეშველებოდა იმ ლიტონ მამაკაცურ შიმშილს, რომელსაც ვარამად გადაგიქცევდათ მხოლოდ იმითაც, რომ არსებობდა ამქვეყნად, ცოცხლობდა, სულს ითქვამდა; იმით, რომ დაბადებულიყო, მზისქვეშეთს მოვლენოდა, ამ ორომტრიალის ნაწილად ქცეულიყო; თუმცა კი იმ შიმშილს თავად ვერასოდეს დაოკებდა, თვითონ ვერას გახდებოდა. ოღონდ ისიც კი, ერთადერთი იულა უორნერიც დაჰკნობად იყო მაინც განწირული; და, რაკი მოკვდავი იყო, საიმისოდაც გახლდათ განწირული, რომ მარად დაუპურებელი დაშთომოდა ის შიმშილი, ვერც კი ეშელავათებინა მისთვის; განწირული გახლდათ საიმისოდ, რომ ვერასდროს ვერ გაექარვებინა ის ვარამი, ის შიმშილი საგანთა მარადიული ორომტრიალისა; ხოლო როცა თავად განშორდებოდა ამ ორომტრიალს, თავისი არყოფნით უნდა ნაცვალეგო ის მწვავე სიცარიელე, სადაც მისი შუქმფინარე ხატება ბრწყინავდა ოდესღაც.

ჰოდა, რაღა თქმა უნდა, პირველად იმას იფიქრებდი კაცი - უეჭველად უნდა განმეორდესო, იტყოდო, თავისი ორეული უნდა შვას, თუკი შთამომავლის დატოვებამ მოუწიაო. ოღონდ უმაღვე იმასაც მიხვდებოდი - არა, თავისი ორეული არაფრის დიდებით არ უნდა გააჩინოსო. თავად ბუნება არ იქმდა ამას, ორ იმნაირ არსებას ერთად არ გააჭაჭანებდა ისეთ მცირე სარბიელზე, როგორც იყო მისისიპის შტატში მდებარე ჩვენი ჯეფერსონი, მით უფრო - ერთი საუკუნის, სამუდამოდ დამფრთხალი ერთი თაობის ფარგლებში. რადგან თავად ბუნებას, ვნებათა და გულისთქმათა ქარტეხილების მოყვარულ ბუნებასაც კი წესად აქვს დადებული, რომ ყოველ ამნაირ ქარტეხილს, ყოველგვარ ვნებას ახალ-ახალი საზრდელი ასულდგმულებდეს. საამისოდ კი დროა საჭირო, რათა ის ახალი საზრდელი იქნეს მოწეული, რადგან იმას, იულა უორნერს, უკვე გაუჩანაგებია, შთაუნთქავს, გაუცამტკერებია, რაც რომ მის ირგვლივ იყო. და ამ დროს სულ ის მახსენდებოდა ხოლმე, რაც მეგიმ უთხრა ერთხელ გაუნს, მაშინ, დიდი ხნის წინ, მე რომ მორჩილის, შეგირდის ხვედრს ვჯერდებოდი ჯერაც, რათა მსხვერპლად მიმეტანა ჩემი თავი: ელენეებს და სემირამიდებს ცოლად არ ირთავენ, მათი გულისთვის თავს ილუპავენო მხოლოდ.

ჰოდა, ის გოგო სულ არ ჰგავდა დედამისს. და მაშინვე, იმწამსვე მივხვდი, ვისაც ჰგავდა. მახსოვს, მაშინ, დიდი ხნის წინ, ჩემს ნაგვიანვე გიჟმაჟურ ყმაწვილკაცობაში ვერაფრით ვერ გადამეწყვიტა - რომელია-მეთქი უფრო გასაძლისი ორი გაუძლისი განცდიდან: ორიდან რომელი თითია (პოეტის ნათქვამის არ იყოს) ნაკლებ მტკივნეულად და მწარედ საკვნეტი? ესე იგი, მანფრედ დე სპეინმა აცდუნა უბიწო მეუღლე, თუ თავად მანფრედი მოიგდო-მეთქი ბადეში მრუმმა ნიმფომანმა? აი, ეს საკითხავი მაწამებდა. თუ პირველია მართალი, რა ისეთი მამრული სიქველენი ჰქონდა მანფრედ დე სპეინს, მე რომ არ გამაჩნდა? ხოლო თუ მეორეა სწორი, მაშინ რატომ მოხდა, როგორ მოხდა, რომ ბედისწერის ბრმა, უკეთური, უმართებულო მეხისტება მაინცდამაინც მანფრედ დე სპეინს დაატყდა თავს და ვერ ხელიწიფა, არ მოიწადინა, მასთან ერთად გვეინ სტივენსიც განეგმირა? მაშინ მე იმ ჭკუაზე ვიყავი, იმასაც დავეაბულდებოდი (ო, დიახ, ყოველივე იმდენად ზარდამცემი, იმდენად სასაცილო გახლდათ!), რომ საზიაროდ გვეოლოდა ის ქალი, თუკისხვარიგად არ მოხერხდებოდა მისი დაუფლება.

სწორედ მაშინ იყო (იმისას მოგახსენებთ, როგორ განვუმართავდი ჩემსავე თავს, - მანფრედის ადგილას მე რატომ არ აღმოვჩნდი, ჩემზე რატომ არ შეჩერდა-მეთქი იმ დღეს, სწორედ იმ წამს ის ბედითი, მონიო მზერა), გული რომ მინდოდა შემეჯერებინა - ის ქალი უბიწო, ერთგული, უმწიკვლო მეუღლე უნდა იყოს-მეთქი. ყველაფერი იმ წყეული ჩვილის, იმ დაწყევლილი ბავშვის ბრალია-მეთქი, - ვფიქრობდი, - იმ უზაკველი ციცქნა გოგოსი, რომელიც თავისი უმანკო სულისთქმით, თავისი ყოფნით, არსებობით მაწვალებდა, მტანჯავდა, სიმშვიდეს მიკარგავდა: ო, ის საკითხავი რომ არ ყოფილიყო - მაინც ვინ არისო ბავშვის მამა, ანდა კიდევ უკეთესი - თავად ბავშვი რომ არ არსებულებოდა! შვებაც კი ვიგრძენი იმის წყალობით, რომ ერთხანს შეიძლებოდა თითები აღარ გეკვნიტა კაცს, რადგან ის თითები საჭირო შეიქნა - დროს ვანგარიშობდი მათზე. რეტლიფმა მიაშობ - ნაქორწილებს მაშინვე ტეხასს გაემგზავრნენ, ჰოდა, თორმეტი თვის მერე რომ ჩამობრუნდნენ, ბავშვს ფეხი უკვე ადგმული ჰქონდაო. ოღონდ ეს ამბავი (ბავშვის ფეხის ადგმის ამბავი-მეთქი, იმის თქმა მინდა) არ მჯეროდა, ჩემი კაემნის, ეჭვიანობის, სასოწარკვეთილების გამო კი არა, რეტლიფის გამო არ მჯეროდა. ოღონდ, კაცმა რომ თქვას, სწორედ რეტლიფმა მანუგემა. - თუ გნებავთ, ვარამი შემიმსუბუქა-მეთქი, ასე ვიტყვი; დიახ, გულახდილად მოგახსენებთ - ცრემლი მალვრევინა, უჩუმარი ცრემლი, ოღონდ ეს ის ცრემლები იყო, ჯამბაზის, კომედიანტის ძვირფას ეჭვნებად რომ დასწკრილებენ

გრემლად დადენილ ნაგვიანევე სიჭაბუკეს. რადგან ის ციცქნა გოგო ერთი დღისაც რომ ყოფილიყო, რეტლიფი მაინც მოჭორავდა - უკვე ფეხი აუდგამსო, - რეტლიფიც იმიტომაც სწორედ. ის კი არა და ბავშვი სულაც რომ არ არსებულებოდა, რეტლიფი მაინც შეთხზავდა ბავშვის ამბავს, იმასაც მოიგონებდა - უკვე დარბისო. იმიტომ მხოლოდ, რათა საკუთარი ვარაუდები და მიკიბულ-მოკიბული ეჭვები დაედასტურებინა, ფაქტების შემოწმება კიდევ ვერ ხერხდებოდა - ამ მხრივ თავი ქუდში ჰქონდა, მრავალი მილის მანძილით იყო გამოძიებული და ორი წელიწადით კიდევ, რომლებიც ფრანგისხევში მომხდარ ამბებსა და ჯეფერსონს შორის გაწოლილიყო. მაგრამ მაშინ იმის დაჯერება უფრო მინდოდა - ის ბავშვი ფლემისგან ჰყავს-მეთქი; მანფრედ დე სპეინის მაცდურად დასახვა სჯობდა იულა უორნერის გარყვნილ ქალად მიჩნევას, - ოღონდ ამის გამფიქრებელი ისევ თითებს ვიჭამდი სიმწრით და ისიც აშკარა ხდებოდა: კაცმა არ იცის, რა უფრო გულის მომწყვლელია - იმის ფიქრი, რომ ის ქალი მზადაა, მთელი ქვეყნიერების მანფრედებს გაუღოს კარი, გვეინ სტივენსი კი უკუაგდოს, თუ იმის ვარაუდი, რომ მზადაა, მარტოოდენ ფლემ სნოუპსს დასჯერდეს, ხოლო გვეინ სტივენსი მაინც განიშოროს-მეთქი.

ასე რომ, თქვენც ხომ ხვდებით, რას არ მოიმოქმედებს კაცი, რამდენ სატანჯველს გამოიწყობს სათავისოდ, ოღონდ კი მშვიდი და უშფოთველი ცხოვრებისგან დაიხსნას, გადაირჩინოს თავი. არა, ეს ამბავი, ეტყობა, იმ მანიაკისას ჰგავს, მკბენარს რომ დაისევს განზრახ, მხოლოდ იმიტომ კი არა, მერე მათი მოშორებით რომ ისიამოვნოს, რადგან თავით ჭაბუკური სიშლეგის დროსაც კი მოგვეხსენება ის ამბავი, რომ მარადიული არაფერია ამქვეყნად; უფრო იმიტომ, რომ ჭაბუკური სიშლეგის დროსაც კი იმის შიში გვადრწუნებს - სამარადისოდ არაფერი გაგრძელდებაო, ხოლო არარას ყველაფერი სჯობს, რაც უნდა იყოს, თუ გნებავთ, მკბენარიც. მოკლედ, როგორც ერთი პოეტი იტყოდა: „ოცნება ჩემი გაკრთა და წარხდა, ნაცვლად დამირჩა ოდენ არარა“ (ციტატა ა. გ. ჰაუსმანის (1859-1936) პოემისა „შროპშირელი ბიჭი“); თუმცა, მაღლი ღმერთებს, ეს უტიფარი სიცრუეა, რადგან, - კვლავ მაღლი ღმერთებს! - არარა ვერსად იბოგინებს, რამეთუ არარა სიცარიელეა, ხოლო სიცარიელე პარადოქსი გახლავთ, მოუთმენელი რამ არის, არად სანდომი, არსაწადი, და, კიდევ რომ მოგვეწადინებინა, თავად არარა, იმ ღვთის პირიდან გადავარდნილი პოეტის მიერ გამოგონებული, მარად და გარდაუვალად აღივსებოდა მარად ახალი და მარად აღორძინებადი კაეშნით, რათა მისით ჩემივე თავის აწყვა შემძლებოდა, თუკი იმ აზრის გაბეჯითება მომიხდებოდა - მე თვითონაც მარადი მოძრაობა ვყოფილვარ-მეთქი.

ოღონდ მეორე ვარაუდი მაინც უკეთესი იყო. თუკი მე არ შემხვდება ის ქალი, ნურც ფლემ სნოუპსს დარჩება-მეთქი ნურასოდეს. ასე რომ, ნაცვლად პოეტური ოცნებისა, რომელიც გაკრთება და წარხდება შენთვის არარას დამნარჩუნებელი, საგულისხმო ისაა, რაც ხელთ გრჩება ხოლმე, ხოლო ხელთ მუდამ ის შეგრჩება, რაც აღარაფრად მიგაჩნია, მარღვებში სისხლის ჩქეფა რომ შეგნელებია ცოტათი, გული რომ ცოტათი მეტად გაქვს მოგონებებით გასენილი; სულერთია, სისხლში სამუდამოდ რჩება იმის ხსოვნა, რომ ოდესღაც სისხლს იმის უნარი მაინც შესწევდა, სევდით გათანგულიყო. ჰოდა, ისე გამოდიოდა, რომ ის ბავშვი, ის გოგო ფლემ სნოუპსის ქალიშვილი კი არ ყოფილა, ჩემი იყო; ჩემი ქალიშვილი და თან შვილიშვილიც ჩემი, რადგან ის ჭაბუკი, მაკკერონი, იმ შორეულ დროს ნაყოფად მისი ჩამსახველი (დიახ, ბატონო, თუკი დამჭირდა, რეტლიფსაც შემძლია ვერწმუნო), იმ შორეული დროის გვეინ სტივენსი გახლდათ, და, რაკი ხელთ შემორჩენილი უნდა შემოგრჩეს კიდევ, თუ არა და შემორჩენილი აღარც იქნება, - ესე იგი, გვეინ სტივენსი მისსავე შვილს სამუდამოდ შეუჩერებია თავისი ცხოვრების იმ მიჯნაზე, იმ თავის ასაკში, ხოლო რაკი „უწლოვან ბაღში მამრი არის ჩაბუდებული“ (ინგლისელი პოეტის, უორდსვორთის ლექსის

სტრიქონი) , - ესე იგი, ის მაკკერონი სამარადისოდ, საუკუნოდ აღბეჭდილა იმ გარდაცვლილ ჭაბუკში, იმ გვეინში, და ახლა ის გვეინ სტივენსი აწინდელის, ასაკში შესულის ძედ ქცეულა თითქოს, - ჰოდა, ისე გამოდის, რომ მაკკერონის ბავშვი გვეინ სტივენსის შვილიშვილი ყოფილა.

რალა თქმა უნდა, ის კიდევ საკითხავია, თავად გვეინ სტივენსი აპირებს თუ არა იმ მამობას თუ პაპობას. ყოველ შემთხვევაში, იმას ვერ წარმოიდგენდა, რომ ერთი წამიერი შემოხედვა იულა უორნერისა, რომელსაც გვერდით ჩავლისას გვეინ სტივენსი არც კი შეუმჩნევია, სნოუპსთა რომელიმე ნაშიერის მამობილობას დააკისრებდა. იმას მოანდომებდა, ეს ნაშიერი იმ დაწყვეტილი ოჯახისთვის გამოეტაცებინა, რომელთანაც ქორწინებამ დააკავშირა ის ქალი. მე იმის თქმა მინდა, მამობილი იმ აზრით-მეთქი, რომ სულ უბრალო აღშფოთება, ნაწყენობა, ცდუნება per se, ისევე როგორც სიღარიბე per se და (როგორც ითქმის) სათნოება per se საკუთარ თავს თვითონვე შეეწევიან ხოლმე. ოღონდ ვაჟი - ნაშიერის მამობილობას და არა ქალისას. დიახ, სულ იმას ვფიქრობდი, - სნოუპსთა ყოველი ნაშიერი უეჭველად მამრობითი სქესის არსება-მეთქი, თითქოს თავად ღვთაებრივი რაობა დედაკაცის ბუნებისა წინასწარვე გამორიცხავდა, შეუძლებელს ხდიდა სნოუპსობას. არა: თითქოს სნოუპსობის ცნება თავშივე შეიცავდა რაღაც უძიროსა და გარდაუვალ ჰერმეფროდიტიზმს, გვარის გაგრძელებაში, სახეობის გახანიერებაში, და ამ გვარის თავად არსება მუდამ მამრობით ინდივიდში განსხეულდება ხოლმე და ჩასახვის, შვილოსნობის ყველა ორგანო საიმისოდ არის მიმარჯვებული, რომ ოდენ მამრულ საწყისს წარმოშობდეს, რომ მდედრობითი სქესის სნოუპსს თავისივე მსგავსის გაჩენა არ შეეძლოს, და თითქოს ამიტომაც, რომ მუ სნოუპსები უვნებელნი არიან, ციების კოდოსი არ იყოს, - თუმცა კოდოს ამბავი კი სწორედ პირიქითაა: სწორედ დედა კოლოა სნების აღმძვრელი ორგანოებით აღჭურვილი. ანდა იქნებ იმდენად ბუნების კანონი არ ეთქმოდეს ამ ამბავს, რამდენადაც განგება, თავად უფალი ღმერთის ფხიზელი თვალი, უღმობელი და სასტიკი, რადგან, ასე რომ არა, სნოუპსები მთელ ქვეყნიერებას დაეპატრონებოდნენ, მისისიპის შტატში მდებარე ქალაქ ჯეფერსონის რომ აღარაფერი ვთქვათ.

ახლა ფლემ სნოუპსი იმ ბანკის ვიცე-პრეზიდენტი შეიქნა, ჩვენ კლავინდებურად სარტორისის ბანკს რომ ვუწოდებდით ხოლმე. დიახ, ბატონო, ჩვენც კი გვეყვანან ვიცე-პრეზიდენტები ბანკებში. ოღონდ წინ ჯეფერსონელნი ბანკის ვიცე-პრეზიდენტს ყურადღებას არც აქცევდნენ; ბანკის ვიცე-პრეზიდენტიო, რომ იტყოდი, გინდაც, ისეთი კაცი გეხსენებინოს, ვისაც მარტოდენ იმათ მოეპოვებინა უფლება, მაიორად ან პოლკოვნიკად წოდებულიყო, რომ თავისი ფული ან დრო, ან კიდევ გავლენა გამოეყენებინა გუბერნატორის არჩევნებისას - იმათგან განსხვავებით, ვისაც ის ტიტული მამამისისგან თუ პაპამისისგან ჰქონდა მემკვიდრეობით მიღებული და ვისაც მართლა ეგულვებინა ცხენი იანკის ჯარისკაცების პირისპირ, მანფრედ დე სპეინის ან ჩვენი პოლკოვნიკი სარტორისის არ იყოს.

ასე რომ, ფლემი პირველი იყო ბანკის ცოცხალ ვიცე-პრეზიდენტთაგან, ვინც ჩვენი ყურადღება მიიპყრო. მანფრედ დე სპეინმა ერთი საფეხურით რომ აიმაღლაურა, ფლემმა ის პოსტი მემკვიდრეობით მიიღო, - ასე მოვკარით ყური და მიზეზიც მოგვეხსენებოდა: საქმე გადაწყვიტა ბილ უორნერის აქციებმა იმ წვრილ-წვრილ თავმონაყართან ერთად, რაც ფლემს შეესყიდა ნელ-ნელა, თანაც ცხადია, უმანფრედოდ არ მოხდებოდა ეს ამბავი. ერთი სიტყვით, ყოველივე თავის რიგზეა, გამოჭახრაკებულია ყველაფერი, ახლა რაღას უშველი კაცი. ჩვენ შეჩვეული ვიყავით ბანკის ვიცე-პრეზიდენტთა საკუთრივ ჩვენეულ ჯეფერსონულ ნიმუშს თუ ჯილაგს,

ჰოდა, ვიცე-პრეზიდენტის როლში გამოსული სნოუპსისგანაც კი იმას მოველოდით მხოლოდ, რომ იმ ნიმუშის მიხედვით გაირჯებოდა.

მაგრამ ჩვენდა გასაცრად აღმოვაჩინეთ, რომ ის კაცი ცდილობდა იმგვარი ყოფილიყო, როგორც მართებდა ყოფნა ბანკის ვიცე-პრეზიდენტს მისი სნოუპსური, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ფლემური თვალსაზრისით. დღის მეტ ნაწილს ბანკში ატარებდა ის კაცი. თანაც იმ კაბინეტში კი არა, სადაც წინ პოლკოვნიკი სარტორისი გახლდათ დაბრძანებული, ახლა კი მანფრედ დე სპეინი იჯდა; არა, სწორედ დარბაზში დაერჭობოდა ხოლმე, სარკმლის შორიახლოს, და იმას ამტერდებოდა, როგორ შედი-გამოდოდნენ კლიენტები ფულის შესატანად თუ გამოსატანად; ჰოდა, ისევ ის მაუდის კეპი ეხურა და ისევ ის ბანტად განასკვული პატარა ჰალსტუხი ეკეთა, რომლებითაც ამ ცამეტი წლის წინ ჩამოსულიყო ქალაქში, ყბებსაც ისევე თანაბრად სძრავდა, თითქოს რაღაცას იღეჭებო, თუმცა ამ ცამეტი წლის განმავლობაში, სხვისი არ ვიცი და, მე ერთხელაც არ დამინახავს, რომ გადაეფურთხებინოს მაინც იმ კაცს.

ოღონდ ერთხელ დარბაზში რომ გამოჩნდა, ერთბაშად ვეღარც შევიცანით. დგომით ისევ იქ იდგა, ნაჩვევ ადგილას, სარკმლის შორიახლოს, საიდანაც ყოველივეს ხედავდა (თუმცა ის არ ვიცოდით, იმას თუ მიადევნებდა თვალს - ფული რამდენი შემოდოდა ან რამდენი გაედინებოდა; იქნებ ის იყო მხოლოდ, რომ მიმდინარე ოპერაციების მაცქერალი შეშდებოდა ერთ ადგილას, რაკი ეს სანახაობა იმ ბანკში ხდებოდა, რომელიც რამდენადმე მასაც ეკუთვნოდა, - ვითარცა მოადგილეს, რწმუნებით აღჭურვილ პირს, - მისი ბანკიც იყო, მისი სიქადული; ჰოდა, რა ბედენაა, რამდენს გაიტანენ ბანკიდან ფულს, სულერთია, ისეთი კაციც გამოჩნდება, ვინც აქვე შემოიტანს იმ ნულ-პლუს-პირველ დოლარს; ანდა შესაძლოა ისიც მართლა სჯეროდა, რომ ისეთი წუთიც უნდა დამდგარიყო, როცა დე სპეინი იქნებოდა თუ სხვა ვინმე, ვისაც კი დაევალებოდა ეს ამბავი, სარკმელს შიგნიდან მოადგებოდა და ხალხს გამოუცხადებდა: ბოდიში, მეგობრებო, ფულს ვეღარ გავცემთ, იმიტომ, რომ აღარ გვაქვსო. - ჰოდა, იქნებ იმის გამოც იყო ფლემი იქ დარჭობილი, რათა გული შეეჯერებინა - ასე არ არისო საქმე).

ოღონდ ამჯერად ვეღარც შევიცანით-მეთქი. კი, ბანტად განასკვული ჰალსტუხიც ისევ ეკეთა და ყბაც თანაბრად უმოდრავებდა, მაგრამ ახლა შლაპა ეხურა, ახალთახალი ფართოფარფლიანი ფეტრის შლაპა, სოფლელი მქადაგებლები და პოლიტიკანები რომ ატარებენ ხოლმე, ისეთი. მეორე დღეს კიდევ, როგორც რიგი და წესია, სარკმლის გისოსებს მიღმა იყო უკვე, იქ, სადაც ნაღდი ფული ეწყობდა და საიდანაც ფოლადის კარი გადიოდა იმ ფულის ღამღამობით შესანახ სეიფში. და მაშინ იმასაც მივხვდით - ფულს აღარ უთვალთვალესო; უკვე ყოველივე შეეტყო, რისი შეტყობაც სჭირდებოდა. ახლა აღრიცხვას ადევნებდა თვალს, საბუღალტრო საქმეს ზვერაავდა.

ჰოდა, ახლა ჩვენ - ზოგიერთმა ჩვენგანმა, უმცირესობამ, - ასე დავასკვნით: საიმისოდ ემზადება, რათა მმისწულს თუ ქვისლს თავისას - ბაირონ სნოუპსს დაანახვოს, ბანკის გამარცვა როგორ ჯობსო. მაგრამ რეტლიფმა (რალა თქმა უნდა, რეტლიფმა) მაშინვე შეგვაცვლევინა აზრი. - არა, არა, - გვითხრა, - მაგას იმის გამოძიება უნდა - შეიძლება თუ არა ფულის ისე ყურწაგდებულად შენახვა, რომ ბაირონ სნოუპსისთანა ყვეყჩმაც კი მოახერხოს ამ ფულის თუგინდ ნაწილის მოპარვაო. თქვენ ფლემ სნოუპსის ამბავი არ იცით, ბატონებო. მარტო ფულს კი არა, ყალთაბანდობასაც იმდენად სცემს პატივს, რომ ფულის უბრალო გაცოცებით არ დაამცირებს და არ გააუფასურებს ყალთაბანდის ხელობას.



მომდევნო დღეებში იმან, სნოუჰუსმა პიჯაკი გაიძრო, აჭიმებიანი იდგა გისოსებს გადაღმა და ამისთვის ფულს უხდიდნენ ყოველ შაბათს; ახალ შლაპას არ იშორებდა, მოანგარიშეების უკან იდგა და ბანკის საქმეთა წარმოებას სწავლობდა. მერე შევიტყვეთ, რომ თამასუქის გასანადღებლად თუ პროცენტების გადასახდელად კლიენტის ყოველი მოსვლისას, ზოგჯერ სესხის გაცემის დროსაც (თუკი იმ ურჯუკ ბერიკაცებს, პოლკოვნიკ სარტორისისდროინდელ ძველ კლიენტებს არ გადაეყრებოდა, - ისინი უბოდიშოდ გამოაბრძანებდნენ ხოლმე იმ უკანა ოთახიდან, იმასაც არ დაელოდებოდნენ, დე სპეინი როდის იზამდა ამას, ხანდახან კიდევ ნებართვასაც არ სთხოვდნენ დე სპეინს საამისოდ) ფლემი უეჭველად ესწრებოდა ამ ამბავს, ყბებს ნელა, თანაბრად სძრავდა, იდგა, უთვალთვალეზდა და სწავლობდა თურმე; მაშინ იყო, რეტლიფმა რომ თქვა: მაგას მარტო იმის შესწავლა სჭირდება, თამასუქი ისე როგორ დაიწეროს, რომ ფულის მსესხებელმა კაცმა ვერაფრით ამოიკითხოს - ან რა ვადითაა გაცემული, ან პროცენტი რამდენი უნდა იხადოსო. ერთ დროს პოლკოვნიკმა სარტორისმა იცოდა ამნაირად წერაო (ამბობდნენ, ლეგენდასავით ჰყვებოდნენ, რომ ერთხელ პოლკოვნიკს თამასუქი დაუწერია სოფლელი კლიენტის, ფერმერის სახელზე, იმას კიდევ ის ქალაქი აუღია, დაუხედავს, მერე უკუღმა შეუბრუნებია, ისევ დაუხედავს და პოლკოვნიკისთვის გაუწვდია ხელახლა - კი, მაგრამ, პოლკოვნიკო, რა წერია, ვერ გავარჩიეო; მერე პოლკოვნიკიც დაშტერებია იმ ქალაქს, იმასაც უტრიალებია წაღმა-უკუღმა, ბოლოს გადაუფხრეწია, ნაგვის კალათში გადაუსვრია და უთქვამს - მეც ვერაფერი გავარჩიე, ტომ, მოდით, ახალი დავწეროთო). მაშინ ყოველივეს შეიტყობს, რაც უნდა იცოდეს კაცმა ჯეფერსონში ბანკის საქმეების საწარმოებლად, და სწავლის დასრულებასაც შეძლებსო.

როგორც ეტყობა, ეს ამბავიც ისწავლა ბოლოს და ბოლოს. ერთ მშვენიერ დღეს ბანკში აღარ მისულა, არც სახვალიოდ გამოცხადებულა, აღარც მომდევნო დღეს. ოცი წლის წინ კიდევ, როცა ის-ის იყო გახსნილა ბანკი, მისის ჯენი დიუ პრეს, პოლკოვნიკ სარტორისის დას, დარბაზის კუთხეში გიგანტური ფიკუსი დაედგმევინებინა. კაცის სიმაღლეს აჭარბებდა ის ხე, იმხელა ადგილს იკავებდა, რაც ეზოში დადგმულ საპირფარეოს დასჭირდებოდა, ყველას ხელს უშლიდა, ზაფხულობით კიდევ იმ ფიკუსის გამო შესასვლელი კარის მოფრიალება ვეღარ ხერხდებოდა. მაგრამ მისის დიუ პრე არც პოლკოვნიკს და არც ბანკის გამგეობის წევრებს ფიკუსზე ხელს არ აკარებინებდა, რამეთუ იმ ძველი სკოლის მიმდევარი გახლდათ, რომლის შეხედულებითაც ყოველ შენობაში უეჭველად რაიმე მცენარე უნდა იდგეს შხამიან ანაორთქლთა შთასანთქმელად. რაღა თქმა უნდა, არავის ესმოდა, მაინცდამაინც ის გიგანტური ხეშეშფოთლიანი მცენარე რატომ უნდა მდგარიყო იმ ადგილას, მაგრამ, ეტყობა, მისის დიუ პრე გულდაჯერებული იყო - ფიკუსის ამ სქელ-სქელ, რეზინივით გამძლე ფოთოლთა გარდა ვერანაირი ფოთლები ვერ უშველის მომშხამველ ანაორთქლს, რომელიც ჰაერს წამლავს იქ, სადაც ამდენი ღელვა და გულისხეთქვაა იმ აუარება ფულის გამო, ჩემი ძმის ბანკში რომ ინახებო.

ასე რომ, ხანი რა გამოიხდა და აღარავის დაუნახავს დარბაზში მდგარი და იმის მოდარაჯე სნოუჰუსი - სესხი ვის მიაქვს, ვინ აბრუნებს, ანდა ანაბრები ვის შემოაქვსო (უფრო სწორად, იმის მოთვალთვალე - ვის როდის რამდენი გააქვს ან რამდენი მოაქვსო ფული; რეტლიფის შეხედულებით, სწორედ ამის გამო ყურყუტებდა იმ დარბაზში), ჩვენ მოგვეჩვენა, რომ მისის დიუ პრეს ფიკუსი დარბაზიდან გამქრალიყო, იქაურობა მიეტოვებინა. ჰოდა, რამდენიმე დღე რომ გავიდა კიდევ და დავრწმუნდით - ფლემი დარბაზში აღარ გამოჩნდებოა, ისიც მოგვეჩვენა, რომ ფიკუსი წაეღოთ, დაეწვათ, მოესპოთ ერთიანად. გეგონებოდათ, ნაირ-ნაირი ამბის უგრძესი ჯაჭვი გაბმულაო: ბანკიც, ისეთი ძველი სენტიმენტალისტის მიერ დაარსებული, როგორიც

პოლკოვნიკი სარტორისი იყო, საიმისოდ დაარსებული, რათა, რეტლიფის ნათქვამის არ იყოს, ბაირონ სნოუპსისთანა ჩერჩეტსაც მოეხერხებინა მისიგაქურდვა; სამარულო მანქანაც, ბაიარდ სარტორისი რომ ერთობ გამეტებით დააქროლებდა ჩვენებურ თემშარებზე (ჯეფერსონელი მანდილოსნები ამბობდნენ - ტყუპისცალი ძმის ომში დაღუპვამ ისე დაამგლოვიარა, თავიც სასიკვდილოდ გაუწირავსო, თუმცა, ჩემი აზრით, ცოტათი სხვაგვარად იყო საქმე: ბაიარდს ბრძოლა უყვარდა, ჰოდა, ომი რომ დამთავრდა, თავზარდამცემი პერსპექტივის წინაშე აღმოჩნდა - სურდა თუ არა, უნდა ემუშავა), მერე კი ბაიარდს ბაბუამისი ჩაუჯდა მანქანაში იმის მოიმედე - იქნებ ისე აღარ იქროლოსო. ყოველივე ამის შედეგად ბანკის რეორგანიზაციის წინ ჩვეულებრივმა რევიზიამ აღმოაჩინა, რომ ბაირონ სნოუპსი თურმე ქურდავდა ბანკს; ამის შედეგად მანფრედ დე სპეინი, მამამისის მონაწილეობით დაარსებული ბანკის რეპუტაციის გადასარჩენად, იძულებული შეიქნა, ფლემ სნოუპსი ბანკის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე მიეღო - ჰოდა, ამის ერთადერთი შედეგი ის გახლდათ, რომ ფლემის თავზე კუბოკრული კეპი უცებ გაქრა და ის შავი სამარიფათო პოლიტიკანურ-მქადაგებლური შლაპა დაეკოსა.

იმიტომ, რომ ის შლაპა სულ ზედ ეხურა. ყოველდღე ვნახულობდით მოედანზე. ოღონდ ბანკში ვერასოდეს ვხედავდით, მისსავე ბანკში, იქ, სადაც გამგეობის წევრი კი არ გახლდათ მხოლოდ, არამედ მის იერარქიაში გარკვეული ადგილი ეკავა - უფროსობის მიხედვით მეორე. იმ ბანკში თავის ფულსაც კი არ ინახავდა. კი, ბატონო, ვიცოდით ეს ამბავი, რეტლიფი გკვავდა ამის თავდები. რეტლიფს კი უნდა სცოდნოდა დანამდვილებით - რამდენი წელიწადი შეეწირა უკვე იმ ამბისთვის, რომ დაენერგა და შეენარჩუნებინა იმგვარი რეპუტაცია, ყველა ჯეფერსონელისგან გამორჩეულ კაცად რომ აქცევდა, ჰოდა, ახლა იმ ზომას იყო მისული, ქუჩაში გავლასაც ითაკილებდა, თუკი ყოველგვარი კითხვის პასუხი მზად არ ექნებოდა, თუკი ყოველგვარ სიტუაციას ახსნას ვერ მოუძებნიდა - ყოველივეს, რაც, კაცმა რომ თქვას, არც იყო მისი საქმე. ჰოდა, რეტლიფმა იცოდა-მეთქი: ფლემ სნოუპსი თურმე აღარ იყო კლიენტი იმ ბანკისა, რომელშიც ვიცე-პრეზიდენტობდა თავად, ის კი არა და მეორე წელს თავისი მიმდინარე ანგარიშიც მეორე ბანკში, მათ მოქიშპე ჯეფერსონის ძველ ბანკში გადაერიცხა.

ამის მიზეზიც ყველამ ვიცოდით. მართალი ვყოფილვართ-მეთქი, იმის თქმა მინდა, ყველანი, ცხადია, გარდა რეტლიფისა, რომელიც იმას ცდილობდა, ჩვენთვის აზრი შეეცვლეინებინა. ჩვენ თვალს ვადევნებდით, როგორ ცდილობდა ფლემი თავისი ბანკის გისოსებს მიღმა საბანკო საქმის ყველა ნიუანსს ჩასწვდომოდა, რათა შემდეგ გულდასმით დაეგმანა ის სამრომები, რომლებითაც მისი ქვისლი იყო თუ ბიძაშვილი, ბაირონი, დიდი ხელოვნება რომ არ დასჭირვებია, ისე აცოცებდა ნაშალ-ნაშალ ნადავლს; ვხედავდით, როგორ შედი-გამოდიოდა სარდაფში ნალდი ფონდის მიმოქცევის, მატებისა თუ შემცირების მოთვალთვალე, საიმწუთოდ დადარაჯებული, როცა ყველაზე ხელსაყრელი იქნებოდა ბანკის გამარცვა; ჰოდა, ის წუთი რომ დაუდგაო, ვვარაუდობდით, ფლემს ისე ჰქონდა უკვე საქმე აწყობილი, რომ მისი წმინდა მოგება ას პროცენტს აღწევდა, ამიტომ თვითონვე წინასწარ იზრუნა საიმისოდ, რათა საკუთარი ფულიდან არც ერთი ცუდად გდებული ცენტის მოპარვა არ დასჭირვებოდაო.

- არა, - თქვა რეტლიფმა. - არა, არა.

- კი, მაგრამ მაშინ საკუთარ თავს თვითონვე გაყვლეფდა, - ვუთხარი, - რა მოხდება, მისი აზრით, სხვა მეანაბრეები, განსაკუთრებით ის უბირი ხალხი, ბანკის საქმეების რომ არაფერი იციან, და ის გონებაგახსნილი ხალხი, ყველაფერი რომ იციან სნოუპსების

ამბები, - უცებ რომ შეიტყობენ - ბანკის ვიცე-პრეზიდენტს თავის ბანკში ჯიბის ფულიც არ გაუჩერებიაო?

- არა-მეთქი, - მომიგო რეტლიფმა. - თქვენ არავის...

- ესე იგი, იმის იმედი აქვს, ის სურს, ის ენატრება - თავის საკუთარ ბანკს დაესხას, გამარცვით არ გამარცვოს, ოღონდ გააჩანაგოს, დაკეტოს, ხომ? კი, მაგრამ ვითომ რისი ფულისთვის? მანფრედ დე სპეინზე რომ შური იძიოს ცოლის გამო?

- არა-მეთქი, გითხარით, - თქვა რეტლიფმა. - არავის ფლემის არ გესმით-მეთქი, გეუბნებით, სულ არ გესმით. მოგახსენეთ უკვე - მარტო პატივს კი არ სცემს ფულს ის კაცი, აღმერთებს ნამდვილად. ბანკს არაფრის დიდებით ზიანს არ დაატეხს. ყოველი ბანკი, თავისი იქნება თუ სხვისი, მისთვის ფულს ნიშნავს, ჰოდა, ფულს არასოდეს დაამცირებს, არ შეურაცხყოფს ცუდი მოქცევით. ეტყობა, მის ცხოვრებაში ერთადერთი საცქიელი იყო ისეთი, არასოდეს რომ აღარ გაიმეორებს. გაიხსენეთ სპილენძის ნაწილების ამბავი იმ წყალსატუმბზე. ეტყობა, ახლაც ეღვიძება ხოლმე ღამდამობით და ისევ აზრიალებს ტანში. იმიტომ კი არა, იმ საქმეში რომ იზარალა, იმიტომ, რომ აქამდე არავინ იცის, როგორ იზარალა და რამდენი იზარალა სინამდვილეში, რადგან ვერავის დაესიზმრება, რამდენი გაასაღა ის ძველ-ძველი სპილენძი, ვიდრე გადაცდებოდა - ბითუმად ვაჭრობას ჩაიდებდა გუნებაში და ტომ-ტომ ბერდს და ტომი ბიუჩემს ჩაიყოლიებდა. ჰოდა, ახლა ერცხვინება - რაკი ამნაირი გზით დავიწყე ფულის კეთება, მე თვითონვე ამომისვრია ლაფში ჩემი თავი ისეთ ხალხთან ერთად, ვისაც ფული იმიტომ ეკარგება, რომ მოპარვით კი მოიპარავენ, ოღონდ მერე აღარ იციან, სად გადამალონ, იმ ფულის დარაჯობამ რომ არ მოუწიოთო.

- კარგი, მაგრამ ახლა რაღა ამბავი წამოიწყო? - შევეკითხე. - რის გაკეთებას ცდილობდა?

- არ ვიცი, - მომიგო რეტლიფმა. უცნაური მარტო ის კი არ იყო, რეტლიფი შეკითხვის პასუხად რომ ამბობდა - არ ვიციო, თვითონაც გაუცნაურდა უცებ, რეტლიფი რეტლიფს აღარ ჰგავდა: მუდამ აუძღვრეველ, მშვიდ, შეუცნობელსა და ცბიერ სახეზე დაბნეული არა, მაგრამ რაღაცნაირად გაოცებული, ყოველ შემთხვევაში, ფხიზელი გამომეტყველება აღებეჭდა: - არ ვიცი და მორჩა. უნდა გავისიგრძეგანოთ ეს ამბავი. იმიტომ გეახელით სწორედ - იქნებ რამე იცის-მეთქი, ვიფიქრე, თავი დავიბმედე. - და ამასობაში ისევ რეტლიფად იქცა: მაკვილაკ, ცბიერ კაცად, ის რომ მოსდგამდა თან... აღარც ვიცი, რა დავარქვა, - იქნებ ოპტიმიზმი არა, არც გულოვნება, მხნეობაც არა, უფრო - გამჭირაზობა, ანდა მიამიტობა თუნდაც.

- ოღონდ გამოდის, რომ არც თქვენ გცოდნიათ არაფერი. დასწყევლის ღმერთი, მთავარი ისაა, წინასწარ არაფერი ვიცით და ვერ დავასწრებთ ხოლმე. გინდაც კურდღელი გყავდეს წინ, არა, კურდღელი კი არა, უფრო საშიში რამე, შხამიანი, კბენია, ღელის პირას ჩირგვებში ჩამალული: გაიხედავ და შეინძრევა ჩირგვი, ჰოდა, ის აღარ იცი - რა არის იქ ჩასაფრებული, საით გაიქცევა, თუკი გამოვარდა იქიდან. რომ გამოხტება, მერეღა დაინახავ, ხან დროზე შეასწრებ თვალს, ხანაც - ვერა. მთავარი ისაა, პირდაღებული არ დარჩე მისი გამოვარდნისას; ის იმით გჯობია, რომ გარბის უკვე, იცის, საითაც მოუსვამს, შენ კიდევ, ჩემო ბატონო, ერთ ადგილას ხარ დარჭობილი და არ იცი, საით გამოენთო. თუმცა, ისე, დაწევას ყოველთვის მოახერხებს კაცი.

ეს სწორედ ის ამბავი გახლდათ, ჩირგვები რომ შეირხა პირველად. მეორე ამბამდე თითქმის წელიწადმა განვლო. შემოვიდა, დილა მშვიდობისა, იურისტო, მითხრა, და უწინდებური რეტლიფი იყო ისევ - აუმღვრეველი, ცბიერი, თავაზიანი, ცოტათი ზედმეტად გამჭრიახი. - ვიფიქრე, თქვენთვის საგულისხმო იქნება-მეთქი, რომ პირველმა მოისმინოთ ცხელ-ცხელი ამბები - იმ ოჯახთან თქვენც გასაქმებათ რაღაცა, ასე რომ ვთქვათ, თქვენი უიღბლობის თუ უქომაგობის გამოისობით. ჯეფერსონის ბანკის გამგეობის გარდა არავინ იცის ჯერჯერობით.

- ჯეფერსონის ბანკისო? - ვთქვი მე.

- კი, ბატონო. იმისას მოგახსენებთ, სწოუპსი რომ არაა, ეკის ვაჭიშვილისას, იმ ეკის, თვითონაც რომ არ ყოფილა სწოუპსი, ნავთის დაცლილ ბაკთან ერთად რომ აფეთქდა მაშინ, დიდი ხნის წინ, თქვენ როცა ომში ბრძანდებოდით, დაკარგული ყმაწვილის საძებრად ჩამვრა იმ ბაკში, თუმცა ის ყმაწვილი დაკარგვით არსად დაკარგულა - დედამისი იყო დაფეთებული.

- ჰო-ო, - ვუთხარი, - უოლსტრიტ-პანიკას ამბავს მეუბნებით?

ვიცოდი იმის ამბავი - სწოუპსი რომ არ ყოფილა, იმის საარსწოუპსო ვაჭიშვილის ამბავი. ის იყო, ბედმა რომ გაუღიმა და სასიკეთო ქალი იპოვა თუ იმ ქალს ეპოვა. როგორც კი ცხოვრებაში შემოდგა ფეხი; საშუალო სკოლის მასწავლებელი გახლდათ ის ქალი და, როგორც ჩანს, იმ ბიჭს რომ შეატყო - საარსწოუპსო ანომალია უნდა იყოსო, ის კი არ აუხსნა მხოლოდ, უოლსტრიტ-პანიკა რასაც ნიშნავს, ისიც უთხრა - თუკი არ გსურს, შეგიძლია მასეთი სახელი აღარც გერქვასო; ოღონდ იმასაც თუ ერიდები, რომ სახელი მეტისმეტად შეგეცვალოს, ადექი და უოლ სწოუპსი დაირქვი, იმიტომ, რომ უოლი ძალიან კარგი სახელია და ამ სახელს ღირსეულადაც ატარებდა ღირსეული და მამაცი მისისიპელი გენერალი; და, თუმცა კი არ მგონია, რომ შენ, არა-სწოუპსს, მაინცდამაინც ხშირად გმართებდეს სიმამაცის გახსენება, მაგრამ საერთოდ, სიმამაცის გახსენება არაკაცს არ აწყენსო.

ისიც ვიცოდი, ის კომპენსაცია როგორ მიიღო, მამამისის უაზრო, უმაქნისი, არასწოუპსური სიკვდილისთვის რომ გადაუხადა კომპანიამ, იმ ფულით წილში როგორ შეუდგა ქალაქის ცენტრში მდგარი მოცუცქნული საბაყლოს პატრონს; იმ დუქანში ნასკოლებსაც და შაბათობითაც ნოქრად მუშაობდა, ფულს თავს უყრიდა, მერე კი, ძველი პატრონი რომ მიიცვალა, ის, უოლსტრიტი, დუქნის მფლობელი შეიქნა. ჰოდა, მერე ცოლიც შეირთო იმან, იმ ბიჭმა, სწოუპსი რომ არასოდეს ყოფილა, სწოუპსობის რომ არაფერი ეცხო მის დღე და მოსწრებაში: განწირულმა, შერისხულმა, გადამცდარმა, მარტო დიდსულოვნების გამო კი არა, საკუთარი არჩევანის გამოც თავისივე თავის გამწირველმა; უბრალო ბრიყვული ვალაუვალი დიდსულოვნება (არჩევანის რომ აღარაფერი ითქვას) ამჯობინა საკუთარ რეპუტაციას, რომელიც მაშინ შეექმნა, როცა მთელ ქალაქს ხმა მოეფინა - თავისზე ათი წლით უფროს ქალს ცოლად გამოყოლა შესთავაზაო.

თანაც, სკოლის დამთავრებამდე მოიმოქმედა ეს საქმე, იმ დღეს, იმ წამს აღარ დალოდებია, როცა მაუდის ახალთახალი, ცხელი კოსტიუმით მოსილსა და ოფლის მღვრელს ჭკნობად გამზადებულ ყვავილთა უტყვი სატანჯველის წიაღ სკოლის დარბაზის სცენაზე ასვლა და დირექტორის ხელიდან ატესტატის მიღება მოუწევდა, - არა, იმ დღემდე მოითმინა, როცა იმის მცოდნემ - სკოლის ამბავი მორჩენილია, მის ჭირსაც და ლხინსაც სამუდამოდ უნდა გამოვეთხოვო (სამდროოდ ცხრამეტის იყო უკვე. შვიდი

წლის წინ თავის ექვსწლიან ძმასთან ერთად მოსამზადებელ კლასში შესულიყო, უკანასკნელ წელიწადს კიდევ ისეთი ნიშნები ჰქონდა, გამოცდებიდანაც კი გაათავისუფლეს), გამოვლო კარი დუქნისა, რომლის იურიდიული თუ არა, ფაქტობრივი მფლობელი თვითონ იყო უკვე, სწორედ დროულად გამოვიდა, რათა ზარის დარეკვისთვის მიესწრო, კუთხეში მიდგა და შეიცადა, ვიდრე ჯერ მოსამზადებელ, მერე პირველ და მეორეკლასელები გამოეფინებოდნენ. ასე იდგა, სანამ ლილიპუტების ნაკადი ორივეს ჩაურბენდა აქეთ-იქიდან, როგორც წყარო ჩაურბის ხოლმე შიგ ჩამდგარ ორ ყანჩას, და მერე არც კი ცდილა, მის ხელს მიჰკარებოდა. იქვე, ჯეფერსონის ნორჩ ბინადართა მთელი საზოგადოების თვალწინ მეორე საფეხურის მასწავლებელ ქალს ცოლადწამოყოლა სთხოვა და ანაზღად დაინახა, - ამისთვის მეორე მასწავლებელ ქალსაც შეუსწრია თვალი შორიდან, - როგორ გაუფართოვდა იმ ქალს თვალები, ხელი როგორ შემართა, თითქოს ამის განშორება უნდაო, და მერე იქვე, უამრავი ბავშვის თვალწინ ცრემლები წასკდა, - იმ ბალებების თანდასწრებით, ბოლო სამ-ოთხ წელიწადს მისი შეგირდები რომ იყვნენ, ვისთვისაც ის ქალი მასწავლებელი იყო, დამრიგებელი და შეუვალი ავტორიტეტი.

როგორღაც მოახერხა, მოცარიელებული სათამაშო მოედნისკენ წაეყვანა ქალი, თან თავისი სხეულით დაეფარა კიდევ, ვიდრე ქალი ამის ცხვირსახოციტ სახეს იწმენდა და ცდილობდა გონი მოეცა; მერე, სკოლისა და რესპექტაბელობის ყველა წესის საწინააღმდეგოდ, ცარიელ კლასში შეიყვანა, სადაც ცარცის, მტანჯველი გონებრივი დამაბულობისა და მშრალი უჯიათი ფაქტების სული ტრიალებდა. ჰოდა, ნიშნობის ამბორისთვის კი არ მიჰყვებოდა უკან, არც მისი ხელის შესახებად მიდიოდა, - ქალს ყველაზე ნაკლებად იმის შეხსენება სურდა ბიჭისთვის, რომ მაშინ, შვიდი წლის წინ, თვითონ ოცდაორი შესრულებოდა უკვე და რომ დღევანდლიდან ერთი წლის მერე ბიჭი იმასაც მიხვდებოდა - აგერ თორმეტი თვე იქნება, მთელი ჯეფერსონი საცინრად მიგდებსო. ხოლო ის ქალი, შვიდი წლის წინვე რომ მიხვდა, უოლსტრიტ-პანიკა რასაც ნიშნავდა, გულისხმიერი კი არ ყოფილა მხოლოდ, ბევრად მეტი გახლდათ: როგორც ნამდვილ ლედის შეჰფეროდა, ცრემლი მოიწმინდა და ისევ მის უაიოტად იქცა, ანდა „მის ვაიდენად“, როგორც ბავშვები უწოდებდნენ თავიანთ მასწავლებელს სამხრეთული ჩვეულებისამებრ, ჰოდა, განუმარტა ბიჭს, ის დასალონარი მიზეზები კი არ გაუმხელია, ისე უთხრა - უკვე დანიშნული ვარ და გულით მინდა, ოდესმე ჩემს საქმროს გაგაცნო, რადგან დარწმუნებული ვარ, ძალიან დამეგობრდებითო.

ასე რომ, იმ ბიჭმა ვერაფერი შეიტყო, ვიდრე ხანი არ მოემატა და უკეთ არ ჩასწვდა ყოველსავე. ოღონდ მაშინ კი არ შეუტყვია ყველაფერი, როცა გვიან იყო უკვე, რადგან გვიან არ ყოფილა: უკვე მოგახსენეთ - ის ქალი ჰკვიანი, მეტიც - გულისხმიერი გახლდათ-მეთქი. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სოფლური ოჯახიდან იყო გამოსული (მისი უახლოესი ნათესავები ჯერაც იქ სახლობდნენ, სადაც ოდესღაც, მანამდე, ვიდრე ჯეფერსონი ჯეფერსონად იქცეოდა, მდინარის მთელ ტოტს, სანაოსა და ბორანს ფლობდნენ), ასე რომ, ეჭვი არაა, იმთავითვე ჰყავდა შეგულებული ერთი გოგო, რადგან კვირასაც არ გაევილო, იმ გოგოს აწვია ბიჭი, თითქოს ამით ეთქვას - ეს შეირთეო ცოლად. ჰოდა, ერთი თვის მერე ბიჭს აღარც შეუმჩნევია, რომ მის ვაიდენ უაიოტი მის დაუკითხავად წასულიყო ჯეფერსონის სკოლიდან, სადაც ათ წელიწადს უძღვებოდა უფროს კლასებს, და ბრისტოლში, ვირჯინიის შტატში შესდგომოდა მასწავლებლობას; რადგან შემოდგომის იმ დღემ რომ მოატანა, ამას უკვე ორი თვის შერთული ჰყავდა შეუპოვარი, თავისნათქვამა და არც ისე ულამაზო გოგო, რომელიც პატივმოყვარეობით ამას არ ჩამოუვარდებოდა და რომელსაც მთელი თავისი ნებისყოფა, გულისთქმა მასზე მეტად ჰქონდა დაუნჯებული იმ ჭაობის, იმ ჯურღმულის, იმ სიდამპლის საშინელ სიმულვილზე, საიდანაც მისმა ქმარმა (ეს ბეჯითად სჯეროდა)

ყურებში ხელწავლებულმა თუ საკუთარ აჭიმებს ჩაფრენილმა ამოატრია თავისივე თავი. ჰოდა, ახლა ის გოგო თვითონ ვაჭრობდა დუქანში, მის დედამთილს კიდეც შეეძლო სახლში მჯდარიყო და ოჯახისთვის მიეხედა; და, თუმცა ას გირვანქაზე მეტს არ იწონიდა, ხელის ბიჭის საქმეებიც თავადვე ჰქონდა ნაკისრი - იატაკს გვიდა ხოლმე, ფეხილიან თუ ბადაგიან კასრებს დააგორებდა, ველოსიპედზე გადამჯდარი ქალაქში მიმოვიდოდა და ტელეფონით შეკვეთილ პროდუქტებს დაატარებდა, ვიდრე ნახმარი „ფორდი“ შეიძინეს, ამასობაში კიდეც, უმცროს ძმას, ადმირალ დიუის, სურდა ეს ამბავი თუ არ სურდა, სკოლაში უნდა ევლო - რძალი აიძულებდა ამას.

დიახ, ბატონო, ყველამ ვიცოდით ეს ამბავი; ეს ჩვენი ფოლკლორის ან, თუ გნებავთ, ჩვენი სნოუპსლორის ნაწილი გახლდათ: ისიც, ფლემი როგორ მიხვდა იმ გოგოს შემდეგ - ყოფილა ისეთი ჭაბუკი, პირდაპირი და პატიოსანი გზით, შრომით რომ განუზრახავსო ფულის შოვნა; ისიც, როგორ შეეცადა ფლემი, წილში შესდგომოდა ან თუნდაც ფული ესესხებინა უოლსტრიტისთვის საქმის გასაფართოებლად; ისიც ყველას მოგვეხსენებოდა, ვინ იუარა ეს წინადადება. უკეთ რომ ვთქვათ, ჩვენ გვინდოდა გვერწმუნებინა - უოლსტრიტს ცოტათი ხომ ვიცნობთ, ასე თუ ისე იუარებსო, ოღონდ მას შემდეგ, რაც მის ცოლსაც გავვეცანით, უკვე დაბეჯითებით ვიცოდით, რომ იუარებდა. ახლა, როცა ამოდენა გარჯის ფასად გადაელახა ნოქრიდან დუქნის მფლობელის მოწილემდე მიმავალი გზა, ნაკლებ სიძნელეთა დაძლევა კი არ მოუხდებოდა, რათა დუქნის სრულ ბატონ-პატრონად ქვეულიყო; რაღა თქმა უნდა, ის დღეც გაუთენდა, როცა ვალი დაედო ნამეტი საქონლისთვის; ჰოდა, შემწეობის სათხოვნელად პოლკოვნიკ სარტორისის ბანკისთვის უნდა მიეკითხა.

ეს იმ დროს მოხდა, როცა ის-ის იყო შევიტყვეთ - ფლემ სნოუპსი მართლა შექნილად ბანკის გამგეობის წევრი. უფრო სწორად, ის რომ შევიტყვეთ, - ფლემ სნოუპსისთანა კაციც შეიძლება შეიქნესო გამგეობის წევრი. კი, რაღა თქმა უნდა, წლიურ ანგარიშზე სხვებთან ერთად მისი ხელმოწერაც გვექონდა ნანახი, ბანკის პრეზიდენტის, პოლკოვნიკ სარტორისის გაურკვეველად მოწერილი ფაქსიმილეს გვერდით; ოღონდ ის იყო, რომ ჩვენ ლოგიკურ დასკვნას ვჯერდებოდით - ბიძია ბილ უორნერის რწმუნებულია ფლემი და მეტი არაფერი, მის მაგივრად აწერს ხელს, რათა ბერიკაცს ქალაქში ზედმეტად სიარულმა არ მოუწიოსო; იმას ვფიქრობდით მხოლოდ, ესე იგი, მანფრედ დე სპეინს, თუკი დასჭირდა, უორნერისეული აქციების ხელშიჩაგდებაც შეეძლებაო.

ჰოდა, რასაკვირველია, ვიცოდით ის ამბავი, გვჯეროდა, რომ ფლემი ცდილობდა, უოლსტრიტისგან მისი საქმის ნაწილი შეესყიდა, კერძო სესხით გადაერჩინა, ვიდრე უარს ეტყოდა სესხზე, ვითარცა ერთ-ერთი წევრი ბანკის გამგეობისა. ახლა ყველაფერს მივხვდითო, გვეგონა; ოღონდ ერთი რამ არ გავვითვალისწინებია თითქოს: რანაირად დააჭირა ფლემმა ფეხი კომივიოიჟორს, რათა იმას უოლსტრიტი დაეყაბულებინა, ნისიად წაეღო საქონელი, ან სენტლუსელი ბითუმად მოვაჭრენი როგორ აიძულა, ეს გარიგება გაეიმასქნებინათ: ეტყობა, ამ ამბავში იგივე მაგიური თილისმა თუ ჯადო მოქმედებდა, რომლითაც აპირებდა ფლემი, ზეგავლენა მოეხდინა მეორე ბანკზე, ჯეფერსონის ძველ ბანკზე, რათა იმათ არაფერი ესესხებინათ უოლსტრიტისთვის მას შემდეგ, რაც პოლკოვნიკ სარტორისის ბანკი სესხზე უარს ეტყოდა.

ოღონდ ის კითხვა არავის აღძვრია - ვინ უარყოფო ფლემის წინადადება უოლსტრიტ სნოუპსის ოჯახში. ყველას შეეძლო დაენახა, როგორ გადაირბინა მოედანი იმ ქალმა, უოლსტრიტის ცოლმა, გაწრიპულმა, მხოლოდ დამაბულმა კი არა, გაალმასებულმაც, თან ას გირვანქაზე მეტს არც მაშინ აიწონიდა ალბათ. მოედნის კიდეკიდე კი არ გარბოდა, ქვეითა სავალ გზაზე, - პირდაპირ ჰქონდა გეზი აღებული,

ავტომობილებს, ოთხთვალეებს, ეტლებს შორის, ბანკისკენ, ბანკში მიეშურებოდა (ჩვენ იმას ვერ ვხვდებოდით ვერაფრით – როგორ შეიტყო, რანაირად გამოიცნო ასე უცებ, მის ქმარს სესხზე უარი რომ უთხრესო, თუმცა, რომ დავუფიქრდით, ესეც მოვისაზრეთ: სნოუჰსებისადმი მისი ლიტონი, მექანიკური, მძვინვარე სიძულვილით ამოქმედდა ხელად, როგორც კი გულისხმას მოვიდა – თანხმობის სათქმელად ბანკსულ მცირეოდენი დრო დასჭირდებოდაო და თანაც ფლემ სნოუჰსი ბანკის დირექტორთაგანი არისო), – ჰოდა, დარბაზში შეფრინდა ყვირილ-ყვირილით – სადაა? უოლი სად არისო? – და მაშინვე გამოვარდა – წავიდაო, როგორც კი უთხრეს; ოღონდ სასოწარკვეთილი კი არ ყოფილა, უბრალოდ გააფთრებული იყო, ჩქარობდა, იმ ქუჩაზე გაიჭრა, მისი ქმარი რომ დასდგომოდა ვიღაცის ნათქვამისამებრ; ის ქუჩა შესახვევისკენ მიუყვებოდა, ფლემის სახლისკენ, ფლემს კიდეც, მეტი არც სახლი ჰქონდა და არც კანტორია, ჰოდა, მირბოდა და მირბოდა ქალი, ვიდრე ქმარს არ დაეწია, მოასწრო დაწევა. მერე ვინც კი იქ იყო, თავისი თვალთ ნახა: შემოეჭდო ქმარს დღისით, მზისით, როცა შეყვარებულნიც კი ვერ გაბედავდნენ, დასანახავად ერთიმეორეს გადახვეოდნენ, და არც ერთ ნამდვილ ლედის წყევლის სიტყვა არსად წამოსცდებოდა, შემოეჭდო და აყვირდა (ტიროდა კიდეც, ოღონდ უცრემლოდ, გეგონებოდათ, ამ დამაბულ, აღმურადენილ სახეზე ცრემლები გადმოდენისთანავე ორთქლდებო): „არ გაბედო! არ გაბედო! შეჩვენებული სნოუჰსები! ჯანდაბას იმათი თავი! ჭირი და არგადარჩენა!“

ჩვენ, რაღა თქმა უნდა, ის ვიფიქრეთ – იმ ქალის მამამ, ჯიბეთხელმა, თუმცაღა გამრჯე ფერმერმა, საიდანღაც ფული მოიგდოო ხელში. იმიტომ, რომ უოლსტრიტმა თავისი სავაჭრო მაინც გადაარჩინა. და ამ შემთხვევის შემდეგ იმას კი არ ჩახვდა მხოლოდ, გადახდისუნარიანობა რაც არის, იმის შეცნობაც ისწავლა, რასაც ნიშნავს წარმატება. წელიწადი რომ გავიდა, იქვე მეზობლად დუქანი იქირავა (მერე შეისყიდა კიდეც) და საქონლის საწყობად აქცია, რათა მეტი საქონელი შეეძინა ხოლმე ბითუმად, თანაც ნაკლებ ფასში; რამდენიმე წელიც რომ გამოხდა, სხვა შენობაც იქირავა – ჯეფერსონში არსებული უკანასკნელი თავლა, იქაც საწყობი გამართა, მერე ორ დუქანს შუა ტიხარი გაანგრია, და ჯეფერსონში გაჩნდა პირველი საბაყლო თვითმომსახურების მაღაზია, მანამდე რომ არასოდეს გვენახა, ისეთი, ისევე მოწყობილი, როგორც მერე და მერე დიდ-დიდი ფირმების თაოსნობით გამართული და გავრცელებული სასურსათო მაღაზიები; მისი მაღაზიის ქუჩა იმ შესახვევისკენ მიუყვებოდა კუთხით, სადაც სნოუჰსის რესტორანი იყო ოდესღაც, ასე რომ ის კარავი, რომელშიც ჯეფერსონს ჩამოსულმა უოლსტრიტმა პირველი დამე გაათია, მისი დუქნის უკანა ეზოში გამოდიოდა. ამან ის ადგილი იყიდა თუ იქირავა (ახლა ჯეფერსონში გაცილებით მეტი ავტომობილი მიმოდის) და იქ მანქანების სადგომი მოაწყო, რითაც ჯეფერსონელი მანდილოსნები იმას შეაჩვია, რომ ქალაქის ცენტრისკენ გამომგზავრებულებიყვნენ, მის დუქანში სარფიანად ევაჭრათ და შემენილი სურსათი შინისკენ თვითონვე წაემღვანათ ხოლმე.

ჰოდა, ყველას ისე გვეგონა, უკეთ რომ ვთქვათ, მე მეგონა – თავის გადასარჩენი ფული მაშინ სიმამრმა ასესხაო. – დასწყევლის ღმერთი, – ვთქვი, – აბა, თქვენ იყავით?

– რა თქმა უნდა, – მომიგო რეტლიფმა. – მე იმის მეტს არაფერს ვაპირებდი – ხელწერილს გამოვართმევ-მეთქი. ოღონდ იმან დაიჩემა – წილში შემომიდექითო. იმასაც მოგიყვებით, ჩემო ბატონო, რას ვაპირებთ კიდეც. საბითუმო ვაჭრობა გვინდა გამოვაწყოთ.

- რაო, რაო? - ვიკითხე.

- საბითუმო კომპანიას გავხსნით, სენტ-ლუისში რომ დიდ-დიდი ფირმებია, იმნაირს; აქვე გავხსნით, ჯეფერსონში, ისე, რომ მთელ ოლქში რომელი მოვაჭრის ამბავიც უნდა ბრძანოთ, ყველას შეეძლება, იმის მაგივრად, რომ აუარება ფული ფლანგოს ერთი ციკუნა საქონლის მოსატანინებლად, კალთაში რომ გამოიხვევა, იმდენის, ანდა რამე ადრე წასახდენი სურსათის გადმოზიდვისას იხეთქოს გული, ამის მაგივრად შეეძლება, რაც კი რამე დასჭირდება, აქვე იყიდოს ხელმისაწვდომ ფასად, ჰოდა, გადატან-გადმოტანაში აღარ დაიხარჯოს.

- დასწყევლის! - ვთქვი მე. - თქვენ თვითონ რატომ არ მოგაფიქრდათ ეგ ამბავი ადრე, დიდი ხნის წინ?

- სწორი ბრძანებაა, - მითხრა რეტლიფმა. - ჰოდა, თქვენ რატომ აღარ მოგაფიქრდათ?

- დასწყევლის! - ვთქვი ისევ. მერე ვუთხარი: - აქციებს არ მომიყიდით? მე თუ შემძლია, წილში შემოვიდგეთ?

- რატომაც არა? - მომიგო. - ოღონდ კი სნოუპსის გვარის არ იყოთ და თუკი ფლემ სნოუპსი არ გქვიათ, წილში შედგომა კი შეიძლება იმ კაცთან, ოღონდ ჯერ იმ გოგოს დაჯაბნა მოგიწევთ. მისი ცოლისას მოგახსენებთ. იქნებ შეგეველოთ ერთი და მიგეგლოთ ყური, რანაირად უკურთხებს იმ ხალხს. შეჩვენებული სნოუპსებიო, თუ არ თქვა, ვერ გაძლებს ისე. კი, ჩემო ბატონო, ჩვენ-ჩვენთვის ყველანი ვაგინებთ გუნებაში იმ ხალხს, ზოგიერთი ხმამაღლაც ასწორებს მიწასთან. ოღონდ იმ გოგოს ამბავი სხვაა მაინც. გულით წყევლის ნამდვილად. ჰოდა, თავის კაცს იმგენის სიახლოვეს არაფრის დიდებით არ გააკარებს.

- კი, - დავუდასტურე, - მაგ ამბისთვის ყური მეც მომიკრავს. გვარს რატომ არ იცვლიან ნეტავი?

- არა, არა, - თქვა რეტლიფმა. - ეგ ვერ გაგითვალისწინებიათ. გვარის გამოცვლა სულ არ უნდა იმგოგოს, დამალვა უნდა მისი. იმას კი არ აპირებს, ქმარს თმაში სტაცოს ხელი და სნოუპსებიდან ამოათრიოს, ანდა გაექცეს სნოუპსებს. იმათი სახელის გაწმენდა სურს, სნოუპსიზმის შიგნიდანვე ამოძირკვა. შეგეველოთ ერთი და თქვენც ყურით მოგესმინათ.

- აბა, საბითუმო ფირმაო, - ვთქვი მე. - თურმე რა ჰქონია გულში ფლემს...

ოღონდ სისულელის თქმას ვაპირებდი და რეტლიფი ამას უმაღლ მიხვდა, ვიდრე ბოლომდე ვიტყოდი სათქმელს:

- ...როცა თავისი ბანკიდან სხვა ბანკში გადაანაცვლა ფული? არა, არა! აქაური ბანკები არაფრად გვჭირდება. არ ვაკითხავთ იმ ბანკებს. როგორც ეტყობა, ჯეფერსონში ამ ამბავს ფლემი მიხვდა პირველი. უოლს ძალიან ენდობიან დიდ-დიდი ვაჭრები და შუაკაცები, ვისთანაც კი საქმის დაჭერა გვიხდება. მათი ანგარიშით, უოლი გზაზე არავის ეღობება, ის კი არა და, იქით უწყობს ხელს სხვების საქმეს. არა, ბანკი არაფრად გვჭირდება. ოღონდ ერთი კია, გუნებაში ის გვაქვს, რომ ჩვენი საქმე მარტო ადგილობრივი, აქაური საქმე იყოს. ასე რომ, ინახულეთ ის ბიჭი, თუკი გნებავთ, მოელაპარაკეთ, როგორ შეუდგეთ წილში.



- უეჭველად, - ვუთხარი. - ოღონდ მაინც რას აპირებს ფლემი? რატომ გამოიტანა ფული დე სპეინის ბანკიდან, როგორც კი ვიცე-პრეზიდენტი შეიქნა? თანაც, ჯერ ხომ არ გადამდგარა, - ესე იგი, პაი ხომ აქვს კიდეც. ჰოდა, თავისი ფული მაინც არ გააჩერა იმ ბანკში. რაშია ვითომ საქმე?

- ჰო-ო, - თქვა რეტლიფმა. - თურმე რას შეუწყუხებიხართ. ხეირიანად არც ჩვენ ვიცით არაფერი. ახლა იმის მეტი არაფერი შეგვიძლია, ჩირგვები როგორ ინძრევა, იმას ვუყუროთ. - რეტლიფის ხმა და მისი სახე ორ სხვადასხვა რეტლიფს ეკუთვნოდა თითქოს: მეორე მათგანი თითქოს გთავაზობდათ - კი, ბატონო, თუკი გამჭრიახობა არ გიმტყუნებთ, მობრძანდით და გამოიცანით, პირველს რისი თქმა უნდაო. ოღონდ ამჯერად მეორე რეტლიფი ისეთი რაღაცის ახსნას ცდილობდა ჩემთვის, რაც პირველს სიტყვით ვერ გამოეთქვა. - სანამ ის გოგო ცოცხალი ჰყავს, ფლემი თითქოს ვერ დააკარებს უოლს. ეკ სნოუპსი თამაშს უკვე გამოეთიშა, ხომ? ის ა. ო. სნოუპსი კიდეც, კაცმა რომ თქვას, გარევით ვერაფერში გაერია, რადგან, სხვების რომ აღარაფერი ვთქვათ, საკუთარი თავისთვისაც არ ყოფილა არაფრის საღირალი, რაც უნდა გამეცადინებულიყო, ხეირს ვერ ნახავდა. ჰოდა, ისე გამოვიდა, რომ აღარც ერთი სნოუპსი აღარ დარჩენილა ისეთი, რომელსაც ჭკუადამჯდარი და მეცადინი ყმაწვილი რამეს გამორჩებოდა.

- კი, მაგრამ ერთი ხომ არის კიდეც... - ვთქვი მე.

- სწორი ბრძანებაა, - თქვა რეტლიფმა. - მე ვიტყვი თქვენს სათქმელს. მონტგომერი უორდი არის კიდეც და მისი ფოტოატელიე. ოღონდ, რაკი ამ საქმეში ფლემი თავიდანვე არ გარეულა, ეტყობა, აღარც აწი აპირებს. ისიც ხომ ნამდვილია, რომ იმ ვიტრინაში, წელიწადი იქნება აგერ, რაც სურათები არ შეცვლილა, ჰოდა, ჯეისონ კომპსონი მონტგომერი უორდისგან თვიდან თვემდე ზუსტად იღებს სახლის ქირას, ეს ყველაფერი კიდეც იმას ნიშნავს, ჩემო ბატონო, რომ ფლემი თავიდანვე მიმხვდარა - ამ საქმეში დროის დაკარგვა არ ღირსო. ჰოდა, ერთადერთი ობიექტი დარჩენილა სნოუპსებისგან, ხელის ჩასაჭიდებლად რომ ღირდეს, ისეთი.

- კეთილი, - ვთქვი მე, - დამიყოლიეთ მგონი.

- ის ოქროს ფული, ოცდოლარიანი.

- რომელი ოცდოლარიანო?

- არ გახსოვთ, იმ დღეს გეუბნებოდით სოფლელი ბიჭის ამბავს, პირველად რომ გაემგზავრება-მეთქი მემფისს შაბათ დღეს, ჰოდა, ხალათის შიგნით ოცდოლარიანს მიიბნევს, აქეთობის ფული მაინც რომ ეყოს-მეთქი?

- ჰო, ჰო, - ვუთხარი, - განაგრძეთ, ბოლომდე თქვით სათქმელი!

- რა დარჩა ჯეფერსონში ისეთი, ფლემს ჯერაც რომ არ ჩაუგდია ხელში? ერთადერთი რაღაცა, მას რომ სჭირდება, რისკენაც იმ დღიდანვე გაიქაჩა, როცა პოლკოვნიკი სარტორისი დამტვრეული მანქანიდან გადმოსვენეს, ჰოდა, ფლემმა ბიძია ბილის მაგივრად მისცა ხმა ყველა მისი აქციის ძალით, რათა მანფრედ დე სპეინი ბანკის პრეზიდენტი შექნილიყო?

- თვითონ უნდა პრეზიდენტი გახდეს თუ რა? - ვთქვი მე. - არა, - ვუთხარი, - შეუძლებელია! არ იქნება მაგ ამბავი! - ოღონდ რეტლიფი თვალს მამორებდა. - სისულელეა! - ვთქვი ბოლოს.

- რატომაა სისულელე? - იკითხა იმან.

- იმიტომ, რომ იმის გამოსაყენებლად, რასაც თქვენ ოცდოლარიანს უწოდებთ, თავისი ცოლის დახმარებაც დასჭირდება. როგორ გგონიათ, მისი ცოლი მხარში ამოუდგება მანფრედ დე სპეინის წინააღმდეგ? - ოღონდ რეტლიფი თვალს არ მამორებდა. - ასე გგონიათ? - ვუთხარი. - იმედიც არ უნდა ჰქონდეს ამისი.

დიახ, თვალს არც ახლა მამორებდა. - ეს უკვე მაშინ უნდა მოხდეს, ჩირგვებიდან რომ გამოხტება, - მითხრა. - იქით გავარდება, სადაც დანახვა შეგვეძლება უკვე მისი, მინდორში. ჰოდა, რა მინდორია ის მინდორი?

- მინდორიო? - ვიკითხე.

- დიახ, ის მინდორი, იმან რომ შეიგულა? კარგი, ბატონო, - თქვა მერე. - ის მინდორი, რომლის გულისთვისაც ჩირგვებში დამკვრებოდა, ოღონდ კი იქიდან გამოვარდნილიყო?

- სიხარბე, - ვთქვი მე, - გაუმადლობა, ფული. აბა, მეტი რაღა უნდა, რას ესწრაფვის? სხვა რა ამოქმედებს?

ოღონდ რეტლიფი ისევ შემომყურებდა და ახლა ჩემი თვალით ვხედავდი, როგორ ჩამოეცალა დამაბული გამომეტყველება და კვლავინდებურად ალერსიანი, აუმღვრეველი, შეუცნობელი და თავაზის გამომხატველი შეექნა სახე. უბის ჯიბიდან ფეხსაცმლის ზონარზე ჩამოკონწიალებული იაფფასიანი საათი ამოაძვრინა. - ჯანდაბას ჩემი თავი, სადილობის დრო მოსულა, - თქვა. - სულზე თუ მივუსწარი, დიდა.

### 9. ვ. კ. რეტლიფი

იმიტომ, რომ ვერაფერს მიხვდა ეს კაცი. სულ ვერაფერს.

### 10. ჩარლზ მალისონი

მონტგომერი უორდ სნოუპსი ბოლოს და ბოლოს ჩავარდა. უფრო სწორად, ჩავარდა გროვერ კლივლენდ უინბუში. რეტლიფის ნათქვამის არ იყოს, ვინც აკრძალული

საქონლით ვაჭრობს და თან იმდენად ყვეყნია, რომ გროვერ უინბუშთან ასაღებს იმ საქონელს, უქველად ჩავარდება და ახიცაა იმაზე.

- ოღონდ გვეინ ბიძიამ თქვა - მონტგომერი უორდი ადრე თუ გვიან, გროვერ კლივლენდის უმისოდაც უნდა ჩავარდნილიყო, რადგან მისისიპის შტატის ქალაქ ჯეფერსონში იმ საქმის, იმ გასართობის ნიადაგი არ მოიპოვება, რომლის დანერგვასაც მონტგომერი უორდი ჩვენ შორის ცდილობსო. ევროპა სხვა საქმეა, შესაძლოა, დედაქალაქის ჯიბესქელ მკვიდრთა და იქაური ბოჭემის ამბავიცო. მაგრამ სულ სხვა რამ არის ჩვენი ოლქი, უმთავრესად სოფლელი ბაპტისტებით დასახლებულიო.

ერთი სიტყვით, გროვერ კლივლენდი ჩავარდა. სადამოს მოხდა ეს ამბავი, ძალიან გვიანი დრო იყო. ესე იგი, ყველა დუქანი უკვე დაეკეტათ, თუმცა კინოს მეორე სენსიდან გამოსული ხალხი ჯერაც მიდი-მოდითა ქუჩებში; ჰოდა, ზოგიერთმა მათგანმა, ის კი არა და, მე მგონია, ყველამ, ვინც კი იქ ჩაიარა და შემთხვევით ფანჯარაში შეიხედა, ბიძია ბილი კრისტიანის აფთიაქში დაინახა ორი კაცი, იმ კარადასთან მოფათურე, რომელშიც ბიძია ბილის წამლები ჰქონდა შენახული; და, თუმცა უცხონი იყვნენ, ესე იგი, გამვლელთაგან ვერავინ შეიცნო ისინი, ვინც კი ფანჯარას ჩაუარა და ის კაცები დაინახა, მეორე დღეს ამბობდა: ისეთი არაფერი მოგვსვლია აზრად, რას წარმოვიდგენდით, ასე ადრეიანად რამე მოხდებოდა, თან სინათლე ენთოო, და, გარდა ამისა, ისიც ვიფიქრეთ - გროვერ კლივლენდი, ღამის პოლისმენი, რომელსაც იმის მეტი არაფერი აქვს საქმე, მოედანზე იყიალოს და ფანჯრებში შეიხედოს ხოლმე, ადრე იქნება თუ გვიან, დაინახავს იმ კაცებს, თუკი იქ ყოფნა არ მართებთო.

ასე იყო ეს ამბავი მეორე დღიდან, როცა ბიძია ბილიმ აფთიაქი გააღო და აღმოაჩინა, რომ შიგ ვიღაც შესულიყო და მარტო სეიფი კი არ გაეხსნა და მთელი ფული კი არ წაეღო მხოლოდ, არამედ წამლების კარადაც გაეტეხა და მორფიუმი და ძილის ტაბლეტებიც გაექრო ერთიანად. უსიამოვნებებიც ამით დაიწყო. ფულიც შეეძლოთ წაეღოთ და, საქმე თუ ამაზე მიდგებოდა, მთელი აფთიაქიც გაეყოლებინა, გარდა იმ კარადისა, სპირტის ჩათვლითო, - თქვა რეტლიფმა; რადგან უოლტერ კრისტიანი, ზანგი მეთხოვე, სპირტს ჩუმ-ჩუმად წრუპავდა იმ დროიდანვე, რაც ბიძია ბილის და მას ყმაწვილკაცობისას აფთიაქში დაეწყოთ მუშაობა, ჰოდა, ბიძია ბილი კი აგინებდა, ფეხებს უბრაზუნებდა, ბოლოს სასამართლოშიც კი უჩივლა, მაგრამ ამით საქმეს არაფერი შევლებია. ოღონდ ვინც იმ მორფიუმიან კარადას შეეხო, გინდაც, თავად სატანა გაეხელებინოს. ბიძია ბილი სამოცს მიტანებული მარტოხელა კაცი გახლდათ, ჰოდა, უდროო დროს თუ მიადგებოდა ვინმე, ბავშვიც რომ ყოფილიყო, ერთს მაგრად შეუღრენდა. მაგრამ შესაფერის დროს თუ მივაკითხავდით, ბეისბოლის ბურთებს და ტაფელებს გვიბოძებდა, თამაშის მერე კიდევ, ნაყინით გვიმასპინძლებოდა ხოლმე, სულერთია - მოგებულები ვიყავით თუ წაგებულები. ანდა, უფრო სწორად, ასე იყო ეს ამბავი იმ ზაფხულამდე, როცა ზოგიერთი ღვთისმოსავი მანდილოსანი მის მორჯულებას შეეცადა. მას მერე ძნელი გამოსაცნობი შეიქნა, შეიძლებოდა თუ არა მასთან დალაპარაკება. ოღონდ შემდეგ მანდილოსნები დროებით ჩამოეხსნენ და ყოველივე მოგვარდა ხელახლა.

ამასობაში კიდევ აფთიაქის ფედერალური ინსპექტორები წლების განმავლობაში გულს უწვრილებდნენ. ტვინს უჭამდნენ იმის გამო, რომ მორფიუმი იმ მომცრო უმტკიცო ხის კარადაში ჰქონდა შენახული, რომლის გაღებაც ყოველ კაცს შეეძლო, დანით იქნებოდა, კორკსადრობით თუ უბრალო სარჭითაც, თუმცა ბიძია ბილი იმ კარადას გასაღებით კეტავდა, გასაღებს კიდევ, ბნელ თაროზე სასაქმებლიანი ბოთლის ქვეშ მალავდა,

ჰოდა, მის მეტი არც არავინ იყო იმ თაროსთან მიმსვლელი, რადგან იქ ისეთი წყვდიადი იდგა, უოლტერიც კი არ ეკარებოდა სიახლოვეს - ბიძია ბილი ხომ ვერ დაინახავდა, გადაეწმინდა თუ არ გადაეწმინდა უოლტერს იქ მტვერი. ჰოდა, ბილი ინსპექტორებს სულ იმას ეფიცებოდა - მორფიუმს სეიფში ჩავკეტავო.

ჰოდა, ახლა იცოდა - უსიამოვნებას ვერაფრით გადავურჩებო, - ინსპექტორებისთვის იმის განმარტება მოუწევდა, დაპირებისამებრ სეიფში რატომ არ ჰქონდა ჩაკეტილი მორფიუმი; ჰოდა, იმათთვის იმის ჩიჩინს - ასეც რომ მექნა, ქურდები სულერთია მაინც მოიპარავდნენო, ახლა აზრი აღარ ჰქონდა, რადგან, რეტლიფის ნათქვამის არ იყოს, იმ ფედერალურ ინსპექტორებს ის კი არ აინტერესებდათ, ამ ამბავს ხეირი მოჰყვებოდა თუ არა, ერთადერთი საზრუნავი ის ჰქონდათ, ყველაფერი ინსტრუქციის მიხედვით ყოფილიყო ზუსტად აღსრულებული.

ასე რომ, კაცმა რომ თქვას, ბიძია ბილი გახლდათ დამნაშავე მონტგომერი უორდის ჩავარდნის საქმეში. თავდაპირველად ისე გადაირია, ვერც იმას მიხვდებოდი კაცი, რა და რა საქონელი იყო მოპარული, და ვერც იმას - თქმით რას ამბობდა ბიძია ბილი, ქუჩიდან კიდევ, ხალხი აწყდებოდა და აწყდებოდა აფთიაქს იმდენად განაქურდი ადგილის სანახავად არა, რამდენადაც ბიძია ბილისთვის თვალის შესავლებად; და ბოლოს ვიღაცამ - რეტლიფი გახლდათ, რასაკვირველია, - თქვა:

- ბიძია ბილის შერიფი კი არ სჭირდება ახლა, ჯერ ექიმი პიბოდია საჭირო.

- რასაკვირველია, - გვეინ ბიძიამ უთხრა რეტლიფს. - მაინც რანაირადაა, უთქვენოდ რომ ნაბიჯს ვერ გადადგამს კაცი? - გვეინ ბიძია სკიტს მაკჰაუნს მიეახლა, ბიძია ბილის ნოქარს და გაზიანი წყლის გამყიდველს, რომელსაც ორ სხვა ბიჭთან ერთად მოღებულ სეიფში შეერგო თავი, სკიტსი იქიდან გამოაქიჩავა და უბრძანა - ახლავე ექიმ პიბოდისთან აირბინე, უთხარი, მალე მოვიდესო. მერე გვეინ ბიძიამ და სხვებმა, როგორც იქნა, დააწყნარეს ბიძია ბილი, თუმცა მაინცდამაინც ახლოს არ მიჰკარებიათ, მერე კი ექიმი პიბოდიც მოვიდა შპრიცით ხელში, თითქმის ყველა მოაშორა იქაურობას, ბიძია ბილის სახელო აუკაპიწა, მერე ისევ ჩამოუშვა, ჰოდა, მაშინ ბიძია ბილი იმდენად დაშოშმინდა, რომ ჩვეულებრივი გიჟისგან თითქმის ველარც გამოარჩევდით.

ასე რომ, მონტგომერი უორდი მხოლოდ მის გამო ჩავარდა. უფრო სწორად, იმ ორის გამო, მორფიუმი რომ მოიპარეს. საამდროოდ ის ვიცოდით უკვე - ზოგიერთმა კინოდან მომავალმა ის ორი კაცი დაინახაო, ჰოდა, ახლა ბიძია ბილის იმის შეტყობა სურდა - გროვერ კლივლენდ უინბუში სად ბრძანდებოდა მთელი იმ ხნის განმავლობაშიო. დიახ, ახლა ისერიგად აღარ მძვინვარებდა. ახლა უბრალოდ გულმოსული იყო, აბეზარი, დაგესლილი და უწყალო. ცხრა საათი გახლდათ, და ამ დროს გროვერ უინბუშს თავის სახლში უნდა სძინებოდა უკვე. ვიღაცამ თქვა - ტელეფონით დავურეკოთ, გავაღვიძოთ და ვუთხრათ - მოედნისკენ გამოიჩქაროსო.

- მაგ როდის იქნება, ჯანდაბას მისი თავი, - თქვა ბიძია ბილიმ. - მე წავალ თვითონ, გავაღვიძებ და მოვათრევ აქ. ფეხის აჩქარება არ მოუხდება, მე წამოვიყვან. მანქანა რომელს გყავთ?

ოღონდ საამდროოდ მისტერ ბაკ კონნორსიც იქ იყო უკვე, პოლიციის უფროსი.

- მოითმინეთ, ბიძია ბილი, - უთხრა იმან. - ყოველივე, რაც კეთდება, ყოველთვის შეიძლება სწორადაც გაკეთდეს და უსწოროდაც. ჩვენ სწორად გაკეთება გვმართებს. ამ ხალხმა ნაფეხურების მეტი ნაწილი ალბათ უკვე გადაქელა, მაგრამ ჩვენ ის მაინც

შეგვიძლია, ძიება ისე დავიწყოთ, როგორც პოლიციის წესდებით არის დადგენილი. გარდა ამისა, გროვერ კლივლენდი მთელ წუხანდელ ღამეს მორიგეობდა, ამაღამაც არ მოუწევს თვალის მოხუჭვა, ჰოდა, ახლა გამოძინება უნდა ვაცალოთ.

- ნამდვილად, - ბიძია ბილიმ თქვა. - ნამ-დვი-ლად! მთელ ღამეს არ სძინებია, ჰოდა, კაცმა არ იცის, სად ბრძანდებოდა, იმ ორი ავაზაკისთვის რომ წაესწრო, ჩემს აფთიაქს რომ ძარცვავდნენ მთელი ამ წყეული ქალაქის თვალწინ. სამასი დოლარის წამლები მომპარეს, ჰოდა, გროვერ უინბუში...

- ნაღდი ფული რამდენი წაიღეს? - იკითხა მისტერ კონნორსმა.

- რაო? - თქვა ბიძია ბილიმ.

- ფული რამდენი იყო სეიფში?

- არ ვიცი, - თქვა ბიძია ბილიმ. - დათვლილი არ მქონია... მაგრამ სულერთია, გროვერ უინბუშმა, რომელსაც თვეში ას ოცდახუთს ვუხდით იმიტომ მხოლოდ, რომ მთელი ღამის განმავლობაში სულ ერთ საათს არ მოხუჭოს თვალი და მოედანი შემოიაროს ხოლმე, ახლა თურმე უნდა გამოიძინოს, არა? მანქანა თუ არავის გყავთ, ტაქსი გამოიძახეთ. იმ მამაძაღლის წყალობით სამასი დოლარი დაგვარგე უკვე, ჰოდა, რაღაცა ოცდახუთი ცენტისთვის უკან აღარ დავიხევ.

მაგრამ ბიძია ბილის გარს შემოეხვივნენ და აღარ გაუშვეს. ვიდრე ვიღაცა გროვერ კლივლენდს ურეკავდა. ჯერ ის გვეგონა - გროვერ კლივლენდი გვარიანად დაფრთხა, როცა დაურეკეს და ლოგინიდან წამოაგდესო, მაგრამ მერე ყოველივე შევიტყვეთ და იმასაც მივხვდით, რომ ყველაზე მეტად მაშინ დაფეთებულიყო, როცა გაეგო, რომ წუხელის ჯეფერსონში ისეთი ამბავი მომხდარიყო, რომელსაც თვითონაც უნდა წასწრებოდა, თუკი იმ დროს იქ იქნებოდა, სადაც მართებდა ყოფნა, ან სადაც იყო იმ დროს, ყველა ჯეფერსონელის ვარაუდით. რადგან რეტლიფმა მაშინვე თქვა:

- ეგერ! ამწუთას მოგვარი თვალი.

- სად? - იკითხა ვიღაცამ.

- ეგერ, იმ შესახვევში გაიღანდა, - თქვა რეტლიფმა.

ყველანი შესახვევს მივაჩერდით. ის შესახვევი ქალაქის განაპირა ქუჩიდან მოედნისკენ მოუყვებოდა და გროვერ კლივლენდს შეეძლო, თავისი სახლიდან ეზო-ეზო პირდაპირ იმ შესახვევში გამოსულიყო. ოღონდ ამასობაში თვითონაც გამოგვეცხადა ფეხაჩქარებული. მისტერ კონნორსისნაირად ფორმას არ ატარებდა, სამოქალაქო სამოსს იცვამდა ხოლმე და პიჯაკი რევოლვერის ტარს ზემოთ გადმოჩაჩოდა, უბის ჯიბიდან კიდევ ხელკეტი ჰქონდა ამოჩრილი, გამალებული მოეშურებოდა, ფეხებს მაღლა-მაღლა მოიქნევდა, თითქოს ცხელ ქურაზე მორბენალი კატა ყოფილიყოს. ჰოდა, ის თუ გგონიათ, რომ ძიებას მისტერ კონნორსი ან თავად ჩვენი შერიფი მისტერ ჰემპტონი აწარმოებდა, შემცდარი ბრძანებულხართ. ბიძია ბილი თვითონვე უძღვებოდა ამ საქმეს. გროვერ კლივლენდი ჯერ თავის დაძვრენას ღამობდა, მერე ტყუილებს მოჰყვა. ბოლოს შეწყვიტა წინააღმდეგობა.

- გამარჯობა შენი, შვილო, - უთხრა ბიძია ბილიმ. - ვწუხვარ, რომ ასეთ დროს, ღამიანად მოგვიხდა შენი გაღვიძება სულ რამდენიმე შეკითხვის მოსაცემად. პირველი

კითხვა: სად იყავი, მიახლოებით რომ ვთქვათ, წუხელ, ზუსტად თერთმეტის ნახევარზე, მიახლოებით რომ ვთქვათ?

- ვინ, მე-ე? - იკითხა გროვერ კლივლენდმა. - იქ გახლდით, სადაც ვარ ხოლმე მაგ დროს ყოველთვის: ეგერ იმ კუთხეში ვიდექი, საპოლიციო უბნის კართან, იქნებ ვინმეს დასჭირვებოდა ჩემი თავი, ვინც კინოს ბოლო სენსიდან გამოვიდოდა, მაგალითად რომ ვთქვათ, იქნებ მანქანა მოსტაცეს ვინმეს, ჩემო ბატონო, ან კიდევ სალტემ დაუშვა იქნება...

- ასე და ამრიგად, - თქვა ბიძია ბილიმ. - ჰოდა, ჩემს აფთიაქში სინათლე რომ ენთო და ის ორი ავაზაკი რომ ბრძანდებოდა, მაინც ვერ დაინახე, ხომ?..

- ბოდიში, ბატონო, - თქვა გროვერ კლივლენდმა. - სულ არ დამავიწყდა? ხალხმა ბოლო სენსიდან გამოსვლა რომ დაიწყო, საათს დავხედე, - თერთმეტის ნახევარი გახლდათ, ან იქნებ ოცდახუთი აკლდა თერთმეტს, - ჰოდა, ვიფიქრე - წავალ და „ცისფერ ბატს“ დავაკეტვინებ, სანამ საქმე არაფერი მაქვს, იმის ამბავს მოვიღე-მეთქი. - „ცისფერი ბატი“ ზანგების სამიკიტნო იყო ბამბის საწმენდ მანქანასთან. - წელან დამვიწყებია, - თქვა გროვერ უინზუმმა. - იქ გახლდით სწორედ.

ამის პასუხად ბიძია ბილის არაფერი უთქვამს. მხოლოდ თავი შეაბრუნა და გასძახა: - უოლტერ! - შემოვიდა უოლტერი. ბაბუამისი სამხრეთელთა დამარცხებამდე ბიძია ბილის ბაბუას ეკუთვნოდა, ჰოდა, ის და ბიძია ბილი თითქმის ტოლები იყვნენ და ძალიანაც ჰგავდნენ ერთიმეორეს, ოღონდ უოლტერი მორფიუმის მაგივრად სამედიცინო სპირტს გეახლებოდათ ყოველთვის, როცა კი ბიძია ბილის გასაღები დარჩებოდა და პირს იქით იზამდა, ჰოდა, კაცმა რომ თქვას, უოლტერი უფრო ფიცხი იყო და ხუმტურიანი. უკანა ოთახიდან გამოვიდა უოლტერი და - ვინ მეძახდაო, იკითხა:

- მე დაგიძახე, - უთხრა ბიძია ბილიმ. - სად იყავი წუხელ, თერთმეტის ნახევარზე?

- ვინ, მე-ე? - სულ გროვერ კლივლენდით იკითხა უოლტერმა, ოღონდ ისე იკითხა, თითქოს ბიძია ბილის იმის შეტყობა ნდომებოდეს, სად იყო უოლტერი მაშინ, როცა დოქტორი აინშტაინი თავის ფარდობითობის თეორიას ქმნიდა. - წუხელისო, ბრძანებთ? - იკითხა უოლტერმა. - სად ვიქნებოდი ვითომ? სახლში ვიყავი, ლოგინში...

- სად იქნებოდი და იმ დასაქცევ სამიკიტნოში იყავი, „ცისფერ ბატში“, ყოველ სადამოს რომ ყურყუტებ, სანამ გროვერ უინზუმი ყველა ზინზლიანს არ გამოგრეკავთ იქიდან და არ დააკეტვინებს ხოლმე, - უთხრა ბიძია ბილიმ.

- თუკი თქვენც მოგეხსენებათ ყველაფერი, რაღას მეკითხებით? - თქვა უოლტერმა.

- კარგი, - თქვა ბიძია ბილიმ. - რომელ საათზე დააკეტვინა მისტერ უინზუმმა წუხელ თქვენი სამიკიტნო? - უოლტერი იდგა და თვალს აფახულებდა. მუდამ ამოწითლებული ჰქონდა თვალები. დამველებულ ხელის სანაყინეში ნაყინს აკეთებდა ხოლმე, იჯდა ჩაბნელებულსა და ცივ სარდაფში, რომლის ერთადერთი კარი აფთიაქის უკან შესახვევში გადიოდა, სანაყინეს ატრიალებდა და გამვლელნი მის დაწითლებულ თვალებს ხედავდნენ მხოლოდ, თანაც ბოროტი კი არ ჰქონია თვალები, არც ველური, - საშიშარი ჰქონდა, გინდაც დრაკონის ან ნიანგის თვალები ყოფილიყოს, - ღმერთმა თუ ქნას, წაგებორძიკა და მის საუფლოში მოხვედრილიყავი. იდგა უოლტერი და თვალს

აფახულებდა. - რომელ საათზე დააკეტებინა გროვერ უინბუშმა „ცისფერი ბატი“? - იკითხა ბიძია ბილიმ.

- მე ვერ მომისწრო მისტერ უინბუშმა, მის მოსვლამდე წამოვედი, - თქვა უოლტერმა. და უცბად - მანამდე არც შეგვინიშნავს - მისტერ ჰემპტონი გაჩნდა საიდანღაც, დადგა და უოლტერს მიაჩერდა. ოღონდ უოლტერივით თვალს არ აფახულებდა. დიდი იყო, დიდმუცლიანი, წვრილ-წვრილი უფერული მსუსხავი თვალები უსხდა, თითქოს დაფახულებაც რომ არ სჭირდებოდა, ისეთი. ახლა გროვერ კლივლენდს ჩამტერებოდა უკვე.

- ვერ მომისწროო? - შეეკითხა უოლტერს.

- ჭირი და არგადარჩენა, - ბიძია ბილიმ თქვა. - როდის იყო, იმ დაწყველილი სამიკიტნოდან თავისით რომ გამოუდგამს ფეხი, გააღებენ თუ არა, სინათლის ჩაქრობამდე იქ არ აგდია?

- ვიცი, - თქვა მისტერ ჰემპტონმა. ჯერაც გროვერ კლივლენდს მისციებოდა თავისი უფერული მსუსხავი დაუფახულებელი თვალებით. - ძალიან დიდი ხნის ნამყოფი ვარ აქ შერიფადაც და პოლიციის უფროსადაც. - და გროვერ კლივლენდს მიმართა: - სად იყავით წუხელ საღამოს, როცა სწორედ საჭირო შექნილხართ? - ოღონდ გროვერ კლივლენდი თავის დამძვრენას ლამობდა ჯერაც: ეს არ უნდა დაუკარგო კაცმა, - თუმცა წარმატების იმედი თვითონაც აღარ ჰქონდა.

- ჰო, თქვენ იმ ორის ამბავს ბრძანებთ, ბიძია ბილის აფთიაქში რომ იყვნენ წუხელის თერთმეტის ნახევარზე. კი მოვკარი თვალი, რასაკვირველია. ოღონდ იმას ვიფიქრებდი, აბა, რას ვიზამდი, ბიძია ბილი და სკიტსი არიან-მეთქი. ჰოდა, მაშინ...

- მაშინ რა?... - უთხრა მისტერ ჰემპტონმა.

- მაშინ... საპოლიციო უბანში წავედი, ჩემო ბატონო... ჰოდა, საღამოს გაზეთის კითხვა დავიწყე, - თქვა გროვერ კლივლენდმა. - იქ გახლდით სწორედ: ვიჯექი პოლიციაში და მეფხისურ საღამოს გაზეთს ვკითხულობდი...

- უიტ რაუნსველმა ის ორი კაცი რომ დაინახა აქ, თქვენ მოგაკითხათ პოლიციაში, - უთხრა მისტერ ჰემპტონმა. - მთელ საათს გიცდიდათ თურმე. ამასობაში აქ სინათლე ჩამქრალა, ოღონდ წინა კარში გამოსული არავინ დაუნახავს. ჰოდა, თქვენ მაინც არ გამოჩენილხართ. აგერ უოლტერიც ამბობს - არც „ცისფერ ბატში“ ყოფილაო. სად იყავით წუხელ საღამოს, გროვერ?

ჰოდა, ახლა სადღა უნდა წასულიყო ის კაცი? მდუმარედ იდგა, პიჯაკი რევოლვერის ტარს ზემოთ გადმოჩაჩოდა, ჯიბიდან კიდევ ხელკეტი ჰქონდა ამოჩრილი, როგორც ხალათი ამოფრება ხოლმე შარვლიდან ყმაწვილს. საქმეც ეს არის სწორედ: გროვერ კლივლენდი ერთობ ხანდაზმული გახლდათ საიმისოდ, ყმაწვილს რომ ჰგვანებოდა. ბიძია ბილიც, მისტერ ჰემპტონიც, სხვანაც მას მისჩერებოდნენ, მერე კი ანაზღადა შეგვრცხვა მისი ყურება, იმის შეტყობის შეგვრცხვა, რის შეტყობაც მოგვიწევდა უეჭველად. მხოლოდ მისტერ ჰემპტონს არ ერცხვინებოდა. ამდენ ხანს შერიფად რომ იყო ნამყოფი, იქნებ იმიტომაც შექნილიყო ამგვარი, იმიტომ მიხვდა, რომ გროვერ კლივლენდის კი არ უნდა შერცხვენოდა, არამედ ჩვენი, ყველასი.

- ერთხელ ექიმი პიზოდი ავადმყოფისგან ბრუნდებოდა თურმე ღამის პირველი საათისთვის და დაუნახავხართ, როგორ გამოხვედით აგერ შესახვევში იმ დაწესებულების გვერდითი კარიდან, მონტგომერი უორდ სნოუჰისი თავის სტუდიას რომ უწოდებს. მეორედ კიდეც მე ვბრუნდებოდი სახლში შუალამის ხანს და შიგ შემავალი დაგინახეთ. რა ხდება იქ, გროვერ?

გროვერ კლივლენდი ახლა აღარც კი ირხეოდა, თითქმის ჩურჩულით აღმოთქვა:

- კლუბია იქ.

ახლა უკვე მისტერ ჰემპტონმა და გევინ ბიძიამ გადახედეს ერთიმეორეს.

- მე რას მომაჩერდით, - გევინ ბიძიამ უთხრა. - თქვენ ბრძანდებით კანონის წარმომადგენელი.

ნამდვილად თავშესაქცევი იყო ეს ამბავი: არც ერთი და არც მეორე არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მისტერ კონნორსს, რომელიც პოლიციის უფროსი გახლდათ და კარგა ხანი გადიოდა უკვე, ამ საქმისთვის ხელის მოკიდება მართებდა. იქნებ სწორედ ამიტომაც არ უმზერდნენ ესენი იმას.

- ოლქის პროკურორი თქვენ ბრძანდებით, - თქვა მისტერ ჰემპტონმა. - თქვენ უნდა ბრძანოთ, რისი გაკეთება გემართებს კანონის მიხედვით, ჰოდა, მაშინ აღსრულებით მე აღვასრულებ.

- ჰოდა, რაღას ველოდებით? - თქვა გევინ ბიძიამ.

- იქნებ გროვერმა იმის თქმა ინებოს, რა ხდება იქ, რომ დრო არ დაგვკარგოთ ტყუილუბრალოდ, - თქვა მისტერ ჰემპტონმა.

- არა, დასწყევლოს ღმერთმა, - თქვა გევინ ბიძიამ. - დაეხსენით ჯერჯერობით. - და გროვერ კლივლენდს მიმართა: - პოლიციაში მიბრძანდით, ჩვენ გამოგიძახებთ.

- შეგიძლიათ მემფისური გაზეთი ჩაიკითხოთ ბოლომდე, - უთხრა მისტერ ჰემპტონმა.  
- თქვენც აღარ გვჭირდებით, - მიუბრუნდა მისტერ კონნორსს.

- ჯანდაბას ბარემ ჩემი თავი, შერიფო, - თქვა მისტერ კონნორსმა. - თქვენს გამგებლობაში ოლქია მხოლოდ. ჯეფერსონში რაც რამე ხდება, ჩემი გასაძლოია. ისეთივე უფლება მაქვს... - ამის თქმაზე შეჩერდა, ოღონდ გვიან იყო უკვე; მისტერ ჰემპტონმა თავისი მსუსხავი უფერული დაუფახულელებელი თვალებით შემოხედა.

- განაგრძეთ, - უთხრა მისტერ ჰემპტონმა. - ისეთივე უფლება გაქვთ, ნახოთ, რას ინახავს იქ მონტგომერი უორდ სნოუჰისი, როგორიც მე და გევინს, ხომ? მაშინ გროვერი რაღაზე არ დაიყოლიეთ, რომ იმ კლუბში შეეყვანეთ? - მაგრამ მისტერ კონნორსი თვალს აფახულელებდა მხოლოდ. - წავიდეთ, - მიუბრუნდა მისტერ ჰემპტონი გევინ ბიძიას.

და გევინ ბიძიაც მიჰყვა.

- შენი წასვლის დროცაა, - მითხრა მე.



- ყველას წასვლის დროა, - თქვა მისტერ ჰემპტონმა. - აცალეთ ახლა ბიძია ბილის, ქურდებისგან წაღებული საქონლის აღწერა აქვს გასაკეთებელი ნარკოტიკების ინსპექტორებისა და დაზღვევის კომპანიისთვის.

ქუჩაში გამოვედით და მონტგომერი უორდის სტუდიისკენ მიმავალ მისტერ ჰემპტონსა და გევინ ბიძიას გავაყოლეთ თვალი.

- რა იქნება? - ვკითხე რეტლიფს.

- არ ვიცი, - მითხრა, - თუმცა არა, მგონი, ვიცი. ოღონდ მოცდა მოგვიხდება, ვიდრე ჰები და ბიძაშენი არ დაამტკიცებენ ამას.

- რა გგონიათ, რა უნდა იყოს? - შევეკითხე.

ამის თქმაზე შემომხედა.

- ვნახავთ აგერ, - მითხრა. - მეათეში კი ხარ გადამდგარი, მაგრამ იმხელა კაცი ჯერ არ შექნილხარ, ნაყინზე რომ უარი თქვა, ხომ? წამოდი. ბიძია ბილის და სკიტსს ნუ შევაწუხებთ, კაფე „დიქსიში“ წავიდეთ. - შევედით იმ კაფეში, ორი ნაყინი გამოვართვით და ხელახლა გამოვბრუნდით ქუჩაში.

- მაინც რა იქნება? - ვკითხე მე.

- მე ასე მგონია, ფრანგული ფოტოსურათები უნდა იყოს, ბარათებზე დაბეჭდილი. მონტგომერი უორდი ომის მერე წამოიღებდა პარიზიდან. შენ ალბათ ვერ ხვდები რაცაა, ხომ?

ვერ ვხვდები-მეთქი, - მივუგე.

- „კოდაკით“ გადაღებული სურათებია, იმ სურათებზე კიდევ კაცები და ქალები ათას მამამაღლობას აკეთებენ. ჰოდა, ტანზე სულ გახდილები არიან, ჩემო ბატონო. - ძნელი სათქმელია, მიყურებდა თუ არა. - ახლა მიხვდი?

- ვერა, ვერ მიხვდი, - ვთქვი მე.

- იქნებ მაინც მიხვდი? - მითხრა რეტლიფმა.

რა ყოფილა თურმე! გევინ ბიძია მერე მოგვიყვა - მონტგომერი უორდს იმნაირი სურათების დიდი ალბომი ჰქონია, ფოტოგრაფიაში იმდენად გაწაფულა, იმ სურათებიდან დიაპოზიტივები დაუმზადებია და უკანა ოთახში იმ დიაპოზიტივებს ჯადოსნური ფარნით ზეწარზე უჩვენებდაო. ისიც გვიამბო, როგორ იდგა მონტგომერი უორდი და მას და მისტერ ჰემპტონს მასხრად იგდებდა. ოღონდ მეტწილად გევინ ბიძიას მიმართავდა თურმე.

- რასაკვირველია, - უთქვამს მონტგომერი უორდს. - ის არც მიფიქრია, რომ ჰებს...

- მისტერ ჰემპტონს-თქო, ასე თქვი, - უთხრა მისტერ ჰემპტონმა.

- ...საიმისო ჭკუა ეყოფოდა...

- მისტერ ჰემპტონს-თქო, ასე თქვი, ლაწირაკო, - უთხრა მისტერ ჰემპტონმა.

- მისტერ ჰემპტონს... - თქვა მონტგომერი უორდმა. - ...ოღონდ თქვენ ხომ იურისტი ბრძანდებით. ის ხომ არ გგონიათ, ამ საქმეს ისე მოვკიდებდი ხელს, ჯერ კანონები არ წამეკითხა, როგორ გგონიათ? კი, ბატონო, შეგიძლიათ ყველას კონფისკაცია გაუკეთოთ, რასაც აქ იპოვით; დარწმუნებული ვარ, მისტერ ჰემპტონი იმას არ იზამს, რაღაც კანონის გულისთვის ხელი შემიშალოს ამ ამბავში...

მაშინ იყო, მისტერ ჰემპტონმა სილა რომ გააწნა.

- ნუ შვრებით, ჰებ! - გევინ ბიძიამ უთხრა. - ნუ სულელობთ!

- მირტყას, - თქვა მონტგომერი უორდმა, - ჯადოსნური ფარნის ჯახირს ის სჯობია, მწყალობელ კაცს სასამართლოში უჩივლო. უფრო უხიფათო ამბავიცაა. ჰო, რას ვამბობდი? ჰო, ფოსტითაც რომ დამეგზავნა, რაც, მართალი გითხრათ, არ მიქნია, სულერთია, ეს საქმე ფედერალურ ხელისუფლებას უნდა გამოეძია მაინც; ოღონდ ფედერალურ მეთვალყურეს ერთსაც ვერ ვხედავ აქ რაღაცა. ჰოდა, ბრალდებაც რომ შემიკოწიწოთ - ამით ფულს აკეთებდაო, მოწმეებს სად იშოვით? გროვერ უინბუშის მეტი კაციშვილი არ გყავთ, ჰოდა, გროვერ უინბუშში ვერ გახედავს მაგის დამოწმებას; იმიტომ კი არა - სამუშაოს დავკარგავო, სამუშაოს ისედაც დავკარგავს, იმიტომ, რომ ქალაქ ჯეფერსონის წმინდა ქრისტიანები არ იზამენ ამას, - რანაირად შეიძლება ქვეყანამ შეიტყოს, რას აკეთებს მათი პოლიცია მაშინ, როცა ყველას ასე ჰგონია - მუშაობსო. ჩემი დანარჩენი კლიენტებისას აღარაფერს ვამბობ, ხსენებით არ ვახსენებ, ოღონდ ყველგანაა ის ხალხი - ბანკებშიც, დუქნებშიც, ბამბის საწმენდ მანქანებშიც, ბენზინის ჩამოსასხმელებშიც, ფერმებშიც - ორივე ოლქში ჯეფერსონს გაღმა-გამოდმა; ჰოდა, ღმერთმანი, ისიც ვიფიქრე: მომდექით და დამაჯარიმეთ, ნახავთ აგერ, რა ხელად გასწორდება ანგარიში... - შეჩერდა და რაღაცნაირი ყრუ გაოცებით თქვა: - დაგწყევლის! - მერე სხაპასხუპით მოაყოლა: - მომკიდეთ ხელი და ჩამაჯინეთ, ათასი ცალი შტამპიანი კონვერტი მომეცით და სამ დღეში იმაზე მეტ ფულს ვიშოვი, ვიდრე იმ დაღუპული ფარნით ორ წელიწადში მოვუყარე თავი. - ახლა უკვე მისტერ ჰემპტონს მიმართავდა: - იქნებ მეტი არც გჭირდებოდეთ არაფერი - სურათები კი არა, კლიენტების სია გჭირდებათ იქნება; გადადექით სამსახურიდან და, რამდენიც გაგეხარდებათ, იმდენს დააყაჭვინებთ იმ ხალხს. თუმცა არა: ის სჯობია, მაგ თქვენს საშერიფო ვარსკვლავს არ შეელიოთ, მასე უფრო მარჯვედ მოხვეტავთ ფულს.

ოღონდ ამჯერად გევინ ბიძიას აღარაფრის თქმა აღარ დასჭირვებია, ამჯერად მისტერ ჰემპტონს აღარც კი გაურტყამს იმ ბიჭისთვის. ისე იდგა თვალმოწკურული, ვიდრე მონტგომერი უორდი ჩაჩუმდებოდა. მერე გევინ ბიძიას მიმართა:

- მართალია ეს? მართლა ფედერალური მოხელე უნდა გვესწრებოდეს? ისეთი არაფერი კანონი გვაქვს, ეს რომ გამოვიჭიროთ? მოიფიქრეთ რამე! ვითომ ქალაქის კანონებშიც არაფერია? - ჰოდა, ახლა უკვე გევინ ბიძიამ თქვა: - დაგწყევლის!

- საავტომობილო კანონი, - თქვა მერე. - სარტორისის კანონი. - მისტერ ჰემპტონი კიდევ იდგა და შეჰყურებდა. - ჩარჩოში არაა კედელზე გამოკრული თქვენი კაბინეტის წინ? ერთხელ მაინც შეგიხედავთ? ჯეფერსონის ქუჩებში ავტომობილით მგზავრობა აკრძალულია...

- რაო? - მონტგომერი უორდმა თქვა.

- ხმამალა თქვით, - უთხრა გევინ ბიძიამ. - მისტერ ჰემპტონს არ ესმის თქვენი.

- კი, მაგრამ მაგ ამბავი ქალაქის ამბავია! - თქვა მონტგომერი უორდმა. - ჰოდა, ჰემპტონი ოლქის შერიფია მხოლოდ; ქალაქის კანონის დამრღვევს მაგ ვერ ჩააჯენს.

- შენ გგონია მასე, - მისტერ ჰემპტონმა უთხრა. მონტგომერი უორდს მხარზე ხელი დაადო; ჰოდა, გვეინ ბიძიამ თქვა მერე - მონტგომერი უორდის ადგილას იმას ვამჯობინებდი, ისევე სილა გაეწნაო. - მაგას ჩვენ კი არა, შენს ვექილს მოახსენებ.

- მომითმინეთ, - უთხრა მონტგომერი უორდმა გვეინ ბიძიას. - თქვენც ხომ გყავთ ავტომობილი. ჰემპტონსაც ჰყავს!

- ჩვენ ანბანის რიგის მიხედვით ვმუშაობთ, - მიუგო გვეინ ბიძიამ. - ჰ-მდე ჯერ არ მიგვიღწევია, ს-ზე ვართ მისული, ჰოდა, სნ სტ-ზე წინაა. დააკავეთ, ჰებ!

ჰოდა, მონტგომერი უორდს გასაქცევი აღარსაით ჰქონდა. სულ დაიბნა და გაშეშებული იდგა. გვეინ ბიძია კიდევ უმზერდა, როგორ შეუშვა ხელი მისტერ ჰემპტონმა მონტგომერი უორდს, სურათებიან ალბომს დასწვდა და კონვერტებს, აგრეთვე სურათებით გამოვსებულს, იმ ბაკს მიადგა, რომელშიც მონტგომერი უორდი ზოგჯერ ფირს მართლა ამჟღავნებდა ხოლმე, და სურათებს იმ ბაკში გადაუძახა, მერე კი თაროზე დაიწყო ხელის ფათური, ბოთლებსა და გამამჟღავნებელიან ქილებს შორის.

- რას ეძებთ მანდ? - შეეკითხა გვეინ ბიძია.

- ვისკის... ნავოს... საწვავს რამეს, - უპასუხა მისტერ ჰემპტონმა.

- საწვავსო? - თქვა მონტგომერი უორდმა. - მომისმინეთ, მაგ სურათები ფული ღირს. რას გეტყვით, იცით? მოდი, მოვრიგდეთ: მომეცით ჩემი სურათები და ჯანდაბაში წავალ ამ თქვენი დამძალი ქალაქიდან, ფეხი აღარ იქნება ჩემი აქ. კარგი, ბატონო, - თქვა მერე, - ჯიბეში ას დოლარამდე მექნება. აგერ დავდებ მაგიდაზე, ჰოდა, თქვენ და სტივენსი შებრუნდით და ათი წუთი მადროვეთ...

- აღარ გინდათ გაართყათ? - თქვა გვეინ ბიძიამ. - მე ნუ მომაქცევთ ყურადღებას, თანაც თვითონ მთხოვს - შებრუნდითო, ასე რომ, ხელის შემართვის მეტი არაფერი დაგჭირდებათ. - მაგრამ მისტერ ჰემპტონმა ისლა ქნა, ერთ ბოთლს წაავლო კიდევ ხელი, საცობი ამოაძრო და დაყნოსა. - არ გაქვთ მაგის უფლება, - უთხრა გვეინ ბიძიამ. - ეგ ნივთები საბუთებია.

- ერთიც გვეყოფა, - თქვა მისტერ ჰემპტონმა.

- ეგ ჯერ კაცმა არ იცის, - უთხრა გვეინ ბიძიამ. - როგორ გირჩევენიათ - უბრალოდ, სასჯელი დაადოთ თუ სულ ამოძირკვოთ? - ჰოდა, შეჩერდა მისტერ ჰემპტონი, ცალ ხელში ბოთლი ეჭირა, მეორეში - საცობი. - ხომ იცით, რასაც დამართებს მოსამართლე ლონგი იმ კაცს, ვისაც ერთი ამნაირი სურათი აღმოაჩნდება. - ლონგი ჩვენი ოლქის ფედერალური მოსამართლე გახლდათ. - ჰოდა, წარმოიდგინეთ ერთი, იმ კაცს რაღას უზამს, ვისაც ვაგონი ექნება მთელი.

და მისტერ ჰემპტონმა ბოთლი თავის ადგილას დადგა, მერე კი მისი თანაშემწე მოვიდა ჩემოდნითურთ და იმ ჩემოდანში ალბომი და კონვერტები ჩააწყვეს და ჩაკეტეს. მისტერ ჰემპტონმა ჩემოდანი თავის სეიფში შეინახა, რათა შემდეგ ქალაქს ჩამოზრუნებულ მისტერ ჰომბოლტისთვის მიეცა, ფედერალური სასამართლოს აღმასრულებლისთვის.

მონტგომერი უორდი საოლქო ციხეში ჩასვეს ავტომობილის ტარებისთვის, რითაც ქალაქ ჯეფერსონის კანონები ირღვეოდა, და მონტგომერი უორდი ჯერ გინებას მოჰყვა, მერე მუქარას, მერე კი ისევ შეეცადა ვინმე მოექრთამა საპატიმროს თუ ქალაქის უფროსთაგან, ყოველ კაცს ფულს აჩეჩებდა. ჩვენ კიდევ იმას ვმკითხავოდით – მისტერ დე სპეინთან შეხვედრის ნებართვას რამდენ ხანში მოითხოვსო. იმიტომ, რომ ვიცოდით, ამქვეყნად ყველაზე ნაკლებად ბიძამისის თუ ბიძაშვილის – ფლემის ეიმედებოდა, იმ კაცის, ვისაც მკვლელობაში დადანაშაულების წყალობით, ერთი სნოუპსი უკვე მოემორებინა თავიდან, ჰოდა, ვითომ მეორისგან რატომ არ უნდა დაეხსნა თავი იმ საჯაყი სურათების მეოხებით?

ჰოდა, გვეინ ბიძიაც კი, რომელსაც, რეტლიფის ნათქვამის არ იყოს, თავის წმიდათაწმიდა მოვალეობად მიაჩნდა ჯეფერსონელთათვის არასოდეს შეემჩნევიებინა – რომელიმე სნოუპსმა გამაკვირვაო, გვეინ ბიძიაც კი არ ელოდა იმ დღეს ფლემს, რომელიც მის კაბინეტში შემოვიდა, თავისი ახალი შავი შლაპა მაგიდის კიდებზე ჩამოდო და დაჯდა, ყბები ნელა უმოდრავებდა გაუწყნარებლად, თითქოს კბილების დაუხსნელად რაღაცის გაღეჭვას ცდილობსო. მისტერ ჰემპტონის თვალეზში კაცი ვერაფერს ამოიკითხავდი, იმიტომ, რომ ერთობ ჯიქურ მოგციებოდა ის თვალეზი; ვერსად წაუხვიდოდი მის მზერას, ისევე როგორც წინ შემოფეთებულ ცხენს ვერ წაუხვალ ვერსად ვიწრო ბილიკზე, სადაც მისთვის გვერდის აქცევა არ ეხერხება. ხოლო მისტერ სნოუპსის თვალეზში კაცი იმიტომ ვერ ამოიკითხავდი ვერაფერს, რომ სულაც არ გიმზერდა ის თვალეზი – გინდაც დამდგარი გუბე ყოფილიყოს. ერთი თუ ორი წუთის მერეღა მივხვდი, ერთსა და იმავეს რომ ვუმზერდითო მისტერ სნოუპსი და მე, – თქვა გვეინ ბიძიამ; ოღონდ სხვადასხვანაირად ვუმზერდითო.

- მე ჯეფერსონის ამბავი მაფიქრებს, – ამრახდა მისტერ სნოუპსი.

- მეც, – თქვა გვეინ ბიძიამ. – იმ შეჩვენებული გროვერ უინბუშის ამბავი და ჩრდილო მისისიპელი ყველა დანარჩენი გამოტვინებული ყმაწვილკაცისაც თოთხმეტიდან ორმოცდათვრამეტი წლის ასაკამდე, ოცდახუთ-ოცდახუთ ცენტს რომ იხდიდნენ, ოღონდ კი იმ ალბომში ჩაეჭყიტათ.

- გროვერ უინბუში აღარც გამხსენებია, – თქვა მისტერ სნოუპსმა, – გამოაგდებენ სამსახურიდან, ჰოდა, ყველას მოუნდება შეტყობა – რატომ გამოაგდესო, და გასკდება საქმე. – ეს იყო მისტერ სნოუპსის უბედურება. მე იმის თქმა მინდა, ეს იყო – მეთქი ჩვენი უბედურება, როცა მისტერ სნოუპსთან გვიხდებოდა საქმის დაჭერა: გაგებით ვერაფერს გაუგებდი, გინდაც მოგჩვენებოდა – ახლა ნამდვილად მიმზერსო. – არ ვიცი, მოგეხსენებათ თუ არა – დედამისი უაიტლიფში სახლობს. ყოველ შაბათს თითო დოლარის საჭმელს უგზავნიდა დედამისს ფოსტის ეტლით.

- მაშასადამე, ერთს თუ დავიხსნით, ორივე გადაგვირჩენია და ისაა, – თქვა გვეინ ბიძიამ. – ის თუ გვინდა, გროვერ უინბუშის დედას შაბათობით ისევ მისდიოდეს დოლარის საჭმელ-სასმელი, ვიღაცამ უნდა დაიხსნას თქვენი ძმა, ძმისწული – რად მოგიდით ის ბიჭი?

რეტლიფის ნათქვამის არ იყოს, იქნებ მისტერ სნოუპსი მის ზურგს უკან ნალაპარაკევეს კიდევ წაუყრუებდა ხოლმე, ოღონდ არანაირ გადაკრულ სიტყვას არ წაუყრუებდა არასოდეს. ყოველ შემთხვევაში, გაკენწვლას და დაცინვას არ მიაყურისძირებდა. ანდა, ყოველ შემთხვევაში, ამჯერად არ იზამდა ამას. – მე ასე მესმის ამ ამბის თაობაზე, –

თქვა სნოუჰსმა. - ოღონდ თქვენ იურისტი ხართ. სხვაგვარად რანაირად უნდა გვესმოდეს, ამის ცოდნა თქვენი საქმეა.

გადაკრულ სიტყვას არც გვეინ ბიძია მიაყურისძირებდა ხოლმე. - თქვენ სხვა იურისტთან მოხვდით, - უთხრა. - მაგ საქმე ფედერალურ სასამართლოსეხება. და, გარდა მაგისა, მე ხელს მაინც ვერ მოგვიდებდი; ფულს იმაში ვიღებ, რომ მეორე მხარის ინტერესები დავიცვა. და, გარდა მაგისა, - უთხრა (სანამ ქალაქის პროკურორი იყო და მეტი არაფერი, გვეინ ბიძიაც ისევე მეტყველებდა, როგორც ჰარვარდსა თუ ჰაიდელბერგში იციან ლაპარაკი. მაგრამ მას მერე, რაც ჩემთან ერთად მთელი ოლქი შემოიარა ოლქის პროკურორის პოსტზე თავისი კანდიდატურის წაყენების შემდეგ, იმნაირადვე მოჰყვა ლაპარაკს, როგორც იმ ხალხს სჩვეოდა, ვისაც ესაუბრებოდა ხოლმე მესერთან შეჩერებული თუ დუქანთან ჩაცუცქული, ასე მესმის ამ ამბის თაობაზე, - ამდაგვარი რამეც კი დასცდებოდა, მისტერ სნოუჰსის წედანდელი ნათქვამის არ იყოს), მოდი, გავერკვეთ ერთი. მე ხომ ციხეში მინდა ჩავაჯინო ის ბიჭი.

ჰოდა, ამის თქმისას იყო, გვეინ ბიძია რომ მიხვდა - მისტერ სნოუჰსი და მე ერთსა და იმავეს ვუმზერო, ოღონდ სხვადასხვა ადგილას ვდგავართო, ამიტომ მისტერ სნოუჰსმა სწრაფად, ოღონდ გვეინ ბიძიასავით მშვიდად თქვა: - მეც მაგ მინდა. - რადგან მონტგომერი უორდი მისი კონკურენტი იყო, ისევე როგორც უოლსტრიტი, ერთიმეორეს იმ მხრივ ჰგავდნენ, რომ ჯეფერსონში ყოფნა ორივეს ევიწროებოდა. ხოლო გვეინ ბიძიას, რეტლიფის აზრით, არ ესმოდა ეს ამბავი. - მეც მაგ მინდა, - თქვა მისტერ სნოუჰსმა. - ოღონდ მე სხვა მაქვს მიზეზი. მე ჯეფერსონის ამბავი მაფიქრებს.

- რას იზამ, მით უარესი ჯეფერსონისათვის, - თქვა გვეინ ბიძიამ. - მონტგომერი უორდს ლონგი გაასამართლებს, ჰოდა, ერთ ისეთ სურათსაც რომ დაინახავს ლონგი, მთელი ჩემოდნისას აღარაფერს ვამბობ, მონტგომერი უორდი რომ მონტგომერი უორდია, ისიც შემეცოდება ნამდვილად. გახსოვთ, შარშან უილბერ პროვანს რა დაემართა?

უილბერ პროვანინც ფრანგისხევეში სახლობდა. რეტლიფის სიტყვით, სინამდვილეში სნოუჰსის გვარის უნდა ყოფილიყო; ჰოდა, როცა განგებისთვის ცხადი შეიქნა, რომ ეკ სნოუჰსი თავისი საგვარეულოს იმედებსა და ოჯახურ ტრადიციებს ვერ გაამართლებდა, განგებამ სიცარიელის შესავსებად საიდანღაც უილბერ პროვანინი გამოჩხრიკაო. პროვანის არყის სახდელი მოწყობილობა ედგა ხევეში, წყაროს პირას, სახლიდან, ასე, ერთ-ნახევარ მილზე, და მისი სახლის უკან კარიდან წყარომდე ბარე ექვსი დუიმის სიღრმე საცალფეხო ბილიკი იყო გაკვალული და იმ ბილიკით პროვანინი ორ წელიწადს დღეში ორ-სამჯერ მიდი-მოდიოდა, სანამ არ გამოიჭირეს და ფედერალურ სასამართლოში არ მიაბრძანეს; ჰოდა, ვექილი შეკითხვებს რომ უსვამდა, ამას ისეთი გაკვირვებული და მიამიტი სახე ჰქონდა, თითქოს არყის ხდის ამბავიარასოდეს სმენოდეს მის დღეში. თქვა კიდევ ასეა: ჩემს მოსწრებაში არ გამიგონია, ამ ათი მილის არემარეზე ვინმეს არყის სახდელი მოწყობილობა ჰქონდესო; ბილიკისას აღარაფერს ვამბობ, ათი წელია, იმ წყაროსკენ ფეხი არ გამიდგამს, სანადიროდ, ან, თუ გინდა, სათევზაოდაც არ წავსულვარ, რადგან ქრისტიანი კაცი ვარ და ასე მაქვს გაბეჯითებული - ღვთის გაჩენილ სულიერს არც ერთი ქრისტიანი არ უნდა კლავდეს, თევზმა კიდევ, რვა წლის რომ ვიყავი, მაშინ მაწყინა და მას აქეთია, პირში აღარ ჩამიკარებიაო.

მერე მოსამართლე ლონგი შეეკითხა - როგორ გგონიათ, ის ბილიკი საიდან გაჩნდა? უილბერი მოსამართლე ლონგს შეაშტერდა, თვალი ორ-სამჯერ დააფახულა და მოახსენა: ვერაფრით მივმხვდარვარ, იქნებ ჩემმა ქალმა გაკვალა, წყაროდან წყალს რომ

თრაქავდაო. ხოლო მოსამართლე ლონგი (ასეთი მოკლე გვარი კი ჰქონდა, ოღონდ ექვს-ნახევარი ფუტის სიმაღლე კაცი გახლდათ და მისი შემხედვარე იტყოდი - ცხვირი ამ სიმაღლის მეექვსედს მაინც შეადგენსო) მაგიდაზე წაიხარა, ერთხანს აშტერდებოდა უილბერს ცხვირის წვეტზე სათვალეაკრული და ბოლოს უთხრა: მე თქვენ კატორღაში გაგისტუმრებთ, ოღონდ ვისკის ხდისთვის კი არა, ერთ-ნახევარი მილის სიშორეზე წყლის ზიდვით თქვენს ცოლს წელს რომ აწყვეტინებდით, იმიტომო. აი, რანაირ კაცთან მოუწევდა მონტგომერი უორდს საქმის დაჭერა. ჰოდა, ქალაქ ჯეფერსონის რომ აღარაფერი ვთქვათ, იოკნაპატოფას ოლქში ყოველ კაცს თითქოს გაგონილი უნდა ჰქონოდა იმ არყის მხდელის გასამართლების ამბავი. მაგრამ მისტერ სნოუპსს ის ამბავი თითქოს არ ჰქონოდა გაგონილი. იმიტომ, რომ ყბებიც კი შეუჩერდა.

- ამბობენ, მოსამართლე ლონგმა იმას ხუთი წელი მიუსაჯაო, - თქვა მან. - იქნებ ზედმეტი ოთხი წელი სწორედ ბილიკისთვის იყო?

- შესაძლოა, - უთხრა გევინ ბიძიამ.

- ხუთი წელი ნამდვილად, ხომ? - თქვა მისტერ სნოუპსმა.

- ნამდვილად, - უთხრა გევინ ბიძიამ.

- ბიჭი გავიდეს, - თქვა მისტერ სნოუპსმა.

- არა, - უთხრა გევინ ბიძიამ.

მისტერ სნოუპსს ხელახლა აუმუშავდა ყბები. - გავიდეს, - თქვა მან.

- ჯეფერსონის ამბავი მეც მაფიქრებს, - უთხრა გევინ ბიძიამ. - თქვენ პოლკოვნიკ სარტორისის ბანკის ვიცე-პრეზიდენტი ბრძანდებით. მე თქვენზეც კი მიხდება ფიქრი.

- დიდი მადლობელი გახლავართ, - თქვა მისტერ სნოუპსმა. ახლა აღარაფერს უმზერდა. დროს უქმად არ კარგავდა, მაგრამ არც ჩქარობდა; ისე წამოდგა, მაგიდიდან თავისი ახალი შავი შლაპა აიღო, დაიხურა, კარისკენ გაემართა, გამოალო და მაშინაც კი არ შეჩერებულა, თითქოს ფეხი მოინაცვლაო მხოლოდ და ისე თქვა, რომ არავისთვის მიუმართავს, როგორც არავის უმზერდა ხოლმე: - ნახვამდის. - მერე გავიდა და კარი გაიხურა.

მაშინ მე დავიწყე: - რა... - და სიტყვა გამიწყდა, მე და გევინ ბიძიამ ორივემკარს შევხედეთ, ჰოდა, კარი ისევ გაიღო, დაახლოებით ერთი ფუტის სიგანეზე მოღიავდა, ოღონდ ჩქამიც არ ისმოდა იქიდან, მერე კი რეტლიფის ლოყა და ცალი თვალი დავინახეთ, მერე რეტლიფიც შემოვიდა, კაბინეტში შემოაბიჯა და მაგიდას მოადგა გვერდულად.

- დავაგვიანე თუ ნამეტანი ადრე მოვედი? - იკითხა.

- არც ერთი და არც მეორე, - უთხრა გევინ ბიძიამ. - გადაიფიქრა ეტყობა. რაღაც მოხდა. ყველაფერი აირ-დაირია. თავიდან ვითომ არაფერი უჭირდა საქმეს. ხომ ხვდებით, როგორც იქნებოდა - ჩემი ამბავი არაა ეს, ყოველ შემთხვევაში, ჩემი სახლიკაცის ამბავი სულ არააო. იცით, რა თქვა?

- საიდან მეცოდინება? - მიუგო რეტლიფმა. - აი, ახლა შევიტყობ.

მოდი, გავერკვეთ-მეთქი, მე ვუთხარი, მე ის ბიჭი ციხეში მინდა ჩავსვა-მეთქი. ჰოდა, იმან - მეც მაგ მინდაო...

- ასე, - თქვა რეტლიფმა. - მერე?

- ვითომ - ჩემი ამბავი არ არისო, ჩემი სახლიკაცის ამბავი არ არისო, - თქვა გევინ ბიძიამ. - ჯეფერსონის ამბავი არისო. ასე რომ, ამას მერე მუქარა უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ არ მოჰყოლია...

- მუქარა რატომ? - რეტლიფმა იკითხა.

- ასეა წესი, - მიუგო გევინ ბიძიამ. - ჯერ ლიქნა, მერე მუქარა, შემდეგ ქრთამი. მონტგომერი უორდმაც ასე სცადა.

- ეგ მონტგომერი უორდი არ გახლავთ, - თქვა რეტლიფმა. - მონტგომერი უორდი ფლემი რომ ყოფილიყო, ის სურათები ჯეფერსონს ვერ იხილავდა, ჰოდა, ჯეფერსონი ხომ თვალით ვერ ნახავდა იმ სურათებს. ოღონდ თქვენ იმას ნუ იდარდებთ - ფლემს მონტგომეტი უორდზე მეტი ტვინი აქვსო; ჩვენს ქალაქში თითქმის ყველას აქვს იმაზე მეტი ტვინი. სადარდებელი ისაა, უფრო უტვინო ვინ აღმოჩნდება. ჰო, მერე?

- მერე ადგა და წავიდა, - უთხრა გევინ ბიძიამ. - არადა, ის იყო, დაწყებას ეპირებოდა. ისიც კი მთხოვა - ჩიკი გავიდესო. ჰოდა, არა-მეთქი, რომ ვუთხარი, ქუდი აიღო, დიდი მადლობელიო, მითხრა და გავიდა, ვითომ პაპიროსის მოსაკიდებლად შემოევლოს.

გევინ ბიძიას მიჩერებული რეტლიფი თვალეხს აფახულებდა. - ესე იგი, იმას ის უნდა, რომ მონტგომერი უორდი ციხეში ჩავარდეს. ოღონდ ახლანდელ გარემოებაში არ სურს მოხდეს ეს ამბავი. ჰოდა, მერე გადაუფიქრებია.

- ჩიკის გამო გადაიფიქრა, - უთხრა გევინ ბიძიამ.

- მერე გადაუფიქრებია, - თქვა რეტლიფმა.

- მართალს ამბობთ, - თქვა გევინ ბიძიამ, - იმიტომ, რომ იცოდა - ჩიკის გარეთ გაშვება რაკი იუარა, ქრთამზეც უარს ამბობსო.

- არა, - თქვა რეტლიფმა. - ფლემ სნოუპსისთვის ქვეყნიერებაზე ისეთი კაცი არ არსებობს, რომელსაც ასე თუ ისე ვერ მოისყიდდა; ერთია მხოლოდ საჭირო - მიგნება უნდა, რანაირად იყიდი იმ კაცს. ოღონდ რატომ გადაიფიქრა მერე?

- საქმეც ეგაა, - თქვა გევინ ბიძიამ. - რატომ?

- რას საუბრობდით, ჩიკი გავიდესო, როცა გთხოვათ?

- ციხის ამბავს, - მიუგო გევინ ბიძიამ. - ამ წუთში არ გითხარით?

- უილბერ პროვანის ამბავს, - მე ვთქვი.

რეტლიფმა შემომხედა. - უილბერ პროვანისო?

- მისი არყის სახდელი ახსენეს, - ვუთხარი მე, - ის ბილიკი და მოსამართლე ლონგი.

- ჰო, ასე-ე? - თქვა რეტლიფმა. - მერე, მერე?

- მერე არაფერი, - უპასუხა გევინ ბიძიამ. - ის თქვა მხოლოდ - ბიჭი გავიდესო, მე კიდევ ვუთხარი...

- არა, მაგ მერე იყო, - მე ვთქვი. - მანამდე კიდევ მისტერ სნოუპსმა - ხუთი წელი მიუსაჯაო, იქნებ ზედმეტი ოთხი წელი ბილიკისთვის იყოო, ჰოდა, შენ უთხარი - შესაძლოაო; მერე მისტერ სნოუპსმა ხელახლა იკითხა - ნამდვილად ხუთი წელი მიუსაჯა, ხომო, შენ კიდევ უპასუხე - ნამდვილადო, ჰოდა, მერე ჩემი თქვა - გავიდესო.

- კარგი, კარგი, - მითხრა გევინ ბიძიამ. ოღონდ რეტლიფს კი შეჰყურებდა. - ჰო? - შეეკითხა.

- მეც არ ვიცი, - თქვა რეტლიფმა. - ერთი ვიცი მხოლოდ - მაღლი უფალს, რომ მონტგომერი უორდ სნოუპსი არ ვარ.

- კი, - თქვა გევინ ბიძიამ. - ერთი მოსამართლე ლონგმა ის ჩემოდანი ნახოს და...

- რასაკვირველია, - თქვა რეტლიფმა. - მაგ სემის საქმეა. არა, მონტგომერი უორდს ბიძამისის - ფლემის უნდა ემინოდეს, ოღონდ, როგორც ეტყობა, ჯერ არ ესმის ეს ამბავი. ჩვენც უნდა ვუფრთხოდეთ მაგ კაცს. სანამ მარტო ფულებს იყო გამოდევნებული, ის მაინც ვიცოდით, რას უნდა მივმხვდარიყავით, თუმცა კი გვესმოდა - უცებ ვერ მივხვდებითო. მაგრამ ამჯერად... - თვალმოფახულემ შემოგვხედა.

- კარგი, ბატონო, - თქვა გევინ ბიძიამ. - როგორღა მოვიქცეთ?

- გახსოვთ ის ანეკდოტი, ერთმა კაცმა თავისი გზააბნეული ძაღლი როგორ იპოვა? დაჯდა ის კაცი, ჩემო ბატონო, და წარმოიდგინა - ძაღლი რომ ვყოფილიყავი, მე თვითონ საით გავიქცეოდიო, მერე ადგა, იქით გაემართა, იპოვა ძაღლი და სახლში მიიყვანა. ჰოდა, ვთქვათ, ფლემ სნოუპსი ვართ მე და თქვენ და საშუალება მოგვეცა, თავი დავიხსნათ ჩვენი - როგორ ითქმის? - არაპრეზენტაბელური ძმისწულისაგან, ციხეში შეგვიძლია გამოვამწყვდიოთ. ოღონდ ჩვენ ახლა ბანკის ვიცე-პრეზიდენტი გახლავართ და იმას ვერ ვიზამთ, ქვეყანამ შეიტყოს, რომ ჩვენი ძმისწული, თუგინდ არაპრეზენტაბელურიც იყოს, ჩუმ-ჩუმად ფრანგულ სურათებს ათვალიერებინებსო. ციხეში მისი გამომწყვდეველი მოსამართლე კიდევ სწორედ ის კაცი გახლავთ, ვინც უილბერ პროვანის უთხრა - პარჩმენში იმის გამო კი არ გისტუმრებ, ვისკის რომ ხდიდი, იმიტომ გგზავნი, შენს ცოლს ერთ-ნახევარ მილზე წყლის თრაქვით წელს რომ აწყვეტინებდიო. - თვალეები დააფახულა გევინ ბიძიას მაცქერალმა. - მართალი ბრძანდებით. „რა?“ კი არა, „როგორ?“ - ეს იქნება საკითხის სწორად დასმა. და, რახან თქვენ უანგარო კაცი ხართ, იმას კიდევ ჰკუა ეყო საიმისოდ, რომ ფული ჰებ ჰემპტონისთვის არ შეეძლია, ჩვენ არაფერი ვიცით, რა არის ეს „როგორ“. რაც ბაპტისტებში დიდი ბოზოლა შეიქნა, მას აქეთ თუ გაუჩნდა იმას განგების იმედი.

განგების იმედად იქნებ კიდევ იყო ის კაცი. ასეა თუ ისე, განგება კი შეეწია. ეს ამბავი მეორე დილას მოხდა, ათი საათისთვის; ის-ის იყო, გევინ ბიძია და მე



კაბინეტიდან გამოვდიოდით უაიოტ-კროსინგისკენ გასამგზავრებლად (რადაც აყალმაყალი ატეხილიყო საწრეტ თხრილზე შეწერილი გადასახადის გამო დავის დროს), რომ უეცრად მისტერჰემპტონი შემოვიდა. გეგონებოდათ, რადაცას უსტვენსო კბილებს შორის, ხალისიანი და უდარდელი, თითქოს უსტვენდა, ოღონდ არავითარ ხმას არ გამოსცემდა, მოტივის რომ აღარაფერი ვთქვათ. - დილა მშვიდობისა, - თქვა მან. - გუშინ იქ, იმ სტუდიაში რომ ვიყავით და მე რომ ბოთლებში ვბუჯურობდი თაროზე სპირტულის ან რამე საწვავის მოსაძებნად...

- ჰო, - უთხრა გევინ ბიძიამ.

- რამდენი ბოთლი ან თუ გინდა ქილა გავხსენი და დავცნოსე? თქვენ ხომ ბრძანდებოდით იქ, ხომ ნახეთ?

- მგონი, ყველა, - მიუგო გევინ ბიძიამ. - რა იყო?

- მეც ასე მეგონა, - თქვა მისტერ ჰემპტონმა. - ოღონდ შეიძლებოდა შევმცდარიყავი. - გევინ ბიძიას შეჰყურებდა თავისი მსუსხავი თვალებით და ისევ ისე უხმოდ უსტვენდა კბილებს შუა.

- ჰო, ახლა შეგვაშზადეთ უკვე, - უთხრა გევინ ბიძიამ. - აღგვაზნეთ, რამდენადაც საჭირო იყო. თქვით ახლა!

- ამ დილას, ასე, ექვს საათზე, ჯეკ კრენშოუმ დამირეკა (მისტერ კრენშოუ გადასახადის ამკრეფი იყო და ჯერაც ნადირობდა ვისკის მხდელებზე ჩვენს ოლქში). მთხოვა - რაც გაგეწყობათ ჩქარა იმ სტუდიაში მობრძანდითო. ორნი დამხვდნენ იქ, უკვე ყველაფერი მოეჩხრიკათ. თაროზე რომ დოქები დგას, გუშინ მე რომ გავხსენი და დავცნოსე, ჰოდა, გამამჟღავნებელი „კოდაკის“ მეტი რომ არაფერი ყოფილა, ამ დილას ორ დოქში სიმინდის ვისკი დამხვდა, თუმცა, მოგახსენეთ უკვე, შეიძლებოდა შემშლოდა და ის დოქები გამომრჩენოდა გუშინ. ღუმლის უკან ნავთის ბაკში კიდევ ხუთი გალონი რომაა, იმისას აღარაფერს ვამბობ, გუშინ არ დამიყნოსია, იმიტომ, რომ არ მდგარა გუშინ იქ, ღუმლის უკან რომ ჩავხედე; ასე რომ არ ყოფილიყო, თაროზე მდგარი ბოთლების სინჯვას არ დავიწყებდი და ძებნას აღარ მოვყვებოდი - სურათები რით დავწვავო. თუმცა, თქვენი თქმის არ იყოს, შეიძლებოდა შევმცდარიყავი.

- არა, მაგას თქვენ ბრძანებდით, მე კი არა, - უთხრა გევინ ბიძიამ.

- მართალს ბრძანებდეთ იქნება, - თქვა მისტერ ჰემპტონმა. - ბოლოს და ბოლოს მას აქეთია ვუტრიალებ შინნახად არაყს ამ ოლქში, რაც შერიფად ამირჩიეს პირველად. ჰოდა, ათას ცხრაას ცხრამეტი წლიდან ისე გავიწაფე, დაყნოსვაც აღარ მჭირდება: მაშინვე სუნს ვიკრავ ხოლმე, როგორც კი იქ აღმოვჩნდები, სადაც წესით არ უნდა იყოს არაყი. იმ ხუთგალონიანი ბაკის რომ აღარაფერი ვთქვათ, რომელიც ისეა ჩადგმული, უქველად ფეხს წამოვკრავდი და დავეცემოდი, თაროს მისაწვდენად როცა გავიქაჩე.

- ჰო, - უთხრა გევინ ბიძიამ. - მერე?

- მორჩა, - თქვა მისტერ ჰემპტონმა.

- შიგ შესვლა რანაირად მოახერხა იმან? - შეეკითხა გევინ ბიძია.

- იმან? - თქვა მისტერ ჰემპტონმა.

- კარგი, ბატონო, - უთხრა გევინ ბიძიამ. - „იმათ“ იყოს, ასე თუ მოგწონთ უფრო.
- მაგაზე მეც ვიფიქრე, - თქვა მისტერ ჰემპტონმა. - სწორედ იმ გასაღების ამბავს მოგახსენებთ. სწორედ იმ გასაღების-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ მისნაირ რეგვენსაც კი ეყო საიმისო ჭკუა, თავისი სტუდიის გასაღები არ დაემალა, - თან ატარებდა კისერზე ჩამოკიდებულს.
- ჰო-ო, რა ყოფილა, - თქვა გევინ ბიძიამ.
- დიახ, ჩემო ბატონო, - უთხრა ჰემპტონმა. - ის გასაღები იმ უჯრაში ჩავაგდე, რაღაც-რაღაცები რომ მიყრია, ხელბორკილი და სამარქაფო რევილვერი. ვისაც გნებავთ, იმას შეეძლო შესულიყო, სანამ მე და მის ელმა იქ არ გახლდით (მის ელმა მისი მდივანი იყო, ქვრივი, მისი ქმარი მისტერ ჰემპტონამდე შერიფობდა), და ხელს გაეყოლებინა.
- ან კიდევ რევილვერი გაეყოლებინა, - უთხრა გევინ ბიძიამ. - კაცმა რომ თქვას, კი უნდა კეტავდეთ ხოლმე იმ თქვენს კაბინეტს, ჰებ. ოდესმე მაგ თქვენი საშერიფო ნიშანი დაგრჩებათ იქ. ჰოდა, რომ მოზრუნდებით, დაინახავთ, რომ ვიღაცა ბიჭუკელა დამდგარა და ხალხს აპატიმრებს ქუჩაში.
- სწორს ბრძანებდე იქნება, - თქვა მისტერ ჰემპტონმა. - ჰოდა, ჩემო ბატონო, ასე მოხდა ეს ამბავი, - დასძინა მან. - ვიღაცამ გასაღები გაიყოლა და ვისკი მიიტანა იმ სტუდიაში. იქნებ იმათგანი იყო ვინმე, იმ ბიჭთაგანი, რომლებიც, შეჩვენებული გროვერ უინზუმის ნათქვამის არ იყოს, ოთხივე ოლქიდან იყრიან თავს, ოღონდ კი დამდამობით ნერწყვი მოიდიონ იმდაწყველილი სურათების ყურებისას.
- რა კარგია, ჩემოდანი მაინც რომ ჩაკეტილი გაქვთ. აქამდე თქვენთანაა, ხომ? რადგან მისტერ ჰომბოლტი ჯერ არ ჩამობრძანებულა, ასე არაა?
- დიახ, - მიუგო მისტერ ჰემპტონმა.
- ჯეკ კრენშოუს და მის ამფსონს კიდევ სწორედ ვისკი აინტერესებთ დაარა ფოტოსურათები. ასე რომ, ის ჩემოდანი ჯერ არავისთვის გადაგიციათ.
- დიახ, - მიუგო მისტერ ჰემპტონმა.
- გადასცემთ კია? - შეეკითხა გევინ ბიძია.
- თქვენ რას ფიქრობთ? - თქვა მისტერ ჰემპტონმა.
- რასაც თქვენ, იმასვე, - მიუგო გევინ ბიძიამ.
- კაცმა რომ თქვას, ვისკიც სავსებით სავმარისია, - თქვა მისტერ ჰემპტონმა. - თუ არ იკმარა, ისიც გვეყოფა, მოსამართლე ლონგს განაჩენის გამოტანამდე ერთი ის ფოტოსურათი რომ ვუჩვენოთ. ჯანდაბას, - თქვა მან. - ბოლოს და ბოლოს, ჯეფერსონის ამბავია. აქ ვცხოვრობთ ჩვენ. ჯეფერსონი ყველაფერზე მეტი გვიღირს, იმის სიამოვნებაზე მეტიც, რომ იმ შეჩვენებულს ვასწავლოთ ჭკუა...
- დიახ, - უთხრა გევინ ბიძიამ. - ეგ ერთხელ მოვისმინე უკვე. - და მისტერ ჰემპტონი წავიდა. ჩვენ ისღა დაგვრჩენოდა, დავლოდებოდით, დიდხანს არც

დაგჭირვებია ლოდინი. იმის გამო თავის მტვრევა არ ღირდა - ბევრი გაიგონა რეტლიფმა თუ ვერაო, რადგან იმთავითვე აშკარა იყო, რომ ყველაფერი გაეგონა. ზურგს უკან კარი მიიხურა და ზღურბლზე შეჩერდა.

- ფლემ სნოუპსის ამბავი რატომ არ უთხარით გუშინ? - იკითხა მან.

- იმიტომ, რომ ფლემ სნოუპსს იყო თუ სხვა ვიღაცას, იმის საშუალება მისცა, პირდაპირ მის კაბინეტში შესულიყო და გასაღები მოეპარა. ჰები თვალს ვეღარ დახუჭავს დანაშაულზე, - უთხრა გევინ ბიძიამ. მერე ქაღალდები პორტფელში ჩააწყო, პორტფელი დაკეტა და წამოდგა.

- მიბრძანდებით? - შეეკითხა რეტლიფი.

- დიახ, - მიუგო გევინ ბიძიამ. - უაიოტ-კროსინგზე ვარ მისასვლელი.

- ფლემს არ დაელოდებით?

- ფლემი აღარ მომაკითხავს, - თქვა გევინ ბიძიამ. - ვერ გაბედავს. ის ამბავი კიდევ, რისთვისაც გუშინ მოქრთამვას მიპირებდა, ისედაც მოხდება, ოღონდ უქრთამოდ უკვე. დასაზვერად ხელახლა მოსვლას ვეღარ გაბედავს. ახლა ის მოუწევს, მოითმინოს და სხვებთან ერთად შეიტყოს საქმის შედეგები. იცის ეს ამბავი. - ოღონდ რეტლიფი კარს მაინც ეღობებოდა.

- ჩვენი უბედურება ისაა, სწორედ ვერასოდეს ვაფასებთ ფლემ სნოუპსს. ჯერ ის შეცდომა მოგვივიდა, რომ სულ არაფრად ჩავაგდეთ, მერე იმაში მოვტყუვდით, რომ ნამეტანი დიდად შევაფასეთ, ჰოდა, ახლა ისევ შეცდომას ვეპირებით მისი შეუფასებლობით. კაცს ფული თუ უნდა და მეტი არაფერი, გულის შესაჯერებლად ის სჭირდება მხოლოდ, რომ გადათვალოს და სადმე საიმედო ადგილას შეინახოს, მორჩა და გათავდა. მაგრამ ახლა ფლემმა იმასაც გაუგო გემო, რარიგად სასიამოვნოა ამ ახალი საუნჯის პატრონობა, ჰოდა, ეს სულ სხვა რამე გახლავთ. ეს იგივეა, ზამთარში სითბომ დაგატკბოს კაცი, ან სიგრილემ ზაფხულში, ანდა მშვიდობამ, თავისუფლებამ, ან კიდევ დოვლათმა. ამას ასე უბრალოდ ვერ გადათვლი, საგულდაგულოდ ვერ დასკვამავ სადმე და გულიდან ვერ ამოიგდებ, სანამ ხელახლა მოგესურვებოდეს მისი შეხედვა. ამისთვის სულ მუდამ უნდა ზრუნავდე, სულ უნდა გახსოვდეს. ეს ყველას დასანახად თუ არ გექნა, გინდაც არ გქონია და ისაა.

- რა არ გქონია? - შეეკითხა გევინ ბიძია.

- ის ახალი აღმოჩენა, იმან რომ მოახდინა ეს-ესაა, - თქვა რეტლიფმა. - სამოქალაქო სათნოება დაარქვით, თუ გნებავთ.

- რატომ, - უთხრა გევინ ბიძიამ, - თქვენ სხვა რამე გინდოდათ დაგერქმიათ? - რეტლიფი ჯიქურ, ცნობისმოყვარე მზერით მისჩერებოდა გევინ ბიძიას, თითქოს რაღაცას მოელისო. - მერე, მერე, - უთხრა გევინ ბიძიამ. - გაგაწყვეტინეთ სიტყვა.

ოღონდ რეტლიფი უკვე აღარაფერს მოელოდა. - დიახ, ჩემო ბატონო, - თქვა მან. - მოვა თქვენთან. უნდა მოვიდეს, რათა დარწმუნდეს, რომ თქვენც მიხვდებით ყველაფერს, დრო როცა დადგება. იქნებ სადამომდე სადმე ახლომახლო იწრიალოს, როგორც იტყვიან, წყლის დაწმენდას დაუცადოს. ჰოდა, მერე გაეხლებათ, რომ, სხვა

თუ არაფერი, ის მაინც დაგანახვით - როგორ მოტყუვდა ჭკუაში ის კაცი, ვისაც ჩემი ჩამოშორება უნდაო.

ასე რომ, უაიოტს აღარ გავმგზავრებულვართ, ოღონდ ამჯერად სნოუჰისი თავად რეტლიფმა ვერ შეაფასა სათანადოდ. ნახევარ საათსაც არ გაევილო, კიბეზე მისი ფეხის ხმა შემოგვესმა, მერე კარიც გაიღო და შემოვიდა. თავისი შავი შლაპა აღარ მოუხდია, დილა მშვიდობისა, ჯენტლმენებო, - ესლა თქვა, მაგიდასთან მოვიდა, ზედ მონტგომერი უორდის სტუდიის გასაღები დააგდო და გაბრუნდა, ხოლო გევინ ბიძიამ უთხრა:

- დიდი მადლობელი გახლავართ. შერიფს დავუბრუნებ ამ გასაღებს. თქვენ ჩემსავით ყოფილხართ, - თქვა მერე. - ჭეშმარიტება თქვენც ფეხებზე გკიდიათ, მარტო სამართლიანობა გაინტერესებთ.

- მე ჯეფერსონი მაინტერესებს, - თქვა მისტერ სნოუჰისმა და სახელურს მოჰკიდა ხელი კარის გამოსაღებად.

- აქ მოგვიწევს ცხოვრება. ნახვამდის, ჯენტლმენებო.

### 11. ვ.კ. რეტლიფი

და მაინც, ვერაფერს მიხვდა ეს კაცი, თუმცა კი თავის კაბინეტში მჯდარი თვალს ადევნებდა, რა ხერხით დაიხსნა ფლემმა ჯეფერსონი მონტგომერი უორდისგან. და მაინც, მე არაფრის მოყოლა არ შემემძლო მისთვის.

### 12. ჩარლზ მალისონი

რასაც უნდა მისწრაფვოდა მისტერ სნოუჰისი რეტლიფის აზრით, მე მაინც მგონია, რომ ის, რასაც გევინ ბიძიამ მიჰყო იმხანად ხელი, არაფრის წამდგომი არ გახლდათ. ამჯერად დედაჩემს ისიც აღარ დასჭირვებია, ყველაფერი მის მელისანდრა ბეკუსისთვის გადაებრალებინა. რადგან საამდროოდ მის მელისანდრა გათხოვდა კიდევ, ცოლად გაჰყვა ჩამოსულ კაცს, რომლის ამბავიც, თავად მის მელისანდრას გარდა, ყველამ ასე ვიცოდით (იმისას ვერაფერს მოგახსენებთ, მამამისმა თუ იცოდა ეს ამბავი, იმ კაცმა, ცისმარე დღე თავის ვერანდაზე რომ იყო მოკალათებული და ცალ ხელში სოდიანი ვისკი ეპყრა, მეორეში კი ჰორაციუსის ან ვერგილიუსის წიგნი - ამგვარი შეხამება, გევინ ბიძიას თქმით, უფრო ძლიერ კაცსაც გამომიჯნავდა ჩრდილოეთ მისისიპის ლიტონი სოფლური ცხოვრებისგან) - ყველასთვის ცნობილი ახალორლეანელი მდიდარი ბუტლეგერი არისო. სიმართლე რომ ითქვას, იმ ქალს არ სურდა, ეს ამბავი დაეჯერებინა, მაშინაც კი, როცა მისი ქმარი ტყვიით შუბლგახვრეტილი მოასვენეს და

მერე ტყვიაგაუმტარი შეჯავშნილი კატაფალკით გაუყენეს სასაფლაოს გზას, უკან კიდევ, ისეთი პიკარდები და კადილაკები მიჰყვებოდა, ჰოლივუდიც არ დაიწუნებდა, ალ კაპონესი რომ აღარაფერი ვთქვათ.

არა, სხვას ვამბობ. ჩვენ კვლავინდებურად ვერაფერი შევიტყვეთ, იცოდა თუ არა ის ამბავი მის მელისანდრამ, მისი ქმრის სიკვდილიდან კარგა ხნის გასვლის შემდეგაც, როცა დიდძალი ფულისა და ორი შვილის პატრონი გახლდათ, ჰოდა, იმ მამულის კიდევ; მის ბავშვობაში ჩვეულებრივი მისისიპური ბამბის პლანტაცია იყო ის მამული, მაგრამ მისმა ქმარმა ისეთი თეთრ-თეთრი მესერები ჩააწყაპა, ისეთი ფლუგერები დააყენა, რომ ის მამული რაღაც საშუალოდ იქცა კენტუკის საგარეუბნო კლუბსა და ლონგ-აილენდის იპოდრომს შორის; მის მრავალ მეგობარს მიაჩნდა - ჩვენი ვალია, თვალი ავუხილოთ, მივახვედროთ, ის იმდენი ფული საიდან მოედინებაო; მაგრამ ახლაც კი ამის თაობაზე სიტყვას ჩამოაგდებდნენ თუ არა, საუბრის თემას ხელად შეცვლიდა ხოლმე; ჯერაც ნორჩი ქალწული გეგონებოდათ, გაწლობილი, შავვკრემანი, თუმცა მილიონერი გახლდათ და ორი ბავშვის დედა და საშინელი ძალა იფარვოდა მასში - ის უმწეობა, უსუსურობა, ახლომახლო მყოფ ყოველ კაცს უმალ რაინდად რომ აქცევს, ვიდრე შებრუნებას და მოძურწვას მოასწრებდეს. ჰოდა, საუბრის თემას შეცვლიდა ხოლმე, თითქოს თავისი ქმრის სახელი არც არასოდეს სმენოდეს, თითქოს არც კი არსებულებოდა ქვეყნად ის კაცი.

დიახ, ბატონო, ამჯერად დედაჩემი იმასაც ვეღარ ამბობდა - მელისანდრა ბეკუსი რომ შეერთო, ამ უბედურებას ის გადაარჩენდაო; თანაც ამჯერად დედაჩემი ლინდა სნოუპსს გულისხმობდა, ისევე, როგორც წინ - მისის ფლემ სნოუპსს. ერთი კია, რომ ყოველივე გაისიგრძეგანა დედამ, იმიტომ, რომ წუხილს შეეშვა უცებ. - არაფერია, - უთხრა მამაჩემს. - ეს ყველაფერი ერთხელ მოხდა უკვე: აღარ გახსოვს? მელისანდრაც არ ჰყვარებია არასოდეს, ნამდვილად-მეთქი, იმის თქმა მინდა. რაღაც-რაღაც წიგნები ჰქონდა ამოჩემებული, ყვავილები, ჩემს ტიტებს და ნარგიზებს წყვეტდა ხოლმე გაშლისთანავე, ჰოდა, იქ უგზავნიდა, სადაც მთელი ეზო-მიდამო - მეტი თუ არა, ორ აკრამდე მიწა მაინც - ტიტებით იყო გადაფარული; ჩემს საუკეთესო ვარდებს ჭრიდა იმისთვის და ლექსებს უკითხავდა ჰამაკში ჩამჯდარი. გონებას უყალიბებდა მხოლოდ, მეტი არც სურდა არაფერი. ოღონდ მელისანდრა ხუთი წლითაა ამაზე პატარა. მეტით კი არა, ის გოგო კიდევ, ლამის ორჯერ უმცროსია, კაცმა რომ თქვას, ბაბუადაც შეიძლება მოუდიოდეს გვეინი.

ჰოდა, მამამ თქვა:

- ჰი, ჰი, ჰი! ჩამოყალიბებით კი ყალიბდება ის გოგო, ოღონდ მის გონებაზე კი არა, გვეინზე მოქმედებს ეს ამბავი. ჩემზეც კი იმოქმედებდა მისი ჩამოყალიბებული ნაკვთები, ცოლი რომ არ მყავდეს და მისკენ გახედვის არ მეშინოდეს. შენ თვითონ თუ შეგიხედავს იმ გოგოსთვის ოდესმე? ქალი კი ხარ, მაგრამ ადამიანი ხომ ხარ მაინც.

- გაჩუმდი! - უთხრა დედამ.

- კი, მაგრამ, - თქვა მამამ, - იქნებ მართლა დასახსნელი გვყავს გვეინი იმ თექვსმეტწლიანი კლანჭებისგან. შენ მოელაპარაკე, ჩემი უთხარი - თანახმაა, ოჯახის ღირსების საკურთხეველზე თავი მსხვერპლად მიიტანოს-თქო?

- გაჩუმდი! გაჩუმდი ახლავე! - უთხრა დედამ. - ნუთუ ის მაინც არ შეგიძლია, ცოტათი უკეთესად იხუმრო?

- სახუმაროდ რომ გვექონდეს საქმე, კარგი დაგემართოს, - თქვა მამამ. - ხუმრობის გარეშე გეუბნები. გუშინ ნასადილევს მაგიდას უსხდნენ ორივენი კრისტიანის საკონდიტროში. გვეინს წინ ნაყინი ედგა მხოლოდ, ის გოგო კიდეც, რაღაც დომხალს მიირთმევდა, ერთი ოცი, ის კი არა და, ოცდაათი ცენტი მაინც დაუჯდებოდა ალბათ. ასე რომ, გვეინმა მშვენივრად იცის, რასაც აკეთებს; ჰოდა, თუმცა ურიგო არ არის ის გოგო, დედამისამდე მაინც ბევრი უკლია: რაღაც არა აქვს ისეთი, - და მამაჩემმა ჰაერში ქვიშის საათის მსგავსი რამ გამოსახა ორივე ხელით, დედა კი მის წინ იდგა და როგორც გველი, ისე უყურებდა. - იქნებ ჯერჯერობით მისი ნაკვებების ჩამოყალიბებას აქცევს ყურადღებას, ჭკუის ჩამოყალიბება კიდეც, არ აფიქრებს მაინცდამაინც? ჰოდა, ვინ იცის, იქნებ ოდესმე გვეინსაც ისეთივე თვალთ შემოხედოს, როგორითაც იმას უყურებდა - ბანანის პლომბირი იყო თუ რაღაცა, რაც სკიტს მაკჰაუნმა მიართვა სუფრაზე.

ოღონდ დედა წასულიყო უკვე. ჰოდა, ახლა, რაღა თქმა უნდა, ვინმე ესაჭიროებოდა, მის მელისანდრას და ყველა მისი დაქალის (ესე იგი, ფაქტობრივად, მთელი ჯეფერსონის) ნაირი, რათა თვალი სჭეროდა, როდის შედიოდნენ ნასკოლევს გვეინი და ლინდა კრისტიანის საკონდიტროში და ლინდა ბანანის პლომბირს შეექცეოდა ან კიდეც, უბრალო ნაყინსა და სოდიან წყალს, ხოლო გვეინის მიერ მისთვის გამოწერილი ლექსების ბოლო წიგნი იქვე იყო, მარმარილოს მაგიდაზე, დამდნარი ნაყინის თუ „კოკა-კოლის“ გვერდით. ოღონდ, მე რომ მკითხვით, ჯეფერსონი მაინც ერთობ პატარა ქალაქია საიმისოდ, რათა ოცდათხუთმეტი წლის ბერბიჭამ, თუნდაც ჰარვარდის უნივერსიტეტის მაგისტრმა და ჰაიდელბერგის დოქტორმა, ლამის ოცდახუთი წლის ასაკიდან ჰადარამიძალეზულმა, თექვსმეტი წლის გოგოსთან ერთად ნაყინი მიირთვას და ლექსები იკითხოს არხეინად. თუმცა, თუკი მოსახდენი იყო ეს ამბავი, იქნებ ოცდათხუთმეტი წელი ყველაზე შესაფერისი ასაკიც აღმოჩნდეს ბერბიჭასთვის, რათა თექვსმეტი წლის გოგოს ნაყინით გაუმასპინძლდეს და ლექსების წიგნი უძღვნას ხოლმე. ეს ვუთხარი დედაჩემს. ჰოდა, დედამ ასე მიპასუხა - გველის ხმით კი არა, იმიტომ, რომ გველს არც აქვს ხმა, სწორედ ისეთი ხმით, როგორითაც კბილის სამკურნალო ბორმანქანა ამოიღებდა ხმას, ლაპარაკი რომ სცოდნოდა:

- სამი წლიდან მოყოლებული, ოთხმოც წლამდე ისეთი ასაკი არასოდეს დაუდგება მარტოხელა კაცს, როცა დაუსჯელად შეეძლოს, ნაყინით გაუმასპინძლდეს ხოლმე თექვსმეტი წლის გოგოებს, - მითხრა დედამ. - გონებას უყალიბებს, - თქვა მერე. ოღონდ გვეინ ბიძიას რომ ელაპარაკებოდა, თაფლივით ჰქონდა ხმა. არა: არავითარ ხმას არ გამოსცემდა, რადგან დუმდა მაშინ, იმას ელოდებოდა, გვეინი თავად ალაპარაკებოდა. არა: უფრო სწორად, ისე ელოდებოდა, რაკი იცოდა - გვეინს ალაპარაკება მოუწევსო: ჯეფერსონი ხომ ერთობ პატარა ქალაქი გახლდათ. არა, მე იმის თქმა მინდა, რომ გვეინ ბიძია მისი დღე და მოსწრება ჯეფერსონში თუ სხვა პატარ-პატარა ქალაქში ცხოვრობდა, ასე რომ, არა მარტო ჩინებულად ხვდებოდა, რასაც იტყოდა ჯეფერსონი მის გამოც, ლინდა სნოუჰისის გამოც, იმ ბანანის პლომბირების თუ ლექსთა წიგნების გამოც, არამედ იმასაც ხვდებოდა - ჩემს დაიას საკმარისად ჰყავს დაქალები და ყოველივეს შეიტყობსო.

ჰოდა, ელოდებოდა დედაჩემი. შაბათი დღე იყო. გვეინ ბიძია ორჯერ შევიდა კაბინეტში (ჯერაც ასე ვეძახდით იმ ოთახს, ოღონდ დედასსობას არა, რადგან ბაბუა ასე უწოდებდა ხოლმე, თუმცა, ბოლოს და ბოლოს, დედაც შეეშვა ბიბლიოთეკად მის ხსენებას), სადაც დედა დამჯდარიყო და რაღაცას იწერდა, იქნებ სამრეცხაოში წასაღებ თეთრეულს აღწახვანდა; ორჯერ შევიდა და გამოვიდა გვეინ ბიძია, მაგრამ დედას მისთვის ყურადღება არ მიუქცევია. მერე გვეინ ბიძიამ თქვა: - მე ვიფიქრე, იქნებ...

- სულ ასე საუბრობდნენ ხოლმე ისინი. ესე იგი, ამნაირად იმიტომ საუბრობდნენ ალბათ, ტყუპი რომ იყვნენ. ესე იგი, მე დავასკვენი ასე, რადგან სხვა ტყუპი არასოდეს მენახა და ვერ შევადარებდი. დედას წერაც არ შეუწყვეტია.

- რაღა თქმა უნდა, - უთხრა დედამ. - იქნებ ხვალვე? - აქ გვეინ ბიძიას შეემლო წასულიყო, იმიტომ, რომ ეტყობა, ორივე მიხვდა, რასაც შეეხებოდა საუბარი. მაგრამ გვეინ ბიძიამ თქვა:

- მადლობელი ვარ. - მერე მე მომიბრუნდა: - მგონი, ალექსენდერი გიცდის ქუჩაში, არა?

- კარგი ერთი! - თქვა დედამ. - რასაც ეგ შენგან შეიტყობს თექვსმეტწლიანი გოგოების ამბავს, ალბათ ასჯერ უფრო მიამიტური იქნება იმაზე, რასაც ერთ მშვენიერ დღეს თვითონ თექვსმეტწლიანი გოგოსგან გაიგებს. ესე იგი, დედამისს დაფურეკო და ვთხოვო, ხვალ ჩვენთან გამოუშვას სადილად, თუ შენ თვითონ დაურეკავ?

- მადლობელი ვარ! - უთხრა გვეინ ბიძიამ. - გინდა, ყველაფერს მოგიყვე ამ ამბებისას?

- შენ გინდა? - შეეკითხა დედა.

- კი, იქნებ ასე აჯობოს, - მიუგო გვეინ ბიძიამ.

- ვითომ საჭიროა? - უთხრა დედამ. ამჯერად გვეინ ბიძიას აღარაფერი უთქვამს. მერე დედამ უთხრა: - კარგი, გისმენთ. - და გვეინ ბიძიას არც ახლა ამოუღია ხმა. ოღონდ ამასობაში ძველ გვეინ ბიძიად იქცა ისევ. ამ წუთამდე ისე ლაპარაკობდა, როგორც მე ვიცოდი ხოლმე ზოგჯერ ამეტყველება. ახლა კი იდგა, დედას კეფას დასცქეროდა, გაბურძენილი ჭადარა თავი დაეხარა, გულის ჯიბიდან ლერწმის ჩიბუხის გაბოლილი ტარი ამოსწროდა, ჰოდა, თვალები, სახე ისეთი ჰქონდა, დანამდვილებით ვერაფრით მიხვდებოდი, რას იტყოდა ამწუთას.

- ჰო-ო, - თქვა ბოლოს. - თუკი შენისთანა ადამიანიც - ჭორებს და ბინძურ მითქმა-მითქმას არაფრით რომ არ აწყვება ხოლმე, ისეთი, - თუკი ამნაირი ადამიანიც რაღაცას იგონებს და თხზავს თავისთვის, წარმომიდგენია, რა დღეში იქნება მთელი ჯეფერსონი, ამგვარი ამბების ყველა სპეციალისტი. ნამდვილად წლები მაკლდება, ვახალგაზრდავდები, ციცერონს გეფიცები: აგერ ნახავ, გავალ ქალაქში და წითელ ჰალსტუხს ვიყიდი. - დედას კეფას დააცქერდა. - მადლობელი ვარ შენი, მეგი, - თქვა მერე. - ამ საქმისთვის ყველაფერი უნდა ვიღონოთ, მთელი ნებისყოფა უნდა მოვიკრიბოთ. სწოუპსებისგან ჯეფერსონის დახსნა ჩვენი მოთხოვნილებაა, აუცილებელი საქმეა, ვალია ჩვენი. ჰოდა, სწოუპსებისგან სწოუპსის დახსნა პატივია, პრივილეგია, დამსახურება.

- მით უფრო, თუკი ის თექვსმეტწლიანი სწოუპსი მდედრობითი სქესისაა, ხომ? - უთხრა დედამ.

- არა თუ? - შეეკითხა გვეინ ბიძია.

- როდის გითხარი, არა-მეთქი?! - უთხრა დედამ.

- აპირებდი მაინც! - დედას ფიცხლად მიეახლა, თავზე ხელი დაადო და ისე განაგრძო: - ჰოდა, ღმერთმა გაცოცხლოს! შენ ყოველთვის ცდილობდი, იმ დაწყვეტილი ქალური თვისების წინააღმდეგი ყოფილიყავი, იმ ცოლქმრული, თავდაოკებული რესპექტაბელურობის ინსტინქტის წინააღმდეგი, მთელი კულტურის, ჯერაც გადაუგვარებელი კულტურის სამირკველი რომაა; კულტურა ხომ მანამდე არ გადაგვარდება, ვიდრე შენნაირ დაუყოლიებელ, შეუპოვარ ხალხს წარმოშობს კიდეც, იმ ხალხს, ვისაც საიმისოდ ერჩის გული, რომ თავსაც დაატყდეს, კიდეც გაუმაგრდეს და უარყოს კიდეც, - ჰოდა, წამით ისიც მოგვეჩვენა, ახლა დაიხრება და აკოცებსო დედას: მე მგონია, სამივემ ასე ვიფიქრეთ. მაგრამ გვეინ ბიძიას არ უკოცნია, უფრო სწორად - დედამ მოასწრო თქმა:

- გეყოფა, დამანებე თავი! ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტე - ის გინდა, მე დავურეკო, თუ შენ თვითონ იზამ ამას?

- მე დავურეკავ, - უთხრა გვეინ ბიძიამ. მერე მე გადმომხედა: - ორი წითელი ჰალსტუხი იქნება, ერთი - საშენოდ. აფსუს, თექვსმეტის რომ არ ხარ ჯერ. იმ გოგოს კავალერი სჭირდება, ესაა საქმე.

- თექვსმეტი წლისას თუ უსიკვდილოდ იმის კავალრობა მომიწევდა, მაღლობა ღმერთს, თექვსმეტის რომ არ ვარ ჯერ, - ვუთხარი მე. - კავალერი უკვე ჰყავს - მატ ლივიტი. ოჰაიოში იყო თუ სადღაც სხვაგან, ოქროს ხელთათმანები მიიღო შარშან. შესახედავად იმნაირია, იმ ოქროს ხელთათმანებს ახლაც კარგად იხმარდა. ასე რომ, დიდი მაღლობა მომიხსენებია.

- რაო, რაო? - დედამ თქვა.

- სისულელეს ამბობს რაღაცას, - უთხრა გვეინ ბიძიამ.

- ეტყობა, არ გინახავს, რანაირი მოკრივეა, - მე მივუგე. - რომ გენახა, სისულელეო - აღარ იტყოდი. მე კი მყავს ნანახი პრიჩერ ბერდსონგთან, რომ დაარტყა.

- შენი მეგობარი სპორტსმენებიდან პრიჩერ ბერდსონგი რომელია? - მკითხა დედამ.

- სპორტსმენი სულ არ არის ის ბიჭი, - ვუპასუხე. - სოფელში ცხოვრობს. კრივი საფრანგეთში უსწავლია, ომის დროს. ის და მატ ლივიტი...

- მოიცა, - გვეინ ბიძიამ მითხრა. - ის...

- ვინ „ის“? - იკითხა დედამ. - შენი რაყიფი?

- ...ოჰაიოელია, - თქვა გვეინ ბიძიამ. - ის ახალი სკოლა აქვს დამთავრებული, მექანიკოსების სკოლა, ფორდთან, ჰოდა, ფირმამ ჩვენთან გამოამწესა, გარაჟში, მექანიკოსად...

- იმას თავისი მანქანა ჰყავს, ყვითელი, გადახდილი, - ვთქვი მე.

- და ლინდა იმ მანქანით სეირნობს ხოლმე? - იკითხა დედამ.

- ...ჰოდა, რაკი ჯეფერსონი პატარა ქალაქია, ის ბიჭი კიდეც ბრმა არ არის, - გვეინ ბიძიამ განაგრძო, - ადრე იყო თუ გვიან იყო, ლინდა სწოლუპსსაც მოჰკრა თვალი, ალბათ სახლსა და სკოლას შორის სადმე. ჰოდა, რაკი კაცია და ოცდამეერთეშია



გადამდგარი, ბუნებრივია, რომ დრო აღარ დაუკარგავს და გაეცნო ლინდას; ოქროს ხელთათმანების მფლობელის რეპუტაციამ, რომელიც ან მართლა დაიმსახურა, ან კიდეც, აქეთობისას გზაში მოიგონა თვითონვე, ეტყობა, ყველა შესაძლო რაყიფი ჩამოაშორა და...

- შენ გარდა, - დედამ უთხრა.

- გეყოფა, - თქვა გვეინ ბიძიამ.

- ჰო, შენ გარდა, - უთხრა დედამ.

- ის ბიჭი ხუთი წლითაა ლინდაზე უფროსი, მეტი კი არა, - თქვა გვეინ ბიძიამ. - მე კიდეც, ორჯერ უფროსი ვარ.

- შენ გარდა, - უთხრა დედამ. - სულერთია, რამდენისაც უნდა გახდე, ვინც გინდა, ქალი ვთქვათ, იმაზე ორჯერ უფროსი შენ ვერც როდის ვერ შეიქნები, ჰოდა, ლინდა რამდენისაა, ამას არა აქვს მნიშვნელობა!

- კარგი, კარგი, - თქვა გვეინ ბიძიამ. - ჰო, რას ვამბობდი? სწოუპსისგან ჯეფერსონის დახსნა ვალია ჩვენი. სწოუპსისგან სწოუპსის დახსნა კიდეც, დიდი პატივია.

- შენ ამბობდი - პრივილეგიააო, დამსახურებააო, - უთხრა დედამ.

- კარგი, კარგი, - თქვა გვეინ ბიძიამ, - სიამოვნება იყოს და მეტი არაფერი. კმაყოფილი ხარ?

ამით მოათავეს. ცოტა ხნის შემდეგ მამაჩემი შინ დაბრუნდა, მაგრამ დედას არაფერი ჰქონდა მოსაყოლი, რადგან მამამ უიმისოდაც ყველაფერი იცოდა; მამას ისღა დარჩენოდა, ხვალინდელ დღეს დალოდებოდა, ხვალინდელ ნასადილევს.

ლინდა რომ მოვიდა, თორმეტს იყო ცოტათი გადაცილებული, სწორედ ის დრო იდგა, როდესაც ეკლესიიდან გამოვიდოდა, თუკი ნამყოფი იყო იმ დღეს ეკლესიაში. იქნებ იყო კიდეც, იმიტომ, რომ შლაპა ეხურა თავზე. თუმცა, ისიც შესაძლოა, რომ შლაპა დედამისმა დაახურინა დედაჩემის ხათრით. ქუჩის კუთხეს გამოსცდა და ჩვენი სახლისკენ წამოვიდა სირბილით. ჰოდა, მაშინ შევასწარი თვალი, რომ ის შლაპა რაღაცნაირად გვერდულად გადაქანებოდა, გვერთებოდათ, ვინმემ მოსწია თუ დაქაჩა, ანდა თვითონ წამოსდო რაღაცას, ჰოდა, კიდეც ის იყო, რომ მეორე ხელი მხარზე აეფარებინა. მერე ისიცდავინახე, რომ სახე საშინლად გაავებული ჰქონდა. შიშნაკრავიც ჰქონდა, რაღა თქმა უნდა, მაგრამ ახლა, ჭიშკარში რომ შემოდიოდა მხარზე ხელწავლებული, თანაც კი აღარ მორბოდა, ისე მოდიოდა ჩქარი და დაჯერებული ნაბიჯით, სახე შიშნაკრავზე მეტად გაავებული ჰქონდა. ოღონდ მერე და მერე შიში მეტად მიეძალა მის სახეს. ჰოდა, უცებ ორივე ის გამომეტყველება ერთ იერად შეირწყა, ისეთ რამედ, რაც შიშსაც ნაკლებად ჰგავდა და გაავებასაც. რადგან სწორედ იმწუთას კუთხიდან მანქანამ გამოუხვია და იქვე ჩაუქროლა - მატ ლივიტის მანქანამ, - იმგვარი ნახმარი მანქანა ქალაქში მრავლად იყო, ოღონდ მის მეტს არავის უმშვენებდა რადიატორს უზარმაზარი სპილენძის სირენა, ჰოდა, გაქროლებული კნოპს რომ დააჭერდა, სირენა ორნაირ ხმაზე ყვიროდა ხოლმე. ჰოდა, უცებ ისე მომეჩვენა, რაღაცის სუნს ვიკრავ-მეთქი, რაღაც ისეთი გაკრთა, რასაც ვერ ვხვდები, თუნდაც რომ ის რაღაც ერთხელ უკვე მომხდარი იყოს-მეთქი. მანქანამ ჩაიქროლა, ლინდა კიდეც

ჩვენკენ გამოემართა დამაბული, ფეხაჩქარებული, შლაპა გვერდზე მოქცეული, მხარში ხელწავლებული, კვლავაც ქოშინით მსუნთქავი, თუმცა სახეზე შიშის მეტი აღარაფერი ეტყობოდა, და ასე ამოვიდა ვერანდაზე, სადაც დედა და გვეინ ბიძია ელოდებოდნენ.

- გამარჯობა, ლინდა! - დედამ უთხრა. - სახელო გაგხვია!

- ლურსმანს წამოვედე, - თქვა ლინდამ.

- ვხედავ, - უთხრა დედამ. - ზევით წავიდეთ, ჩემს ოთახში, კაბას გაგახდევინებ და გაგიკვრავ.

- არ ღირს, - თქვა ლინდამ. - ის აჯობებს, ქინძისთავი მათხოვოთ.

- კარგი, ნემსი აიღე და შენ თვითონ გაიკვრე. მე წავალ, სადილს მივხედავ, - უთხრა დედამ. - კვრავ ხომ იცი?

- დიახ, მემ, - მიუგო ლინდამ. მერე ისინი ზევით ავიდნენ, დედას საწოლ ოთახში, გვეინ ბიძია და მე კიდეც, კაბინეტში შევედით. ჰოდა, რაღა თქმა უნდა, მამაჩემმა გვეინ ბიძიას უთხრა:

- ესე იგი, აქამდე მოსვლაც ვერ მოასწრო, რომ ვილაცა აეტორღიალა, ხომ? რაო, ვაჟკაცო, სადაა შენი ფარ-შუბი, შენი დარახტული ცხენი სადაა?

ოღონდ პირველად, მატს ჩვენი სახლის წინ ჩაქროლებიას თავისი სპილენძის სირენა არ აუყვირებია, ასე რომ, ჩვენ ვერც კი ვხვდებოდით, რას აყურადებდა ესოდენ გულმოდგინედ სადილობისას ლინდა; მხართან გახეული კაბა გაეკვრა, ისე ამოენემსა, იტყოდით, ათწლიან ბაღს უცოდველიაო, ჰოდა, სახე ისევ დამაბული და შიშნეული ჰქონდა. მაგრამ ჩვენ მაშინ ჯერაც ვერაფერს ვხვდებოდით. ესე იგი, იმას ვერ ვხვდებოდით, რამდენი რამის კეთება უხდება ერთბაშად ლინდას: ისიც უნდა მოეჩვენებინა - სადილი მომწონსო, იმ ხალხს შორის, ვისაც, მისი გაგებით, განსაკუთრებული მიზეზი არაფერი ჰქონდა საიმისოდ, რათა მისდამი კეთილად ყოფილიყო განწყობილი, თან სულ იმის მოლოდინი უნდა ჰქონოდა, მატ ლივიტი კიდეც რას იხიმანკლებსო, ჰოდა, იმასაც უნდა ცდილიყო, რომ არავის შეემჩნია მისი საფიქრალი და საწუხარი. ესე იგი, დამაბული უნდა დალოდებოდა მოსახდენს, ხოლო მერე, როცა ის მოსახდენი ხდებოდა, ვითომც აქ არაფერიაო, ისე უნდა განეგრძო მშვიდად ჭამა და დედაჩემის ყოველ შეკითხვაზე „დიახ, მემ“, „არა, მემ“ ეპასუხა. ამასობაში კიდეც, ყვითელი მანქანა ხელახლა ჩაუქროლებდა ჩვენს სახლს, სირენაც ორ ხმაზე კიოდა. ჰოდა, ამ დროს მამაჩემმა უცებ თავი ასწია, ჰაერი ხმიერად ჩაისუნთქა და იკითხა:

- ეს რა სუნი მომდის?

- რა სუნი? - დედამ უთხრა. - რისი სუნი?

- აი, იმისი, - თქვა მამამ. - რამდენი ხანია, აღარ მიგრძნია... როდის იყო ის, გვეინ? - ჰოდა, მე მაშინვე მივხვდი, რასაც მამაჩემი ამბობდა, თუმცა, ის ამბავი რომ მოხდა, მე დაბადებულის არ ვყოფილვარ, მაგრამ ჩემმა ბიძაშვილმა მამაბო ყველაფერი, გაუნმა. დედაჩემიც მიხვდა. ესე იგი, დედას ყველაფერი გაახსენდა, რადგან დე სპეინის მაშინდელი კვილი კი ჰქონდა მოსმენილი. ესე იგი, იქნებ სირენას მაშინდელი აკივლება მატ ლივიტთან არც დაეკავშირებინა, მაგრამ მისთვის ისიც კმაროდა,

ლინდასთვის და გევინ ბიძიასთვის შეეხედა იმწუთას. ანდა შესაძლოა, მარტო გევინ ბიძიასთვის შეხედვაც საკმარისი ყოფილიყო – ისინი ხომ ტყუპი იყვნენ, ჰოდა, ამით ყველაფერი ითქმის და ისაა, იმიტომ, რომ მაშინვე შეაჩერა მამა:

- ჩარლი! - მამამ კიდევ თქვა:

- იქნებ მის სნოუპსმა ამ ერთხელ მაპატიოს. - მამაჩემი ლინდას მიმართავდა. - საქმე ისაა, რომ, როცა ჩვენსას თვალადი ქალიშვილი სადილობს ხოლმე, რაც უფრო ლამაზია ის ქალიშვილი, მით უფრო ვცდილობ, ენა ავიღესო - იქნებ ჩვენთან მოსვლა კიდევ მოვანდომო-მეთქი. ოღონდ ამჯერად მგონი, მეტი მომივიდა. ასე რომ, თუკი მის სნოუპსი იმას მაპატიებს, ნამეტანი თავგამოდებული რომ ვცდილობდი, სულელური ხუმრობით გამეცინებინა, მე იმას ვაპატიებ, ნამეტანი თვალადი რომაა.

- ყოჩად შენ! - გევინ ბიძიამ უთხრა. - კი, ეს ხუმრობაც ვერ გამოგივიდა მაინცდამაინც სანაქებო, მაგრამ სუსხდაკრული მაინც აღარაა იმ პირველივით. ვერანდაზე გავიდეთ, მეგი, იქ უფრო გრილა.

- კარგი! - მიუგო დედამ. წინა ოთახში ცოტათი შევყოვნდით და ლინდას შევხედეთ. მის სახეს შიში კი აღარ აღბეჭდოდა მხოლოდ, იმით აღძრული შიში, რომ ის, თექვსმეტი წლის გოგო, პირველად მოხვედრილიყო უცხო სახლში, იმ ხალხის გარემოცვაში, ვინც ალბათ წინასწარვე ამრეზილი იყო მისდამი. არ ვიცი, რა აღბეჭდოდა სახეზე, ოღონდ დედამ კი იცოდა, იმიტომ, რომ ლინდა სწორედ დედას შეჰყურებდა.

- კაცმა რომ თქვას, სასტუმრო ოთახში უფრო ეგრილება, - თქვა დედამ. - იქ შევიდეთ. - ოღონდ უკვე გვიან იყო. უკვე მოგვწვდა სირენის ხმა, ყოველი ბგერა გარკვევით ჩაგვესმოდა: „დუ დუ, დუ დუ, დუ დუ“, - მეტად და მეტად ხმამაღლა. მერე ჩვენს სახლს გასწორებული, უფრო გარკვევით ახმიანდა, მერე მიწელდა, ჰოდა, ლინდამ უცებ დედას შეხედა, ერთ-ორ წამს მიაჩერდა განწირულად. მაგრამ ის განწირულების გამომეტყველებაც გაუქრა; იქნებ წამით იყო მხოლოდ განწირულება, მერე კი გაქრა და ოდინდელი დაძაბულობაღა შემორჩა მის სახეს.

- ჩემი წასვლის დროა, - ამოთქვა ლინდამ. - მე... მაპატიეთ, თუ შეიძლება, წასვლის დროა... - და ამასობაში თავი ხელში აიყვანა: - მადლობელი გახლავართ მასპინძლობისთვის, მისის მალისონ. მადლობელი გახლავართ მასპინძლობისთვის, მისტერ მალისონ. მადლობელი გახლავართ მასპინძლობისთვის, მისტერ გევინ. - უკვე იმ მაგიდას უახლოვდებოდა, სადაც მისი შლაპა და ხელჩანთა იყო. არა, იმის მოლოდინი არ მქონია - მასპინძლობისთვის მადლობას მეც გადამიხდის-მეთქი.

- გევინმა ჩაგისვას და მიგიყვანოს სახლში, - დედამ უთხრა. - გევინ...

- არა, არა, - თქვა ლინდამ. - მე არ... მე, მე... ის არ... - და სადარბაზოში გავარდა, ჭიმკრამდე მიმავალი ბილიკი თითქმის სირბილით გაიარა, ჭიმკარს გაცილებული კიდევ, მართლა გაიქცა განწირულად. მერე თვალს მიეფარა.

- ციცერონს გეფიცები, გევინ, - მამამ უთხრა, - სულ წახდი კაცი. მაშინ ის მაინც იყო, რომ ესპანეთ-ამერიკის ომის ვეტერანს გადაეყარე, სამარულო ავტომობილის პატრონს. ჰოდა, ახლა შეკოწიწებულ დრანდულეტში ჩამჯდარი მოყვარული მოკრივე შეგრჩა ხელში. ფრთხილად იყავი, ჩემო ძმაო, თორემ ველოსიპედზე შემომჯდარი ბოისკაუტი გაგიწვევს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

- რაო? - დედამ იკითხა.

- შენ რაღას იზამდი, ოცი წლის რომ ყოფილიყავი და მექანიკოსად რომ გემუშავა გარაჟში საღამოს ექვს საათამდე, ჰოდა, ამ დროს თმაგაჭადარავებულ ბერიკაცს, დონჟუანს ყოველდღე რომ გამოეჭირა სკოლიდან შინისკენ მიმავალი შენი გოგო, იმ ბუნაგში შეეტყუებინა, სადაც სოდიანს ყლურწავენ, და ნაყინით ამოეყორა? საიდან უნდა იცოდეს იმ ბიჭმა, რომ გვეინს მისი გოგოს გონების ჩამოყალიბება უნდა და - მეტი არაფერი?

თუმცა ახლა არავითარი „ყოველდღე“ აღარ იყო. საერთოდ, ყველაფერი დამთავრდა. ვერ გავიგე, რა მოხდა, რანაირად აეწყო ასე: არ ვიცი, ლინდამ შემოუთვალა გვეინ ბიძიას - ნასკოლევეს ნულარ დამელოდებით ხოლმეო, არ ვიცი, შინ სხვა გზით ბრუნდებოდა და გვეინ ბიძია ვეღარ ხვდებოდა, ანდა იქნებ სულაც სკოლაში აღარ დადიოდა ლინდა. უკვე უფროსკლასელი გახლდათ, მე კიდევ, დაწყებით სკოლაში ვსწავლობდი ჯერაც, ასე რომ, ვერაფრით მეცოდინებოდა, სკოლაში დადიოდა თუ - არა.

ისიც კი არ ვიცოდი, ჯეფერსონში იყო თუ - არა. იმიტომ, რომ ზოგჯერ თვალს მოვკრავდი ხოლმე, როგორ მიაქროლებდა თავის მანქანას მატ ლივიტი გარაჟის დაკეტვის შემდეგ; წინ ლინდაც ეჯდა იმ მანქანაში ხან დღისით, ხანაც იშვიათად, საღამო ხანს - კინოსკენ თუ კინოდან შინისკენ გამგზავრებული. ახლა ლინდა აღარ ჩანდა. მატ ლივიტი ან მარტო იჯდა ხოლმე მანქანაში, ან ვინმე თავისი თანატოლი თუ უფროსი კაცი ჰყავდა გვერდით. რამდენადაც ვიცი, გვეინ ბიძიასი არ იყოს, მატ ლივიტიც აღარ ხვდებოდა ლინდას.

გვეინ ბიძიასგანაც ვერაფერს შეიტყობდი კაცი. წინ სკოლიდან მომავალს დამინახავს, როგორ ისხდნენ ის და ლინდა კრისტიანის საკონდიტროში და ნაყინს შეექცეოდნენ, ჰოდა, მე რომ დამინახავდა ან ორივენი დამინახავდნენ, გვეინ ბიძია მანიშნებდა ხოლმე - შემოდით, და მერე სამივენი მივირთმევდით ნაყინს. მაგრამ ახლა ის ამბავიც კი, მე რომ საკონდიტროში შექყეტა აღარ მიხდებოდა, გვეინ ბიძიას თითქმის არ დაჩნევია. ჰოდა, ერთხელ, პარასკევ დღეს, თვალი მოვკარი, რომ გვეინ ბიძია იმ საკონდიტროში მაგიდას მისჯდომოდა და მელოდებოდა, როდის ჩავივლიდი და კვლავინდებურად მიხმობდა შიგნით. და თუმცა მაგიდაზე ნაყინის მეორე ჭურჭელი არ მდგარა, მე მაინც ის ვიფიქრე - ალბათ ლინდა ერთი წუთით წამოდგა და შესაძლოა, პარფიუმერიის დახლთან ან გაზეთების მაგიდასთან დგას-მეთქი; ასე რომ, როცა შევედი და გვეინ ბიძიამ მითხრა - მე ატმის ნაყინი მაქვს, შენ რომელი გინდაო, მაინც სულ იმას ველოდებოდი - აგერ-აგერ ლინდა გამოჩნდება-მეთქი საიდანმე.

- მე ხენდროსი მინდა, - მივუგე. მაგიდაზე გვეინ ბიძიას მიერ ლინდასთვის გამოწერილი ბოლო წიგნი იყო - ჯონ დონის ლექსები.

- აქვე, ჯეფერსონში ფოსტით რომ გაუგზავნო კაცმა წიგნი, მაინც იმდენივე ჯდება, რამდენიც მემფისს გაგზავნა დაჯდებოდა, - მითხრა გვეინ ბიძიამ. - რა იქნება ვითომ, ნაყინზე რომ დაგპატიჟო და ის ფოსტით გასაგზავნი მოგართვა, ჰოდა, შენ გზად შეუარო და ეს წიგნი გადასცე?

- კარგი, - მივუგე მე. მისტერ სნოუპსი ჯეფერსონში რომ ჩამოვიდა, სახლი იქირავა. მერე ალბათ იყიდა კიდევ ის სახლი, რადგან, ბანკის ვიცე-პრეზიდენტი როცა შეიქნა, სახლის შეკეთება დაიწყო, კედლებიც შეღებეს, ხოლო გლიცინიები მისის სნოუპსმა

თავისი ხელით დარგო ალბათ. ჭიშკარი რომ შევადე, ლინდამ დამიძახა და გლიცინიებშემოხვეული ფარდულის ქვეშ ჰამაკი დავინახე. გლიცინიები ჯერაც ყვავოდა და იმ ყვავილებში დამამახსოვრდა ლინდა – მუქი თმა ჰქონდა, თვალები კიდევ, თითქმის იმ გლიცინიების ფერი, იმ ფერისავე კაბა ემოსა. ჰამაკში იწვა და კითხულობდა, ჰოდა, გავიფიქრე – გევინ ბიძიას ეს წიგნი არ უნდა გამოეგზავნა, ჯერ წინაც არ წაუკითხავს–მეთქი. ოღონდ ამასობაში ჰამაკქვეშ მიწაზე მიმოფანტულ მის სახელმძღვანელოებს მოვატანე თვალი, ისიც დავინახე, რომ გეომეტრიას კითხულობდა თურმე და ისევ გავიფიქრე: „მატ ლივიტს ალბათ არაფრად სიამოვნებს ეს ამბები, – არც ის, რომ ლინდას გეომეტრიის სწავლა ურჩევნია მასთან ერთად სეირნობას, და არც ის, რომ გევინ ბიძიასთან ერთად ამჯობინებს ნაყინის ჭამას“.

წიგნი გადავეცი და შინისკენ წამოვედი. პარასკევს იყო ეს ამბავი. მეორე დღეს, შაბათს ბეისბოლის მატჩზე გახლდით და იქიდან გევინ ბიძიას შევეუარე მის კაბინეტში, რათა შინ ერთად წავსულიყავით. კიბეზე ფეხის ხმა შემოგვესმა, რამდენიმე ფეხის ბაკუნი, ქოშინიც გავიგონეთ, ვილაცის ჩურჩულიც. და უცებ მატ ლივიტმა შემოხეთქა კარი, გამალებული შემოვარდა, ილღიაში რაღაც ამოეჩარა, კარი მიიჯახუნა, კარს უკან კი ვილაც ცდილობდა შემოჰყოლოდა. ჰოდა, ამან კარს მუხლი მიაბჯინა, რაზა მოიფათურა, მოისაზრა როგორ უნდა გადაეწია და კარი ჩაკეტა. ამის შემდეგლა შემოგვიბრუნდა. ლამაზი ბიჭი იყო, ოღონდ სახე ლალი არ ჰქონია, არც ხალისიანი. იმ სახეს, რეტლიფის ნათქვამის არ იყოს, უტიფრობის დადი ესვა. ამგვარი სახე აქვს ხოლმე იმ ადამიანს, ვინც არაფერში შეეჭვებულა ჯერაც. თუმცა ახლა ის უტიფრობაც აღარ აჩნდა სახეზე. ჰოდა, დაფურცლული წიგნი შემართა – ჯონ დონის ლექსები იყო, მე რომ ლინდას გადავეცი გუშინ – და მაგიდისკენ მოისროლა ისე, რომ ამოფხრეწილი ფურცლები აფრიალდა, მაგიდაზე მიმოიფანტა და იატაკზეც კი ჩაფარფატდა.

– რა, არ მოგწონთ? – თქვა, მაგიდას შემოუარა და ფეხზე წამოდგარ გევინ ბიძიას მიადგა ჯიქურ. – აბა, დაიცავთ თავს თუ არა? – იკითხა მერე. – თუმცა, რას ვამბობ, ჩხუბი რა იცით თქვენ! არაფერია, ძალიან არ მიგჟეჟავთ, ერთი ბეწოს დაგამშვენებთ, რომ გაიხსენოთ, როგორ ხდება ეს ამბავი! – ჰოდა, იტყოდით, მაგრად სულ არ გაურტყამსო, მისი მუშტები თითქოს ძლივძლივობით იძვროდა გევინ ბიძიას სახიდან ოთხ–ხუთ დუიმზე, ასე რომ, გეგონებოდათ, ცხვირიდან, ტუჩებიდან დარტყმების გამო კი არ წასკდა სისხლი, გეგონებოდათ, იმ მუშტებმა თავისთავად შეუღებაო სისხლით სახე; ორჯერ, სამჯერ გაუქანა ასე, მაგრამ ამასობაში მეც გონს მოვეგე, ხელი ვტაცე ბაბუას მომსხო ხელჯოხს, ისევ ძველებურად რომ იყო მიყუდებული კართან, საკიდარს უკან, ჰოდა, შევმართე, რათა მთელი ძალით კეფაში ჩამეთხლიშა იმ ბიჭისთვის.

– ჩიკ, გაჩერდი! – მომაყვირა გევინ ბიძიამ. – გაჩერდი! არ გაბედო! – ვერაფრით დავიჯერებდი, რომ თუნდაც შეყვირებაზე მათი ასე ფიცხლად შემომიბტრიალდებოდა. ეტყობა, ოქროს ხელთათმანები ტყუილუბრალოდ არ ჰქონია მოგებული. ერთი სიტყვით, შემომიბტრიალდა, იმ ჯოხს ხელი მიტაცა და მანამდე გამომგლიჯა, სანამ გონს მოვიდოდი, მე კიდევ, იმის შიშით – ან მე, ან გევინ ბიძიას, ან კიდევ ორივეს ერთად დაგვცხებს–მეთქი იმ ჯოხს, დავიღუნე და ფეხებში მინდოდა ვწვდომოდი, მაგრამ იმან ჯოხი ხიშტივით გამოიშვირა, მკერდზე, ყელში მომაბჯინა და თითქოს ამწია იმ ჯოხით, გინდაც ჩვარი ვყოფილიყავი, ანდა – ქალაღის ნაგლეჯი.

– არ გამოგივიდა, ბიჭი! – მითხრა. – ისე, კარგად კი გქონდა მოქნეული. აფსუს, ბიძაშენმა რომ გათქვა. – ჯოხი კუთხისკენ მოისროლა, გვერდი ამიარა და კარისკენ წავიდა. ჰოდა, მაშინლა გავიგონეთ ყველამ, რომ ის, ვინც ამან კაბინეტში არ

შემოუშვა, გამწარებული კარს მუშტებს უბრაზუნებდა; ამან რაზა გადასწია, კარი გააღო და უკუდგა ლინდას წინაშე, ის კიდევე, შემოიჭრა, ცეცხლის ალივით შემოვარდა, კი, ნამდვილად ცეცხლის ალივით, გვეინ ბიძიასთვის და ჩემთვის არც შემოუხედავს, ფეხის წვერებზე შედგა და სახეში ლეწა მატს ორჯერ, ჯერ მარცხენა, მერე მარჯვენა ხელი მოუნაცვლა აქლოშინებულმა, აყვირებულმა: - ჩერჩეტო! ცხოველო! ლენჩო! ხვადაგო! შე საზიზღარო! გაყეყეჩებულო! - მანამდე არასოდეს გამეგონა, რომ თექვსმეტი წლის გოგო ასეთ ლანძღვა-გინებას მოჰყოლოდეს. არა: მანამდე არასოდეს გამეგონა, რომ ქალი მოჰყოლოდეს ასეთ ლანძღვა-გინებას. ის კიდევე იდგა იმ ბიჭის წინ, ხმამაღლა ტიროდა, გაშმაგებული, თითქოს ადარ იცოდა, რა ექნა ახლა, კიდევე გაერთყა თუ ელანძღა ისევ. მაგრამ ამასობაში გვეინ ბიძია მიეახლა, მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

- გაჩერდი! გაჩერდი, გესმის? - ჰოდა, ლინდა მობრუნდა, ხელები შემოხვია, სისხლით მოთხვრილ მის ხალათს მიეკრო სახით და კვლავაც მტირალმა აღმოთქვა:

- მისტერ გვეინ, მისტერ გვეინ, მისტერ გვეინ!

- ჩიკ, კარი გააღე! - მითხრა გვეინ ბიძიამ. მე გამოვადე. - წადი აქედან, ბიჭო, - მატს მიმართა. - აბა, ჩქარა! - მათი გავიდა. მე კარის მიხურვა დავაპირე. - შენც, - მითხრა გვეინ ბიძიამ.

- სერ? - ჩავეკითხე მე.

- შენც წადი! - მითხრა გვეინ ბიძიამ და ლინდას ხელი მოხვია, ლინდა კიდევე, კანკალებდა და ატირებული ეკვროდა, ჰოდა, მისი სისხლი ლინდასაც ეწვეთებოდა.

### 13. გვეინ სტივენსი

- წადი! - ვუთხარი. - შენც წადი! - ჩივი გავიდა, მე კიდევე ლინდას მოხვეული ვიდექი. უფრო სწორად, ლინდა მეკვროდა მთელი ძალით, კანკალებდა, სლუკუნებდა და ისე გამწარებული ტიროდა, ხალათი დამისველა მისმა ცრემლებმა. თვალი თვალისა წილო, - იტყოდა ალბათ რეტლიფი, რადგან ჩემი ცხვირიდან წვეთ-წვეთად დადენილი სისხლი ლინდას კაბის სახელოს უთხუპნიდა. თუმცა, იმდენი მოვახერხე, ცალი ხელი გამომეთავისუფლებინა და მის მხარს ზემოთ ცხვირსახოცი ამომელო პიჯაკის ჯიბიდან. ჯერჯერობით ესეც კმაროდა, ვიდრე სულ გავთავისუფლდებოდი და ონკანს მივწვდებოდი ცივი წყლის მოსაშვებად.

- გეყოფა! - ვუთხარი. - გეყოფა-მეთქი! - ის კიდევე ტირილს უმატებდა, უფრო მაგრად მეკვროდა და იმეორებდა:

- მისტერ გვეინ, მისტერ გვეინ, ო, მისტერ გვეინ!

- ლინდა! - ვუთხარი. - მისმენ? - პასუხი არ გაუცია, ოღონდ მეტი ძალით ჩამეჭიდა, მომეყრდნო და მომეყრდნო მკერდზე. - გინდა, ცოლად გამომყვე?

- კი! - აღმოთქვა მან. - კი! კი!

მაშინ ნიკაპქვემ ხელი ამოვდე, მკერდს მოვიწყვიტე, თავი ავაწვევინე და ვაიძულე, პირდაპირ თვალებში შემოეხედა. რეტლიფმა მიაძხო - მაკკერონს ნაცრისფერი თვალები ჰქონდაო, - ალბათ ისეთივე ფოლადისფერდაკრული, როგორც ჰებ ჰემპტონს აქვს. ოღონდ ლინდას ნაცრისფერი არ ჰქონია თვალები, მუქი საფირონისფერი ჰქონდა, - მუდამ ამგვარი წარმომიდგებოდა ხოლმე ჰომეროსისეული საფირონის ზღვა.

- ყური მიგდე! - ვუთხარი. - გინდა გათხოვება? - არა, ჭკუა არაფრის მაქნისია იმათთვის, საუბრის დროს თუ დასჭირდებათ, ხალხთან საურთიერთოდ. თუმცა იმნაირებიც შემხვედრიან, მომხიბვლელნი რომ ყოფილან, ტაქტის მქონენი, ოღონდ - ყოვლად უტვინონი. რადგან მამაკაცებთან, ადამიანებთან შეყრისას იმათ თავიანთი ინსტინქტი ესაჭიროებათ მხოლოდ, თავიანთი ინტუიცია, თუმცა, ხანი რომ გამოხდება, ესეც უჩლუნგდებათ, ავიწყდებათ ხოლმე. იმათ თავგანწირვის ზღვარდაუდებელი უნარი სჭირდებათ, გულცივი მორალით, და კიდევ უფრო გულცივი ფაქტებით შეუბრკოლებელი.

- მერედა, აუცილებელია გათხოვება? - მკითხა ლინდამ.

- არა, რაღა თქმა უნდა. სულ ნუ გათხოვდები, თუკი არ ისურვებ.

- არ მინდა, არა, არავინ ქმრად არ მინდა! - თქვა, არა, დაიყვირა ლინდამ და ისევ მომეკრო, ისევ ჩამალა სახე ჩემს სველ, ცრემლებითა და სისხლით ერთიანად გაჟღენთილ ხალათში.

- არავინ არ მინდა! - ამოისლუკუნა. - არავინ მყავს თქვენს მეტი! თქვენი მწამს მხოლოდ! თქვენ მიყვარხართ! მიყვარხართ!

#### 14. ჩარლზ მალისონი

გევინ ბიძია შინ რომ დაბრუნდა, სახე მობანილი ჰქონდა. მაგრამ მისი ცხვირის, მისი ტუჩის შემხედვარე მაინც ყველაფერს მიხვდებოდი კაცი. ხალათს და ჰალსტუხს ხომ ისეც ვერაფერს მოუხერხებდა, ახალს თუ იყიდდა - შაბათობით მაღაზიები გვიანობამდე არ იკეტებოდა. ოღონდ ყიდვით არაფერი უყიდია. დედა მაინც შეიტყობდა ყოველივეს; იქნებ უეჭველად ასე ხდება ხოლმე, როცა თქვენ და თქვენი დაია ტყუპად ხართ გაჩენილი. კი, ჩემო ბატონო, ბორმანქანებმა ლაპარაკი რომ იცოდნენ, დედაჩემის ხმა სწორედ ბორმანქანისას ემსგავსებოდა; აღარც იცინოდა, აღარც ტიროდა, იმასაც აღარ ამბობდა - გევინ, გევინ, ღმერთო, ეს რა უბედურებააო. ჰოდა, გევინ ბიძია ზევით ავიდა, რათა ვახშომობისთვის სუფთა ხალათი ჩაეცვა და სუფთა ჰალსტუხი გაეკეთებინა, და მაშინ კი თქვა დედამ:

- გონებას უყალიბებს, ჰო.

კაცი იტყოდა, გევინ ბიძია ყველაფერს გაუძლებს, ოღონდ კი დარტყმით არ მოცელონ და ცხვირ-პირი არ დაუსისხლიანონო. ისე, მისტერ დე სპეინს მაშინ, მეჯლისის დღეს ეზოში რომ არ წაექცია, გევინ ბიძია თვითონვე დაივიწყებდა მისის სნოუპსს და აღარც

ლინდას გონების ჩამოყალიბებისთვის იზრუნებდა, ხოლო მატ ლივიტი კაბინეტში რომ არ შევარდნოდა და ცხვირიდან სისხლი არ ედინებინა მისთვის, გევინ ბიძია ლინდას გონების ჩამოყალიბებაზე თვითონვე აიღებდა ხელს, სულ აღარ დასჭირდებოდა ამ საქმის მიყოლა.

ახლა კი ვერ შეჩერდებოდა, აღარ შეეძლო შეჩერება. ოღონდ ერთი კია, რომ მატ ლივიტისგან მაინც დაიხსნა თავი. გაზაფხულზე იყო ეს ამბავი. ლინდა ბოლო კლასში სწავლობდა, მასში სკოლას ამთავრებდა, ჰოდა, ნასკოლევს ყოველდღე ვხედავდი, როგორ ბრუნდებოდა სახლისკენ თავისი წიგნებით დატვირთული. არაფერი ვიცი, ლექსები თუ იყო იმ წიგნებში, იმიტომ, რომ ახლა კრისტიანის საკონდიტროსთან ჩავლისას ლინდა იქითკენ არც იხედებოდა. პირდაპირ იყურებოდა თავაწეული, როგორც პოინტერს სჩვევია ნაბულის გაკეთების წინ. ისე მიდიოდა, თითქოს მთელ ხალხს და მთელ ჯეფერსონს, მთელ მოედანს კარგად ხედავსო, რადგან იმწუთას, ყოველ წუთს ისე უნდა ჩაეველო გვერდი რაღაცისთვის, რომ არ შეჩერებულიყო, ჯეფერსონი იქნებოდა ის რაღაცა თუ ჯეფერსონელთა ჯარი, წინ უნდა ევლო, მორჩა და გათავდა.

ოღონდ გევინ ბიძიაც აღარსად ჩნდებოდა იქ, ვითომ შემთხვევითაც აღარ ენახებოდა. და თუ ახლა გევინ ბიძია მის პირდაპირ მარმარილოს მაგიდას არ უჯდა კრისტიანის საკონდიტროში და არ შესცქეროდა, როგორ მიირთმევდა ლინდა მაღალ-მაღალი ჭიქიდან თხუთმეტი იქნებოდა თუ ოცი ცენტის საღირაღ რაღაცას, სამაგიეროდ მატ ლივიტიც აღარსად ჩანდა ახლომახლო. გარაჟის დაკეტვის შემდეგ თავის ნახმარ მანქანაში ჯდებოდა მატ ლივიტი და ის მანქანა უმცირესი სიჩქარით მილოღავდა მოედანზე ტროტუარის გასწვრივ, ოღონდ თუ ჩამორჩებოდა, თითქმის გვერდიგვერდ მიჰყვებოდა, როცა კი ლინდა თავის მეგობრებთან ერთად კინოსკენ მიდიოდა მაღლა თავაწეული და ერთხელაც არ მიხედავდა, ვიდრე ის მოჩოჩიალე მანქანა მის იდაყვს მისწებებოდა ლამის და საყვირიც ჩუმ ხმაზე მიჰიპინებდა. ასე მიადგებოდნენ ხოლმე კინოს, იქ ქალიშვილები კარში გაუჩინარდებოდნენ, მანქანა კიდევ მთელი ძალით გავარდებოდა, შეუხვევდა, ერთ კვარტალს გაიქროლებდა, მეორე შესახვევიდან გამოიჭრებოდა სირენააკვილებული, კინოს შესასვლელთან გაიგრილებდა და ისევ კვარტალს უვლიდა გარშემო კვილ-კვილით. ამასობაში იმ შესახვევისკენ ოტის ჰარკერი გამორბოდა, ლამის პოლისმენი (გროვერ კლივლენდ უინზუში საიმდროოდ უკვე გადამდგარი გახლდათ), გააჩერე, გააჩერეო - ღრიალებდა, ოღონდ მაშინვე განზე უნდა გამხტარიყო, რათა მანქანას არ გაეჭყლიტა.

კვირადღეობით კიდევ ის სირენა მოედანზე კიოდა და მატს დღის პოლისმენი მისდევდა ღრიალით, მისტერ ბაკ კონნორსი. ჰოდა, ახლა მატს გვერდით ქალიშვილი უჯდა, სოფლელი გოგო, კაცმა არ იცის, რომელ მხარეში ნაპოვნი, და მანქანა მოსახვევში მიქროდა ღრიალ-ღრიალით ქალაქის განაპირა უბნამდე, ოღონდ ლინდას სახლთან სვლას ანელებდა ყურისწამლებად მოხმინანე. გეგონებოდათ, ჯეფერსონში ავტომობილის საყვირი ყოფილიყოს უნუგემო სიყვარულის ან თუნდაც გატაცების, ანდა იქნებ ხელის მოცარვის ერთადერთი უცვლელი სიმბოლო.

ოღონდ იმ დღეს მისტერ კონნორსმა თავად შერიფს გაუგზავნა კაცი ამბის შესატყობინებლად. ჯერ ის ვიფიქრე, ოტის ჰარკერს გავაღვიძებინებ, გამოვიდეს და მომეშველოს-მეთქი, - უთქვამს მისტერ კონნორსს. მაგრამ ოტისს რომ გაუგია, მისტერ კონნორსს მატის მანქანის დაკავება უნდაო, ლოგინიდანაც არ წამომდგარა. მერე, მცირე ხანი რომ გავიდა, ვიღაცამ ჰკითხა მატს - ნუთუ შერიფი რომ შერიფია, მისტერ ჰემპტონი, ნუთუ მანქანას იმასაც დაატაკებდიო? ჰოდა, მატმა, მთელი ამ ამბების მერე



რომ იჯდა და ტიროდა გულს შემომსკდარი, ასე უპასუხა: - დავატაკებდიო? ჰებ ჰემპტონს დავატაკებდიო? აბა, სწორედ იმის აყროლებულ შიგანს დავასვრევიებდი ჩემს მანქანას! - ერთი კია, რომ იმგზობაზე მისტერ ჰემპტონს არც დასჭირვებია საქმეში ჩარევა, რადგან მათი მაშინვე გაქრა ქალაქიდან, იქნების თავისი გოგო გაამგზავრა შინისკენ. მაგრამ იმავე ღამეს, ასე, თორმეტი საათისთვის, მისტერ ჰემპტონს დაურევს - ვინმე გამოგზავნეთო კალედონიაში, რადგან მატს კარგა მაგარი ჩხუბი მოსვლია ენს მაკკალემთან, მისტერ ბადდი მაკკალემის ერთ-ერთ ვაჟიშვილთან; ჰოდა, ენს, არ ვიცი, სარი ამოუმერია ღობიდან, არ ვიცი სხვა რაღაცა მოუმარჯვებია, და ალბათ იქვე მისაღებდა მატს, მაგრამ ამასობაში გაუშველებიათ და გაკავებული ჰყოლიათ, ვიდრე ვიღაცა შერიფს ურეკავდა. მერე ორივენი ქალაქში ჩამოიყვანეს და ციხეში ჩამწყვდიეს. მეორე დილას კიდევ ხისფეხიანმა მისტერ ბადდი მაკკალემმა ჩამოაკითხა, ჯარიმა გადაიხადა, ა. ო. სნოუპსის თავლის უკან გაიყვანა ორივე ერთ უკაცურ ადგილას და თავის ენს უთხრა:

- მაცალე მე შენ! პატოსანი ჩხუბი არ იცი, სარი უნდა გეჭიროს ხელში, ხომ? ჰოდა, ნახავ აგერ, წავიდრობ ამ ხის ფეხს და დაგირთავ კარგად!

ამის მერე ყმაწვილკაცებმა ისევ დასცხეს ერთმანეთს უსაროდ და უიარალოდ, თავად მისტერ ბადდი და კიდევ რამდენიმე კაცი იდგნენ და უყურებდნენ. ენსი რას მივიდოდა ოქროს ხელთათმანების პატრონ მატთან, მაგრამ მაინც მანამდე უძალიანდებოდა, სანამ მისტერ ბადდომ არ თქვა: - მორჩა, გეყოფათ ახლა. - მერე ენს უბრძანა: - ჭასთან მიდი, სახე მოიბანე და ჩვენს მანქანაში დამიცადეო, მატს კიდევ უთხრა: - კი გიწია იმ დრომ, აქაურობას რომ მოცილდე ნამდვილად. - თუმცა ეს საქმე უმისოდაც მოეხდინათ უკვე: გარაჟის ხალხმა უთხრა - მათი უკვე დაითხოვესო, მაგრამ მატმა იქვე უპასუხა:

- დამითხოვეს, კი, როგორ არა! მე თვითონ გავასწორე ანგარიში. ერთი პირში მითხრას იმ დამპალმა, - დაგითხოვეო. - ოღონდ ამასობაში შერიფი ჰემპტონიც მოვიდა, მაღალ-მაღალი, მუცელწამოზრდილი, და მატს მიაცივდა თავისი მსუსხავი ნაცრისფერი თვალებით. - ვინ ეშმაკებმა გააქრო ჩემი მანქანა? - იკითხა მატმა.

- მე მიყენია სახლში, - უთხრა მისტერ ჰემპტონმა. - ამ დილას ვუბრძანე, - წაიყვანეთ-მეთქი.

- ესაა საქმე? - თქვა მატმა. - კიდევ კარგი, რომ მაკკალემმა მანამდე გადაიხადა საჩემო ჯარიმა, სანამ თქვენ ჩემს ავტომობილს გააქანებდით და ფულს ჩაიჯიბავდით, ხომ? იმისას რას იტყვიოთ, რომ ავდგე ახლა, იმ ჩემს მანქანაში ჩავჯდე და დავქოქო?

- არაფერს, შვილო, - უთხრა მისტერ ჰემპტონმა. - ჩაჯექი და მოუსვი, როცა მოგეხასიათოს.

- ახლა კი ხართ თანახმა, - თქვა მატმა. - ჰო, წავალ ამ თქვენი ჭირიანი ქალაქიდან, ოღონდ სირენას კი ავაყვირებ გემოზე. ამ ამბის მოთმენაც მოგიწევთ, ასე ვიცი მე. ჰო, რას მიბრძანებთ?

- არაფერს, შვილო, - უთხრა მისტერ ჰემპტონმა. - მოდი, მოვრიგდეთ მე და შენ. რამდენიც მოგეხასიათოს, იმდენი აყვირე ჩვენი ოლქის ზედ საზღვრამდე და თუგინდ საზღვარს იქითაც ერთი ათ ფუტზე, ჰოდა, კაციშვილს თითხაც არ დავაკარებინებ შენთვის, თუკი იმას შემპირდები, რომ მეტი არასოდეს გადმოსცილდები იმ ჩვენს საზღვარს.

ამით მოთავდა ეს საქმე. ეს ამბავი ორშაბათს, ბაზრობის დღეს მოხდა. კაცი იფიქრებდა, მთელი ოლქი ჩვენს ქალაქში შეყრილაო. ყველანი მდუმარედ იყვნენ მოედანს შემოჯარულნი, რათა დაენახათ, როგორ ჩაივლიდა იმ მოედანზე მატ ლივიტი უკანასკნელად. გვერდით ფიბრის ჩემოდანი ედო (სწორედ იმ ჩემოდნით მოველინა პირველად ჯეფერსონს), სირენის კვილი-კვილით მიჰყავდა მანქანა. ხელიც არავის დაუქნევია გამოსამშვიდობებლად და არც მატს შეუხედავს ვინმესთვის: ყველანი უხმოდ მისჩერებოდნენ ნელი სვლით მიმავალ მანქანას - მოხმაურობდა მოედანზე ის ავტომობილი, ხასხასა ფერებით შეღებილი, უტიფარი, გამომწვევი და, ამასთან, რადანაირად უჩვეულო და მილეული შესახედავი, გინდაც საბავშვო სათამაშო ყოფილიყოს, ნამდვის ხეზე ჩამოსაკიდებელი ზიზილა, ასე რომ, კაცი იტყოდა, მემფისამდეც ვერაფრის დიდებით ვერ ჩააღწევს, ოჰაიოსი რომ აღარაფერი ითქვასო; მოედანს გასცდა და იმ ქუჩას გაუყვა, ქალაქის განაპირა უბანში მემფისის გზატკეცილზე რომ გადიოდა, სირენა კიდევ მიკიოდა და მიღრიალებდა, კედლებიდან ექოდ არეკლილი ათასჯერ ძლიერ ხმას გამოსცემდა, თითქოს იმ მომცრო, საცოდავი, მილეული მანქანის ხმიანობა არც ყოფილიყოს. ჰოდა, ჩვენ, ზოგიერთი ჩვენგანი, ვვარაუდობდით - ახლა კი უქველად ლინდა სნოუპსის სახლს ჩაუვლისო, უკანასკნელად გაატარებს ნელი სვლით იქ იმ თავის აბღავლებულ მანქანასო, მაგრამ ლინდას სახლთან არ ჩაუვლია. თანდათანობით უმატებდა სიჩქარეს იმ ფართო, დაცარიელებულ ქუჩაზე, ქალაქის განაპირას მდგარი უკანასკნელი სახლების გასწვრივ, სადაც ტყეთა და ველ-მინდორთა საგაზაფხულო სივრცე ეძალებოდა უკვე და სადაც სირენის გამომწვევი კვილიც კი საცოდავად გაისმოდა, ნელდებოდა და უკვალოდ ინთქებოდა შორეთში.

ასე რომ, მამაჩემის ნათქვამის არ იყოს, ერთით ნული გამოდიოდა გვეინ ბიძიას სასარგებლოდ. ამასობაში მაისმაც მოატანა და უკვე ყველამ ვიცოდით - წელს ლინდა სნოუპსი სკოლას ამთავრებს, თავის კლასში პირველი მოწაფე არისო. ის იყო უილდერმარკის მაღაზიასთან უნდა ჩაგვევლო, რომ გვეინ ბიძია შეჩერდა, ვიტრინას მიგვაყენა და გვითხრა: - აი, ის, იქ რომ დევს, მწვანის გვერდით.

ქალის საგზაო ნესესერი იდო იქ.

- კი, მაგრამ ეგ სამგზავრო არ არის? - დედაჩემმა იკითხა.

- სწორედ, - დაუდასტურა გვეინ ბიძიამ.

- სამგზავრო, - თქვა დედამ. - გზაში სახმარი.

- არა... თუმცა ჰო, კი, - თქვა გვეინ ბიძიამ. - სწორედ გამგზავრება სჭირდება აქედან, ჯეფერსონიდან.

- ვითომ რითაა ცუდი ჯეფერსონი? - უთხრა დედამ. სამივენი მაღაზიის წინ ვიდექით და ქალის ნესესერს დავყურებდით. და მე ჩვენს ანარეკლებს ვხედავდი ვიტრინაში. დედა არც ჩუმი ხმით მეტყველებდა, არც ხმამალა, ერთობ მშვიდად მიმართავდა გვეინ ბიძიას. - ჰო, რით არის აქაურობა ლინდასთვის ცუდი?

გვეინ ბიძიამაც იმავე ხმით უპასუხა: - არ მიყვარს, როცა ტყუილუბრალოდ იკარგება რამე. ადამიანს იმის საშუალება უნდა მისცე, ყველაფერი გააკეთოს, რათა მისი ცხოვრება ამაოდ არ განქარდეს.

- უფრო სწორად, ვიღაცას საშუალება უნდა მისცე, ისე მოაწყოს საქმე, რომ ქალიშვილი ქალი ტყუილუბრალოდ არ დაღუპოს, ხომ? - უთხრა დედამ.

- კარგი, კარგი, - აღმოთქვა გვეინ ბიძიამ. - მე მინდა, ბედნიერი იყოს ის გოგო. ყველას უნდა მიეცეს იმის შესაძლებლობა, რომ ბედნიერი იყოს.

- ჰოდა, ჯეფერსონში თუ დარჩა, რაღა თქმა უნდა, ვერ მოხერხდება ეგ ამბავი.

- კარგი, კარგი, - თქვა გვეინ ბიძიამ. ერთიმეორეს არც უყურებდნენ ისინი. გეგონებოდათ, ერთმანეთს კი არ ესიტყვებიან, ვიტრინაში გამოსახულ მკრთალ ანარეკლებს მიმართავენო. ეს იმას ჰგავდა, ქალაქდზე რაღაც აზრი რომ ჩაინიშნო და ხელუხლებელ, ზედწაუწერელ კონვერტში ჩადო ის ქალაქი, ცარიელ ბოთლში ჩაუშვა, თავი გადაუბეჭდო და ზღვაში შეაცურო: ან კიდევ ორი აზრი ჩაიწერო, ის ფურცლები ორ ბოთლში ჩაბეჭდო სამუდამოდ და ორივე ერთად მისცე ზღვის დინებას, რათა ზვირთები აცურდნენ და ქვეყნის კიდემდე გააღწიონ, მარადიულ ყინულთა სამფლობელომდე: და მაინც, ის აზრები შეუხებელი დარჩება, შეუცვლელი, აზრებად დარჩება, ჭეშმარიტებად, იქნებ ფაქტებადაც, თუმცა კაცის თვალი ვერასოდეს იხილავს მათ, სხვა რაიმე აზრი მათგან არ აღმოცენდება, არსად არავის შემოეყრება, ვერც სიხარულს აღძრავს, ვერც დასტურს და ვერც მწუხარებას.

- ყველას უნდა ჰქონდეს იმის უფლებაც, შესაძლებლობაც და მოვალეობაც, ისე მოაწყოს საქმე, რომ ყველანი ბედნიერი იყვნენ, სულერთია, დაუმსახურებიათ თუ არა, სურთ თუ არა ეს ბედნიერება, - თქვა დედამ.

- კარგი, კარგი, - თქვა გვეინ ბიძიამ. - მაპატიე, რომ გაგაჩერე. წავიდეთ, სახლში წასვლის დროა. მისის რაუნსველს ჰელიოტროპების თაიგულს გავაგზავნივ.

- ვითომ რატომ? - უთხრა დედამ, ხელკავი გაუკეთა, შეაბრუნა, ვიტრინაში ჩვენი სამი გამოსახულებაც შებრუნდა და მალაზიის კარს მივადექით, შიგნით შევედით. დედა პირველი მიადგა საგზაო ნივთების განყოფილებას.

- მე მგონია, ის ლურჯი აჯობებს ყველას, მისი თვალების ფერს მოუხდება, - თქვა დედამ, - ლინდა სნოუჰისისთვის გვინდა, სკოლის დამთავრების საჩუქრად, - მიმართა მის იუნის ჰენტს, გამყიდველს.

- რა მშვენიერია! - თქვა მის იუნისმა. - ლინდა სადმე გამგზავრებას აპირებს?

- დიახ, - უთხრა დედამ. - იქნებ გაემგზავროს. ყოველ შემთხვევაში, გაისად მაინც მიაკითხავს ალბათ აღმოსავლეთის შტატების რომელიმე ქალთა კოლეჯს. ასე კი თქვეს და.

- რა მშვენიერია! - თქვა მის იუნისმა. - სულ იმას ვამბობდი - ჩვენი ახალგაზრდები, ბიჭებიც და გოგოებიც, ერთი წლით მაინც უნდა მიემგზავრებოდნენ-მეთქი შინიდან, რომელიმე კოლეჯში შედიოდნენ-მეთქი. ხომ უნდა ნახონ მაინც, ხალხი რანაირად ცხოვრობს?

- რაღა თქმა უნდა! - თქვა დედამ. - ვიდრე არ გაემგზავრები და არ ნახავ, იმედით სულდგმულობ ადამიანი. ჰოდა, სანამ შენი თვალით არ იხილავ ყველაფერს, ვერაფრით ვერ დაშოშმინდები და გაშინაურდები, ასე არაა?

- მეგი, - გევინ ბიძიამ უთხრა.

- დაშოშმინდები და იმედიც გადაგეწურება, ხომ? - თქვა მის იუნისმა. - კი, მაგრამ ახალგაზრდები იმედს რომ არ უნდა კარგავდნენ?

- არა, რაღა თქმა უნდა, - მიუგო დედამ. - არც უნდა დაკარგონ. ისედაც მუდამ ჭაბუკად უნდა დარჩე კაცი, მერამდენე წელიწადმაც უნდა მოგიკაკუნოს.

- მეგი, - გევინ ბიძიამ უთხრა.

- ჰო-ო, ნაღდი გინდა გადაუხადო, რომ ანგარიში აღარ გამოგიგზავნონ? - შეეკითხა დედა. - ძალიან კარგი. ალბათ მისტერ უილდერმარკსაც ასე ურჩევნია ვაჭრობა.

ჰოდა, გევინ ბიძიამ ორი ცალი ოც-ოცდოლარიანი ამოიღო საფულიდან, მერე თავისი სავიზიტო ბარათი ამოაყოლა და დედას გაუწოდა.

- მადლობელი ვარ, - უთხრა დედამ. - ოღონდ მის იუნისს ალბათ უფრო დიდი ბარათიც ეშოვება, ისეთი, ოთხივეს სახელი რომ დაეტიოს. - მის იუნისმა დედას დიდი ბარათი მიართვა, დედამ გევინ ბიძიასკენ გაიწოდა ხელი და დაელოდა, ვიდრე გევინ ბიძია თავის მუდმივ კალმისტარს ხუფს მოამრობდა და გაუწოდებდა, ჰოდა, ყველანი დავყურებდით, როგორ გამოჰყავდა დედას დიდრონ-დიდრონი ბატიფეხური ასოებით:

მისტერ და მისის ჩარლზ მალისონები

ჩარლზ მალისონ-უმცროსი

მისტერ გევინ სტივენსი

მერე კალმისტარს ხუფი მოარგო, გევინ ბიძიას დაუბრუნა, ბარათის კიდესცერი და საჩვენებელი თითებით დასწვდა, ბარათი ჰაერში გააქან-გამოაქანა მელნის შესაშრობად და მის იუნისს გადასცა.

- ამ სადამოსვე გავუგზავნი, - თქვა მის იუნისმა, - თუმცა სკოლას იმ კვირაში ამთავრებენ. რა მშვენიერი საჩუქარია! ბარემ დღესვე გაიხაროს ლინდამ.

- ჰო, - დედამ უთხრა, - რატომ არ უნდა გაიხაროს? - მერე გარეთ გამოვედით და ჩვენი ანარეკლები ვიტრინას შეერწყა; დედამ ისევ გამოსდო ხელკავი გევინ ბიძიას.

- ოთხივეს სახელია დაწერილი, - თქვა გევინ ბიძიამ. - ის მაინცაა, რომ მამამისი ვერ შეიტყობს - გაჭადარავებულმა ბერბიჭამ ჩემს ჩვიდმეტი წლის ქალიშვილს ტულეტის საგნებიანი საგზაო საკვოიაჟი მიუძღვნაო.

- ჰო, - უთხრა დედამ. - ერთი იმათგანი ვერ შეიტყობს ამ ამბავს.

## 15. გევინ სტივენსი

ყველაფერზე ძნელი იმის მოფიქრება იყო, როგორ მეთქვა, როგორ ამეხსნა მისთვის ეს ამბავი. ესე იგი, ამეხსნა - ამიტომ და ამიტომ-მეთქი. თავად მოქმედება, ჩემი საქციელი კი არა, ის ამბავი, რითაც საქციელი იქნებოდა გამოწვეული, რისთვისაც იქნებოდა საჭირო; ყოველივე პირდაპირ მეთქვა იმ საშინელი სინთეტიკური დომხალის მირთმევისას, იმას რომ ისე ძალიან უყვარდა, ყოველ შემთხვევაში, სულ მუდამ რომ უკვეთავდა კრისტიანის საკონდიტროში; ანდა იქნებ ქუჩაში გამეჩერებინა და ისე მიმეხალა: „დღეის იქით ჩვენ აღარ შევხვდებით ხოლმე ერთიმეორეს, რადგან მას შემდეგ, რაც ჯეფერსონი მოინელეს იმ შაბათის ყოველ წვრილმანს, როცა შენმა ბიჭმა ვითომც ჩემს კაბინეტში შეგისწრო და ცხვირიდან სისხლი მადინა, ერთი კვირის მერე გამოსამშვიდობებელი ღამე ჯეფერსონის ციხეში გაატარა, მერე ფეხთაგან სამუდამოდ განიფერთხა ჩვენი მტვერი და აქედან გაქროლდა სირენააკივლებული, - ყოველივე ამის შემდეგ ხელახლა რომ შემხვდე ნაყინით მოვაჭრე ბუნაგში, ეს იმის მაუწყებელი იქნება, რომ საბოლოოდ მოისპო ის, რაც კიდევ შემოგრჩენია შენი შეურყვნელი სახელისგან“.

გამიგეთ? მთელი საქმე ეს გახლდათ, ეს სიტყვები: „რეპუტაცია“, „შეურყვნელი სახელი“. ამ სიტყვათა წარმოთქმა, მათი არსებობისთვის სიტყვიერი გამოხატულების მინიჭება უკვე თავისთავად იმას ნიშნავდა, რომ განურინებლად შებილწულიყვნენ ისინი, დარღვეულიყო ყოველივე იმის მიუხეობა, რასაც ისინი ასახიერებდნენ, არა მარტო მოწყვლადად ქცეულიყო, - დასაღუპავადაც განწირულიყო ყოველივე. უქცეველ, ზვიად და წმინდა პრინციპთა ნაცვლად ფუჭ, იმთავითვე განწირულ, შერცხვნილ ცნებებად იქცეოდნენ ისინი და მერყევ კაცობრიულ პირობითობათა დონემდე დავიდოდნენ. უმანკოება და უბიწოება ზიანის, მწუხარების სიმბოლოდ თუ წანამძღვარად შეიქნებოდა, ისეთ რამედ, რაც მუდამ დასატირებელია, რაც ნამყო დროში არსებობს მხოლოდ: იყო და უკვე აღარ არის, აღარ არის, აღარ არის.

აი, ეს გახლდათ ყველაფერზე ძნელი, თორემ ყოველივე ამის ცხოვრებაში აღსრულებაზე ადვილი რა უნდა ყოფილიყო. ჩემდა ბედად ის ამბავი შაბათ დღეს გადამხდა, ასე რომ, მე და სახეს ჩემსას ოცდათორმეტი საათი გვქონდა ბოძებული, ვიდრე ხალხში გამოჩენა მოგვიხდებოდა (იქნებ გაცილებით ნაკლები დრო დამჭირვებოდა, იმის ბეჭედი რომ არა, სპილენძის კასტეტზე ოდნავ მომცრო, ბაჯალლო ოქროს რომ ჰგავდა ზედმიწევნით, მით უმეტეს, თუკი ძალიან არ დაუკვირდებოდი; იმ ბეჭედზე კიდევ ვეფხვის თავი იყო ნაქანდაკარი, კბილთა შუა ყალბი ლალის მჭერელი ოდესმე. ჰო, მე მგონია, ყალბი იყო ის თვალი და მისი დაკარგვით ჩემი ტუჩის მეტი არავინ დაზარალებულა).

ისე, საკონდიტროში ყოველ კვირასაც როდი ვხვდებოდით ერთმანეთს, ყოველდღე შეხვედრისას აღარაფერს ვამბობ. ასე რომ, შეიძლება მთელ კვირას გაევილო, ვიდრე, ჯერ ერთი, ვინმე შეამჩნევდა - აგერ ერთი კვირა იქნება, აღარ შეყრილანო. და, მეორეც, მაშინვე დაასკვნიდა - თუ დასამალი არა აქვთ რაღაცა, ერთიმეორე მთელ კვირას რატომ არ უნახავთო, და, მესამეც, რაკი ერთ კვირას გაძლეს და მაინც შეიყარნენ, ესე იგი, რაც მანამდე ივარაუდებოდა, ყველაფერი დასტურდებაო.

ოღონდ საიმდროოდ მე უკვე შემეძლო, წვერი ისე გამეპარსა ხოლმე, გახეთქილი ტუჩი აღარ მეგრძნო. ასე რომ, ყოველივე მარტივად აეწყო, სულ მარტივად, ჰოდა, მეც გულმარტივი გახლდით და არიფი. მოგონებით ასეთი რამე მოვიგონე: ზუსტად, წუთიწუთზე შემთხვევით გამოვიდოდი საკონდიტროდან, ხელში, ვთქვათ, ჩიბუხის თამბაქოს კოლოფი მეჭირებოდა და იმ კოლოფს ჯიბისკენ წავიდებდი სწორედ იმ დროს, როცა იქ სკოლისკენ მიმავალ ლინდას უნდა ჩაევილო: „დილა მშვიდობისა, ლინდა“, -

თან ჩავუვლიდი და იქვე შევჩერდებოდი: „ახალი წიგნი მაქვს საშენოდ. მოდი, შევხვდეთ გაკვეთილების მერე, თითო ჭიქა „კოკა-კოლა“ დავლიოთ“.

თითქოს მეტი არაფერი იყო საჭირო, რადგან გულმარტივი გახლდით და ერთხელაც აზრად არ მომსვლია, იმ ლამის ოქროსგან გამოძერწილი, ლალამოვარდნილი ვეფხვის თავის დარტყმამ ლინდაც რომ დაჭრა, თუმცა ნაჭრილობების კვალი არ დარჩენილა; რომ უმანკოება იმიტომ კი არ არის უმანკო, უარს რომ ყოფს, არამედ იმიტომ, რომ იღებს; უმანკო იმიტომ კი არ არის, ამქვეყნად ყოველივესთვის განუგმირავი და მოუწყველელი რომაა, არამედ იმიტომ, რომ იმის უნარი აქვს, ყოველივეს გაუძლოს და მაინც უმანკოდ დარჩეს; უმანკოდ, რამეთუ ყველაფერი გათვალისწინებული აქვს და ამის გამო შიშის განცდას აღარ უნდა უფრთხოდეს. თამბაქოს კოლოფი უკვე ჯიბეში მედო, რადგან ერთობ თვალში საცემი შეიქნა, რომ ხელში მეჭირა ის კოლოფი; უკვე ჩაიარეს უკანასკნელმა პატარებმა, წიგნებით დატვირთულებმა, სკოლის ზარის პირველი ახმინების მოლოდინში ფეხაჩქარებულებმა, ლინდა კი არა და არ ჩანდა; როგორც ეტყობოდა, გამომპარვოდა თვალთაგან: ან ძალიან გვიან დამეკავებინა ჩემი პოსტი, ან კიდევ სხვა გზით ევლო იმას სკოლისკენ, ანდა იქნებ იმ დღეს სულაც აცდენდა გაკვეთილებს რაღაც-რაღაც მიზეზთა გამო, და ის მიზეზები არაფრით არ იყოდაკავშირებული ასაკში შესულბერბიჭასთან, ვინც იმ გოგოს პოეტებს აცნობდა, ჯონსონს, გერიკს, ტომას კემპიონს; მოწაფეთაგან დაცლილი ქუჩა გადავჭერი და კიბეს შევუყევი, რამეთუ ხვალინდელ დღესაც მოვესწრებოდი, ისიც კი შემემლო, იმავე თამბაქოს კოლოფი მომემარჯვებინა მეტი დამაჯერებლობისთვის, თუკი ამასობაში ცისფერი ეტიკეტი არ ასძვრებოდა; მერე კარი შევალე და ჩემს კაბინეტში შევედი.

ლინდა სკამზე იჯდა, საწერ მაგიდასთან მიდგმულ მარჯვედ ჩასაჯდომ სავარძელში კი არა, არც მომსვლელთათვის განკუთვნილ ტყავადაკრულ სავარძელში, - წიგნების თაროსთან მდგარ უსახელურო, მაგარ სკამზე. თითქოს ერბინოს, ეფრინოს აქეთ გამოშურებულს, ვიდრე კედელს არ გადააწყდა, და მერელა შეჩერებულიყოს, მერელა დაშვებულიყოს იმ სკამზე არც მთლად გამართული, ოღონდ არც მოხრილი; რადგან ფეხები, მუხლები მჭიდროდ კი ჰქონდა დატყუპებული და ხელებიც მტკიცედ შეეტყველვა მუხლისთავებთან, მაინც თავი აიღო და თვალი არ მოუმორებია ჯერ კარისთვის, მერე ჩემთვის. ის თვალები მაკერონისგან ჰქონდა მემკვიდრეობით მიღებული, შორიდან შავ-შავი უჩანდა თმასავით, ოღონდ მერე შეამჩნევდით, ლურჯი თვალები, ისეთი მუქლურჯი, ლამის იისფრად მოგეჩვენებოდათ.

- მე ვიფიქრე... - აღმოთქვა მან. - ვიღაცამ მითხრა - მატმა სამუშაო მიატოვა და გუშინ აქედან წავიდაო. ჰოდა, ვიფიქრე, იქნებ თქვენ...

- რაღა თქმა უნდა, - ვუთხარი. - შენი ნახვა ყოველთვის მიხარია, - და მაშინვე თავი შევიკავე. რომ არ მეთქვა: იქ გელოდებოდი, ქუჩის კუთხეში, ბოლო ზარის დარეკვამდე გელოდებოდი, როდის ჩაივლის-მეთქი; თუმცა კაცმა რომ თქვას, თავი იმისგან შევიკავე, რომ არ მეთქვა: ადექი! ახლავე წადი აქედან! რამ მოგიყვანა? ნუთუ არ გესმის, რომ ამ ამბის გამო ერთი ღამეც არ მიძინებია შაბათს აქეთ? - ოღონდ ის ვთქვი მხოლოდ - ერთი კოლოფი თამბაქო ვიყიდე და ახლა ვიღაც უნდა მოვძებნო ისეთი, ვინც მის მოწევას შეძლებს, თუ მოისურვებს-მეთქი, ჰოდა, იქვე დავძინე, რაკი სიტყვამ მოიტანა: - ახალი წიგნი მაქვს საშენოდ. დილას წამოღება დამავიწყდა, მაგრამ საშუადღედ წამოვიძვანებ. გაკვეთილების მერე საკონდიტროში დაგიცდი და ნაყინზე დაგპატიჟებ. ოღონდ ახლა გაიქეცი, ისედაც დაგვიანებული ხარ.

კარის სახელურისთვის ხელი არც მქონდა შეშვებული, ასე რომ, იმის მეტი არაფერი მჭირდებოდა, ხელახლა გამომელო. ჰოდა, ის მჭირდებოდა კიდეც, იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე ლინდა ოთახს გამოივლიდა, ათასგვარი მომსკდარი ვარაუდი განმემორებინა: კაბინეტში ხომ არ დავიმალო, ვითომ ამ დილას სულაც არ მოვსულვარ, და ლინდას მარტოს ვაცალო-მეთქი წასვლა; კიბემდე ხომ არ მივაცილო და მამაშვილურად ალერსიანი მოპყრობით ხომ არ გავისტუმრო-მეთქი; სკოლამდე ხომ არ მივყვე, თვალი მივაღვენო, სანამ კარში შევიდოდეს-მეთქი, ვითომ - ოჯახის მეგობარს მეზობლის ბალდი გაკვეთილების გაცდენას გადაურჩენია და სკოლის წიაღში მოუგვრიაო. ოჯახის მეგობარს, ფლემ სნოუპსის ოჯახის მეგობარს, იმ ფლემ სნოუპსისას, ვისაც მეტი მეგობარი არ ჰყოლია, ვიდრე ყაჩაღ პისტოლს; იულა უორნერის მეგობარს, იმ იულა უორნერისას, ვის მეგობრებსაც კაციშვილი მეგობრებად არ მოიხსენიებდა, მესაღინას ან მშვენიერი ელენეს მეგობრების არ იყოს.

ჰოდა, ამასობაში ყველაფერი ერთად მოვიმოქმედე: ჯერ კაბინეტში შევეყოვნიდი, იმდენ ხანს შევეყოვნიდი, რომ მერე კიბეზე ლინდას დადევნება მომიხდა; მერე ქუჩაში გავყევი, ოღონდ ისე არ დავცილებივარ, რომ არ შევემჩნიეთ, ყურადღება არ მოექციათ. ამის მერე ერთადერთი ისღა დამრჩენოდა, ჩემი დისწული დოლარიანით მომესყიდა და წიგნი გამეტანებინა. არც მახსოვს, რა წიგნი იყო, ალბათ არც დამიხედავს.

- კარგი, სერ! - მითხრა ჩიკმა. - ესე იგი, ნასკოლევს კრისტიანის საკონდიტროში დავხვდები, წიგნს გადავცემ და ვეტყვი - გევიზ ბიძიაც შეეცდება მოვიდეს, ოღონდ თქვენ ნუ დაუცდით-მეთქი. ჰო, კიდეც ნაყინზე უნდა დავპატიჟო, ოღონდ არ აჯობებდა დრო ტყუილად რომ არ დამეკარგა და პირდაპირ სკოლაში მიმეტანა ეს წიგნი?

- მართალი ხარ, - ვუთხარი. - არ აჯობებდა, ეს დოლარი შენთვის არ მომეცა?

- ნაყინზეც უნდა დავპატიჟო, ხომ? ჰოდა, ამის ფულიც იმ დოლარიდან გადავიხადო?

- კარგი, - ვუთხარი მე, - ოცდახუთი ცენტი შენი იყოს. ლინდამ ბანანის პლომბირი თუ მოინდომა, შენ შეგიძლია წყალი მიირთვა და ერთი ნიკელი შეირჩინო კიდეც.

- იქნებ ლინდამ „კოკა-კოლა“ დალიოს და მეტი არაფერი მოინდომოს, - მითხრა იმან, - მაშინ მეც დავლევ და თხუთმეტი ცენტი მაინც დამრჩება.

- მით უკეთესი, - ვუთხარი მე.

- სულ არაფერი რომ არ მოინდომოს?

- მით უკეთესი-მეთქი, გითხარი, - ვუპასუხე მე.

ახლა ისღა დამრჩენოდა, დათქმულ დროს დავლოდებოდი; აღარ დაადგა საშველი ოთხის ნახევრის გახდომას, ათასგვარი ეჭვი მომეძალა, გაუთავებელი და მტანჯველი წინაუკმობა. გამიგეთ? მარტო პაემნის დასანიშნად კი არ წამაქეზა იმ გოგომ, - ისეთი პაემნის დასანიშნად, რომლის დროსაც უნდა დამედუპა, დამელეწა, გამენადგურებინა, ჩამეკლა რაღაც, - დამასწრო კიდეც თავისი სიმარტივით და უბრალოებით.

ჰოდა, ახლა ისღა დამრჩენოდა, დავლოდებოდი. იმას დავლოდებოდი, დრო როდის გაივლიდა, უნდა გამემლო ამ დროის გასვლამდე; ჩემიკაბინეტის ფანჯარასთან შემემლო მომეცადა, უკეთესიც კი იყო აქ ლოდინი, ვიდრე სხვა რომელსამე ადგილას, რადგან

ფანჯრიდან საკონდიტროს შესასვლელი ჩანდა, ასე რომ, მოთმინებით აღჭურვა მმართველმა მხოლოდ. გაკვეთილების დამთავრების ზარს ვერ გავიგონებდი, საამისოდ ერთობ შორს იყო ჩემი კაბინეტი, მაგრამ იმის დანახვა კი შეიძლებოდა, როგორ გამოეფინებოდნენ სკოლიდან ისინი: თავდაპირველად სულ პატარები, პირველ და მეორეკლასელთა გაფანტული ნაკადები; მერე შუათანა კლასები - მოხმაურენი, ცელქნი, ბიჭები მაინც განსაკუთრებით; ბოლოს უფროსკლასელები და მათ შორის წლებანდელ წელს დამამთავრებელნი - საკუთარი ღირსებით დატვირთულნი, სიმწიფედაწყებულნი და ამის გამო გაგარეულებულნი; აჰა, ისიც გამოჩნდა, ტანმალა (არც ისე ძალიან მალა, მაგრამ მაინც სხვათა უმაღლესი, გინდაც ყანჩა ყოფილიყოს, ბაყაყთა და თავკომბალათა შორის ჩამდგარი ჭაობში), წამით შეჩერდა საკონდიტროს შესასვლელთან, უკაცურ კიბეს ამოხედა, მერე შიგ შევიდა ხელით სამი წიგნის მჭერელი. იმ სამი წიგნიდან ერთ-ერთი ჩემი შეიძლებოდა ყოფილიყო, ჰოდა, ისიც გავიფიქრე: ესე იგი, ჩიკს ის წიგნი სკოლაშივე გადაუცია, ოცდახუთი ცენტი შეუტყაპუნებია იმ მამამაღლს.

ოღონდ ამასობაში ჩიკიც დავინახე; ისიც საკონდიტროში შევიდა და ხელთ იმასაც წიგნი ეჭირა, ჰოდა, ამგვარი რამე ვიფიქრე: უნდა მომესაზრებინა, ერთი ჭიქა უნდა მომესაზრებინა, ერთი ჭიქა წყალი დამესხა ჩემთვის, დინჯად გადამეთვალა, ასე, სამოციოდე წამი, დაახლოებით ის დრო, რაც სოდიანი წყლის გამყიდველს, სკიტს მაკვაუნს დასჭირდებოდა, რათა რომელიმე უმცროს თუ უფროსკლასელ გოგოსთან ლაზლანდარობას შეშვებოდა და შეკვეთა მიეღო, ჰოდა, მერე მეც დამელია ის ერთი ჭიქა წყალი, როგორც „კოკა-კოლას“ შესვამდნენ ისინი, ოღონდ ამასობაში ისიც გავიფიქრე: იქნებ ლინდამ პლომბირი შეუკვეთა, იქნებ კიდევ მაქვს-მეთქი დრო, - და უმაღლეს ადგილს მოვწყდი, უმაღლეს გასასვლელს მივასკდი, კარი მანამდე გამოვადე, ვიდრე ჩემს თავს ვაიძულებდი შევჩერებულიყავი: ხომ არაფრით არ შეიძლება ვინმემ თავისი თვალთ იხილოს, როგორ მიჭენაობს კიბეზე კაბინეტიდან გამოჭრილი ოლქის პროკურორი, მერე ქუჩას როგორ გადაირბენს და როგორ შევარდება საკონდიტროში, სადაც დამამთავრებელი კლასის მოწაფე ელოდება, თექვსმეტი წლის ქალიშვილი!

ოღონდ დროულად კი მივუსწარი, სულზე მივუსწარი. ჯერ არ დამსხდარიყვნენ, ანდა იქნებ ლინდა უკვე წამომდგარიყო და ორივენი მაგიდასთან იდგნენ, ლინდას ოთხი წიგნი ეჭირა ხელში. ჰოდა, შემომხედა, უკანასკნელ წამს შემომხედა იმ თავისი თვალებით, მუქნაცრისფერი თუ ლურჯი რომ უჩანდა, ვიდრე კარგად არ ჩააცქერდებოდი.

- უკაცრავად, რომ დავაგვიანე, - ვუთხარი. - იმედია, ჩიკმა გაგაფრთხილა, არა?
- არაფერია, - თქვა იმან. - სულერთია, სახლში ვარ უკვე წასასვლელი.
- „კოკა-კოლას“ შეუსმელად? - შევეკითხე მე.
- სახლში ვარ წასასვლელი, - მითხრა იმან.
- კარგი, სხვა დროს იყოს, - ვთქვი მე. - გადავდოთ.
- დიახ, - თქვა იმან, - ახლა სახლში ვარ წასასვლელი. - მე გვერდზე გავდექი, კარისკენ გზა მივეცი.
- არ დაგავიწყდეს, ოცდახუთ ცენტს რომ შემპირდი, - მითხრა ჩიკმა.



მერე დამასწრო, კარი თვითონ გამოუღო და ჩვენ შორის ჩადგა, მაშინვე გაგვთიშა, დაგვაშორიშორა, ვიდრე ის ქალი რამეს მიხვდებოდა; ჰოდა, მერე ლინდას ისიც აღარ დასჭირვებია, რომ შეჩერებულიყო, უკან მოეხედა, იმას მიმხვდარიყო – საფრთხე, საშიშროება აღარ მემუქრება, სავსებით ხელშეუხებელი და დაცული ვარო; აღარც ის სჭირდებოდა, „მისტერ სტივენსო“, ეთქვა, ან თუნდაც – „მისტერ გევინ“, ანდა – „ნახვამდის“, ან კიდევ რამე ამდაგვარი; „მადლობელი ვარო“, – ამის თქმაც კი აღარ იყო საჭირო, აღარც მოხედვა. ოღონდ მოხედვით მაინც მომხედა. – მადლობელი ვარ ამ წიგნის, – მითხრა. ჰოდა, წავიდა მერე.

- ხომ გახსოვს, ოცდახუთ ცენტს რომ შემპირდი? – მითხრა ჩიკმა.

- როგორ არ მახსოვს, – მივუგე, – მერე აქ რას ატუზულხარ? გაიქეცი და დახარჯე მაგ ფული!

დიახ, ბევრ ისეთ რამეს ვაკეთებდი, რასაც ჩიკი ჯერჯერობით ვერ მიხვდებოდა. თან მართობდა, მახალისებდა ისეთ მდგომარეობათაგან თავის დაძვრენა, რომელნიც მაიძულებდა, ამგვარი უღირსი, საცოდავი ეშმაკობისთვის მიმემართა ხელახლა. ლინდამ ხომ არაფერი იცოდა (არ უნდა სცოდნოდა, ახლა მაინც, ჯერჯერობით: ასე რომ არა, რაღას მაქნისი იყო ეს ჩემი წვრილმანი უღირსი ეშმაკობები?), გულდაჯერებული ხომ ვერ იქნებოდა იქ, საკონდიტროში იმდღევანდელი ჩვენი შეხვედრის, იმ ორი-სამი (არ ვიცი – რამდენი) წუთის ასავალ-დასავალისთვის; სწორად, დანამდვილებით არ იცოდა, მართალი უთხრა ჩიკმა თუ არა: მართლა დავაბარე თუ არა ჩიკს – დამაგვიანდება-მეთქი, ჰოდა, ჩემი დისწული მივუგზავნე ლინდას ერთგულ მაცნედ და ამფსონად ჩემს მისვლამდე, თუკი მივიდოდი საერთოდ, თუკი მოვევლინებოდი; ეს კიდევ იმას ნიშნავდა, მე იმდენად უფროსი კაცი ვიყავი, იმდენად თავგზააბნეული, ისიც კი არ მესმოდა, რანაირ წყენას ვაყენებდი ლინდას იმითაც, რომ იძულებულს ვხდიდი, მჯდარიყო და მოეცადა, და იმითაც, რომ ათი წლის ლაწირაკს ვუგზავნიდი ამფსონად იმის მოვარაუდე – გამოსაშვები კლასის თექვსმეტ წელს გაცილებული ქალიშვილი იმ ლაწირაკს მასლაათს გაუბამს-მეთქი; მერე ვინ იცის, იქნებ განზრახვაც ჩავიდინე ეს: ჯერ პაემანი დავუნიშნე, მერე კი ჩემ მაგივრად ათი წლის ბიჭი მივუგზავნე, თითქოს დელიკატურად მენიშნებინოს – რა გინდა, რას გადამეკიდე-მეთქი?

ასე რომ, იმდენი უნდა მემარჯვა, როგორმე ლინდას განწირული გულოვნება არ გამოეჩინა და არ შემკითხოდა – მაინც რომელი არისო სიმართლე? აი, ეს მართობდა და მახალისებდა, გამიგეთ? – მას რომ გავექცეოდი, გავერიდებოდი ხოლმე, ის ამბავია. ეს ყმაწვილობა გახლდათ, ოღონდ უკულმა შებრუნებული: უცოდველი ჭაბუკი ხომ მიისწრაფვის ხოლმე ქალიშვილისკენ, იმითვე დამფრთხალი, რაც ესოდენ იზიდავს თავისკენ, უმარჯვოდ, შიშნეულად აგვარებს შემთხვევით შეყრის საქმეს, თან ხელს არც შეახებს გოგოს, ერთხელაც არ შეახებს, არც აქვს შეხების იმედი, არც კი სურს ეს; ყოველი შეხების ეშინია ხოლმე; ოღონდ კი იმავე ჰაერს ისუნთქავდეს, ოღონდ კი მასაც იგივე ნიავი ხვდებოდეს, რაც მისი შეყვარებულის ჰაეროვან სხეულს ელამუნება; ჰოდა, ახლა იმ გოგოს ხელიდან შემთხვევით დავარდნილი ხელთათმანი თუ ცხვირსახოცი, ანგარიშიშეცემლად მოსრესილი ყვავილი, თუგინდ მეცხრე-მეათე კლასის სახელმძღვანელოც – რომელიმე გეოგრაფია ან გრამატიკა, ან კიდევ არითმეტიკა, რომლის სატიტულო ფურცელზე საკუთრივ იმ გოგოს ჯადოსნური ხელით არის დაწერილი მისივე სახელი, – ახლა ეს ასჯერ უფრო აფრთხობს და აღელვებს ბიჭს, ვიდრე ოდესმე შემდეგში აღელვებს მოშიშვლებული მხრის ელვარება და გაშლილი თმის დალალი იქვე მის გვერდით დებულ ბალიშზე.

ჩემი საქმე კიდევ პირიქით იყო: ოღონდ კი არ შევხვედროდი, ერთთავად სადმე ახლოს ვყოფილიყავი და არასოდეს შევეყოდი. თავადაც მოგეხსენებათ: პატარა ქალაქში, სადაც, ჩვენი არ იყოს, სამი ათასი მცხოვრებია სულ, ასაკოვანი ბერბიჭასა და თექვსმეტი წლის ქალიშვილის შეხვედრების გამო ჭორაობას მაშინ თუ მოუკლებდნენ, როცა ახალი ჭორი გამოჩნდებოდა: ის თექვსმეტი წლის ქალიშვილი და ის ასაკოვანი ბერბიჭა ნამდვილად გაურბიან ერთიმეორეს და კვირაში ორჯერ-სამჯერ თუ შეიყუჩებიან მაღაზიაში, ან რომელსამე შესახვევშიო. გამიგეთ? - ასაკოვანი იურისტი, თანაც ოლქის პროკურორი, ყოველთვის გამოძებნის საკმარის საქმეს (თუნდაც ისეთ ქალაქში, სადაც სულ სამი ათასი მცხოვრებია), რათა იმ ერთადერთ ქუჩაზე არ ამოყოს თავი, იმ გოგოს სახლიდან სკოლისკენ რომ მიუყვება; არც დილის ცხრის ნახევარზე გაიჭაჭანოს იქ, არც თორმეტიდან პირველ საათამდე და არც ოთხის ნახევარზე, ესე იგი, იმ საათებში, როცა მთელი ქალაქის ბარტყობა მიდი-მოდის იმ ქუჩაზე; ზოგჯერ შეიძლება მოხდეს ეს ამბავი, სულ რამდენჯერმე, ოღონდ ყოველთვის კი არა, მუდამ არა.

დიახ, სწორედ ამგვარად მიხდებოდა მოქცევა. რა გაეწყობა: ხომ არ შემემლო დღისით, მზისით გამეჩერებინა ქუჩაში და მეტეჯა: აბა, ახლავე მიპასუხე - მიხვდი თუ ვერ მიხვდი, რაც მაშინ საკონდიტროში მოხდა? ზუსტად მითხარი, მოკლედ - რა იფიქრე-მეთქი მაშინ? არა, ერთადერთი ის შემემლო, ჩამოვხსნოდი, თუმცა კი ჩემთვის ხსნა სულ არ ყოფილა ეს „ჩამოხსნა“.

ასე რომ, უნდა გავრიდებოდი. იმულებული შევიქენი, მარტო ჩემი საქმეები კი არა, მთელი იოკნაპატოფას ოლქის საქმეებიც წინასწარ დამეგეგმა, რათა თექვსმეტი წლის გოგოს არ გადავყოფოდი ხოლმე ქუჩაში. გაზაფხული იყო მაშინ. ესე იგი, მეცადინეობის დამთავრებამდე, ნამაისევამდე ასე თუ ისე იოლად მოგვარდებოდა საქმე, კვირაში ხუთი დღე მაინც მექნებოდა განადღებული. ოღონდ მერე არდადეგები დაიწყებოდა და ის გოგო არავითარ რეჟიმს, არავითარ დისციპლინას აღარ დაემორჩილებოდა; არადა, პირადი გამოცდილება თუ არ მქონდა, დაკვირვებული ხომ დიდი ხანია ვიყავი, რომ ნებისმიერ თექვსმეტი წლის არსებას, თუკი ის არსება ბავშვს ძუძუს არ აწოვებს, ოჯახის სარჩენად ფულს არ შოულობს სადმე ან ციხეში არ არის გამოძწყვდიული, სადაც გნებავთ, იქ შეიძლება გადააწყდეთ დღე-ღამის ოცდაოთხი საათის განმავლობაში.

ასე რომ, იმ დრომაც რა მოატანა, ესე იგი, შარშანდელმა, სკოლის დამამთავრებელი წლის წინა ზაფხულმა, მე გადავწყვიტე შორეული, ჩვენთვის უცნობი კოლეჯების ყველა კატალოგი და პროსპექტი ჩემი მისამართით კი არ გამოეგზავნათ, რათა მერე მათი პირადად გადაცემა არ დამჭირებოდა, არამედ პირდაპირ მისი მისამართით: მის ლინდა სნოუპსს, ჯეფერსონი, მისისიპის შტატი. თან ისიც შევუთვალე - ჩვენი შტატის სახელწოდება - მისისიპი დიდრონი ასოებით გამოიყვანეთ-მეთქი. ასე რომ არა, კონვერტი, იცით, სად მოხვდებოდა? ჯერ ერთი, მისურის შტატის ქალაქ ჯეფერსონში; მეორეც, სათითაოდ ყოველ იმ შტატში სავარაუდო ორმოცდარვა შტატიდან, სადაც აგრეთვე არსებობდა ქალაქი, ჯეფერსონის სახელწოდებით; ვიდრე, - ეს უკვე მესამეცო, შეგვიძლია ვთქვათ, - ბოლოს და ბოლოს ვისმე აზრად არ მოუვიდოდა - იქნებ მისისიპის შტატშიც მოიძებნებოდეს ისეთი ადამიანი, ვისაც ბუნდოვნად მაინც წარმოუდგენია აღმოსავლეთ ან ჩრდილოეთ შტატებში სასწავლებლად გამგზავრების შესაძლებლობა, ვისაც ყურმოკრული მაინც ექნება იმ სასწავლებელთა ამბავი, ანდა, ეს თუ არა, კატალოგებისთვის დართული სურათების გადათვალიერება და ერთმარცვლიანი სიტყვების ამოკითხვა მაინც შეეძლებათ.

ერთი სიტყვით, პირდაპირ ლინდას მისამართით გამოვიწერე ის კატალოგები და პროსპექტები, ის ეშმაკურად შედგენილი, შემპარავი, მაცდუნებელი რეკლამები ვირჯინიული კოლეჯებისა, სამხრეთ შტატებში მცხოვრებ დედათა ოცნება რომ არის – ნეტავი ჩემი ქალიშვილი სასწავლებლად იქ მიმაზარებინაო; თანაც პირწმინდად ინსტინქტურია ეს მათი ოცნება, თვითონაც არაფერი გაეგებათ, რა აოცნებებთ. ალბათ ის ამბავი, თავად რომ არ უსწავლიათ იმ კოლეჯებში და ახლა გულით არიან მოწადინებულნი, თავიანთი ქალიშვილების მეშვეობით ის აინაზღაურონ, რასაც თვითონ ვერ მოსწრებიან, რაკი მათი დედანი, თავიანთ მხრივ, სულაც არ ყოფილან მოწადინებულნი, ის აენაზღაურებინათ, რასაც თავად ვერ მოსწრებოდნენ.

თანაც მარტო ვირჯინიის კოლეჯების რეკლამები კი არ გამომიწერია, იმ პეწიანი „ინსტიტუტებისაც“ ზედ მივაყოლე, მეისონ-დიქსონის ხაზის ჩრდილოეთით რომ არის განლაგებული. სამართლიანი ვიყავი, არა, უფრო სწორად, ორივენი სამართლიანნი გახლდით, ისიც და მეც; თუმცა კი, მისი შეურყეველი სახელი რომ გადაგვეჩინა, ერთიმეორეს აღარც ვხვდებოდით, მაგრამ შეთქმულნიც ხომ ვიყავით, მოკავშირენი – მისი სულის სახსნელად; ორივენი თითქოს in absentia (დაუსწრებლად (ლათ.)) ვეუბნებოდით დედამისს: აი, ესოდენ ბრწყინვალე, ესოდენ არისტოკრატიული სასწავლებლები. ჩვენ ხომ პატიოსნად ვირჯებოდით, ხელს არ გიშლიდით, ჰოდა, ახლა იქითკენ გვინდა გავემგზავროთ და თქვენ შეგიძლიათ ხელი შეგვიწყოთ ამ საქმეში: აშკარა დასტურს თუ არ მოგვეცემთ, „არას“ მაინც ნუ გვეტყვით. ამასობაში სხვა პროსპექტებიც გამოვიწერე, რათა ესენიც ჰქონოდა ლინდას: იმ კოლეჯების პროსპექტები, სადაც იმასაც არავინ მიაქცევდა ყურადღებას, – რას იცვამს, როგორ დაიარება, ჩანგალი სწორად უჭირავს თუ არა, საერთოდ, ხალხში როგორ ირჯებაო; რადგან ეს ყოველივე იქ დიდი ხნის წინ იყო დადგენილი, იქ მნიშვნელობა იმას ექნებოდა, რასაც სინამდვილეში მოიმოქმედებდა, როგორც მოიქცეოდა სულის მიუხეებელ სიმართლეში.

ჰოდა, ახლა, რა რომ ის უკანასკნელი პროსპექტებიც მიუვიდა, შობის კვირამალში, მისი სკოლაში ყოფნის უკანასკნელ ზამთარს, – ახლა მისთვის საჭირო, აუცილებელი შეიქნა შემხვედროდა. იმიტომ კი არა, სასწავლებლის შერჩევაში რომ მივშველებოდი, უფრო ისე, ერთად რომ აგვეწონ-დაგვეწონა და მოგვეფიქრებინა ყოველივე, ვიდრე საქმე საბოლოოდ გადაწყდებოდა. მე ველოდებოდი, დიდი მოთმინებით ველოდებოდი, ვიდრე ბოლოს და ბოლოს არ მივხვდი, რომ ლინდა პირველ ნაბიჯს არასგზით არ გადმოდგამდა ჩემთან შესახვედრად. ექვს თვეზე მეტი ხანი იყო გასული, რაც გავუზბოდი. და ლინდამ ის კი არ იცოდა მხოლოდ, რომ ვემალებოდი (რადგან ისეთ პატარა ქალაქში, როგორც ჩვენია, შეუძლებელია, ამდენი ხნის განმავლობაში მამაკაცი ქალს არ გადაეყაროს შემთხვევით, ისევე როგორც, შეხვედრით როცა ხვდება, იმის მოიმედე არ უნდა იყოს – საიდუმლოდ, სხვათათვის შეუმჩნევლად ვხვდებო), ლინდა უკვე იმასაც მიხვდა მაშინ, აპრილში კრისტიანის საკონდიტროში შემდგარი პაემანიც არ ყოფილაო უაზრო შემთხვევითობა. დიახ, ჩემო ბატონო, ერთი პირობა მეც მომეჩვენა – ლინდას არავითარი საფუძველი არა აქვს საიმისოდ, ის იფიქროს, რომ იმ პროსპექტების ამბავი მეც ვიცე, ვიცე კი არა, მე თვითონ რომ გამოვუწერე-მეთქი. ოღონდ ეს აზრი მაშინვე განვიშორე და, მომდევნო ამბებს თვალს თუ მიადევნებთ, თქვენც განიშორებთ უეჭველად.

მამასადამე, პირველი ნაბიჯი მე უნდა გადამედგა. ეს ახლა უწინდებურად იოლი ამბავი აღარ გახლდათ. ცისმარე დღეს ვხედავდი ჩემი კაბინეტის ფანჯრიდან (თუკი იქ ვიყავი) ოთხის ნახევარზე სხვა მოწაფეთა შორის სკოლიდან გამომავალ ლინდას. შარშან, საერთოდ, ამ ამბებამდე მუდამ მარტო დადიოდა, ანდა შესაძლოა, მე

მეჩვენებოდა ასე - სულ მარტო მიდი-მოდის-მეთქი. ოღონდ ახლა, ამ ზამთარს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ის ტროგლოდიტი გაეცალა ჩვენს ქალაქს, მატ ლივიტი, მას შემდეგ ლინდა მის ქუჩაზე მცხოვრებ ერთ გოგოს გადაესვენა. მერე უცებ (ზამთარში ხდებოდა ეს ამბავი) ორის ნაცვლად ოთხნი შეიქნენ ისინი, ორი ბიჭი მიემატათ, ჩიკის ნათქვამით - მისის რაუნსველის ვაჟი და ბიშოპების უმცროსი შვილი, მათი სკოლის საუკეთესო სპორტსმენები. ჰოდა, ახლა, გაზაფხული რომ დადგა, ოთხივენი თითქმის ყოველდღე იხსდნენ კრისტიანის საკონდიტროში (ეტყობა, იმ არემარეზე აღარსად ბოგინებდნენ წარსულის აჩრდილები, რომელთა მიზეზითაც მას დარცხვენა მოუხდებოდა, და მე მახარებდა ეს ამბავი), „კოკა-კოლასაც“ მიირთმევდნენ და სხვა ათასნაირ დომხალსაც (მე კი მქონდა გემო გასინჯული!), რომელიც ახალგაზრდებს, განსაკუთრებით მდებრობითი სქესისას, შეუძლიათ წარმოუდგენელი სიმშვიდით შთანთქან მხოლოდ ნასადილევს კი არა, დილის ცხრა-ათ საათზეც. ის ოთხეული მე ორ წყვილად მიმაჩნდა, ორ შეყვარებულ წყვილად, უფროსკლასელთათვის დამახასიათებელი ლამის ცოლქმრული ერთგულებით დაკავშირებულად. მაგრამ ერთ საღამოს დავინახე (სულ შემთხვევით), როგორ მიდიოდა ლინდა კინოთეატრისკენ ორივე რაინდის თანხლებით.

ძალიან არა, მაგრამ ცოტათი მაინც გართულდა საქმე. ყველაზე ადვილი ის იქნებოდა, ამგვარად მოვქცეულიყავი (მით უმეტეს, უკვე მაისი დადგა და ჩემი მხრივ მეტი მოცდა აღარ შეიძლებოდა): მოთმინებით დავლოდებოდი იმ დღეს, როცა ლინდა უიმგამცილებლობად ჩამოივლიდა ქუჩაში, როცა ის ბიშოპი და ის რაუნსველი ნასკოლევს იქვე დარჩებოდნენ თავიანთ მიღწევათა განსასრულებლად, ან კიდევ როცა მასწავლებელი დატოვებდა ორივეს. ჰოდა, დავლოდე და თვალის მოვატანე შორიდანვე, დაახლოებით ერთი კვარტალის სიშორეზე, ოღონდ ამ დროს იმან მოულოდნელად შეუხვია, სხვა გზით წავიდა, მოედნის შემომვლელი მიმართულებით. როგორც ეტყობოდა, ეს ახალი გზა შეერჩია იმ დღეებში სავალად, როცა მარტო მიდიოდა ხოლმე შინისკენ, ესე იგი, როცა მარტო იყო ან (ესეც შესაძლოა) როცა მარტო ყოფნა სურდა.

ოღონდ ესეც არ იყო ძნელი საქმე: მოედნის უკანა მხარეს ერთი კვარტალი უნდა გამეგლო და იმ კუთხეს უნდა მივდგომოდი, სადაც ისშესახვევი გამოდიოდა. ოღონდ მე მასზე ჩქარა მივაბიჯებდი, უფრო სწრაფად, ასე რომ, პირველმა მე მოვატანე თვალი, როგორ მოდიოდა ნაგვის გროვებს, ურნებს, სატვირთავ პლატფორმებს შორის. მერე, კუთხეში რომ დამინახა, მაშინვე ადგილზე გაქვავდა და უხერხულად შემართა ხელი. ჰოდა, ამსიშორეზე ისიც ხომ შეიძლებოდა, რომ არ შევჩერებულიყავი! არც შევჩერებულვარ, გზა განვაგრძე, მეც მივესალმე შემართული ხელით და შუკა გადავჭერი დინჯი ნაბიჯით, როგორც მართებდა სიარული ოლქის პროკურორს მივარდნილ ქუჩაში დღის ოთხის ნახევარზე; კიდევ ერთი კვარტალიც და ის გოგო კვლავ განრიდებული იყო საწუხარს, კვლავაც მიუხეებელი გახლდათ და აღარც რამე საფრთხე ემუქრებოდა.

რაღა თქმა უნდა, ტელეფონიც არსებობდა კიდევ. მაგრამ ტელეფონი ნამეტანი სწრაფად მოახდენდა მოსახდენს, ნამეტანი ახლოს იქნებოდა იმ შესახვევთან, იმ სასაღმოდ ზეაწვდილ ხელთან. ოღონდ, მაღლი უფალს, საბეჭდი მანქანაც ხომ გამოიგონეს ამ ქვეყანაზე! ქალაქის მამათა ნებაა - კი, ბატონო, დამიქვითონ ხელფასიდან სახელმწიფო ქალაქის ღირებულება! არადა, იქნებ ვერც ვერაფერი შეამჩნიონ, ვინ იცის? ჰოდა, საბეჭდი მანქანა და დრო ხომ ჩემი საკუთარი მაქვს და ისაა.

ჩემო კარგო ლინდა!

როცა გადაწყვეტ, რომელი კოლეჯი უფრო მოგწონს, მოდი, მოვითათბიროთ. იმ კოლეჯებიდან ბევრში ნამყოფი ვარ და იმაზე მეტს მოგიყვები იქაურ ამბებს, ვიდრე პროსპექტში წერია. ბანანის პლომბირიც არ გვაწყენდა: რა იცი, იქნებ ბენინგტონის, ბარდის და სუორსმორის კოლეჯებში არც გაუგონიათ ბანანის პლომბირი, ჰოდა, იქნებ მართო სტუდენტად ყოფნამ კი არ მოგიწიოს იქ, პლომბირის მცოდნეობაც დაგევალოს.

მერე ფანქარი ავიღე და ხელით მივაწერე:

ამას წინ შესახვევში დაგინახე, მაგრამ გასაჩერებლად არ მეცალა. ნეტავი რა გინდოდა იმ შესახვევში?

გამიგეთ? ამას წინ-მეთქი. ესე იგი, უკვე სულერთი ხდება, როდის ჩავუშვებ ამ ბარათს - ორი დღის თუ ორი კვირის მერე. ესე იგი, კიდეც ორ კვირას შემოდის ვხიო და ვფხრიწო ბარათები, თუ გნებავთ, - მისამართწარწერილი კონვერტებიც. ჯერ შუაზე გადავხვევდი ხოლმე გულმოდგინედ, მერე გადახეულ კიდეებს შევაერთებდი და ისევ შუაზე ვფხრიწვდი, კიდეც და კიდეც. მერე გამოწმენდილ ბუხარში შევყრიდი იმ ნაკუწებს, ასანთს გავკრავდი, ვუმზერდი, როგორ იწებოდა; ბოლოს დაჩოქილი ჩემს ბებერ ძვლებს ავიკრეფდი, წამოვიმართებოდი და მტვერს ჩამოვიბერტყავდი მუხლისთავებიდან.

ამასობაში მამამაც მოატანა, ლინდას სკოლა უნდა დაემთავრებინა. ოღონდ მის იუნის ჰენტს ის საგზაო ნესესერი გუშინვე უნდა ეახლებინა, ჰოდა, მადლი უფალს, ტელეფონიც რომ არის გამოგონებული. მაშასადამე, ერთხელ კიდეც (უკანასკნელად უკანასკნელი თვალთმაქცობის მომარჯვებით) უნდა დავლოდებოდი ცხრის ნახევარს (ბანკი ცხრამდე არ იღებოდა, მაგრამ მაინც, თუმცა ფლემი ბანკის პრეზიდენტი არ გახლდათ, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ სულ ბოლო წუთამდე სახლში იყურყუტებდა, რათა ტელეფონს თვითონ მივარდნოდა). და, აი, ავიღე ყურმილი:

- დილა მშვიდობისა, მისის სნოუქს. გვეინ სტივენსი გახლავართ. შეიძლება, ლინდას დამალაპარაკოთ, თუ ჯერ... აჰა, გამასწრო უკვე? თუმცა ამ დილას მე თვითონ დამაგვიანდა... დიდი მადლობა. ყველას ძალიან გაგვიხარდა, ნესესერი რომ მოსწონებია. მეგის დიდად ესიამოვნებოდა ლინდას ბარათი. იქნებ გეთქვათ, სადილად რომ მოვა სახლში... მე ცნობები მომივიდა რედკლიფის კოლეჯში სტიპენდიატის ადგილის თაობაზე, იქნებ ლინდა დაინტერესდეს ამ ამბით. ის კოლეჯი ჰარვარდთან ახლოსაა. კემბრიჯის ამბებსაც მოვუყვებოდი... დიახ, თუ შეიძლება, უთხარით - ნასკოლევის საკონდიტროში დაგელოდება-თქო. მადლობელი გახლავართ.

დაბოლოს - „მშვიდობით“. სიტყვა - გულდასაწყვეტი თუნდაც ტელეფონში სათქმელად. კაცმა რომ თქვას, თავად ეს სიტყვა კი არ იყო გულდასაწყვეტი, მისი მნიშვნელობაც კი არა: გულდასაწყვეტი ის იყო, რომ მისი აღმოთქმა შეგეძლო კაცს, რომ ბოლოს და ბოლოს მუდამ დგება ხოლმე ჟამი, როდესაც ამ სიტყვას დარდისა და კაემნის გარეშე კი არ ამბობ მხოლოდ, ისე ამბობ, დარდისა და კაემნის ნატამალიც აღარ გაქვს შერჩენილი იმ ღამის მომგონებელს (როდის იყო ის ამბავი? ათი წლის წინ? ოცი წლის წინ?), როცა აქ, ამ კაბინეტში იულა უორნერისთვის უბრალოდ „მშვიდობით“ კი არ გითქვამს, აქედან გაეთრიეთო, - ასე გამოგივიდა ნათქვამი სინამდვილეში. არადა, მაშინ ამის მთქმელს არც თმა გაგეთერთებია, არც ცივ ოფლს დაუსხამს შუბლზე შენთვის, ცრემლებიც არ წაგსკდომია. ჰოდა, თუკი სულში სინანულის ნასახი მაინც გიბოგინებს ახლა, ეს იმის გამო სინანულია, მაშინ რომ საიმისო გამბედაობა გყოფნოდა, - არაო, არ გეთქვა, ახლა ის გამბედაობაც აღარაფრად

ედირებოდა, რაკი თვით ის მაშინდელი გულდედლობაც ბუნდოვან სინანულად ქცეულა მხოლოდ.

ჯერ ის დავაპირე - საკონდიტროში შევალ და უკვე მაგიდას მიმჯდარი დაველოდები-მეთქი. მერე გადავიფიქრე: ყველაფერი უბრალოდ უნდა მოხდეს, ოღონდ არც ისე ძალიან ხელოვნური უბრალოება უნდა გამოვიდეს-მეთქი. ასე რომ, კართან გავჩერდი, ოდნავ იქით მივდექი, ბავშვების მოზღვავებული ნაკადისთვის ხელი რომ არ შემეშალა, ანდა, უფრო სწორად, იმ ნაკადს რომ არ გადავექელე. სულ არ იყო საჭირო, ერთი კვარტალის სიშორეზე დავენახე ლინდას, როგორ ველოდებოდი, ამას ის სჯობდა, თუნდაც კაცთა თვალისთვის, უნებურად შევხვედროდით ერთიმეორეს, ბედნიერი შემთხვევა მომხდარიყო; ჰოდა, ჯერ სულ პატარებმა ჩამოიარეს, პირველ, მეორე, მესამეკლასელებმა, მერე უფრო დიდრონებიც მოჰყვნენ - მეორე საფეხურის მოწაფეები, უფროსკლასელები; ჰო, ახლა, სულ მალე, ამწუთას - მაგრამ, ნაცვლად ამისა, ჩიკი გამომეცხადა დაკეცილი ბარათით ხელში.

- აჰა, - მითხრა, - გაიჭედა!

- გაიჭედაო? - ვთქვი მე.

- ჰო, ფირფიტა, გრამოფონის ფირფიტა გაიჭედა. მუსიკა იგივე არაა? ოღონდ ახლა უკუღმა უკრავს.

როგორც ეტყობოდა, ლინდას დაეჩემებინა - სანამ გადასცემდე ამ ბარათს, მანამდე შენ წაიკითხეო. ასე რომ, თვითონ ლინდას გარდა, მე მეორე ვიყავი იმ ბარათის წამკითხველთაგან.

მისტერ სტივენს,

ცოტა დამაგვიანდება, თუ შეიძლება, მომიცადეთ.

ლინდა.

- მთლად მასე არაა საქმე, - მე ვუთხარი. - დოლარის წკარუნი არ მესმის რაღაცა.

- ჰო, - მითხრა იმან, - არც მე მესმის. ჯერ ალბათ არ წახვალ სახლში, ხომ?

- ალბათ არა, - მივუგე მე.

ჰოდა, საკონდიტროში შევედი, მაგიდას მივუჯექი. ეს მაინც უნდა მომემოქმედა მისი გულისთვის; თუკი შურისგების საშუალებას ვაძლევდი, ბარემ სრული უნდა ყოფილიყო შურისგება; გულის სრულად მოხება - ჩემი თვალთვალი (საიდანაც უნდა ეთვალთვალა), როგორ ვიჯექი და ველოდებოდი, დიდხანს ველოდებოდი, მაშინაც არ წამოვმდგარვარ, როცა დავასკენი - აღარ მოვა-მეთქი. მთელ საათს უნდა მეცადა, რადგან „დასასრული“ სულ სხვა რამეა, ვიდრე „მშვიდობით!“, და საიმისო მიზეზიც არ გაჩენილა, რომ კვლავ ამემღვრია სათავე კაეშნისა.

ამიტომ იყო, ვერც კი ვიცანი, ფანჯარასთან როცა გამოიარა. რადგან სკოლიდან კი არ მოდიოდა, საპირისპირო მხრიდან მოეშურებოდა. არა, მარტო ამიტომ არა. აჰა, შემოვიდა კიდევ საკონდიტროში, შიდა კარი მიიჯახუნა აჩქარებულმა. ჰოდა, ჩვეულებრივი ქვედაბოლო და კოფთა კი არ ჩაეცვა, ანდა ჩითის კაბა, არც უქუსლო

მოწაფური ტუფლები; არა, გამოპრანჭული გახლდათ, სწორედ რომ გამოპრანჭული; შლაპა, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, აბრეშუმის ჩულკები; გაპუდრულიყო კიდეც, თუმცა, კაცმა რომ თქვას, გასაპუდრი სახე სულ არ ჰქონია; ნელსაცხებლის სურნელიც კი მომწვდა მისგან.

- ესეც ასე, - ამოვთქვი მე. საამისო მხნეობა მაინც შემრჩენოდა.

- არ შემიძლია, - თქვა იმან. დიახ, საამისო-მეთქი. საკონდიტროში ხალხი თითქმის არ ჩანდა, მაგრამ ერთი კაციც რომ ყოფილიყო, ისიც ზედმეტი იქნებოდა; ასე რომ, მე უმაღლესად მოვუფიქრე და მივეახლე.

- რა კარგი სანახავი ხარ, - ვუთხარი. - წამოდი, გამოგაცილებ ცოტას. - და მაშინვე შევებრუნე კარისკენ, ასე რომ, მის ხელსაც არ შევხებოვარ, გასასვლელისკენ მივმართე ენაგაუჩქრებლად (ალბათ არ გავჩუმებულვარ, საერთოდ, არ მეხერხება გაჩუმება), ისევ ისე მოქაქანემ. როგორც ეტყობა, ამიტომაც ვერ შევნიშნე, რომ ჩვენი სვლის მიმართულება იმას შეერჩია, ვიდრე არ დავინახე, როგორ შეუხვია იმან ჩემს კაბინეტში ამავალი კიბისკენ. მაშინდა შევახე ხელი იდაყვზე, შევაჩერე, კიბისთვის გვერდი ავაქცევინე, ასე რომ, ჩვენი შეყოვნება არავის შეუნიშნავს (იმედი უნდა მქონოდა, გული უნდა დამეჯერებინა, ეჭვი არ შემპაროდა), მაღაზიათა ვიტრინების წინ გავატარე, იქ, სადაც საგაზაფხულო საქონელი იყო გამოფენილი; თან ენა არ გამიჩერებია (კი, ამ მხრივ საიმედო ვარ ნამდვილად), სიდარბაისლისა და წესიერების ნიმუშად ვიყავით ქვეულნი: გამოწყობილი, ნელსურნელებადაფრქვეული ქალიშვილი ქალი, სადაც რომ მიემართება დღის ოთხ საათზე, და მის გვერდით - გადაჭარავებული ბერბიჭა, გულკეთილი მიაკაცი, როგორც ზანგები იტყვიან ხოლმე, „კარგად მოწყობილი“, ყოველთვის უვნებელი უკვე, რადგან აღარც სისხლი უჩქევს ძველებურად და სხეულიც დასძაბუნებია, - მათ სიმშვიდეს ვერც ხელთა შეჩურჩოლება დაარღვევს, ვეღარც ფეხთა გოგმანი, ყველა იმედი და ყველა ოცნება განქარებულა და გაცამტვერებულა. ოღონდ ამასობაში შევუხვით კიდეც და, როგორც იქნა, მარტონი დავრჩით, აქ ცარიელი მაინც იყო ქუჩა და შეუფერხებლად შეიძლებოდა გვერდიგვერდ სიარული.

- არ შემიძლია, - თქვა ლინდამ.

- ეგ უკვე გავიგონე, - ვუთხარი. - რა არ შეგიძლია?

- იმ კოლეჯებში, - მომიგო იმან. - იმათში, თქვენ რომ... ის პროსპექტები რომ, არც ჯეფერსონში, არც მისისიპიში.

- ძალიან კარგი, რომ არ შეგიძლია, - ვუთხარი. - ამიტომაც მინდოდა შეგხვედროდი. მე მინდა, იმათგან საუკეთესოს შერჩევაში მოგხეხარო.

- კი, მაგრამ რომ არ შემიძლია? - მითხრა იმან. - ნუთუ არ გესმით? არ შემიძლია!

ჰოდა, აქ მე - დიახ, მე! - სიტყვა გავაწყვეტინე. - კარგი, - ვუთხარი. - ყველაფერი მიაბზე.

- არსად წასვლა არ შემიძლია. ჯეფერსონში უნდა დავრჩე. გაისად პანსიონში შევალ. - დიახ, მე ვდუმდი. საქმე ის პანსიონი კი არ იყო. ისიც კი არ იყო საქმე, პანსიონი ჯეფერსონში რომ მდებარეობდა. თავიდათავი თვით ჯეფერსონი გახლდათ. ჯეფერსონი იყო მისი დაუძინებელი მტერი, რამეთუ ჯეფერსონი სნოუპსს ნიშნავდა.

- გასაგებია, - მე ვუთხარი. - კარგი. მე თვითონ მოველაპარაკე დედაშენს.

- არა, - აღმოთქვა, - არა. არ მინდა წასვლა.

- უნდა წახვიდე, - მივუგე. - დედაშენს უნდა მოველაპარაკოთ. ეს ისეთი საჭირო საქმეა, შენ შეიძლება ვერც კი ხვდებოდე. წამოდი, ახლავე მივაკითხოთ დედაშენს და მოველაპარაკოთ... - ეს ვთქვი და შევბრუნდი კიდეც, ოღონდ ამასობაში იმან დამიჭირა, ორივე ხელით ჩამაფრინდა და გამაჩერა. მერე ხელი შემიშვა და თავადაც შეჩერდა. მაღალი ქუსლები, აბრეშუმის ჩულქები და მისთვის ერთობ სადიდო და შეუფერებელი შლაპა; ანდა იქნებ თვალი არ მქონდა შეჩვეული ამ თავსაბურავით მის დანახვას, იქნებ იმ შლაპას მაგონებდა, ჩვენს სახლში გამართულ იმ მარცხიან სადილს, ამ ორი წლის წინანდელს, როცა პირველად ვაიძულე, რაც არ სურდა, ის გაეკეთებინა, რადგან მაშინ არ იცოდა, უარი როგორ ეთქვა ჩემთვის. და უცებ ვუთხარი: - შენთვის შეკითხვის დასმა არ ღირს, რაღა თქმა უნდა, მაგრამ მაინც გკითხავ სიცხადისთვის. შენ თვითონ ხომ არ გინდა ჯეფერსონში დარჩენა, არა? შენ ხომ წასვლა გინდა აქედან, აღმოსავლეთისკენ გამგზავრება და კოლეჯში შესვლა? - და მაშინვე შევაწყვეტინე საკუთარ თავს: - კარგი, უკან მიმაქვს ჩემი სიტყვები, შენთვის ამის კითხვა არ იქნება. არ შეიძლება გაიძულებდე, ასე პირდაპირ აღიარო, რომ დედაშენის სურვილის წინააღმდეგ გინდა წასვლა. კარგი, - ვუთხარი მერე. - ის არ გინდა, რომ ჩვენს საუბარს დაესწრო, ხომ? - მერე დავმინე: - შემომხედე - და შემომხედა იმ თვალებით, ნაცრისფერი, ცისფერი თვალებით კი არა, ლამის საფირონისფერი თვალებით; ასე ვიდექით პირისპირ წყნარ ქუჩაზე, მეტი თუ არა, ოციოდე მორიდებით დაშვებული ფარდის სამზერ ადგილას. ჰოდა, შემომყურებდა და მეუბნებოდა, ჩურჩულით აღმოთქვამდა:

- არა, არა.

- წავიდეთ, - მე ვუთხარი, - კიდეც გავისეირნოთ ცოტა. - მორჩილად გამომყვა. - დედაშენმა ხომ იცოდა, დღეს მე რომ უნდა შემხვედროდი ნასკოლევს, თვითონ არ გითხრა ჩემი დანაბარები? კარგი, - ვუთხარი. - დილას მოვალ თქვენთან, შენ როცა სკოლაში იქნები წასული. ნურც ნურაფერს ეტყვი დედას, არ გინდა მისთვის თქმა, ნუ მოუყვები.

ოღონდ ის - არა, არაო, - ამასაც აღარ ამბობდა, თუმცა მეტი არც არაფერი მსმენოდა მისგან პირველი დანახვის მერე; შესახედავად იმნაირი იყო, ახლაც იმასვე იმეორებდა, იმ „არა, არას“, მისი დუმილიც ამას მეტყველებდა. ახლა კი ვხვდებოდი, რის მაქნისიც იყო მისი მორთულობა, ნელსურნელება და პუდრი, რომელიც იმ თავის შლაპაზე ნაკლებად უხდებოდა. სასოწარკვეთილებისმიერი იყო ეს ყოველივე, საიმისოდ გამიზნული კი არა, თავისი უბედურება რომ გაემართლებინა, უფრო საიმისოდ - ის სიტლანქე რომ გაექარწყლებინა ცოტათი: დედამისმა ხომ დააბარა: კი, რაღა თქმა უნდა, ინახულე ის კაცი, უსათუოდ ინახულე. უთხარი - ჩემი ქალიშვილის განათლების ამბებს მე თვითონაც მშვენივრად მოვუვლი-თქო, ორივენი ძალიან მაძლობელი დაგრჩებით, მეტს თუ აღარ შეგვაწუხებთ-თქო, - ჰოდა, საცოდავ გამწარებულ გოგოს ახლა ის უნდა, დედამისის სულმდაბლობა და საკუთარი თავის მოჭრა აბრეშუმის ჭიის მიმყოლით, კატების შარდითა და წარმონაქონთხევით თუ კაშალოტების სპერმით დამალოს როგორმე.



- ხვალ დილას მოვალ, სკოლაში როცა იქნები წასული, - ვუთხარი მე. - მესმის, ყველაფერი მესმის. ოღონდ ისაა, რომ ძალიან გართულდა საქმე და ჩვენი შეჩერება აღარ იქნება.

მეორე დილაც გათენდა. მე იმას ვფიქრობდი, - გუშინ უკვე უკანასკნელად ვცდილობდი, ყველაფერი დამემალა-მეთქი. ოღონდ შემოწმებაც იყო საჭირო. არადა, რეტლიფი გამომეცხადა.

- რაო? - მითხრა. - იუღასთან მივდივარ, რადგან იუღა ჯეფერსონიდან წასვლას არ ანებებსო? ცდებით თქვენ.

- კარგი, - მივუგე, - ვცდებოდე. თქვენ გგონიათ, ძალიან მინდა წასვლა? არც ისეთი გულადი ვარ, ვინმეს, განსაკუთრებით - ქალს, ჭკუა ვასწავლო - შვილი ასე და ასე აღზარდე-მეთქი. მაგრამ ვინმემ ხომ უნდა გააკეთოს ეს საქმე! იმ გოგოსთვის აუცილებელია ჯეფერსონიდან წასვლა, აქაურობის სამუდამოდ მიტოვება; იმ არემარეს მოცილება, სადაც სნოუპსის სახელი ისმის თუნდაც.

- მომითმინეთ-მეთქი, ხომ გითხარით! მომითმინეთ! - თქვა რეტლიფმა. - შემცდარი რომ ბრძანდებით?

მაგრამ მე მოთმენა არ შემიძლო. არც დავლოდებოვარ არაფერს. ესე იგი, ის კი დამჭირდა, როგორმე ცხრა საათამდე მიმენტხია სული. რადგან ასეთ ცხელ მაისის დილასაც კი, როცა ხალხი მზის ამოსვლისთანავე ფეხზეა ხოლმე უკვე (უფრო იმიტომ, რომ თორმეტსა და ოთხს შორის გაწოლილი პაპანაქება საათების დრო ამოიგონ), ოჯახის დიასახლისს რაღაც ვადა უნდა ჰქონოდა, რათა თავისი სახლიც, საკუთარი თავიც და იქნებ უმთავრესად თავისი სულიც შეემზადებინა მამრობითი სქესის არა მარტო დაუპატიჟებელი, არამედ აგრეთვე არასასურველი სტუმრის დასახვედრად.

ოღონდ ის ქალი მზად დამხვდა: თვითონაც მზად იყო, მისი სახლიც და მისი სულიც (თუკი ის სული მის სიცოცხლეში ოდესმე მაინც მოუმზადებელი ყოფილა რომელიმე შარვლიანი არსების შესახვედრად, ანდა, უფრო სწორად, თუკი რომელიმე ქალის სულს მომზადება დასჭირდებოდა იმ არსებასთან შესახვედრად, რომელიც შარვლიანი კი იყო, ოღონდ გვერს სტივენსი ერქვა სახელად); ჰოდა, პატარა ჭიშკარში გავედი, ბილიკს მივყევი კართანამდე, საფეხურები ავიარე და ის იყო, ხელი შევმართედასაკაკუნებლად, რომ ბადურ კარს იქით ქალი დავინახე - წინა ოთახში სულ უძრავად იდგა და მიმზერდა.

- დილა მშვიდობისა, - მითხრა. - მობრძანდით. - და ბადური კარი უკვე აღარ გვაშორიშორებდა, ხოლო ის ქალი ისევ ისე მაკვირდებოდა. არა, არც გამომწვევად მიმზერდა, არც თავაზიანად, ისე მომჩერებოდა. მერე შებრუნდა; იმხანად ყველა ჯეფერსონელ ქალს, ჩვენს მეგისაც კი, თმა მოკლედ ჰქონდა შეჭრილი, მაგრამ იმ ქალს კვლავინდებურად მძიმე ოქროს გორგლად ჰქონდა დახვეული კეფაზე თმა; დილდილაობით ჩასაცმელი ხალათი კი არ ემოსა, არც საგარეო კაბა, არც საშინაო, - ჩვეულებრივი ჩითის კაბა ჩაეცვა; და მაინც, თუმცა კი ის ქალი ოცდათხუთმეტი წლის იყო უკვე (არა, ოცდათექვსმეტის, თუკი იმ დიდებული დაცემის დღიდან ვიანგარიშებთ რეტლიფისნაირად), მაინც ეს კაბაც, - იმ სამოსლის არ იყოს, რომლითაც ამ თექვსმეტი წლის წინ გადაიარა პირველად მოედანი, - ისე ადგა ტანზე, იტყოდით - ფაცაფუცით მოუსწრია ჩაცმა, რათა ეს ათახთახებული სხეული დაეფარაო.

კი, რასაკვირველია, სასტუმრო ოთახიც ზუსტად ვესტიბიულისნაირი იყო, ყოველივე იმგვარი იყო ირგვლივ, როგორც უკვე ნანახი მქონდა სადღაც, თუმცა ვერ გამეხსენებინა - სად მენახა. ყავას ხომ არ მიირთმევთო? - უკვე ისიც მკითხა ამ ქალმა და სერვიზსაც მოვატანე თვალი დაბალ მაგიდაზე, მაგიდას კიდეც ორი სავარძელი ჰქონდა მიმაგრებული. ჰოდა, - წაგებული ვარ-მეთქი, - გავიფიქრე, - ტომარაგადაცმული ან ჯვალომოსხმულიც რომ გამომგებებოდა, მაინც წაგებული ვარ-მეთქი. მერე ვიფიქრე: ესე იგი, მართლა გართულებულა-მეთქი საქმე. რადგან ეს ყოველივე - ყავაც, დაბალ-დაბალი მაგიდაც, ერთიმეორესთან ინტიმურად მიდგმული სავარძლებიც - შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებზე ან თუნდაც კუჭზე სამოქმედოდ კი არ იყო გამიზნული, არამედ დახვეწილი სულის მოსანადირებელი გახლდათ. დახვეწილობას მონატრებული სულისო, - ასეც შეიძლება ითქვას.

- მადლობელი გახლავართ, - მიუზღე, მერე დაველოდე, ვიდრე დაჯდებოდა და მეც ჩამოვჯექი. - ოღონდ ერთი ეს მიბრძანეთ - ვითომ სამაგისოდ გვაქვს საქმე? რაღა დაზავება გვჭირდება, მე ისედაც იარაღაყრილი ვარ.

- აბა, საბრძოლველად მობრძანდით? - მკითხა იმან და ყავა ჩამოასხა.

- რა შემიძლია უიარაღოს? - ვუთხარი მისმა მაცქერალმა: დახრილი თავი, დაუდევრად აკრული, ლამის აწეწილი თმის გორგალი, ხელი, რომელსაც ხელეწიფებოდა, გმირი მებრძოლის აკვანი დაერწია ან მამამისის ხელთაგან გავარდნილი ხმალი აეტაცებინა; ჰოდა, ახლა ეს ხელი უბრალო, დავერცხლილი, იაფფასიანი ყავადნიდან უბრალო სასმელს ასხამს (ამათთან ყავაც არ ივარგებს ალბათ), და ეს ყოველივე აქ ხდება - ამნაირ სახლში, ამნაირ ოთახში. ჰოდა, უცებ გამახსენდა, სადაც მენახა უწინ ამგვარი ოთახები, ამგვარი შემოსასვლელები. ფოტოსურათებში მენახა, ვთქვათ, ჟურნალ „ქალაქსა და სახლ-კარში“ გამოქვეყნებულ ფოტოსურათებში, რომელთა ქვეშ მიბეჭდილი იყო ხოლმე: „ამერიკული ინტერიერი“. საავეჯო მაღაზიათა ყოველნაირ კატალოგში ბეჭდავენ კიდეც ამ სურათებს და სპეციალურ წარწერასაც უკეთებენ: „ეს არც ასლია, არც რეპროდუქცია. ეს გახლავთ ნიმუში ავეჯისა, რომლის დაკვეთაც მხოლოდ ჩვენთან შეგიძლიათ თქვენი გემოვნებისდა მიხედვით“. - დიდი მადლობა, - ვუთხარი, - ნაღები არ მინდა, მარტო შაქარს ვუზამ. ოღონდ სათქვენო რომ არაა ეს ყველაფერი?

- მაინც რა? - მკითხა იმან.

- ეს ოთახი. თქვენი სახლი. - ოღონდ თავდაპირველად რატომღაც, ისიც მეგონა - ხომ არ მომეყურა-მეთქი.

- ეს ჩემი ქმრის ნახელავი გახლავთ, ჩემი კი არა.

- უკაცრავად, ვერ გაგიგეთ, - ვუთხარი.

- ავეჯი ჩემი ქმრის შერჩეულია.

- ფლემის? - შევყვირე. - ფლემ სნოუჰისის? - იმას კიდეც არც გაჰკვირვებია, არც შეშინებულა, ისე შემომყურებდა განურჩეველი სახით და ჩემს დაცხრომას ელოდებოდა. მარტო მაკკერონისგან არ გამოჰყოლია ლინდას ის მისი თვალები, ოღონდ თმის ფერი ჰქონდა მთლიანად მამამისისა. - ფლემ სნოუჰისის! - გავიმეორე. - ფლემ, ფლემ სნოუჰისის!

- დიახ, მემფისში გახლდით წასული საამისოდ. ფლემმა ზუსტად იცოდა, რაც სურდა. არა, სწორს არ ვამბობ. ჯერ არ იცოდა. ის იცოდა - რაღაცა მჭირდება, რაღაც უნდა მქონდესო. გამიგეთ?

- გაგიგეთ, - ვუთხარი, - მშვენივრად გაგიგეთ. მემფისში ჩავედითო.

- დიახ, - თქვა იმან. - ჩასვლით კიდევ იმიტომ ჩავედით, რომ ფლემს ვინმე ისეთი უნდა მოეძებნა, ვინც შეძლებდა ეთქვა - ესა და ეს იყიდეთო. იცოდა, რომელი მაღაზიისთვისაც უნდა მიგვეკითხა. მაშინვე გამოიძია - არაფრის ყიდვას თუ არ აპირებს თქვენთან კაცი, იმაში რამდენს გამოართმევთ, რომ დაჯდეს და მოგელაპარაკოთო? თუ მიმიხვდით, ესე იგი, ვაჭრობის ამბავი არ გახლდათ ეს. ვაჭრობით როცა ვაჭრობთ, საქონელი იქნება თუ მიწის ნაჭრები - რითაც გნებავთ, შეგიძლიათ გაურიგდეთ, მაგრამ ისიც შეგიძლიათ, რომ არ გაურიგდეთ არავის, გააჩნია, როგორ აეწყობა საქმე; არავინ მოგეძალეობათ - გინდა თუ არა, იყიდეთ ან გაყიდეთო: თუ ვერ მორიგდით, დაშორდებით და იქნებით თქვენთვის. აქ კიდევ სხვაგვარად გახლდათ საქმე. ფლემს რაღაც უნდა დაენარჩუნებინა და იცოდა, აუცილებლად რომ სჭირდებოდა ის რაღაცა. ოღონდ არ იცოდა, რა სჭირდებოდა. ასე რომ, მარტო დამოკიდებული კი არ იყო მაღაზიის პატრონზე, მარტო იმას კი არ უნდა დალოდებოდა - აქეთ მასწავლის, რა ვიყიდო; იმაზეც იყო დამოკიდებული, რა სინდისის პატრონი აღმოჩნდებოდა ის კაცი, ვისაც ყველაფერი უნდა მოეყიდა ამისთვის, რაც კი რამე იყო საჭირო. იმიტომ, რომ იმ ნივთების ფასი და ღირებულება ამან არ იცოდა, ერთადერთი ის ჰქონდა გაბეჯითებული - უსიკვდილოდ მჭირდებაო. ესეც გამიგეთ, ხომ?

- დიახ, დიახ, - ვთქვი, - გაგიგეთ. მერე, მერე?

- ამას მაინცდამაინც ესა და ეს სჭირდებოდა, მაინცდამაინც იმნაირი კაცის შესაფერისი, თვითონ რომ შეიქნა. ჰოდა, მაღაზიის პატრონმა უთხრა: კი, მგონი, მიგიხვდითო, თქვენ ჯერ სოფლის დუქანში იდექით ნოქრად, მერე ქალაქში გადმოხვდით და რესტორნის პატრონი შეიქენით, ახლა ბანკის ვიცე-პრეზიდენტი ბრძანდებითო; კაცმა მოკლე ხანში ასე წაიწია და ალბათ ამასაც არ დასჯერდება, ესე იგი, ისაა საჭირო, მის სახლში ვინც შევა, ამ ამბავს ყველა მიხვდესო; კი, ახლა კი ვიცი, რაც გჭირდებათო! ამაზე ფლემმა - არაო, უთხრა. მაინცდამაინც ძვირის ამბავს არ ვამბობო, - მაღაზიის პატრონმა თქვა, - ოღონდ კაცის დაწინაურება რომ ჩანდესო. ფლემმა ისევ, არაო. კარგი, ჩემო ბატონო, - მაღაზიის პატრონმა თქვა, - აბა, მაშინ რამე ძველებურიო. ჰოდა, სხვაგან შეგვიყვანა, გვიჩვენა, რასაც ამბობდა. მაგალითად, აი, ეს შეიძლება აიღოს კაცმა და უფრო ძველებური შესახედავი გახადოსო. ამაზე - რატომო? - ფლემმა ჰკითხა. რატომ და - ვითომ ოჯახისეულია, ვითომ ბაბუასგან დაგრჩათო. ჰოდა, ფლემმა - კი, ბაბუა ნამდვილად მყავდა, ისე, როგორც ყოველ კაცს ჰყავს, არ ვიცი, რა კაცი იყო, ოღონდ ეს კი ვიცი, მის დღეში მთელი სახლის კი არა, ერთი ოთახის გასავეები ავეჯიც არ მოემევებოდაო; ესეც არ იყოს, არავის გაბრიყვებას არ ვაპირებ, რეგენის მეტი არავინ შეეცდება ჰკვიანი ხალხი გააბრიყვოს, ჰოდა, რეგენის გაბრიყვება ვისაც სჭირდება, ის თვითონ არის რეგენიო. მაშინ მაღაზიის პატრონმა - მომითმინეთო, და ტელეფონთან მივიდა. ცოტა ხანს ვიცადეთ, მერე ის ქალი მოვიდა, მაღაზიის პატრონის ცოლი. თქვენ რას ისურვებდითო? - მე მითხრა. ჩემთვის სულერთია-მეთქი. როგორო? - მკითხა და გავუმეორე ჩემი ნათქვამი. ჰოდა, მაშინ ფლემს შეხედა და დავინახე, როგორ იყვნენ დიდხანს ერთიმეორეს მიჩერებული. მერე ამ ქალმა თავის ქმარსავით ხმამაღლა კიარა, ჩუმიად თქვა, ძალიან მშვიდად: - ვიციო. ამაზე ფლემმა - მომითმინეთ, რა ეღირებაო? ჰოდა, იმ ქალმა - თქვენ კომერსანტი

ბრძანდებით, მოდი, გაგირიგდებით; მთელ ავეჯს ჯეფერსონში ჩამოვზიდავთ და სახლს გაგიწყობთ, თუ მოგეწონათ, იყიდეთ, არა და, ყველაფერს უკან დავაბრუნებ და ერთ ცენტსაც არ გამოგართმევთო.

- გასაგებია, - ვუთხარი. - მერე?

- ეს იყო და ეს, მეტი არაფერი. ყავა გაგიცივდებოდათ, მეორე ფინჯანს მოგართმევთ ახლავე. - წამოდგა კიდეც, მაგრამ მე შევაჩერე.

- როდის იყო მაგ ამბავი? - შევეკითხე.

- ოთხი წლის წინ, - მომიგო. - ეს სახლი რომ იყიდა ფლემმა, იმ წელიწადს.

- სახლი იყიდაო? - აღმოვთქვი. - ოთხი წლის წინ? ესე იგი, ბანკის ვიცე-პრეზიდენტი რომ შეიქნა, მაშინ?

- დიახ, - მომიგო. - მაგ ამბის გამოცხადების წინააღმდეგ. ახლავე მოგართმევთ მეორე ფინჯანს.

- არ მინდა ყავა! - ვუთხარი, თან ჩემთვის ვიმეორებდი - ფლემ სნოუპსი, ფლემ სნოუპსი-მეთქი, ვიდრე უცებ არ ვთქვი, არ წამოვიყვირე: - არაფერი არ მინდა! მეშინია მე! - მერე ჩავეკითხე: - რა ბრძანეთ? - და იმან გამიმეორა:

- სიგარეტი არ გნებავთ? - ჰოდა, ისიც ვიცანი, ის ნაყალბევი ვერცხლის კოლოფი. წესით იმ ყუთს მისნაირი სანთებელაც უნდა ხლებოდა, მაგრამ იმან სიგარეტებიანი კოლოფიდან სამზარეულოში სახმარი უბრალო ასანთი ამოიღო. - ლინდამ მითხრა, - ლერწმის ჩიბუხს ეწევასო. მოსწიეთ, თუ გნებავთ.

- არა, - ვუთხარი. - არაფერი არ მინდა, ოღონდ ფლემ სნოუპსი, - ვთქვი, - ფლემ სნოუპსი!

- დიახ, - თქვა იმან, - მე კი არ ვუშლი ჯეფერსონიდან წასვლას და კოლეჯში მოწყობას.

- კი, მაგრამ რატომ? - ვთქვი. - ლინდა ხომ არც კია მისი... ის ხომ არც კია ლინდას... მაპატიეთ! მაგრამ თქვენც ხომ მოგეხსენებათ - იმდენად საჩქარო, იმდენად საგულისხმომ ამბავია, რომ საიმისო დროც აღარაა...

- ცერემონიის დრო, ხომ? - მითხრა იმან. არა, არც კი შევრხეულვარ, ისე ვიჯექი და ვუმზერდი, როგორ წახარა, ფეხსაცმლის ლანჩას ასანთი გამოკრა და სიგარეტს მოუკიდა.

- არაფრის, - ვუთხარი, - არაფრისთვის არ უნდა გვეცალოს, ლინდას საქმის გარდა. რეტლიფი მიხსნიდა რაღაცას ამ დილით, მაგრამ არ მოვუსმინე, იქნებ იმასვე მეუბნებოდა, რაც თქვენ მითხარით ამ ერთი წუთის წინ, მე კიდეც არ მოვუსმინე, არ მინდოდა მოსმენა. ამ ავეჯის ამბავი, მაღაზიაში გატარებული დღის ამბავი. როცა იმან თვითონაც არ იცოდა, რა უნდოდა, იმიტომ, რომ დიდი არაფერი ბედენა იყო, რა იქნებოდა ნაყიდი: მთავარი ის იყო, რომ იმას აუცილებლად სჭირდებოდა, უსიკვდილოდ უნდა ჰქონოდა, უნდა შეეძინა, სულერთია, რა დაჯდებოდა ეს ყველაფერი, ვინ რას დაკარგავდა, ვინ დამწუხრდებოდა და გაუბედურდებოდა. მას ის

სჭირდებოდა, რაც სავსებით ზუსტად მოერგებოდა ისეთ ადამიანს, როგორცაც თვითონ იქცეოდა ხვალ, როცა მის დანიშვნას გამოაცხადებდნენ: ვიცე-პრეზიდენტის ცოლიც, მისი ქალიშვილიც სახლის მორთულობის ნაწილს შეადგენენ დანარჩენ ავეჯთან ერთად. ამის თქმა გინდოდათ ჩემთვის?

- დაახლოებით რაღაც მაგდაგვარის, - თქვა იმან.

- დაახლოებით რაღაც ამდაგვარის? - აღმოვთქვი. - რასაკვირველია, ამით არ მოთავებულა ყველაფერი, სულაც არ მოთავებულა. ფულისას აღარაფერს ვამბობ, რადგან ვისაც კი მისი ბანტად განასკვული ჰალსტუხი უნახავს, მაშინვე მიხვდება, რომ ის კაცი თავისი ფულიდან ერთ ცენტსაც ვერ გაიმეტებს პლაცკარტი ბილეთისთვის, რათა სასწავლებელში თუნდაც თავისი საკუთარი შვილი გაამგზავროს, არამცთუ სხვისი შვილი, უკანონ... - მაგრამ აქ დავდუმდი. ის ქალი ისევ ეწეოდა და სიგარეტს აკვირდებოდა, ოღონდ არ წაუყრუებია.

- დაასრულეთ, - მითხრა - უკანონოდ დაბადებული, ხომ?

- დამნაშავე ვარ თქვენ წინაშე, - ვთქვი მე.

- რატომ? - მკითხა იმან.

- დამნაშავედ უნდა ვგრძნობდე თავს. იქნებ მეგრძნო კიდეც, თქვენც რომ ამნაირად გრძნობდეთ თავს, ან თავს მაინც გვაჩვენებდეთ ამნაირად...

- განაგრძეთ, - მითხრა იმან. - ესე იგი, ფულის ამბავი არაა.

- იმიტომ, რომ იმ კაცს, იმ კაცს კი არა, თქვენ შეგეძლოთ ფული ბიძია ბილისთვის გამოგერთმიათ, იმისას თუ აღარაფერს ვიტყვით, რომ მეც შემეძლო ფული მომეცა სტიპენდიის სახით. თუმცა იქნებ ასეცაა საქმე? იქნებ ის იმ აზრს ვერ ეგუება, რომ თუნდაც სხვისი ფული, მისი მოსისხლე მტრის ფული, - ბიძია ბილი მისთვის მტერია ალბათ, - შეიძლება იმაზე გადაიყაროს, რომ ბავშვი სხვა შტატში გაიგზავნოს სასწავლებლად, მაშინ, როცა თავად ყოველ წელიწადს გადასახადს იხდის მისისიპის სკოლების სარჩენად.

- განაგრძეთ, - მითხრა იმან, - არაა ფულის ამბავი.

- ესე იგი, ბოლოს დაბოლოს, ყველაფერი აიხსნება იმ სურათით, ავეჯეულის კატალოგში რომაა ფერად-ფერად ასლად გადმოღებული რომელიმე ჩარლსტაუნური ან რიჩმონდული, ლონგაილენდური თუ ბოსტონური ფოტოდან; ესე იგი, ოღონდ კი ყოველივე იმგვარად გამოიყურებოდეს, როგორც ფლემ სნოუპსი უნდა წარდგეს მისი შეხედულებით იოკნაპატოფას ოლქის საზოგადოებრივი აზრის წინაშე. სანამ მიღრინკული რესტორნის პატრონი იყო და მეტი არაფერი, მანამდე შეიძლებოდა, რომ მთელ ფრანგისხევში (მთელ ფრანგისხევშიც და მთელ ჯეფერსონშიც, მთელ იმ არემარეზეც - რეტლიფის და მისნაირების წყალობით) ხალხს სცოდნოდა, რომ მისი გვარის მქონე ბავშვი სინამდვილეში მ-მ...

- უკანონოდ დაბადებულია, - ხელახლა თქვა იმან.

- მასე იყოს, - ვთქვი, ოღონდ ის სიტყვები ჩემდა თავად აღარ გამიმეორებია. - მაშინაც კი, რესტორანი გვარიან ფასად რომ გაასაღა და ელექტროსადგურის

ზედამხედველი რომ შეიქნა, ამ ამბავს მაშინაც არ ჰქონია მნიშვნელობა. მერეც, საზოგადო საქმეში რომ აღარ იდგა, კერძო მევახშე და მომხვეჭელი რომ იყო მხოლოდ და ჩუმ-ჩუმად მიჰყვებოდა თავის საქმეს; იმისას თუ აღარაფერს ვიტყვით, რომ ათი თუ თორმეტი წელიწადი გავიდა, ჰოდა, ამ ხნის განმავლობაში იმასაც კი შეეძლო ერწმუნებინა - ჯეფერსონელი იმდენად კეთილად არიან განწყობილნი თორმეტ-ცამეტი წლის გოგონასადმი, ყოველნაირი უმაქნისი და უაზრო ინფორმაციით სიცოცხლეს არ მოუშხამავენო. მაგრამ მერე ბანკის ვიცე-პრეზიდენტი შეიქნა. ჰოდა, ახლა უცებ ვიღაც გარეშე კაცი ჩარეულა საქმეში და იმ გოგონას ჩასციებია - სხვა შტატში წადი სასწავლებლად და საშობაო არდადეგებამდე სამი თვე მაინც იქ გაატარეო. იქ მყოფი ახალგაზრდების მშობლები კიდევ ამის მოვალენი არ გახლავან, ასე რომ, სულაც არ არიან ვალდებული, პირში წყალი ჩაიგუბონ - იმ ახალგაზრდებიდან ყველას შეუძლია, გოგოს ის საიდუმლო გაუმჟღავნოს, რომელიც, რაღაც უნდა დაჯდეს, უქველად დასაფარია. თურმე რა ყოფილა საქმე, - ვთქვი, ოღონდ იმ ქალს არც ამჯერად შემოუხედავს ჩემთვის: მშვიდად, აუჩქარებლად ეწეოდა და ამდოვრებულ ბოლს თვალს მიადევნებდა. - აბა, მაინც თქვენ ყოფილხართ დამნაშავე, - ვუთხარი. - იმან ლინდას ჯეფერსონიდან წასვლა აუკრძალა და თქვენც გაიძულათ მიმხრობოლით, იმით დაგემუქრათ, რასაც თვითონვე უფროთხის - დედამისის თავისმოსაჭრელი წარსულის ამბავს ვუამბობ ლინდას და იმასაც ვეტყვი, უკანონოდ შობილი რომ არისო. რას გეტყვით, იცით? ან მამათქვენს სთხოვეთ ფული, ან მე გამომართვით, ჰოდა, რაც გაგეწყობათ შორს გაგზავნეთ ჯეფერსონიდან, თორემ მე თვითონ ვუამბობ, ვინც არის სინამდვილეში, ანდა - ვინ არ ყოფილა არასოდეს სინამდვილეში.

- მერე თქვენ გგონიათ, დაგიჯერებთ? - მითხრა იმან.

- რა ბრძანეთ? - ვთქვი. - არ დამიჯერებს? მე არ დამიჯერებს? ლინდას სარკვეში ყურებაც არ დასჭირდება, რომ შეადაროს და უარყოს, ისიც საკმარისი იყო, ჩვიდმეტ წელიწადს რომ იცხოვრა მის გვერდით. იმაზე უკეთესი რა უნდა იყოს ლინდასთვის, მე რომ დამიჯეროს, ყოველ კაცს დაუჯეროს, იმას ჩაეჭიდოს, რასაც ის ხალხი ეტყვის, ვისაც ამდენი ლმობიერება ექნება, რომ აუხსნას - მისი შვილი არ ხარო? როგორ გეკადრებათ! მეტი რა უნდა, გარდა იმის უფლებისა, რომ დედამისი უყვარდეს, რადგან დედამისმა სიყვარულის ფასად გადაარჩინა, სწოლესად არ შვა ამ ქვეყანაზე. ჰოდა, ეს თუ არ კმარა, იმაზე მეტს ვინ ინატრებს, რომ ამგვარი იყოს, როგორად ყოფნასაც კაცთა მოდგმის უმრავლესობა ვერ ღირსებია, უფლება ჰქონდეს ის დაიმსახუროს, რასაც ერთი დაიმსახურებს ხოლმე ათეულ მილიონთაგან - არა მარტო იწოდებოდეს „შვილად სიყვარულისა“, არამედ თავადვე იყოს ერთი იმ რჩეულთაგანი, სიყვარულის უკვდავ შვილთა ნათესავთაგანი; ისინი ხომ იმ შეუპოვარი უმანკო ვნების ნაყოფნი არიან, რომელიც მზად კი არაა მხოლოდ, განწირულიცაა საიმისოდ, რათა სიყვარულს უმსხვერპლოს მთელი ქვეყნიერება; ოდითგანვე ამისთვის ოცნებობდნენ მუდამ ის უნიათო, უძალო, ძილგამკრთალი და მფრთხალი ადამიანები, პოეტებად სახელდებულნი, ოცნებობდნენ, დარდობდნენ და ამითვე სულდგმულობდნენ, იმითვე ეძლეოდნენ აღმაფრენას... - ახლა უკვე შემომყურებდა ის ქალი, აღარ ეწეოდა, სიგარეტი ისე ეჭირა და ცისფერი კვამლის წიალიდან გამომცქეროდა.

- თქვენ მაინცდამაინც კარგად არ უნდა იცნობდეთ ქალებს, ხომ? - მითხრა იმან. - ქალებს პოეტების ოცნება კი არ აინტერესებთ, ფაქტები აინტერესებთ, სულერთია, სიმართლე იქნება თუ არა, ოღონდ კი ეს ფაქტები სხვა ფაქტებს ეწყობოდეს და თანხვდებოდეს. თქვენ არ დაგიჯერებდათ ლინდა. იმასაც არ დაუჯერებდა, კიდევ რომ ეთქვა თვითონ. მაგ არა და, შეგიძლებდათ ორივეს, მით უმეტეს - თქვენ, იმიტომ, რომ თქვენ ატეხეთ მთელი ეს ამბავი.

- აბა, თქვენი აზრით, ლინდა შეეგუება... ყველაფერ ამას... იმ კაცსაც? ცარიელზე დარჩენას ამჯობინებს? უარს იტყვის იმაზე, რომ ისწავლოს, სხვაგვარად იცხოვროს? არა, არ მჯერა თქვენი!

- ლინდასთვის მაგ ამბავი ცარიელზე დარჩენა არ იქნება. მაგასამჯობინებს ბევრ რამეს, თითქმის ყველაფერს.

- არ მჯერა თქვენი! - ვთქვი, შევყვირე მე, ან კიდევ ასე გავიფიქრე - შევყვირე-მეთქი. კი, გავიფიქრე მხოლოდ, თქმით კიდევ სხვა რამე ვთქვი: - აბა, ვერაფრის გაკეთებას ვერ შევძლებ?

- შეძლებთ, - მითხრა იმან. ახლა თვალს არ მამორებდა ჩამქრალი სიგარეტის ხელში მჭერელი. - ცოლად შეირთეთ ლინდა.

- რაო? - ვთქვი, არა, შევყვირე მე. - გაჭაღარავებულმა კაცმა, ქალზე ორჯერ უფროსმა? ნუთუ ვერ ხედავთ, რა მაწუხებს? ჯეფერსონისგან მისი დახსნა მინდა, მისთვის თავისუფლების მინიჭება მინდა, უფრო მაგრად, უფრო მეტად, უფრო სამინლად მივოჭვა კი არა! თქვენ კიდევ ფაქტების რეალობაზე მელაპარაკებოდით!

- ერთადერთი ფაქტი გათხოვებაა, სხვა ყველაფერი - პოეტების რომანტიკული ნაბოდვარი. შეირთეთ ცოლად. თქვენ ნამდვილად გამოგყვებათ. სწორედ ახლა, ამ გზაჯვარედინზე ვერ შეძლებს, ვერ მოახერხებს უარის თქმას. შეირთეთ ცოლად.

- მშვიდობით, - ვთქვი მე. - მშვიდობით.

ჰოდა, რეტლიფი, ამ ერთი საათის წინ რომ დავტოვე, ისევ ისე დამხვდა ჩემი კლიენტებისთვის განკუთვნილ სავარძელში მოკალათებული.

- ხომ შევეცადე, ამეხსნა თქვენთვის, - მითხრა. - ფლემის საქმეა, რაღა თქმა უნდა. აბა, იულას და იმ გოგოს რატომ უნდა ეთქვათ უარი ამ შესაძლებლობაზე, რომ ცხრა-ათი თვით მაინც მოშორებოდნენ ერთმანეთს?

- ახლა მაქვთ შემოიძლია აგიხსნათ, როგორცაა საქმე, - ვუთხარი. - ფლემ სნოუპსი ბანკის ვიცე-პრეზიდენტია, სახლიც სავიცეპრეზიდენტო უდგას და ავეჯიც, ჰოდა, იმ ავეჯის ნაწილს ვიცე-პრეზიდენტის ცოლ-შვილიც უნდა წარმოადგენდეს.

- არა, - მომიგო რეტლიფმა.

- კარგი, - ვთქვი მე, - ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა არავის არ უნდა გაახსენებინოს, რომ მისი ცოლი გათხოვებისას უკვე მუცელქმნილი ბრძანდებოდა ვიდაცისგან. ჰოდა, ის გოგო სხვაგან თუ წავიდა სასწავლებლად, ვინმე გამოჩნდება ისეთი, ფლემ სნოუპსის რომ არაფერი მართებს, გოგოს უამბობს - სინამდვილეში ესა და ეს ხარო, და მთელი ეს ამხელა ცირკი ხუხულასავით დაინგრევა.

- არა, - მომიგო რეტლიფმა.

- კარგი, ბატონო, - ვთქვი მე. - მაშინ თქვენ ბრძანეთ.

- ფლემს იმის ეშინია - არ გათხოვდესო.

- რაო? - აღმოვთქვი მე.

- რაღა თქმა უნდა, - მითხრა რეტლიფმა. - ჯოდი რომ დაიბადა, ბიძია ბილ უორნერმა ანდერძი დაწერა და იმ ანდერძით მთელი ქონების ნახევარი მისის უორნერს არგუნა, ნახევარი კიდეც - ჯოდის. იულაც რომ გაჩნდა, ბიძია ბილმა ანდერძი გადაასწორა - მისის უორნერს თავისი ნახევარი დაუტოვა, ოღონდ მეორე ნახევარი ჯოდის და იულას გაუნაწილა ტოლად. ეს ანდერძი აჩვენა სწორედ ფლემს, როცა ამას იულა უნდა შეერთო, ჰოდა, მერე აღარ შეუცვლია ანდერძი. უკეთ რომ ვთქვათ, ფლემ სწოუპსმა ბერიკაცს დაუჯერა, როცა იმან უთხრა - ანდერძს აღარ შევცვლიო. ოღონდ სხვებს შეეძლოთ არ დაეჯერებინათ, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ფლემმა ფრანგის კარ-მიდამოს ამბავში მოაღორა სიმამრი.

- რაო? - აღმოვთქვი მე. - ნუთუ ბილმა ის კარ-მიდამო მზითვად მისცა იულას?

- აბა, რა, - მითხრა რეტლიფმა. - ყველა მაგას ამბობდა და ვერც ბიძია ბილი იუარებდა ვერაფრით. იმან ფლემს ის კარ-მიდამო შეაძლია, ფლემმა კიდეც უთხრა - ფულად მერჩივნაო. ამიტომ იყო, ფლემი და იულა ერთი დღით გვიან რომ წავიდნენ ტეხასში: ევაჭრა და ევაჭრა ფლემი სიმამრს, ჰოდა, ბიძია ბილმა აიძულა, ისეთ მცირე თანხას დასჯერებოდა, როგორც თავიდან ფიქრადაც არ მოუვიდოდა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ფლემმა უთხრა - კარგი, მაგ ფულს ავიღებ, ოღონდ ტეხასიდან დაბრუნებისას იმის საშუალება მომეცი, იმავე ფასად ის კარ-მიდამო ვიყიდო. ასე მორიგდნენ და ფლემი ტეხასიდან იმ ჭრელ-ჭრელ ცხენებიანად ჩამობრუნდა. მერე, მტვერი რომ დაიწმინდა, მე და ჰენრი არმსტიდმა ფრანგის კარ-მიდამო ვიყიდეთ - მე რესტორნის ჩემი ნახევარი გავიღე, ჰენრი კიდეც გვარიან თანხას ჩამოვიდა, ასე რომ, საკმარისად მოგროვდა ბიძია ბილისთვის იმ ფულის გადასახდელად, რომელიც სულ გადავიწყებული ჰქონდა უკვე. ამიტომაც ფიქრობს ფლემი - ბიძია ბილი თავის ანდერძს აღარ შეცვლისო. ჰოდა, შიშობს ახლა - ის გოგო ჯეფერსონიდან რომ გაუშვას და რომ გაუთხოვდეს, მაშინ იულაც უეჭველად მიატოვებს. კი, ბატონო, არაო - ფლემმა თქვა პირველმა, მაგრამ ახლა სამივე თქვენი წინააღმდეგია, იულაც და თვითონ ის გოგოც, სანამ ვინმეს ცოლად არ გაჰყვია. იმიტომ, რომ ქალებს არ აინტერესებთ...

- მომითმინეთ, - ვუთხარი, - მე მათქმევინეთ. იმიტომ, რომ ქალებს ვერაფერი გავუგე, იმიტომ, რომ ისეთი ამბები, როგორცაა სიყვარული, ან მორალი, ან კიდეც იმის სურვილი - ყოველი შემთხვევა გამოიყენო საიმისოდ, რომ ერთ-ერთ სწოუპსად არ იქცეს ადამიანი, - ესყოველივე პოეტის რომანტიკული ნაბოღვარია; ჰოდა, ქალებს რომანტიკული ნაბოღვარი კი არ აინტერესებთ, არამედ მხოლოდ ფაქტები აინტერესებთ: მათთვის სულერთია, როგორია ფაქტები, სიმართლეა თუ არა, ოღონდ კი ეს ფაქტები სხვა ფაქტებს თანხედებოდეს და ეწოდებოდეს. სწორს არ ვამბობ?

- კაცმა არ იცის, - მითხრა რეტლიფმა. - მე იქნებ მთლად მასე არ მეთქვა.

- ყველაფერი იმის ბრალია, ქალებს რომ ვერაფერი გავუგე, - ვთქვი მე. - ერთი მითხარით მაინც, თქვენი ჭირიმე, თქვენ რომელი ემშაკი შეგეწიათ, ასე რომ გესმით იმათი?

- იქნებ ის იყო, რომ ვუსმენდი ხოლმე, - მითხრა რეტლიფმა. ეს კი ვიცოდით ყველამ: რამდენჯერ უნახავს იოკნაპატოფას ყოველ მცხოვრებს ამ უკანასკნელი ათი-თორმეტი წლის განმავლობაში სახლს მიმსგავსებული გაღებილი თუნუქის ყუთი, რომელშიც საკერავი მანქანის ნიმუში იდგა (წინ ის სახლაკი ცხენის ფურგონზე იყო მოთავსებული, ბოლო ხანს კი - ნახევრად სატვირთო პიკაპზე). ისიც ყველას ჰქონდა



ნანახი, როგორ შეჩერდებოდა ხოლმე რომელსამე ჭიშკართან ათასობით იარდისა და ასობით შარაგზის გამომვლელი ის ფურგონი თუ ავტომობილი და როგორ შეიკრიბებოდა მის გარშემო ერთი მილის არემარიდან ხუთი-ექვსი ჩაჩიანი და ჩალისქუდიანი დედაკაცი; თავად რეტლიფი, თავის განუშორებელ, სუფთა ლურჯ ხალათში გამოწყობილი, სადმე ჩრდილში, ვერანდაზე ან ეზოში იყო ჩამომჯდარი და უსმენდა შეუცნობელი, აუძღვრველი, თავაზიანი და ცბიერი სახის მქონე. დიახ, ეს ყველას მოგვეხსენებოდა.

- აბა, მე იმათ არ ვუსმენდი ალბათ, ვისი მოსმენაც იყო საჭირო, - ვთქვი მე.
- ანდა იქნებ იმათ უსმენდით, ვისი მოსმენაც არ იყო საჭირო, - მითხრა რეტლიფმა.
- საერთოდ, თქვენ არასდროს არ უსმენდით არავის, რადგან მაშინვე თქვენ თვითონ ამრახდებოდით ხოლმე.

დიახ, სულ ადვილი საქმე გახლდათ. ის იყო მხოლოდ საჭირო, თავის დროზე ქუჩაში გამოვსულიყავი, რათა იმას დავენახვე და გვერდით შუკაში გავარდნილიყო თავის დასახსნელად. მერე მთელი კვარტალის შემოვლაც აღარ მომიხდებოდა, საკონდიტრო უნდა გამევლო, უკანა შესავალიდან გავსულიყავი, ასე რომ, იმას რაც უნდა ერბინა, შესახვევში პირველი მე მოვხვდებოდი და კუთხეში ჩავუსაფრდებოდი. ჰოდა, საკმარისი დრო მქონდა იმ წუთამდე, ვიდრე მისი აჩქარებული ფეხის ხმა შემომესმებოდა; მაშინ გამოვედი და, ვიდრე ის ხელის აწევას მოასწრებდა თითქოს ჩემს განსაშორებლად თუ ჩემგან თავის დასაცავად, მაჯაში ვწვდი. ფრთხილად მეჭირა მისი ხელი, ის კიდევ ცდილობდა, გამოეგლიჯა, გაეთავისუფლებინა და თან მეუბნებოდა - გამიშვით! გამიშვით!

- კარგი, - ვთქვი მე, - კარგი! ეს მითხარი მხოლოდ: გახსოვს, იმ დღეს საკონდიტროში რომ უნდა შევხვედროდით, შენ ჯერ სახლში შეუხვევე ტანსაცმლის გამოსაცვლელად? შენ თვითონ გადაწყვიტე, სახლში შესულიყავი და მეორე კაბა ჩაგეცვა. ოღონდ ის ხომ დედაშენის აჩემება იყო, ტუჩები რომ შეიღებე, ნელსურნელება წაისვი და აბრეშუმის ჩულქებსა და მაღალქუსლიან ფეხსაცმელში გამოეწყვე, ასე არაა? - მაგრამ ის ფრთხილად ქაჩავდა ჩემს ხელში ჩაჭერილ თავის მაჯას. მის გამოთავისუფლებას ცდილობდა და ჩურჩულით იმეორებდა:

- გამიშვით! გამიშვით!

## 16. ჩარლზ მალისონი

რეტლიფის ნათქვამის მიხედვით, გევინ ზიძიას მოსვლამდე ასეთი ამბავი მომხდარა.

იანვარი იყო. ღრუბლიანი დღე იდგა, მაგრამ არ ყინავდა, რადგან ნისლიც ჩამოწოლილიყო. ჰეტი მისის ჰეტის წინა ოთახში შევარდა, იქიდან კიდევ სამზარეულოს ეცა, ბავშვურად ხმამაღლა და ხალისიანად აყვირებული:

- მის მენი! თქვენს ეზოში ჯორი შემოსულა!

ხეირიანად არავინ იცოდა, რა ხნის იყო ეს დედაბერი. ჯეფერსონელნი ვერც იმას გეტყობდნენ, რამდენი წელი იქნებოდა გასული მას შემდეგ, რაც ჰეტი დავრდომილთა თავშესაფარში დამკვიდრებულიყო საცხოვრებლად. ბერიკაცები ამბობდნენ – სამოცდაათს მიტანებული იქნებაო, თუმცა თვითონ ჰეტის გამოთვლის თანახმად, მავან და მავან ჯეფერსონელ მანდილოსანთა ასაკს თუ გავითვალისწინებდით (საპატარძლოებით დაწყებული და ბებიებით დამთავრებული, ვისაც ის აკვანში ანანავებდა თურმე), ასი წლისაც გამოდიოდა, რეტლიფი კიდევ ირწმუნებოდა – სამი საუკუნისა მოიყარაო.

ოღონდ დავრდომილთა თავშესაფარში დასაძინებლად თუ მივიდოდა ჰეტი, ან ღამის გასათევად, ან კიდევ ღამის ნაწილის გასატარებლად. რადგან მთელ დანარჩენ დროს ან მოედანზე იყო, ან ქუჩებში, ანდა დავრდომილთა თავშესაფრიდან ჯეფერსონს მომავალ ერთ-ნახევარი მილის სიგრძე ტალახიან გზაზე. აგერ ოცდახუთი წელი მაინც იქნებოდა გასული, რაც ქალაქელი მანდილოსნები მეზობელ სახლთან მისი დანახვისას, ან თუნდაც მისი მაღალი, ომახიანი ხმის გაგონებისას სააბაზანოში იკეტებოდნენ ხოლმე. ოღონდ ესეც ვერ უშველიდა, თუკი მანამდე სადარბაზოს და უკანა შესასვლელის დაგმანვა დაავიწყდებოდათ. იმიტომ, რომ ადრე თუ გვიან ხომ უნდა გამოსულიყვნენ. ჰოდა, რომ გამოვიდოდნენ, ჰეტიც იქვე დახვდებოდა – ტანმაღალი, ხმელ-ხმელი, შოკოლადისფერი პირისკანის მქონე, ენაწელიანი, მხნე, რეზინის ჩუსტებითა და ჩაფართხუნებული, თავგისფერი პალტოთი მოსილი; იმ პალტოს კიდევ ის ჰქონდა შემოყოლებული, რასაც ორმოცი თუ ორმოცდათი წლის წინ ბეწვი ეთქმოდა; თავზე, თავსაფარს ზემოთ ხასხასა წითელი ქუდი ეხურა, მოხუცებულ მისის კომპსონისგან ნაწყალობევი ამ ორმოცდათი წლის წინ, როცა გენერალი კომპსონი ჯერაც ცოცხალი იყო (თავდაპირველად ამავე ფერის საკვოიას დაატარებდა, ქვანახშირის შახტივით უძიროს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჯეფერსონში ათცენტაინი საქონლის დუქანი გახსნეს, ის უძირო საკვოიასი შეიცვალა ქალაქის ჩანთებით, რომლებსაც დუქანში უფასოდ იძლეოდნენ); სამზარეულოში სკამზე ჩამოჯდებოდა ხოლმე და, თუმცა მოწყალების სათხოვნელად იყო მოსული, მაღალი წრის მანდილოსანივით იცოდა ამეტყველება, ერთობ დარბაისლური ტონით.

ასე მიდი-მოდიოდა ერთი სახლიდან მეორეში, თითქოს რაღაც მცურავი კუნძული ყოფილიყოს, ირგვლივ მყოფთათვის ძრწოლისა და პანიკის დამტეხი; ყოველდღიურ ხარკად ნასუფრალი და ძველმანები ჰქონდა გაჩენილი, ზოგჯერ კიდევ – ბურნუთის სამყოფი ხურდა ფული, ქალაქის რია-რიასა და ორომტრიალში იძვროდა ცისმარე დღეს გადასახადის ამკრეფივით განურინებელი. ერთი კია, რომ ბოლო ხანს, მას შემდეგ, რაც მისის ჰეტი დაქვრივდა, ჯეფერსონმა მისის ჰეტის წყალობით შეღავათი იგრძნო დროებით მაინც. ოღონდ ამ შეღავათის დროსაც ნამდვილი სიმშვიდე არ დამკვიდრებულა. უფრო ის იყო, რომ ჰეტმა მისის ჰეტის სამზარეულოში თავისებური ადგილობრივი შტაბი თუ მეწინავე საფურაჟე პოსტი მოიწყო მას შემდეგ, რაც მისტერ ჰეტი და მისტერ ა. ო. სნოუპსის ხუთი ჯორი ქალაქთან ახლოს დიდ მოსახვევთან გაიტანა ჩრდილოეთისკენ მიმავალმა ჩქარმა მატარებელმა და დავრდომილთა თავშესაფარშიც კი ააღწია ხმამ – მისის ჰეტმა ქმრის დალუპვისთვის რვა ათასი დოლარი მიიღო. ქალაქს ჩამოსული ჰეტი პირდაპირ მისის ჰეტისას მოდიოდა და ზოგჯერ შუადღემდეც იქ რჩებოდა, ქალაქის ჩამოვლას ამის მერედა იწყებდა. ხანდახან, ცუდ ამინდში ჰეტი მთელ დღესაც რჩებოდა ხოლმე მისის ჰეტთან. ასეთ დღეებში მისი მუდმივი კლიენტები თუ მსხვერპლნი, მისგან დროებით თავდახსნილნი, საგონებელს ეძლეოდნენ – ნუთუ იმ ქალს, მამაკაცური ხასიათის და მამაკაცური ენის პატრონს, რომელმაც, რეტლიფის ნათქვამის არ იყოს, რვა ათასი პროცენტის მოგებით მიჰყიდა თავისი ქმარი რკინიგზის კომპანიას და რომელიც შეშასაც თავისი ხელით დაჩეხავს, ძროხასაც თვითონ წველიდა, ბოსტანსაც ბარავდა და უვლიდა, – ნუთუ იმ

ქალს საცოდავი ჰეტი იმის გულისთვის ეხმარება, რომ ზღურბლზე გადაბიჯების უფლებას აძლევდნენ, ანდა იმისთვის, რომ იქ შეუძლია, მაღალი წრის მანდილოსნის კილოზე იმეტყველოს, ვითომ თავის შესაქცევად და დიასახლისის გასართობად მისულიყოსო.

მისის ჰეტის სამზარეულოში შევარდა პალტოთი მოსილი, ქაღალდის ჩანთის ხელში მჭერელი და მაღალ ხმაზე აყვირებული ჰეტი:

- მის მენი! თქვენს ეზოში ჯორი შემოსულა!

მისის ჰეტი ქურასთან იყო ჩაცუცქული, ნაკვერჩხლებს ყრიდა ვედროში. უშვილო ქალი გახლდათ და ახლა მარტო მარტო ცხოვრობდა თავისფიცრულ სახლში, იმავე ფრად რომ იყო შეღებილი, რა ფრადაც რკინიგზის კომპანია სადგურის შენობებს და სატვირთო ვაგონებს ღებავდა, - როგორც ვიტყოდით ხოლმე ჩვენ ყველანი იმ სამი წლის წინანდელი სამახსოვრო დილის პატივსაცემად, როცა ის, რაც მისტერ ჰეტისგან იყო დარჩენილი, იმისგან გამოაცალკევეს, რაც ხუთი ჯორისა და რამდენიმე ფუტის სიგრძის ახალი ქერელის თოკისგან დარჩენილიყო და ლიანდაგის გასწვრივ მიმოხეულიყო. ხანი გამოხდა და მისის ჰეტს მოველინა რკინიგზის კომპანიის წარმომადგენელი, რომელიც მოვალე იყო, სარჩელები დაეკმაყოფილებინა. ჰოდა, ცოტა ხანმაც რომ გაიარა, მისის ჰეტიმ ჩვეით რვა ათას ხუთასი დოლარი მიიღო, რადგან, გვეინ ბიძიას ნათქვამის არ იყოს, იმ ნეტარ დროს რკინიგზის კომპანიებიც კი თავიანთ სამხრეთის განყოფილებებსა და ფილიალებს ყველა იმის კანონიერ და სამართლიან საშოვრად მიიჩნევდნენ, ვინც ლიანდაგის ახლომახლო სახლობდა. და, თუმცა მისტერ ჰეტის სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე კი დაიწყო ის ამბავი, რომ ღამლამობით სწორედ იმ დიდ მოსახვევში ჯორები თითო-თითოდ თუ წყვილ-წყვილად ბორბლებქვეშ ყვებოდნენ (უცნაური დამთხვევა გამოდიოდა - თითქმის ყოველთვის მისტერ სნოუპსის ჯორები აღმოჩნდებოდნენ ხოლმე; ადვილი გამოსაცნობი იყვნენ, რადგან ყოველთვის, როცა კი მატარებელი მის ჯორებს გაიტანდა, ჯორებს ახალთახალი მაგარი თოკი ჰქონდათ ჩაბმული), გვეინ ბიძიას ნათქვამის არ იყოს, ის მაინც პირველად მოხდა, რომ მათი ბედუკულმართი აღსასრული ადამიანსაც ხვდა წილად.

მისის ჰეტიმ საფასური ნაღდ ფულად მიითვალა. ჩითის კაპოტით მოსილი იდგა სალაროს სარკმელთან, თავისი განსვენებული ქმრის სვიტერი ეცვა და თავს ეხურა ნამდვილი რბილი შლაპა, ამ საბედისწერო დღეს მისტერ ჰეტის ნაქონები; იდგა და სახეგაყინული, შუბლშეკრული მდუმარედ უსმენდა ჯერ მოანგარიშეს, მერე - მოლარეს, დაბოლოს - პრეზიდენტს (თავად მისტერ დე სპეინს), რომელნიც ჯერ იმას უჩიჩინებდნენ - კუპონებიო, მერე - ვადიანი ანაბრებიო, ბოლოს - ჩვეულებრივი ანაბრებიო, რის შემდეგაც ფული წინსაფარქვეშ ჩამოკიდებულ ტომსიკაში ჩაიწყო და წავიდა, მერე თავისი სახლი იმ გამძლე საღებავით შეღება სადგურებისა და სატვირთო ვაგონების ფრად, როგორც ეტყობა, გულაჩუყებულმა ან (რეტლიფის ნათქვამის არ იყოს) მაღლიერმა, ჰოდა, იმის მერე მარტოდმარტო ცხოვრობდა კვლავინდებურად ჩითის კაპოტით, სვიტერთა და რბილი შლაპით მოსილი, იმ ჩასაცმელ-დასახურავში გამოწყობილი, რომელსაც მისი ქმარი ატარებდა, ვიდრე უმაქნისი არ შეიქნა მისთვის ის ჩასაცმელი და დასახურავი; ოღონდ ფეხსაცმელი საკუთარი ეცვა უკვე; მამაკაცის ფეხსაცმელი იყო, ღილებიანი, ტიტის ბოლქვისმაგვარი ყელიანი, მოძველებული და მოდიდან დიდი ხნის წინ გამოსული ფასონის ფეხსაცმელი, - მისტერ უილდერმარკი წელიწადში ერთხელ საგანგებოდ მისთვის უკვეთავდა ხოლმე.

ჰოდა, მისის ჰეტი წამოხტა, ვედრო ხელიდან არ გაუშვია, ისე შემობრუნდა, თვალეზი დააკვესა და თავისი მაღალი, მკვეთრი ხმით იყვირა:

- უჰ, ის ძაღლის დაგდებული! - ჰოდა, ხელში ვედროს მჭერელი გავარდა სამხარელოდან, ნისლში შერგო თავი, ქაღალდისჩანთიანი ჰეტიც უკან მიჰყვა. არ ყინავდა-მეთქი, მოგახსენეთ, - ნისლი გახლდათ ჩამოწოლილი: გეგონებოდათ, ჯეფერსონის მთელი ძილისმიერი სულისთქმა, იანვრის იმ გრძელ ღამეს შენივთული, კვლავაც გაწოლილა ნისლსა და მიწას შუა და დაზრობისგან იფარავსო; თითქოს ცხიმის ფენა ყოფილიყოს უკანა კარის ხის კართანაზე, აგურის წყობაზე, სარდაფის სახურავსა და კართანადან ჩარიგებულ ფიცრებზე გადაგლესილი, და როცა ხელში ჯერაც ნაკვერჩხლებიანი ვედროს მჭერელი მისის ჰეტი იმ ფიცრებზე შედგა, ფეხი ისე დაუსხლტა, წონასწორობა ძლივს შეინარჩუნა. რეზინისჩუსტებიან ჰეტს ფეხი არ მოსრიალეზია.

- ფრთხილად იყავით! - მხნედ შეუძახა ჰეტმა. - სახლის წინ არიან! - ოღონდ ერთი იმ ცხოველთაგანი სახლის წინ აღარ იყო უკვე. ფეხმოცურებული მისის ჰეტი არ დაცემულა, არც კი შეჩერებულა, მხარი შეიბრუნა და გაქანდა სახლის კუთხისკენ, სადაც მოულოდნელად და უჩუმრად, თითქოს მოჩვენებააო, ჯორი გამოცურებულიყო. ესეც მისტერ ა. ო. სნოუპსის ჯორი გახლდათ. ესე იგი, ვიდრე იმათ სამი წლის წინანდელ იმ დილას რკინიგზის ლიანდაგზე ხუთი ჯორისგან არ გამოაცალკევეს მისტერ ჰეტი, ვერავინ ამჩნევდა მის კავშირს იმ ამბავთან, რომ მისტერ სნოუპსი ჯორებს ყიდულობდა ხოლმე, თუმცა დროდადრო ვინმე კვირობდა - რანაირად ახერხებს მისტერ ჰეტი საარსებო სახსრის შოვნას, როცა მუდმივი სამუშაო არც კი აქვსო. რეტლიფის ნათქვამის არ იყოს, საქმე ის გახლდათ, რომ ყველას მეტისმეტად უკვირდა - რა ეშმაკებად წამოიწყო ა. ო. სნოუპსმა ეს ჯორებით ვაჭრობის ამბავიო. ოღონდ რეტლიფმა იფიქრა, იფიქრა და დაასკვნა - იქნებ ეს ამბავი გასაგებიც იყოსო; იქ, ფრანგისხევიში ა. ო. მჭედელი შეიქნა, თუმცა კი ამ საქმის არაფერი გაეგებოდა, და ცხენები და ჯორები შეიძულა, რადგან სიკვდილივით ეშინოდა მათი, ჰოდა, ჩემო ბატონო, იქნებ სავსებით გასაგები ამბავია, აქაც ისეთ საქმეს რომ მოეკიდა, რისიც არაფერი გაეგება, არც უყვარს ის საქმე და არც ეხერხებაო. თანაც ახლა ა. ო. ექვსჯერ თუ რვაჯერ, ან კიდევ ათჯერ უფრო მეტად შიშობდა, იმიტომ, რომ ნაცვლად ერთი ცხენის ან ერთი ჯორისა, რომელსაც პატრონი სვეტზე მიაკოჭავდა და თვითონ გვერდზე გადგებოდა ხოლმე, ახლა საქმე ჰქონდა რვა, ათ, ანდა თორმეტ აშვებულ ჯორთან, ვიდრე თოკის ჩაბმას არ მოუხერხებდა როგორმე.

მაინც მოახდინა ა. ო.-მ ის საქმე - მემფისის ბაზრობაზე ჯორები იყიდა, ჯეფერსონში ჩამორეკა, ფერმერებს და ქვრივ-ობლებს, შავკანიანები იყვინეთუ თეთრკანიანები, იმდენად მიასადა, რამდენიც შეაძლიეს, ნაკლები რომ აღარც ითქმოდა, იმ ფასად, ჰოდა, მერე (იმ ღამემდე, როცა სატვირთო მატარებელმა მისტერ ჰეტიც გაიტანა და ჯეფერსონმა პირველად იაზრა - მისტერ ჰეტისა და მისტერ სნოუპსის ჯორებს შორის რაღაც კავშირი ყოფილაო) ჯორები, თითო-თითოდ იქნებოდა თუ წყვილ-წყვილად, ან კიდევ მთელ ჯოგებად, მუდამ ერთიმეორეზე გადაბმულნი ქერელის მტკიცე თოკით, რომელიც უცვლელად იყო ხოლმე მისტერ სნოუპსის საჩივრებში ნახსენები და ოქმებითაც დადასტურებული, ღამის სატვირთო მატარებლების მსხვერპლნი ხდებოდნენ სწორედ იმ დიდ მოსახვევთან, სადაც მისტერ ჰეტიც დაიღუპა. ბოლოს ვიდაცამ (რეტლიფი თავს იკლავდა - მე კი არა, სადგურის მოხელემო) სნოუპსს ფოსტით გაუგზავნა ჩვენს უბანზე მატარებელთა მიმოსვლის დაბეჭდილი განრიგი.

ოლონდ მისტერ ჰეიტის თავს დამტყდარი უბედურების შემდეგ (უბედურების კი არა, ანგარიშში მოტყუებისო, - რეტლიფმა თქვა. - მიმოსვლის განრიგი და მასთან ერთად საათი სწორედ მისტერ ჰეიტისთვის უნდა გაეგზავნათო) სნოუპსის ჯორებმა უცებ მოიშალეს ანაზღაურული სიკვდილი ლიანდაგზე. რკინიგზის კომპანიის წარმომადგენელი რომ ჩამოვიდა მისის ჰეიტის საქმის მოსაგვარებლად, სნოუპსიც აღმოჩნდა იმ საქმის დამსწრე და საამისოდ მის მოსწრებაში ყველაზე საბედისწერო გადაწყვეტილების მიღება მოუხდა: ერთი მხრივ, უბრალო კეთილგონიერება იმას კარნახობდა - რკინიგზის მიერ მოწყობილ გამოძიებას ახლოს არ უნდა გავეკაროო; არადა, მისის ჰეიტსაც ერთობ კარგად იცნობდა; მისის ჰეიტს უკვე ნათქვამი ჰქონდა მისთვის - ზარალის ასანაზღაურებლად გაღებული თანხიდან სულ უმცირესის მიღების ერთადერთი საშუალება ის იქნება, რკინიგზის კომპანია მხარდაჭერას დაგვპირდესო.

და მაინც, ხელი მოეცარა იმ კაცს. მისის ჰეიტმა წარბშეუხრელად განაცხადა - იმ ხუთი ჯორის ერთადერთი პატრონი ჩემი ქმარი გახლდათო. ისიც კი არ დასჭირვებია, აშკარად გამოეწვია სნოუპსი ამ მტკიცების უარსაყოფად; სნოუპსმა თვალი მოჰკრა მხოლოდ იმ ფულს (კი, ბანკში მივიდა, რამდენიც გული ერჩოდა, იმდენზე გაბედა მიახლოება, იდგა და უცუცქურებდა), როცა მისის ჰეიტმა იმ თავის ტომსიკაში ჩაჩურთა და წინსაფარქვეშ ამოიღო. მანამდე კიდევ აგერ ხუთი თუ ექვსი წელიწადი იქნებოდა, რეგულარულად ევლინებოდა მშვიდსა და მთვლემარე ჯეფერსონს გახელებულ ღრიალსა და მტვრის ბუღში; მისი მოახლოების მაუწყებელი საცოდავი ძახილი და ვიშვიში იყო, ხოლო მისი ქარავნის მსვლელობისა - მტვრის მოყვითალო ბუდე, რომელშიც დოქისმაგვარი თავები რიალებდა და ფლოქვები მოთქარუნობდა; ამ მსვლელობას კი თავად სნოუპსი აგვირგვინებდა, - სუნთქვაშეხუთული მიძუნძულებდა, პირი დაებჩინა და მოსთქვამდა თავგზაარეული, სასოწარკვეთილი და ზარდაცემული.

რკინიგზის წარმომადგენელთან საუბრის შემდეგ რომ გამოვიდა, მის სახეს ჯერაც შერჩენილი ჰქონდა დაბნეულობისა და სასოწარკვეთის კვალი, ოლონდ თავზარდაცემა ახლა გაცბუნებად ქცეულიყო, უიმედო, აღშფოთებულ და მძვინვარე უნდობლობად, რომელიც გამოსჰვიოდა გულხარბი რწმენის გამომეტყველების წიალ, რაც მანამდე სამ წელიწადს არ მოსცილებია სახეზე. რეტლიფის ნათქვამის არ იყოს, მდგომარეობიდან ამგვარი გამოსავალი და ამნაირი სიძნელები სხვას ვერავის ეღირსებოდა: იმას, სნოუპსს, მანამდე ის ჯაფა ადგებოდა მხოლოდ, რომ სადგურის მიმღებ ბაკში შეერეკებინა ჯორები და მერე გასამრჯელო გადაეხადა იმ ზანგისთვის, რომელიც თავის ეყვნებიან ფაშატს სნოუპსის ბაკისკენ გაუყოლებდა და მავთულით გადაბმულ ჯორებს ქალაქის გავლით წაასხამდა, ჰოდა, მერე სნოუპსი იმ თავის ბაკში დამწყვდეულ ჯორებს თვითონვე დაყიდდა; ახლა კიდევ ის სჭირდებოდა უკვე, სათითაოდ გამოეყვანა ჯორები სადგურის ბაკიდან და მერე ჯოგად გაერევა შუკაში, რომლის ბოლოშიც მისის ჰეიტის შემოუღობავი ეზო იყო; ჰოდა, ჯეფერსონის წყნარ გარეუბანში იდგა ერთი ღრიალი, ავარდნილ მტვრის ბუღში ურჩხულები მიქრიალებდნენ მისის ჰეიტის ეზოსკენ, სადაც ორივენი ებმებოდნენ ბრძოლაში - მისის ჰეიტი და სნოუპსი: სახლიდან მამაკაცივით გინებ-გინებით გამოჭრილ მისის ჰეიტს ცოცხი ეპყრა ან სხვა რამ საჭურველი, რაც ხელში მოჰყვებოდა; მაშინ სნოუპსი დროებით მაინც იკლავდა შურისგების წყურვილს, ცოტათი მაინც ეფონებოდა გულს გაუსამლისი დამაბულობით, გაუსამლისი უმწეობისა და უსამართლობის გრძნობით და იმ თავისი ბოღმით გაწამებულს (რეტლიფმა თქვა - ეტყობა, დიდი ხანია, აღარც სჯერა ის ამბავი, რომ მისის ჰეიტს იმ ფულიდან ერთ ცენტს მაინც ააფცქენის, ჰოდა, განწირული და ამო იმედის მეტი აღარც არაფერი დარჩენიაო). ახლა ორივენი - მისის ჰეიტი და სნოუპსი - უნდა გამონთებოდნენ ხოლმე იმ ჯორებს, დაეჭირათ და შემორაგულში დაემწყვდიათ ხელახლა აგრილებულ ფლოქვთა შორის მოხტუნავეებს, თითქოს უსიტყვო ცეკვის

კორიანტელში ყოფილიყვნენ ჩაბმულნი დეკორაციასავით აღმართული სახლის წინარე, ჰოდა, სწოუპსი გულდაჯერებული გახლდათ - ამ სახლის შესაფერადებლად ნახმარი გამძლე საღებავიც კი ჩემი ფულით არის ნაყიდი და შიგ გაფუფუნებული დიასახლისიც ჩემს ხარჯზე ცხოვრობსო (რეტლიფის ნათქვამის არ იყოს, სწორედ ამიტომ არ უჩიოდა მისის ჰეიტი სწოუპსს სასამართლოში მისგან თავდასახსნელად; მასაც სამაგიერო უნდა მიზლოდა იმ გადასარევი შემთხვევისთვის, თავისი ქმრის რვა ათას დოლარზე გაცვლა რომ მოახერხა). ამასობაში ყოველი ამგვარი ალიაქოთის დროს მთელი უბნის ხალხი იქ იყრიდა თავს - წინსაფრიანი და ჩაჩიანი ქალები, ეზოებში მოთამაშე ბავშვები, კაცები, შავკანიანნი თუ თეთრკანიანნი, რომელთაც იმარემარეზე შემთხვევით ჩაევლოთ და ახლა მეზობელ მესრებს გადმოსდგომოდნენ სეირის საყურებლად.

ჯორი რომ გამოჩნდა, უკვე მოჭენაობდა, თავი მალა აემვირა და ამიტომ ჟირაფის უმაღლესი ჩანდა ნისლის საფარულიდან გამოჭრილი. გეგონებოდათ, პირდაპირ მისის ჰეიტს და ჰეტს უნდა მოაწყდესო ყურებზე ავშარაფართხუნებული ჯორი.

- აგერ! აგერ! - გაჰკიოდა ჰეტი და ქალაღის ჩანთას იქნევდა. - ოჰო-ჰო! დაიკარგე-მეთქი!

მისის ჰეიტი შებრუნდა და სლიპ ფიცრებზე ისევ ფეხი დაუსხლტაო, - უამბო მერე ჰეტმა რეტლიფს. მერე მისის ჰეიტი და ჯორი ერთად გაქანებულან ბოსლისკენ, რომლის ღია კარშიც ძროხას უძრავი თავი გამოეყო და გაკვირვებული მოსჩერებოდა ამათ. წუთის წინ ბოსლის კარში მშვიდად ჩამდგარ, ნისლს შეჩერებულ და მცობნელ ძროხას ალბათ ჟირაფიც არ მოეჩვენებოდა იმსიმაღლე და ისეთი საშინელი, როგორც ის ჯორი იყო, იმისას თუ აღარაფერს ვიტყვით, რომ ჯორი იმას ეპირებოდა, ჭენებ-ჭენებით გაევლო ბოსლის წიად, ვითომ ჩალის კედელი ყოფილიყოს აღმართული მის წინაშე, ანდა სულაც მირაჟი. ასე იყო თუ ისე, ჰეტმა თქვა - ძროხა ისე გაუჩინარდა ბოსელში, გინდაც ასანთის ღერი კოლოფში ჩამალულიყოსო. ჰოდა, იქ, ბოსლის შიგნით, რაღაც გაოცებით და შიშით ამოიბღავლა, თითქოს ვინმეს გიტარის ან ბანჯოს ერთი სიმი შეეჭდრიალებინოსო. ჰოდა, მისის ჰეიტიც სწორედ იქით მიიჩქაროდა, - ჰეტის ნათქვამის არ იყოს, დედათა მოდგმის ერთობის უნებურად დამცველი, ჯორებისა და მამაკაცების ხელყოფისაგან; ჰოდა, ისა და ჯორი ბოსლისკენ მიექანებოდნენ გამალებულნი და მისის ჰეიტმა ის იყო, ნაკვერჩხლებიანი ვედროც შემართა თურმე ჯორისთვის სათხლეშად. რაღა თქმა უნდა, ეს ყოველივე თვალის დახამხამებაში მომხდარა. მე ჯერაც იმას ვყვიროდი, - აგერ, აგერ-მეთქი, - ჰყვებოდა ჰეტი, - ოღონდ ამასობაში ჯორი შემობრუნდა და პირდაპირ ჩემკენ გამოვარდა, მე ჩემი ქალაღის ჩანთა ავუქნიე, ჯორმა გვერდით ჩამიქროლა, სახლის მეორე კუთხესთან შეუხვია და ისევ დაიკარგა ნისლში, ისიც ისე, როგორც ასანთის ღერი კოლოფშიო.

მაშინ მისის ჰეიტმა ის ვედრო სარდაფში ჩასასვლელ აგურის საფეხურზე ჩამოდგა, იმან და ჰეტმა სახლის კუთხეს შემოურბინეს და სწორედ იმას მოატანეს თვალი, როგორ მისკდა ჯორი სახლის ქვეშიდან გამომავალ მამალს თავის რვა თეთრ-თეთრ დედლიანად. ჰეტმა თქვა მერე - ეს ამბავი ბიბლიის თუ სამისნო წიგნის სურათს ჰგავდაო: ბელზებელივით თუ ქაჯივით ნისლიდან გამოჭრილი ჯორი პატარ-პატარა ფრთოსან არსებათა ღრუბელმა თითქოს ისევ ნისლში გააქანაო. ჰეტი და მისის ჰეიტი ისევ გარბოდნენ. მისის ჰეიტს ახლა გადატეხილი ლოგორო ეჭირაო, - თქვა ჰეტმა, ოღონდ ის კი ვეღარ გაიხსენა, სად წამოველო მისის ჰეიტს ხელი იმ ლოგოროსთვის.

- სახლის წინ კიდეც არიან! - იყვირა ჰეტმა.

- უჰ, ის ძაღლის დაგდებული! - აღმოთქვა მისის ჰეიტმა. ბევრი ჯორი დახვდათ იქ. ჰეიტმა თქვა მერე - ის ცხვირსახოცისხელა ეზო ჯორებით და ა. ო. სნოუპსით იყო გავსებული. ის ეზო ისეთი მოცუცქნული იყო, სამ-სამფუტიანი ორი ნახტომით შეიძლებოდა მისი გადავლა, მაგრამ ამათ რომ შეხედეს, მიკროსკოპის ქვეშ მოქცეულ წყლის წვეთს ჰგავდა თურმე. ოღონდ ახლა გინდაც თვითონვე მოქცეულიყვნენ იმ წყლის წვეთში. უფრო სწორად, ჰეიტმა თქვა - მისის ჰეიტი და ა. ო. სნოუპსი მოექცნენ იქ, იმიტომ, რომ მე სახლთანვე შევჩერდი, ვუტიეო, თუმცა იმ ეზოს ვერც ერთ კუთხეში თავს სამშვიდობოს ვერ დაიგულებდიო; ჰოდა, უმზერდა თურმე ჰეიტი, როგორ შევარდა ლოგორომომარჯვებული მისის ჰეიტი ჯოგის შუაგულში ღმერთმა იცის, რისი მოიმედე, იქნებ თავისი მოუწყვლელობის იმედის მქონე, - თუმცა ისე ყოფილა გაანჩლებული, რამის მოსაზრების თავი აღარც ჰქონია, - შიგ შუაგულში შეიჭრა იმ ავშარაფართხუნებულ ჯორს გამოდევნებული, რომელსაც ისევ ისე მიაქროლებდა ბუმბულის ქარბორბალა, მოსროლილი კონფეტით თუ სწრაფმავალი კატერის უკან დარჩენილი ქაფივით გაქანებული.

მისტერ სნოუპსიც გარბოდა თურმე, ჯორებიც დაჭენაობდნენ; სნოუპსსა და მისის ჰეიტს თვალი დაუკვესებიათ ერთმანეთისთვის და სნოუპსს ამოუხრიალებია:

- სადაა ჩემი ფული, სადაა ჩემი ნახევარი?

- ის დამაჭერინეთ, ის ავშარიანი, - უთქვამს მისის ჰეიტს. - მაგის ფეხი არ ვნახო აქ! - ჰოდა, ორივენი, ჰეიტი და მისის ჰეიტი, ისევ გავარდნილან, ასე რომ, სნოუპსის ხრინწიანი ხმა ახლა უკნიდან ესმოდათ:

- მომეცი ჩემი ფული! ჩემი წილი მომეცი!

- მოერიდეთ! - ჰეიტს დაუმახია ხელახლა. - გვეწევა ისევ!

- თოკი მოიტანეთ, თოკი! - უღრიალა მისის ჰეიტმა სნოუპსს.

- სად ვნახო მერე თოკი! - იბღავლა სნოუპსმაც.

- სარდაფში! - იყვირა თურმე ჰეიტმა. თავადაც დროს არ კარგავდა. - იქითა მხრიდან მოუჭერით გზა, - შეუმახა მისის ჰეიტს. ჰოდა, მისის ჰეიტმა და მე სახლის კუთხეს რომ შემოვურბინეთო, - ჰყვებოდა მერე თვითონ, - აშვარაფართხუნებულ ჯორი უკვე იქ დაგვხვდაო. ქათმების ღრუბელზე ამხედრებული მოფრინავდა თითქოს ის ჯორი, იმიტომ, რომ სახლის გარშემო მოქენავე ხელახლა გადასწყდომია სახლქვეშ პირდაპირი გზით გამომძვრალ ქათმებს, ჰოდა, მისის ჰეიტმა და ჰეიტმა სახლის კუთხეს რომ შემოურბინეს, ისევ უკანა ეზოში ამოყვეს თავი.

- ღმერთო მომკალი! - იყვირა ჰეიტმა. - ძროხას დაგვიწიხლავს! - მართლა სურათს ჰგავდაო, - ჰყვებოდა მერე. ბოსლიდან უკანა ეზოს შუაგულშიგამოვარდნილა ძროხა. ისა და ჯორი ერთ ნაბიჯზე გაშეშებულიყვნენ პირისპირ, თავი დაეხარათ და ფეხები გაეფარჩხათ წიგნის ორი ეტაჟერით. სნოუპსს კიდევ ხუფი აეხადა და წელამდე ჩასულიყო სარდაფში, თოკს თუ ეძებდა, ჰოდა, იქვე საფეხურზე ის ნაკვერჩხლებიანი ვედრო იდგა ისევ. ჰეიტმა თქვა მერე - კი ვიფიქრე მაშინვე, თავახდილი სარდაფი ნაკვერჩხლებიანი ვედროსთვის მაინცდამაინც შესაფერისი ადგილი არ უნდა იყოს-მეთქი, ჰოდა, ალბათ მართალიც იყო მისი ნათქვამი. ესე იგი, ჰეიტს რომ არ ეთქვა - ასე ვიფიქრეო, სხვა იტყოდა, რადგან მოსახდენი რომ მოხდებოდა, მერე ყოველთვის გამოიძებნება ხოლმე ისეთი ვინმე, ვისაც გულს უხარებს საკუთარი წინდახედულობა და

სხვისი დაუდევრობა. ერთი კია, რომ, თუკი მოვლენები ისეთი სისწრაფით მიეწყო ერთიმეორეს, როგორც ჰეტი ჰყვებოდა, მაშინ ის არის გაუგებარი, ფიქრის დრო როგორღა დარჩათ იმათ.

იმიტომ, რომ ყოველივე ხელახლა ამოდრავებულიყო. ამჯერად სახლის კუთხეს რომ შემოურბინეს, ა. ო. უკვე თოკს მოათრევდა (ეპოვა ბოლოს და ბოლოს), იმის უკან კუდაპრეხილი ძროხა მორბოდა, ძროხის უკან - ჯორი, მერე - მისის ჰეტი და ბოლოს - ჰეტი. ჰოდა, ჰეტმა ხელახლა თქვა - თავახდილ სარდაფთან ნაკვერჩხლებიან ვედროს მოვკარი თვალი (სარდაფი კიდევ ყოველგვარი ხარახურით იყო ამოვსებული - სახმელებლად სახმარი ცარიელი ყუთებით, ძველი გაზეთებით, დამტვრეული ავეჯით) და ისევ გავიფიქრე - ამის ადგილი აქ არ არის-მეთქი.

ისევ მოსახვევი. სნოუპსი, ძროხა და ჯორი - სამივენი უკვე დაინთქნენ თავგზადაკარგული ქათმების ღრუბელში - ქათმები ხელახლა გამძვრალიყვნენ სახლის ქვეშ და სწორედ დროულად გამოფენილიყვნენ. ოღონდ ისევ სახლის წინ რომ აღმოჩნდნენ ყველანი, იქ სნოუპსის მეტი აღარავინ დახვედრიათ. პირქვე ეგდო, პიჯაკის კალთები დაცემისას თავზე წაფარებოდა და ჰეტმა დაიფიცა - მის თეთრ ხალათს ზურგზე ძროხის გაყოფილი ჩლიქის და ჯორის ფლოქვის კვალი აღბეჭდოდაო.

- სად გაქრნენ? - დაუყვირა ჰეტმა სნოუპსს. იმას პასუხი არ გაუცია. - გვეწვიან! - მისის ჰეიტს შეუძახა. - უკანა ეზოში არიან ისევ!

დიახ, იქ გახლდნენ. ჰეტმა ასე თქვა - იქნებ ძროხა ისევ ბოსელში შევარდნას აპირებდა, მაგრამ ძალიან დიდი ქანი ჰქონდა აღებული და, ნაცვლად ამისა, ყოველგვარი შიში დაივიწყა, შებრუნდა და პირდაპირ ჯორს დაეტაკაო; მისის ჰეიტმა და მე ვერ მივუსწართ, ჩვენი თვალით რომ გვენახა, მერე რაც მოხდა, მხოლოდ ხმაური მოგვესმა, - ლაწუნი და გრიალ-გრიალი, - როცა ჯორი შებრუნდა და აგურის საფეხურზე წაიბორძიკაო. ჰოდა, ესენი რომ მიცვივდნენ, ჯორი აღარსად იყო. აღარც ვედრო იდგა საფეხურზე, მაგრამ ჰეტმა თქვა - მაშინ ეს ვერ შევნიშნეო. მარტო ძროხა იდგა ეზოს შუაგულში, ძველ ადგილას, ფეხები გაეფარჩხა და თავი დაეღუნა, თითქოს ვიღაცას ჩაეველოს და ის მეორე ეტაჟერი გაეყოლებინოს. ჰეტი და მისის ჰეტი არ შეჩერებულან, ოღონდ მისის ჰეტი ახლა მძიმედ მირბოდა თურმე, პირდაბჩენილი, სახეზე მასტიკის ფერი დასდებოდა და ცალი ხელით მკერდი ეჭირა თავისი. ჰეტმა თქვა - საიმდროოდ ორივეს ქანცი გვექონდა გაწყვეტილი და ისე ნელა მივრბოდით, ჯორი ზურგიდან წამოგვეწია და თავზე გადაგვევლოო. ასე თქვა ჰეტმა. ფლოქვთა ხშირ-ხშირი გათქარუნება და ოფლის მძაფრი სუნი - და ჯორი უკვე წინ იყო გავარდნილი (ქათმებმა ან ის მოისაზრეს ბოლოს და ბოლოს - სახლის ქვეშ დარჩენა აჯობებსო, ან კიდევ იმათაც ილაჯი გაუწყდათ და ამჯერად ვეღარ გამოძვრნენ სახლის ქვეშიდან). მისის ჰეიტმა და ჰეტმა კუთხეს რომ მიატანეს, ჯორი საბოლოოდ გაუჩინარდა ნისლში. ამათ მოესმათ, როგორ გაითქარუნა და როგორ მიწყდა შორს მისი ხშირ-ხშირი და დამცინავი ფლოქვთა ცემა.

ჰეტი ჰყვებოდა მერე - მე შევჩერდიო. - აბა, ჯენტლმენებო, სიჩუმე, - თქვა თურმე. - მგონი, ჩვენ... - ჰოდა, ამ დროს იგრძნო სწორედ ის. გაშემებული ვიდექი, ჰაერს ვყნოსავდი და თითქოს თვალნათლივ დავინახე თავახდილი სარდაფი და აგურის საფეხური, რომელზეც, უკანასკნელად რომ ჩაფურბინეთ, ვედრო აღარ იდგაო. - ღმერთო დიდებულო! - გასძახა მისის ჰეიტს. - დამწვრის სუნი დგას! გავარდი სახლში, ფულს უშველე!



ცხრა საათი იქნებოდა, ეს ამბავი რომ მოხდა, ხოლო საშუალებოდ სახლი ერთიანად გადაიბუგა. რეტლიფმა თქვა - ხალხმა და სახანძრო მანქანამ იქამდე რომ მიატანეს, ქმრისეულ ფარაჯამოსხმული მისის ჰეიტი ქოლგით ხელში ის-ის იყო სახლიდან გამოიბოდა, უკან კიდევ ჰეტი მოსდევდაო. ჰეტს ცალ ხელში თავისი ქალაღის ჩანთა სჭერია, მეორეში - მისის ჰეიტის პასტელის პორტრეტი. მისის ჰეიტს ფარაჯის ცალ ჯიბეში კომპოტის ქილა ჩაეჭურთა, ის ქილა იმით იყო ამოტენილი, რაც რვა-ნახევარი ათასი დოლარიდან დარჩენოდა; ჰოდა, იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მისის ჰეიტი როგორ ცხოვრობდა (რა თქმა უნდა, მეზობელთა მონათხრობის თანახმად), მაშინ ქილაში იმ თანხის უდიდესი ნაწილი უნდა დებულიყო; ფარაჯის მეორე ჯიბეში მძიმე, მონიკელებული რევოლვერი დებულა. მისის ჰეიტს ქუჩა გადაუჭრია და მეზობლის სახლის გაღერებაში ასულა. ამის მერე იქ იჯდა სარწევ სავარძელში, მის გვერდით ისეთსავე სავარძელში ჰეტი მოკალათებულიყო, ორივენი გაუჩერებლად ირწეოდნენ და გაჰყურებდნენ, როგორ მოისროდნენ ქუჩისკენ მის ჰურჭელსა და ავეჯს მეხანძრეები. საამდროოდ, რეტლიფის ნათქვამის მიხედვით, იქ საკმარისად შეკრებილიყვნენ ამ საქმით დაინტერესებული პირნი, რომელნიც მოედანზე გავარდნილან, ა. ო. მოუძებნიათ და ამბავი შეუტყობინებიათ.

- მე რა მესაქმება? - უთქვამს ა. ო.-ს. - მე ხომ არ დამიდგამს ის ნაკვერჩხლებიანი ვედრო იქ, საიდანაც შიგ სარდაფში გადაუძახა ვიღაცამ.

- ოღონდ სარდაფს ხომ თქვენ ახადეთ თავი, - რეტლიფმა უთხრა.

- რასაკვირველია, - თქვა სნოუჰსმა. - მერედა, რატომ ავხადე? იმიტომ, რომ თოკი ამომეტანა, მისი თოკი, თვითონ არ გამგზავნა იმ თოკისთვის?

- იმიტომ, გაგზავნათ, რომ თქვენი ჯორი დაგეჭირათ, მის ეზოში შევარდნილი, - უთხრა რეტლიფმა. - ახლა ვეღარ დაიძვრენთ თავს. ჩვენი ოლქის ნაფიცების რომელი შემადგენლობაც უნდა იყოს, მისის ჰეიტის სასარგებლოდ გამოიტანს განაჩენს.

- კი, - თქვა სნოუჰსმა, - ნამდვილად მასე იქნება. ქალი რომაა, იმიტომ მხოლოდ. იმიტომ, რომ ქალია, ჯანდაბაში წასულა მისი თავი. კარგი, მიბრძანდეს ნაფიცებთან, ჯანდაბაში წასულა იმათი თავი. ენა მეც მაბია აგერ; მეც შემიძლია, რაღაც-რაღაცები მოვახსენო იმ ნაფიცებს... - ოღონდ აქ, რეტლიფის ნათქვამის მიხედვით, სიტყვა გაუწყდა. ეს ამბავი ა. ო. სნოუჰსის საქციელს არ ჰგავდაო, - თქვა მერე რეტლიფმა. - რადგან ა. ო. მუდამ იმდენ აბურდულად ნათქვამ ანდაზას აფრქვევს, ვიდრე არ მიხვდები, რომელი ანდაზები და რამდენი ანდაზა აუდომხალეზია, ვერც იმას მოისაზრებ კაცი, რა მოჭორა, ჰოდა, ამასობაში უკვე გვიან არისო; ოღონდ ამჯერად ნამეტანი შეფიქრიანებული გახლდათ, ტყუილის რომ აღარაფერი ვთქვათ, ანდაზების თავიც აღარ ჰქონდა, ჰოდა, ყველანი იმას შეჩერებოდნენო.

- მაინც რა? - უთქვამს ვიღაცას. - რა შეგიძლიათ უამბოთ სასამართლოს?

- არაფერი, - უპასუხა სნოუჰსმა. - იმიტომ, რომ... ერთი სიტყვით, იმიტომ, რომ არაფერი სასამართლო არ შედგება. მისის მენი ჰეიტი მე მიჩვილებს სასამართლოში? ცუდად გცნობიათ, ბიჭებო, ის ქალი, თუკი იმას ფიქრობთ - ასეთი ჩვეულებრივი უბედური შემთხვევის გულისთვის ალიაქოთს ატეხავსო. მით უმეტეს, არც მე და არც სხვა ვინმეს იმ შემთხვევის თავიდან აცილება არ შეგვეძლო. მისნაირი სამართლიანი და გულკეთილი ქალი მთელ იოკნაპატოფას ოლქში არ მოიძებნება. ჰოდა, პირში ვეტყვი იმას.

სწორედ საამისო შემთხვევა მიეცაო, - თქვა რეტლიფმა. - მისის ჰეიტი უკვე მის ზურგს უკან იდგა, მისის ჰეიტის ზურგს უკან კიდევ ჰეიტი დამდგარიყო თავისი ქალაქის ჩანთით ხელში, ჰოდა, მისის ჰეიტმა შეჯგუფებულ ხალხს მოავლო თვალი და მერე ა. ო-ს მიაჩერდაო.

- მე იმ ჯორის საყიდლად მოვედი, - უთხრა მისის ჰეიტმა.

- რომელი ჯორის? - იკითხა ა. ო-მ. უცბად უკითხავს ეს, როგორც რეტლიფმა გვიამბო, ანგარიშიუცემლად, რადგან სხვა რამეზე ფიქრობდა. მერე კი, ისევ რეტლიფის ნათქვამის თანახმად, ნახევარ წუთს მაინც მისციებოდნენ ერთიმეორეს თვალებით. - ჯორი გჭირდებათ? - ჰკითხა სნოუჰსმა. - ას ორმოცდაათი დაგიჯდებათ, მისის მენი.

- რა - დოლარი? - შეეკითხა მისის ჰეიტი.

- რაღა თქმა უნდა, - ას ორმოცდაათი ცენტი და ნიკელი, არა, მისის მენი, - უთხრა სნოუჰსმა.

- ას ორმოცდაათი დოლარი, - თქვა მისის ჰეიტმა. - ჰეიტი ცოცხალი რომ იყო, უფრო იაფი ღირდა ჯორები.

- მას მერე ბევრი რამე შეიცვალა, - უთხრა სნოუჰსმა, - თქვენ და მეც შევიცვალეთ, მისის მენი.

- კი, მასე უნდა იყოს საქმე, - თქვა მისის ჰეიტმა და წავიდა. მეტი აღარაფერი უთქვამსო, - გვიამბო რეტლიფმა, - შეტრიალდა და წავიდა, ჰეიტს უკან გაჰყვაო.

- თქვენი რომ ვყოფილიყავი, მასეთ რამეს არ ვეტყოდი, - უთქვამს რეტლიფს სნოუჰსისთვის.

- ახლაო, - გვითხრა რეტლიფმა, - ა. ო-ს საზიზღარი, წვინატი სახე მოექუშა, პირზე დუჟიც კი მოადგაო.

- ერთი გაბედოს, - თქვა სნოუჰსმა, - მაგ იქნება თუ სხვა ვინმე, სულერთია, გაბედოს სასამართლოში ჩივილი და სიტყვა დამრას ჯორის და ჰეიტის თაობაზე... - გაჩუმდა და ისევ გულგრილი შეექნა სახე. - აბა, - თქვა მერე, - რას იტყვით?

- მე როგორც ვატყობ, იმის არ გემინიათ, სამართალში სახლის გადაწვისთვის რომ მიგცემთ ის ქალი, - უთხრა რეტლიფმა.

- მე მიმცემს სამართალში? - თქვა სნოუჰსმა. - მისტერ ჰეიტი? ამ ხანძრის გულისთვის ჩემგან რამის მიღება რომ დაეპირებინა, როგორ გგონიათ, ძებნას დამიწყებდა და ფულს შემომამღლებდა?

ეს ამბავი დღის პირველი საათისთვის მოხდა. ოთხზე კიდევ მე და ალექს სენდერი სარტორისის სადგურისკენ გავემგზავრეთ კაკებზე ძაღლებით სანადიროდ, რადგან მისის ჯენი დიუ პრეს ჯერაც ჰყავდა მონადირე ძაღლები, ალბათ იმას ელოდებოდა - ბენბოუ სარტორისი იმხელა გაიზარდოს, თოფის ხელში დაჭერა შეეძლოსო. გვეინ ბიძია მარტო იყო თავის კაბინეტში, კიბის თავიდან რეზინის ჩუსტების ფრატუნის შემოესმა და ჰეიტი შემოვიდა. მისი ქალაქის ჩანთა გაბერილიყო, ილიაში ქალაქის პარკი ამოეჩარა,

იქიდან ბანანებს იღებდა და შეექცეოდა. ჰოდა, ცალ ხელში მონაკბეჩი ბანანის მჭერელმა მეორე ხელით დაჭმუჭნილი ათდოლარიანი მოიფათურა და გვეინ ბიძიას გაუწოდა.

- მისის მენიმ გამოგიზავნათ თქვენ, - თქვა ჰეტმა. - იმ კაცს უკვე მივეცი ათი დოლარი. - და უამბო გვეინ ბიძიას: მოედნის კუთხეში ვიცდიდი, ჰოდა, დადამებას რომ აღარაფერი აკლდა, ძლივს გამოჩნდა სნოუპსი, მე ჩემი შესაჭმელი ბანანი ვიღაც ქალს მივეცი, მერე ათდოლარიანი ამოვიღე და სნოუპსმა ის ფული გამომართვაო.

- რაო? - უთქვამს სნოუპსს. - მისის ჰეიტმა საჩემოდ გამოგატანა ეს ფული?

- ჯორის საფასურად, - მიუგო ჰეტმა. - ხელწერილი არაა საჭირო. მეშემიძლია დავადასტურო, რომ მოგვეცი ეს ფული.

- ათი დოლარიო? - თქვა სნოუპსმა. - იმ ჯორში ათი დოლარი? ხომ ვუთხარი - ას ორმოცდაათი-მეთქი.

- აბა, რაკი მასეა, თქვენ თვითონ მორიგდით, - უთხრა ჰეტმა. - მე ის დამაბარა მარტო - ეს ფული მიეციო, როცა იმ ჯორის წამოსაყვანად მიდიოდა.

- ჯორის წამოსაყვანადო?.. თვითონ წავიდა და გამოიყვანა ჯორი ჩემი ბაკიდან?

- ღმერთი შეგეწიოს, შვილო, - ჰეტმა თქვა, - სწორედ ასე ვუთხარიო. - მისის მენის არც ერთი ჯორის არ ეშინია. ხომ ნახე შენი თვალით. ჰოდა, ეს თქვენ გაახლათ, - გვეინ ბიძიას უთხრა.

- მე რაღასთვის? - შეეკითხა გვეინ ბიძია. - მე ხომ არ მყავს ჯორი.

- იურისტისთვის, - მიუგო ჰეტმა. - მისის ჰეიტი ვარაუდობს - იურისტი დამჭირდებაო. სადამოს, რომ მოვეწყობი, ჩემს სახლთან მობრძანდესო, ასე შემოგიტვალათ.

- სახლთანო? - თქვა გვეინ ბიძიამ.

- ნასახლართან, გენაცვალე, - უთხრა ჰეტმა. - ბანანი არ გინდათ? მე ბევრს გეახელით, მეტი აღარ შემიძლია.

- არა, დიდი მადლობელი ვარ, - უთხრა გვეინ ბიძიამ.

- არაფრის, - თქვა ჰეტმა. - მიირთვით, მიირთვით. მე ერთიც რომ შევჭამო კიდევ, იმის ნატვრაში ვიქნები - ღმერთმა ბანანი არასოდეს შექმნას-მეთქი.

- არა, დიდი მადლობელი ვარ, - უთხრა გვეინ ბიძიამ.

- არაფრის, - თქვა ჰეტმა. - ეს მიბრძანეთ, ათი ცენტი ხომ არ გექნებოდათ საბურნუთედ?

- არა, - უთხრა გვეინ ბიძიამ და ფული ამოიღო, - დოლარის მეოთხედი მაქვს მხოლოდ.

- აი, რას ნიშნავს კეთილშობილი ადამიანი, - თქვა ჰეტმა. - წვრილი ფული რომ მოსთხოვო, დოლარის მეოთხედს ან ნახევარდოლარიანს, არა და, სულაც დოლარს გიბოძებს. აბა, იმ ღვთის გლახებისგან ათ ცენტზე მეტს ვერ ეღირსები. - ფული გამოართვა და უკვალოდ გაქრა ის ფული. - ზოგს ის ჰგონია ჩემი - დილიდან საღამომდე ქალაქში დაწოწილობს ხელგაწვდილი და ყველას მადლობას ეუბნებაო. ასე არ გახლავთ საქმე. ჯეფერსონს მეც ვემსახურები. თუკი, ბიბლიის ბრძანებისამებრ, ხელი მბოძებლისა არ იქმნეს გლახაკ, მაშინ ეს ქალაქიც არ იქნება გლახაკი, რადგან აქ ყოველთვის ბლომადაა ისეთი ხალხი, ვინც მზადაა რამე გიბოძოს - ნიკელიდან დაწყებული და ძველი შლაპით დამთავრებული. ოღონდ ყველა ჩემი ნაცნობიდან მარტო მე გახლავართ ყოველთვის მზად ნაბოძების მისაღებად. ჯეფერსონი დაბეჩავდებოდა, მე რომ დილიდან საღამომდე, წვიმა იქნება, თოვლი თუ პაპანაქება სიციხე, მბოძებელს არ ვლოცავდე! აბა, შემოდია, მისის მენის თქვენი ვუთხრა - მობრძანდება-მეთქი?

- დიახ, - მიუგო გევინ ბიძიამ და ჰეტი წავიდა. გევინ ბიძია კი იჯდა და მის წინაშე მაგიდაზე დადებულ მოჭმუჭნილ ქაღალდის ფულს უმზერდა. მერე ხელახლა შემოესმა კიბიდან ნაბიჯის ხმა და თავის სკამზე მჯდარი კარს მიაცქერდა, ჰოდა, მერე მისტერ ფლემ სნოუპსი შემოვიდა და კარი მიიხურა.

- საღამო მშვიდობისა, - თქვა მისტერ სნოუპსმა. - ბარემ ჩემს საქმეებსაც ხომ არ მოჰკიდებდით ხელს?

- ახლა? - იკითხა გევინ ბიძიამ. - დღეს?

- დიახ, - უთხრა მისტერ სნოუპსმა.

- დღესო, - გაიმეორა გევინ ბიძიამ. - მაგ საქმეს რაიმე კავშირი თუ აქვს ჯორთან და მისის ჰეიტის სახლთან?

ჰოდა, გევინ ბიძიამ მერე გვიამბო: მისტერ სნოუპსს ის კი არ უკითხავს - რომელ სახლთანო? ან - რომელ ჯორთანო? ან კიდევ - თქვენ საიდან იცით მაგ ამბავიო? დიახო, - ეს უთქვამს მხოლოდ სნოუპსს.

- მაინცდამაინც ჩემთან რატომ მობრძანდით? - შეეკითხა გევინ ბიძია.

- ამავე მიზეზით, სახლის აშენება რომ მომენდომებინა, საუკეთესო ხუროს დავუწყებდი ძებნას, ჰოდა, მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემა რომ მნდომებოდა - საუკეთესო ფერმერს მივაკითხავდი, - თქვა სნოუპსმა.

- მადლობელი გახლავართ, - უთხრა გევინ ბიძიამ. - სამწუხაროდ, არ შემოდია. - იმ მოჭმუჭნილი ათდოლარიანის ხელის ხლებაც კი არ დასჭირვებია გევინ ბიძიას. მისტერ სნოუპსმა იმ ფულს არათუ შემოსვლისთანავე მოატანა თვალი, არამედ მაშინვე იმასაც მიხვდა, საიდანაც გაჩნდაო ის ფული მაგიდაზე. - როგორც ხედავთ, მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების დამცველი გახლავართ უკვე.

- ახლა იქ მიბრძანდებით? - იკითხა მისტერ სნოუპსმა.

- დიახ, - უპასუხა გევინ ბიძიამ.

- მაშინ ყველაფერი რიგზე ყოფილა, - და სნოუპსმა ჯიბეს გაიკრა ხელი. თავდაპირველად გევინ ბიძია ვერც კი მიხვდა, რას აპირებდა სნოუპსი; უსიტყვოდ

შეჰყურებდა, როგორ ამოიღო სნოუჰსმა ძველებური, ლითონისაკეტიანი საფულე, გახსნა, ათდოლარიანი ამოაძვრინა, საფულე დაკეტა, ფული იმ მეორე, მოჭმუჭნილი ქალაქის გვერდით დადო, საფულე ისევ ჯიბეში ჩაისრიალა და დადგა გვეინ ბიძიას მაცქერალი.

- ხომ მოგახსენეთ - მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების დამცველი გახლავართ-მეთქი, - უთხრა გვეინ ბიძიამ.

- მე კიდევ მოგახსენეთ - ყველაფერი რიგზეა-მეთქი, - თქვა მისტერ სნოუჰსმა. - მე ვეჭილი არ მჭირდება, იმიტომ, რომ უკვე ვიცი, რაც უნდა გავაკეთო, მოწმე მჭირდება მხოლოდ.

- კი, მაგრამ მაინცდამაინც მე რატომ შემარჩიეთ? - იკითხა გვეინ ბიძიამ.

- იმ მიზეზით სწორედ, - თქვა მისტერ სნოუჰსმა. - საუკეთესო მოწმე მჭირდება.

ჰოდა, ორივენი იქითკენ გაემართნენ. საშუადღეოდ მზეს ნისლი გაეფანტა და მისის ჰეიტის სახლისგან გადარჩენილი ორი გაჭვარტლული მილი ახლა ზამთრის მინავლული დაისის ფონზე შავად ილანდებოდა. და ამ დროს მისტერ სნოუჰსმა - მომითმინეთო.

- რა ბრძანეთ? - შეეკითხა გვეინ ბიძია. მაგრამ მისტერ სნოუჰსს პასუხი არ გაუცია და ისინი, მისულნი რომ არ იყვნენ, ისე შეჩერდნენ. უკვე მომწვდა ღორის ხორცის სუნი, ხანძარს გადარჩენილი ბოსლის წინ დანთებულ ცეცხლზე რომ იწვებოდაო, - გვიამბო გვეინ ბიძიამ. ცეცხლის პირას ახალთახალ სკამზე ჰეტი დასკუპებულიყო, ტაფაზე ამიშხინებულ ხორცს ჩანგლით აბრუნებდა, იქით კიდევ მისის ჰეიტი ჩაცუცქულიყო და ახალთახალ თუნუქის ვედროში ძროხას წველიდა.

- ყველაფერი რიგზეა, - თქვა მისტერ სნოუჰსმა, და - რა ბრძანეთო? - ხელახლა შეეკითხა გვეინ ბიძია, რადგან ა. ო. ვერ შენიშნა მანამდე, ა. ო. მოულოდნელად აღმოჩნდა მათ გვერდით, გინდაც აღმოცენებულიყოს, ბინდიდან სინათლის წრეში მოხვედრილიყოს (ცეცხლის პირას ნაკვერჩხლებზე ახალთახალი მოთუთიებული საყავე მდგარა და ახლა გვეინ ბიძიას ყავის სურნელიც მოსწვდენია). შეჩერებულა ა. ო. მისის ჰეიტის კეფას დაშტერებული, გვეინ ბიძია და ფლემი ჯერაც არ დაენახა. ოღონდ ჰეტს კი ჰყავდნენ დანახული ესენი, ასე რომ, რა მიუახლოვდნენ, უკვე ესიტყვებოდა კიდევ გვეინ ბიძიას.

- ერთი სიტყვით, ათი დოლარიც რომ არა, ყავა და ღორის ხორცი მაინც მოგიყვანდნენ აქ, - თქვა ჰეტმა. - მეც მასე ვარ. რამდენი წელია, ასეთ მადაზე აღარ ვყოფილვარ. მე რა - ჩიტის საკენკზე ნაკლები მყოფნის ხოლმე. ოღონდ ყავის და ღორის ხორცის სურნელებას ვიკრავ თუ არა... შეეშვით ერთ წამს მაგ ძროხის წველას, გენაცვალე, - მისის ჰეიტს მიმართა. - თქვენი იურისტი მობრძანდა.

მაშინ ა. ო.-მაც დაინახა ესენი, ფიცხლად გამოხედა მხარზემთ თავისი სამაგელი, შემფოთებული, დაბოდმილი სიფათით. ახლა გვეინ ბიძიას ბოსლის შიგნითაც შეეძლო შეეხედა. დაელაგებინათ იქაურობა, ნაგავი გაეფოცხათ, მერე გამოეხვეტათ კიდევ, სოხანზე თივა გაეფინათ. ახალთახალი ნავთის ფარანი ენთო ხის ყუთზე ნამჯის ლეიბისგვერდით, ლეიბზე კიდევ ლოგინი გაეშალათ. ახლა გვეინ ბიძიამ მეორე ყუთსაც მოატანა თვალი, ცეცხლის პირას მაგიდის ნაცვლად დადგმულს, ახალთახალი დანა-ჩანგალი ეწყო ზედ, კოვზი, ლამბაქი და ფინჯანი და ფაბრიკაში გამომცხვარი დიდი პური.

ოღონდო, გევინ ბიძიამ თქვა, მისტერ ფლემის დანახვაზე ა. ო. არ შეშფოთებულაო; მთელი საქმე ის გახლდათ, მე ჯერაც ვერ მივხვედრილიყავი, რომ ა. ო. ისეთ დღეში იყო ჩავარდნილი, როცა იმედის გადაწურვას მოჩვენებითი უზრუნველობით ფარავნო. - ჰო, თქვენც მობრძანდით, - უთქვამს ა. ო.-ს, - ვექილიც თქვენი მოგიყვანიათ. ახლა ალბათ ამ ფარანსაც ხელიდან გამოაცლით, ახალ თეფშებსაც, სკამსაც, საწველელსაც, ჰოდა, იქნებ რძეც გაიყოლიოთ, წველას რომ მოათავებს, ჰა? კარგი საქმეა, ლამის კეთილშობილური საქციელიცაა, - აქვე მოხდება, ეზოში, სანამ სულ არ ჩამოხნელებულა. იმიტომ, რომ თქვენმა ვექილმა, რაღა თქმა უნდა, ყველაფერი იცის - ჯორების და ცეცხლის წაკიდების აქაური ამბები. ისე გამოდის, ერთადერთი უბირი ადამიანი ყოფილა აქ - დეიდა ჰეტი; ოღონდ ჰეტს იმის ცოდნა კი მართებს, ამ წუთშიც რომ წამოხტეს და გავარდეს, თავის დავრდომილთა თავშესაფარს რომ მიატანს, დაიხედავს და აღარც პერანგი ექნება და აღარც მისი ამხანაგი; იმიტომ, რომ, იმის არ იყოს, მელას რაც ესიზმრებოდა, ისე გიღირდესო. იმისას თუ აღარაფერს ვიტყვით, რომ მგლის შიშით მგლობას ვინ მოშლისო.

კარგი, ჩემო ბატონო. ოღონდ იმისას რაღას ბრძანებთ, იმ რვა-ნახევარი ათასიდან, რკინიგზამ რომ ჩაუთვალა მისის ჰეიტს მისი ქმრის და ჩემი ხუთი ჯორისთვის, იმ ფულიდან რამდენი ექნება ხელზე დარჩენილი? თქვენც გეშლებათ, სხვების არ იყოს, ნამდვილად. ნახევარი აქვს დარჩენილი. საქმე ის არის, რომ იმ ფულს მისი დავალებით ვიცე-პრეზიდენტი განაგებდა. რასაკვირველია, ვიცე-პრეზიდენტისთანა ფინანსური ოსტატი რომ არა, ნახევარზე მეტი ვერაფრის დიდებით ვერ შეენახებოდა, იქნებ ნაკლებიც დარჩენოდა და ისაა. ასე რომ, კაცმა რომ თქვას, საჩივლელი არაფერი აქვს, იმისას თუ აღარაფერს ვიტყვით, რომ, კანონის ძალით, თვითონ მას იმ ნახევრის ნახევარი ეკუთვნის მხოლოდ, რადგან ლონზო ჰეიტი კი იყო მისი, მაგრამ ის ხუთი ჯორი ჩემი გახლდათ.

კარგი, ჩემო ბატონო. როგორ გგონიათ, იმ რვა-ნახევარი ათასის ნახევარს რა უნდა მოსვლოდა? ესეც გეშლებათ. იმიტომ, რომ ის ნახევარი ვიცე-პრეზიდენტმა წაიღო. კი, ბატონო, ყველაფერი თვალდასანახად გაკეთდა, კანონიერად; იმან ასე ახსნა ეს ამბავი: თვითონ მისის ჰეიტმა რომ უჩივლოს რკინიგზას სამართალში, საცოდავმა მარტოხელა ქალმაო, დიდი-დიდი, ხუთი ათასი მიიღოსო. იმ ხუთი ათასის ნახევარიც მე დამრჩებოდა, ჯორები ხომ ჩემი იყო. ჰოდა, ჩვენ ორს ერთად რომ გვეჩივლა სასამართლოში და თანაც მისი მხარე დაეჭირა ენერგიულ კაცს, რომელიც იმ უგულო მილიონერებს - რკინიგზის მაგნატებს - აიძულებდა, მარტოხელა ქალს სამართლიანად მოქცეოდნენ, მაშინ მე რამე უფლება რომ გამეცხადებინა იმ ჯორებზე, რაკი ჩემს ჯორებს იმ მოსახვევში ადრეცშეხვედროდათ უბედურება, რკინიგზა მაშინვე იყნოსავდა რაღაცას და ვერავინ ვერაფერს ვერ მიიღებდა. ჰოდა, ამ საქმეს ის თუ მოჰკიდებდა ხელს, ვიცე-პრეზიდენტი, მაშინ ის ქალი შვიდ-ნახევარს, იქნებ ათი ათასსაც მიიღებდა, ჰოდა, მაშინ მარტო იმ ქალს კი არ ექნებოდა განაღდებული მიღებული ფულის ნახევარი, ვიცე-პრეზიდენტი ერთ ასიანს მეც მომიგდებდა თავისი წილიდან. ყველაფერი კანონიერად და პატიოსნად კეთდებოდა: მე ენისთვის კბილი უნდა დამეჭირა და ჩემი ასი დოლარი მიმეღო, ჰოდა, ამის წინააღმდეგი თუ წავიდოდი, ვიცე-პრეზიდენტს სულ შემთხვევით წამოსცდებოდა, ვისიც იყო ჯორები, და ვერავინ ვერაფერს ვერ მიიღებდა. ვიცე-პრეზიდენტს კიდევ, ამით არაფერი დააკლდებოდა, რადგან არაფერს დაკარგავდა - ვიცე-პრეზიდენტს, ჩემო ბატონო, არც ლონზო ჰეიტი ჰყოლია და არც ის ხუთი ჯორი.

მოკლედ, თქვენც ხედავთ, რანაირი უბრალო ასარჩევია: ასი დოლარის მიღება ჯობია თუ არაფრის მიღება? იმისას თუ აღარაფერს ვიტყვით, მე და მისის ჰეიტი როგორც თავად ვიცე-პრეზიდენტმა ბრძანა, ერთი ქალაქის მცხოვრებნი ვართ და, ასე შეიძლება ითქვას, საქმიანი ნაცნობობა გვაქვს ერთმანეთის; თანაც მისის ჰეიტი ქალია, ბუნებით გულჩვილი და გულკეთილი, ჰოდა, ვინ იცის, იქნებ დრო რომ გაივლის, უფრო ლმობიერი გახდეს და ისიც ინებოს, რომ ცოტა რამე მიბოძოს იმ რვა-ნახევარი ათასი დოლარის თავისი ნახევრიდან. ოღონდ ეს იმას მოწმობს მხოლოდ, რომ ვიცე-პრეზიდენტმა ყველაფერი იცის, რისი ცოდნაც კი შეიძლება, რკინიგზის კომპანიების და რვა-ნახევარი ათასი დოლარის ამბავი, ის არ იცის მხოლოდ, გულის მაგივრად რა უდევს მკერდში მისის ჰეიტს. ჰოდა, არც ისე გამოდის და აღარც ასე ეს ამბავი. იმის არ იყოს, იმდენმა წყალმა ჩაიარა, რომ აღარც ღირს ხეხო ქვიშითა. ჰოდა, მე რაღა გზა მქონდა, რომ უმრავლესობას არ დავმორჩილებოდი - ორ ხმასერთის წინააღმდეგ, ანდა იქნებ რვა-ნახევარ ათასს ასი დოლარის წინააღმდეგ. ანდა იქნებ ესეც არ გახდა საჭირო, მისის ჰეიტის წილად რგებული იმ რვა-ნახევარი ათასის ნახევარმაც იკმარა ჩემი ასიანის წინააღმდეგ, იმიტომ, რომ მისის ჰეიტის ჯობნა მე მარტო ერთი საშუალებით შემეძლო, - ჩემი საკუთარი ოთხი ათას ორას ორმოცდათერთმეტი დოლარი რომ მქონოდა, იმით. მაშინაც ის მომიხდებოდა, მისის ჰეიტისთვის გამეყო ის ორმოცდამეთერთმეტე დოლარი.

ოღონდ ისაა, რომ მიმიფურთხებია ამ ამბისთვის. ეს ყველაფერი უკვე გულიდან ამოვიგდე. რომელ ქვეყანაშიც მიხვიდე, გაგქონდეს და გამოგქონდესო. - ამის თქმაზეო. გევინ ბიძიამ გვიამბო, ფიცხლად შემობრუნდა მისის ჰეიტისკენ, ოღონდ თავისი ბოლმიანი და აღმფოთებული რატრატი არ შეუწყვეტიაო. - თქვენთან მოსალაპარაკებლად მოვედი. მე თქვენი საკუთრება აღმომაჩნდა, თქვენ კიდევ - ჩემი. ერთი კია, რომ პირისპირ მინდოდა დავრჩენილიყავით და ისე მოგვეგვარებინა ეს საქმე.

- ღმერთი შეგეწიოს, გენაცვალე, - ჰეტმა უთხრა. - ჩემსას თუ ამბობ, მე სულ ნუ მომაქცევ ყურადღებას. ჩემი ჭირი იმდენი გადამხდა, სხვისი ჭირის ამბავი რომ მესმის, მგონია, გულს მეფონა-მეთქი. თქვენ თქვენი სათქმელი ბრძანეთ, მე კიდევ აგერ ვიჯდები ჩემთვის და ღორის ხორცს მივხედავ, არ დაიწვას.

- მომისმინეთ, - უთხრა ა. ო-მ მისის ჰეიტს, - ერთი წუთით წავიდნენ ესენი ყველანი.

ჯერაც ჩაცუტულმა მისის ჰეიტმა თავი მოაბრუნა და ჯიქურ შემოხედა. - რატომ ვითომ? - უთხრა. - მე მგონი, მარტო ეს ქალი არაა, ამ ეზოში როცა მოეგუნებება, მაშინ რომ შემოვა და, როცა მოეხასიათება, მაშინ რომ დარჩება ან წავა ხოლმე. - მაშინო, გევინ ბიძიამ გვითხრა, ა. ო-მ ერთი სწრაფი, გულჯავრიანი და თავშეკავებული ჟესტი გააკეთაო.

- კარგი, - თქვა მერე, - კარგი. მაშინ შევუდგეთ. ერთი სიტყვით, თქვენ ჯორი წაიყვანეთ.

- იმ ჯორის საფასური უკვე გადაგიხადეთ მე თქვენ, - უთხრა მისის ჰეიტმა. - ჰეტმა მოგიტანათ ფული.

- ათი დოლარი, - თქვა ა. ო-მ. - ის ჯორი კიდევ ას ორმოცდაათი ღირს.

- არ ვიცი, ღმერთმანი, რა ჯორია ისეთი, ას ორმოცდაათ დოლარად რომ ფასობს, - უთხრა მისის ჰეიტმა. - მე ის ვიცი, რკინიგზა იხდის ხოლმე ჯორების საფასურს; იმგზობაზე, სანამ ის ჩერჩეტი ჰეიტი საბოლოოდ გამოტვირთვებოდა და თავის თავსაც მიაკოჭავდა ლიანდაგს, რკინიგზამ სამოც-სამოცი დოლარი გადაიხადა თითო ჯორში...

- ჩუმად! - თქვა ა. ო-მ. - გაჩუმდით.

- რატომ ვითომ? - უთხრა მისის ჰეიტმა. - ვითომ რამე ისეთი საიდუმლო შეიძლება წამომცდეს, თქვენ რომ არ დაგიყაჭიათ ყველა აქ მყოფისთვის?

- კარგი, - თქვა ა. ო-მ. - ოღონდ თქვენ ათდოლარიანი გამომიგზავნეთ სულ.

- მე სხვაობა გამოგიგზავნეთ, - უთხრა მისის ჰეიტმა. - იმ ჯორის საფასურის და იმის სხვაობა, რაც ჰეიტის გემართათ.

- რა მემართა მე ჰეიტის? - თქვა ა. ო-მ.

- ჰეიტი ამბობდა - რამდენი ჯორებს მატარებლის გასატანად მივრეკავ, იმდენ ორმოცდაათ დოლარს მიხდისო, ჰოდა, რკინიგზა კიდევ თქვენ სამოც-სამოც დოლარს გაძლევდათ თითო ჯორში. ამ ბოლო გზობაზე აღარ გადაგიხდიათ ჰეიტისთვის, იმიტომ, რომ ყოველთვის მერე უხდიდით ხოლმე, ამ ბოლო გზობაზე კიდევ არაფერი „მერე“ აღარ ყოფილა. ჰოდა, ამის საფასურად წამოვიყვანე ის ჯორი და ათი დოლარი გამოგიგზავნეთ ჰეიტის ხელით, მოწმე რომ მყოლოდა. - ამან კი გააჩერაო სნოუჰუსი, - გვითხრა გევინზბიამ. მართლა ხმა ჩაუწყვეტია. ეს ფეხზე მდგარი და მისის ჰეიტი ჩაცუცქული მისჩერებოდნენ ერთიმეორეს, ამასობაში კიდევ ჰეიტმა ისევ გადააბრუნა ტავაზე მოშიშხინე ხორცი. ორივენი გაქვავებულიყვნენო, - გვითხრა გევინ ბიბიამ, - ასე რომ, მისტერ ფლემს ორჯერ მოუხდა თავისი შეკითხვის გამეორება, ვიდრე ისინი გაიგონებდნენო.

- მორჩით? - შეეკითხა თურმე ა. ო-ს.

- რა ბრძანეთ? - თქვა ა. ო-მ.

- მორჩით თუ არა-მეთქი? - იკითხა ფლემმა. ჰოდა, გევინ ბიბიამ გვითხრა - ახლა ყველამ დავუნახეთ ხელში ტილოს ტომსიკა. ისეთი, როგორშიც ბანკის სეიფებში ფულს ინახავენო.

- დიახ, - თქვა ა. ო-მ. - მორჩა, ის მაინცაა, რომ ამ საქმიდან ათდოლარიანი მაინც დამრჩა ისეთი, თქვენ რომ ვერ წამართმევთ. - ოღონდ მისტერ ფლემს მისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია. მისის ჰეიტს მიუბრუნდა და იმ ტომსიკიდან დაკეცილი ქალაღი ამოიღო.

- აი, თქვენი სახლის გირავნობის სიგელი, - უთხრა. - სადაზღვევო კომპანია ნაღდს გადაგიხდით. ხელახლა შეგიძლიათ აიშენოთ სახლი. აი, - უთხრა, - გამომართვით.

მაგრამ მისის ჰეიტი არც შერხეულა. - რისი გულისთვის? - შეეკითხა.

- ბანკისგან გამოვისყიდე დღეს ეს ქალაღი, - უთხრა მისტერსნოუჰუსმა. - დაწვით, თუ გნებავთ, ოღონდ მე ის მინდა, ჯერ ხელში აიღოთ, - მისის ჰეიტმა ქალაღი გამოართვა, ჰოდა, ახლა ყველანი იმას მივჩერებოდით, მისტერ ფლემმა ხელახლა



როგორ ჩაყო ხელი იმ ტომსიკაში და ამჯერად ფულის დასტა ამოიღო, - გვითხრა გევინ ბიძიამ. ა. ო-ც იმას მისცეცებოდა თურმე თვალდაუფახულებლად.

- ღმერთო მომკალი, - უთქვამს ჰეტს, - ამდენით ერთ ღორს ამოყორავდა ადამიანი.

- რამდენი ჯორი გყავს ბაკში? - შეეკითხა მისტერ ფლემი ა. ო-ს. ოლონდ ა. ო. ისევ შეშტერებოდა სახეში და ხმას არ იღებდა. მერე ხშირ-ხშირად ააფახულა წამწამები და - შვიდიო, თქვა.

- შვიდი კი არა, ექვსი, - უთხრა მისტერ ფლემმა. - ერთი ჯორი ამწუთას მიჰყიდე მისის ჰეტს. შენ რომ ვაჭრობ, ისეთ ჯორებს რკინიგზა სამოც-სამოც დოლარად აფასებს თითოს. შენ დაგიჩემებია - თითო ას ორმოცდაათი ღირსო. კარგი, ნუ ვივაჭრებთ. ექვსჯერ ას ორმოცდაათი იქნება...

- შვიდჯერ! - ხმამალა ამოიხრიალა ა. ო-მ. - არავისთვის არ მიმიყიდია ის ჯორი, არც მისის ჰეტისთვის და არც სხვა ვინმესთვის, მომისმინეთ. - მისის ჰეტს მიუბრუნდა. - ჩვენ ჯერ არ მოვრიგებულვართ. არ მოვრიგებულვართ-მეთქი, გეუბნებით. აბა, მონახეთ ერთი ისეთი კაცი, ვისაც რამე ენახოს ან გაეგონოს, გარდა იმისა, რომ თქვენ იმას ცდილობდით, ის ათდოლარიანი შემოგეჩეჩებინათ ჩემთვის, რომელსაც აგერ უკან გიბრუნებთ. აჰა, - თქვა და დაჭმუჭნილი ქალაღის ფული გაუწოდა, მერე ესროლა ის ფული ისე, რომ ფული მისის ჰეტის კაბას შეეხო და მიწაზე დავარდა. მისის ჰეტი დასწვდა და აიღო.

- მოწმეების დასწრებით მაძლევეთ? - შეეკითხა.

- სწორედ მასე, - თქვა სნოუჰსმა. - ნეტავი ათჯერ მეტი მაინც ყოფილიყვნენ მოწმეები. - ახლა მისტერ ფლემს მიმართავდა, - ასე რომ, არავისთვის არ მიმიყიდია ის ჯორი. ჰოდა, შვიდჯერ ას ორმოცდაათი ათას ორმოცდაათი დოლარი გამოდის...

- ცხრაასი, - თქვა მისტერ ფლემმა.

- ათას ორმოცდაათი, - თქვა ა. ო-მ.

- ჯორს რომ მოიყვან, მაშინ მიიღებ, - უთხრა მისტერ ფლემმა. - ოლონდ ერთი მთავარი პირობით.

- რა პირობით? - იკითხა ა. ო-მ.

- ფრანგისხევში ახვალ ისევ და ჯეფერსონში მეტი არასოდეს გაიჭაჭანებ.

- ჰოდა, თანახმა თუ არ ვარ? - იკითხა ა. ო-მ.

- დღეს სასტუმრო გავყიდე მე, - თქვა მისტერ ფლემმა. ჰოდა, ახლა ა. ო. უკვე ხმის გაუღებლად შეჰყურებდა, მისტერ ფლემი კი ცეცხლისკენ მიდგა და იმ დასტიდან ფულის გადათვლას შეუდგა ხუთ-ხუთდოლარიანების, დოლარიანების და შიგადაშიგ - ათდოლარიანებისას. ა. ო-მ უკანასკნელად გაიბრძოლა.

- ათას ორმოცდაათი, - თქვა მან.

- ჯორს როცა მოიყვან, - უთხრა მისტერ ფლემმა. ჰოდა, ა. ო-მ ცხრაასი დოლარი მიიღო მხოლოდ, გადათვალა, უბის ჯიბეში ჩაიღო. ჯიბე შეიკრა და მისის ჰეიტს მიუბრუნდა.

- ასე, ჩემო ბატონო, - თქვა. - სადაა ბატონ ვიცე-პრეზიდენტ სნოუპსის ჯორი?

- ხეზეა მიბმული მისტერ სპილმერის სახლს უკან, ხევში, - მიუგო მისის ჰეიტმა.

- ძალიან ახლოს დაგიბამთ, - თქვა ა. ო-მ. - მოტსტაუნშიც შეგეძლოთ ჩაგეყვანათ და იქ მიგეკოჭათ. მაშინ მართლა გაიხარებდით გულს იმის შემხედვარე, დროს და ძალას როგორ დავკარგავ ჯორის მოსაჩიქრებლად. - ისევ მიმოიხედა სახეზე ბოლმინ ღიმაკრულმა, დაუოკებლად გაჯიქებულმა. - ყველაფერი მშვენივრად გამოაწყვეთ, ხომ? თქვენც და ვიცე-პრეზიდენტსაც, ორივეს შეგეძლოთ ფული დაგეზოგათ, იმას რომ თავისთან დაეტოვებინა ის გირავნობის სიგელი, რომლითაც ახლა აღარაფერი აღარაა დაგირავებული, თქვენც აღარ მოგიწევდათ სახლის აშენება. კარგი, ჩემო ბატონო, კარგად ბრძანდებოდეთ. როგორც კი იმ ჯორს ბაკში შევუშვებ ვიცე-პრეზიდენტისდანარჩენ ექვს ჯორთან, ბატონ ვიცე-პრეზიდენტს პატივს დავდებ და სახლში ვეწვევი იმ ას ორმოცდაათი დოლარის მისაღებად, იმიტომ, რომ, იმის არ იყოს, მქონებელს ზრდილობა მიემატოსო, იმისას თუ აღარაფერს ვიტყვით, რომ ნაჩუქარ ცხენს, თუკი ცარიელზე დასვეს, კბილს არ გაუსინჯავნო. ჰოდა, თუკი იურისტ სტივენსს ისეთი რამე გამოჰყვა თან, რის ქონებასაც ვიცე-პრეზიდენტი მოისურვებდა, თვალი კარგად უნდა ეჭიროს, იმიტომ, რომ, იმის არ იყოს, მგლის შიშით მთვარეს უყეფდაო. კარგად ბრძანდებოდეთ. - თქვა და წავიდა. ჰოდა, გვეინ ბიძიამ გვითხრა - მისტერ ფლემმა ახლა უკვე მე მომმართა ორჯერ, ვიდრე მის ნათქვამს გავიგონებდიო.

- რა ბრძანეთ? - შეეკითხა გვეინ ბიძია.

- რამდენი უნდა მოგართვათ-მეთქი? - უთხრა მისტერ ფლემმა. ჰოდა, გვეინ ბიძიამ გვიამბო: კინაღამ ის ვუთხარი - ერთი დოლარი-მეთქი; მაშინ მისტერ ფლემი მეტყოდა - ერთი დოლარი, მეტი არაო? მე კიდევ შემეძლო მეთქვა - დიახ, ერთი დოლარი, ანდა დანამიბოძეთ თქვენი, ან კიდევ, ფანქარი, ან სხვა რამე, ხვალ დილას ეს დღევანდელი ამბავი სიზმარი რომ არ მეგონოს-მეთქი. ოღონდ გვეინ ბიძიას ეს არ უთქვამს. სხვა უთხრა მხოლოდ:

- არც რამდენი. ჩემი კლიენტი მისის ჰეიტი გახლავთ. - ჰოდა, მისტერ ფლემს ხელახლა მოუხდა ორჯერ შემსიტყვებოდაო, - გვიამბო გვეინ ბიძიამ. - რა ბრძანეთ? - უკითხავს მისტერ ფლემისთვის.

- ანგარიში შეგიძლიათ გამომიგზავნოთ.

- რისი ანგარიში?

- მოწმედ რომ ბრძანდებოდით, იმისი, - უთხრა მისტერ სნოუპსმა.

- აჰა, - თქვა გვეინ ბიძიამ. მისტერ სნოუპსი წასასვლელად გაემზადა. ჰოდა, გვეინ ბიძიამ გვითხრა: მე ვიფიქრე, ახლა მეტყვის-მეთქი - თქვენც ქალაქში მობრძანდებითო? ანდა იქნებ - ერთად ხომ არ წავიდეთო? იმას მაინც იტყვის-მეთქი, ვიფიქრე, - ნახვამდისო. მაგრამ მისტერ სნოუპსს ეს არ უთქვამს. საერთოდ არ

უთქვამს არაფერი, ისე შებრუნებულა, წასულა და თვალს მიჰფარებია. მაშინ მისის ჰეიტმა ჰეტს უთხრა თურმე:

- ყუთი მოიტანე.

- მეც მაგას ველოდებოდი, იმ საქმეს როდის მოითავებს-მეთქი, - თქვა ჰეტმა. მისის ჰეიტი მივიდა, სკამს და ჩანგალს დასწვდა, ჰეტმა კიდევ ბოსლიდან ყუთი გამოიტანა და ცეცხლის პირას დადგა. - ახლა, გენაცვალე, - გევინ ბიძიას მიმართა, - ჩამოჯექი აგერ და დაისვენე.

- თქვენ დაბრძანდით, - უპასუხა გევინ ბიძიამ. - მე მთელ დღეს ვიჯექი, თქვენ არ ჩაგიმუხლავთ. - ოღონდ, ვიდრე გევინ ბიძია იუარებდა, ჰეტი უკვე ეწყობოდა იმ ყუთზე. გევინ ბიძია აღარც ახსოვდა, ახლა მოშიშხინე ხორცს დასჩერებოდა და იმას მიადევნებდა თვალს, მისის ჰეიტმა ტაფა როგორ გადმოდგა ცეცხლიდან.

- თქვენ ბრძანეთ რაღაცა ამ ღორის ხორცზე? - იკითხა ჰეტმა. - თუ, თქვენ კი არა, მე ვიყავი? - მისის ჰეიტმა ხორცი გაანაწილა და გევინ ბიძია იდგა და უმზერდა, როგორ შეექცეოდნენ ისინი, ტაბურეტზე მჯდარი მისის ჰეტი ახალ თეფშზე ახალ დანა-ჩანგალს ხმარობდა, ჰეტი კიდევ ყუთზე ჩამოსკუპებულიყო და პირდაპირ ტაფიდან ჭამდა: ეტყობა, მისის ჰეიტს მარტო თავისთვის ეყიდა ახალი ჭურჭელი. ღორის ხორცს შეექცეოდნენ და პურს გამდნარ ცხიმში აწობდნენ. მერე ჰეტმა ფინჯანში ყავა ჩაასხა, სათავისოდ კიდევ ცარიელი თუნუქის ქილა მოიძია საიდანღაც. ჰოდა, ამასობაში ა. ო. დაბრუნდა, უჩუმრად გამოილანდა სიბნელიდან (უკვე ჩამოლამებულიყო), გაჩერდა და ისე იდგა ცეცხლისკენ ხელეზგაწვდილი, გეგონებოდათ, ალს ეფიცებოდა.

- კაცმა რომ თქვას, წავიღებ ამ ათდოლარიანს, - აღმოთქვა ა. ო-მ.

- რომელ ათდოლარიანს? - იკითხა მისის ჰეიტმა. ჰოდა, გევინ ბიძია იმას მოელოდა თურმე - ახლა ა. ო. თუ არ აღრიალდა, ღრენას მაინც მოჰყვებოდა. მაგრამ იმას არც ერთი უქნია და არც მეორე, ისე მდგარა ცეცხლისკენ ხელეზგაწვდილი, გეგონებოდათ, შეამცივნაო, - გვიამბო გევინ ბიძიამ, - იდგა დალუული, გასაცოდავებული და დამფრთხალი, გაყურებულიო.

- არ მომცემთ? - უკითხავს მისის ჰეიტისთვის.

- რას არ მოგცემთ? - თქვა მისის ჰეიტმა. გევინ ბიძიამ გვითხრა - ეტყობა, იმ პასუხს არ მოელოდა, საერთოდაც აღარ ელოდებოდა მისის ჰეიტის ხმის გაგონებას: იდგა და ფიქრობდა რაღაცას, წყნარი და უნდო გაოცებით შეპყრობილი.

- რამდენი წელიწადია ვჯახირობ, რისკს ვეწევი, წილებზე ფებს ვიდგამ და სამოც-სამოც დოლარს ვიღებ თითო ჯორში. თქვენ კიდევ, ასე ერთბაშად, უწვალეზლად და ურისკოდ ლონზო ჰეიტი და ჩემი, იმისი კი არა, ჩემი ხუთი ჯორი რვა-ნახევარ ათასად გაყიდეთ აგერ. რასაკვირველია, თითქმის მთელი ის ფული ლონზოსთვის გერგებოდათ და სულ არ შემშურებია თქვენი. ქვეყანაზე ვერც ერთი სულიერი ვერ იტყვის ჩემზე - შურდაო, თუმცა საკვირველი კი იყო, რომ თქვენ მიიღეთ ყველაფერი, ჩემი ჩვეულებრივი საფასურიც კი თქვენ მიიღეთ - ხუთი ჯორის სამოც-სამოცი დოლარი. არადა, თქვენ ხომ არ დაგიქირავებიათ ის კაცი, არც კი იცოდით, მაშინ სად იყო, იმისას თუ აღარაფერს ვიტყვით, რომ ჯორები თქვენი არ ყოფილა; იმ ფულის ნახევარი რომ მიგელოთ, თქვენთვის ისიც კმაროდა, იმის ცოლი ყოფილიყავით.

ჰოდა, ახლა, როცა აგერ ამდენი წელიწადია, არ შემშურებია თქვენი, უკანასკნელი ჯორიც წამართვით და ას ორმოცი კი არა, ას ორმოცდაათი დოლარი მაზარალეთ.

- ხომ დაიბრუნეთ თქვენი ჯორი, კიდევ არ ხართ კმაყოფილი? - ჰეტმა უთხრა. - აბა, რაღა გინდათ?

- სამართლიანობა მინდა, - თქვა ა. ო-მ. - სამართლიანობა მინდა და მეტი არაფერი. უკანასკნელად გეკითხებით, - თქვა მერე. - მომცემთ თუ არა ჩემს ათდოლარიანს?

- რომელ ათდოლარიანს? - იკითხა მისის ჰეტმა. მაშინ ა. ო. გატრიალდა და წავიდა. რაღაცას ფეხი წამოჰკრა, - გვეინ ბიძიამ თქვა, ჰეტის ქალაღის ჩანთა იყო, - მაგრამ არ დაცემულა და გზა განაგრძო. წამით თვალი მოვკარიო, - გვიამბო გვეინ ბიძიამ, - მარტო მე დავინახე, რადგან არც მისის ჰეტი და არც ჰეტი აღარ უყურებდნენო, თითქოს ჩარჩოში მოქცეულიყოს ორ გაჭვარტლულ მილს შუა ცისკენ ხელაპყრობილი, მერე გაქრა - ამჯერად სამუდამოდ, მე თვალი გავადევნე, ოღონდ არც მისის ჰეტს და არც ჰეტს თავიც არ აუწევიათო...

- რა უქენით იმ ჯორს, ჭირიმე? - ჰეტმა უთხრა მისის ჰეტს. საიმდროოდ პურის ერთი ნაჭერიღა დარჩენოდათო, - გვიამბობდა გვეინ ბიძია. მისის ჰეტი იმ ნაჭერს დასწვდომია და თავის თეფშზე საწებლის ნარჩენისთვის მოუსვია.

- ტყვიით მოვკალი, - თქვა მისის ჰეტმა.

- როგორო? - თქვა ჰეტმა. მისის ჰეტმა პურის ნაჭერი პირში ჩაიდო. - ჰო, - თქვა ჰეტმა, - ჯორმა სახლი გადაგიბუგათ, თქვენ კიდევ ჯორი მიახვრიტეთ. ეს, მე მგონია, რომ სამართლიანობაზე მეტია. ეს, კბილი კბილისა წილო, რომ იტყვიან, ისაა. - ამასობაში სულ დაღამებულიყო. ჰეტს კიდევ თავისი დამძიმებული ჩანთითურთ ერთ-ნახევარი მილის სიგრძე გზა ჰქონდა გასავლელი დავრდომილთა თავშესაფრამდე. თუმცა ზამთრის ღამე გრძელია და, გვეინ ბიძიას ნათქვამის არ იყოს, არც ის თავშესაფარი გაიქცეოდა სადმე. ჰოდა, გვეინ ბიძიამ გვითხრა, ცარიელი ტაფის ხელში მჭერლი ჰეტი ისევ ჩამოჯდა ყუთზე და ერთი ამოიოხრაო შვებით და სიხარულით: - ოჰ, თქვენ გენაცვალეთ, ეს რა ამბები გადაგვხდა დღეს!

ჰოდა, რეტლიფი, რაღა თქმა უნდა, ისევ იქ იქნებოდა. კლიენტებისთვის განკუთვნილ სკამზე დამჯდარიყო თავისი ლურჯი, გამოხუნებული და უმწიკვლო ხალათით მოსილი, კვლავინდებურად უჰალსტუხო, თუმცა კი ხელოვნური ტყავის კურტაკი ეცვა და შავი ფერის მძიმე ლაბადა, ზამთრის პალტოს მაგივრობას რომ უწევდა. ორშაბათი დღე იდგა და გვეინ ბიძია დილიდანვე გამგზავრებულიყო რაღაც საწრეტი არხების გამო ნიუ-მარკეტში გამართულ ინსპექტორთა შეკრებაზე. ჰოდა, მე ვიფიქრე - თავისი გამგზავრების ამბავი რეტლიფისთვისაც უნდა ეცნობებინა, როცა რეტლიფმა გუშინ სახლში შეუარა-მეთქი.

- კი შეეძლო ეთქვა, - მითხრა რეტლიფმა, - მაგრამ რა უჭირს. საქმე არაფერი მაქვს. ისე შემოვიარე, გულის გადასაყოლებლად, საცინრად.

- ჰო-ო, - მე ვუთხარი, - ა. ო-ზე საცინრად და სნოუჰისის იმ ჯორზე, მისის ჰეტის სახლი რომ გადაწვა, ხომ? მე მეგონა, თქვენ და გვეინ ბიძიამ გუშინვე იცინეთ-მეთქი იმ ამბავზე.

- კი, მასე იყო, - მითხრა რეტლიფმა. - ოღონდ ამ ამბავზე სიცილი რომ აგიტყდება, მიხვდები, რომ სულ არ ყოფილა სასაცილო ამბავი. - რეტლიფმა შემომხედა. - როდის დაბრუნდება ბიძაშენი?

- მე მეგონა, უკვე დაბრუნდა-მეთქი.

- კარგი, - თქვა რეტლიფმა. მაგ არაფერი. - ისევ შემომხედა. - ესე იგი, ორის ამბავი მოთავებულა, ერთიღა დარჩა.

- ვინ ერთი? - შევეკითხე. - ერთი სწოუპსი კიდევ, მისტერ ფლემმა რომ უნდა ამოძირკვოს ჯეფერსონიდან, და მაშინ თვითონ იქნება ერთადერთი სწოუპსი, ხომ? თუ...

- ასე-ე, - თქვა რეტლიფმა. - ახლა ისლას საჭირო, ერთ ანტიმოქალაქეობრივ ზღუდეს კიდევ გადაევლოს, ისეთს, მონტგომერი უორდის ფოტოსტუდია და ა. ო-ს სარკინიგზო ჯორების ამბავი რომ იყო, და ჯეფერსონში საერთოდ აღარაფერი დარჩება ფლემ სწოუპსის გარდა. - რეტლიფმა შემომხედა. - იმიტომ, რომ ბიძაშენმა ხელიდან გაუშვა ის ამბავი...

- რა გაუშვა ხელიდან? - ვკითხე მე.

- თუმცა მის ცხვირწინ კი მოხდა ყველაფერი და ფლემი თავისი ფეხით მობრძანდა აქ იმის მეორე დღეს, ფედერალურმა პოლიციამ ის სტუდია რომ მოჩხრიკა, და შერიფის კაბინეტში გამქრალი გასაღები ჩააბარა ბიძაშენს; ჰოდა, აგერ ახლაც, შაბათ საღამოს, მისის ჰეიტის ნასახლართან, როცა ფლემმა იმ ქალს გირავნობის სიგელი მისცა და ა. ო-ს ჯორების ფული მიუთვალა, ახლაც გაუშვა ხელიდან ეს ამბავი. მე კიდევ, ვერ მითქვამს მისთვის ეს.

- რატომ ვერ ეუბნებით? - ვკითხე მე.

- იმიტომ, რომ არ დამიჯერებს. ეს ისეთი ამბავია, საკუთარ თავს უნდა იცნობდეს კაცი, საკუთარ თავზე უნდა ჰქონდეს გამონაცადი, შიშით უნდა კანკალებდეს. რადგან სხვამ რომ უთხრას, სანახევროდ დაიჯერებს მხოლოდ. ისიც იმას, რისი გაგონებაც თვითონ ენატრებოდა. ოღონდ მაშინ მოსმენითაც არ მოუსმენს, იმიტომ, რომ წინასწარვე შეგუებულია იმ ამბავს, ერთადერთი იმას იფიქრებს - უყურე შენ, რა ჰკუის კოლოფი გამომიჩნდაო! ჰოდა, რისი გაგონებაც არ სურს, ჩემო ბატონო, ის წინასწარვე აქვს უარყოფილი; ჰოდა, არც დაიჯერებს ამ წინასწარ უარყოფილ ამბავს, რამდენიც უნდა შეაყარო კედელს ცერცვი. შეიძლება, შავი დღევ დააყენოს იმ მატრაკვეცას, ვინც სხვის საქმეში ჩაჩხირულა და მისთვის ეს ამბავი მოუყოლია.

- ისე გამოდის, თქვენ იმიტომ არ მოგისმენთ და არც დაგიჯერებთ, რომ არ სურს, სინამდვილე იყოს ეს ამბავი, ხომ?

- სწორედ მასეა, - მითხრა რეტლიფმა, - ასე რომ, მოცდა მომიწევს. იმასუნდა ვუცადო, სანამ თვითონაც არ გაიგებს. ეს ძნელად სავალი გზაა, ნაღდი გზაა, ერთადერთი სწორი გზა. მაშინ თუ არ დამიჯერა, შეშინდება მაინც.

- შიშით დიდი ხანია ეშინია უკვე, - ვუთხარი მე.

- მაგ კარგია, - თქვა რეტლიფმა. - უნდა ეშინოდეს. ყველას უნდა გვეშინოდეს. იმიტომ, რომ, როცა კაცს უბრალოდ ფული ენატრება ისევ ფულის გულისთვის, თუგინდ ძალაუფლების გულისთვისაც, მაინც ბევრი რამეა ისეთი, რასაც არ იკადრებს, რის წინაშეც უკან დაიხევს. მაგრამ როცა მისნაირი კაცი სულ პატარაობიდანვე, ანგარიშს ისწავლის თუ არა, ასე დაასკვნის - ფულით ყველაფრის ყიდვა შეიძლება, რასაც კი მოისურვებო, ჰოდა, მთელი სიცოცხლე ყველა თავის საქმეს ამაზე ააშენებს, თანაც იმიტომ კი არა, გულბოროტი რომაა, იმიტომ, რომ იცის - თავისი ნებით არა კაცი ცენტსაც არ გაიმეტებს მისთვის და არც თვითონაა არავისი მთხოვნელი; ჰოდა, ჩემო ბატონო, ამნაირი კაცი ყველაფრისთვის მზად რომაა, მერე და მერე, წლები რომ მოემატება, უცებ მიხვდება - დამგვიანებია, მთავარი რაც იყო, ხელიდან წამსვლიაო. ჰო, ქონება კი აქვს ამ კაცს იმდენი დაგროვილი, რომ ვერც დაითვლი, ვერც ინატრებ, დასიზმრებითაც ვერ დაგესიზმრება იმდენი. ოღონდ ის წასვლია ხელიდან, რაც ყველაფერზე მეტად სჭირდებოდა, რაც მის ცხოვრებას აზრს შესძენდა ან სიმშვიდეს მაინც მოუპოვებდა. ჰოდა, იმას ფულით ვერ იშოვი ვერაფრით, ის ყოველ ბავშვს დაბადებიდანვე უსასყიდლოდ ეძლევა, ჰოდა, რა რომ გაიზრდება, ზოგჯერ ხვდება კიდევ - დამგვიანებია, იმას ვეღარ დავიბრუნებო...

- კარგი, მაგრამ რა არის ეგ, რა სჭირდება იმ კაცს? - ვკითხე მე.

- კაიკაცობის სახელი, - მითხრა რეტლიფმა.

- კაიკაცობის სახელი?

- ნამდვილად, - მითხრა რეტლიფმა. - როცა კაცს ფული და ძალაუფლება სჭირდება მხოლოდ, სადმე უსიკვდილოდ შეჩერდება: ყოველთვის გამოიძებნება ისეთი რაღაცა, რასაც მარტო ფულის გულისთვის არ გააკეთებს. მაგრამ კაიკაცობის სახელი თუ დასჭირდა, ამის გულისთვის არაფრის წინაშე უკან არ დაიხევს. ჰოდა, როცა თითქმის გვიანია უკვე, როცა მიხვდება - თურმე ეს მჭირდებოდაო, მერე იმასაც ხვდება - რომც ვიშოვო ის, რაც მჭირდება, იმ ნაპოვნის ისე უბრალოდ ცხრაკლიტულში დამალვა და იქ მისი გაჩერება არ ეწყობაო, ის კი არა, სანამ სულს ვითქვამ, მის შესანარჩუნებლად წელებზე ფეხს უნდა ვიდგამდეო. ჰოდა, ამას რომ გადაწყვეტს, მერე უკან აღარ დაიხევს არაფრის წინაშე და თავის გარშემო ყველას და ყველაფერს ტანჯვა-წამებაში ამყოფებს.

- კაიკაცობის სახელი, ხომ? - ვთქვი მე.

- ნამდვილად, - თქვა რეტლიფმა. - ბანკის ვიცე-პრეზიდენტობა აღარ კმარა იმისთვის, პრეზიდენტი უნდა შეიქნეს.

- უნდა შეიქნეს? - ვკითხე მე.

- მე იმის თქმა მინდა, მალე შეიქნება-მეთქი. იმას ვერ გაბედავს, საქმე სასწორზე შეაგდოს და იცადოს, სამერმისოდ გადადოს. მისის სნოუჰისის ქალიშვილი რომაა, ლინდა, უკვე...

- თორმეტ აპრილს ცხრამეტის შესრულდება, - ვთქვი მე.

- ...ცხრამეტისაა, ჰოდა, იმ ქალაქში კიდევ... შენ რა იცი, თორმეტში რომ შესრულდება?

- გვეინ ბიძიამ თქვა, - ვუთხარი მე.

- რასაკვირველია, - თქვა რეტლიფმა და განაგრძო: - ...იმ უნივერსიტეტში კიდეც, ოქსფორდში, ალბათ ათასობით არიან ახალგაზრდა კაცები - ახალ-ახალი, უცნობი, სანდომიანი ხალხი, ჰოდა, იმ გოგოს იქ ყურის მგდებელიც არავინ ეყოლება, პანსიონის უფროსის გარდა. იმ გოგოს რა ენაღვლება, იმას კი არ ჰყავს ცოლად ბიძია ბილ უორნერის ქონების განახევრებული ნახევრის მემკვიდრე! არადა, აქაც კი, ჯეფერსონშიც, ის გოგო შარშან რომ სწავლობდა, იმ პანსიონშიც სახიფათო იყო მისი ყოფნა, ახლა კიდეც, ბიძაშენმა, იმ გოგოს დედამ თუ სხვა ვიღაცამ, ანდა იქნებ ორივემ ერთად, ბოლოს და ბოლოს დაიყოლიეს ფლემი, რომ იმ გოგოსთვის ნება მიეცა, პანსიონი მიეტოვებინა და შობის შემდეგ კოლეჯში გადასულიყო სასწავლებლად. ჰოდა, ჩემო ბატონო, იქ კი ვეღარ ეჭირება ფლემს თვალი იმ გოგოს ნაცნობ ჭაბუკებზე, ისე, როგორც აქ მწყემსავდა მის ტოლ ბიჭბუჭებს. აქ ის მაინც იყო, რომ იმ ბიჭბუჭების ნათესავები ცხოვრობდნენ, ფლემის მოვალეები, და შეეძლოთ მოხმარებოდნენ, იმ ყმაწვილებს როცა უმკლავდებოდა. იმისას თუ აღარაფერს ვიტყვით, რომ ახლა ის გოგო სადამოობით სახლში კი აღარ იჯდება, კაცს რომ შეგეძლოს, ხელი გაიწვიდინო და გული დააჯერო - კი, ნამდვილად აქ არისო. ასე რომ, ვერ გაბედავს, საქმე სასწორზე შეაგდოს. ახლა ყოველ წუთს შეიძლება დეპეშით აცნობონ ან ტელეფონით დაურეკონ იმ გოგოს ამბავი - ეს-ესაა, გაიქცა მეზობელ ქალაქში (სადაც მომრიგებელ მოსამართლეს ფეხებზე ჰკიდია შენი ფლემ სნოუპსი) და საცაა გათხოვდებაო... და იმდენიც რომ მოახერხოს, იმ ამბიდან ერთი ათი წუთის მერე მიაგნოს იმგენს და უკან წამოაბრძანოს...

- ...მაინც გვიან იქნება უკვე და საქმეს აღარაფერი ეშველება, - ვთქვი მე.

- დიახ, - თქვა რეტლიფმა. - ბიძაშენმაც კი იცის ეს ამბავი. მისნაირი კეთილშობილი და დახვეწილი აზრების კაცსაც მართებს იცოდეს, რომ ფლემს ხელი მოეცარება თუ არა, მისის სნოუპსი მაშინვე მიატოვებს. ჰოდა, მაშინ ფლემი იმ ქალის მემკვიდრეობის ნაწილს კი არ უნდა დაემშვიდობოს მხოლოდ, არამედ გამგეობის არჩევნებზე ის ხმებიც უნდა დაკარგოს, ბიძია ბილს თავისი აქციების წყალობით რომ აქვს მოპოვებული. ასე რომ, ფლემმა ახლავე, დაუყოვნებლად უნდა გადადგას ნაბიჯი, ბანკის პრეზიდენტი უნდა შეიქნას, მარტო იმიტომ კი არა, უორნერის ქონება რომ მოიგდოს ხელში. ამის გაკეთება ნაწილობრივ მაშინ შეიძლება, იმ ბანკის პრეზიდენტი თუ გახდა, რომელშიც აქვს თავისი ფული შენახული ბიძია ბილს. ეს ამბავი მანამდე უნდა მოახდინოს, ვიდრე არ უცნობებიათ - ლინდა გათხოვდაო: ასე თუ არ ქნა, იმ ხმებს დაკარგავს, ბიძია ბილს თავისი აქციების წყალობით რომ აქვს მოპოვებული.

## 17. გვეინ სტივენსი

ბოლოს და ბოლოს, ისიც შევიტყვეთ, სხვა ბანკს რატომ მიაბარა იმ კაცმა თავისი ფული. სატყუარას მოწყობასავით იყო ეს ამბავი. არა, საქმე ის კი არ ყოფილა, ფული სხვა ბანკში რომ შეიტანა, ჯეფერსონის ძველ ბანკში; იმას ის სურდა, ქალაქ ჯეფერსონის და იოკნაპატოფას ოლქის მოსახლეებს შეეტყოთ - თავისი ფული იმ ბანკიდან გამოიტანა, სადაც თვითონ ვიცე-პრეზიდენტია, და სხვა ბანკში შეინახაო.

ოღონდ ეს მერე იყო. მანამდე კიდევ მხოლოდ ის უნდოდა, ფული გადაერჩინა როგორმე, რადგან მაშინ საამისოდ უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა. ერთობ ცოტა ხანი იყო გასული მას აქეთ, რაც ბანკებთან საქმის დაჭერა უხდებოდა, ჰოდა, აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ბანკის საქმეს მორალი ახლავს თან, შეუვალი ეთიკა; უამისოდ ერთი რომელიმე ბანკი კი არა, საერთოდაც ვერ იარსებებდა ბანკები, როგორც ინსტიტუტი და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმა.

ჰოდა, ბანკი ელისაბედის დროინდელი ტავერნისმაგვარ რაღაცად წარმოედგინა იმ კაცს, ანდა ამერიკის უდაბნოთა დასახლების ეპოქის საზღვრისპირა სასტუმროდ: სადამო ხანს ჩამოხტები იქ, რათა უდაბნოში არ მოგიჩიოს ღამის გათევამ; საჭმელ-სასმელს და სადგომს გიშოვიან, ლოგინსაც (ანდა ლოგინისმაგვარ რაღაცას); ჰოდა, დილით გამოღვიძებულმა თუ აღმოაჩინე, რომ ვიღაცას შენი ჯიბეები გამოუცარიელებია, ან ცხენი მოუპარავთ შენთვის, ან კიდევ ყელიც გამოულადრავთ, საკუთარი თავის მეტს ვერავის დააბრალებ ამ ამბავს, იმიტომ, რომ კაციშვილი არ მოგძალებია – მაინცდამაინც ამ გზით იმგზავრე და ღამის გასათევადაც აქ ჩამოხტო. ასე რომ, იმას რა მიხვდა, სწორედ იმ გარემოებათა წყალობით, მე რომ ვიცე-პრეზიდენტად ვიქეცი, ბანკი ისეთმა რეგენმა გაძარცვა, ვერც გამბედაობით და ვერც მარიფათით რომ ვერ დაიკვებნისო (ამდენად კი იცნობდა თავის სახლიკაცს, ბაირონს), მაშინ ისიც გადაწყვიტა, შემთხვევა მიეცემოდა თუ არა, ფული გამოეტანა იმ ბანკიდან; მოკლედ რომ ვთქვათ, იმ მგზავრივით ლოგიკურად მოიქცა, რომელიც ცხენს უნაგირს ხდიდა სასტუმროს ეზოში და უცებ დაინახა, როგორ გადმოისროლეს ზედა სართულის ფანჯრიდან ყელგამოღადრული შიშველი გვამი, ჰოდა, დრო აღარ დაუკარგავს, ცხენი ხელახლა შეკაზმა, მოახტა და სხვა სასტუმროს საძებრად გააჭენა, ანდა სულაც გადაწყვიტა – ღამეს ტყეში გავათევ, კაცმა რომ თქვას, ინდიელები, დათვები და ყაჩაღები ამაზე უარესს რას დამმართებნო.

იმის მეტი არაფერი უნდოდა, ფული გადაერჩინა როგორმე, იმდაგვარი რუდუნებით, იმნაირი მძიმე შრომით ნაშოვნი ფული; ყველაფერს სწირავდა იმ ფულის შოვნას იმ დღიდან, რაც მამამისი რომელიღაც მიღრინკული ფერმიდან გადმოზარგდა და ბილ უორნერისგან სხვა მიღრინკული ფერმა აიღო იჯარით ფრანგისხევეში, ისეთი ფერმა, მისნაირი გაღლეტილის მეტი რომ არავინ აიღებდა, რადგან იმის იმედად ყოფნა არაფრის დიდებით არ შეიძლებოდა – ამ ფერმით როგორც იქნება, თავს გავიტანო; სწორედ მაშინ მიხვდა, პირველად, თვითონაც რომ არაფერი ებადა და არც არაფერი ექნებოდა იმის მეტი, ვიდრე თვითონვე წაგლეჯდა დროის სრბოლას და ბედისწერას, და რომ საამისოდ ფულის გარდა სხვა რამე იარაღი არასოდეს ექნებოდა.

დიახ, თავისი დღე და მოსწრება მსხვერპლად ჰქონდა შეწირული ყოველივე – თავისი უფლებებიც, სურვილებიც, იმედებიც, ურომლისოდაც კაცს არ ეცხოვრება ამქვეყნად. თავად ვერასოდეს შეიყვარებდა, ვერც შეძლებდა შეყვარებას, იცოდა ეს ამბავი; ბუნებით არ ეწერა თავისი არცოდნა და მასში დაფარული უმანკოება იმის არცოდნისა და უმანკოებისთვის შეერწყა, ვინც მისი პირველი სიყვარული იქნებოდა. ხომ მამაკაცი იყო და მისი შეუვალი უფლება და იმედი უნდა ყოფილიყო ეს ამბავი. ოღონდ, ნაცვლად ამისა, ბედმა ის არგუნა, სხვისი შვილის მამად ქცეულიყო, ცოლიც იმნაირი შეხვედროდა, მხურვალე მადლობაც რომ არ მიეგო მისთვის, მხურვალე ვნების რომ აღარაფერი ვთქვათ, რამეთუ ამგვარი ვნება სამისო საქმე არ გახლდათ. ცოლმა მზითევით მიუზღო სანაცვლო.

ერთობ ილაჯის გამწყვეტ შრომას ეწეოდა მისი დღე და მოსწრება იმ ფულის ფულისთვის და ისიც იცოდა, რომ სულის ამოხდომამდე ვერასოდეს წამითაც ვერ



მოადუნებდა სიფხიზლეს; თანაც ამნაირად ცხოვრება საიმისოდაც კი არ მართებდა, რომ ის ფული გაებევრებინა; არა, უკვე მოქუჩებულის, დაგროვებულის შენარჩუნება ავალბდა ამას. ფულის ნამცეც-ნამცეც, მისხალ-მისხალ შემგროვებელი მაშინვე მიხვდა, რომ სხვაგვარად იმ ფულს თავს ვერასოდეს მოუყრიდა, თუ მუდამდღე ჭიანჭველასავით არ გაირჯებოდა თავდაუზოგავად, რადგან (ამის შემცნობმა პირველად განიცადა თავმოდრეკილება) ახლა იმასაც მიხვდა, რომ უბირ კაცად დარჩენილი სხვებს ვერ აჯობებდა, იმ განსწავლულ ხალხს თავს ვერ დაუვლიდა, რომელთა მოდორება, ჭკუაში მოტყუება და გაყვლეფა მართებდა ამას. არადა, განსწავლით უკვე ვეღარ განისწავლებოდა, საამისო დრო აღარ ეყოფოდა; მას ის ეწერა, ჯერ სილატაკე გამოეცადა და ამის შემდეგლა შეეძინა ქონება, მოეხვეჭა ფული. ჰოდა, ცოტა რადაცის პატრონი რომ შეიქნა, ისიც არ იცოდა, სად შეენახა საიმედოდ თავისი საუნჯე, ვიდრე იმას არ ისწავლიდა, იმას არშეძლებდა, ის საუნჯე იმ განსწავლული ხალხისგან დაეცვა, რომელიც, თავის მხრივ, მის გაყვლეფას და გატყავებას შეეცდებოდა.

თავმოდრეკილება და, შესაძლოა, სინანულიც კი, - თუმცა სინანულისთვის დრო არც რჩებოდა, - ოღონდ სასოების წარუკვეთლად, თუმცა ნებისყოფის, გაჭირვების, დაუნდობლობის, სიჯიუტის, აგრეთვე მათ სამსახურად თანდაყოლილ უნართა გარდა სხვა არაფერი მოეძევებოდა; მის მოსწრებაში არც ერთ ადამიანს არ უბომბებია მისთვის არაფერი და თვითონაც არაფერს გამოელოდა კაცთაგან სიკვდილის დღემდე; ჯერ გული არ დაეჯერებინა, განათლებად სახელდებულ მტერთან ბრძოლა, მისგან თავის დაცვა რომ შეეძლო, და მაინც, არც კი ეჭვობდა, არც ყოყმანობდა, რომ მართებდა ამის გაკეთება.

ასე რომ, თავდაპირველად მხოლოდ იმას ფიქრობდა, თავისი ფული როგორ გადაერჩინა, ის ფული, ესოდენ ძვირად რომ უღირდა, ყველაფრად უღირდა, რამეთუ მთელი თავისი ცხოვრება გაეწირა მის მოსახვეჭად, ესე იგი, მისი სიცოცხლეც იმ ფულში იყო მხოლოდ. ამიტომაც გადაწყვიტა, ფული გამოერიდებინა იმ ბანკიდან, რომლის არასაიმედოობაც მის სახლიკაცს უკვე დაემტკიცებინა. საქმეც ეს იყო სწორედ: ბანკი იმდენად არასაიმედო აღმოჩნდა, მისი გამარცვა იმნაირმა კაცმაც კი შეძლო, როგორც იყო მისი სახლიკაცი ბაირონი, ის ტუტუცი ბიჭი, იმდენად მფრთხალი და წარმოსახვის უნარს მოკლებული თუნდაც ქურდობის საქმეში, იმ საცდურსაც ვერ გაუძლო, რომ დროებით უმეთვალყურეოდ დატოვებული რამდენიმე ნიკელი, ატცენტიანი და დოლარიანი არ აეწაპნა, როგორც რეტლიფი იტყოდა, იმდენად გამოშტერებული, რომ სნოუპსად წოდების ღირსიც კი არ იყო, იმდენად რეგვენი, ისიც კი ვერ მოახერხა, ფული ისე გაეცოცებინა, ტეხასში გადასახვეწად და ფულის იქ გადასათვლელად არ შემქნოდა საქმე, კაცმა რომ თქვას, რისი გატაცებაც იმან შეძლო, მატარებლის ბილეთის საფასურად თუ ეყოფოდა.

რადგან, ნუ დაივიწყებთ, ფლემ სნოუპსმა ის კი არ იცოდა მხოლოდ - ყოველი ბანკი შეიძლება გამარცვონო (ისე, როგორც, მაგალითად, მისმა სახლიკაცმა ბაირონმა მის თვალწინ მოახდინა ეს საქმე), დარწმუნებულად იყო, გარდაუვალ ჭემმარიტებად მიაჩნდა - ბანკებს მუდამ მარცვავენო, ბანკის ნორმალური მდგომარეობა მისი გამუდმებული და წესიერი მარცვაა, ხოლო გადახდისუნარიანობა - მოუშლელი ილუზიაო; ეს ილუზია იმ ქალის რეპუტაციას ჰგავს, რომლის ამბავიც ყველამ იცის - უმწიკვლო და მიუდგომელი სულაც არ არისო, რადგან ცნობილია (იქნებ დამტკიცებულიცაა), რომ ყველა მამაკაცი, ვისთანაც კი იმ ქალს კავშირი ჰქონია, ერთხმად აღდგება მის დასაცავად საიმისოდ მზადყოფი, რომ არამცთუ უარყოს ეს ამბავი, არამედ ყოველ კაცს შური მიაგოს და მოაკვდინოს კიდევ, ვინც თუგინდ გადაკრულად ახსენებს იმ ქალის გაბახების ამბავს. რადგან სწორედ ეს - ბანკების

მარცვა - არის მათი არსებობის საფუძველი, ერთადერთი რამ, რისი გულისთვისაც ღირს, კაცმა თავს ჭირი აუტეხოს და დაიხარჯოს, რა რომ ბანკს დააარსებს და ფინანსურ საქმეებს მიჰყოფსო ხელს.

როგორც ეტყობა, პოლკოვნიკი სარტორისი ამას აკეთებდა (იმან, სნოუჰსმა, თავისი გამოუცდელიობის გამო ჯერ არ იცოდა, როგორ აკეთებდა ამას პოლკოვნიკი სარტორისი, მაგრამ შეიტყობს, აცალეთ ოლონდ), როცა პრეზიდენტი იყო: თავის მხრივ, მანფრედ დე სპეინიც ამასვე აკეთებდა, რაც გაეწყობოდა, ვიდრე ძალაუფლება ჰქონდა ხელში მოგდებული. ოლონდ ისინი ამას, კეთილშობილ ხალხს რომ ეკადრება, ისე აკეთებდნენ მუდამ; ყმაწვილივით კი არ იპარავდნენ, ერთ მუჭა თხილს რომ ჩაიჯიბავს ხოლმე გამყიდველის იქით მიბრუნებისას, მისი სახლიკაცის, ბაირონის არ იყოს. წესიერად ქურდობდნენ, წყნარად, უფრო მეტიც - მარჯვედ და ჭკვიანურად ირჯებოდნენ, იმდენად ჭკვიანურად და უჩუმრად, რომ იმათ, ვის ფულსაც ესენი იპარავდნენ, ეჭვიც არაფრის ჰქონდათ; მერე ქურდი კვდებოდა და ხიფათისგანაც თავდახსნილი იყო. ჰოდა, ამის მერეც ვერავინ ხვდებოდა რამეს, რადგან საამდროოდ მპარავის მემკვიდრე ყველასთვის დაფარულ იმ ჭირს, მემკვიდრეობის განუმორებელ ნაწილს, თავის თავზე იღებდა. რადგან, ვიმეორებ, ასე რომ არ ყოფილიყო საქმე, ეღირებოდა განა ბანკის დაარსება და საიმისოდ გარჯა, რომ მის პრეზიდენტად ქვეულიყო კაცი, პოლკოვნიკ სარტორისის არ იყოს? ეღირებოდა განა აქციონერთა ხმების შეგროვების და ანგარიშის გაწამაწია, ვაჭრობა, გარიგება, თაღლითობა და საქმეების გაიმასქნება (ჰოდა, საკუთარ ჯიბეზე ხელის გაკვრა კიდევ? რეტლიფი ხშირად ამბობდა, დე სპეინმა ბილ უორნერს ლამის მთელი მისი ფული თამასუქით გამოართვა და, რაც რომ ბაირონ სნოუჰსს მოეპარა, ყველაფერი ანაზღაურაო), მანფრედ დე სპეინის არ იყოს? ამ დღეში ჩაიგდო დე სპეინმა თავი, რათა პოლკოვნიკ სარტორისის სიკვდილის შემდეგ ბანკის პრეზიდენტად აერჩიათ; ოლონდ ამას პოლკოვნიკზე მეტი ჯაფა დაადგა, რადგან პოლკოვნიკის ნაქურდალიც ამას უნდა დაეფარა კიდევ, რათა ბანკი ხელში მოეგდო და თავად შესდგომოდა ქურდობას.

ვიმეორებ, იმ კაცს ვერ წარმოედგინა, როგორ აკეთებდა ამას პოლკოვნიკი სარტორისი, - რაღა თქმა უნდა, ვერც იმას განსაზღვრავდა, დე სპეინი როგორ შეუდგებოდა ახლა ამ საქმეს, - არაფერი იცოდა, როგორ ქურდავდა ბანკს პოლკოვნიკი სარტორისი თორმეტ წელიწადს და მერე მშვიდად განუტევა სული და შეუბღალავი პატიოსნების შარავანდედმოსილი დაკრძალეს; ჰოდა, თავის მხრივ, დე სპეინი როგორ შეუდგება ახლა ბანკის მარცვას, მერე კი, ოდესმე, სამსახურს შეეშვება არამცთურეპუტაციაშეუღალავი, არამედ იმ საპნის ბუმტის მიუხეზლად შემნახველი, ბანკის გადახდისუნარიანობა რომ ეწოდება. თუმცა არა, მაშინ ჯერაც არ იცოდა ეს ამბავი. ეს, ეტყობა, მაშინ დაიწყო, როცა პირველად განიცადა ნამდვილი განცდით მანამდე განუცდელი რამ - არცოდნით აღძრული მორჩილება, იმით აღძრული, რომ შეუძლებელი იყო იმ თავგანწირული თამაშის წესებისა და კანონების შეცნობა, რომლითაც ის ზომავდა თავის ცხოვრებას. ბედს მისთვის ებოძებინა სასტიკი გასაჭირი, ნებისყოფა, დაუნდობლობა, მერე კი იმის შესაძლებლობაც, რომ გაჭირვებისთვის თავი დაეღწია. და ეს შესაძლებლობა მანამდე დაატყდა თავს, ვიდრე იმას მოასწრებდა, მისი გამოყენება ესწავლა.

ასე რომ, ერთადერთი ის იცოდა, ფული იმ ბანკიდან უნდა გამოეტანა, სადაც ვიცე-პრეზიდენტობდა თავად. მისი თანამდებობა არც იმდენად მაღალი იყო, რომ თვითონვე ერთბაშად გაემარცვა ბანკი, ნაღდი ფული იმდენი გაეტაცებინა, მერე აზრი ჰქონოდა სამუდამოდ გადაკარგვას სადმე ისეთ მხარეში, სადაც არ ამხელდნენ, ვითარცა დამნაშავეს; იმდენად მაღალი და მნიშვნელოვანიც კი არ იყო მისი თანამდებობა, რომ

გადარჩენოდა მომდევნო ბაირონ სნოუპსს, უეჭველად რომ მოევილინებოდა მის ბანკს; იმისას თუ აღარაფერს ვიტყვით, რომ თანამდებობით მასზე აღმატებული უფრო დიდ-დიდი მტაცებლებიც არსებობდნენ.

ოლონდ სად უნდა წაეღო ის ფული? ის, რომ შესძლებოდა, ფული ბანკიდან – ყოვლად საიდუმლოდ გამოეტანა, ძეხორციელს რომ არაფერი შეეტყო, ისე, მაშინ შეიძლებოდა, ისიც გაეხედა, სახლში გადაეძალა, ანდა უკანა ეზოში ჩაემარხა სადმე. გარნა ამ ამბის საიდუმლოდ დაცვისთვის ფიქრიც არ შეიძლებოდა: სხვას რომ ვერავის შეეტყო, ის მოანგარიშე ხომ მაინც საშიში იქნებოდა თავისთავად, ვინც ამ ოპერაციას დავთრებში გაატარებდა. ჰოდა, ხმა რომ დარხეულიყო – ბანკიდან ნაღდი ფული წაიღო, ოლქის ყოველი მცხოვრები და მისი სოფლელი სახლიკაცებიც საშიში შეიქნებოდნენ მისთვის, მის მტრებად იქცეოდნენ მანამდე, ვიდრე ყველანი უეჭველად არ დარწმუნდებოდნენ, რომ ფული მართლაც სხვაგან იყო წაღებული, ოლონდ ზუსტად კი არ ეცოდინებოდათ მისი ასავალ-დასავალი.

ასე რომ, სხვა არჩევანი არც ჰქონია იმ კაცს. მეორე ბანკში უნდა შეეტანა ფული და თანაც დაუფარავად გაეკეთებინა ეს. რასაკვირველია, პირველად ის ბანკი გაახსენდებოდა, საუკეთესო რომ იყო, ყველაზე მტკიცე და საიმედო – მემფისის დიდი ბანკი. ჰოდა, ამ დროს ახალი აზრი გაუელვებდა: იმ დიდ ბანკში მისი მცირედი (შედარებით, რაღა თქმა უნდა) წილი, ეჭვი არაა, საიმედოდ შეინახებოდა სწორედ თავისი სიმცირის გამოისობით; ოლონდ თუ იმასაც ვიწამებთ, როგორც მას სწამდა, რომ ფული, ნაღდი დოლარები, საკუთარი, მათთვის დამახასიათებელი ცხოვრებით ცხოვრობენ უჯრედების თუ მიკრობებისდა გვარად ურთიერთზემოქმედნი, მაშინ მისი მცირედი თანხა მარტივი პარაზიტული ზრდის მეოხებით გაიფუყებოდა, გინდაც წურბელა ყოფილიყოს, ან – ჩიყვი, ან კიდევ – ავთვისებიანი სიმსივნე.

ოლონდ ნამდვილად მაშინაც არ ესმოდა ის ამბავი, თუ რატომ გადაწყვიტა ფულის გამოტანა, როცა იმ გაელვების გამო თავის თავს უპასუხა: არა, არ ივარგებს. ის ადგილი, სადაც ჩემი ფული შეინახება, ზუსტად და უეჭველად უნდა იყოს ცნობილი. მთელი ჯეფერსონი და მთელი იოკნაპატოფას ოლქი უცილობლად უნდა დარწმუნდეს, რომ ფული ჯეფერსონშივე, იოკნაპატოფას ოლქშივე რჩება და დარჩება მომავალშიც; უამისოდ სახლს ფოსტაში გადასასვლელადაც ვერ მოვშორდები, რადგან სწორედ ამას ელოდებიან ჩემი მეზობლები და თანამოქალაქენი, რათა სამზარეულოს სარკმელში გადმოძვრენ და საწოლქვეშ იქნება თუ ღუმლის შიგნით დაიწყონ ბუჯური. ჰოდა, მაშინაც კი, როცა იფიქრა – რაღა ჯეფერსონის ბანკში გადამიტანია ფული და რაღა ქარისთვის გამიტანებია, იმ ფულს იქაური ბაირონი, სნოუპსი მოიგდებს ხელში, იქაური პოლკოვნიკ სარტორისის ან მანფრედ დე სპეინის რომ აღარაფერი ვთქვათ, და მერე, როცა მაშინვე განიშორა ეს აზრი, რა გაიხსენა, რომ ჯეფერსონის ბანკი დიდი ხნის დაარსებულია, ასი წლის წინ არის გახსნილი, ლამის 1830 წელს, და უკვე შეგუებულია თავისი დირექტორების თუ მოსამსახურეების მხრივ ყოველდღიურ ბუნებრივ მარცვას (ბანკები ხომ ამისთვის არსებობს მხოლოდ), ჰოდა, ახლა თავად არსებობა იმ ბანკისა მხსნელია მისი, ამ ბანკის მყარი კედლები უკვე გარანტიანა, მსგავსად იმისა, როგორც ტაძრის ძველი კედლები ინახავენ, აკმევენ და აფრქვევენ კიდევ კაცობრიულ სისუსტეთაგან მოუწყვლელ სიწმინდეს, რამდენსაც უნდა სცოდავდნენ მღვდელი იქნება, მრევლი თუ მგალობელნი, – მაშინაც კი, ეს როცა იფიქრა, ჯერაც არ ჰქონია თვალწინ გადახსნილი ის თვალისმომჭრელი პერსპექტივა არა მარტო სამოქალაქო სათნოების, არამედ საკუთარი ზეობის და შურისგებისაც, რომელიც უმაღლესად აღიძვრებოდა მის წინაშე, როგორც კი პირველ დოლარს გაიტანდა ბანკიდან.

ერთობ დაკავებული კაცი გახლდათ. ისე იყო დანთქმული თავის საქმეებში, რომ ირგვლივ ვერაფერს ხედავდა. მარტო ის კი არ იყო საჭირო, ფული ერთი ბანკიდან წამოეღო და მეორეში შეეტანა მარტივად, იმისთვისაც უნდა ეზრუნა, საქმე ისე მოეწყო, ქალაქშიც და მთელ ოლქშიც ყველას ნამდვილად სცოდნოდა - ასე და ასე მოიქცაო. ძალა არ უნდა დაეზოგა, რადგან ოლქში მცხოვრები ყოველი კაცი, იმას რა შეიტყობდა, თავისი ფული სარტორისის ბანკიდან გამოიტანაო, უეჭველად შეეცდებოდა მოეპარა ის ფული, როგორც კი პატრონი თვალს მოაშორებდა; ის კი არ უნდა სცოდნოდა ყველას, ფული რომ გაიტანა ბანკიდან, არამედ ის, რომ მთელი ის ფული, უკანასკნელი ცენტის ჩათვლით, მეორე ბანკს მიაბარაო.

როგორც ეტყობა, ის ფული დიდზე დიდი ხანია საიმედოდ იყო შენახული ხელახლა ან, ყოველ შემთხვევაში, სადღაც იყო შენახული ხელახლა. მიყვარს იმის წარმოდგენა, როგორ შეაჩერებდა სნოუპსს ქუჩაში მავანი კაცი, უცვლელი კომბინეზონითა და უჰალსტუხო ხალათით მოსილი, გაღეული ჭიპლარით სამუდამოდ მიკრული იჯარით აღებულ მიღრინკულ ფერმას, მწირი საზრდოთი მის მარჩენალს, მონა, რომელიც სნოუპსისდაგვარად ვერ დასხლტომია ყოველსავე ამას, - ფერმა იქნება, უჰალსტუხო ხალათი თუ კომბინეზონი, - არც უწერია ალბათ ყოველივე ამისგან თავის დაღწევა, და ამის გამოა სწორედ, რომ გულმოდგინედ მიაღვენებდა თვალს, როგორ აღზევდებოდა სნოუპსი, გინდაც თვითონ ყოფილიყოს, როგორ იქცეოდა კომბინეზონით მოსილი, ულმობელ პატრონზე დამოკიდებული ლატაკი ფერმერიდან თეთრ ხალათსა და ჰალსტუხში გამოწვეპილ ბანკის ვიცე-პრეზიდენტად, ოღონდ აღტაცებით კი არ მიაღვენებდა თვალს ამ აღზევებას, არამედ შურითა და პატივისცემით (სიძულვილითაც), დიახ, მიყვარს იმის წარმოდგენა, როგორ შეაჩერებდა სნოუპსს ქუჩაში ის კაცი, „მისტერად“ მისი მწოდებელი, ქათქათა ხალათისა და ჰალსტუხისადმი პირმოთნეობითა და მოწიწებით გამსჭვალული, ოღონდ მათივე მოძულე, რადგან მისი არაა ის ხალათი და ის ჰალსტუხი.

- ცარიელი ლაი-ლაი მგონია ეს ყველაფერი, ოღონდ თქვენი თქვეს - თავისი ბანკიდან ფული გამოიტანაო.

- მართალი უთქვამთ, - ეტყოდა სნოუპსი, - ჯეფერსონის ბანკში შევინახე.

- თქვენ რომ ვიცე-პრეზიდენტი ბრძანდებით, იმ ბანკიდან გამოიტანეთ, ხომ?

- კი, - ეტყოდა სნოუპსი. - ჯეფერსონის ბანკში შევინახე.

- აბა, თქვენი შეხედულებით, ის ბანკი არ ყოფილა საიმედო? - ეს ამბავი სნოუპსს სიცილად არ ეყოფოდა, რადგან მისთვის ყოველი ბანკი იგივე გახლდათ, რაც მცირე სასაზღვრო ქობს იქით ტყის განაპირას აღმოცენებული ბუჩქნარი, რომელიც ამერიკელ პიონერს ფეხისადგილობასაც უწევდა - მეტი არ ჰქონდა და იმიტომ; ჰოდა, ის შამბნარიც, ის ბუჩქნარიც, ის ჩაკუპრული უღრანი ტევრიც ინდიელებით და ყაჩაღებით იყო სავსე, დათვების, მგლების და გველების რომ აღარაფერი ვთქვათ. რასაკვირველია, საიმედო არ იყო ის ბანკი, ოღონდ მაინც უნდა მიეკითხა იმ ბანკისთვის, რადგან მაშინლა გადაიშალა მის წინაშე ის სივრცე, ის პერსპექტივა, რომელმაც აიძულა, სწორედ თავისი ფული წამოეღო. - აბა, მეც მირჩევდით, ჩემი ფული გამოიტანა?

- არა, - ეტყოდა სნოუპსი, - მე ჩემი წამოვიღე და მეტი არაფერი.

- თქვენ რომ ვიცე-პრეზიდენტი ბრძანდებით, იმ ბანკიდან გამოიტანეთ, ხომ?

- სწორედ მასე, - მიუგებდა სნოუპსი, - მე რომ ვიცე-პრეზიდენტი ვარ, იმ ბანკიდან.

- გასაგებია, - იტყოდა ის კაცი. - დიდი მადლობელი გახლავართ, ჩემო ბატონო.

იმიტომ, რომ ახლა ხედავდა იმ პერსპექტივას. და მისი მოქალაქეობრივი თავგამოდება და სიამაყე ოთხი წლის შემდეგ ჯეფერსონიდან გააძევეს უცხოური პორნოგრაფიული სურათების გამომფენელ მის სახლიკაცს, - ლაბორატორიაში რამდენიმე გაღონ დაუბეგრავ შინახად ვისკის შეუდგამს და მერე ამ ამბავს ფედერალური გადასახადის ამკრეფს შეატყობინებს; ექვსი წელიც რომ გაივლის, იგივე მოქალაქეობრივი თავგამოდება და სიამაყე ჯეფერსონს მოაშორებს იმ გვარეულობის კიდევ ერთ (უკანასკნელ) წარმომადგენელს, რომელსაც პროფესიად ჰქონდა ქცეული მარტივი სამხედრო ხერხი - ჯორებს რელსს მიაკოჭავდა ხოლმე მოსახვევში, ისეთ ადგილას, სადაც მემანქანე დროულად ვერ შენიშნავდა; ადგება ის კაცი და ყველა დარჩენილ ჯორს შეისყიდის თავისი სახლიკაცის მიერვე ნათქვამ ფასად, ოღონდ ერთ პირობას კი დაუდებს იმ თავის სახლიკაცს - ჯეფერსონში მეტი აღარ გაიჭაჭანო.

მოქალაქეობრივი თავგამოდება და სიამაყე, რომელიც, შეიძლება ითქვას, იმწამს აღედრა, როცა მიხვდა, რომ საკუთარი ფულის მოპარვისა თუ გატაცებისგან გადასარჩენად მზრუნველს თან ისიც შეეძლო, სათავისოდ შერჩეული ქალაქიდან გაეძევიანა ცოდვის მოსისხლე დემონი, ჯოჯოხეთის დაცემულ სერაბიმთაგან უწყეულებს - სათნოებისა და ზნეობის გამასხარავება, საშინელი პარადოქსი: სულ ახლახან - ქალაქის მერი, ამჟამად კი ქალაქის ორი ბანკიდან ერთ-ერთის პრეზიდენტი; მარტო გარყვნილი მუსუსი რომ ყოფილიყო, ამას კიდევ შეუნდობდა ქალაქი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბუნებრივი ამბავია ეს ამბავი, ადამიანური, გასაგები და გასაკიცხი; მაგრამ, ნაცვლად ამისა, ცოლქმრული ღალატის რაღაც თავაწყვეტილი კულტი შექმნა, ორი საყვარლის რაღაცნაირი დაკანონებული კავშირი, მოუწყველელ, ამოურწყავ ერთგულებას რომ ემყარებოდა იმ დროიდან მოყოლებული, რაც ყოვლად უდანაშაულო, მოტყუებულმა ქმარმა ქალაქს ჩამოიყვანა თავისი ცოლი ამ თორმეტი წლის წინ; ის ერთგულება, რაც უნდა მოიწადინოთ ან ივარაუდოთ, ვისი მხარეც უნდა დაიჭიროთ, როგორც ეტყობა, თორმეტ წელიწადს არ ამოიწურება კიდევ, თუკი ქმარმა რაიმე საშუალება ვერ გამონახა ამ ამბისთვის ბოლოს მოსაღებად, ჰოდა, კიდევ ორჯერ თორმეტ-თორმეტ წელიწადსაც გაუძლებს, თუკი ქმარმა იმას დაუწყო ლოდინი - ამ საქმეში ქალაქი როდის ჩაერევაო.

მოქალაქეობრივი სათნოება, ყოველგვარი სათნოების დარად თავისთავადვე ჯილდო რომ იყო, რადგან იმავე თვალისმომჭრელ გაელვებაში ის კაცი სათავისოდ შურისგებასაც ჭვრეტდა; თითქოს მხოლოდ სათნოებას კი არ მოსწყურებოდეს სათნოება, არამედ თავად მაღალ ღმერთს მოეწადინებინოს ის სათნოება, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში უფალი ჭეშმარიტად გაუნაწილებდა მას ოდენ თავისად მისაჩნევ უფლებას. ქმრის უფლებას იმ მამაკაცისთვის შურის მიგებისა, რომელიც კი არ შემოჭრილიყო მხოლოდ მის ოჯახში, შეეხილწა კიდევ იგი, შეეხილწა ის ოჯახი, სნოუპსი რომ პატიოსნად და კეთილშობილურად უფუძნებდა ქვეყნის თვალში (ან ფრანგისხევის თვალში - რაც საიმდროოდ თითქმის იგივე იყო) უკვე უნუგემოდ შერცხვენილსა და ხელიდან წასულ ქალს და მისი უკანონოდ შობილი შვილისთვის გვარიც კი მიეცა. რაღა თქმა უნდა, კი გადაუხადეს ამის საფასური. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მზითვეი უბოძეს: უვარგისი, მოყანებული მიწის ნაჭერი, შამბოდებული და გავერანებული ინგლისური პარკი და კოლონიურ ყაიდაზე ნაგები სვეტებიანი სახლის ნაშთი (ის, რაც მეზობლებს ღერა-ღერა არ დაეტაცებინათ საშემედ) - იმდენად უმაქნისი მამული, რომ ბილ

უორნერსაც არ დასწყვეტია გული მის გასაცემად; რადგან იმ გულმხეცმა ყაჩაღმა კი, ბილ უორნერმა, ოცდახუთ წელიწადში იმდენი ვერ მოახერხა, ერთ ცენტს მაინც გამორჩენოდა იმ მამულს; იმდენად უმაქნისი, რომ თავად სნოუჰუსიც კი იძულებული შეიქნა, ქვეყნის უხნესი ხრიკი ეხმარა – ოქრო გაერია ქვიშაში და ასე შეეტყუებინა ის მამული ჰენრი არმსტიდის და ვ. კ. რეტლიფისთვის, რომელთაგან ერთს მაინც, რეტლიფს, შეეძლო, მეტი გამჭირაობა გამოეჩინა, ასე რომ, სნოუჰუსი მის დანდობას არ აპირებდა.

ჰოდა, იმ უმაქნისი მზითვევის საფასურად იმ კაცმა მარტო ის კი არ გააკეთა, რომ თავისი ცოლის ზნეობრივი დაცემისა და შერცხვენის ტვირთი დაიკისრა, არამედ უკანონო ბავშვიც თავისად შერაცხა და გვარიც მისცა თავისი. კი, დიდი ვერაფერიშვილი გვარის პატრონი გახლდათ, იმ ფრანგისეული მამულის არ იყოს, თავისი გვარისთვისაც როგორმე თვითონვე უნდა დაედო ფასი. ოღონდ სხვა გვარი იმას არ ჰქონია და, ამას გარდა, უორნერის გვარისაც რომ ყოფილიყო (დიახ, დიახ, ან სარტორისის გვარის, ან დე სპეინის, კომპსონის, გრენიეს, ჰებერშემის თუ მაკკაზლინის, ანდა რომელიმე სხვა გვარის, ძველისძველი და ბრწყინვალე, იოკნაპატოფას ოლქის ანალებში შემორჩენილი გვარის), მაინც იმასვე გააკეთებდა.

ასე იყო თუ ისე, იმ კაცმა ჯერ ბავშვს მისცა გვარი, ჰოდა, მერე დედამისი გამოარიდა იქაურობას, იმ გარემოს, იმ ხალხს, ვინც მისი შერცხვენის შემსწრე იყო, და ახალ ადგილას დაასახლა, სადაც იმას მაინც ველარავინ იტყოდა – ჩემსობას მოეჭრა თავიო. ის თუ შეეძლოთ ეთქვათ – ასე ამბობენო. არა, იმის იმედი არ ჰქონია, რომ ბილ უორნერზე მეტად მადლიერი აღმოჩნდებოდა ის ქალი. ბილ უორნერი გულდაჯერებული იყო – სიძეს გავუსწორდით უკვე. ოღონდ იმას კი ვარაუდობდა – ქალს საიმისო ჭკუა და კეთილგონიერება ეყოფა, ჩემი მადლიერი თუ არა, საკუთარი თავის უბედური მაინც არ დარჩესო; იმის არ იყოს, ვინმეს ცეცხლს რომ გადაარჩენ, მადლობას კი არ ელოდები მისგან, არც არაფრად გინდა მისი მადლობა, მაგრამ იმის იმედი ხომ მაინც გაქვს – მომავალში ცეცხლს აღარ გაეკარებაო.

ოღონდ საქმე ის კი არ ყოფილა, რომ ქალები კეთილგონიერებასთანაც ისევე მწყრალად ბრძანდებოდნენ იქნებ, როგორც მადლიერებასთან. შესაძლოა, პირიქითაც იყოს საქმე, შესაძლოა, მადლიერების მეტი არც არაფრის თავი ჰქონდეთ ქალებს. მაგრამ რაკი მათთვის წარსულიც ისაა, რაც ზნეობა, ვერაფრის დიდებით ვერ ისწავლიან იმას, რომ მომავალს კეთილგონიერულად შეხედონ და მადლიერება იგრძნონ იმის მიმართ, ვინც თავიანთი წარსულისგან იხსნა ისინი. ელექტრობასავითაა მათი მადლიერება: უეჭველად უნდა აღიძრას, იმოქმედოს და განიმუხტოს მაშინვე, თორემ უამისოდ გინდაც სულ არ არსებულყოფს.

ერთი სიტყვით, ეს იმას ნიშნავს, რომ, მსგავსად ყოველი კაცისა, ვისაც ბედმა, იღბალმა, ხვედრმა (რომელიც გენებოთ, ის ბრძანეთ) დაოჯახება არგუნა წილად, ესეც მალე მიხვდა, რა ჭირშიც ჩავარდნილიყო: მისი ოჯახი იმიტომ კი არ შეემწიკვლათ, უჭკუო და უმადური ცოლი რომ ჰყავდა, არამედ იმიტომ მხოლოდ, ქალი რომ ესვა სახლში. გამოუსწორებელი ბერბიჭას, მანფრედ დე სპეინის პეწსა და ბრწყინვალეობას იმ გათხოვილი ქალის უბიწოება იმაზე მეტად არ შეუღალავს, ვიდრე ოდესღაც იმ ბიჭის, ჭაბუკის, მამაკაცის – მაკკერონის იმავე თვისებებმა შელახა მისი ქალწულისეული უმანკოება (თუმცა სნოუჰუსი დარწმუნებული იყო – ის მაკკერონის ამბავი დიდი ხანია დავიწყებული აქვსო). თავი თვითონვე იცდუნა იმ ქალმა: მისი საშოს გახელება კი არ ყოფილა ეს ამბავი, არც გაუსაძლისი სურვილი და მხურვალეობა, ფაშატმა და უშობელმა, ნეზვმა და ძუკნამ რომ იციან ხოლმე მძუნაობისას, რომელიღაც ჯირკვლის

ადგენება იყო, რომლის დაცხრომა ერთადერთი საშუალებით შეიძლებოდა – ვინმე უნდა გამოჩენილიყო, ვისაც მიემართებოდა და მიეგებოდა მისი მადლიერება.

თუმცა ეს ამბავი მანფრედ დე სპეინის გამამართლებელი არ ყოფილა. არც მოელოდა ის კაცი – მანფრედ დე სპეინი იმგვარ ამალღებულ ზნეობრივ პრინციპთა პატრონი იქნება, რომ სხვისი ცოლის შეცდენას არ იკადრებსო. ოღონდ ის კი ეგონა, იმდენი ჭკუა ეყოფა, ამას არ იზამს, ქალი ხომ არ არისო; ამჯერად გონს მოიციემს, იმდენად მაინც, ცოტათი წინ გაიხედოს, მომავლისკენ, და თავი დაიოკოს, ჩემი ცოლი მაინც არ გადააცდინოსო. მაგრამ მანფრედ დე სპეინმა თავი ვერ დაიოკა. უარესიც მოხდა: ოჯახიც შეურცხვინა დე სპეინმა და მერე იმასაც შეეცადა, ვითომ მაგიერი მიეწყო მისთვის. იმის მაგიერი, რასაც სნოუჰისის გვერდით თავის დამყენებელი დე სპეინი თავის ზუნებრივ და კანონიერ *droit de seigneur* (პირველი ღამისუფლება (ფრანგ.)) –ად მიიჩნევდა. მართალია, ბილ უორნერმაც მიუზღო იმ კაცს სანაცვლო იმის გამო, მისი გაბახებული ქალიშვილი რომ წაიყვანა ცოლად, მაგრამ ეს სულ სხვა გახლდათ. ბილ უორნერს, შურისძიების რომ აღარაფერი ვთქვათ, ისიც არ უცდია, თავისი ქალიშვილის შერცხვენა დაეფარა. რაც იმან სიძეს მიუგდო საზღაურად (ის გავერანებული და უმაქნისი მამული, რომლისგანაც თვითონ ერთი ცენტიც ვერ ამოეგო ოცდახუთი წლის განმავლობაში), ისიც მოწმობს, რა ძვირადღაც უღირდა თავისი ქალიშვილის პატიოსანი სახელი; ოჯახის გაბახებისთვის შურისძიებას რაც შეეხება, საამისოდ ბილ უორნერი რეგოლვერს მოიმარჯვებდა და ან თავისი ხელით, ან იმ გამოტყინებული ტროგლოდიტის – თავისი ვაჟის – ჯოდის ხელით გაუსწორდებოდა მაკკერონს, მისი დაწევა შესაძლებელი რომ ყოფილიყო. იმ ბერიკაცმა, ბილ უორნერმა აშკარად და პირდაპირ შეაძლია ის ფასი, რაც შესაგვანად მიაჩნდა, რათა ოჯახის ერთხელ უკვე შემარცხვენელი და მომავალშიც ალბათ თავისმომჭრელი ქალიშვილი მოეშორებინა.

დე სპეინის ამბავი კიდევ სხვაგვარად იყო. თავისი უვაჟკაცობის გამო იმას შეეცადა, გარიგებოდა იმ კაცს, გავაჭრებულიყო, ქალაქის მერის თანამდებობა გამოიყენა და სამარცხვინო მისაგებელი შესთავაზა – ელექტროსადგურის ზედამხედველის ადგილი და წვრილ-წვრილად ქურდობის შესაძლებლობა; და ეს ამბავი თავისი ჟინის დაცხრომის გასამრჯელოდ კი არ გაუკეთებია მხოლოდ, არამედ საკუთარი რეპუტაციის გადასარჩენადაც მოიმოქმედა; ის იმის ცდაში იყო, ერთსა და იმავე დროს სხვის ცოლთან წოლის უფლებაც ეყიდა და კაიკაცობის სახელიც დაეცვა იმ ქალის ქმრისგან, რომელსაც ეკუთვნოდა ის უფლებაც და ის სახელიც. სპილენძის ნაწილთა უკანონოდ მითვისების შესაძლებლობისთვის მოხდა ეს ყველაფერი და სნოუჰისმა წვრილმანი მოგების გულისთვის კი არ ისარგებლა ამ შესაძლებლობით, არამედ უფრო ის ამოქმედებდა, სურდა ენახა, თუ რაზომ გაღრმავდებოდა სულმდაბლური და საზიზღარი შიში დე სპეინისა.

ნახა კიდევ, ორივემ ნახა. სნოუჰისის შერცხვენაც იმდენადვე იყო ეს, რამდენადვე დე სპეინის გამარჯვება, როცა მოთავდა სპილენძის ნაწილების გამო ატეხილი დავიდარაბა, რომელსაც შეეძლო დაეღუპა ის კაცი, მაგრამ დე სპეინმა მოკავშირე იპოვა თავად ბრალმდებლის სახით. ბრალმდებელი, ქალაქელი მოსამსახურე, იმავე ვნებით პყრობილი და მოწყლული (თვითონ ეგონა ასე, ვიდრე არ გაირკვა, რომ მასაც ჰქონდა სისუსტეები), რომელსაც უნდა დაეღუპა და განწირულებაში ჩაეგდო დე სპეინი; იმ ვნებით პყრობილი და ოდესმე მისთვის თავგადადებული მიხვდა ბოლოს – ამ ჰაერის სუნთქვაც კი სახიფათოა თუნდაც იმიტომ, ის ქალი რომ სუნთქავს ამ ჰაერს, მასში იძვრის, მას აქანებს და სხვათა სატანჯველად აღძრავსო; ის ბრალმდებელი, საზოგადოების ინტერესთათვის მებრძოლი, ვნებისა და ტკივილის იმავე ელვით

გახლდათ დაბრმავებული და განგმირული. ოღონდ იმას, ბრალმდებელს, ოდენ სევდა ხვდა წილად; დაღუპვაც კი არ ეწერა, იმ სევდისა და კაემნის დამაგვირგვინებელი: სასოწარკვეთილება მხოლოდ, თუმცა დამნაშავე კი არ ყოფილა, უნიათო კაცი იყო მხოლოდ, და იმ ქალის ხელის შეხებასაც არ ღირსებია.

ასე რომ, დე სპეინმა აქაც უტიფრობით გაიმარჯვა და, საქმეში რომ უმართლებდა, ისიც თავის სიმამაცედ გაასაღა. ვითომ სიმხდალე და უმსგავსობა არ ყოფილიყოს ის, რაც მოხდა: პოლკოვნიკი სარტორისი გულის შეტევამ მოკლა თავისი შვილიშვილის სამარულო ავტომობილში (ყველაფერი ისე გამოვიდა, თითქოს დე სპეინს ავტომობილი მოესყიდოს და ის უბედურება განზრახ შეემთხვიოს პოლკოვნიკისთვის), ბანკის პრეზიდენტის ადგილი გათავისუფლდა და მაშინ დე სპეინი კვლავინდებურად მოიქცა – კი არ სთხოვა, წინადადება კი არ მისცა, იმავე ტლანქი და შეურაცხმყოფელი თავხედობით დაასკვნა, სნოუპსს, რაღა თქმა უნდა, ის კი არ ენატრება მხოლოდ, ერთხელ კიდევ მშვიდობიანად მიაფუჩეჩოს ეს საქმე, არამედ იმ შემთხვევასაც ელოდება, საქვეყნოდ დაადასტუროს, რომ რქებდადგმული დაიარება, რომ ისინი ორივენი არიან მისი ცოლის სარეცლის შემგინებელნი, დიახ, დიახ, საქვეყნოდ დაადასტუროს – ის ქალი კახა არისო; პოლკოვნიკ სარტორისის საფლავს მიწაც არ ჰქონდა მიყრილი, გუნებაში ხელების მფშვნეტელი დე სპეინი უკვე მიაღმა იმ კაცს და უთხრა კიდევ: „ახლა საქმეს მივხედოთ. ის ცოტაოდენი აქციები, რაც თქვენ გაქვთ, გამოგვადგება, ცხადია. ოღონდ ჩვენ ბლომად გვჭირდება. ხვალვე ავარდით ფრანგისხევში, ხვალ კი არა, ის აჯობებს, ამაღამვე, და, სანამ სხვები მიგვასწრებდნენ, ბიძია ბილი დაითათბირეთ. ჰო, რაღას უდგახართ?“ ანდა იქნებ პირდაპირაც მიახალა სათქმელი, უბრალოდ და გასაგებად: თქვენმა სახლიკაცმა – ბიძაშვილმა – ბანკი აზარალა, ერთი რგოლი, დიდი იყო თუ პატარა, გამოაკლო მისი ფინანსური შეუვალობის ჯაჭვს. ამაზე კიდევ მარტო თქვენი კუთვნილი აქციები კი არ არის დამოკიდებული, არამედ ნაღდი ფულიც. თქვენგან ამდენი ჯახირით მოკრებილი დოლარები და ცენტები; გუშინდელ დღემდე პირველი მოთხოვნისთანავე შეგეძლოთ მიგელოთ ის ფული, გუშინდლამდე თქვენი იყო კიდევ. ჰოდა, იმ ჯაჭვის გამთელება სხვანაირად არ ეხერხება, თუ ის რგოლი არ აღდგა, ყველაფერი არ ანაზღაურდა, რაც თქვენმა სახლიკაცმა გააყოლა ხელს. მე ვიზამდი ამას, ოღონდ სამაგიეროდ ბანკის პრეზიდენტი უნდა გავხდე; ვინც კი იმ ფულს ანაზღაურებს, ყველა იმას მოითხოვს, რომ პრეზიდენტი გახდეს, პრეზიდენტად გასახდომად კიდევ ჯერ იმ ფულის ანაზღაურებაა საჭირო. ჰოდა, აირჩიეთ ახლა: ან ყველა თქვენი აქცია და მთელი ფული შეგრჩებათ, თუკი თქვენი ნაცნობი კაცი გაპრეზიდენტდა, ჰოდა, ისიც ზუსტად გეცოდინებათ, რამდენად მისანდობელია ის კაცი, ან კიდევ, უცნობ კაცთან მოგიხდებათ საქმის დაჭერა, ისეთ ვიღაცასთან, ვისთვისაც თქვენი აქციები და თქვენი ფული იმაზე მეტის საღირალი არ იქნება, ვიდრე იმ თქვენი სახლიკაცისთვის იყო, ბაირონისთვის.

ჰოდა, დამორჩილდა ის კაცი. სხვა არჩევანი არც ჰქონია. იმიტომ, რომ მიამიტი იყო, უბირი ვთქვათ, თუ გნებავთ. რასაკვირველია, ბანკის საქმეში ყველაფერი ესწავლა, რისი სწავლაც საკუთარი მეცადინეობით შეეძლო, რადგან, ბანკი იქნებოდა თუ სხვა რაღაც ამდაგვარი, იმას ფულის შესანახად ესაჭიროებოდა. ოღონდ მანამდე ერთადერთი ის თუ შეეძლო, სარკმლის წინარე რიგში მდგარს გადაეხედა ხოლმე გისოსიან ტიხარს იქით, რომელიც ფულსა და ფინანსურ ოპერაციებს იმ ხალხისგან თიშავდა, ვისაც ეკუთვნოდა ის ფული, ვისაც თავისი თანხა იქ მიეტანა და მიებარებინა მხოლოდ იმიტომ, რომ კაცი კაცს ენდობოდა უბრალოდ, რადგან, საქმე არჩევანზე რომ მიმდგარიყო, ისევ ეს ლიტონი ნდობა გადასძალავდა უკანა ეზოში ბუჩქის ქვეშ ჩაფლულ გასაცუდარ ყავის კოლოფს.



მარტო იმიტომ კი არ დამორჩილდა, თავისი ფულის გადარჩენას რომ ლამობდა. ფრანგისხევს რომ ააკითხა ბილ უორნერისთვის მანფრედ დე სპეინის გამო ერთი სიტყვის სათქმელად, ამით მარტო იმას კი არ ადასტურებდა, რომ კაცისადმი კაცის უბრალო, ლიტონი ნდობა, რომლის თავდებადაც ვერავინ დაგიდგებათ და არც შეიძლება, რომ დაგიდგეთ, მინაც გაუმტყუნარი რამ არის. ამით იმასაც ამტკიცებდა, რომ ეს ნდობა ყოველგვარ გამოცდას უძლებს ხოლმე, უნდა გაუძლოს, რამეთუ ერის კეთილდღეობა, ეკონომიკის სიმყარე დამოკიდებულია ბანკების პატიოსნებასა და იქ შენახული ყოველი დოლარის წმიდათაწმიდა რაიმედ მიჩნევაზე, სულერთია, ვისიც უნდა იყოს ის დოლარი, და ეს პატიოსნება და სიწმინდე საბოლოოდ დამოკიდებული უნდა იყოს ერთი კაცის საიმისო მზადყოფნაზე, რომ სხვას მიენდოს ხოლმე, და მეორე კაცის საიმისო უნარზე, რომ არ უმტყუნოს იმ მინდობილ კაცს. ჰოდა, ჯეფერსონის კეთილდღეობისთვის საკუთარი ოჯახის სიწმინდის მსხვერპლად შემწირველ სნოუპსს თავისი ცოლის პატიოსნება ჰქონდა შეგდებული კაცობრიობის საკურთხეველზე.

არადა, რად უღირდა ამის ქმნა: კი არ უნდა შელეოდა მხოლოდ თავის სიამაყეს, სულაც უნდა განემორებინა, რათა ფრანგისხევს ასულიყო და ჩაბნელებულ სოფელურ დუქანში შესჩენოდა, შეხვეწნოდა, შემუდარებოდა იმ ბებერ ბანდიტს, იმ გულდრძო, გულბოროტ ყაჩაღს, გაცხვირული ცოლი რომ ესვა, იქაური ეკლესიის საქმეთა უგრძნობელი თვითნებობით განმგებელი, და მულატი ხასები კიდეც (სამი ჰყავდაო, რეტლიფმა მიაძმო; ერთ დროს ისინი პირველი მუქკანიანები ყოფილან იმ არემარეზე, სხვას არავის აჭაჭანებდა თურმე, ახლა კი შვილიშვილებიც ჰყავს თურმე იმ ხასებისგან; მეორე თაობას, შვილიშვილებს, კანი უფრო გამუქებით ხელახლა, ოღონდ თეთრკანიანთა ყველაზე უარესი თვისებები, უორნერისგან ნაწყალობევი, უცვლელად გამოჰყოლიათ და ის თვისებები მათ-მათი ბებიების ოდინდელ თვისებებსაც შერწყმია, ორ-ორი მამის მყოლი ან სულაც უმამოდ გაჩენილი ბებიებისას). ჰოდა, რანაირ კაცად გნებავთ, იმად შეგეძლოთ მიგეჩნიათ ის ბებერი ყაჩაღი, ოღონდ უზნეო კაცად არა, იმიტომ რომ უმარტივეს და უმკაცრეს ზნეობრივ პრინციპთა პატრონი გახლდათ: რაც უნდა მოიმოქმედოს ბილ უორნერმა, ყველაფერში მართალი იქნება, და ვაი იმას, ვინც გზაზე გადაეღობებაო.

მაინც გასწია იმ ბერიკაცთან მოსარიგებლად. იმას ეზიზღებოდა კიდეც სნოუპსი, რაკი სნოუპსს მოყივნებული ქალი წაეყვანა იმ ფასად, რა ფასიც დაედო უორნერს ფრანგის მამულისთვის, და ეშინოდა კიდეც მისი, რადგან სნოუპსს საიმისო გამჭრიახობა გამოეჩინა, იმდენს გამორჩენოდა იმ მამულს, რამდენსაც უორნერი ოცდახუთ წელიწადშიც ვერ გამორჩა; იმიტომ ეშინოდა, მისთვის სახიფათო იყო ეს გამჭრიახობა, და იმიტომ სძულდა, იძულებული რომ იყო, შინებოდა მისი.

ჰოდა, ურიგდებოდა უორნერს ის კაცი, არწმუნებდა, ეშმაკობდა თუ ემუქრებოდა. რეტლიფმაც კი ვერაფერი თქვა ამ ამბის, არადა, რეტლიფს ისეთი სახელი გაუვარდა იოკნაპატოფას ოლქში, ყველაფრის პასუხი უნდა ჰქონოდა მზად; ამ ამბის კიდეც, რაც ჩვენ ვიცოდით, რეტლიფმაც მხოლოდ ის იცოდა, ხოლო ჩვენ ის ვიცოდით, რომ ერთ მშვენიერ დღეს ხმა დაირხა - დე სპეინის, უორნერისა და სნოუპსის კოალიცია ჩამოყალიბდაო; ამის მეორე დღეს დე სპეინმა თავისი ჯიბიდან დაფარა ბაირონ სნოუპსის მიერ ტეხასში გაქცევისას მოპარული ფული, ჰოდა, მესამე დღეს აქციების მფლობელებმა დე სპეინი ბანკის პრეზიდენტად აირჩიეს, ფლემ სნოუპსი კიდეც - ვიცე-პრეზიდენტად.

ეს იყო და ეს. მიამიტი გახლდათ ის კაცი და იმიტომ. არა, უბირი არ ყოფილა; უმეცრების გამო კი არ იყო, ბანკის შინაგან მექანიზმში რომ ვერ ერკვეოდა, უბრალოდ

შესაძლებლობა და დრო არ ჰქონია მანამდე საიმისო. ახლა კი გასაჭირი ადგა მხოლოდ, ავბედითი აუცილებლობა, რომ მთელი ბანკი დაეხსნა და ამით თავისი ფულიც გადაერჩინა, რათა მოესწრო იმ ფულის გამოტანა და სადმე საიმედო ადგილას შენახვა. და ახლა, რა რომ უპირატესობა მოიპოვა, ვიცე-პრეზიდენტი შეიქნა და უკვე ველარავინ დაუფარავდა ბანკის საიდუმლო მექანიზმს, იქაურ საქმეთა ურთულეს ხვეულებს, ოდენ ზარდამცემ საფრთხეს კი არა, ამ მექანიზმში ჩაბუდებულს, არამედ მის ოქროს ფსკერსაც, ახლა კიდევ უფრო ნაკლები დაურჩა დრო, ვიდრე ოდესმე ჰქონდა. კაცმა რომ თქვას, იმის დრო თუ ჰქონდა, ის შეეტყო, რა მარტივი და იოლი საქმე ყოფილა ბანკიდან ფულის მოპარვა, თუკი ბაირონ სნოუპსისთანა მხდალსა და გამოტვივნიულ კაცსაც კი, რომელსაც ერთ ან ორ ათას დოლარზე დიდი თანხა ვერც კი წარმოედგინა ალბათ, თუკიმისნაირ რეგვენსაც შეეძლო ამ საქმის დაუსჯელად გაკეთება; და იმის დრო კიდევ, რომ სასწრაფოდ გამოეტანა იმ ბანკიდან თავისი ფული, ვიდრე დანარჩენნი, სხვანი ყველანი (თუნდაც დამლაგებელი ზანგის ბიჭი, ყოველ დილას იატაკის გამომხვეტელი), იმას არ იფიქრებდნენ - ალიაქოთი საკმაოდ მიწყნარდა საიმისოდ, რომ გავრისკოთო (ანდა - უკვე ხელახლა დაგროვდებოდა იმდენი, გარისკვად რომ ღირდესო), ჰოდა, ისინი დაასწრებდნენ იმ კაცს.

ეს ამბავი გახლდათ სწორედ - ციებ-ცხელება, სიჩქარე, აწრიალება და დარცხვენილივით იგონებდა ის კაცი, რომ მისმა საკუთარმა გამჭრიახობამ კი არ გადაუხსნა ის ბრწყინვალე პერსპექტივა, იმის შესაძლებლობა, რომ ერთი მოქნევით თავიც გადაერჩინა საფრთხისგან და მტრისთვისაც შური მიეგო, არამედ შემთხვევითმა შეხვედრამ უმეცარ, გაუთლელ კაცთან, ვისი საწუხარიც ბანკში შეტანილი, ალბათ ორნიშნა ციფრით გამოხატული ფული იყო; ერთსა და ორ დღეს, ერთსა და ორ კვირას არ გაევილო მას აქეთ, რაც ამ შურისგებამ იწყო მის გონებაში მომწიფება, ეტყობა, მას შემდეგ, რაც ყველასთვის უცნობმა არენდატორმა, წელიწადში ალბათ ოთხჯერ მეტად რომ ვერც ჩამოდიოდა ქალაქში, ის აზრი ჩააგონა; თავად არ დაუპირებია შურისძიება, თითქოს ღმერთები იყვნენ თუ ბედისწერა იყო, ანდა გარემოება, ან სხვა რამ კიდევ, მას რომ გამოესარჩლნენ მისდა დაუკითხავად და, რაღა თქმა უნდა, ოდესმე მოსთხოვენ ამის სანაცვლოს.

ოღონდ ახლა უკვე იცოდა იმ კაცმა, რაც უნდა გაეკეთებინა. საკუთრივ ბანკი კი არ უნდა გაეკოტრებინა თუ გაეცამტვერებინა, დე სპეინის თავზე კი არ უნდა ჩამოექცია, როგორც სამსონმა ჩამოიმხო ბანი თავის თავზე, არამედ უნდა ამდგარიყო და ხელმიუყოფელი ბანკი წაერთმია დე სპეინისთვის. რადგან ბანკი ფულს ნიშნავდა, ბანკი ფული იყო სწორედ; ის კიდევ, რეტლიფის ნათქვამის არ იყოს, ფულს ზიანს არასოდეს დაატეხდა, წამითაც არ ხელყოფდა ფულის ღირებულებას და შეუვალობას. ერთობ დიდი თაყვანისმცემელი გახლდათ ფულისა. არა, ის ადგება და წარსტაცებს დე სპეინს ბანკს და ფულს, რაც ერთი და იგივეა, მთელსა და უვნებელს წარსტაცებს, სხვა სფეროში გადაანაცვლებს შეუმჩნევლად, სხვაგვარ ძალას მოუპოვებს ქალაქის ეკონომიკაში; ჰოდა, დე სპეინს აღარაფერი დარჩება, თავისი სახლის გირავნობის სიგელის მეტი, ის სახლი კიდევ, როგორც რეტლიფმა თქვა, იმიტომ მიაგირავა ბილ უორნერს, რომ ბაირონ სნოუპსის მიერ მოპარული ფული აენაზღაურებინა.

ოღონდ როგორ უნდა გაეკეთებინა ეს საქმე? როგორ უნდა გაემევებინა დე სპეინი ბანკიდან, ან რანაირად უნდა აერთმია ზიანმიუცემელი ბანკი დე სპეინისთვის? როგორ უნდა გამოეგლიჯა დე სპეინის ტორებისთვის ბანკი უვნებლად, თუკი, დარწმუნებით იქნებოდა თუ მუქარით, მეანაბრეთა მეტ ნაწილს იმას აიძულებდა, რომ ფული გამოეტანათ იმ ბანკიდან, როგორ უნდა აღედრა მისი დამაშრეტელი ჩანჩქერი დოლარებისა? რა გზით უნდა დაეჯერებინა მეანაბრეები და აქციონერები, თავიანთი

ფული ამ შენობიდან გამოეტანათ ერთიანად და მეორე შენობაში მოეთავსებინათ, თანაც ისე, რომ ბანკის საჩინო გადახდისუნარიანობა არ შერყეულიყო?

რადგან იმ მოწილეთა ნახევარსაც რომ გაეტანა თავისი ფული, შარვლებს ცალი აჭიმით რომ იმაგრებენ, საოქტომბრო-სანოემბროდ ბამბის ერთადერთ ხვავში ამონაგები ფული რომ აბადიანთ კაპიტალად და ორ-ორ, სამ-სამი ქცევა მიწა, დიდი ვერაფერი ამბავი იქნებოდა. თავად კიდევ სულ უმწეო იყო: არც ჩამომავლობა უწყობდა ხელს, არც თანდაყოლილი ნიჭი და არც ნათესაური კავშირები. და თუმცა მისისიპის შტატის აქაურ სანახებში სხვა რომელიმე გვარის შვილებს გაცილებით სჭარბობდნენ ისინი, ვინც სნოუპსის გვარს ატარებდა, ან რომელსამე სნოუპსზე იყო ჯვარდაწერილი, ან კიდევ ხუთი ცენტით დაწყებული ხუთ დოლარამდე ფული ემართა სნოუპსისა, ვერც ერთი მათგანი, ერთის გარდა, ბამბის ერთადერთი ხვავის მფლობელ მენაბრესაც კი ვერ შეედრებოდა; ხოლო ის ერთი - უოლსტრიტ-პანიკა, ბაყალი - უკვე სხვა ბანკის მენაბრე გახლდათ და მისი გამოყენება აღარ ეხერხებოდა, გინდაც რომ ფლემს რაიმე საშუალება გამოემეხნა უოლსტრიტის გაალმასებული და მძულვარებით ატანილი ცოლის შემოსარიგებლად.

ჰოდა, ამ შემთხვევისთვის ყველაზე გამოსადეგნი ვინც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ, ისინი ხომ არ ჰყოლია და არა სნოუპსს: მეგობრების ამბავს მოგახსენებთ, იმ მეგობრებისას, რომლებზეც გულდანდობილად შეეძლებოდა თქმა - დე სპეინის წინააღმდეგ შევითქვათო. მეგობრები არ ჰყოლია, იცოდა-მეთქი, ის მინდა გითხრათ, რომ მეგობრები არ ჰყავდა, რადგან არასოდეს მოუსურვებია, რომ ჰყოლოდნენ ისინი, ტვირთად აკიდებოდნენ, პარაზიტული აბეზარობით შესჩენოდნენ (მეგობრობა ხომ ამას ერქვა მისი დაკვირვებით და შეხედულებით). ჰოდა, თავის მოსწრებაში პირველად ახლა მიხვდა, კაცს მეგობრები რომ სჭირდება თუნდაც იმიტომ, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება შეიქმნას (და შეიქმნება კიდევ, ამ ამბავს ვერავინ გაექცევა) იმგვარი ვითარება, როცა წაადგებიან ის მეგობრები; წაადგებიან კი არა, უსიკვდილოდ დასჭირდებიან, რამეთუ სხვა ვერავინ უსაშველებს, გარდა მეგობრისა, გარდა იმ კაცისა, რომლისთვისაც შეეძლება თქმა: რატომო, ნუ მკითხავ. ისე აიღე ეს გირავნობის სიგელი იქნება, ხელწერილი, თამასუქი, აღმასრულებელი ფურცელი თუ პისტოლეტი, მე რომ გეტყვი, იმას დაუმიზნე და ესროლეო. ჰოდა, ისევ მისი უცოდინარობის ბრალი იყო ყველაფერი: ისე გამწარებული და გაკერპებული ფხოჭნიდა მიწას, იმდენ ხანს მიპორტყავდა და მიიბრძოდა იმ თავისი ფულის საშოვნელად, რომ საიმისო დრო აღარ დარჩენია, ესწავლა, თუ როგორ უნდა დაეცვა და შეენარჩუნებინა ფული (ისე, კაცმა რომთქვას, ამასაც არ ნანობდა, რადგან არც სინანულისთვის ეცალა). დიახ, სულ არ ნანობდა - რატომ არ გამაჩნია ის შესაძლებლობები, რაც ცხოვრებამ არ მაღირსაო. თანაც იმიტომ კი არა მხოლოდ, მაშინ სინანულის დრო რომ არ ჰქონია, არამედ უფრო იმიტომ, რომ მაშინ ჯერაც არ შექმნილიყო ის განწირული მდგომარეობა, როცა მეგობრობაც კი ვეღარ გისაშველებს კაცს. ახლა დროის მსვლელობაც კი მის წისქვილზე ასხამდა წყალს; კარგა ხუთ წელიწადს უნდა გაევილო, ვიდრე ყოველივეს სასწორზე შეგდება მოუხდებოდა, როცა ის გოგო მიაღწევდა სიმწიფეს.

ოღონდ ერთი იარაღი, ერთი ხელსაწყო კი ეშოვებოდა - ის მიღრინკული არენდატორები, სულს იქით რომ არაფერი ებადათ, ვაივავლახით რომ გაჰქონდათ თავი; ყველგან იყვნენ ისინი, მთელ ოლქში, მთელი შტატის ეკონომიკა, კაცმა რომ თქვას, იმათ ემყარებოდა; ეს მაინც ეშოვებოდა იმ კაცს და ამის კვალობაზე ალბათ ერთი უგვანო და ბანალური აზრიც გაუელვებდა ხოლმე - მცირედთაგან შედგებაო დიადი, მარცვალ-მარცვალ, წვეთ-წვეთად, წვრილ-წვრილ ფულად გროვდებაო. აწ

უკვე საიდუმლოდ მოქმედებდა. ისე, ყოველთვის უჩუმრად სჩვეოდა საქმიანობა, ვიდრე ნაღმს არ შეაპარებდა სადმე და მერე მოულოდნელად ფეთქებოდა ხოლმე ის ნაღმი, ოღონდ ამჯერად მართლა თხუნელებთან და ჭიანჭველებთან ჰქონდა საქმე – სარტორისებთან, ბენზოლებთან, ედმონდსებთან, ჰებერშემებთან და მათნაირებთან კი არა, ვისი გვარებიც ოდითგანვე იყო აღბეჭდილი ოლქის მატრიანეებში, ბანკის აქციებისა და დიდ-დიდი თანხის მფლობელებთან კი არა, არამედ უსახელო და არასმქონე არენდატორებთან, იმის მსგავს ხალხთან, მას რომ გაუბა ერთხელ მუსაიფი.

იმ ხალხის გადაბირება არ უცდია. ისე ეჭირა თავი თვალდასანახად იმის მოიმედეს – იმან, იმ პირველმა ხმა უკვე დაარხიაო. იმის ცდაში იყო, ყველას დაენახა, როგორ შედი-გამოდოდა ჯეფერსონის ბანკში. ჩასაფრებული გახლდათ. ჰოდა, ბოლოს და ბოლოსისინი ვითომ შემთხვევით შემოხვდნენ გზაზე, ორ-ორნი, სამ-სამნი, გროვა-გროვა მიეახლნენ მისგან დასტურის მოსმენის მოიმედენი:

- დილა მშვიდობისა, მისტერ სნოუპს. მხარი ხომ არ გექცათ, იმ ბანკს რომ მიაკითხეთ?

- იქნებ მისტერ ფლემს იმდენი ფული გაუჩნდა, ერთ ბანკში ვეღარც დაატია?

- არა, კაცო, მაგ არა და, ცხონებული მამაჩემის ნათქვამის არ იყოს – ორ ხაფანგში ორჯერ მეტი ენოტი მოყვებაო.

- მამათქვენს თუ უკითხავს, მისტერ სნოუპს, ერთი გამოქეცილი ენოტისთვის – რომელი მახე უფროა საშენო?

- არა, კაცო, იმ გამოქეცილმა ენოტმა მარტო ის თქვა – სადაც უნდა მოვხვედრილიყავი, სწორედ იქ მოვხვდიო.

ეს იყო და ეს. ხარხარებდა ის ხალხი, ზოგჯერ ვინმე მუხლზეც დაირტყამდა ხელს, გამოხუნებული კომბინეზონით დაფარულ მუხლზე. ოღონდ იმავე დღეს (ანდა იქნება ერთი-ორი დღის თუ ერთი კვირის მერეც) თითო-თითოდ მიადგნენ ჯეფერსონის ძველი ბანკის სარკმელს და დაკორძილი, დაკვრანჩხილი, მზით დამწვარი ხელებით ლამის მონანულებმა მიუთვალეს ბანკნოტების თხელ-თხელი შეკვრები; ჩეკებს არასოდეს იყენებდნენ ისინი შენატანი ფულის გადასარიცხად, თავადვე მიდიოდნენ მოსაძულებელ ბანკში მითქმა-მოთქმას აყოლილნი, ნაღდ ფულად გამოჰქონდათ თავიანთი საცოდავი, ილაჯის გამწვევტი შრომით თავმოყრილი გროშები და მოედნის გადავლით მიმართავდნენ მეორე ბანკს, რომელსაც ასევე მოიძულებდნენ, როგორც კი იმ ბანკის შესახებაც ისეთივე საიდუმლო ხმა დაირხეოდა.

იმიტომ, რომ სინამდვილეში არც თხუნელები ყოფილან და არც ტერმიტები. თხუნელები იმდენს ახერხებენ, შენობას საძირკველს გამოუთხრიან ხოლმე, ტერმიტებს კიდევ ის შეუძლიათ, ყავისფერი მტვრის გროვად აქციონ მთელი სახლი. მაგრამ იმათ არც მუდოს ინდივიდუალიზმი ჰქონდათ, არც ტერმიტების უჯიათი კოლექტივიზმი, თუმცა ჭიანჭველებივით მომრავლებულნი კი იყვნენ. ის იყო მხოლოდ, რომ, სნოუპსის მსგავსად, თავიანთი საწყალობელი დოლარების გადარჩენის ჯახირში იყვნენ, და ფლემმა ისიც იცოდა: ახალი ხმა თუ დაირხეოდა, ახალ ამბავს თუ მოჰკრავდნენ ყურს, ისევ აფორიაქდებოდნენ და სხვა ბანკს მიაწყდებოდნენ; ჰოდა, დე სპეინს რომ მოსურვებოდა, იმ ხმის მარჯვედ დამყრელი მხოლოდ იმას კი არ შეძლებდა, რომ თავისი ძველი მეანაბრეები დაებრუნებინა, ბამბის ერთადერთი ხვავის მფლობელნი, ჯეფერსონის ბანკის ყველა მეანაბრეს გადაბირებდა. ოღონდ არც ის და არც სხვა

რომელიმე ჭკუათამყოფელი ბანკირი ამ ამბავს არ მოისურვებდა, რადგან ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ მერე უარით გაესტუმრებინათ უამრავი ხალხი, ვინც იმის მეცადინეობაში იქნებოდა, გაქცეული ჯორი და მილრინკული ფერმა დაეგირავებინათ თავის ბარგიბარხანიანად და მერე იმ ფულით ნახმარი და დამტვრეული ავტომობილი ეყიდა.

ეს არ კმაროდა, უღმერთოდ ცოტა რამეს ნიშნავდა ეს ამბავი. ჰოდა, ხელახლა მოჰყვებოდა ხოლმე იმავე სახელთა ჩამოთვლას და ერთიმეორის მიყოლებით მყისვე განიშორებდა, თითქოს მანამდე არასოდეს მოჰგონებოდნენ ისინი და მრავალგზის არ დაესკვნას - მათგან ხიერი არ გამოვაო: მისი ძმისწული იყო თუ ბიძაშვილი - უოლსტრიტი-პანიკა, ბაყალი, ამ ათიოდე წლის წინ უბრალო გულმოდგინების, პატიოსნებისა და შრომისმოყვარეობის წყალობით, აგრეთვე მამამისის დალუპვისას კომპენსაციად მიღებული ათასი დოლარის წყალობითაც მედუქნის კომპანიონად რომ იქცა, ახლა კი მთელ ჩრდილოეთ მისისიპიში იმნაირი დუქნების მთელი ქსელის მფლობელად შექნილიყო; მარტო უოლსტრიტიც იკმარებდა საიმისოდ, დე სპეინისთვის ბანკი რომ წაერთმია, ოღონდ აქ ორი გადაულახავი დაბრკოლება ეღობებოდა; იმ ბიჭს ფული უკვე სხვა ბანკში ჰქონდა შეტანილი და იმ ბანკის აქციონერი გახლდათ, და, გარდა ამისა, მის ცოლს სიტყვა „სნოუპსის“ გაგონებაც არ შეეძლო და ჯეფერსონში იმასაც ამბობდნენ, ქმარს შეჩენილია - გვარი გამოიცვალეო. მერე სხვა სნოუპსები მოდიოდნენ, მისი სახლიკაცები, და იმ ოლქის დანარჩენი სნოუპსები. ისინი, სნოუპსებიც რომ არ იყვნენ და არც არენდატორები, ამ წლების განმავლობაში პროცენტებს რომ უხდიდნენ ფლემს მისგან ნასესხები ხუთი იქნებოდა, ათი თუ ოცი დოლარისთვის, რომელნიც, კიდევ რომ გადაებირებინა, მიხმარებით არაფერში მიეხმარებოდნენ.

ჰოდა, იმასვე უბრუნდებოდა ხოლმე, რითაც დაეწყო, ამაოდ უკირკიტებდა იმავე სიას განაწამები, ნაცნობ სახელთა ერთიმეორის მიყოლებით განმშორებელი და წინასწარვე მიხვედრილი - იმ სახელზე შევჩერდები, გახსენებაც რომ არ მინდაო. მისი სიამარი გახლდათ ის, ბილ უორნერი, და იმთავითვე იცოდა, რომ ბოლოს მაინც მოუწევდა ასვლა იმ ღვარძლიან, გულფიცხ ბერიკაცთან, რომელიც ვერასოდეს დაუვიწყებდა, რომ ფლემმა ხუთას დოლარად გამოსტყუა ფრანგის მამული და მერე ორ-სამ კვირაში სამასი თუ ოთხასი პროცენტის მოგებით გაასაღა; ისევ უნდა ასულიყო იმ ბერიკაცთან, თავმოდრეკილი რომ მიეახლა ამ ხუთი წლის წინ და დაიყოლია, თავისი გავლენა საიმისოდ გამოეყენებინა, რათა ბანკის პრეზიდენტად ექცია სწორედ ის კაცი, ვისი თავიდან მოშორებაც ამოეჭრა ახლა გულში ფლემს.

გამიგეთ? ეს იყო მისი სამნელო საქმე. სასტიკად არ გაუმართლა იმ კაცს, რაკი ის ბავშვი, ვისთვისაც თავისი გვარი უნდა მიეცა, გოგო აღმოჩნდა. ეს რომარა, იმ სამნელის გადალახვაც არასოდეს მოუწევდა ალბათ. ეს რომ არა, შეეძლო მითვლემილს უდრტვინველად ეოცნება შურისგებისთვის, რქებდადგმული დარჩენილიყო მშვიდად, გინდაც ჩვეულ სავარძელში მოკალათებულისა ჩვეული წიგნითურთ. მისი ცოლის შვილი გოგო რომ არ ყოფილიყო!

მაგრამ გოგო გახლდათ ის არსება. ამ ფაქტს (დიახ, დიახ, ზოგჯერ კაცებსაც აინტერესებთ ხოლმე ფაქტები, ფლემ სნოუპსისთანა კაცებსაც კი), რა დღევ იქნებოდა, ბოლოს და ბოლოს უეჭველად უნდა განეგმირა ის კაცი, წარმოუდგენელი, უეცარი დარტყმით. ის არსება, ის გოგო, მის თვალწინ რომ იშვა და მერე თავისი ცხოვრების ყოველ დღეს მის თვალწინვე ატარებდა. ამ ამბავში უბრალო იყო ის გოგო, ამ ამბის არაფერი იცოდა, ეჭვიც არაფრის ჰქონდა. დიახ, იცოდა იმ კაცმა - გოგო არის და,

რაკი სულდგმულობს ამ ქვეყანაზე, უეჭველად სიმწიფეშიც უნდა შევიდესო; ჰოდა, ყველა სხვა გოგოს მსგავსად, რა რომ სიმწიფეში შევიდოდა, დაქალდებოდა კიდევ. ოღონდ ის კაცი ერთობ დაკავებული გახლდათ და ფულის შოვნის გაწამაწიაში მყოფს საიმისო დრო აღარ დარჩენია, ის შეეტყო, ან მიხვედრილიყო მაინც იმას, რაც უნდა სცოდნოდა ქალების ამბავი. გამიგეთ? დაიბადება მცირე რამ არსება, ციცქნა რაღაცა, და თქვენც ამბობთ - ეს ცხენი იქნებაო, ანდა - ძროხა იქნებაო. ჰოდა, ხანი რომ გამოხდება, ის არსება მართლა ცხენად იქცევა, ანდა ძროხად, და უნაკეროდ და უნაწიბუროდ შეერთვის, ერწყმის გარემოს. ოღონდ ეს ის არსება, ის ციცქნა როდი გახლავთ, ქალად რომ უნდა იქცეს (უნდა იქცეს და ვერც დააბრკოლებს რითიმე, ფლემ სნოუჰსი რომ ფლემ სნოუჰსია, ისიც ვერაფერს გახდება), იმ ქალად, არავითარ გარემოს რომ არ ერწყმის, იმ გარემოს კანონებს და უმრავლესობის მიერ იდეალად მიჩნეულ ქცევის ნორმებს რომ არაფრად აგდებს ხოლმე. და პირუკუ ხდება, თავისი სულისთქმით, თავისი არსებობით ის სუსტი და ნაზი სხეული უბატონდება სწორედ გარემოს და ისე გამოქნის, გინდაც სანთელი ყოფილიყოს.

ეს ამბავი სჭირდა იმ კაცს. ეს ამბავი დაემართა. საიმდროოდ ალბათ ბედს დამორჩილდა უკვე და თავს იმითლა ინუგეშებდა, რომ შურისძიების, თავისი მტრისთვის სანაცვლოს მიგების ამო ოცნებას ეძლეოდა. მე იმის თქმა მინდა, ყველა შესაძლებლობას მხოლოდ იმიტომ ჩხრეკდა და ითვალისწინებდა-მეთქი, რათა ისევ და ისევ იმასვე მიბრუნებოდა - ბამბის ერთადერთი ხვავის მფლობელ ხალხს, რომელიც ერთიანად რომ გაგეყიდა თავ-თავისი გაქუცული კომბინეზონებიანად, საოლქო ეკლესიის ბიუჯეტსაც ვერაფერს დააკლებდა, არამცთუ საოლქო ბანკისას. ასე რომ, როგორც ეტყობა, ფარ-ხმლის დაყრამ მოუწია იმ კაცს და ის თუ არ აღიარა - რქებდადგმული ქმარი ვარო, შეეგუა მაინც ამ ამბავს.

ჰოდა, მერე ის გოგო, მის მიერ ბოძებული გვარის მქონე, კი არ მოიწიფა და ქალად კი არ იქცა მხოლოდ, არამედ ისეთ ქალად იქცეოდა თუ იმუქრებოდა - ისეთ ქალად ვიქცევო, განუშეორებელი რომ ეთქმით ხოლმე. ცხადია, გოგო ქალად კი უნდა ქცეულიყო, ამ ამბავს ის კაციც ელოდებოდა და სასაყვედუროც არ ექნებოდა, გოგო იმას რომ დასჯერებოდა, ჩვეულებრივ ქალად ქცეულიყო და მეტი არაფერი. იმ კაცისთვის რომ ეკითხათ, რასაკვირველია, იმას ამჯობინებდა, გოგო უშნო ყოფილიყო, მაინცდამაინც მახინჯი კი არა, ისე - უთვალადო და მფრთხალი ყოფილიყო დაბადებიდანვე, შინაბერობისთვის განწირული, იმდენად ულაზათო, რომ მის ტოლ ბიჭთაგან თვალში არავის მოსვლოდა; ჰოდა, საქმრო თუ გამოუჩნდებოდა, იმნაირი შეხვედროდა, მამამისის (იმ გოგოს ტყუილი მამის) ფულზე სჭეროდა ცალი თვალიც და ორივე თვალიც და ღვლეჭივით მოჰყოლოდა ხელში დასაგრებად.

იმ კაცს არ სურდა, გოგო მომწიფებისთანავე გათხოვილიყო და თანაც ისეთ ვაჟს გაჰყოლოდა, ფლემზე რომ არ იქნებოდა დამოკიდებული - ან აქედან შორს მყოფი აღმოჩნდებოდა, ან ძალიან ახალგაზრდა, ან, რაც ყველაფერზე უარესი და აღმაშფოთებელია, ფულის პატრონი, ისე, რომ სნოუჰსის ქონება არაფრად დასჭირდებოდა. ვინმე იმგვარი, იმ ავზაკისნაირი, გორილასავით ბეხლეწი რომ იყო და სწორედ მაშინ ჩამოაბრძანეს ოჰაიოდან, როცა გოგოს თხუთმეტი წელი შეუსრულდა, მეტი კი არა. ჰოდა, იმ ბეხლეწმა თავისი ოქროს ხელთათმანებით ან სულაც ოქროს ხელთათმანთა პატრონის რეპუტაციით ისეთი შიშის ქარი შეუყენა ყველას, რომ მის გარდა გოგოს სიახლოვეს ვეღარავინ გაჭაჭანდა; ოღონდ მერე იმასაც მოუხდა კუდის ამოძუება, რადგან ამ საქმეში ოქროს ხელთათმანებიც ვეღარაფერს წაადგებოდა: ის გოგო ქალი გახლდათ და ამათომ მიუწვდომელი კი არ ყოფილა მხოლოდ, მოურჯულებელიც იყო.

გამიგეთ? ის ავაზაკი, საიმისოდ რომ იყო მოწოდებული, „ფორდის“ სააგენტოსთვის მაინც ეხელმძღვანელა, მუშათა მთელი კავშირისთვის თუ არა, არც განუდევნიათ და არც გაუძევებიათ, რამეთუ ეს თითქმის ერთი და იგივეა; ისე გაქრა, მოტორების საუკუნის ის კრონპრინცი, იმიტომ, რომ რაყიფი აღმოუჩნდა იქვე: უცოლო იურისტი, იმგოგოზე ორჯერ უფროსი, რომელიც იმ პატარა ქალაქში დამკვიდრებულიყო და იმდენად იყო იმ ქალაქით ხელფეხშეზოჭილი, ზიანს ვერაფერს დაატეხდა; სიცოცხლესა და წარმოსახვას უწამლავდა იმ გოგოს შორეულ მხარეთა გამო გამართული დამლუპველი საუბრით, სადამოობით გამაგრებელი წყლების გასაყიდ დახლთან ხვდებოდა ხოლმე და სხეულს კი არ უცდუნებდა და ურყენიდა მხოლოდ, გაცილებით უარეს რამეს სჩადიოდა: გონებას ურყენიდა, ფუქსა და უგონო წარმოსახვას აღუძრავდა ლექსთა წიგნებით და აღუსრულებელ იმედთა და ოცნებათა სასიკვდილო შხამს აწვეთებდა.

გამიგეთ? კაცი იფიქრებდა, მცირე ქალაქის მკვიდრი, ასაკში შესული (და კიდევ გაჭადრაკებული) იურისტი ვერას გახდებდა, ასე რომ, მისი არც უნდა გემინოდესო: ერთი პირობა ხელიც შეუწყო იმას, ფლემს, იმ ოპაიოელი გორილის თავიდან მოცილებაში, ოღონდ მერე იმ გორილაზე საშიში თავადვე შეიქნა, რადგან გოგოს შეუჩნდა - აქედან გაიქცევი, მამაშენისგან თავი დაიხსენიო; მარტო იმას კი არ შთააგონებდა, რომ ცუდი იყო ის ქალაქი, რომელშიც გოგო ცხოვრობდა და რომელშიც უნდა ეცხოვრა მომავალში, იმასაც ეუბნებოდა, სად უნდა ეძებნა ის აჩრდილები და ფანტაზიები, რომელთა არსებობაც კი არ იცოდა გოგომ, ვიდრე ჭადარა იურისტმა არ გამოუჭედა ყოველივე ამით თავი.

ეს გახლდათ სიმნელე. და ამ სიმნელეს ის კაცი ვერ გადალახავდა, გინდაც რომ თავისი მორჩილი საქმრო შეერჩია, ეყიდა იმ გოგოსთვის, რადგან ვერავის გააყოლებდა ცოლად მანამდე, ვიდრე, ღმერთი იქნებოდა თუ ეშმაკი, ან კიდევ ბედისწერა, ანდა იქნებ თავად ბუნება, მოთმინებაგამოლეული ბებერ ბილ უორნერს მაინც არ გაისტუმრებდა საიქიოს. იმიტომ, რომ, როგორც კი ის გოგო გათხოვდებოდა, ის ქალიც, ვინც მხოლოდ იმის გამო დათანხმდა სნოუპსის ცოლობას, რომ მაშინ ჯერაც დაუბადებელ მის ბავშვს გვარი ჰქონოდა (ნაწილობრივ ბილ უორნერის წყრომისა და რისხვისაც ემინოდა და მისი დაშოშმინებაც სურდა ალბათ, მაგრამ უმთავრესად მაინც ბავშვის ბედი აწუხებდა), ის ქალიც მაშინვე გაექცეოდა თავის აწინდელ საყვარელთან ერთად იქნებოდა თუ მარტო თვითონ. ყოველ შემთხვევაში, მამამისის ის ანდერძი, ფლემ სნოუპსზე მის გათხოვებამდე თვრამეტი წლის წინ და მის მიერ ფლემის სახელის პირველად გაგონებამდე თორმეტი წლის წინ რომ იყო დაწერილი, ძალაში დარჩებოდა.

ასე რომ, ის გოგო ჯერჯერობით არ უნდა გათხოვილიყო. არადა, ამ ამბის ჩაშლაც არ იყო ადვილი საქმე, თუგინდ იმ გოგოს ჯერაც თავის სახლში, ჯეფერსონში ყოფნისას; რადგან ფეხბურთისა და კალათბურთის გუნდების მოთამაშეთა ნახევარი ჯგრო-ჯგროდ მოაცილებდა ხოლმე სკოლიდან სახლამდე და კინოშიც ასევე მიჰყვებ-მოჰყვებოდა, ვიდრე ის გოგო ჯერ უმცროს და მერე უფროს კლასებში სწავლობდა. ოღონდ ჯერჯერობით შინ მაინც ეგულებოდათ და მამამისიც, ასე იყო თუ ისე, ერეოდა მომხდარ ამბებში ან ვითარცა მამა (დიახ, დიახ, მამა; სხვა მამის ამბავი იმ გოგომ არც იცოდა და ალბათ არც ირწმუნებდა, სიმართლეს უარყოფდა, ვისმე რომ მოსურვებოდა მისთვის თვალის ახელა, იმიტომ, რომ ქალებს არც სიმართლე აინტერესებთ და არც სიცრუე, იმათ ფაქტები აინტერესებთ მხოლოდ, სულერთია, ჭეშმარიტი იქნება თუ არა ის ფაქტები, ოღონდ კი სხვა დანარჩენ ფაქტებს შეესატყვისებოდეს ისინი; ჰოდა, იმ გოგოსთვის ფაქტი ის გახლდათ, რომ ის კაცი მამამისი იყო იმ მარტივი ფაქტის ძალით, რომ ყველა სხვა გოგოსაც და ბიჭსაც თავ-

თავისი მამა ჰყავდა, თუკი სადმე ახლომახლო საფლავის ქვის ქვეშ არ განისვენებდა ის მამა), ან კიდევ ვითარცა ფულის გამსესხებელი, რომელსაც შეეძლო სიძობის მოსურნისთვის თუ მისი რომელიმე სახლიკაცისთვის თამასუქი წარედგინა გასანადღებლად.

მერე ის ჩაერია საქმეში, ის დამთხვეული ჭადაროსანი, მიეძალა და მიეძალა გოგოს - ეს, ჩემო ბატონო, ნაყინო, ეს „კოკა-კოლაო“, სხვა შტატების კოლეჯთა პროსპექტებით, ჰოდა, ბოლოს მართლა დააჯერა - აქედან გამგზავრება მარტო ფულის გამხარებელი ამბავი კი არ იქნება შენთვის, არამედ გევალება კიდევ, სკოლას დაამთავრებ თუ არა, ჯეფერსონს მოსცილდეო. კი, მოსცილდებოდა და იმ ცდუნებით სავსე სხეულს, რომლის ფულისთვისაც ჯეფერსონში ბარე ათჯერ დაღვრილიყო უკვე სისხლი (დიახ, დიახ, ნამდვილი სისხლი), გამოფენდა ფართო ასპარეზზე, სადაც, რამდენიცგენებოთ, იმდენი დადის ცოლის სათხოვნელად გამზადებული მარტოხელა ჭაბუკი. იმდენი მაინც შეძლო, არ გაუშვა ის გოგო, უფრო სწორად, ერთი წლით დააყოვნა, აიძულა, დააჯერა (რანაირად მოახერხა, არ ვიცი, იქნებ ცრემლიც კი მოიდინა; კი, ცრემლსაც მოიმარჯვებდა, ტირილის უნარი რომ ჰქონოდა) - ეს ერთი წელი პანსიონში გაატარეო. ამასობაში თავად წვალობდა, თავს იმტვრევდა, როგორმე იმ საფრთხეს რომ გადარჩენოდა - სხვა შტატების კოლეჯთა პროსპექტებით შემოიჩინო იმ ასაკში შესულ პროვინციულ იურისტს, დიახ, სწორედ იმ ჭადარამოძალეულ იურისტს, რომელსაც იმდენი ემარჯვა, თავისი სახიფათო რაყიფი - ოჰაიოელი ავტომექანიკოსი ჩამოეშორებინა. ოღონდ იურისტს სხვა ვერავინ ჩამოიშორებდა თავად იმკაცის - სასოწარკვეთილებამდე მისული მამის გარდა, ჰოდა, იმან კიდევ ერთადერთი ხერხი იცოდა და მეტი არაფერი - ფულის გამოყენება. ადვილად წარმოვიდგენ ხოლმე ამ ამბავს: ფლემ სნოუპსი, რომელიც იძულებულია, მთელ წელიწადს გაფაციცებული იყოს, ყოველ კაცს თვალი ადევნოს, ყოველ საპნის ვაჭარს თუ მეწვრილმანეს, ჩვენს ქალაქში აგერ გუშინდელ ჩამოსულს, და თან გაწვალდეს და დაიტანჯოს იმის მომეცადინე, როგორმე იმდენ ფულს ვესესხო, რომ მერე მასზე ვიყო დამოკიდებული.

ველოდი კიდევ ამ ამბავს, რაღა თქმა უნდა, წინასწარვე მქონდა ყოველივე გაანგარიშებული, ვოცნებობდი - ამას და ამას ვიყიდი, ასე და ასე დავხარჯავ იმ ფულს, რომლითაც ფლემს დავაღალატებ-მეთქი. მაგრამ იმან არ ქნა ეს ამბავი. გამაცურა იმან და ერთი პატივიც მომაგო კიდევ: არამცთუ ხელი შემეშალა ჩემი პატიოსანი სახელისთვის ჩირქის მოცხებაში იმით, რომ საცდური ამაცილა, ისიც დაასკვნა, რომ იმ ჩირქის მოცხებამდე მოვალორებდი და რომ ერთი საცდური თავისთავად განარინებდა მეორეს. ასე იყო თუ ისე, ქრთამი არ შემოუძლევიდა. ახლა ისიც ვიცი, რატომაც არ შემომადლია: ხელი ჩაიქნია ამ ამბავზე. იმის თქმა მინდა, ბოლოს და ბოლოს მიხვდა-მეთქი, რომ ის გოგო, ჯეფერსონში მისი დატოვება რომც მოეხერხებინა, გაუთხოვარი არაფრის დიდებით არ გაჩერდებოდა, ჰოდა, მისი გათხოვება და ბილ უორნერის მემკვიდრეობის სამუდამოდ დაკარგვა ხომ ერთი იყო.

იმიტომ, რომ იმ ზაფხულს, იმ უკანასკნელ ზაფხულს, ანდა უკეთ რომ ვთქვათ, იმ შემოდგომაზე, როცა სკოლაში მეცადინეობა დაიწყო და ის გოგოც უკვე პანსიონში შეუდგა ხელახლა სწავლას, მამამისი საკმარისად იყო მოცლილი საიმისოდ, რომ ყოველივე შეეჯამებინა, ჰოდა, რაღა თქმა უნდა, იმ გოგოსთვის თვალის ერთი შეველებაც კმაროდა, რომ მიმხვდარიყო ის კაცი (ანდა ვინც უნდა ყოფილიყო სხვა მამაკაცი) - ასე ეს ამბავი დიდხანს ვერ გაგრძელდება, გინდაც რომ ის გოგო - აწ უკვე ქალიშვილი - დამწყვდეული ვიყოლიო. ახლა ის თავზარდამცემი ამბავი ყოველ წუთს შეიძლებოდა მომხდარიყო. არადა, ვინ იცის, რანაირ შევბას მოჰგვრიდა იმის უბრალო შეგნება, რომ როცა უნდოდა, მაშინ შეეძლო, მარტო იმის წუხილს კი არ



მორჩენოდა - ფული არ დაგვარგო, არამედ საერთოდაც გადაეწურა ყოველგვარი იმედი, იმის არ იყოს, კბილის ექიმის ასისტენტი კარს რომ გამოაღებს და - შემდეგ, იტყვის შენზე შემოჩერებული, ჰოდა, გვიან რომ არის უკვე, წამოხტომას და გაქცევას ვეღარ იკადრებ კაცი.

გამიგეთ? შეეძლო დამშვიდებულიყო. მეტი აღარ დასჭირდებოდა, ამოდ დაეხარჯა დრო მოიმედეს ან იქნებ მონანულსაც, გუნებაში ყველა ხერხის გადამჩხრეკელს და მაინც, ყველას უარმყოფელს; რადგან, ვინ იცის, იქნებ სწორედ იმ ზაფხულს, იმის გაწამაწიაში რომ იყო, ჩემთვის ფული როგორ შემოეტყუებინა სესხად, იქნებ იმასაც იმედოვნებდა, ვინმე იმნაირი შემწე ეპოვა, ვის ოცნებასაც კაცთა მოდგმისთვის მარტვილობა დაერქმეოდა და ვინც ღამით სამზარეულოს სარკმლიდან ტყვიას დაახლიდა ბილ უორნერს. თუმცა მერე ეს აზრიც განიშორა, გადაწყვიტა - გულისხეთქვა მეყოფაო.

ჰოდა, სიხარულიც დაიმკვიდრა თავისთვის, მარტო სიმშვიდე კი არა, რადგან იმ მომჯადოებელ მოჩვენებაზე - სიმამრის ქონებაზე საბოლოოდ უარის მთქმელს შეეძლო თავის ოდინდელ იმედს, შურისძიებისთვის თავის ოცნებას დაჰბრუნებოდა. კი, ახლა კი იცოდა, რატომაც აჭიანურებდა ამდენ ხანს იმ თავის შურისძიებას, უკანასკნელი ჯაბანივით უფრთხოდა, ბილ უორნერიც ეხსენებინა სხვა სახელთა შორის. იმიტომ, რომ ამდენი ხანია, გუმანით მიხვედრილიყო, რომ მისი შველა ბილს შეეძლო მხოლოდ. და თავისი შურისგების იარაღად ბოლოს და ბოლოს ბილი რომ შეერჩია, თვითონვე მოუსპობდა საკუთარ თავს ყოველგვარ შესაძლებლობას, რომ მერე ბილ უორნერის ქონებიდან ცოტა რაღაცა მაინც დარჩენოდა მემკვიდრეობად.

მაგრამ ახლა მორჩენილი იყო ეს ამბავი, აღსრულებული და გათავებული. ახლა თავისუფალი გახლდათ. ერთადერთი ისღა დარჩენოდა, მისძალეობდა, ეიძულებინა, ემლიქვნელა, ეღრიტინა, ემზაკვრა, - გააჩნია, რა უფრო მალე გაჭრიდა, - რათა ბილ უორნერის აქციათა მეოხებით, აგრეთვე ბილ უორნერის მოშიშარი ხალხის და თავის საკუთარ აქციათა მეოხებით და წვრილ-წვრილ არენდატორთა შემწეობით ბანკი წაერთმია დე სპენისთვის.

ერთადერთი ისღა დარჩენოდა, უნდა გადაეწყვიტა, რანაირად მისდგომოდა ამ საქმეს, ერთი სიტყვით, ბილ უორნერისთვის როგორ დაეველო თავი. არადა, ესეც უეჭველად გადაწყვეტილი ჰქონდა უკვე, ყოველმხრივ აწონილ-დაწონილი ჰქონდა საამისო გეგმა მაშინვე, როცა ჯერაც ვერ ბედავდა, ბილ უორნერის სახელი გაეველო გუნებაში. რადგან, ეტყობა, რა, რომ ერთხელ გადაწყვიტა და თავი აიძულა, საკუთარი ხელითამოეშანთა თავისი ოდინდელი ფუჭი იმედი ცოლის მემკვიდრეობის მიღებისა, მერე აღარ უყოყმანია. მარტო იმ გოგოსაც შეეძლო უორნერის ფულის მოიმედე კაცის დაღუპვა, ჰოდა, ამიტომ იყო, აქამდე სახლიდან ფეხს რომ არ ადგმევინებდა მარტო მისი კი არა, დედამისის სურვილის მიუხედავად (იმისი რომ აღარაფერი ვთქვათ, იმშეპრეტული მეზობლის, სულმუდამ სხვის საქმეში ცხვირის ჩამყოფის). მაშინაც სახლში ჰყავდა გამომწყვდეული, როცა თვითონაც კი დარწმუნდა - სულ ტყუილუბრალოდ აცდენს დროს იმ ძველმოდურ „ქალთა პანსიონშიო“. ასე იყო ეს ამბავი მთელ წელიწადს და მერე ნახევარ წელიწადს კიდევ, საშობაო არდადეგებამდე; ჰოდა, მერე ანაზად, წინასწარ სიტყვის უთქმელად, კაცმა არ იცის, რანაირად - გაუშვა გოგო, ჯეფერსონიდან გამგზავრების და კოლეჯში შესვლის ნება მისცა. კი, ორმოცდაათ მილზე მეტი არ ყოფილა იქამდე, მაგრამ ორმოცდაათი ხომ იყო მაინც!

რატომო, ბრძანეთ? ცხადზე უცხადესია, რატომაც. რისთვის აკეთებდა, რაც დღემდე გაეკეთებინა? იმისთვის, რომ გაცემულზე მეტად ღირებულ რაღაცას იღებდა სანაცვლოდ. ასე რომ, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს ეს ამბავი: ცოლს მიმართა, პირისპირ როცა დარჩნენ (თქმა არ უნდა, ზოგჯერ კი ელაპარაკებოდნენ ხოლმე ერთიმეორეს), ანდა, უფრო სწორად, ოთხნი რომ დარჩნენ, მაშინ, რადგან ორი მოწმე წინა ოთახში ელოდებოდა, კალმისტარს როდის აიღებდა ის ქალი: მოაწერე ხელი ამ საბუთს, რომლის ძალითაც მამაშენის ანდერძით მიღებული მემკვიდრეობის ნახევარი მე უნდა დამრჩეს, სულერთია, ცოლ-ქმარი ვიქნებით საიმდროოდ თუ არა, ჰოდა, მაშინ ლინდას გავუშვებ ჯეფერსონიდან სასწავლებლად. კარგი, ბატონო, ვთქვათ, იმ საბუთის დახვევაც შეიძლება, გაუქმება, გაპროტესტება. თუმცა იმ ქალმა არ იცოდა ეს ამბავი, მაგრამ რომც არ დაეჭვებულყო - საბუთს ძალა ექნებოდა, იმწუთას ის მემკვიდრეობა ხელთ რომ ჰქონოდა, უარს ეტყოდა განა ასეთი ამბისთვის იმ ნახევრის მიცემაზე?

აი, ეს გახლდათ ის „როგორ“. ახლა მხოლოდ „როდის“ რჩებოდა გასარკვევი. ზამთარი ჯერ არ გასულიყო, ლინდა უკვე კოლეჯში გახლდათ, ის კაცი კიდევ ისევ ისე მიმოდიოდა ქალაქში მშვიდი და აუმღვრეველი, პლანტატორის შავი ფერის ფართოფარფლიან შლაპასა და ერთი ბეწო ჰალსტუხში გამოწყობილი, დღეში ერთხელ მაინც გამოჩნდებოდა ხოლმე მოედანზე, თანაც ქალაქის საათივით ზუსტი იყო. ჰოდა, ასე იყო ეს ამბავი მთელ ზამთარს და გაზაფხულსაც, გუმინდელ დილამდე.

ნამდვილად. ადგა და გაემგზავრა. ამ ამბის წარმოდგენაც მოგიწევთ, რადგან ამჯერად იმ წინა ოთახში მოწმეებიც არ მსხდარან: ისევ ის გრძელი, ახლა უკვე ზაფხულის ბუღში გახვეული მოკენჭილი თემშარა (მაშინ მოუკირწყლავი იყო გზა, ის კაცი პირველად რომ ჩამოვიდა თვრამეტი წლის წინ), უორნერის დუქნისკენ მიმავალი. რაკი ჩქარობდა, ახლა ავტომობილით გაემგზავრა, - „როგორ“ და „როდის“ დაემთხვა, ბოლოს და ბოლოს ერთიმეორეს. თანაც უჩუმრად გაემგზავრა, ნაქირავები ავტომობილით. იმის თქმა მინდა, ჩვენი ქალაქის მკვიდრს არ ეკუთვნოდა-მეთქი ის ავტომობილი. თუმცა გავლენიან კაცს ახლა თითქმის ყველას ჰყავდა ავტომობილი ჯეფერსონშიც და მთელ ოლქშიც, სნოუპსს ავტომობილი არ ჰყოლია. თანაც იმიტომ კი არა, ძვირი რომ ჯდებოდა მისი ყიდვა, უფრო იმიტომ, რომ, არამცთუ გავლენიანი არ ყოფილა ჯეფერსონში ის კაცი, ჯერჯერობით არც კი ოცნებობდა ამაზე: საკუთარ სიცოცხლესავით დაიცავდა იმ საიდუმლოს, რამდენის გადახდა შეეძლო საყიდელში.

ოღონდ ახლა ისე ჩქარობდა, ავტომობილის დაქირავება მოუხდა, და იმდენად მოწადინებული იყო საიდუმლოდ შეენახა საქმე, საკუთარი ავტომობილიც რომ ჰყოლოდა, მაინც იქირავებდა და დაიხარჯებოდა; იმდენად საიდუმლოდ, რომ ფოსტის ავტობუსით გამგზავრებაც ვერ გაბედა, თუმცა მაშინ ოლარის მეტი არ დაუჯდებოდა: იმდენად საიდუმლოდ, თავის კლიენტთაგანაც ვერავის გამოართვა მანქანა, რომელიც, კაცმა რომ თქვას, მას ეკუთვნოდა, რადგან მისი ფულით იყო ნაყიდი, მრავლის უმრავლესთაგან ერთ-ერთი თამასუქით გამორთმეული ფულით. ნაცვლად ამისა, ავტომობილი იქირავა (ჩვენ ის არ ვიცოდით, როგორი ავტომობილი იქირავა და სად იქირავა, ოღონდ იოკნაპატოფური ნომერი არ ჰქონია იმ მანქანას) და უკანასკნელად გაემგზავრა უორნერის გზაჯვარედინისკენ, იმ გზას გაუყვა, რომლითაც თვრამეტი წლის წინ ჯორებშებმული ფურგონით ჩამოსულიყო ქალაქს. მთელი მისი ქონება იყო იმ ფურგონში: მისი ცოლი და უკანონოდ შობილი გოგო, მისის უორნერის მიერ ზომიერი მცირეოდენი ავეჯი, რეტლიფის მიერ ხელმოწერილი ნასყიდობის ქაღალდი ჯეფერსონში მდგარი რესტორნის ნახევარზე და რამდენიმე დოლარი, იმ ფულის ნაშთი, ჰენრი არმსტიდი (აწ უკვე სამუდამოდ გამომწყვდეული ჯექსონის საგიჟეთში) და მისი

ცოლი ათ წელიწადს რომ უყრიდნენ თავს, - ეს გადაუხადეს რეტლიფმა და არმსტიდმა ფრანგის მამულში, სადაც იმ კაცს მიწაში ჩაეფლა ოცდახუთი ვერცხლის დოლარი, რათა ისინი წასწყდომოდნენ ბალის თხრისას.

უკანასკნელად მიემგზავრებოდა იქითკენ მისი სიცოცხლის იმ თვრამეტი წლის მომცველი რკალის განმასრულებელი, რადგან ფრანგისხვეიც, უორნერის გზაჯვარედინიც და დუქანიც ერთადერთი, შესაძლოა, სწორედ ის ერთადერთი ადგილი იყო, სადაც თავის მოსწრებაში აღარასოდეს დაბრუნდებოდა, იმიტომ, რომ, გაუმარჯვდებოდა იმ საქმეში თუ ხელი მოეცარებოდა, სულერთია, აღარ იზამდა. ვერ გაბედავდა იქ დაბრუნებას. და, ვინ იცის, იქნებ მაშინვე ფიქრობდა - აფსუს, დუქანში რომ უნდა მივადგე ბილ უორნერს, რა გულდასაწყვეტია, უორნერების სახლს რომ ვერ მივაკითხავ, ამდილაადრიანად იქ მისის უორნერის და ზანგი მზარეულის მეტი არავინ იქნებო. არადა, საუბედუროდ, დუქანს უნდა მისდგომოდა, მოწმეთა თანდასწრებით ხელმოწერილი ქალაქის ნაგლეჯი მიეჩეჩებინა და უძრავად მდგარს გაეტეხა, დაეძლია ის ბებერი ყაჩაღი. რადგან ქალებს არც ფანტაზია აინტერესებთ, არც მორალი, არც ცოდვა, არც მისაგებელი, მათ ფაქტები აინტერესებთ მხოლოდ, უცილობელი ფაქტები, ურომლებსოდაც არ ეცხოვრებათ ამქვეყნად. რა უბრალო საქმე იქნებოდა, მისის უორნერთან რომ დასჭირვებოდა საქმის დაჭერა! ამაზე ადვილი რა უნდა ყოფილიყო - მანქანას ჭიშკარს მიაყენებდა და ნაქირავებ შოფერს ეტყოდა - აქ მომიცადეთ, ახლავე გამოვალო. მერე გზაწვრილს გაუყვებოდა თავის საგვარეულო კარ-მიდამოში (კარგი, ბატონო, თავისი ცოლის საგვარეულო კარ-მიდამო ვთქვათ; მოსვლითაც ხომ იმიტომ იყო მოსული, საკუთარი ქონება რომ აეფეთქებინა), სახლს შემოივლიდა, ვიდრე მისის უორნერს მიაკვლევდა სადმე, და ეტყოდა: დილა მშვიდობისა, დედა, წუხელ სადამომდე არ ვიცოდი, რომ აგერ თვრამეტი წელიწადი ყოფილა, რაც იულა ერთ ჯეფერსონელ ყმაწვილს გადაეკიდა თურმე, სახელად მანფრედ დე სპეინს; ჰოდა, აქეთ წამოსვლამდე ჩემი ხაბაკით სხვა ბინაზე გადავბარგდი, ოღონდ გაყრის საქმის დაწყება ვერ მოვასწარი ჯერ, მოსამართლეს ეძინა, მის სახლს რომ ჩამოვუარეთ, ასე რომ, საქმის აღძვრა ამ სადამოს მომიწევსო. მერე წამოვიდოდა და შოფერს მიმართავდა - მორჩა, მეგობარო, ქალაქში გაგზრუნდეთო. ჰოდა, მერე მიმდგარიყო მისის უორნერი და თვითონვე მოემთავრებინა ეს საქმე, თვითონ გაჩქარებულიყო იმ ბუნაგისკენ, სადაც ბებერი ბილი იყო ჩამჯდარი და, იტყოდით გამოხრული ძვლებიაო, ისე ჰქონდა ირგვლივ შემოყრილი თავისი სიმდიდრე - კავეები, სადავეები, სახნისის ტარები, აყროლებული ხორცის ნაჭრები, ფქვილი, იაფფასიანი ტკბილეული, ყველი, ბურნუთი, საღეჭი თამბაქო, ბუზის ნაჯდომი კანფეტები, გირავნობის ქალაქები და ასაღები მოსავლის ხელწერილები. დუქანთან, რაღა თქმა უნდა, ცუდმავალა ხალხი იქნებოდა ატუზული, ოღონდ ცოტანი იქნებოდნენ ისინი, რადგან ახლა თესვის ალო დგას და მათაც კი მართებთ ყანაში ყოფნა. ამას უმაღვე მიხვდებოდნენ ისინი, მისის უორნერს რა დაინახავდნენ და დაფრთხებოდნენ, თუმცა ფეხს არ აიჩქარებდნენ მაინცდამაინც.

- დაიკარგეთ აქედან! - დაუცაცხანებდა მისის უორნერი. - ბილთან სიტყვა მაქვს სათქმელი. თუმცა მოიცადეთ, ერთი რომელიმე სახერხში გავარდით და ჯოდის უთხარით - შენი ავტომობილი მჭირდება-თქო, აბა, ცოცხლად! - ჰოდა, ისინიც - გეახლებით, მისის უორნერო, - უპასუხებდნენ, ოღონდ ამ პასუხს ვეღარც მოჰკრავდა ყურს, უკვე ბილის წინაშე იქნებოდა დარჭობილი, - ადექი ახლავე. ფლემს მაინც წაუსწრია იულასთვის, ასე ამბობს - წავუსწარიო. გაყრის საქმე არ დაუწყია ჯერ, ჩააკითხე, სანამ მთელი ოლქი არ აყაყანებულა. ფლემს რა უნდა, არ ვიცი, ოღონდ ჩადი და მოაგვარე ეს ამბავი. ვერ მოვითმენ ამას. გვეყოფა, რაც იულას გულისთვის დღე დაგვადგა ამ ოცი წლის წინ. ახლა ვეღარ დავაბრუნებ და ჩვენს სახლს ვერ შევარცხვენინებ.

ოლონდ ის იყო, რომ ასე ვერ იზამდა ფლემი. არც ისე იოლი გახლდათ. რადგან ფაქტები მამაკაცებსაც აინტერესებთ ხოლმე, განსაკუთრებით – ბილ უორნერისთანა ბერიკაცებს. ჰოდა, ბილ უორნერს, ცხადია, ისეთი ფაქტები აინტერესებს განსაკუთრებით, როგორც ფლემს ჰქონდა მოწმეების თანდასწრებით ხელმოწერილი და პიჯაკის ჯიბეში ჩადებული. ასე რომ, თავადვე უნდა შესულიყო ფლემი იმ ბუნაგში, თავადვე გაეწვდინა ხელი, იმ მხეცს, ეჭვიც რომ არაფრის ჰქონოდა, ფაფარში ჩაფრენოდა, მერე ხმის გაუღებლად მდგარიყო, ვიდრე ის მხეცი იბდღვენდა და იბობოქრებდა, ჰოდა, მხეცი ცოტათი რა დაშოშმინდებოდა, ფლემის ხმის გაგონებაც შეიქნებოდა შესაძლო: „აგერაა მისი ხელმოწერა. თქვენ თუ ვერ ცნობთ, ის ორი მოწმე ხომ ცნობს მაინც. თქვენ ერთადერთი ის დაგრჩენიათ, მომეხმაროთ დე სპეინისთვის ბანკის წართმევაში, თქვენი აქციები ჩემს სახელზე გადმოწეროთ, ჰოდა, მე ჩემდა თავად, თუ გნებავთ, ძველი რიცხვით ხელმოწერილ ჩეკს მოგცემთ და, როგორც კი მანფრედ დე სპეინს გავაბუნძულებთ, ამ აქციებს დაგიბრუნებთ, არა და, ასე თუ უფრო მოგეწონებათ, თქვენ თვითონვე მომეცით ხმა, ჰოდა, ეს ქალაქი დაიტოვებთ თქვენთვის. თუ გნებავთ, ასანთის ღერს მე დავიჭერ მაგ ქალაქის ქვეშ, სანამ დაწვავდეთ“.

ეს იყო და ეს. ჰოდა, რეტლიფი ისევ გამომეცხადა (დიახ, დიახ, ჯეფერსონს კი გაეძღებოდა ურეტლიფოდ, ოლონდ მე არ გამეძღებოდა, ჩვენ არ გაგვეძღებოდა არავის: ვერც მე და ვერც სნოუპსთა მთელი წყეული მოდგმა უიმისოდ ვერ გავძღებდით) – ფაქიზი, ზნეკეთილი, თავისი უჰალსტუხო ლურჯი ხალათით მოსილი და დინჯად თვალმოფახულე.

– დღეს ოთხი საათი იქნებოდა, ბიძია ბილი ჯოდის მანქანით ჩამოვიდა ქალაქში და პირდაპირ ფლემის სახლს მიადგა. ფლემი კიდევ დღეს ქალაქში არ ყოფილა. როგორ გგონიათ, რა ამბავი უნდა ატყდეს ახლა? – ისევ დააფახულა თვალები ჩემმა მაცქერალმა. – როგორ გგონიათ, რა უნდა ყოფილიყო ის?

– რისას ბრძანებთ?

– იმისას, რაც გუშინ მისის უორნერს მიართვა, – ეტყობა, რაღაცა საიასალო უნდა ყოფილიყო, აბა, ისე ბიძია ბილს რა ჩამოიყვანდა ქალაქში დილის ოთხ საათზე?

– მისის უორნერსო? – შევეკითხე. – კი, მაგრამ ბილს არ მიუტანა?

– არა, ბატონო, – მითხრა რეტლიფმა. – ბილი თვალთაც არ უნახავს. ვიცი მე. მე ავიყვანე ფრანგისხევში. როკიფორდში მისის ლედბეტერისთვის საკერავი მანქანა უნდა ამეტანა, ჰოდა, იმან – ფრანგისხევეზე გავიაროთ დაერთი წუთით დამელოდეთ, სანამ მისის უორნერს ერთ სიტყვას ვეტყვიო. წავედიოთ და ის იყო. სახლში ერთი წუთი დაახანა, მეტი არა, მერე გამოვიდა, გზა განვაგრძეთ, საკერავი მანქანა მივუტანეთ, მისის ლედბეტერთან ვისადილეთ და ჩამოვბრუნდით ქალაქში. – ისევ დააფახულა თვალი. – ერთ წუთს იყო სულ. როგორ გგონიათ, ისეთი რა გადასცა ან რა უთხრა მისის უორნერს იმ ერთ წუთში, რომ ბიძია ბილი ღამის პირველ საათზე გამოვარდა ჯეფერსონისკენ?

## 18. ვ.ვ. რეტლიფი

არა, არა, არა, არა. ცდებოდა ნამდვილად. იურისტი გახლავთ, ჩემო ბატონო. იურისტს კიდეც, თუ გვარიანი თავსატეხი არ იქნა, ისეთი საქმისთვის ფიქრიც ეზარება, ჰოდა, სხვებს თუ გამოუვიდათ იმ საქმის რამე, სულერთია, მაინც არ დაუჯერებს. ასე რომ, ის არ ყოფილა საქმე, ის ნაყალბევი ქაღალდი, ნაჩქარევად ხელმოწერილი, თუგინდ მოწმეების მხრივაც დადასტურებული. რაღაცა სხვა ამბავი იყო. რა იყო, ვერაფერს მოგახსენებთ, ოღონდ იმ საღამოს მოედანზე სწოლუპსი მომადგა და მითხრა:

- ამ დილას მისის ლედბეტერს საკერავი მანქანა მოუვიდაო, ასე მითხრეს. წამოგყვებოდით იქითობას და აქეთობასაც, იმ მანქანას რომ წაუღებთ, ოღონდ ფრანგისხევში თუ გამატარებთ ერთი წუთით.

ასე გახლდათ ნამდვილად. ვერც მოასწრებ კაცი გაიკვირვო - ყველაფერს რანაირად იგებსო, რადგან, სანამ იმის მოფიქრებაში იქნები, რომ გაიკვირვო - საიდან გაიგოო, უკვე გვიან არის ხოლმე, ამასობაში იმასაც ასწრებს, ისარგებლოს შენი შეყოვნებით. ჰოდა, მე ასე ვუპასუხე:

- რა მეთქმის, როკიფორდში თუ მიემგზავრები კაცი, ფრანგისხევში რატომ არ უნდა შეუხვიო? ოღონდ მაშინ მემგისს მიმავალმა ბირმინჰამის გზით რატომ არ უნდა იმგზავრო? საქმით არაფერი მესაქმება ფრანგისხევში, თუმცა ისე გავლა კი შეიძლება. - თქვენც ხვდებით ალბათ, ეს იმიტომ ვუთხარი, ის მინდოდა მენახა - ვაჭრობას როგორ დამიწყებს-მეთქი, მაგრამ მაჯობა ჭკუით.

- მართალი ბრძანებაა, - მითხრა, - კაი ექვსი მილის შემოვლა მოგიწევთ. კარგი, თითო მილში დოლარი არ იკმარებს?

- მეტიც იქნება, - მივუგე, - ის რომ მოვიწოდომოთ, იმ სამ ზედმეტ დოლარს რაც ეკუთვნის, იმდენი გზა გავიაროთ, ხუთშაბათამდეც ვერ ჩამოვბრუნდებით ქალაქში. ჩვენ ასე ვქნათ: ორი სიგარა იყიდეთ და, თუ თქვენ ერთის მეტს არ მოსწევთ, უფასოდ გაგატარებთ ფრანგისხევში ერთი წუთით, ისე აგიმგზავრებთ.

- ორივეს მოგართმევთ, - მითხრა. მომცა კიდეც. კი, რასაკვირველია. იმ რესტორნის ნახევარი კი ამაცალა იმ კაცმა, მე და გროვერ უინბუშს რომ გვეკუთვნოდა, მაგრამ ვინ იცის, ამ ამბით ვინ იზარალა? ის რესტორანი რომ არ წაერთმია, გავიხედოთ და გროვერი შიგ იმ დაწესებულებას გახსნიდა, ფრანგულ სურათებს რომ უჩვენებენ ხალხს, ჰოდა, მეც იქ ვიქნებოდი ახლა, სადაც გროვერ უინბუშია - აგურის საწყობში ვიდგებოდი ღამის დარაჯად.

ერთი სიტყვით, ავიყვანე ფრანგისხევში ის კაცი. გზადაგზა მივსაუბრობდით, თუკი საუბარი ეთქმის იმ მონოლოგს, ფლემ სწოლუპსთან მუსაიფისას რომ წარმოთქვამ კაცი. ოღონდ გაჩუმებაც არ ეხერხება. სულ იმის იმედი გაქვს - იქნებ რამე დავტყუოო. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, დუმილი იმიტომ არის ოქრო, იშვიათი რომაა, ხალხმა იშვიათად იცის ხოლმე გაყურება. ჰოდა, ყოველ გზობაზე იმას იფიქრებს კაცი - ახლა კი ამ საქმის ნაღდ სპეციალისტს მივაკვლიეო. რაღა თქმა უნდა, ვერც ამ გზობაზე დასტყუებ რამეს და ვერც იმ გზობაზე, სპეციალისტიც იმიტომ გახლავთ სწორედ ის კაცი. ოღონდ იმედს მაინც არც როდის არ გადაიწურავ ხოლმე. ჰოდა, მივდიოდით იმ გზაზე, ვლავარაკობდით ამ მთისას, იმ მთისას, რასაკვირველია, უფრო ამ მთისას,

ვიდრე იმისას. სამ-ოთხ მილს რომ გავივლიდით, ის კაცი ღეჭვას შეაჩერებდა, სარკმელში გადააფურთხებდა და იტყოდა - ჰო-ო, ან - ასე-ე, ან კიდევ - უყურე შენო, ჰოდა, მერე, გორა რომ დაგვრჩა გადასავლელი უორნერის გზაჯვარედინამდე, - დუქნისკენ ნუ, სახლისკენ წავიდეთო, მითხრა.

- რა ბრძანეთ? - მე ვუთხარი. - ბიძია ბილს ახლა სახლში რა უნდა, დილ-დილაობით ყოველთვის დუქანში იცის ყოფნა.

- ვიცი, - მითხრა, - იქით შეუხვიეთ. - ჰოდა, შევუხვიეთ და ის იყო. დუქნის წინ ჩავლა კი არა, შორიდანაც არ მოგვიკრავს თვალი იმ დუქნისთვის, სახლს მივადექით, ჭიშკარს.

- თქვენ ბრძანეთ - ერთი წუთითო, - მე ვუთხარი. - მეტი თუ გამაჩერეთ აქ, ორი სიგარა კიდევ იქნება თქვენზე.

კარგიო, - მითხრა, გადავიდა და გზაწვრილს გაუყვა სახლისკენ. მე მოტორი გამოვრთე, ვიჯექი და ვფიქრობდი ჩემთვის: კი, მაგრამ - რანაირად? მისის უორნერთან მოსულა, ბიძია ბილთან კი არა, მისის უორნერთან. თანაც სამ დოლარს ზედმეტს მაძლევდა აქ ამოყვანისთვის (თვითონ შემომამლია-მეთქი, ის მინდა გითხრათ. ახლა კი ვიცი, ათიც შემემძლო გამომერთმია იქ აყვანისთვის).

არა, რანაირად-მეთქი, იმას კი არა, ვინ-მეთქი, - იმას ვფიქრობდი, ვინ უნდა იცოდეს-მეთქი ეს ამბავი, უკეთ რომ ვთქვათ, ვცდილობდი მეფიქრა იმ ხანმოკლე დროის განმავლობაში, რაც საფიქრალად მქონდა დარჩენილი, იმიტომ, რომ, რაკი იმ კაცმა - ერთ წუთში მოვათავებო, ასე თქვა, მოასწრებდა კიდევ ერთ წუთში. მაინც ვინ უნდა იყოს-მეთქი? მე არ ვიქნებოდი, ცხადია, იმიტომ, რომ რეტლიფს ვედარაფერს გამოდნებოდა ის კაცი. არც იურისტი სტივენსი, არც ლინდა და იულა, ის იმხელა ამბავი რომ ატეხეს, კოლეჯში გამგზავრების ამბავი (შეიძლება ითქვას, უკანასკნელი სნოუპსური სკანდალი იყო ის ამბავი, მთელ ოლქში გახმაურებული), რადგან ესეც მოთავებული საქმე გახლდათ. ყოველ შემთხვევაში, ლინდა ოქსფორდის კოლეჯში იყო უკვე; მანგრედ დე სპეინს სათვალავში არ ვაგდებდი, რადგან მისი მხარე არ მეჭირა, თუმცა წინააღმდეგიც არ ვყოფილვარ მისი.

ოღონდ მოსაზრებით ვერაფრის მოსაზრება ვერ მოვასწარი. ერთ წუთზე ცოტათი მეტმა, ოღონდ ორ წუთზე ნაკლებმა გაიარა, ვიდრე ის კაცი სახლიდან გამოვიდოდა თავისი შავი შლაპითა და ბანტად განასკვული ჰალსტუხითურთ, კვლავაც გაუწყნარებლად მღეჭველი (არა მგონია, სახლში შესულს ღეჭვა შეეწყვიტოს ან შლაპა მოეხადოს). მანქანას მოადგა, გადააპურჭყა და ჩაჯდა. მე კიდევ მოტორი ავამუშავე და ვუთხარი:

- ორ წუთზე ცოტათი ნაკლები დრო გავიდა, კარგი, ბატონო, ერთი სიგარის მეტი არ მერგება თქვენგან.

კარგიო, - მომიგო, მე პირველი სიჩქარე ჩავრთე, ოღონდ კონუსისთვის ფეხი არ ამიშვია, ისე ვუთხარი:

- მისის უორნერი სახლში თუ არ დაგხვდათ, ალბათ დუქანთან გინდათ ჩაიაროთ და ბიძია ბილს დაუბაროთ - ბარათი ქულების საკიდზე დავუტოვეო?

ის კიდევ, ერთ-ორ წამს ისევე იღეჭებოდა, მერე ნაღეჭი თამბაქო პირში დააგორგალა, სარკმლისკენ გადაიხარა, ერთხელაც გააფურთხა და მოკალათდა ისევ. ჰოდა,

გავუყევით, როკიფორდში ავედით, იქ მისის ლედბეტერს საკერავი მანქანა გადავეცი, იმან სადილად დაგვპატიჟა, ვისადილეთ და უკან გამოვბრუნდით, ჰოდა, ამ დილას ოთხ საათზე ბიძია ბილი ფლემის სახლს მოადგა ჯოდის მანქანით, ზანგი შოფერი რომ უჯდა საჭეს, და კი ვიცი, რამაც წამოახტუნა ასე უთენია, - მისის უორნერის საქმე გახლდათ სულ.

ისიც ვიცი, რომ ბიძია ბილი ნავახშმევს მაშინვე წვება დასაძინებლად, წლის ამ დროს ჯერაც დაღამებული რომ არაა, ჰოდა, მერე ღამის პირველ ან ორ საათზე იღვიძებს. კი, მზარეული ქალი კაი ხანია მიაჩვია იმ ამბავს, წამოხტეს და საუზმე მოუმზადოს ხოლმე; ოღონდ ბიძია ბილს ის ამბავი რას ეყოფა, ერთი ზანგის ქალი რომ ქვაბებს არახუნებდეს სამზარეულოში, ყველამ უნდა გაიღვიძოს, მარტო გაღვიძებაც არ კმარა, უნდა ადგნენ კიდეც, რადგან ბიძია ბილი ხმაურით მიდი-მოდის, კარს მიიჯახუნებს და - ეს მომიტანეთ, ის მომიტანეთო, ღრიალებს, სანამ მისის უორნერიც არ წამოდგება და არ ჩაიცვამს. მაშინ ბიძია ბილი საუზმეს გეახლებათ, მერე სავარძელში ჩაესვენება ჩიბუხის მოსაწევად, შემდეგ კი ისევ წვება და დილაამდე სძინავს. ოღონდ მისის უორნერი ისე ფხიზლდება, მეტს ვეღარ იძინებს ხოლმე.

ჰოდა, ამ ერთხელ იმარჯვა მისის უორნერმა და ის იყო. არ ვიცი, რა უთხრა ან რა გადასცა ფლემმა ისეთი საშინელება რაღაცა, რომ ბილი ღამის ორ საათზე გამოვარდა ქალაქისკენ. ოღონდ მისის უორნერისთვის მთავარი ის იყო, მშვიდად გამოეძინა როგორმე. ასე რომ, არც არაფერი უთქვამს და არც უჩვენებია, სანამ მის ქმარს ჩვეულებრივად, ორ საათზე არ გამოეღვიძა. ჰოდა, თუკი ფლემმა ისეთი რაღაცა მიუტანა, რასაც ახსნა-განმარტება არ სჭირდებოდა, მისის უორნერს ადგომაც არ მოუხდებოდა, ისიც იკმარებდა, ლამპის გვერდით დაედო ის რაღაცა, ჰოდა, ბიძია ბილმა ასანთი რომ აანთო, ლამპას მოუკიდა და ის რაღაცა დაინახა, იმხელა ამბავი ატეხა, მთელი სახლი და ყველა მეზობელი წამოაგდო ფეხზე.

ვერ გეტყვით, რა იყო ის რაღაცა. ოღონდ ქალაქის უბრალო ნაგლეჯი ნამდვილად არ ყოფილა, საიმისოდ გამიზნული, რომ ბიძია ბილი დაეშინებინა და ისეთი რამე გაეკეთებინებინა მისთვის, რის გაკეთებასაც მანამდე არ აპირებდა. იმიტომ რომ ბიძია ბილი მფრთხალი კაცი არ გახლავთ და ფლემ სწოუპსსაც მოეხსენება ეს ამბავი. ვიღაცების ამბავი იყო ის ამბავი, ჰოდა, იმნაირი ვიღაცები, ვისი გულისთვისაც ბიძია ბილი იმას იზამდა, რის გაკეთებასაც არ აპირებდა მანამდე, იულა და ლინდა გახლდნენ, ფლემი კი არა. ბარე ოცი წელიწადი იქნებოდა, რაც ბიძია ბილს გადაწყვეტილი ჰქონდა, რასაც დამართებდა ფლემს, თუკი შედრკებოდა ის რამეზე, თვალი უმტყუნებდა, ან შეყოვნდებოდა მაინც.

ანდა თავად რატომ ეახლებოდა ბიძია ბილს ამ ამბავზე ფლემი? ბანკის ამბავი რომ ყოფილიყო ის ამბავი, ფლემმა წინასწარვე იცოდა, რომ მისის უორნერს უჩვენებდა იმ რაღაცას ან ეტყოდა თუ არა, ბიძია ბილი მაშინვე გავარდებოდა ფრანგისხევიდან ჯეფერსონში, ოღონდ მაშინ ეს ამბავი, ადრე იქნებოდა თუ გვიან, იულასაც შეეხებოდა. და, თუმცა ბიძია ბილი მფრთხალი კაცი არაა და ფლემ სწოუპსსაც მოეხსენება ეს ამბავი, არც ფლემ სწოუპსი გახლავთ მფრთხალი კაცი და ესეც იცის ყველამ. გულოვანი კაცი რომ გულოვანი კაცია, იმასაც შეეშინდება იმ დუქანში შესვლა, ბილ უორნერთან მიახლება და მისთვის იმის თქმა - შენი ქალიშვილი ისევ ისე იქცევა, აგერ, თვრამეტი წელიწადია, სხვა კაცს უწვება ლოგინში და მის ქმარს იმის თავიც არა აქვს, გადაწყვიტოს, როგორ მოუაროსო.

## 19. ჩარლზ მალისონი

ეს ყოველივე ცირკის ჩამოსვლას ჰგავდა, ან კიდევ საოლქო ბაზრობას. ანდა არა: ყველა ახლომახლო ოლქის ან თუნდაც შტატის მონადირეთა თავყრილობას ჰგავდა ეს ამბავი, იმიტომ, რომ ჩვენ გაკვეთილებიდანაც კი დაგვითხოვეს. ოღონდ ეს ამბავი ბაზრობასა და ნადირობაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რადგან საქმე სიკვდილით დამთავრდა, თუმცა კი ჩვენ მაშინ არაფერი ვიცოდით, ცხადია.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ გაკვეთილებიდან დაგვითხოვეს, თუმცა სულ არ ველოდით ამას. გეგონებოდათ დროც, გარემოებანიც, სივრცეც ისეთ რაღაცას იფარავს თავის თავში, რაც უეჭველად უნდა მოხდეს, ან შესაძლოა, მაინც მოხდესო. ჰოდა, ახლა ჟამმა ჩამორეკა და ეს ამბავი უნდა მომხდარიყო მისისიპის შტატის ქალაქ ჯეფერსონში, - სცენაც გაემზადებინათ უკვე და დეკორაციებიც დაედგათ.

გაკვეთილებიდან სამშაბათ დილას დაგვითხოვეს. იმ კვირას გზის ინჟინრის ოჯახი ჩამოსახლდა ჯეფერსონში და იმათი ბიჭი მეორე კლასში დასვეს. დედამისმა რომ მოიყვანა, ალბათ უკვე ავად იყო, რადგან იმავე დღეს მოუხდა შინ გაბრუნება; დედამისს შეუთვალეს, მოვიდა ის ქალი და წაიყვანა, ღამით კი მემფისს გაამგზავრეს ბიჭი. ოთხშაბათს მოხდა ეს ამბავი, ჰოდა, ორშაბათსლა შეგვატყობინეს ჯეფერსონში - იმ ბავშვს პოლიომიელიტი აღმოაჩნდა, სკოლა უნდა დაიხუროსო, შემდეგში რა უნდა გაკეთდეს ან რა არ უნდა გაკეთდეს, ამას მერე გადაწყვეტო. ასე იყო თუ ისე, აპრილში დაგვითხოვეს მოულოდნელად, როცა აზრადაც არ მოგვივიდოდა ამნაირი რამე. გაგელვიძება აპრილის დილას და იფიქრებ კაცი - ნეტავი აპრილში არ მატარა სკოლაში, უკეთესი დრო რომელიაო; ჰოდა, მერე იმას იტყვი გუნებაში - შემოდგომის გარდა, როცა გარეთ გრილა, ოღონდ არ აცივებულა ჯერ, ხეები წითელ-ყვითლად არის აბრიალებული და შეგიძლია მთელ დღეს ინადიროო; მერე სხვა რამესაც გაივლებ გულში - ზამთრის გარდა, საშობაო არდადეგები რომ გათავდება და ზაფხულამდე სასიკეთოს არაფერს უნდა ელოდეთ; ჰოდა, ბოლოს დაასკვნე - წელიწადის ყოველი დრო მშვენიერია, ოღონდ კი სკოლაში არ მატარა, ასე რომ, კაცმა რომ თქვას, სკოლა კარგი რამეა, რადგან უსკოლოდ არდადეგებიც ხომ არ იქნებოდაო.

ერთი სიტყვით, დაგვითხოვეს და კაცმა არ იცოდა, რამდენი ხნით ვიყავით დათხოვილი. ესეც მშვენიერი რამე გახლდათ, იმიტომ, რომ იმის თქმა კი აღარ გვიხდებოდა - ორი დღეა დარჩაო ან - ერთი დღე დარჩაო, - ისე უნდა გაგვეხარებინა გული არდადეგებით დღესაც, ხვალაც და, ვინ იცის, იქნებ ზეგაც, ჰოდა, ვინ იცის, იქნებ მაზეგაც. ასე რომ, ხუთშაბათს ბავშვებიც კი (რომლებიც, გზის ინჟინრის შვილი რომ არა, სკოლაში უნდა ვყოფილიყავით) მივხვდით უკვე - ბანკის პრეზიდენტის კაბინეტში რაღაცა ამბავი ხდებოა; ჯეფერსონის ძველ ბანკში კი არა, მეორეში, ჯერაც „ახალ ბანკს“ რომ ვუწოდებდით, ანდა „პოლკოვნიკ სარტორისის ბანკს“, თუმცა პოლკოვნიკი კაი შვიდი წლის მკვდარი იყო უკვე და ბანკის პრეზიდენტი მისტერ დე სპეინი გახლდათ; ჰოდა, რაღაცა საკვირველს ველოდებოდით, რადგან იმ ამბის მოსახდენადაც იყო, დრომ, გარემოებებმა (აღარც ვიცი, რომელი ვთქვა) სცენა რომ გაამზადეს და სკოლა დაცალეს.

არა, არც იმის თქმა იქნებოდა სწორი - სცენა მხოლოდ ბანკი იყო, დრომ, გარემოებებმა, სივრცემ (აღარც ვიცი, რომელი ვთქვა) შუა აპრილში დაცალეს სკოლა, რათა ყოველივე სწორედ იმ ოთხ კედელს შუა მოხდესო. სცენა მთელი ჯეფერსონი გახლდათ, ჯეფერსონის ყველა კედელი, მთელი მიწა, რომელზეც ისინი იდგნენ, მათი



გარემომცველი ჰაერი; ჯეფერსონის ყველა კედელი და მთელი არე, სადაც კი ხალხი იძვროდა, სულს ითქვამდა, თუ ერთიმეორეს ესიტყვებოდა. ჩვენ სადილად ვისხედით უკვე, გვეინ ბიძიადა გვაკლდა, თუმცა, ჩვეულებრივ, თუკი ქალაქიდან არ იყო გასული სამსახურის საქმეზე, იმან სადილად დაგვიანება არ იცოდა; ჰოდა, რა შემოვიდა, უმაღვე ვიგრძენით, სასიკეთო რომ არაფერი მომხდარიყო. მე ყოველთვის როდი ვატყობდი შესახედავად, როცა გვეინ ბიძიას სასიკეთოდ არ ჰქონდა ხოლმე საქმე, ოღონდ იმიტომ კი არა, თორმეტი წლის რომ გახლდით მხოლოდ, არამედ უფრო იმიტომ, რომ სულაც არ იყო საჭირო გვეინ ბიძიასთვის შეგეხედათ, რადგან დედაჩემის შემხედვარეც მშვენივრად მიხვდებოდით ყველაფერს, რაკი ტყუპი იყვნენ ისინი. ჰოდა, დედას რომ ვეკითხებოდი – რა დაგემართა–მეთქი, მეც ვიცოდი, დედამაც და სხვებმაც იცოდნენ, რომ იმას ვეკითხებოდი – გვეინ ბიძიას რა დაემართა–მეთქი?

ესეც არ იყოს, შეგვეძლო გულდაჯერებულნი ვყოფილიყავით, რომ მამაჩემი სულერთია, ყოველივეს გამოიძევდა. გვეინ ბიძია ბოლოს და ბოლოს შემოვიდა, დაჯდა, ხელსახოცი დაიფინა და მიკიბულ–მოკიბული თქვა რაღაცა. ჰოდა, მამამ შეხედა, მერე ისევ ჭამას შეუდგა და ბოლოს ისევ მიაჩერდა გვეინ ბიძიას.

– ჰო, – თქვა მერე. – ამბობენ, ბილ უორნერი დღეს უთენია წამოაგდეს ლოგინიდან და ქალაქში ჩამოაბრძანეს, მანფრედ დე სპეინი რომ დაძრასო. საით უნდა დაძრას ნეტავი?

– რა-ა? – გვეინ ბიძიამ თქვა.

– რა დაძვრა უნდა იმ კაცს, უკვე ბანკის პრეზიდენტი რომაა? – თქვა მამამ.

– ჩარლი, – უთხრა დედამ.

– იქნებ ისე ვერ ვთქვი, როგორც საჭირო იყო, – განაგრძო მამაჩემმა. – ისეთი სიტყვა მჭირდება, რომელიც იმას აღნიშნავს, კაცი რომ უნდა დაძრან ლოგინიდან...

– ჩარლი! – დედამ უთხრა.

– ...სადაც ისედაც არ იყო მისი ადგილი, ჰოდა, ფლემს კიდევ ფრანგისხევში მოუწია ასვლამ სიმამრთან, იმ სიმამრს რომ ეთქვა სწორედ ის სიტყვა...

– ჩარლზ! – უთხრა დედამ. აი, რანაირი ამბავი გამოგვივიდა. ვითომ ამ ჩვენს ჯეფერსონში კაი თვრამეტ წელიწადს რაღაცა ხდებოდა, ახლა უკვე სულერთია, კარგი იყო თუ ცუდი ის რაღაცა, რადგან ჩვენეულად იქცა უკვე, იმდენ ხანს გვესისხლხორცებოდა, რომ ნაიარევიც აღარ გვატყვია, გინდაც ლურსმანი ყოფილიყოს, სამიოდე წლის წინ ხეს მიჭედებული, მისი შემბლაღველი და მისთვის ტკივილის მიმყენებელი. ოღონდ ხეს ხომ სხვა არჩევანი არ ჰქონია: ან პრინციპულად უნდა აღშფოთდეს და უგულუბელყოს ის შებლაღვა, მომავალი გაზაფხულის ცხოველი წვენი გაიღოს მსხვერპლად, ან კიდევ მორჩილად მიენდოს სიცოცხლესაც და შებლაღვასაც; ჰოდა, დრო გაივლის და ლურსმანიც გაქრება. ესე იგი, ხეში ჩარჭობილი კი იქნება ისე, ოღონდ თვალში ისე აღარავის მოხვდება, ქერქით გადაიფარება; კი, ნუჟრი, კორძი კი დააჩნდება, მაგრამ დრო გაივლის და სხვა ხეები შეუნდობენ ამ ამბავს და მთელი სამყარო შეეგუება იმ ხესაც და იმ კორძსაც, ჰოდა, მერე, ერთ მშვენიერ დღეს, ხერხი იქნება თუ ნაჯახი, იმ ძველ ლურსმანზე მოუხვდება პირი.

ჰოდა, ახლა, თვრამეტი წლის შემდეგ, ის ხერხი შურისგებისა, რომელსაც ჩვენ, რაღა თქმა უნდა, სათნოებისა და სამართლიანობის ხერხს ვუწოდებდით, ლამის შეეხო იმ მიმალულ, ფარულ, თუმცა ქერქით ჯერაც გადაუფარავ ლურსმანს, ჩვენი საზოგადოების ზნეობრივი ხის ტანში ჩამჯდარს; ის ლურსმანი უკურნებელი წყლულის აღმძვრელი გახლდათ, რადგან ცოდვა კი არ ყოფილა მხოლოდ, მომაკვდინებელი ცოდვა იყო, ისეთი რამ, საერთოდაც რომ არ უნდა არსებობდეს, თავად ის ცნებაც კი თავისთავს უნდა აშთობდეს თვითონვე, და მაინც, სჩადიან კაცნი იმ ცოდვას, გამუდმებით სჩადიან, ყველგან სჩადიან სულაც დაუსჯელად. ჰოდა, ის ორნი თვრამეტი წლის განმავლობაში არამცთუ ფეხქვეშ თელავდნენ სათნოებას და ზნეობას, იძულებულსაც ხდიდნენ, თავიანთი კალთა გადაეფარებინათ მათთვის მხოლოდ იმიტომ, რომ კვალს არასოდეს ტოვებდნენ: სინამდვილეში ხომ ჯერ არავის წაესწრო მათთვის. ზნეობის შემლახველნი იყვნენ ისინი, ეკონომიკის მხარდაჭერით გულმოცემულნი, რადგან მათი მხილება ბანკის რეპუტაციისა და გადახდისუნარიანობისთვის იქნებოდა სახიფათო.

მთელი ქალაქი ორ ბანაკად გაიყო და ის ბანაკებიც, თავის მხრივ, ასობით დამოუკიდებელ, გამოცალკევებულ ბივუაკად დანაწილდა: ქალები, რომელთაც მისის სნოუჰისი იმის გამო სძულდათ, პირველმა რომ მოიგდო ხელში მისტერ დე სპეინი, ხოლო მისტერ დე სპეინი იმის გამო – მათ თავს მისის სნოუჰისი რომ ამჯობინა, და კაცები, რომელთაც ეჭვის ჭია იმიტომ კლავდა, რომ მისტერ დე სპეინის ადგილას სურდათ ყოფნა, ანდა ეზარებოდათ მისტერ დე სპეინი, რადგან მათზე ახალგაზრდა და გულმაგარი (თვითონ, რაღა თქმა უნდა – ქუდბედიანიო, ასე ამბობდნენ) იყო ის კაცი; და ორივე სქესის ხალხი, ანდა არა – რაღაც ამაზრზენი საშუალო სქესის ხალხი, რომელსაც იმიტომ სძაგდნენ მისის სნოუჰისი და მისტერ დე სპეინი, რომ ამათ ისეთი რამ გამოეგონებინათ, რის ქმნაც იმ ხალხს რაღაც მიზეზის გამო არ შეეძლო, ჰოდა, ამიტომ იმ დიდმშვენიერებას არამცთუ მომავალში აღარ უნდა ეარსება, წარსულშიც არ უნდა არსებულებო – ამ სქესის ქალებს ის დიდმშვენიერება იმის გამო სძაგდათ, აუცილებლად, უეჭველად უნაყოფო რომ იყო, ხოლო ამ სქესის მამაკაცებს იმიტომ ჰყავდათ მოძულეული, რომ წკრიალა ფულის ცივი მისანდობლობა სისხლის დაუოკებელი აზავთებისთვის ემჯობინებინათ. ეს ხალხი არამცთუ მფარველობდა ცოდვას, არამედ თავადაც სასტიკად იტანჯებოდა, დე სპეინის ბანკის გამო ცოდვილთა დაფარვა რომ უხდებოდა ნება-უნებლიეთ. ორი ბანკი-მეთქი. ერთნი ამბობდნენ – ახლა კი უნდა ვამხილოთ ის ცოდვა, ისედაც ნამეტანი დიდხანს გაგრძელდაო – თვრამეტ წელიწადს; სხვანი იტყოდნენ – ახლა პირზე წადგომა და ამით ჩვენი საკუთარი სიმდაბლის გამოაშკარავება სახიფათოა, რაკი ამას ამდენი ხანი ჩვენ თვითონვე ვვარავდითო.

არადა, იმ ხერხს ძებნით სულ არ უძებნია ლურსმანი. ჯეფერსონისთვის ხერხი ლურსმანს უკვე მოხვედრილი იყო; ახლა იმასღა ველოდებოდით, იმ ხის ანატკეჩები (ხის და არა ხერხის, არამც და არამც ხერხის – არა: ლურსმანს მოხვედრილი ის სათნო და გაუტეხელი ზნეობრივი იარაღი ნახლექებად რომ წასულიყო, ჩვენ ისღა დაგვრჩებოდა, ყველაფერზე ხელი ჩაგვექნია და დავრწმუნებულიყავით, რომ ბაპტისტურ პრინციპებს დამყარებული მთელი ჩვენი ცხოვრებისეული წყობა თვალთმაქცობა და არარაობაა მხოლოდ) ჩვენს ტყეში რომელ მხარეს მიმოიფანტებო.

ასე იყო ეს ამბავი მთელი იმ დღის განმავლობაში, ვიდრე ის ბერიკაცი, მისტერ უორნერი მისტერ სნოუჰისის სახლში იმალებოდა თუ იმყოფებოდა. ჩვენ დანამდვილებით ისიც არ ვიცოდით, მართლა ქალაქში იყო თუ არა, ნახვით ხომ არავის ენახა; რეტლიფმა კი გვაუწყა – თავისი ვაჟიშვილის ავტომობილით ჩამოვიდაო დილის ოთხ

საათზე, ოღონდ დაბეჯითებით ამის თქმაც არ იქნებოდა, ერთადერთი ის იყო, რომ რეტლიფი მთელ დამესდარაჯობდა სნოუჰისის სადარბაზოს, მაგრამ მისტერ უორნერი იქ იყო, კი უნდა ყოფილიყო იქ, აბა, მთელ ამხელა ამბავს რა აზრი იქნებოდა? მისტერ დე სპეინის ოქროს შარავანდედმოსილი ბანკიც კვლავინდებურად მშვიდად და საქმიანად მუშაობდა სამ საათამდე, ვიდრე დახურვის დრომ არ მოატანა; და თითქმის მაშინვე კრისტიანის აფთიაქიდან მოსულმა ბიჭმა მიუკაკუნა ბანკის გვერდით კარს; ხელთ უცვლელი ლანგარი ეჭირა „კოკა-კოლას“ ოთხი ჭიქითურთ – ორი ბუღალტერი ქალიშვილისთვის, მოანგარიშე მის კალბრიუსა და მოლარე მისტერ ჰავისისთვის მორთმეული. ჰოდა, მაშინვე კვლავინდებურად გამოვიდა მისტერ დე სპეინი, კვლავინდებურად ჩაჯდა თავის მანქანაში და ერთი ფერმისკენ გაემგზავრა, მისი საკუთრება რომ იყო ახლა თუ ბანკში რომ იყო დაგირავებული; კვლავინდებურად გაემგზავრა: არც აჩქარება ეტყობოდა, არც პანიკა, არაფერს დაურღვევია ჩვეულებრივი ფინანსური დღის მსვლელობა. ჰოდა, მერე, იმავე დღეს, შუადღემდე იყო თუ ნაშუადღევს, ვიღაცამ თქვა – თავად მისტერ სნოუჰსიც ვნახეო: ისიც ისეთივე ყოფილა, როგორც ჩვეულებრივ იყო ხოლმე – აუჩქარებელი და მშვიდი, პლანტატორის შავი შლაპით მოსილი, ისევე კვლავინდებურად მიდიოდა თავის იდუმალ და შეუცნობელ საქმეთა აღსასრულებლად.

ჰოდა, ხუთი საათი შესრულდა უკვე და მაინც, მოხდენით არაფერი მომხდარა; მალე სავანშმოდაც წავიდ-წამოვიდოდა თავ-თავის სახლებში ხალხი და ერთობ გვიან იქნებოდა; ჰოდა, მე კი მიწოდდა, კაბინეტში ავსულიყავი გვეინ ბიძიას მოსაცდელად, რათა მერე სახლისკენ ერთად გავყოლოდით, ოღონდ მაშინ ჯერ კიბე უნდა ამევლო და მერე ისევ ძირს დავშვებულიყავი; ჰოდა, იმას ვფიქრობდი – როცა კაცს რამის გაკეთება ეზარება, როგორ ამართლებს-მეთქი მის სიზარმაცეს ეს სიტყვები – საგაზაფხულო ციებ-ცხელება; მერე ისიც ვიფიქრე – იქნებ საგაზაფხულო ციებ-ცხელება გამართლება სულაც არ იყოს, რადგან იქნებ მართლა საგაზაფხულო ციებ-ცხელებაა-მეთქი.

ასე რომ, აღარ ავსულვარ, იმ კუთხეში გავჩერდი, სადაც გვეინ ბიძიას უნდა გამოევლო, და იქ დავუწყე ლოდინი. ჰოდა, უეცრად მისის სნოუჰსი დავინახე. უმაღლ შეატყობდით, რომ ის-ის იყო, კოსმეტიკის კაბინეტიდან გამოსულიყო, ჰოდა, გამახსენდა, დედაჩემმა რომ თქვა ერთხელ – მისის სნოუჰსი ჯეფერსონში ერთადერთი ქალია, კოსმეტიკის კაბინეტში არასოდეს რომ არ დადის, რადგან არც არაფრად სჭირდება იქ სიარული, იმ კაბინეტში ისეთი არაფერია, იმ ქალს თვითონვე არ ამშვენებდესო. ოღონდ ამჯერად სწორედ კოსმეტიკის კაბინეტიდან გამოვიდა მისის სნოუჰსი, ერთი წუთით შეჩერდა, მიმოიხედა, მერე შემობრუნდა და ჩემკენ წამოვიდა, დამინახა, მომიახლოვდა და მითხრა: „გამარჯობა, ჩიკ“, – ჰოდა, ჩემი კეპი მოვუხადე, ის კიდევ უფრო ახლოს მოვიდა ხელჩანთაგადაკიდებული, როგორც კეთილშობილ მანდილოსნებს აქვთ ხოლმე, ჰოდა, გახსნა კიდევ ის ხელჩანთა და რაღაც ამოაძვრინა.

- სწორედ შენ გეძებდი, – მითხრა, – ეს ბიძაშენს მიეცი, სახლში რომ მიხვალ.
- კარგი, მემ, – მივუგე. კონვერტი იყო ის რაღაცა.
- მადლობელი ვარ, – მითხრა. – რაო, როდელის ბიჭის ამბავი მეტი არაფერი უთქვამთ?
- არ ვიცი, მემ, – მივუგე, კონვერტი დაბეჭდილი არ ყოფილა, არც წარწერა ჰქონდა ზედ.

- იმედია, დროზე გახიზნეს მემფისში, - მითხრა, მერე - კიდევ მადლობელი ვარო, - დასძინა და წავიდა, როგორც იცის ხოლმე მუდამ სიარული - ისე კი არა, თითქოს პოინტერი ყოფილიყოს ნაბულის გაკეთების წინ, ლინდასავით, არა, ისე, თითქოს წყალი მიედინებო. ხომ შეეძლო, სახლიდანაც დაერეკა გვეინ ბიძიასთვის, ჰოდა, ის იყო, პირიც დავაღე იმის საკითხავად - რაღა თქმა უნდა, დედას არ ვუჩვენო-მეთქი? - ოღონდ დროულად გავჩერდი. ან რისი მაქნისი იყო ამის კითხვა, დედა ჯერ არც იქნებოდა შინ დაბრუნებული. თან ისიც გამახსენდა: დღეს ოთხშაბათი დღეა, დედა სარტორისებთან იქნება წასული ბაირონის წრის შეკრებაზე, თუმცა დედა კი ამბობდა - კარგა ხანია აღარც არაფერს ვკითხულობთ და აღარც რამეს ვისმენთ, იმიტომ, რომ ახლა ბრიჯს ვთამაშობთო; ოღონდო, დედამ ისიც თქვა, როცა მის ჯენი დიუ პრე გვეწვევა ხოლმე ჩვენს შეკრებაზე, ყავას და „კოკა-კოლას“ კი აღარ ვჯერდებით, არამედ პუნშს და კოქტეილებს გეახლებითო.

ასე რომ, არაფერი არ მომხდარა, ჰოდა, ახლა ერთობ გვიან იყო უკვე, მზე ჩადიოდა, ჩვენი მსხალი ერთი თვის წინ დაყვავილებულიყო და ჯაფარა შინდის ხეზე სტვენდა ხოლმე ღამდამობით, - საკვირველია სწორედ, სხვაგან რატომ არ გადაფრინდება და ძილს არ დააცლის კაცს. შინ არავინ დამხვედრია, ოღონდ ალექ სენდერი ჩამომჯდარიყო კართანაზე ხელში ბურთის და ტაფელის მჭრელი. - მოდი აქ, - მითხრა, - ბურთს დაგირტყამ ერთი-ორჯერ. - მერე მითხრა: - კარგი, შენ დამირტყი და მე მოვიგერიებ.

სახლში თითქმის ბნელოდა. ვახშმის სუნი მომწვდა, ესე იგი, გვიან იყო უკვე, - ალბათ ყველაფერი დასრულდა: მისტერ დე სპეინი თავის ახალ ავტომობილში ჩაჯდა და იმის სანახავად წავიდა, ბამბა რა შემოსავალს მისცემდა; მისის სნოუჰუსმა კიდევ კოსმეტის კაბინეტში თმა დაიხვია თუ სხვაფრივ მოირთო, იქნებ წვეულება აქვს ამაღამ სახლში და საიმისოდ ემზადებოდა, ასე რომ, იქნებ ჯერ არც არაფერი დაწყებულიყოს; იქნებ მისტერ უორნერიც არ არის ქალაქში, არამცთუ არ ჩამოსულა, იქნებ არც უფიქრია ჩამოსვლა, ჰოდა, ისე გამოდის, რომ რიდელის ბიჭის პოლიომიელიტმა გამოგვიწყო ეს არდადეგები და მეტი არაფერი. მაგრამ ამასობაში ისიც შემომესმა, გვეინ ბიძია როგორ შემოვიდა და კიბეს როგორ შემოუყვა, ჰოდა, კიბის თავთან შევეგებე, წერილის ხელში მჭერი. ჯერ მხოლოდ სილუეტს ვხედავდი მისას, კიბეზე რომ ამოდიოდა, ოღონდ მერე, თუმცა კი ბნელოდა, უცებ მისი სახე გავარჩიე და უცებვე ვთქვი:

- არ ივახშმებ, ხომ?

- არა, - მომიგო იმან. - დედას უთხარი.

- აჰა, - ვთქვი და კონვერტი გავუწოდე, და იმანაც ჩამომართვა ბარათი.

## 20. გვეინ სტივენსი

ოღონდ წახემსებით მაინც უნდა წამეხემსებინა. ჩემს კაბინეტში შევიარე, კარი გავაღე და რაზასანაბარა დავტოვე, მერე ჰაროუის დუქნისკენ გავემგზავრე სემინარი-ჰილზე და

ყველს და გალექს გახელით, თან ვუსმენდი ბერიკაცს, თავისი მაღაზიიდან უსაქმური ზანგები რომ გაეყარა, კარი შიგნიდან ჩაეკეტა და ახლა კალვინ კულიჯს ლანძღავდა.

სალამოს ათზეო, - ეწერა იმ ბარათში. მეტი არაფერი. სალამოს ათზე თქვენს კაბინეტში დამელოდეთო. არც - თუ თქვენთვის მოსახერხებელიაო, აღარც ის, რაღა თქმა უნდა, - როდის შეძლებდით თქვენს კაბინეტში ჩემს მიღებასო, უბრალოდ - სალამოს ათზეო. გასაგებია? ოღონდ ჯერ ის ვიკითხოთ - მე რა შუაში ვარ ვითომ? მე! კი ვეტყობი იმ სამივეს, არა - ოთხივეს, დე სპეინსაც თუ ჩავთვლიდით: თავს რატომ არ დამანებებთ, რაღა გინდათ ჩემგან, გარდა იმისა, რისი გაკეთებაც ერთხელ უკვე ვერ შევძელი-მეთქი? ოღონდ საამისო დრო კიდევ დამრჩებოდა; ახლაც მქონდა საამისო დრო დარჩენილი, სარდინი და გალექები მეჭამა და - რა უბედურებაა-მეთქი, წამომეძახა ხოლმე მისტერ ჰაროუეის მსმენელს. მისტერ ჰაროუეი (მზერადაბინდული ბერიკაცი, რკინისჩარჩოიანი სათვალის სქელ მინებში დიდრონ-დიდრონი თვალები რომ უჩანდა) იმას მიაშობდა, რა ინტრიგები მოუწყვეს თურმე პრეზიდენტმა და მისმა პარტიამ, ჰოდა, უცებ მკითხა: - ის თუა მართალი, ბილ უორნერი დღეს უთენია ჩამოვიდაო?

- დიახ-მეთქი, - მივუგე.

- აბა, წაუსწრია და ისაა! - ათრთოლდა, აცახცახდა და დახლს ჩამოეყრდნო, მამისეულ დახლს, ხორცის კონსერვის ქილებით, კოჭის ძაფებით, სავარცხლებით, ნემსებით, ექსტრაქტებით თუ ციების წამლის შუშებით გამოვსებულს (ამ ავლადიდების დიდი ნაწილიც მემკვიდრეობით ექნებოდა ალბათ დარჩენილი), და ხმაკანკალებული იმეორებდა: - ქმარმა ვერა, ხომ? მამამისი უნდა ჩამოსულიყო წასასწრებად, ჰოდა, თვრამეტი წლის მერე უნდა მომხდარიყო ეს ამბავი, ხომ?

კი, მაგრამ თქვენ ხომ ისევ იმათ ბანკში დააბრუნეთ თქვენი ფული, - მე ვუთხარი. - ჯერ გამოიტანეთ ის თქვენი ფული და ჯეფერსონის ბანკს მიაბარეთ, როცა ვიღაცამ იმ ცოდვის, იმ თავის მოჭრის ამბავი გითხრათ. ჰოდა, მერე უკანვე დააბრუნეთ. იმიტომ ხომ არ გიქნიათ მაგ ამბავი, რომ ის ქალი ნახეთ ბოლოს და ბოლოს? ერთხელ შემოვიდა ამ თქვენს დუქანში, ჰოდა, თქვენი თვალით ნახეთ და მიხვდით, როგორი ქალიცაა, დაიჯერეთ, რომ ის ქალი არ ყოფილა არაფერში დამნაშავე. ასე არაა?

- ქმარს ვიცნობდი მისას! - ლამის იყვირა ბერიკაცმა, თან იმასაც ცდილობდა, ხმისთვის დაეწია, რათა ზანგებს არ გაეგონათ, რას ვლაპარაკობდით. უკეთ - ის რას ამბობდა. - ქმარს ვიცნობდი მისას! ის კი იყო ღირსი, იყო!

ამ დროს მეც გამახსენდა: - დიახ - ვუთხარი, - დღეს ქალაქში გნახეთ, მგონი. - და მივხვდი კიდევ: - დღეს ისევ წამოიღეთ თქვენი ფული, ხომ? ისევ გამოიტანეთ და ჯეფერსონის ბანკს მიაბარეთ დღეს, ასე არაა? - ბერიკაცი კიდევ იდგა და ცახცახებდა, თუმცა კი ცდილობდა, კანკალი შეეჩერებინა. - რატომ ქენით? - ვუთხარი. - რატომ-მეთქი? რაღა მაინცდამაინც დღეს ქენით მაგ ამბავი?

- ის ქალი უნდა წავიდეს აქედან, - მითხრა იმან. - ორივე წავიდეს, ის ქალიც და დე სპეინიც.

- კი, მაგრამ რატომ-მეთქი? - მეც ხმადაბლა ვთქვი, რომ არავის გაეგონა: დამდგარა ორი თეთრკანიანი და თეთრკანიანი ქალის მრუშობის ამბავს ჰყვება ზანგების თანდასწრებით. ეს კიდევ არაფერი, ისეთი მრუშობის ამბავს ჰყვებიან, ქალაქის უმაღლესი სფეროები რომ არის შიგ გარეული - თეთრკანიანი ხალხი, ბანკირები. - რაღა მაინცდამაინც ახლა-მეთქი? აბა, ის სხვა ყოფილა, ქმარი როცა გატრუნული

ითმენს ამ ამბავს, ჰოდა ის კიდევ სხვა - ვიღაცა რომ წაასწრებს, თქვენი ნათქვამის არ იყოს, და მთელ ქალაქს მოჰფენს ხმას. აბა, ახლა ისინი მხოლოდ ცოდვილნი, მხოლოდ დამნაშავენი, მხოლოდ ჭირიანები არიან თქვენთვის, ხომ? აბა, არც ერთგულება ღირებულა არაფრად, არც თვრამეტ წელიწადს ძალდაუტანებლად ზედ გადაგება?

- ხომ არაფერი მოგართვით კიდევ? - მკითხა იმან. - დავიღალე, სახლში წასვლის დროა. - გალერეაში გამოვედით. რამდენიმე ზანგი კიდევ იდგა იქ, მათი სახეები და ხელები ნელ-ნელა სიბნელეს ერწყმოდა, უფრო ღია ფერის ხალათები, შარვლები და ქუდეები უჩანდათ. ბერიკაცი მოცახცახე ხელებით ადებდა კარს მძიმე ბოქლომს და გასაღებით კეტავდა. და ამ დროს მე ჩემთვისვე მოულოდნელად აღმოვთქვი ხმამაღლა:

- კაცმა რომ თქვას, ბანკის მომდევნო პრეზიდენტი უარესი აღმოჩნდება ალბათ, იმიტომ, რომ გუბერნატორი სმიტი იქნება მომდევნო, ჰოდა, თქვენ, რასაკვირველია, მოგეხსენებათ, ვინც არის გუბერნატორი სმიტი - კათოლიკე გახლავთ! - შემრცხვა და სიტყვის დროულად გაწყვეტა დავაპირე, მაგრამ ვერ მოვახერხე, ანდა იქნებ უნდა შემრცხვენოდა და დროულად შევჩერებულიყავი, ოღონდ არ მოვისურვე. არადა, კაცმა რომ თქვას, ვინ ვიყავი, ვისი მოვლინებული, რომ ასე ბრმად ჩავრეულიყავი ყველაფერში, მარჯვნივ თუ მარცხნივ, თითქოს ბუნების რაღაც უსინათლო, უგონო დაუმნიშვნელო ძალა არისო? ისედაც ჩავაშხამე უკვე ვახშამიც და ძილიც ბერიკაცს, აქვე ჩემ გვერდით მდგარი, მძიმე ბოქლომს რომ კეტავდა და ისეთი სახე ჰქონდა, გინდაც გამერტყას მისთვის, - იმ ბერიკაცს, თავისებურად, მისნაირთა მსგავსად კეთილი კაცი რომ იყო და მის სიცოცხლეში არც თერთკანიანისთვის და არც შავკანიანისთვის ბოროტი რომ არ უყვია ნებით თუ უნებლიეთ; ორიოდ ცენტი თუ წაუმატებია თავისი საქონლისთვის ნისიად და არა ნაღდად გაყიდვისას, ნახევარ ფასად ან უფრო იაფადაც თუ გაუტანებია (ანდა სულაც უფასოდ მიუცია) ვინმე ზანგისთვის წამხდარი ხორცი, მძალე ქონი თუ აშშორებული ფქვილი, თეთრკანიანს რომ არ გაატანდა არაფრის დიდებით, თუკი, რაღა თქმა უნდა, ქრისტიანი იყო ის თეთრკანიანი და თანაც პროტესტანტი. ახლა კი ჩემკენ ზურგით იდგა ის ბერიკაცი, ვეება ბოქლომს მოცახცახე ხელებით კეტავდა და ისეთი სახით ბურტყუნებდა რაღაცას, თითქოს მართლა გამერტყას მისთვის:

- წავიდნენ აქედან, ორივე წავიდეს.

აქვე, შორიახლოს ბორცვებია ჩამწკრივებული. სემინარი-ჰილს უნდა შემოუარო და იმ ბორცვებთან გახვალ რბილი, ნება-ნება მიმავალი თემშარა გორაკს შეუყვება და მერე ფართო გზატკეცილს უერთდება, ჯეფერსონიდან დიდი ქვეყნიერებისკენ გაწოლილს. აქ რომ შემობრუნდები, ქვემოთ მთელ იოკნაპატოფას ოლქს დაინახავ მიწურვილი დღის დაბინდულ სინათლეზე. ცაზე ვარსკვლავები აკიაფებულა, ისიც ჩანს, ახალ-ახალი ვარსკვლავები როგორ ჩნდება იმათ შორის, ცივი და ნელი შუქით რომ ციმციმებენ უკვე. ჩრდილო-დასავლეთიდან ზენიტისკენ ერთიან უსასრულო მწვანე მდუმარებაში დანთქმულა დღე და მაინც, ისე გეჩვენება, დედამიწიდან, ქვემოდან კი არ იკრიფება სინათლე, დედამიწიდან კი არ იხევს უკან, საზეოსკენ, სწორედ დაბლობებში შერწყმულა და შენივთებულა წამით, ასე რომ, თავად მიწა, ნიადაგი ნათობს და ოდენ ხეთა ხშირი გვირგვინი ამოზიდულა მის ზემოთ ბუნდად და უძრავად.

და უეცრად, თითქოს ძახილზე წამოშლილიყვნენ, აურაცხელი ცივინათელა გამოეფინა, სიბნელეში აცეკვდნენ და არიალდნენ დაუცხრომლად. არცა რას მძებნელნი, არცა რას მკითხველნი ერთიან ხოროდ შერწყმულან, თითქოს წვრილი, გაუწყნარებელი,

დაუცხრომელი ხმები, ძახილი, სიტყვები ყოფილიყოს. და დგახარ აქ, ამ დაუშრომელ სიზმარულ ციალში მთელი შენი ცხოვრების შენაჯამის მარტოსულ მეუფედ. შენს ფერხით - ველის შუაგულში - ჯეფერსონი აფენს მკრთალ სინათლეს, ჯეფერსონს იქით მთელი ოლქი გაწოლილა, და დგახარ აქ ყოველსავე განშორებული, უფალი ღმერთის დარად, თავს დასდგომიხარ შენი საგვარეულოს აკვანს, ყველა იმ მამაკაცისა და ქალის კერას, ვინც შეგქმნა შენ, თავს დასდგომიხარ მშობლიური მხარის ისტორიას და მატთანეს და თვალწინ გადაგეხსნება ის მატთანე, რკალებად იშლება უსიზმროდ მითვლემილი შენი წარსულის წიად, თითქოს ჭავლი ყოფილიყოს წყლის ზედაპირზე; გულშეუძრავი და მიუხეხელი ამართულხარ აქ, ასე დამზერ კაცობრიული ვნებათაღელვის, იმედისა და უბედურების ამ ნამუსრევს - პატივმოყვარეობას, შიშს, გულისთქმასა და გულოვნებას, განდგომასა და სიბრაულს, ღირსებას, ცოდვასა და სიამაყეს, - და ყოველსავე ამას, ხრწნადსა და განქარვებადს, ობობას ქსელივით შემობლარდენია ველური გულხარბობა კაცისა, და მაინც, ეს ყოველივე მისი ოცნებისკენ არის მიმსწრაფი.

და დგახარ აქ ეს დროული კაცი, ერთიანად მხცით მოსილი (რა ბედენაა, ნაადრევს რომ უწოდებენ ამ შენს ჭალარას, თავად ცხოვრებაც ხომ ნაადრევია მუდამ და ამიტომაც არის ესოდენ გულის მომწყვლელი და შფოთის დამტეხი), მალე ორმოცისაც შეიქნები, ცოტადა დაგრჩენია ორმოც წლამდე, ხოლო დაბლიდან საგაზაფხულო მწუხრი მოიწევს შენკენ, უძილო მწუხრი და, თუმცა წყვდიადის მოდასე კი ეთქმის მწუხრს, მაინც წყვდიადის მძლეველია, რამეთუ წყვდიადი ძილად სახელდებული მცირე სიკვდილის მოდასე გახლავთ.

ჰოდა, ახლა ჭეშმარიტად დადგა ის უკანასკნელი წუთი, როცა კიდევ შეიძლებოდა არჩევანის მოხდენა და იმის გადაწყვეტა - უნდა მეთქვა თუ არა: რაღა მაინცდამაინც მე-მეთქი? რატომ მაწვალე, რატომ არ დამეხსნებით? მე რატომ უნდა გადავწყვიტო - მე ვარ მართალი და თქვენს ქმარს თქვენი საყვარლის სისხლი სწყურია, თუ რეტლიფი ამბობს მართალს და თქვენს მეუღლეს თქვენც ფეხებზე ჰკიდებართ და თავისი პირადი ღირსებაც, დე სპეინის ბანკის მეტი არაფერი აინტერესებს-მეთქი, - ჰოდა, ქალაქის მოედანი ცარიელი იყო, სასამართლოს შენობიდან საათის ოთხი ერთნაირი ციფერბლატი დაჰყურებდა და იმ ციფერბლატებზე ათს ათი წუთი აკლდა ჩრდილოეთის მხარეს თუ სამხრეთისკენ, აღმოსავლეთით თუ დასავლეთით. სულ ერთიანად დაცარიელებულიყო მოედანი, მხოლოდ ახალგამოსულ ფოთოლთა ჩრდილები, ფარნის შუქით დაფენილი, წვრილ-წვრილ კბილთა დარად აჩნდა ფილაქანს; ყველა დუქანი დაეკეტათ უკვე, ყველგან სიჩუმე დასადგურებელიყო. ოღონდ შორს კიდევ ილანდებოდა კინოს უკანასკნელი სენსებიდან გამოსული ხალხი. ნეტავი თვითონ მიმხვდარიყო ის ქალი, რომ მე იმის თქმა აღარ დამჭირებოდა - ამ გასაჭირშიც მანფრედ დე სპეინი მოგეშველოთ, მაშინ, თვრამეტი წლის წინ ხომ არ შეყოყმანებულხართ, რომ თქვენი ხანძარი მანფრედის შემწეობით ჩაგექროთ-მეთქი. თუმცა იქნებ ისიც იცით წინასწარ, რომ ახლა ველარაფერს გისაშველებთ ის კაცი, რამეთუ ბანკი მდედრობითი სქესის არსება არ გახლავთ და არც სულდგმულია-მეთქი.

ჰოდა, ამასობაში, რაღა თქმა უნდა, ოტის ჰარკერი მომევილინა - სადამო მშვიდობისა, მისტერ სტივენს, - მითხრა. - თქვენი მანქანა დავინახე დავიფიქრე - იქნებ ბანდიტები აპირებენ ბანკის ან ფოსტის გაძარცვას, ცოტათი მაინც გავერთობი-მეთქი.

- ჰოდა, იურისტი შეგრჩათ ხელში, ხომ? - ვუთხარი მე. - იურისტებმა რა უნდა გაგართონ, ან რა ხეირი უნდა დაგაყარონ, ასე არაა?

- მე მთლად მასე არ ვიტყვოდი, - მითხრა იმან. - ერთი კია - როგორც ეტყობა, იურისტები დაძინებას არ უნდა აპირებდნენ, ასე რომ, თუ კიდევ ფიქრობთ აქ დარჩენას, მე ჩემს საპოლიციოში მივდებ თავს ცოტა ხნით, ჰოდა, ჩემ მაგივრად თქვენ ადევნეთ თვალი, საათის ისრები როგორ მიდი-მოდის... - თან მომჩერებია, ამას რომ მეუბნება. არა, უბრალოდ კი არ მომჩერებია, მოკრძალებით მაკვირდება, როგორც მისისიპელ ზრდილ კაცს შეშვენის. პირმოთნედ კი არა, უტიფრად კი არა, ისე, მომლოდინე მზერით მიყურებს.

- ოღონდ თუკი...

- ჰო, თქვით ბარემ, - ვუთხარი მე.

- ოღონდ თუკი მისტერ ფლემ სნოუპსი და მისტერ მანფრედ დე სპეინი არ გამოვარდნენ ახლა მოედანზე, ჰოდა, ბილ უორნერი თუ არ გამოენთო იმგენს რეკოლვერით ხელში.

- ღამე მშვიდობისა, - მე ვუთხარი. - ამაღამ შეიძლება, ვეღარ გნახოთ მეტი.

- ღამე მშვიდობის, - მითხრა იმან. - აქ ვიქნები სადმე ახლომახლო. ალბათ არც დავიძინებ. არ ივარგებს, მისტერ ბაკს რომ მოუხდეს ლოგინიდან გამოძრომა და აქეთ გამოჩქარება, ჰოდა, მე მეძინოს ამ დროს.

ხედავთ? რას იზამ კაცი! ოტის ჰარკერიც იქით მიერეკება: ფულს იმაში უხდინან, რომ ღამდამობით არ იძინოს, ესე იგი, დღისით უნდა გამოიძინოს ხოლმე შინ. ოღონდ ასეთ შემთხვევას ხელიდან არ გააშვებინებს: თავისი თვალთ ნახა, დილის ოთხ საათზე მოედანზე რომ მიემგზავრებოდა ბილ უორნერი ფლემ სნოუპსის სახლისკენ. ჰო, რას იზამ კაცი: მთელი ქალაქი ოფიციალურად ამეტყველებულა თავისი ღამის პოლისმენის პირით; მთელი ოლქი დადადებს ერთი თავისი წვრილფეხა მასხარას პირით; თვრამეტი წლის წინ, როცა მანფრედ დე სპეინს ის ეგონა მხოლოდ - ფეხმსუბუქ სოფელ ლილითს ვუწევარო გვერდში, კაცმა რომ თქვას, უკვე მაშინ ქმნიდა ამ თავაწყვეტილ ფოლკლორს.

მაგრამ მე ათი წუთი კიდევ მქონდა დარჩენილი, მოდარაჯე ოტისი კიდევ ნახევარ საათს მოუნდება ბამბის საწმენდი ფაბრიკის, კომპრესორისა და იქაური სხვა შენობების შემოვლას და მერე მოედანზე დაბრუნებას. ახლა მაგონდება, რომ სიგარეტის სუნი მანამდე მომწვდა, ვიდრე დაუკეტავად ნაგულავები კარის სახელურს შევაბრუნებდი: ხომ მე თვითონ საგანგებოდ დავბრუნდი და გავაღე კარი, ჰოდა, ჯერაც იმის მომეცადინე - სახელური შევაბრუნო-მეთქი, თამბაქოს სუნს ვიყნოსავდი, როცა რაზამ შიგნიდან გაიჩხაკუნა, კარი მოფრიალდა და ოთახის მრუმე ფონზე მკრთალ სინათლეში ის ქალი დავინახე. ოღონდ მის თმას მაშინვე შევაველე თვალი, მივხვდი, საპარიკმახეროში რომ იყო ნამყოფი, თუმცა მეგი იტყოდა ხოლმე - საპარიკმახეროში ერთხელაც არ შესულაო; რაღა თქმა უნდა, თმა არ შეეჭრა იმ ქალს, არც დაეხვია, მაგრამ რაღაცა კი მოსვლოდა თმას, არ ვიცი, რა, ერთადერთი ის ვიცი, რომ ჩემი სტუმარი საპარიკმახეროში იყო ნამყოფი ნამდვილად.

- კარგი გიქნიათ, კარი რომ ჩაგიკეტავთ, - მე მგონია, ოტის ჰარკერმა უკვე...

- არა უშავს! - თქვა იმან, მაშინ კარი მივიხურე, გასაღებით ჩავკეტე და მაგიდის ნათურა ავანთე. - თუ გნებავთ, ყველა ნათურა ჩართეთ, - თქვა იმან, - დამალვა არ მიფიქრია, ისე არ მქონდა არავისთან მუსიაფის ხასიათი.



- გასაგებია, - ვუთხარი და მაგიდას მივუჯექი. ჩემს მისვლამდე ის ქალი კლიენტების სავარძელში იჯდა და სიბნელეში ეწეოდა; საფერფლეში ჯერაც ბოლავდა სიგარეტი ორი ნამწვის გვერდით. ახლა ისევ ჩაესვენა მაგიდასთან მდგარ იმ სავარძელში, სინათლე მხარზემოდან ეფინებოდა და მუხლებზე, ხელჩანთაზე ერთობ მშვიდად დასვენებულ ხელებს უნათებდა. ოღონდ მის თმას კარგად ვარჩევდი - არც ტუჩებს მისას, არც ფრჩხილებს კოსმეტიკის კვალიც არ ეტყობოდა, თმა ამხელდა მხოლოდ, საპარიკმახეროში რომ იყო ნამყოფი. - საპარიკმახეროში ბრძანებულხართ, - ვუთხარი მე.

- დიახ, - მომიგო. - ჩიკი შემხვდა იქ.

- არა, ოღონდ იქ არა, - აღმოვთქვი და მაშინვე შევეცადე, თავი დამეოკებინა, - ოღონდ იქ არა, სადაც წყალი და საპონი განუყრელნი, განუშორებელნი არიან. - სულ იმის ცდაში ვიყავი, შემეჩერებინა თავი. - ჩიკს რამდენიმე წელი მაინც აკლია სამაგისოდ. - აქ კი შევჩერდი ბოლოს. - კარგი, - ვუთხარი, - ყველაფერი მიაბზეთ. ისეთი რა უნდა აეტანა დედათქვენისთვის, რომ ამის მერე ბიძია ბილი ღამის ორ საათზე ქალაქში გამოვარდნილიყო?

- აგერაა თქვენი ჩიბუხი, - მითხრა იმან. ჩიბუხები სპილენძის თასში ეწყო თამბაქოს გვერდით. - სამი გქონიათ. მე რომ ერთხელაც არ მინახავს, როგორ ეწევით? მაინც როდის ეწევით ხოლმე?

- მაგ არაფერი, - ვუთხარი. - რა აუტანა ისეთი?

- ანდერძი, - მომიგო იმ ქალმა.

- არა, არა, - ვთქვი მე. - ანდერძის ამბავი კი ვიცი, რეტლიფმა მითხრა მაგ ამბავი. მე იმას გეკითხებით - ფლემმა რა წაუღო-მეთქი დედათქვენს გუმინ დილას?

- ხომ მოგახსენეთ - ანდერძი-მეთქი.

- ანდერძიო? - აღმოვთქვი მე.

- ჰო, ნაჩუქრობის ხელწერილი. იმ ხელწერილის ძალით, ყველაფერი, რასაც ლინდა მემკვიდრეობით ჩემგან მიიღებს, მამამისს... იმ კაცს უნდა გადაეცეს. - ჰოდა, მე ისევ ისე ვიჯექი, ის ქალიც მაგიდას მოსჯდომოდა ჩემ პირისპირ, მაგიდის ნათურა ქვემოდან გვაშუქებდა ისე, რომ, კაცმა რომ თქვას, კარგად ხელებს თუ ვხედავდით ერთიმეორისას: მაგიდაზე დაწყობილ ჩემს ხელებს და მუხლებზე, ხელჩანთაზე განაბულ მის ხელებს, თითქოს ორი მითვლემილი არსება ყოფილიყოს; ხმაც ძილმორეული ჰქონდა იმ ქალს და ამიტომაც არც ნაღველი იყო ჩამომდგარი, არც მღელვარება, არც ნაწყენობა ჩემს მომცრო, ყოველივესგან გამომიჯნულ ოთახში.

- დიახ, ანდერძი-მეთქი. ლინდამ თვითონ მოიგონა ეს ამბავი. ძალა არავის დაუტანებია. გამიგეთ? ლინდას სჯერა - მე მომაფიქრდა, ჩემი სურვილი იყო, მე თვითონ მოვინდომე ასე და ყველაფერი მე თვითონვე გავაკეთეო. ახლა ვეღარავინ გადაარწმუნებს. არც არავინ შეეცდება ამას, არავინ! ამიტომაც მოგაწვდინეთ ბარათი.

- ყველაფერი მიაბზეთ, - ვუთხარი მე, - ყველაფერი.

- ის ამბავი... ის კოლეჯები. თქვენ როცა ჩააგონეთ - წასვლა მინდა, აქედან თავის დაღწევა მინდაო, ჰოდა, იმ ასარჩევი კოლეჯების ამბავი, მანამდე მაგ ამბის არაფერი იცოდა. ბუნებრივია, ქალიშვილ ქალს - ახალგაზრდობას გულმა გაუწიოს იქით, იმნაირი კოლეჯისკენ, ჰოდა, ადრე იმ კოლეჯების არაფერი იცოდა და ვერც იმას ხვდებოდა, რაღა თქმა უნდა, კოლეჯში წასვლა მინდაო. ვითომ იმ კოლეჯში შესასვლელად მარტო ის კმაროდეს, შეარჩიო - რომელი უფრო მოგეწონება ადამიანს, ჰოდა, გაემგზავრო მერე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მე - კი-მეთქი, ვუთხარი. ოღონდ მერე მამამისმა - იმ კაცმა - არაო.

ისე გამოვიდა, ვითომ მანამდე სიტყვა „არა“ არ სცოდნოდეს, პირველად გაეგონოს ის „არა“. გავიხედე და ჩხუბი მოხდა. არ მიყვარს ჩხუბი და აყალმაცალი. არ ვარგა ჩხუბი. რა გაქვს საჩხუბარი? შენის გატანა როცა გინდა, უნდა გაიტანო და მოთავდა საქმე. ოღონდ ლინდამ ეს ამბავი არ იცოდა, გამიგეთ? იქნებ ვერც მოასწრო ამ ამბის შეტყობა, ჩვიდმეტის იყო, მეტის კი არა. თქვენც კარგად მოგეხსენებათ ყველაფერი. ოღონდ შეიძლება, სხვა რაღაცაშიც იყოს საქმე. იქნებ ზედმეტად იცოდა ლინდამ. იქნებ მაშინვე იცოდა, მაშინვე გრძნობდა - მაჯობაო. მაინც წავალო, უთხრა, მაინც წავალო! შენ ხელს ვერ შემიშლი, ჯანდაბას შენი ფული, დედამ თუ არ მომცა, ბაბუა მომცემს, ანდა მისტერ სტივენსიო. კი, ნამდვილად ასე უთხრა. ის კაცი ხმის გაუღებლად იჯდა - სუფრიდან ჯერ არ ავმდგარიყავით. ლინდა იდგა მარტო, ის კიდევ იჯდა, ჰოდა, ასე უთხრა - სწორია, ხელს ვერ შეგიშლიო. მაშინ ლინდამ - ჰო, შენი ჭირიმეო. იცოდა ლინდამ, რომ უკვე ეჯობნა მისთვის იმ კაცს, იმ კაცმაც იცოდა ეს ამბავი. ეს უთხრა - არა, მე ის მინდა, აქ დარჩე და პანსიონში შეხვიდეო.

ეს იყო და ეს. უკეთ რომ ვთქვათ... არაფერი. ჰო, მეტი არაფერი. ხომ გესმით, ბავშვს - ყოველ შემთხვევაში, გოგოს - არ შეუძლია, გულით მოიძულოს მამამისი, გინდაც ეჩვენებოდეს - უკვე მოვიძულე ან უნდა მოვიძულო, მინდა მოვიძულოო, რადგან მისგან სწორედ ამას ელოდებიან ყველანი, იმიტომ, რომ ასე უფრო საინტერესოა, უფრო რომანტიკული ამბავი გამოვა...

- დიახ, - ვთქვი მე, - ჰოდა, ქალიშვილებს, ქალებს რომანტიკა არაფრად ესაჭიროებათ, იმათ ფაქტები აინტერესებთ მხოლოდ. ჰო, მარტო თქვენ კი არ გითქვამთ ეს ჩემთვის, რეტლიფმაც მითხრა, თანაც მგონი, იმავე დღეს.

- ვლადიმირმაც გითხრათ? - მკითხა იმან.

- არა, რეტლიფმა-მეთქი, - ვუთხარი. მერე ვთქვი: - მომითმინეთ! მერე დავსძინე: - ვლადიმირმა? ვლადიმირმაო, ბრძანეთ? ვ. კ. - ნუთუ ვლადიმირი ჰქვია?

ამასობაში ის ქალი სულ გაყურდა, მუხლებზე ჩამოწყობილი, ძილმორეულ არსებათა მსგავსი, საკუთარი სიცოცხლით სულჩადგმული ხელებიც კი გაუშემდა.

- არ მინდოდა გამეთქვა, - მითხრა მერე.

- დიახ, - ვთქვი მე, - მესმის: არავინ იცის, ვლადიმირი რომ ჰქვია, ვლადიმირის სახელის მქონე კაცი იმის იმედად ვერ იქნება, რომ საარსებო სახსარს მოიპოვებს საკერავი მანქანების თუ სხვა რამე საქონლის გასაღებით ამ ჩვენს სოფელ ადგილას, მისისიპის შტატში. ოღონდ თქვენთვის ყველაფერი მოუყოლია, ის საიდუმლო გაუმხელია, ისევე გაუთქმელად რომ ინახავენ, როგორც უკანონოდ შობილი ბავშვის ან ოჯახში შეშლილის ყოლის ამბავია გაუმხელელი. რატომ გაგიმხილათ? არა, ნუ მიპასუხებთ. მე თვითონ არ ვიცი, რატომაც გიამბოთ ყველაფერი? მე თვითონაც არ

ვიყნოსე ერთხელ იმავე სასმლის დამატრობელი სურნელი? ჰო, მიაძმეთ. არ გავთქვამ. ვლადიმირ კ, ხომ? კ. რაღას ნიშნავს?

- ვლადიმირ კირილიჩი ყოფილა.

- ვლადიმირ კირილიჩი, ხომ? მერე? რეტლიფი არაა მისი გვარი? „კირილიჩი“ ხომ მამის სახელია მხოლოდ. ყველა რუსის მამის სახელი „იჩუე“ ან „ოვნაზუე“ თავდება. ეს ვისმე ძეს ან ასულს ნიშნავს. ჰოდა, სანამ რეტლიფი გახდებოდა, მანამდე რა გვარის იყო?

- თვითონაც არ იცის. მისი პაპის პაპის პაპა, ექვსი თუ შვიდი, ანდა იქნებ ათი თაობის წინანდელი წინაპარი, ის ყოფილა... რა ჰქვია იმას? ლეიტენანტი კი არა, რაღაცა მაგდაგვარი...

- პრაპორშჩიკი?

- ...ყოფილა ბრიტანეთის არმიაში, რევოლუციის დროს რომდაუმარცხებიათ...

- აჰა, - ვთქვი მე, - ბერგონის და სარატოვის დროს.

- ...ჰოდა, ის წინაპარი ვირჯინიაში გაუსტუმრებიათ და დავიწყებიათ, ჰოდა, ვლა... ის პაპის პაპის პაპა გაქცეულა. რასაკვირველია, ქალს გადაურჩენია, ქალიშვილ ქალს, დაუმალავს და შეუწახავს. ოღონდ ის ქალი „რეტკლიფად“ იწერებოდა, ჰოდა, მერე დაქორწინდნენ, ვაჟი ეყოლათ, თუ ჯერ ვაჟი შეეძინათ და მერეა დაქორწინდნენ, ერთი სიტყვით, იმ ვაჟმა ინგლისურად აიდგა ენა, ვირჯინიაში ფერმერი შეიქნა თურმე. მისი ბადიში თავის გვარს ჯერაც კ-ს გამოუტოვებლად წერდა, იმასაც ვლადიმირ კირილიჩი რქმევია, თუმცა ეს ამბავი არავინ იცოდა. ჰოდა, ექიმ ჰებერშემთან, ალექსანდრ ჰოლსტონთან და ლუი გრენიესთან ერთად ჩამოსულა მისისიპიში, ჯეფერსონი იმათ დაუარსებიათ. ოღონდ ის უკვე „რეტკლიფად“ კი არა, „რეტლიფად“ იწერებოდაო, ჰოდა, ერთ-ერთ ვაჟიშვილს ყოველთვის ვლადიმირ კირილიჩს არქმევნო. თქვენ მართალს ბრძანებთ, რაღა თქმა უნდა, ამნაირი სახელის დიდი მოიმედე ვერ იქნება - მისისიპიში ლუკმაპურს ვიშოვიო.

- არა, - შევყვირე მე. - მომითმინეთ. არაა ეგ მართალი. არც ერთი სიმართლეს არ ვამბობთ. ყველაფერი ზუსტად პირიქითაა. ყველას რომ სცოდნოდა ის ამბავი - მართლა ვლადიმირ კირილიჩი ჰქვიაო, დიდი ხანია მილიონერი გახდებოდა, რადგან, სადაც უნდა მისულიყო, ყოველი დედაკაცი მისგან იყიდდა, მას გაუცვლიდა, მას დაევაჭრებოდა, რაც კი რამე აქვს იმას გასაყიდი. თუმცა იქნებ ასეცაა საქმე? - ვთქვი, არა, შევყვირე მე. - იქნება იციან კიდეც? კარგი, - ვთქვი მერე. - დაამთავრეთ.

- ეს სახელი ყოველ თაობაში უქვევლად მეორდება თურმე. იმიტომ რომ ვლა... ვ. კ. ამბობს - ილბლიანი სახელიაო.

- ოღონდ ფლემ სნოუპსის წინააღმდეგ კი ვერ გაჭრა მაგ ილბალმა, - ვუთხარი. - იმ დამეს, ვ. კ. ფლემ სნოუპსს რომ გადააწყდა ფრანგის ნასახლარზე, ბაღში, თქვენნი ტეხასიდან ჩამობრუნების მერე... კარგი, - ვთქვი მერე. - ესე იგი, ყველაფერი იმიტომ მოხდა, მამის მოძულეობა რომ არ შეიძლება, ხომ?

- ბევრი რამე გაუკეთა ლინდას ფლემმა, ისეთი რამეებიც, ლინდა რომ არც კი ელოდა, არც სთხოვდა არასოდეს. ისეთი რამეები, გოგოებს გულს რომ გაუხარებს

ხოლმე, გეგონებოდათ, მის აზრებს მანამდე ხვდება, სანამ ლინდა გაფიქრებას მოასწრებდესო. ფული მომცა, მემფისში გაგვისტუმრა ორივენი სკოლის დამთავრებისას ლინდასთვის რაღაც-რაღაცების საყიდლად, მარტო ჩვეულებრივი კაბის კი არა, ნამდვილი სამეჯლისო კაბის, უამრავი სამეჯლისო ტანსაცმლის საყიდლად, ერთი სიტყვით, გაამზიოთ. იმასაც კი შეეცადა... მოკლედ, უთხრა - მთელ შენს კლასს პიკნიკს მოვუწყობო, ოღონდ ლინდამ იუარა. გამიგეთ? ლინდასთვის მამა იყო ის კაცი, თუმცა მტრად კი ექცა. გასაგებად ვამბობ? ის ლინდა, - შენი ჭირიმეო, - რომ ეხვეწებოდა, მის ნაჩუქარ კაბებს იღებდა, ჰოდა, იმ ლინდამ, - ხელს ვერ შემიშლიო, - რომ ამბობდა, პიკნიკის გამართვა იუარა. მერე იმ ზაფხულს ფლემმა ფული მომცა და ზღვისპირა სასტუმროში ადგილებიც შეუკვეთა ჩვენთვის, - გახსოვთ იქნება...

- მახსოვს, - ვთქვი მე.

- ...მთელი თვით დაგვაბინავა, რომ ლინდას შესძლებოდა, ზღვაში ებანავა, ახალგაზრდებს, ყმაწვილკაცებს რომ შეხვედროდა. ყმაწვილკაცებსო, - ასე თქვა სწორედ. ჰოდა, რომ ჩამოვბრუნდით შემოდგომაზე, ლინდა პანსიონში შევიდა და მერე ფლემი ჯიბის ფულს აძლევდა ხოლმე. ძნელი დასაჯერებელია, ხომ?

- არა, მე მჯერა, - ვუთხარი. - ბრძანეთ.

- ბევრ ფულს აძლევდა, ლინდას რომ დასჭირდებოდა, იმაზე მეტს, ჩვიდმეტი წლის ქალიშვილისთვის ერთობ ბევრ ფულს ჩუქნიდა. მით უმეტეს - ჯეფერსონელი ქალიშვილისთვის. მაგრამ ლინდა ართმევდა იმ ფულს, თუმცა კი არაფრად ესაჭიროებოდა, პანსიონშიც დადიოდა, თუმცა არც ეს ამბავი იყო არაფრის მაქნისი. იმიტომ, რომ მამამისი გახლდათ ის კაცი. ამ ამბავს ნუ დაივიწყებთ. დაგამახსოვრდებათ?

- ბრძანეთ, ბრძანეთ, - ვუთხარი მე.

- ეს ამბავი შემოდგომაზე გახლდათ და ზამთარში. ბევრ რამეს ჩუქნიდა - კაბებს, ჩვიდმეტი წლის ჯეფერსონელ ქალიშვილს რომ არაფრად ესაჭიროებოდა, ზედმეტი იყო მისთვის. თქვენ ეს ამბავიც შენიშნეთ ალბათ. ბეწვის ქურქიც კი უნდოდა გამოეწერა, ოღონდ ლინდამ - არ მინდაო, დროზე იუარა, ძველ ჭკუაზე დადგა ისევ - ხელს ვერ შემიშლიო, რომ ეუბნებოდა. ხანდახან მაინც ხომ უნდა შეეხსენებინა - დამნაშავედ მიმაჩნისარო: ქალიშვილის პირობაზე საჩუქრებს კი იღებდა მამამისისგან, ოღონდ მტერს არ მოესყიდვინებოდა.

მერე ზაფხული დადგა, შარშანდელი ზაფხული. მაშინ მოხდა სწორედ ის ამბავი. ჩემი თვალით ვნახე, სუფრას ვუსხედით ყველანი, ჰოდა, იმან უთხრა - ამ ზაფხულს სად გირჩევნია წასვლა, ისევ ზღვაზე თუ მთებში ჯობსო? იმაზე რას იტყობი, დედაშენთან ერთად ნიუ-იორკში რომ გაემგზავროო? - ამით მოისყიდა სწორედ; ლინდა უკვე ძლეული იყო: მაგ მგზავრობა ალბათ ძალიან ძვირი დაჯდებაო, - უთხრა. ჰოდა, იმან - ეგ არაფერი, როდის გერჩივნა გამგზავრებო? ამაზე ლინდამ - არა, ძალიან ძვირი დაგვიჯდება, ის არ ჯობს, სახლში დავრჩეთო? ხომ ხედავთ, როგორ აჯობა, რანაირად მოერია. ჰოდა, ყველაფერზე... ყველაფერზე საშინელი ის იყო, რომ ლინდა ვერ ხვდებოდა ამ ამბავს, არ იცოდა, ბრძოლა რომ გაიმართა და ფარ-ხმლის დაყრა რომ მოუხდა. წინ თვითონ გაიწვევდა ხოლმე იმას ბრძოლაში და ის მაინც იცოდა - ვებრძვიო, თუმცა არაფრის მაქნისი კი არ იყო ეს, თვითონაც არ იცოდა, რაში სჭირდებოდა, მერე რა უნდა გაეკეთებინა. ახლა კიდევ, მის მხარეს გადავიდა, თვითონაც რომ არ იცოდა, ისე.

ეს იყო და ეს. მერე შემოდგომა დადგა, შარშანდელ ოქტომბერს ლინდამ ხელახლა დაიწყო პანსიონში სიარული. ჰოდა, იმ დღეს ის-ის იყო ვივანშემთ, სასადილოში ვისხედით, ბუხრის წინ; დღევანდელივით მახსოვს, ლინდა სავარძელში მოკალათებული კითხულობდა, წიგნიც მახსოვს, ჯონ დონი იყო, თქვენი ნაჩუქარი, ოღონდ ახალი, იმის სანაცვლო, იმ ბიჭმა - რა ერქვა იმას? გარაჟის მექანიკოსმა, მატმა, ჰო. რა გვარი იყო? - ლივიტმა რომ დაგიხიათ კაბინეტში; ჰოდა, უცებ ფლემმა - ლინდაო, ჰოდა, ლინდამ თავი აიღო, წიგნი ხელიდან არ გაუშვია (მახსოვს, მაშინ დავინახე, რა წიგნიც იყო), ჰოდა, ფლემმა უთხრა: - არ ვიყავი მე მართალი, მეგონა - პანსიონი კოლეჯზე უარესი არაფრით არ არის-მეთქი, მე ხომ ჩემს მოსწრებაში არსად არ მისწავლია, ამ საქმის არაფერი გამეგებოდაო; ოღონდ ახლა მივხვდი, ის პანსიონი არაფრად რომ არ ვარგებულაო; იქნებ შეეშვა იანკების კოლეჯებს და ოქსფორდის უნივერსიტეტში შეხვიდეთ.

ჰოდა, ლინდა დამჯდარა და წიგნი მუხლებზე უვარდება ნელ-ნელა, თან მამამისს მისჩერებია. მერე - რა მითხარიო?

- ვირჯინიაზე და იმ ჩრდილოურ კოლეჯებზე ნუღარ იფიქრებ, წელს მაინც. გინდა, ნაშობევს უნივერსიტეტში შეხვიდე?

ჰოდა, ლინდამ ის წიგნი იქით მოისროლა, კი არ დადო, არა, მოისროლა, სავარძლიდან წამოხტა და - მამიკოო, იყვირა. მანამდე არასოდეს მენახა, მამამისს რომ მიჰკარებოდა. მისთვის ფლემი მამა იყო, ყოველთვის ელაპარაკებოდა, ყოველთვის მოკრძალებით ექცეოდა, ოღონდ მტერიც იყო ფლემი მისი; უნდა ეიძულებინა მამამისი, სულ ხსომებოდა, რომ ჯობნით კი აჯობა, კოლეჯში არ გაუშვა, მაგრამ ლინდა არ დანებებულა მაინც. ჰოდა, ის არასოდეს მინახავს, რომ მამამისს მიჰკარებოდა. ახლა კიდევ მუხლებზე ჩამოუჯდა, მხრებზე შემოეხვია, ლოყით მის საყელოს მიეხუტა და - მამიკო, მამიკო, მამიკოო.

- განაგრძეთ, - მე ვუთხარი.

- ეს იყო და ეს. არ კმაროდა, თუ? რაღა უნდა გაეკეთებინა კიდევ ფლემს? ქალაღდის ნაგლეჯი აელო, თვითონ დაეწერა ის რაღაცა და მერე ლინდასთვის მანამდე ეგრიხა ხელი, სანამ არ მოაწერდა, თუ რა? აღარც არაფრად სჭირდებოდა რაღაცა ქალაღდის ხსენება. ისიც კი აღარ სჭირდებოდა, ხელახლა წამოეწყო ლინდასთვის ამ ამბავზე ლაპარაკი. რომც წამოეწყო, სხვა არაფერი მოუხდებოდა (ლინდამ ხომ იცოდა უკვე ანდერძის ამბავი, მამიჩემისეული ანდერძის-მეთქი, ის მინდა ვთქვა, რომლის ძალითაც მთელ ქონებას იულა უორნერს უტოვებდა, იულა უორნერს „სნოუპსის“ გვარის დაუმატებლად), სხვა არაფერი მოუხდებოდა, გარდა იმისა, რომ რამე ამდაგვარი ეთქვა - კი, კი, ბაბუაშენი პატივსაცემი კაცი ბრძანდება, ოღონდ მე არასოდეს ვუყვარდიო; არაფერია, მე რაც უნდა შემემთხვას, დედაშენს არაფერი გაუჭირდებაო; ბაბუაშენმა ყველაფერი ისე გამოაჭახრაკა, რომ ვერც მე და ვერც სხვა ვინმე დედაშენის ფულს თითსაც ვერ დავაკარებთ, ჰოდა, მერე მემკვიდრე შენ შეიქნებიო. მოკლედ, რამე ამის მაგვარი უნდა ეთქვა. ანდა იქნებ ამდენი მეცადინეობა არც დასჭირვებოდა. კი იცოდა, არ დამჭირდებაო, ლინდა ის ქალი არ გახლდათ. მისთვის ფლემი მამა იყო, ჰოდა, კოლეჯში თუ არ უშვებდა, მისივე სიყვარულის გამო არ უშვებდა მხოლოდ, რადგან ასეც მართებდა, - მშობლები ყოველთვის ამას მოიმიზეზებენ ხოლმე, როცა შვილებს რამის გაკეთებას უშლიან. მერე კი ფლემმა უცებ ყველაფერი უკუღმა შეატრიალა და თითქმის უბრძანა ლინდას, ის გაეკეთებინა, რაც თვითონ ასე ძალიან უნდოდა, რასაც

ფლემი ლამის ორ წელიწადს უკრძალავდა, ჰოდა, ეს ამბავი მხოლოდ იმით შეიძლებოდა ახსნილიყო, რომ კიდეც უფრო მეტად უყვარდა თავისი ქალიშვილი, იმ ზომამდე უყვარდა, იმ ერთადერთი რაღაცის ნებასაც კი აძლევდა, რასაც თვითონვე უკრძალავდა მთელი სიცოცხლე.

თუმცა, რა ვიცი. იქნებ გადაუკრა, მიახვედრა კიდეც, როგორ უნდა შედგენილიყო ის ქალაქი, ახლა რაღა მნიშვნელობა აქვს ამას. ყველაფერი გაკეთებულია და მოთავებული: მამაჩემი დილის ოთხ საათზე შემოგვივარდა სახლში და, ხეირიანად გაღვიძებულიც რომ არ ვიყავი, ის ქალაქი თავში მომახალა, ლოგინში მწოლიარეს. თუმცა არა, მომითმინეთ, ვიცი მე, მეც მომიწერია ხელი ამნაირ ქალაქებზე. ყველაფერი კანონის შესაბამისად იყო გაკეთებული, მართებულად... როგორ ითქმის?

- შედგენილი, - ვუთხარი მე.

- ...იურისტის მიერ შედგენილი, ოქსფორდელი იურისტის, მისტერ სტოუნის მიერ. მოხუცებული რომაა, ის კი არა, მეორე, ახალგაზრდა რომაა, იმის შედგენილი. ამ დილას დავურეკე. ძალიან თავაზიანად შემხვდა, მითხრა...

- ვიცნობ, - მე ვუთხარი, - თუმცა ერთად არ გვისწავლია, ეგ ნიუ-ჰეივენში იყო.

- ...სიამოვნებით მოგელაპარაკებოდით ამ ამბის თაობაზეო, ოღონდ არსებობს... რა ჰქვია იმას?

- პროფესიული ეთიკა, - ვუთხარი მე.

- ...პროფესიული ეთიკაო, იურისტი თავისი კლიენტის ვინაობას ვერ გაამხელსო. ასე მითხრა - ლინდამ, ეტყობა, ოქსფორდში ჩამოსვლისთანავე მომაკითხაო... არა, მომითმინეთ, ისიც ვკითხე - თქვენ რატომმოგაკითხათ-მეთქი? ჰოდა, ასე მიპასუხა... მითხრა - ლინდა მშვენიერი ქალიშვილია და ცხოვრებაში აუცილებლად გაუმართლებს, საანდერძო ქონება რომც არ გააჩნდესო, ჰოდა, ლინდამ ნაცნობებში გაიკითხ-გამოიკითხა - ყველაზე სანდომიანი იურისტი რომელია, ვის მივმართოო, და ჩემი თავი დაუსახელესო. აუხსნია იმ იურისტისთვის, რაც სურდა, და იმასაც შეუდგენია ანდერძი - კი, ჩემი თვალთ წავიკითხე: „ჩემს წილს ყოველივე იმისა, რასაც მემკვიდრეობით მივიღებ დედაჩემისგან, იულა უორნერ-სნოუპსისგან, ყველა იმ თანხაზე დამოუკიდებლად, რაც მისი ქმრის წილს შეადგენს, ვუანდერძებ მამაჩემს, ფლემ სნოუპსს“. კი, ყველაფერი კანონის თანახმად იყო გაკეთებული, თუმცა იურისტმა მითხრა - ძალიან ვეცადე ამეხსნა ლინდასთვის, რომ გარკვეულ თანხას კი არ უანდერძებს მამამისს, არამედ - რა ჰქვია იმას? - პირობით ქონებასო. ჰოდა, ამ ანდერძს არავინ არაფრად ჩააგდებს, რადგან ლინდა შეიძლება მოკვდეს კიდეც, ვიდრე მემკვიდრეობას მიიღებდეს, შეიძლება გათხოვდეს, ანდა, თუგინდ ქმრის დაუხმარებლადაც, შესაძლოა გადაიფიქროსო; ანდა ისიც შეიძლება, დედამისის მერე აღარაფერი ქონება აღარ დარჩეს, შენიშვნაში მოხსენიებულის გარდა, - იქნებ დედამისმა ყველაფერი დახარჯოს, ანდა მამამისი მოკვდეს, ჰოდა, მაშინ ლინდა მიიღებს მამამისისთვის ნაანდერძევი თავისი ფულის ნახევარს და კიდეც იმის ნახევარს, რაც დედამისს, ვითარცა მამამისის ქვრივს, ერგება, და მამამისისეული ქონების ამ ნაწილს გაიყოფს დედამისთან, ვითარცა მამამისის ქვრივთან, და დედამისისგან ერთხელ კიდეც მემკვიდრეობით მიიღებსო. მაგრამ ლინდა თვრამეტი წლისაა უკვე, უფლებამოსილი ადამიანია, ისიც უფლებამოსილი იურისტია, მისტერ სტოუნი, ყოველ შემთხვევაში, ლიცენზიაში მანც უწერია ასე, ჰოდა, ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით, ოფიციალურ ბლანკზე იყო დაწერილი. მისტერ სტოუნს ისიც კი უკითხავს - ამ

ანდერძის შედგენა რამ გაფიქრებინაო, ჰოდა, ლინდას უთქვამს - იმან მაფიქრებინა, რომ მამაჩემი ძალიან კეთილად მექცეოდა და მეც ჩემდა თავად მამაჩემი მიყვარს და პატივს ვცემო. გესმით? - მიყვარს და პატივს ვცემო. დიახ, ყველაფერი კანონიერად გაკეთდა. ოღონდ ვითომ ის არის საქმე, კანონიერია ეს ამბავი თუ უკანონო, საექვო ამბავია თუ უექველი?..

ეს შეეძლო არც ეთქვა ჩემთვის: აგერ, თვრამეტი წელი გავიდოდა, რაც ბილ უორნერი თავის სოფლურ დუქანში ხან გულს ასკდებოდა იმის გამო, სიძემ რომ ძველი მიტოვებული მამული დასტყუა და მერე ხელი მოითხო იმ მამულის წყალობით, ხანაც ის აცოფებდა, რომ კი არ მოალორა იმ კაცმა, კი არ გააცურა და ჩასვა მხოლოდ, მერეც სულ აცუცურაკებდა მევახშეობის საქმეში. ახლა კიდევ გოგოს, მისი საკუთარი შვილიშვილის მიამიტობით ისარგებლა, ჰოდა, იმ გოგომ თუნდაც მადლიერების გამო გადაწყვიტა, გულუხვად მიეწყო იმის სანაცვლოდ, რასაც მამობრივ სიყვარულად მიიჩნევდა, ჰოდა, ამით იმას მიაღწია, რომ ბაბუამისს ის ერთადერთი იარაღიც გაუცუდა, რითაც იმას კიდევ შეეძლო, თავის მოსისხლეს დამუქრებოდა. კი, რასაკვირველია, ქალაღის ის ნაგლეჯი ძვირი არ დამჯდარა, რა ბედენაა, კანონის ყველა წესის მიხედვით იყო შედგენილი თუ არა; არც ისაა დიდი ბედენა, რომ იმ ქალაღის მოსპობა შეეძლო (კაცმა რომ თქვას, ფლემმა უმთავრესად ამის გამო გაიმეტა სხვისთვის გადასაცემად ის ქალაღი); მთავარი ისაა, რომ ბილ უორნერმა დაინახა ის ქალაღი. წაიკითხა, ჩასწვდა კიდევ: საკმარისი იყო, თვალი ჩაეკრა იმ დოკუმენტისთვის, თავგზადაკარგული და გადარეული გამოექანა ქალაქისკენ...

- ვერაფრით ვერ გავაჩერე, - თქვა იმ ქალმა. - საშველი აღარ დაადგა იმის გაჩერებას და დამშვიდებას. როდის გათენდებაო, იმასაც არ დალოდებია, მაშინვე მანფრედთან გავარდა.

- დე სპეინთან? - წამოვიძახე. - რანაირად? დილის ოთხ საათზე?

- ხომ მოგახსენეთ უკვე - ვერაფრის დიდებით ვერ გავაჩერე და ვერ გავაჩუმე-მეთქი. დიახ, დიახ, მაშინვე მანფრედს დაეტაკა. ჰოდა, მანფრედიც ყველაფერზე მოეთათბირა. არ გასჭირვებია ეს ამბავი. მე იმის თქმა მინდა, მას შემდეგ-მეთქი, რაც იმასაც და მამაჩემსაც მოვახსენე - ცოტა ხანში თქვენ მთელ ქალაქს გააღვიძებთ და ააფორიაქებთ, ჰოდა, მაგას არ დავუცდი, ახლავე ჯოდის მანქანაში ჩავჯდები, ოქსფორდში ჩავალ, ლინდას ხელს მოვკიდებ და მეტი, თვალთ ვეღარ გვნახავთ-მეთქი. ეს რომ ვუთხარი, ისიც და მამაჩემიც - ორივენი ჩაჩუმდნენ...

- ფლემი? - ვკითხე მე.

- ფლემიც იქ გახლდათ, თავიდან ბოლომდე არ შესწრებია ყველაფერს, მაგრამ საკმარის ხანს კი იყო...

- მერე, რას აკეთებდა? - შევეკითხე.

- არაფერს, - მიპასუხა. - რა უნდა გაეკეთებინა? კიდევ რისი გაკეთება მართებდა?

- აჰა, - ვთქვი მე, - საკმარის ხანს იყოო, ბრძანეთ. რისთვის საკმარის ხანს?

- იმისთვის, რომ მე და მანფრედი ყველაფერზე შევთანხმებულიყავით: ჩვენ გადაწყვიტეთ, წავიდეთ აქედან, ორივენი წავიდეთ - მეც და ისიც. თვრამეტი წლის წინ უნდა გაგვეკეთებინა ეს...

- რაო? - ვთქვი, შევყვირე მე. - უნდა წახვიდეთ, გაიქცეთ აქედან?

- დიახ, ყველაფერი დავთქვით; მანფრედი მამასობასვე ჩამოჯდა, - მამაჩემი თავს დასდგომოდა და აგინებდა, იმასაც აგინებდა, ფლემსაც, ძნელი გასარჩევი იყო, ვის აგინებდა, ვის მიმართავდა, ვის გულისხმობდა, - დაჯდა და ნასყიდობის ქაღალდი დაწერა. მამაჩემი - რა ჰქვია იმას? - ნეიტრალურიმხარე გახლდათ. მამაჩემს ის უნდოდა, ორივესთვის ფეხი ამოეკვეთა ბანკიდან, გადაწყვიტა, უეჭველად გამოეყარა ორივე, დილის ოთხ საათზე იმიტომ ჩამოვიდა ამსიშორეზე, რომ ორივე გაეპანდურებინა ჯეფერსონიდან, იოკნაპატოფიდან, მისისიპის შტატიდან - მანფრედი იმის გამო, თვრამეტ წელიწადს ჩემი საყვარელი რომ იყო, ფლემი კიდევ იმის გამო, თვრამეტ წელიწადს რომ არ ჩაერია ამ საქმეში. იმ დილამდე მამამ არაფერი იცოდა მანფრედის ამბავი. ესე იგი, თავს ისე იჭერდა - არაფერი ვიციო. დედაჩემმა იცოდა, მე მგონია. მგონი, თავიდანვე იცოდა. თუმცა შესაძლოა, არც სცოდნოდა. ხალხი ხომ გულკეთილია მაინც. იოკნაპატოფას ოლქის ყოველ მცხოვრებს ხომ შეეძლო, დედაჩემისთვისვე სასიკეთოდ, ისე მოეწყო, რომ დედას დანამდვილებით შეეტყო ჩვენი ამბავი და მამასთვისაც შესძლებოდა მოეყოლა, მისთვისვე სასიკეთოდ, ყველასთვის სასიკეთოდ. ოღონდ არა მგონია მამას სცოდნოდეს: თქვენ გგავთ მამაჩემი. იმის თქმა მინდა - თქვენც ამნაირად შეგიძლიათ-მეთქი მოიქცეთ.

- როგორ „ამნაირად“? - ვკითხე მე.

- ისე შეგიძლიათ გამოიწყოთ საქმე, რომ საჭირო აღარ შეიქნას რამე ამბის დაჯერება, თუნდაც ისეთი ამბის, რაც შესაძლებელია, გინდაც ვინმე ამბობდეს - ნამდვილად ასე არისო, გინდაც ნამდვილად ასე იყოს საქმე.

- მომითმინეთ, - ვუთხარი. - რა ნასყიდობის ქაღალდი დაწერა, რისი გასაყიდი?

- თავისი ბანკის აქციების. მანფრედის აქციების. ფლემის სახელზე დაწერა ნასყიდობის ქაღალდი, ფლემისთვის ბანკის გადასაცემად. ამის გამო არ ატყდა იმხელა დავიდარაბა და ალიაქოთი? ჰოდა, სამაგიეროდ ფლემს ხელი უნდა მოეწერა ერთი კვირით გვიან დათარიღებული ჩეკისთვის, რათა საიმისო დროც დარჩენოდა, რომ ფული იმ დღისთვის გაემზადებინა, როცა ჩვენ იმ ჩეკს ტეხასში წარვადგენდით: ჰო, რატომ ხდება, რომ დაუქორწინებელ ხალხს, ან ისეთ ხალხს, დაქორწინებულნი რომ უნდა იყვნენ, მაგრამ ჯერ არ არიან დაქორწინებულნი, ასე ჰგონია - ტეხასში თუ წავედით, უკვე საკმაოდ შორს ვართო გადახვეწილი? იქნებ ტეხასია ისეთი ვრცელი მხარე? ანდა კალიფორნია, მექსიკა, ერთი სიტყვით, სადაც ჩვენ ჩავგვესვლება?

- ჰო, მაგრამ - ლინდა, - ვუთხარი მე. - ლინდა.

- რა? - მკითხა იმან. - რა ლინდა?

- ნუთუ ვერ ხვდებით? ორივე შემთხვევაში დაილუპება ლინდა: თქვენ წამოგყვებათ (თუკი შესაძლებელია ეს ამბავი, რაკი თქვენ მამამისი მიატოვეთ სხვა კაცის გულისთვის) თუ აქდარჩება, ამ ჭაობში, ჰოდა, თქვენ აქ არ იქნებით, არავინ დაურჩება არც დამცველი, არც იმის ამხსნელი - ის კაცი მამაშენი არ ყოფილაო; ლინდას ხომ აღარავინ ჰყავს ამქვეყნად, აღარავინ.

- სწორედ მაგიტომაც გამოგიგზავნეთ ბარათი, - მითხრა იმან. - შეირთეთ ლინდა.



- არა-მეთქი, გითხარით ერთხელ უკვე. გარდა ამისა, ეს ვერაფერს უშველის. ლინდას გადარჩენა მხოლოდ მანფრედს შეუძლია. ადგეს და იმას დასჯერდეს, რომ ფლემს მიჰყიდის თავის აქციებს, იმ დაწყევლილ ბანკს გადაულოცავს; ნუთუ ისე დიდად ფასობს ეს ამბავი, რომ იმან... რომ იმან... იმან...

- ვცადე უკვე, - იმ ქალმა მითხრა. - არაო.

- მე მოველაპარაკე, - ვუთხარი. - ავუხსნი ყველაფერს. უნდა დაგვეთანხმოს. იძულებული იქნება, დაგვეთანხმოს, სხვა გზა...

- არა, - მითხრა იმან. - ოღონდ მანფრედი არა. - იმის ხელებს შევხედე, დავინახე, როგორ გახსნა იმ ქალმა ხელჩანთა, სიგარეტების კოლოფი და ასანთის ერთი დიდი ღერი ამოიღო აუჩქარებლად, მერე სიგარეტი ამოაძვრინა, კოლოფი ისევ ხელჩანთაში ჩააბრუნა, ხელჩანთა დახურა, მერე (არა, მე არც შევრხეულვარ) ასანთი ფეხსაცმლის ლანჩას გამოჰკრა, სიგარეტს მოუკიდა, ასანთი საფერფლეში ჩააგდო და ხელები ისევ ხელჩანთაზე ჩამოაწყო. - ოღონდ მანფრედი არა. თქვენ არ გესმით მანფრედის. იქნება ვერც მე ვუგებ. იქნებ სულ არ ვყოფილვარ მართალი მაშინ, იმ დილას, ის რომ გითხარით - ქალებს მხოლოდ ფაქტები აინტერესებთ-მეთქი, იმიტომ, რომ ადვილი შესაძლებელია, კაცებსაც მხოლოდ ფაქტები აინტერესებდეთ და განსხვავება ის იყოს მხოლოდ, რომ ქალებისთვის სულერთია, ფაქტია რამე ამბავი თუ არა, ოღონდ კი დამი დამში მოდიოდეს, ჰოდა, კაცებისათვის ის არის სულერთი, ფაქტები თანხვდება თუ არა ერთიმეორეს, ოღონდ კი ფაქტები იყოს ნამდვილად. თქვენ თუ ნაღდი ვაჟკაცი ხართ, შესაძლოა, თხრილში ეგდოთ გონებადაკარგული, კბილებმომტვრეული, და სისხლისგან იცლებოდეთ. ჰოდა, ვიღაცამ შეიძლება, საფულე ამოგართვათ ამ დროს; თქვენ კიდეც, გონს რომ მოხვალთ, სისხლს ჩამოიბანთ, ყველაფერი რიგზე იქნება; კბილების ჩასმაც ყოველთვის მოხერხდება და ადრე თუ გვიან, სხვა საფულეც გაგიჩნდებათ. ოღონდ ნაღდი ვაჟკაცი ვერ გაჩერდება მორჩილად თავმოდრეკილი, სისხლდაუქცეველი და კბილებმომტვრეველი და ვერ შეაჩერდება, როგორ ართმევენ საფულეს, იმიტომ, რომ ამის შემდეგ ის თუ შეძლო, თავის მოყვარულ ძმაკაცებს კიდეც შეეყაროს, იმას ხომ მაინც ვეღარ შეძლებს, იმ უცხო ხალხს შეხედოს თვალებში, მისი ასავალ-დასავალი რომ არაფერი იცოდნენ მანამდე. მანფრედი ამგვარი კაცი არ გახლავთ. მე თუ არ გავყევი ამ ქალაქიდან, მაშინ ხელს გამოიღებს. იქნებ მოკლან ამ შეტაკების დროს, იქნებ თვითონ დაღუპოს ყველა და ყველაფერი, ოღონდ შეტაკებით აუცილებლად შეეტაკება. იმიტომ, რომ ვაჟკაცია. გამიგეთ? უპირველეს ყოვლისა, ვაჟკაცია. უფრო სწორად, იმის თქმა მინდა - მისთვის უმთავრესი ის არის, ვაჟკაცი იყოს-მეთქი. მანფრედს შეუძლია, ფლემ სნოუპსს ბანკი დაუთმოს ფლემ სნოუპსის ცოლში, მაგრამ ის კი აღარ შეუძლია, დადგეს და შეაჩერდეს, როგორ ართმევს ბანკს ფლემ სნოუპსი.

- აბა, ლინდა დაღუპულა და ისაა, - ვთქვი მე. - მოთავებულება მისი საქმე, მორჩა, დაილუპა! - ვთქვი, არა, შევყვირე მე. - ოღონდ თქვენ ხომ მაინც გადარჩებით! თქვენ ხომ მაინც წახვალთ აქედან და აღარასოდეს... აღარასოდეს აღარ იქნებით ფლემ სნოუპსის გვერდით, აღარასოდეს აღარ...

- ჰო-ო, თურმე რა ამბავს ბრძანებთ, - მითხრა იმან. - იმის ამბავს ბრძანებთ თურმე. მაგ არაფერია, მაგ ამბავს არც როდის შევუწყუხებოვარ. ფლემს... არ შეუძლია ის ამბავი. ფლემი - რა ჰქვია იმას? - იმპოტენტი გახლავთ. ყოველთვის ამნაირი იყო. იქნებ ყველაფერი მაქედან დაიწყო, იქნებ მაგ არის მიზეზი. გამიგეთ? ოღონდ გაფრთხილდით, თორემ შეიცოდებთ კიდეც იმ კაცს. შეცოდება მოგიწევთ. ჰოდა, მაგას

კი ვედარ მოგითმენთ ის კაცი, არც არაფრის მაქნისია კაცის წყენინება, თუკი ხეირს არაფერს მოგცემს. ფლემი იმას ვერ მოითმენდა, ხალხს რომ შეჰბრალებოდა. ისე გამოდის, როგორც სახელ „ვლადიმირის“ ამბავია ვ. კ-სთვის. რეტლიფს ვლადიმირის სახელის მქონესაც ეცხოვრება ქვეყანაზე, თქვენც გეცხოვრებათ იმის მცოდნეს – რეტლიფს ვლადიმირი ჰქვიაო. ოღონდ ის არ შეიძლება, რეტლიფს რომ თავისი სახელის შეცვლის უფლება ჰქონდეს, სხვა სახელის არჩევის უფლება. ფლემსაც გაემღობა თავის იმპოტენციიანად, ოღონდ იმის შესაძლებლობა არავის არ უნდა ჰქონდეს, შეიცოდოს და ამით შეეწიოს იმ კაცს. თქვენ შემპირდით – ვლადიმირის ამბავს არ გავამხელო. ახლა ამ ამბის გაუმხელობასაც უნდა შემპირდეთ.

- გპირდებით, - ვთქვი მე. მერე ვუთხარი: - ჰო-ო. ესე იგი, ამაღამ მიემგზავრებით. თურმე რატომ შეგივლიათ დღეს საპარიკმახეროში. ჩემი გულისთვის კი არა, მანფრედის გულისთვის შესულხართ, არა, არც მანფრედისთვის, თვრამეტი წლის მერე რაღა გემანფრედებოდათ. სამგზავროდ მოწყობილხართ, მატარებელში ჩასაჯდომად, სულ დამშვენებული რომ სჩვენებოდით ჯეფერსონს გამომშვიდობებისას. სწორს ვამბობ, ხომ? აბა, ამაღამ გაემგზავრებით?

- შეირთეთ ლინდა, გევინ, - მითხრა იმან.

თვრამეტ წელიწადს ვუჭვრეტდი იმ ქალს, რაღა თქმა უნდა, ომის წლების გამოკლებით. თვრამეტ წელიწადს ყოველ ღამე მესიზმრებოდა, ომის წლების ჩათვლით. ორჯერ ვისაუბრეთ მე და იმან: აქ, ჩემს კაბინეტში ერთ საღამოს, თოთხმეტი წლის წინ, და მის სასტუმრო ოთახში ერთ დილას, ამ ორი წლის წინ. ჰოდა, სახელით ერთხელაც არ მოუმართავს ჩემთვის, მისტერ სტივენსო, - ისიც კი არ უთქვამს. ჰოდა, ახლა - გევინო, მითხრა, შეირთეთ ლინდა, გევინო.

- ჩემი გვარი მივცე, რომ თქვენგან მიტოვებულმა პატიოსანი ქალის სახელის დაკარგვა არ ინანოს?

- შეირთეთ ლინდა, გევინ, - მითხრა იმან.

- ისე იგულისხმეთ, რომ მე მარტო ასაკგადაცილებული კი არ ვარ ლინდასთვის, ვნებაც შემძლია მივაყენო; მისი ქმარი თუ შევიქენი, საფლავში ჩასულიც არავის დავანებებ ჩემს ქვრივს. ასე იგულისხმეთ.

- შეირთეთ ლინდა, გევინ, - მითხრა იმან.

- ჰოდა, მე გავჩუმდი, ის ქალი კიდევ მაგიდას მისჯდომოდა, საფერფლეში წვრილბოლადენილი სიგარეტი იფუტებოდა, ერთხელაც არ მოექაჩა ის სიგარეტი: მოკიდებით კი მოუკიდა და მერე საფერფლეზე ჩამოდა; ხელები ისევ უდრტვინველად ჰქონდა ხელჩანთაზე ჩამოწყობილი, ხოლო სახე ჩემკენ მოექცა, ლამპის ნათელ წრეს ზემოთ მიმხერდა მრუმედან - დიდი, გადაშლილი, ლიტონი სახე, კვლავინდებურად გაუპომადებელი, მშვენიერი ბაგე, შემოდგომის მკაცრად დაბინდული სილურჯით კი არა, გაზაფხულის ყვავილთა სილურჯით, შუქფენილი თვალები, გლიცინიების, დიდილოების, მაჩიტების, კესანეთა ფერებს შერწყმული. და ყოველივე მოქცეულა იმ თვალებში - გარდასული სიქალწულის ხანაც, ჭაბუკთა ბედნიერებაც... ჰოდა, გვიანდაა წუხილი, გვიან არის წუხილი, გვიან არის, გვიან.

- კარგი, მოდი, ასე მოვიქცეთ. თუკი თქვენი გამგზავრების შემდეგ შევატყვე - ისეთი ვითარება შეიქმნა, რაღაც უნდა მოვიმოქმედო-მეთქი, ჰოდა, თუკი ჩემი და მისი

ქორწინება იქნა ერთადერთი გამოსავალი, თანაც თუ ლინდამ ისურვა ჩემი ცოლად გამოყოლა, ოღონდ თუკი ნამდვილად ისურვა და არა დამითმო, დამნებდა...

- მაშინ შემომფიცეთ, - მითხრა იმან.

- გპირდებით, ერთხელ უკვე შეგპირდით და ახლაც გპირდებით.

- არა, - მითხრა იმან. - შემომფიცეთ.

- გეფიცებით, - ვთქვი მე.

- ლინდამ რომც არ მოინდომოს, მაინც, რომც არ... თქვენ რომც ვერ შეძლოთ მისი შერთვა.

- მაშინ რაღად დაგპირდები? - ვუთხარი მე. - ფლემი ხომ, - თუკი მამათქვენი იმას არ გადაწყვეტს, ერთხელ და სამუდამოდ დაიხსნას თავი ამ დაწყევლილი დავიდარაბისგან და იმასაც არ გაამეფებს ჯეფერსონიდან, - ფლემი ხომ თავის ბანკს მიიღებს და ის აღარ დასჭირდება, ვინმეში გაცვალოს, გაყიდოს, ვინმეს მიასალოს ლინდა; იქნებ ისიც კი ამჯობინოს, ახალ ინგლისში გაგზავნოს სასწავლად, ანდა უფრო შორსაც სადმე, თუკი მოახერხა.

- შემომფიცეთ, - მითხრა იმან.

იმან.

- კარგი, - მივუგე. - რა დროც უნდა იყოს, ყოველგან, რაც უნდა მოხდეს, მაინც...

- შემომფიცეთ, - მითხრა იმან.

- გეფიცებით, - ვთქვი მე.

- ახლა წავალ, - თქვა და წამოდგა, აბოლებულ სიგარეტს დასწვდა, საფერფლეს გულმოდგინედ ჩაასრისა, მეც წამოვდექი.

- ცხადია, - ვუთხარი, - ბარგი ჩასალაგებელი გექნებათ, გაქცევით რომ გაიქცევი ადამიანი, რაღაც-რაღაცა ნივთები მაშინაც დაგჭირდება, ასე არაა? მე მიგიყვანთ მანქანით სახლში.

- არ მინდა, - თქვა იმან.

- მანდილოსნის მარტო გაშვება ამ დროს... დიახ, გადაშუალამებულია უკვე. რას იტყვის ოტის ჰარკერი? იცით, მე ვაჟკაცად ყოფნა მმართველს, თორემ როგორღა შევხედავ ოტის ჰარკერს თვალეზში? იმისთვის თქვენ ხომ ჯერაც ჭეშმარიტი ლედი იქნებით გამგზავრებამდე, ხვალინდელი მატარებლის გასვლამდე; ტეხასშიო, - ასე ბრძანეთ მგონი, ხომ? - ოღონდ ამჯერად ოტისი არსად ჩანდა, თუმცა ფანქარი, ქალაღი და საათი რომ მოემარჯვებინა, იმის გამოთვლასაც შევძლებდი, დაახლოებით სად ყურყუტებდა ახლა. რაღა თქმა უნდა, შეიძლებოდა კიდევ შევმცდარიყავი, ოღონდ ოტისი მაინც არსად ჩანდა. ჩვენ ჩრდილებით აფორეჯებული მოედანი გადავიქროლეო და ნამდვილ საგაზაფხულო წყვდიადს მივაშურეთ, სადაც ქუჩის მბჟუტავი ფარნები ვარსკვლავთა უმცირესი ჩანდა. შეგვეძლო გაგსაუბრებოდით კიდევ ერთიმეორეს, სასაუბრო რომ გვქონოდა, ჰოდა, სასაუბრო იქნებ გაგვჩენოდა კიდევ, საუბარი რომ

წამოგვეწყო. მერე დაბალი ჭიშკარი, რომლის იქითაც ბილიკი მიუყვებოდა მომცრო ჩაბნელებული სახლისკენ. და ის სახლი, რასაკვირველია, ჯერ არ გაექირავებინათ, ჯერ არ დაეცარიელებინათ, რაღა თქმა უნდა. მცირედი დრო კიდევ იყო დარჩენილი რიგის და წესის დასაცავად, ჰოდა, გაცბუნებული იმას ვფიქრობდი – ზანკთან ერთად ნეტავ სახლსაც თუ მიჰყიდის-მეთქი მანფრედი იმ კაცს? ანდა იქნებ ყველაფერი შეატოვოს, თუკი ბილ უორნერი ფლემს ცოტა რამეს მაინც შეარჩენს-მეთქი, – ჰოდა, გავაჩერე მანქანა.

- ნუ გადმოხვალთ, – მითხრა იმან, ჩავიდა, კარი მოაჯახუნა, თავი ოდნავ დახარა და სახეში ჩემმა მაცქერალმა მითხრა: – კიდევ შემომფიცეთ.

- გეფიცებით, – ვუთხარი მე.

- გმადლობ, – თქვა იმან. – ღამე მშვიდობისა, – და შებრუნდა. ჰოდა, თვალს მივადევნებდი, როგორ შევიდა ჭიშკარში, როგორ მიდიოდა და თანდათანობით პატარავდებოდა იმ გზაწვრილზე, მცირე ტერასიდან დაფენილ ჩრდილში, როგორ შეერწყა მერე სიბნელეს. კარის დახურვის ხმაც შემოესმა და გინდაც არასოდეს არსებულის ის ქალი.

## 21. ჩარლზ მალისონი

ხომ იცით, როგორ არის ხოლმე: გაგელვიძება დილით და მაშინვე იგრძნობ, რომ რაღაც უკვე მომხდარა, ჰოდა, შენ დაგგვიანებია ამასობაში. შენ არც კი იცოდი, რა უნდა მომხდარიყო, ამიტომაც გმართებდა, სულ დადარაჯებული ყოფილიყავი, თვალი გაგეცეცებინა – არაფერი გამომჩესო. ჰოდა, მერე ერთი წუთით გულიდან გადაგვარდა, ერთადერთ წუთს მიხუჭე თვალი და – მორჩა, ის ამბავი უკვე მომხდარა, დაგგვიანებია, იმის დროც კი აღარ გაქვს, ხეირიანად გამოფხიზლდე, მწოლიარე გაიზმორო და გაიფიქრო – ნეტავი ასე რამ გამახალისაო? ჰოდა, მერე ფიქრს სადინარი მისცე და გამოიკვეთო – ჰო, დღეს სკოლაში წასასვლელი არ ვარო; და მერე კიდევ – აპრილია, ხუთშაბათი დღე, და სკოლაში მაინც არ ვარ წასასვლელიო.

ოღონდ იმ დღეს ასე არ წასულა საქმე. კიბეზე შემომესმა, როგორ გარახუნდა საკუჭნაოს კარი, და მივხვდი, რომ დედა ჩვენს გასტერს ეუბნებოდა – ახლა ჩქარა წადითო, ჰოდა, სასადილო ოთახში შევედი; მამას უკვე ესაუზმა, მართალია, გასტერს მისი თეფში და ფინჯანი კი აელაგებინა, მაგრამ მაშინვე გამოიცნობდით, სადაც მჯდარიყო მამაჩემი; ჰოდა, გვეინ ბიძიასთვის დადგმული ჭურჭლის შემხედვარე იმასაც მიხვდებოდით, რომ იმ დილას სუფრას სულაც არ მისჯდომოდა. დედა კი იჯდა თავის ადგილას, ყავას სვამდა უკვე ქუდდახურული, მისი პალტო გვეინ ბიძიას სკამზე იყო გადაკიდებული, ხელჩანთა და ხელთათმანებიც გვეინ ბიძიას ჭურჭელთან ეწყო და შავი სათვალეც იქვე იდო – დედაჩემი ქალაქიდან გამგზავრებისას მანქანაში იკეთებდა ხოლმე იმ შავ სათვალეს, თითქოს ქალაქარეთ გასვლამდე მზე თვალს არ სჭრის და არ აწუხებსო. ჰოდა, ისე მომეჩვენა, დედას გული სწყდება, სამი ან ოთხი წლის რომ აღარ ვარ უკვე, მაშინ შეძლებდა ჩამხუტებოდა, მუხლებზე დავესვი და მომფერებოდა-მეთქი. ახლა კი დედაჩემმა ხელში ხელი ჩამჭიდა მხოლოდ, ჰოდა, თავის აწევაც კი

დასჭირდა, ჩემთვის რომ შემოეხედა: - მისი სნოუჰუსმა წუხელ ღამეს თავი მოიკლა, - მითხრა დედამ, - მე და გევინ ბიძია ოქსფორდში მივდივართ ლინდას ჩამოსაყვანად.

- თავი მოიკლა? - ვთქვი მე. - როგორ მოიკლა?

- რა თქვი? - დედამ მითხრა. მე თორმეტი წლის ვიყავი, მეტის კი არა, ჯერ ცამეტიც არ შემსრულებოდა.

- თავი როგორ მოიკლა? - შევეკითხე. ოღონდ ამასობაში დედაჩემი მიხვდა კიდეც და წამოდგა.

- რევოლვერით მოიკლა, - მითხრა დედამ. - ვისი რევოლვერი იყო-მეთქი, ის აღარ მიკითხავს. - უკვე პალტოს იცვამდა დედა. მერე მოვიდა, ხელჩანთას დასწვდა, ხელთათმანებს, სათვალეს: - სადილად იქნებ დავბრუნდეთ კიდეც, არ ვიცი, სახლში იჯექი, გენაცვალე, კარგი? მოედანზე არ გაჭენდე, ალექ სენდერთან შეიქცეე თავი ეზოში. დღეს გასტერი ალექ სენდერს არსად გაუშვებს, ჰოდა, შენც არაფერი გიშავს, ცოტა ხანს თუ ეთამაშები.

- დიახ, მემ, - მივუგე. ოღონდ მე თორმეტის გახლდით, მეტის კი არა. მისტერ დე სპეინის ბანკის კარზე ჩამოკონწიალებულ გრძელი კრეპის ლენტს რა თავში ვიხლიდი, როცა ერთი ზედმეტი თავისუფალი დღე შეიძლებოდა დამკარგოდა; ისედაც განუსაზღვრელი დროით ვიყავით დათხოვნილი სკოლიდან. არადა, უნდა შეგახსენოთ, რომ მსოფლიოში უგრძესი არდადეგებიც კი არაფერს ნიშნავს იმ ხალხისთვის, ვინც ბანკის კარზე ჩამოკონწიალებულმა შავმა ლენტებმა იმ დღეს სამუშაოსგან გაათავისუფლა. თორმეტზე გაცილებით უფროსი რომ შევიქენი, მაშინდა მივხვდი, რომ ბანკის კარზე გამოკიდული ის გვირგვინი მწუხარების ეკალი კი არა, გამარჯვების დიდება იყო, რომ იმ ხელოვნურ ყვავილთა, შავი კრეპისა და ალისფერ ლენტთა გირლანდებში თავის მარადიულ უკვდავ გამარჯვებას დაუფარავად ზეიმობდა თავისი მოუწყველეობის დამამტკიცებელი საზოგადოებრივი სათნოება.

ოღონდ მაშინ ვერც კი ვხვდებოდი, რას ვუყურებდი. რაღა თქმა უნდა, გავიქეცი ქალაქში, დედა და გევინ ბიძია რომ წავიდნენ, მაშინვე არა, მაგრამ აღარც ბევრი დამგვიანებია. ალექ სენდერიც გამომყვა. ქუჩის კუთხეში რომ შევუხვით, კიდეც გვესმოდა, როგორ მოგვძახოდა ორივეს გასტერი, ჰოდა, ბანკის დაკეტილ კარზე ჩამოკიდებული გვირგვინის სანახავად გავქანდით და ვნახეთ, რომ ხალხი ბლომად შეკრებილიყო. გული მეუბნება, რომ იმ ხალხს ცნობისმოყვარეობის მიზეზი მაინცდამაინც იმაზე კეთილშობილი არ უნდა ჰქონოდა, ვიდრე მე და ალექ სენდერს გვექონდა, ჰოდა, როცა მისტერ დე სპეინი ჩვეულებისამებრ დილის ცხრა საათისთვის მოვიდა მანქანით ცენტრში, მერე ფოსტაში თავის კორესპონდენციას მიაკითხა კვლავინდებურად, მერე გასაღებით გვერდითი კარი გააღო კვლავინდებურად, მაშინ ჩვენ - მე-მეთქი, იმის თქმა მინდა - ვერ ვხვდებოდი, რომ მისტერ დე სპეინი ისეთი შესახედავი გახლდათ, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, იმიტომ, რომ იმ დილას მართებდა სწორედ, ამნაირი შესახედავი გამოჩენილიყო ქალაქში. იმ დილას მართებდა, ამდგარიყო, წვერი გაეპარსა, ჩაეცვა. იქნებ სარკის წინაც გაევარჯიშა, როგორ ჩამოვიდოდა ცენტრში სწორედ საიმდროოდ, სხვა დროს რომ ჩამოდიოდა ხოლმე, რათა მთელ ჯეფერსონს დაენახა - ყველაფერს ზუსტად კვლავინდებურად აკეთებდნენ, რათა ყველანი მიმხვდარიყვნენ - თუკიამ დილას ჯეფერსონში სადმე რამე უბედურება მოხდა, ეს ამბავი მისტერ და სპეინს სულ არ შეეხება, რადგან მარტოხელა კაცია, ცოლი არ

ჰყავსო. ბანკშიც კი თავისი გვერდითი კარიდან შევიდა მისტერ დე სპეინი, გეგონებოდათ, კიდევ ჰქონოდათ ამის უფლება.

ახლა კი ვიცი ის ამბავი, რაც მაშინ ყველამ, მთელმა ქალაქმა იცოდა უკვე - ბანკის მფლობელი აღარ არისო. რადგან ბებერ მისტერ უორნერს კიდევ რომ გაემევებინა ჯეფერსონიდან მისტერ ფლემ სნოუპსი, იქ გამჩერებელი აღარც მისტერ დე სპეინი იყო. მხოლოდ თავისი მკვდარი შეყვარებულის, დასამარებული სიყვარულის გულისთვის კი არ უნდა მოქცეულიყო ამნაირად, ჯეფერსონის გულისთვისაც მართებდა აქედან გამგზავრება. იმიტომ, რომ ჩვენ შეურაცხყოფა მოგვაყენა. ქორწინების ოდენ ზნეობრივი საფუძვლები კი არ გაუთელია ფეხქვეშ, იმის მდალადებელი საფუძვლები - პოლიციის მოწმობის გარეშე კაცი ქალს გვერდში ნუ მიუწვებაო, ქორწინების ეკონომიკაც გაამასხარავა დაუსჯელად - შვილიერება, შთამომავლობის დატოვება; თვით ქორწინების ინსტიტუტი აიგდო აბუჩად, თანაც ორჯერ: თვითონაც არ დაქორწინდა და ფლემ სნოუპსის ქორწინებაც ჩაშალა ბოლოს. ამიტომ ჰყავდათ ორგზის მოძულეებული; იმის გამოც, რასაც აკეთებდა, და იმის გამოც, რომ აგერ თვრამეტ წელიწადს დაუსჯელად დასეირნობდა. ოღონდ ეს კიდევ არაფერი იყო იმ სიძულვილთან შედარებით, იმის შემდეგ რომ დაატყდებოდა, რაც მის ცოდვილ თანამზრახველს დანაშაულში მონაწილეობა სიცოცხლის ფასად დაუჯდა, ხოლო იმის ბანკის გვერდითი კარის გასაღებიც კი არ დაუკარგავს, არაფერი უზღვევია თავისი ცოდვის გამო.

ყველამ ვიცოდით ეს ამბავი. თავადაც მოეხსენებოდა. ჰოდა, ჩვენ, ჩვენი მხრივ, ისიც ვიცოდით - იმას მოეხსენება, ჩვენ რომ ვიცითო, ასე რომ, ეს მარტივი საქმე გახლდათ. მოთავებული იყო მისი საქმე. იმის თქმა მინდა, გადაწყდა-მეთქი მისი ბედი, მისი როლი ცხადად იყო გამოკვეთილით. თუმცა არა, თავიდან უფრო სწორად ვთქვი, ესეც ცხადია ჩემთვის. მისი საქმე მორჩენილი იყო. იმ გასროლამ იმასაც მოუთავა ხელი და ახლა სულერთი იყო უკვე, რას გააკეთებდა და რას - არა. ახლა ლინდა რჩებოდა მხოლოდ. სულ რომ მოვიწიფე, მაშინლა მივხვდი, რატომ არავინ ელოდებოდა იმ დღეს - აგერ ახლა სისხლს მოწყურებული მისტერ უორნერი, შესაძლოა, ამავე რევოლვერით ხელში, მისტერ სნოუპსის სახლიდან გამოვარდებო, უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ამგვარი საქციელი უაზრობა იქნებოდა. მაშინაც არავინ განცვიფრებულა, როცა (რასაკვირველია, მცირედი დაყოვნების შემდეგ, რასაც მგლოვიარებასთან, მწუხარებასთან დაკავშირებული რიგის და წესის დაცვა მოითხოვდა) შევიტყვეთ - „საქმიდან გამომდინარე მოსაზრებებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო“ მისტერ დე სპეინი გადადგა და დასავლეთში მიემგზავრებო (მართლა გაემგზავრა დაკრძალვისთანავე, - კუბოსთან მარტოდმარტო მოვიდა, ხმა არავისთვის გაუცია, სახელოზე კრეპი ეკეთა, რაც ბუნებრივი ამბავი იყო, რადგან განსვენებული მისი ვიცე-პრეზიდენტის მეუღლე გახლდათ, მერე ჩვენთან ერთად გამოშორდა საფლავს, ოღონდ გაგვისწრო, ჰოდა, ერთ საათში მისმა მანქანამ მოედანი გადაიქროლა და მემფისის შოსეზე გავიდა, თავად მარტო იჯდა იმ მანქანაში და საბარგო ხაზაკით იყო ამოვსებული). მისი ბანკის აქციები, - ოღონდ სახლი მაინც არა: რეტლიფის ნათქვამის არ იყოს, ფლემ სნოუპსიც კი ვერ ითავხედებდა ისე, რომ სახლიც იმავე დღეს დაენარჩუნებინა, რა დღესაც აქციები დაინარჩუნა, - მისი აქციები გასაყიდად გადადეს, ჰოდა, ის კიდევ უფრო ნაკლებად გაგვიკვირდა, რომ ყველა აქცია (თუნდაც საქმის გაუხმაურებლად) მისტერ სნოუპსმა შეისყიდაო.

მთავარი ლინდა იყო. ახლა კი ვიცი, მთელი ის ხალხი, ბანკის კარზე გამოკიდული გვირგვინის სანახავად იმავე მიზეზით რომ იყო შექუჩებული, რა მიზეზითაც მე და ალექ სენდერმა მივირბინეთ, თავის შესაქცევად თუ შემზერდა იმ გვირგვინს, სინამდვილეში კი ის ხალხიც იმისთვის მივიდა იქ, რისთვისაც მე და ალექ სენდერი;

ლინდა სნოუპსისთვის უნდოდათ შეეხედათ, როცა დედა და გვეინ ბიძია ჩამოიყვანდნენ, თუმცა მე და ალექ სენდერს უფრო იმიტომ გვინდოდა ლინდას ნახვა – როგორი შესახედავი იქნებო, რომ გვცოდნოდა, ჩვენ თვითონ როგორი შესახედავი ვიქნებოდით, უცებ ოდესმე დედაჩემს ან გასტერს რომ მოეკლათ თავი. კი, ლინდას ელოდებოდნენ ნამდვილად, ახლა ხომ მაინც მიხვედრილი ვარ, რასაც გვეინ ბიძია ფიქრობდა მაშინ (რაც იცოდა-მეთქი, იმას კი არ მოგახსენებთ, – რასაც ფიქრობდა-მეთქი: ცოდნით ვერაფერი ეცოდინებოდა, რადგან ყველაფრის მოყოლა მისთვის მხოლოდ მისი სნოუპსს შეემლო, ჰოდა, მისი სნოუპსს ყველაფერი იმ ბარათში რომ მოეყოლა, მე რომ გამატანა თავის მოკვლის წინა საღამოს, გვეინ ბიძია გადაათქმევინებდა, შეეცდებოდა მაინც, გადაეთქმევინებინა, ჰოდა, მაშინ სხვას თუ არავის, დედაჩემს ეცოდინებოდა – დაშლით კი დაუშალა, მაგრამ ვერ გადაათქმევინაო), თანაც მარტო გვეინ ბიძია კი არა, მთელი ჯეფერსონიც იმასვე ფიქრობდა. ახლა იმ ხალხს შეენდო მისი სნოუპსისთვის, თვრამეტ წელიწადს მძიმედ რომ სცოდავდა, ახლა თავის თავსაც მიუტევებდნენ იმ ამბავს, თავიანთი მიტევებით მრუშობას რომ ახედვინებდნენ ჩვენს ქალაქში, თუმცა საკუთარ თავსაც და, ვინ იცის, იქნებ ერთიმეორესაც კი შეახსენებდნენ – უფლის წინაშე დიდი ცოდვილი რომ არ ყოფილიყო ის ქალი, ის ამბავიც აღარ მოუწევდა, თვითონვე დაეღუპა თავი, რათა მის ქალიშვილს შესაძლებლობა ჰქონოდა, დედამისი გარყვნილ ქალად კი არა, მხოლოდ თვითმკვლელად მიეჩნიაო.

კი, ყველანი ლინდას ელოდებოდნენ, ახლა მთელი ქალაქი მისი მომხრე იყო, მთელი ქალაქიც და მთელი ოლქიც; ახლა ყველანი, ვისაც კი იმ ქალისდა მისტერ დე სპეინის ამბავი სმენოდა, ვინც კი ამ თვრამეტი წლის განმავლობაში რამე იცოდა, რამეს ხვდებოდა ან ეჭვობდა მაინც, – ჰო, ყველანი იმის ცდაში იყვნენ, რომ ის მიხვედრის, იმ ეჭვის ან ცნობილი ფაქტის (ვინმესთვის მაინც ყოფილიყო ცნობილი ის ფაქტები) ლანდიც არ გაჭაჭანებულყო ლინდას სიახლოვეს. ახლა კი მივხვდი, ყოველი კაცი გულკეთილი რომ არის, ნამდვილად გულკეთილი; ასჯერ ხომ მაინც მოხდება, ერთიმეორეს რომ აღარაფერს აწყენინებენ ხოლმე მარტო მაშინ კი არა, როცა გული უნდათ ატკინონ ერთიმეორეს, მაშინაც კი, როცა იძულებულნი ხდებიან ატკინონ გული, თუგინდ ყველაზე თავგამოდებული მეთოდისტებიც იყვნენ ისინი, ბაპტისტთა შორის უაღრესი ბაპტისტები, პრესვიტერიანელები, – კარგი, ბატონო, თუ გნებავთ პროტესტანტებიც, – ოღონდ ამასობაში მანქანაც გამოჩნდა და ლინდა დედაჩემსა და გვეინ ბიძიას ეჯდა შუაში; მანქანამ მოედანი გადაჭრა, ლინდას სახლისკენ გაემართა, ასე რომ, მე და ალექ სენდერს საიმისო დრო კი გვეყო, კუთხეში გვეინ ბიძიას დავლოდებოდით და მისი მანქანა გაგვეჩერებინა.

- მგონი, გასტერმაც და დედაშენმაც გითხრეს – სახლიდან ფეხი არ მოიცვალოთო, – გვითხრა გვეინ ბიძიამ.

- დიახ, სერ, – მივუგეთ ჩვენ და შინისკენ გავემგზავრეთ. გვეინ ბიძიას, რაღა თქმა უნდა, სადილად პირი არაფრისთვის დაუკარებია, კაცმა არ იცის, რატომ, სულ იმის ცდაში იყო, მე დავეპურებინე. იმის თქმა მინდა, კაცმა არ იცის, რატომ ხდება-მეთქი, რომ ყოველი მოწიფული ადამიანი, თუკი სადილობისას თვალი დაგადგა, უეჭველად იმას ცდილობს ხოლმე, რამე ჩაგტენოს პირში, სულერთია, გინდა შენ საჭმლის ჭამა თუ არ გინდა, ისიც კი სულერთია, თვითონვე სურთ თუ არა მაინცდამაინც მოგაძალონ საჭმელი, ოღონდ ამასობაში მამაჩემმაც კი შეამჩნია, რაც სუფრაზე ხდებოდა.

- აბა! - მითხრა. - ან შეჭამე რამე, ანდა მოუსვი აქედან. სულ არ მინდა დედაშენის მოტყუება, რომ დაბრუნდება და მკითხავს - რატომ არაფერი უჭამიაო. ახლა იმას მაინც ვეტყვი - მგონი, ტეხასში გაგვეპარა-მეთქი. - მერე მამამ თქვა: - შენ რაღა დაგემართა? - იმიტომ, რომ გვეინ ბიძია უცებ წამოდგა, ისე, ერთბაშად წამოდგა და თქვა:

- ბოდიშს ვიხდი, - ჰოდა, გავიდა ოთახიდან; ახლა მისტერ დე სპეინსა და ჯეფერსონს შორის ყოველივე მომთავრებული იყო, ჰოდა, ჩვენ, ესე იგი, ჯეფერსონს, უკვე შეგვეძლო, ჩვენი ფიქრი სულ იმ საკითხისკენ მიგვემართა - ვინლა დარჩა სათვალავში, იმ გასროლისას ავარდნილმა ნაპერწკალმა კიდევ ვინ გაანათაო. ჰოდა, ახლა დასანახავ ადგილას გვეინ ბიძია იდგა, ახლა იმასაც მივხვდი, რომ ჯეფერსონში ისეთი ხალხიც მოიძებნებოდა, ვინც იმას ფიქრობდა - გვეინ ბიძიაც იყო იმ ქალის საყვარელი, თუ არ ყოფილა, უნდა გამხდარიყო, თორემ მარტო ჯეფერსონელ მამაკაცებს კი არა, მთელი ქვეყნიერების მამაკაცებს, ვისაც კი ნაღდ ვაჟკაცად მოაქვს თავი, გვეინის მაგივრად უნდა შერცხვეთო.

ხომ იცოდა ყველამ იმ დიდი ხნის წინანდელი, ჩემს დაბადებამდე გამართული საშობაო მეჯლისის ამბავი; ჰოდა, მერე მთელი ქალაქი იყო იმის შემსწრე და გამგონი, ყველას შეეძლო ვითომ შემთხვევით ჩაევილო და თავისი თვალთ ენახა, როგორ შეექცეოდნენ ნაყინს გვეინ ბიძია და ლინდა კრისტიანის საკონდიტროში, თანაც მაგიდაზე მათ შორის ლექსების წიგნიც იდო. ოღონდ ისიც ყველამ იცოდა, რომ გვეინ ბიძია არც როდის არ ყოფილა მისის სნოუპსის საყვარელი, და, რომც ცდილიყო, მის დასანარჩუნებლად თავიც რომ დაედო, მაინც გაწილდებოდა, რადგან საკუთარი თავის უბედური კაცი გახლდათ. არადა, კიდევ რომ ეჯობნა მისტერ დე სპეინისთვის რაღაცა წარმოუდგენელი ხელის მომართვის ან შემთხვევის წყალობით, ეს ამბავიც მაშინვე დაეტყობოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ გვეინ ბიძია სხვათაგან დაფარული ცხოვრებით ვერასგზობ ვერ ისულდგმულვდა. რეტლიფის ნათქვამის არ იყოს, ისეთი კაცი გახლდათ, ვისაც ფეხის ფრჩხილებიც კი ფეხსაცმელს გარეთ გამოეზრდება ხოლმე.

ესე იგი, რაკი გვეინ ბიძიას ხელი მოეცარა, ამ საქმეშიც უბრალო იყო, ყველაზე წმინდა კაცად დარჩენილი; ახლა მისტერ სნოუპსი კი აღარ იყო მთავარი პიროვნება, ის ადამიანი, ვინც, ვაჟკაცი რომ ყოფილიყო, კარგა ხანია, რევოლვერს სტაცებდა ხელს, გინდაც ხარჯი მოსვლოდა ამ საქმეში, ჰოდა, ორივეს გაყრიდა ჯეფერსონიდან - თავის ცოლსაც და მის ძვირფას ბანკირსაც. ახლა მთავარი პიროვნება გვეინ ბიძია გახლდათ. გვეინ ბიძია გახლდათ დაობლებული, მოტყუებული ქმარი, ობოლი ქალიშვილის გულისთვის ყოვლის მომთმენი და დამთმობი. ჰოდა, იმავე დღეს, როცა გვეინ ბიძია სუფრიდან წამოხტა და ქუჩაში გაიჭრა, დედა კიდევ მანქანით მარტო დაბრუნდა სახლში, დღის სამ საათზე, გვეინ ბიძია ტაქსით მოვიდა და მითხრა (მე და ალექსენდერს სახლიდან ფეხი აღარ გავვიდგამს მას მერე, რაც გასტერმა შავი დღე გვაყარა - დედაჩემმა რაც დაგემართა, იმისას აღარაფერს ვამბობ) :

- ახლა ჩემთან ოთხი ჯენტლმენი მობრძანდება, ოთხივე მღვდელი. სასტუმრო ოთახში შემოუძებნი, შენი ჭირიმე.

შევუძებნი და ის იყო - მეთოდისტს, ბაპტისტს, პრესვიტერიანელს და ჩვენსას, პროტესტანტს. მისტერ ტორნდაიკის გარდა ყველანი ისეთი შესახედავნი იყვნენ, ბანკირები გვეგონებოდათ, ან ექიმები, ან კიდევ ვაჭრები; მისტერ ტორნდაიკიც მხოლოდ იმით გამოირჩეოდა, რომ საყელო უკულმა გაეკეთებინა; ფიქრმიძალეზულნი ჩანდნენ ყველანი, სახე ჩამოგრძელებოდათ, სათითაოდ ხელი ჩამომართვეს და ბუზუნ-



ბუბუნით შემომწკრივდნენ სასტუმრო ოთახში. ჰოდა, იქ გვენ ბიძია ელოდებოდა უკვე, ყოველ მათგანს სახელით მიმართავდა, ხელს ართმევდა, „დოქტორს“ უწოდებდა, ჰოდა, ისევ ბუბუნებდნენ ოთხივენი, ოღონდ ამასობაში იმათგან უხუცესი, პრესვიტერიანელი ყველას სახელით ალაპარაკდა: ჩვენ იმის სათქმელად გახელით, რომ ცალ-ცალკე იქნება თუ ოთხივე ერთად, წირვას გადავიხდითო; მისტერ სნოუპსი ბაპტისტი ბრძანდება, მისის სნოუპსი კიდეც, პრესვიტერიანულ ოჯახში დაიბადა, ოღონდ ჯეფერსონის არც ერთი ეკლესიის მრევლში არ ჩარიცხულანო; ჰოდა, რაკი მისტერ სტივენსმა შემოგვთავაზა... თავს იდგა... ერთი სიტყვით, ამ საქმის გასარკვევად მისტერ სტივენსთან მოგვასწავლესო. ჰოდა, გვენ ბიძიამ უთხრა:

- მოგასწავლეს კი არა, მოგაგზავნეს. იმ შეჩვენებულმა კომპანიამ მოგაგზავნათ, ორივე სქესის დედაბრების და უსქესო დედაბრების შეჩვენებულმა კომპანიამ. თანაც იმ ქალის დასაკრძალავად კი არა, ცოდვათა მისატყვევლად. მაღლობა მომიხსენებია, ჯენტლმენებო, წესის აგებას მე თვითონ ვაპირებ. - ოღონდ ამასობაში მამაჩემი დაბრუნდა სავაზმოდ და დედამ გვენ ბიძიაზე მიუშვა. თავიდან ყველას გვეგონა, დარწმუნებულად კი ვიყავით - უორნერები (იქნებ მისტერ ფლემიც) იმას მოინდომებენ, მისის სნოუპსი ფრანგისხევში დამარხონ, მისტერ უორნერი უკან რომ გაბრუნდება, ცხედარსაც გაიყოლებს და სხვა დანარჩენსაც, რაც თან ჩამოუტანიაო. მაგრამ გვენ ბიძიამ ეს ამბავი ლინდას სახელით იუარა და ბევრი იმასაც ამბობდა - სინამდვილეში თვითონ ლინდასაც უარი უთხრაო. ერთი სიტყვით, უარი ითქვა და დაკრძალვა მეორე დღისთვის დაინიშნა, საიმდროოდ, როცა ჯოდი უორნერის მანქანა ფრანგისხევიდან ჩამობრუნდებოდა და ჯოდის და მისის უორნერს ჩამოიყვანდა. ჰოდა, მამაჩემი გვენ ბიძიას დააცხრა თავს:

- ჯანდაბას ბარემ ეს ამბავი, გვენ, - უთხრა მამამ, - არ იქნება შენგან მაგის გაკეთება. კი, ბატონო, ესეც ბრძანდები და ისიც, მაგრამ მღვდელმსახური არ ხარ მაინც.

- მერე რა? - მიუგო გვენ ბიძიამ. - ის ხომ არ გგონია, ქალაქი იმას დაიჯერებს - დედამიწაზე ისეთი მოძღვარი მოიძებნება, იმ ქალს ჯეფერსონის გვერდის ავლით სამოთხის გზა დაულოცოსო? თუ გგონია, იესო ქრისტე რომ იესო ქრისტეა, ის შეიძლება სამოთხეში შეეყვანა ჯეფერსონის გავლით?

- მოითმინეთ! - დედამ თქვა. - ორივე გაჩუმიდით! - დედა გვენ ბიძიას მისჩერებოდა. - იცი, გვენ, ჯერ იმას ვფიქრობდი - ვერც როდის ვერ მიხვდები, იულამ ეს ამბავი რატომ აიტეხა-მეთქი. ოღონდ ახლა მგონი, მიხვდი ყველაფერს. ის ხომ არ გინდა, მერე ლინდას იმის თქმა მოუხდეს - დედაჩემი დამარხვითაც ვიღაც ბერბიჭამ დამარხაო?

ეს იყო და ეს. მეორე დღეს მისის უორნერი და ჯოდი ჩამოვიდნენ და ის მიხრწნილი მეთოდისტი მღვდელი ჩამოიყვანეს, ამ ოცდათვრამეტი წლის წინ იულა რომ მოენათლა. ჰოდა, ჩვენ - მთელი ქალაქი - იმ მომცროს სახლში შევიკრიბეთ, ქალები ოთახებში განლაგდნენ, მამაკაცები ეზოსა და ქუჩაში, სუფთად იყვნენ ყველანი გამოწკვიპილნი, ხმადაბლა საუბრობდნენ მოსავლის თუ ამინდის ამბების გამო, ერთიმეორისთვის თვალეზში შეხედვას ერიდებოდნენ. ჰოდა, მერე - სასაფლაო, მოცარიელებული მიწის ნაკვეთი; ახალგათხრილი ერთადერთი სამარე მალე დაიფარა გვირგვინებად, არფებად, ურნებად დაწნულ ყვავილთა გროვით. და ის ყვავილებიც იმავე სიკვდილისად იყვნენ განწირულნი, ესენი რომ ცდილობდნენ ნესტარი ამოერთმიათ, შეელამაზებინათ და გაეიოლებინათ. ჰოდა, მისტერ დე სპეინი განზე კი არ იყო გამდგარი, ისე იდგა

მარტოდმარტო, სახელოზე კრეპდამაგრებული, და ალბათ მაშინაც ამგვარი სახე ჰქონდა - იმ დღეს, იმ საათს, იმ წუთს, როცა კუბანზე ლეიტენანტად მყოფი, ბრმად მინდობილ ჯარისკაცებს იქითკენ მიუძღვებოდა, საიდანაც მრავალს აღარ ეწერა დაბრუნება.

მერე შინ დავბრუნდით და მამამ თქვა: - მისმინე, გევინ, დათრობით მაინც დამთვრალიყავი, ეს ოხერი! - და გევინ ბიძიამ გაზეთიდან თავის აულებლად მიუგო:

- სწორს ამბობ, კი უნდა დავმთვრალიყავი, - მერე ვახშობამაც მოატანა და მე მიკვირდა - დედა რატომ არ წყრება, გევინ ბიძია რომ არაფერს ჭამს-მეთქი. ასე იყო თუ ისე, რაკი დედა საჭმელზე არ ფიქრობდა, მეც აღარ შემომჩენია. მერე ჩვენ - გევინ ბიძია, დედაჩემი და მე - კაბინეტისკენ წავედით. ბაბუას სიკვდილის შემდეგ დედა სულ იმას ცდილობდა, იმ ოთახისთვის ბიბლიოთეკა გვეწოდებინა, ახლა კიდეც თვითონვე თქვა ბაბუასნაირად - კაბინეტიო. გევინ ბიძია წიგნით ხელში მაგიდას მიუჯდა და იმ წიგნს ზოგჯერ გადაფურცლავდა კიდეც. უეცრად ზარმა დარეკა.

- მე გავუღებ, - დედამ თქვა. ოღონდ სხვას არც არავის უფიქრია კარის გაღება, არავინ დაინტერესებულა. მერე დედა დერეფნიდან კაბინეტის კარს მოადგა და თქვა: - ლინდაა. მოდი, გენაცვალე, - თან გვერდზე გადგა და მე მანიშნა, ჰოდა, ლინდა რომ შემოვიდა და გევინ ბიძია წამოდგა, დედამ ისევ მანიშნა და მითხრა: - ჩიკ! - ჰოდა, ლინდა კარში შეჩერდა, დედამ კიდეც მითხრა: - ჩარლზ! - მაშინ მე ავდექი და გავედი, დედამ კარი მომიხურა, მაგრამ არ მწყენია, ასეთ ამბებს შეჩვეული ვიყავი უკვე. ისედაც ვიცოდი - ოთახიდან გამომისტუმრებენ-მეთქი, როცა დავინახე, ვინც მოსულიყო.

## 22. გევინ სტივენსი

მეგიმ, როგორც იქნა, გაისტუმრა ჩიკი და კარი მიუხურა.

- დაჯექი, ლინდა, - ვუთხარი, მაგრამ ლინდა არ დამჯდარა. - იტირე, - ვუთხარი, - ცრემლს ნუ შეიმაგრებ, იტირე.

- არ შემიძლია, - თქვა იმან, - ვცადე უკვე. - მე მომჩერებოდა. - ის კაცი არაა მამაჩემი.

- არა, მამაშენია, - ვუთხარი. - მამაა, რაღა თქმა უნდა, ვერც მივმხდარვარ, რას ლაპარაკობ.

- არა, - თქვა იმან.

- კი, - ვუთხარი მე. - გინდა დაგიფიცო? კარგი, გეფიცები, რომ მამაშენია.

- თქვენ იქ არ ყოფილხართ, არც იცით არაფერი, არც კი გენახათ დედა, სანამ... სანამ დედა... სანამ ჩვენ ჯეფერსონში არ ჩამოვედით.

- რეტლიფმა იცის. რეტლიფი ხომ იქ იყო. იცის იმან. იცის, ვინც არის შენი მამა. მე კიდევ რეტლიფისგან ვიცი. დარწმუნებული ვარ. ოდესმე მომიტყუებია?

- არა, - მითხრა იმან. - თქვენ ერთადერთი კაცი ხართ მთელ ქვეყანაზე, არც როდის რომ ტყუილს არ მეტყვის, ვიცი.

- ხომ ხედავ? - ვუთხარი. - ჰოდა, გეფიცები ამ ამბავს. გეფიცები, რომ ფლემ სნოუპსი მამაშენია. - ლინდა არც ახლა დაძრულა ადგილიდან, ოღონდ ცრემლები კი არ წასკდომია, წყალივით უჩუმრად და სწრაფად ჩამოედვარა სახეზე. მე მივეახლე.

- არა, - მითხრა იმან, - არ მომეკაროთ, - და ჩემს ორივე ხელს სწვდა, ჩააფრინდა და მკერდზე მიიკრა. - მამაჩემი არ არის-მეთქი, როცა ვფიქრობდი, ორივე მძაგდა - დედაც და მანფრედიც, კი, კი, ყველაფერი ვიცოდი მანფრედის ამბავი: დამინახავს, როგორ... უყურებდნენ ხოლმე ერთიმეორეს, როგორ საუბრობდნენ, ერთმანეთის სახელს რანაირი ხმით, რანაირად წარმოთქვამდნენ. ჰოდა, ვერ ვუძლებდი ამ ამბავს, მძულდნენ ორივენი. ახლა კიდევ, რაკი ვიცი - ის კაცი მამაჩემი არის-მეთქი, ყველაფერი შეიცვალა. ახლა მიხარია დედას მაგივრად. მადლობა ღმერთს, შეყვარებული რომ იყო, ბედნიერი რომ იყო. ახლა ტირილიც შემიძლია.

### 23. ვ.კ. რეტლიფი

შეტოქებას ჰგავდა ეს ამბავი. გეგონებოდათ, იურისტმა ჯიბეში დინამიტის მასრა ჩაიჩურთა, გრძელი შნურის ბოლოს ცეცხლი წაუკიდა და ახლა იმას ელოდება - გამოჩნდება ვინმე თუ არ გამოჩნდება, ცეცხლი რომ დროზე ჩააქროსო. გინდაც, დოღი ყოფილიყოს გასწრებაზე - ან იურისტი მოახერხებდა, ლინდა ჯეფერსონიდან გაესტუმრებინა და ერთხელ და სამუდამოდ დაეხსნა თავი სნოუპსების მთელი მოდგმისგან, ან კიდევ, თვითონაც აფეთქდებოდა და ყველა დანარჩენ მის ახლობელსაც აფეთქება მოუწევდა.

არა, რა შეტოქება, რის შეტოქება! შეტოქება თუ იყო გამართული, ფლემ სნოუპსთან მაინც არ ყოფილა, რადგან შეტოქებით ორი უნდა შეეტოქოს ერთმანეთს, ჰოდა, ფლემ სნოუპსი ამ საქმეში სულ არ ყოფილა გარეული. უფრო სწორად, შეტოქებაში კი არ მონაწილეობდა, მსაჯი იყო ამ საქმეში. არა, მსაჯიც არ ყოფილა. გეგონებოდათ, საკუთარ თავს რომელიღაც აუღელვებელ, უწყინარ თამაშს ეთამაშებო, გინდაც პასიანსის გაშლით შეექციოს თავი. ახლა ყველაფერი მოეგდო ხელში, რისი გულისთვისაც ჯეფერსონს ჩამოსულიყო. იმაზე მეტიც ჰქონდა. ისიც კი ჩაეგდო, ჯეფერსონს ჩამოსვლამდე რომ ვერც წარმოიდგენდა - იმის დაჩემება მომინდებო, რადგან არც იცოდა იმის არსებობა. ახლა ბანკიც მისი იყო, ბანკში შეტანილი ფულიც და პრეზიდენტის სავარძელიც, ასე რომ, ახლა მართო იმის დარაჯობა კი არ შეეძლო - ჩემი სახლიკაცის, ბაირონისნაირმა ვინმე ყურუმსაღმა ფული არ გაცოცოსო, ახლა იმ რესპექტაბელურობასაც ვედარავინ წაართმევდა, იოკნაპატოფას ორი ბანკიდან ერთ-ერთის პრეზიდენტს რომ ეკადრებოდა. სულ მალე მთელ იოკნაპატოფაში, ის კი არა, მგონი, მთელ მისისიპის შტატში ყველაზე დიდი სახლი იქნება მისი სადგომი, როგორც კი დე სპეინების ძველ შენობას მოუმთავრებენ ხუროები. ორი ყველაზე თავგასული და ნამუსგარეცხილი სნოუპსიც ხომ მოიშორა თავიდან - მონტგომერი უორდი და ა. ო. გააბუნძულა, ასე რომ, ახლა, სულ თუ არა, დროებით მაინც, მთელ ოლქში მის

გარდა ერთადერთი მოქმედი სნოუპსი დარჩა კიდევ - ბითუმად მოვაჭრე ბაყალი, მარტო მასავით პატივცემული კი არა, იქნებ უბრალო ბანკირზე მეტადაც კრედიტუნარიანი. ყველას შეეძლო ეფიქრა - ახლა მაინც გულზე მოეშვებაო ფლემ სნოუპსს. როგორ გეკადრებათ, ბატონო. კიდევ ის საქმე ჰქონდა მოსამთავრებელი, რომ იმ გოგოსთვის (ახლა უკვე დაქალიშვილებულისთვის) როგორმე ის ეთქმევინიებინა - დიდი მადლობელი ვარ, მამა, ასეთი გულკეთილი რომ ბრძანდებო.

და მაინც, შეტოქება გახლდათ ეს ამბავი. ლინდასთან შეტოქება კი არა, არც იურისტ სტივენსთან, რაღა თქმა უნდა, რადგან იურისტს კაი ხანი იყო უკვე, იმას გამორჩენოდა, რასაც მისგან გამოელოდა, ესე იგი, იმ ამბავს, რომ მისი ცოლი წესიერად, პატიოსნად, დარბაისლურად გაესვენებინათ და ამასთან დაკავშირებით ხმაური და აყალმაყალი ვერავის აეტეხა. არა, ახლა უკვე მთელ ჯეფერსონს ეტოქებოდა. გეგონებოდათ, იმას ცდის - რამდენს გაუძლებს, რამდენს მოითმენსო ჯეფერსონი. თითქოს ის ამბავი სცოდნოდეს, რომ მისი კაიკაცობის სახელი იმაზე იყო დამოკიდებული, რომ ჯეფერსონი მარტო მომხდარ ფაქტად კი არ აღიარებდა, შეეჩვეოდა კიდევ იმას, რომ ფლემ სნოუპსმა ბანკიდანაც გუდა-ნაბადი აუკრა მანფრედ დე სპეინს და დე სპეინების საგვარეულო ბუდის გადაკეთებასაც მიჰყო ხელი იქ ჩასასახლებლად, და რომ ერთადერთი საფრთხე დარჩა თავიდან ასაცილებელი: ვაითუ ვინმეს შემთხვევით თვალი აეხილა იმ ასულისთვის, ვინც აქამდე ფლემ სნოუპსს მამად მიიჩნევდა? ვაითუ შემთხვევით შეეტყო იმ ასულს - ის კაცი, დედაჩემის თვითმკვლელობის ამბავში რაღაცით მაინც რომ არის გარეული, სულერთია, დამნაშავეა თუ არა, მამაჩემი არ ყოფილაო; არადა, როცა ვინმემ პასუხი უნდა აგოს დედაშენის სიკვდილის გამო, უმჯობესია, სახლეული იყოს შენი, ვიდრე სულ გარეშე ადამიანი.

ასე რომ, ყოველი კაცი იმას იფიქრებდა - გასვენების მერე მტვერი ცოტათი დაიწმინდება თუ არა, ფლემი იმას შეეცდებოდა, ის გოგო როგორმე ჯეფერსონიდან გაისტუმროს, ის აზრი ჩააგონოს - მე თვითონ მინდა სადმე გადავიკარგო. ოღონდ სინამდვილეში სულ სხვაგვარად მოხდა ყველაფერი. მიზეზად ძეგლი მოიღვა იმ კაცმა. ჰოდა, რასაკვირველია, ამ საქმეში იურისტი სტივენსი გახლდათ გარეული. ვერაფერს მოგახსენებთ, ვინ დაავალა იმ ძეგლის საქმისთვის ხელის მოკიდება, უფლება ვინ მისცა, - იქნებ თვითონვე მიიმძლავრა ის უფლება, ანდა იქნებ საამდროოდ მისი და ყველა სნოუპსის, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მისი და ფლემ სნოუპსის მთელი ოჯახის დამოკიდებულება ისეთივე შეიქნა, გაშლილ მინდორში მოხვედრილ კაცს რომ აქვს კოკისპირულ წვიმასთან: გახდომით ვერაფერს გახდები - დაგატყდება ის თქემი თავზე და ისაა.

ასე იყო თუ ისე, სწორედ იურისტი მიეხმარა ლინდას იმ ამბავში, რომ მთელი სახლი, დედამისის ყველა ქაღალდი გადაექექათ და შესაფერისი სურათი მოეძებნათ; ჰოდა, მერე იურისტმა ის სურათი - თავი მარტო - გაადიდებინა და იტალიაში გაგზავნა, რათა იქ - რა ჰქვია იმას? - ბარელიეფი გამოექანდაკებინათ ძეგლისთვის; თანაც იქიდან სასინჯი ნახატები უნდა გამოეგზავნათ ჩვენთვის, ჰოდა, იურისტს უნდა გადაეწყვიტა, რომელიმერჩეულიყო იმ ნახატებიდან, ისიც ესწავლებინა - ასე და ასე გადაკეთდესო, და მერე უკანვე დაებრუნებინა ნახატები. ჰოდა, სამისო უფლება თვითონვე მისაკუთრა. ფლემი გინდა ჩარეულიყო და გინდა არა, იმიტომ, რომ ის უნდოდა, ფლემს ძეგლი გაეხსნა და მერე გაეშვა ის გოგო. ოღონდ ის ძეგლი ფლემის საქმე გახლდათ, დამიჯერეთ. ფლემმა საფასურიც თვითონ გადაიხადა, თვითონვე ჩაიფიქრა ის ამბავი, დაგეგმვითაც თვითონ დაგეგმა, ფორმაც შეურჩია, ზომაც და წარწერაც - შრიფტი, ასოების სიდიდე, - ჰოდა, ფასის ამბავზე კრინტიც არ

დაუმრავს. კი, დამიჯერეთ, სულ ფლემის საქმე გახლდათ. იმიტომ, რომ იმ გეგმას მისდევდა, იმისთვის რომ მიედწია, რისი გულისთვისაც ჩამოვიდა ჯეფერსონში და რისთვისაც გადახდა თავს ყველაფერი.

კი, რასაკვირველია, იურისტმა გამოაწყო ისე, რომ ლინდა წასულიყო ჯეფერსონიდან, ბოლოს და ბოლოს თავი დაედწია აქაურობისთვის; ერთადერთი, ძეგლის დადგმას უცდიდნენ, რადგან ფლემი შეჰპირდა – ამის მერე გაგიშვებო. ლინდა იმ ადგილას მიემგზავრებოდა, გრინიჩ-ვილუჯი რომ ერქვა ნიუ-იორკში. იურისტმა ითავა ყველაფერი, ჰარვარდელ მეგობრებს შეუთანხმდა, სადგურზე დახვედროდნენ და მოწყობაში მიშველებოდნენ, ოთახი დაექირავებინათ და რაც რამე დასჭირდებოდა, არაფერი მოეკლოთ იმ გოგოსთვის.

- კოლეჯია ის დაწესებულება? - ვკითხე მე. - ჩვენთან რომაა სემინარი-ჰილზე, იმნაირი?

- არა, არა, - მიპასუხა იურისტმა. - თუმცა ჰო, იმნაირია. ოღონდ ისეთი არაა, თქვენ რომ გგონიათ.

- მე მეგონა, უეჭველად კოლეჯში გინდოდათ გაგეგზავნათ, ჩრდილოეთში.

- ეგ ადრე იყო, - მითხრა. - იმის მერე ბევრი რამე გადაგვხვდა. ერთობ ბევრი რამე მოხდა, ერთობ სწრაფად, ერთობ მოულოდნელად. ლინდამ ყველა უნივერსიტეტს გაუსწრო ერთ დღე-ღამეში, ამ ორი კვირის წინ. ახლა ხელახლა უნდა შეესისხლხორცოს იმ უნივერსიტეტებს, საამისოდ ერთი წელი მაინც არის საჭირო, იქნებ ორიც. ახლა გრინიჩ-ვილუჯი ყველაზე შესაფერისი ადგილია ლინდასთვის.

- მაინც რა არის ისეთი ის გრინიჩ-ვილუჯი? - შევეკითხე. - არ მეუბნებიან და ისაა.

- ეს ისეთი ადგილი გახლავთ, განსაზღვრულ სივრცეში რომ არის მოთავსებული და მაინც, ჭეშმარიტ საზღვართა გარეშეა, ყოველი ასაკის ახალგაზრდობა იქ იკრიბება თავისი ოცნების მისაკვლევად.

- აბა, მე ისიც არ ვიცოდი, მასეთ ადგილებს გეოგრაფიული საზღვარი თუ არ ჰქონდა, - ვუთხარი. - მე მეგონა, მაგ ეშმაკის მანქანებს კაცი ყველგან მოიძევს-მეთქი.

- ყოველთვის ვერ მოიძევ. ყოველ შემთხვევაში, ლინდას საქმე მაინც სხვანაირადაა. ზოგჯერ მარჯვე გარემოა საჭირო, ტყის სივრცე, ისეთი სანახები, სადაც ხალხს სხვა დროსაც უნადირია და იმავე საშოვარს გადასწვდომია, თქვენ რომ გჭირდებათ სწორედ. ხანდახან ზოგ-ზოგიერთებს მიშველება სჭირდებათ მის მისაკვლევად. ჰოდა, იმათ რომ ხელში მოგდება უნდათ, ის საშოვარი ჯერ თვითონვე უნდა შექმნან. საამისოდ ორი ადამიანია საჭირო.

- ორიო? - შევეკითხე.

- დიახ, - მითხრა. - ორი.

- თქვენ - ქმარიო, იმის თქმა გნებავთ?

- მასე ითქვას, თუ გინდათ, - მითხრა. - რა დაერქმევა, სულერთია.

- მომისმინეთ, - ვუთხარი მე. - მაგნიარი სიტყვებისთვის ჯეფერსონის, მთელი იოკნაპატოვას მრავალი, არა, ფაქტობრივად ყველა კეთილი, ღვთისმოშიში, მართალი, მეზრძოლი მორწმუნე ქრისტიანი, ვინც კი თავმოძვრნედ ბრძანებს თვითონვე - ჩვენს სიცოცხლეში ისეთი არაფერი ჩაგვიდენია, ყველაზე უმანკო ბავშვს თვალი რომ ვერ გავუსწოროთო, ყველა იმას იტყვის თქვენზე - ეშმაკის თანამდგომი და შუამავალი არისო.

ოღონდ იურისტს ხუმრობისთვის არ ეცალა. კაცმა რომ თქვას, არც მე მეხუმრებოდა. - დიახ, - მითხრა. - ასე იქნება ლინდას ამბავი. გაჭირვებით ძალიან გაუჭირდება. ბევრ ვინმეს უნდა შეხედეს, დიდხანს უნდა არჩიოს. იმიტომ, რომ იმ კაცს, ვინც იქნება, დიდად გაუძნელდება ლინდას სწორფერობა. ძალიან გულოვანი უნდა იყოს, რადგან ბედისწერაა, იქნებ უბედურებაცაა ეს ამბავი. ეს არის ლინდას ბედი, საიმისოდ არის განწირული, რომ შფოთსა და წუხილში იყოს მისი დღე და მოსწრება და ყოველივეს გაუძლოს, საიმისოდ არის განწირული, რომ ერთი გატაცება განიცადოს, ერთი მწუხარება, და მთელი სიცოცხლე იმას შეაღიოს, ისე, როგორც ზოგიერთი დაბადებიდანვე საიმისოდ არის განწირული, რომ გამარცხდეს, უღალატებენ ანდა მოკლავენ კიდევ.

ჰოდა, მაშინ იყო, რომ ვუთხარი:

- შეირთეთ ლინდა. ამ ამბავზე არასოდეს გიფიქრიათ, რაღა თქმა უნდა.

- მე არ მიფიქრია? - მითხრა. მშვიდად მითხრა, არც გაკვირვება დამჩნევია, არც სხვა რამე. - მე კიდევ მეგონა - სწორედ ამ ამბავზე ვლაპარაკობ-მეთქი ეს უკანასკნელი ათი წუთია. ლინდას მჯობნის მჯობნი სჭირდება, ოღონდ შესაძლოა, ამნაირი კაციც კი არ გამოადგეს.

- თქვენ შეირთეთ, - ვუთხარი.

- არა, - მომიგო. - მე ის ბედი მიწერია, რომ ყოველთვის ხელიდან გავუშვა ცოლის შერთვის შემთხვევა.

- თქვენ იმის თქმა გნებავთ - ქორწინებას ყოველთვის გადავურჩეო?

- არა, არა, - მითხრა, - მაგ ამბავს ვერასოდეს გადავურჩები. ქორწინება სულ მუდამ ჩასაფრებული მყავს ჩემს სავალ გზაზე. ჩემი ბედი ისეთია, რომ ხან მე ვუშვებ ხელიდან ქორწინების შემთხვევას და ხან ის მიშვებს ხელიდან, ჩემდა გადასარჩენად.

ასე რომ, ყველაფერი გადაწყვეტილი გახლდათ. ახლა ერთადერთი ის იყო საჭირო, ის მარმარილოს პორტრეტი, ის სახე მიედოთ იტალიიდან. ჰოდა, სულს ართმევდა იმგენს იურისტი, ტელეფონით იქნებოდა თუ ტელეგრაფით, თანაც, ლამის ყოველდღე იტალიის კონსულს ურეკავდა ახალ ორლენში და იმას ელოდებოდა, როდის გახდებოდა შესაძლებელი ძეგლზე იმ ბარელიეფის მიმაგრება, რომ მერე (თუკი საჭირო შეიქნებოდა) ქეჩოში ხელი წაევილო ფლემისთვის, მანქანაში ჩაეგდო, სასაფლაოზე გაეყვანა და ძეგლისთვის საბურველი შემოეძრო; ჰოდა, საამდროოდ ლინდასთვის ნიუ-იორკის ბილეთიც ხელთ უნდა ჰქონოდა (ბილეთის საფასურსაც თვითონვე გადაიხდიდა, ოღონდ აღარ იყო საჭირო ეს ამბავი, რადგან ბიძია ბილმა დასაფლავების მერე უკან გაბრუნებამდე უკანასკნელად ის გააკეთა, რომ ბანკში - ოღონდ ფლემის ბანკში კი არა, მეორეში, თანაც, იურისტი ერთ-ერთ მეურვედ გახადა - კარგამალი

თანხა გადარიცხა იმ ფულიდან, რომელიც მისი ანდერძის მიხედვით, იულას უნდა რგებოდა მემკვიდრეობად).

ასე რომ, ლოდინი მოგვიხდა. ჰოდა, ეს ამბავიც კაი თავშესაქცევი გახლდათ. მოკლედ, იურისტი იტალიის მთავრობას არ აყენებდა საშველს, ჩემთვის კიდევ უმთავრესი ის არის ყოველთვის, რამეს ვაკვირდებოდე ხოლმე, რაღა თქმა უნდა, როცა ადამიანებს შეეხება საქმე. ისინი - ფლემი და ლინდა - ისევ იმ მომცრო სახლში იდგნენ ჯერჯერობით, და თუმცა დიდი ხანი იყო გასული, რაც ფლემს ის სახლი ეყიდა, მაინც ყველას ეგონა, ნაქირავები აქვსო: მანქანაც საკმაოდ მალე შეიძინა ფლემმა. იმის თქმა მინდა - რასაკვირველია, მას მერე-მეთქი, რაც საკმაოდ დრომ გაიარა მისი გაპრეზიდენტებიდან: სანტა კლაუსის ზედიზედ შეწუხება არ ივარგებდა. ძალიან ძვირფასი მანქანა არ ყოფილა, გამძლე იყო, სწორედ საკადრისი ზომის, საკადრისად შავი ფერის მანქანა. იმდენი ქნა, თვითონვე ისწავლა იმის მართვა, - ალბათ სჭირდებოდა ეს ამბავი, იმიტომ, რომ ყოველდღე, ბანკის დახურვის მერე გამგზავრება უხდებოდა იმის თვალის მისადევნებლად, ხუროები როგორ მუშაობდნენ მის ახალ სახლში (წინა მხრიდან სვეტები მიუშენეს იმ სახლს, მაღალ-მაღალი სვეტები). ჰოდა, ფლემს თვითონ უხდებოდა მანქანის წაყვანა, იმიტომ, რომ ლინდამ კი იცოდა მართვა და ზოგჯერ კიდევ ჩაუჯდებოდა ხოლმე იმ მანქანაში, - იმისას თუ აღარაფერს ვიტყვით, ჩემო ბატონო, რომ ყველა ქალს უყვარს ბინის შენების იქნება თუ გადაკეთების ყოველნაირი დავიდარაბა, სულერთია, ვისიცაა ის ბინა, ისე, როგორც ჩიტებს უყვართ ბუდის ამოშენება, - ჰოდა, ლინდა სახლის სანახავად კი ახლდა იმ კაცს, ოღონდ შესვლითაც არ შესულა იმ სახლში და მეტად აღარც წაჰყოლია იქითკენ.

მაგრამ, მოგახსენეთ უკვე, ამ ამბით ყველანი ვიყავით რაღაცნაირად დაკავებული, რაღაცნაირად ჩვენც გვეხებოდა ეს ამბავი, ანდა გვიანტერესებდა მაინც, ასე რომ, ლოდინი კი შეგვეძლო ჩვენ. არადა, მოგეხსენებათ, ყოველნაირ მოლოდინს აქვს დასასრული, ოღონდ კი ცოტათი მეტხანს დაელოდოს კაცი. ოქტომბერი დადგა, წელიწადის მშვენიერი დრო, კაცმა რომ თქვას, საუკეთესო დრო. ჰოდა, რასაკვირველია, იურისტი თვითონ გაემგზავრა სადგურზე იმ რაღაცის წამოსაღებად და წამოიღო კიდევ, თუმცა, დარწმუნებული ვარ, გადმოგზავნის ხარჯი ფლემმა გადაიხადა, რადგან იურისტს საიმისო მოთმინება არ ეყოფოდა, მდგარიყო და ეცადა, ვიდრე აგენტი ყველაფერს იანგარიშებდა და ჩეკს გამოწერდა. არა, იმან ბაქანზე ბატებივით გამოირეკა წინ თავისი მანქანისკენ ორი ზანგი, იმ რაღაცას რომ მოათრევდნენ, ნამჯით შეფუთულს და ხის ყუთში ჩაჭედდნენ. ჰოდა, მომდევნო სამ დღეს მისი სამსახურის კარი იურისტს, ასე რომ ვთქვათ, მხოლოდ შორიდან თუ „მოკრავდა ხოლმე თვალს“, მოედანს როცა ჩაუქროლებდა. კიდევ კარგი, იმ დღეებში არც ყაჩაღები დასხმიან თავს ჩვენი იოკნაპატოფას ფინანსურ კეთილდღეობას, არც სხვა ვინმე მძარცველები, თორემ ჩვენს იოკნაპატოფას საკუთარი ძალებით მოუწევდა გამკლავება, ოლქის პროკურორის დაუხმარებლად, ჰოდა, იმან წინასწარვე, ბარელიეფის ჩამოტანამდე იქირავა კალატოზები, ისინიც ადგნენ და მგონი, კირხსნარიც მოამზადეს უკვე. ჰოდა, ერთ დილას დავიჭირე იურისტი, მანქანის კარზე ხელი ჩამოვუდე და ვუთხარი:

- მოდი, წამოგყვებით სასაფლაოზე, - ის კიდევ წაიხარა, მანქანა უკვე მოემართა, მოტორი მუშაობდა, ხელი ჩამომადებინა და მითხრა:

- ნუ მებლანდებით ფეხებში, - მითხრა და დაძრა მანქანა. მე მის კაბინეტში ავედი - იქ კარი არც როდის არ იკეტებოდა, მაშინაც კი, როცა იურისტი მთელი დღით მიდიოდა სადმე. შევედი და ქვედა უჯრა გამოვადე, ბოთლს რომელშიც ინახავდა, ის

უჯრა, მაგრამ ვისკის ნატამალიც არ იყო ბოთლში. მაშინ ავდექი და ქუჩაში დავიცადე გაკვეთილების დამთავრებამდე, მერე ჩივი დავიჭირე და ვუთხარი:

- იქნებ სულ ცოტა ვისკი მაინც ჰქონდეს ბიძაშენს სახლში. - ჰოდა, ჩივმა მიპასუხა:

- არ ვიცი, ვნახავ. თქვენ გინდათ, ჭიქაში ჩავასხათ და აქ მოგიტანოთ?

- არა, ბიძაშენს ჭიქა კი არ სჭირდება, ბოთლი სჭირდება მთელი, დიდი ბოთლი, გაპიპინებული მოარბენინე ერთი, მე დავუდგები დარაჯად.

მერე, როგორც იქნა, ის ძეგლი მოამთავრეს, ფლემს შეეძლო გაეხსნა უკვე. ჰოდა, იურისტმა ბრძანება გამომიგზავნა, მოკლე, გამოკვეთილი განკარგულება, გინდაც ქალაქის ამღები გენერალი ყოფილიყოს: „ზუსტად ოთხის ნახევარზე ჩემს კაბინეტში დამხვდით, ჩივს შევუვლით. მატარებელი რვაზე გადის მემფისიდან, დრო ცოტა გვაქვს“.

ვეახლე და ის იყო. ოღონდ კაბინეტში არა - ჩემი მისვლისას უკვე მანქანაში იჯდა, მოტორი ჩართული ჰქონდა. - რომელი მატარებელი გადის რვაზე, საით მიმავალი მატარებელია, ვინ უნდა გაჰყვას? - შევეკითხე.

- ლინდას მატარებელი, - მითხრა, - შაბათ დილას ნიუ-იორკში იქნება. ბარგი ჩალაგებული აქვს უკვე, მზადაა ყველაფერი. როგორც კი ამ საქმეს მოვითავებთ, ფლემი მემფისში წაიყვანს თავისი მანქანით.

- ფლემი ამგზავრებს ლინდას? - გავიოცე.

- რა მოხდა მერე? - მითხრა. - მისი ქალიშვილი არაა? რაღაცა ხომ უნდა გაუკეთოთ თქვენს შვილებს, გინდაც მთლად თქვენი არ იყვნენ ის შვილები. ჰო, დაჯექით, - მითხრა, - აგერ, ჩივიც მოვიდა.

ჰოდა, მივედით სასაფლაოზე და დავინახეთ - იმხელა სვეტი დაეყუდებინათ, არ ვიცი, რამდენი დაუჯდა ფლემს, ოღონდ მაშინვე მიხვდებოდით, იაფი რომ არ უნდა დასჯდომოდა. იმ მოცარეილებული მიწის ნაკვეთის შუაში ერთადერთი საფლავი იყო გათხრილი, მიწა ჯერაც არ დამჯდარიყო იმ საფლავზე, ჰოდა, თავით ის სვეტი დაეყუდებინათ, შემოდგომის თბილი მზის სხივებზე თეთრად მოქათქათე, გარშემო კიდეც ხასხასა ყვითელი, ალისფერი და მუქი წითელი ფერი დასდებოდა ხეებს - ნეკერჩხლები იდგა, მუხები, კაკლები, თუთუბოები და კაუჩუკის ხეები, ცეცხლივით გიზგიზებდა მუქმწვანე კედრებს შორის. ამასობაში მეორე მანქანაც მოვიდა - ფლემი და ლინდა უკანა დასაჯდომზე ისხდნენ, წინ კიდეც ზანგი შოფერი იყო, რომელსაც ლინდა მემფისში უნდა წაეყვანა. ჰოდა, ლინდას მთელი ბარგი წინა დასაჯდომზე მოეთავსებინათ შოფრის გვერდით; მოადგა საფლავს მანქანა, შეჩერდა. დამჯდარა ის კაცი თავისი შავი შლაპიანად, სულ ახალნათხოვარს რომ უგავს, ბანტად განასკვული ჰალსტუხი უკეთია, შესახედავად ისიც ახალთახალი, ჰოდა, თავისებურად ნება-ნება იღებდა ისევ; ის გოგოც გვერდში უზის წელში გამართული, მშვიდი, საზურგეს არც კი მიყრდნობია, მუქ საგზაო კოსტიუმში გამოწყობილი, ვუალიანი ქუდი დაუხურავს, თეთრთათმანიანი შეტყვევლვილი ხელები მუხლებზე წყნარად ჩამოუწყვია. ჰოდა, იმ ქვის ძეგლისთვის, ერთხელ რა არის, ერთხელაც არ შეუხედავს. ძეგლზე კიდეც, ჩემო ბატონო, ის მარმარილოს ნაქანდაკარია, იმ ქალის სახე, იურისტმა თვითონვე რომ შეარჩია და შეუკვეთა. ჰოდა, ჯერ იმას იფიქრებ კაცი - ის სახე იულასას სულ არ ჰგავს, საერთოდ არავის არ ჰგავსო; ოღონდ პირველად მოგეჩვენება ასე, მერე კი



მიხვდები - ალბათ იმიტომ, რომ ის სახე ყველა დანარჩენ ქალს არ ჰგავს, რასაკვირველია, იმ ქალს ჰგავს მარტო, იმ ერთადერთ ქალს, რომელზეც ყოველი მამაკაცი, თუკი ვაჟკაცად ყოფნა არგუნა ბედმა, იტყვის: კი, ის არის ნამდვილად, ამ ხუთი წლის წინ ვიცნობდი, ან - ათი წლის წინ, ან - ორმოცდაათი წლის წინ, ჰოდა, ახლა ალბათ იმის უფლება მაქვს, მეტი აღარასოდეს გავიხსენო. იმ სახის ქვეშ კიდევ, წარწერაა ამოკვეთილი, იმ კაცმა - იურისტისას არ მოგახსენებთ ახლა - თვითონვე რომ შეარჩია:

იულა უორნერ-სნოუპსი

1889-1927

პატიოსანი ცოლი ქმრის გვირგვინია

შვილები მისი დამლოცველნი დაიზრდებიან

ჰოდა, დამჯდარა ის კაცი და ძლივს შესამჩნევად, თანაბრად იღეჭება, მის გვერდით კიდევ ის გოგო ზის - აუმღვრეველი, ლერწამივით ამართული, არსაით არ იყურება და ის თეთრ-თეთრთათმანიანი ხელები მუხლებზე უწყვია ისევ. მერე შეინძრა ის კაცი, ოღნავ დაიხარა, სარკმლიდან გადმოაფურთხა და ისევ საზურგეს მიესვენა.

- ახლა შეიძლება წასვლა, - თქვა მერე.

## 24. ჩარლზ მალისონი

ავტომობილი დაიძრა, მაშინ მე შევბრუნდი და ჩვენი მანქანისკენ წავედი, ოღონდ უცებ რეტლიფმა ჩემ უკან თქვა:

- მოიცადე, სუფთა ცხვირსახოცი თუ გაქვს? - ჰოდა, შევბრუნდი და დავინახე, რომ ჩვენკენ ზურგშემოქცეული გვეინ ბიძია გვშორდებოდა, საითკენღაც, უფრო კი არსაითკენ მიდიოდა. რეტლიფმა ცხვირსახოცი გამომართვა და დავეწიეთ გვეინ ბიძიას. ოღონდ ამასობაში დამშვიდებულიყო უკვე. ისღა თქვა:

- რა მოხდა?! - მერე თქვა: - კარგი, წავიდეთ. თქვენ, ჩემო ძმებო, შეგიძლიათ მთელი დღე უსაქმურად გაატაროთ, ოღონდ მე სამსახური მაქვს, ვმუშაობ, ბოლოს და ბოლოს. ჰოდა, ჩემს კაბინეტთან ახლოს უნდა ვიყო, ყოველ კაცს რომ შეეძლოს ჩემი მოძებნა, ვინც კი ჩვენი ოლქის წინააღმდეგ რამე დანაშაულს ჩაიდებს გულში.

მანქანაში ჩავსხედით, გვეინ ბიძიამ მოტორი აამუშავა და ქალაქში გამოვბრუნდით. ოღონდ ახლა გვეინ ბიძია სულ ფეხბურთის ამბებზე ლაპარაკობდა და ასე მითხრა: - კი არის დრო, აკვირიდან ამოძვრე და ჩვენი ქალაქის გუნდში დაიწყო თამაში! ჩემი კაცი მჭირდება იმ გუნდში, კი ვიცი, რატომაც აერიათ საქმე. - ჰოდა, სულ ასე მილაპარაკობდა, ორივე ხელსაც მოაშორებდა ხოლმე საჭეს, ის რომ ერვენებინა ჩვენთვის, რასაც გვეუბნებოდა: უბედურება ისაა, ფეხბურთის გაგება მარტო მცოდნე კაცს შეუძლია, სხვა ვერავინ მიხვდება რაც მოედანზე ხდებაო; ფეხბურთი ბეისბოლი კი არ გახლავთ, ყველანი რომ გაჩერებულან და ბურთი მიფრინ-მოფრინავს, მასეთი

თამაშის გაგებას რა დიდი ამბავი უნდაო; ფეხბურთში კიდეც, ბურთიც და მოთამაშეებიც ერთად იძვრიან, თანაც ყოველთვის ჯგუფ-ჯგუფად დარბიან, ბურთი შუაში აქვთ მოქცეული, უცებ ვერც მიხვდები, რომელს აქვს ბურთი, იმისას თუ აღარაფერს ვიტყვით - რომელს უნდა ჰქონდესო; თანაც ის ბურთი ტალახშია ამოსვრილი, მოთამაშეებიც ტალახსა და მტვერში დასდევენ იმ ბურთს, ვიდრე თვითონაც ერთიანად არ ამოითითხნებიანო. ჰოდა, მიქაქანობდა გევინ ბიძია ხელების ქნევით, მე და რეტლიფი კიდეც - საჭე დაიჭირე, საჭე დაიჭირეო, მივძახოდით, ჰოდა, გევინ ბიძია რეტლიფს ესიტყვებოდა - აბა, თქვენი აზრით, სწორს არ ვამბობო? ან - თქვენ, რაღა თქმა უნდა, არ მეთანხმებითო, ან კიდეც - რაც გნებავთ, ის თქვითო, რეტლიფი კიდეც - არა, ბატონო, არც მიფიქრიაო, ან - არა, არაო, ანდა - ფეხბურთი არც მიხსენებიაო. ჰოდა, ბოლოს იმან, რეტლიფმა, ასე მითხრა:

- ბოთლი თუ იპოვე?

- ვერა, სერ, - მივუგე. - ალბათ მამამ დალია. ახალ კასრს კიდეც, მისტერ გაური კვირა საღამომდე არ მოგვიტანს.

- ჩამომსვით ერთი, - უთხრა რეტლიფმა გევინ ბიძიას. გევინ ბიძიას სიტყვა გაუწყდა და შეეკითხა:

- რა ბრძანეთ?

- ერთი წუთით გადავალ, - უთხრა რეტლიფმა.

ჰოდა, გევინ ბიძიამ მანქანა დაამუხრუჭა, გადასვა რეტლიფი (სწორედ მოედანზე ვიყავით გასული), მერე კი გზა განვაგრძეთ და გევინ ბიძიაც ხელახლა ალაპარაკდა, რადგან გაჩუმებით მარტო იმისთვის გაჩუმდა, რომ რეტლიფისთვის ეკითხა - რა ბრძანეთო? - მერე მანქანა გააჩერა და თავისი კაბინეტის კარისკენ გაემართა რაღაცის ჩმახვა-ჩმახვით, კაცი ვერაფერს გაუგებდი, აზრიან რამეს ამბობდა თუ უაზროს. ჰოდა, მერე ერთ თავის ჩიბუხს დასწვდა და თვალებით რაღაცას ძებნა დაუწყო მაგიდაზე, ვიდრე სათუთუნე არ მივუჩოჩე, ჰოდა, მაშინ იმ სათუთუნეს დახედა, ჰო-ო, მაღლობთო, - თქვა და ჩიბუხი ისევ მაგიდაზე დადო, გაუჩერებლად აძრახებულმა. მერე რეტლიფიც შემოვიდა, კარადას მიადგა, ჭიქა, კოვზი და საშაქრე გადმოიღო, უბიდან თეთრი ვისკის დიდი ოთლი ამოაძვრინა, - გევინ ბიძია ქაქანებდა და ქაქანებდა, - გევინ ბიძიას მიეახლა და ბოთლი გაუწოდა.

- აგერაა, - უთხრა გევინ ბიძიას.

- ჰო, დიდი მაღლობელი ვარ, - თქვა გევინ ბიძიამ. - მშვენიერი რამეა. კი, კი, მშვენიერი. - ოღონდ იმ ბოთლისთვის ხელიც არ უხლია, მაშინაც არ მიჰკარებია, რეტლიფმა მაგიდაზე რომ დადგა, - ალბათ ისევ ისე იდგა ის ბოთლი, როცა მეორე დილას კლუფუსი შევიდა კაბინეტის გამოსახვეტად, ბოთლი დაინახა და ალბათ გადაგდებაც დაუპირა, ოღონდ დროზე მიხვდა, დაყნოსა თუ გემო გაუსინჯა, ან კიდეც აიღო და დალია სულაც. ჰოდა, გევინ ბიძია ისევ ჩიბუხს დასწვდა, გატენა და ჯიბეში დაიწყო ხელის ფათური, რეტლიფმა კიდეც ასანთი გაუწოდა, ჰოდა, გევინ ბიძია გაჩუმდა, ასანთს დააჩერდა და თქვა: - რა ბრძანეთ? - მერე თქვა: - მაღლობთ, - ასანთი გამოართვა, მაგიდის ფიცარს ქვედა მხრიდან ფრთხილად გამოკრა, მერე სულის ფრთხილი შებერვით ჩააქრო, საფერფლეში ჩააგდო, ჩიბუხიც საფერფლეში ჩადო, მაგიდაზე ხელები ჩამოაწყო და რეტლიფს უთხრა:

- იქნებ თქვენ მაინც ამიხსნათ, იმიტომ, რომ მე, მომკალით თუ გინდათ, მაგრამ ვერ გამიგია: რატომ ჩაიდინა იმ ქალმა ეს საქმე? რატომ-მეთქი? ქალებს ხომ ფაქტები არ აინტერესებთ ხოლმე, ოღონდ კი დამი დამში მოდიოდეს; კაცები არიან, ფეხებზე რომ იკიდებენ იმ ამბავს, რომ ფაქტებიერთიმეორეს შეეწყოს, ფეხებზე ჰკიდიათ, ვინ დასახიჩრდა, რამდენი დასახიჩრდა, ოღონდ კი მაგრად იყვნენ დასახიჩრებული. ასე რომ, გკითხვით მინდა. ქალებს იცნობთ თქვენ, ცისმარე დღე მიდი-მოდინართ ამ ჩვენს ოლქში და სულ იმ ქალებში ტრიალებთ, იმათ შუაგულში, ერთი სასტუმრო ოთახიდან მეორეში გადაბრძანდებით ფრანტივით... დიახ, იმას გკითხვით - რატომ-მეთქი? ქალიშვილი ქალის უბედურების და მწუხარების გულისთვისო. კი, მაგრამ ქალიშვილი ქალებს სიამოვნებით ის თქვენი დარდი და მწუხარება, არ ამინებთ მაგ ამბავი. არადა, ამ ერთი კვირის წინ იმის დაბადების დღე გახლდათ, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ყველაფერში ფლემია დამნაშავე, მთელი კვირის განმავლობაში ერთხელაც არ გაახსენდა, ცხრამეტი რომ შეუსრულდა იმას. კარგი, ბატონო, დავივიწყოთ ეს ამბავი, ხომ თქვა ვიღაცამ - ქალიშვილებს ტანჯვა-ვაება უყვართო. არა, არა, მე ის გკითხვით - რატომ-მეთქი? - რეტლიფს მისჩერებოდა... - რატომ-მეთქი? რატომ მოახდინა იმ ქალმა ეს საქმე? ვინ აიძულა? ან რატომ აიძულა, რატომ-მეთქი? ტყუილუმბრალოდ დაასამარა ის, რისი დასამარების უფლებაც არ ჰქონდა, ის თავის თავს არ ეკუთვნოდა, ნება არ ჰქონდა, თავი დაეღუპა, მოესპო, იმდენი ვინმეს კუთვნილება იყო, ჰოდა, როგორ ადვილად დაიღუპა, გაცამტვერდა, განიბნა ყოველივე, კვალიც აღარ დარჩენილა. - რეტლიფს შეამტერდა. - მითხარით, ვ. კ., რატომ-მეთქი?

- იქნებ მოსწყინდა ყველაფერი, - უთხრა რეტლიფმა.

- მოსწყინდაო, - თქვა გევინ ბიძიამ. მერე ხმადაბლა გაიმეორა: - დიახ, მოსწყინდა. - ჰოდა, ატირდა სავარძელში მჯდარი, მაგიდაზე ხელებზემოწყობილი, სახეც კი არ დაუფარავს. - დიახ, - თქვა, - ყველაფერი მოსწყინდა. სიყვარული იცოდა იმან, სიყვარულის გაცემაც და მიღებაც... მაგრამ ორჯერ შეეცადა და არც ერთხელ არ გაუმართლა, ვერ შეხვდა ისეთ კაცს, საკმარისად ძლიერი რომ იქნებოდა საიმისოდ, რათა მისი სიყვარული დაემსახურებინა, თუნდაც ისეთს, საკმარისად გულოვანი რომ იქნებოდა საიმისოდ, რათა მიეღო მისი სიყვარული. დიახ, - თქვა ატირებულმა, ისიც კი არ უცდია, სახე დაეფარა ჩვენგან, - დიახ, ყველაფერი მოსწყინდა, რალა თქმა უნდა.

ჰოდა, ერთი ამბავი მოხდა კიდევ. ერთ დილას - ამასობაში ზაფხული დადგა ხელახლა, ივლისი - ახალი ორლეანიდან ჩრდილოეთისკენ მიმავალი მატარებელი ჩამოდგა ბაქანზე. ვაგონის საფეხურიდან პირველად ზანგი გამცილებელი ჩამოხტებოდა ხოლმე, - პულმანის ვაგონიდან კი არა, ის ვაგონები მატარებლის ბოლოში იყო მიბმული ყოველთვის, იმ ვაგონების გამცილებლებს თითქმის ვერც კი ვნახულობდით, წინა, უპლაცკარტო ვაგონიდან ჩამოხტებოდა ხოლმე, - რათა ბაქანზე გაებოლთა და სადგურის მუშებს თუ სხვა ზანგებს გასაუბრებოდა, მუდამ რომ იკრიბებოდნენ სამგზავრო მატარებლების დასახვედრად. ოღონდ ამჯერად თვით უფროსი გამცილებელი ჩამოვიდა პირველი, მატარებელი თითქმის არც გაჩერებულიყო, ისე ჩამოხტა, ჰოდა, იმას მატარებლის უფროსი მოჰყვა ფეხდაფეხ, თეთრკანიანი. ვაგონის გამცილებელი სულ არ ჩამოსულა, ის იყო მხოლოდ, სარკმელში გადმოჰყო თავი და ლამის წელამდე გადმოიწია.

ჰოდა, მერე ოთხი არსება გადმოვიდა კიდევ, როგორც გამოირკვა - ბავშვები. ყველაზე მაღალი გოგო გახლდათ, ოღონდ ჩვენ ვერ გავიგეთ, უფროსი იყო ის გოგო თუ ტანმაღალი მხოლოდ. გოგოს ორი ბიჭი მოჰყვებოდა, სამივეს კომბინეზონი ეცვა,

ბოლოში კიდევ, კოჭებამდე ჩაფართოხუნებულ პერანგისამარა ბიჭუკელა მოსდევდათ. კაცის ხალათს ჰგავდა ის პერანგი, ფქვილის ტომრისგან, ანდა იქნება ძველი კარვის ნაჭრისგან შეკერილს. ყოველ მათგანს მკერდზე მავთულით მიბნეული ჰქონდა მუყაოს ფირფიტა, რომელზეც ფანქრით მიეწერათ:

გამომგზავნი: ბაირონ სნოუპსი. ელ-პასო. ტეხასი.

მიმღები: მისტერ ფლემ სნოუპსი, ჯეფერსონი. მისისიპის შტატი.

ოღონდ მისტერ სნოუპსი ამ ამბავს არ დასწრებია. მოუცლელი გახლდათ – ბანკირი შეიქნა და ბაპტისტა ეკლესიის პრესვიტერი, ქვრივი, მარტოდმარტო ცხოვრობდა დე სპეინის ძველ სახლში, იმდაგვარ ნაგებობად რომ გადაეკეთებინა, სამხრეთში რომ აშენებდნენ სამოქალაქო ომამდე. ერთი სიტყვით, იმათ დასახვედრად მისტერ სნოუპსი არ მოსულა, დინკ კვისტენბერი დახვდა. იმ კაცს ფრანგისხევშივე მოეყვანა ცოლად მისტერ სნოუპსის ერთ-ერთი და თუ დისწული, თუ რადაც მოუდიოდა ის ქალი, ჰოდა, როცა მისტერ სნოუპსმა ა. ო. სნოუპსი უკან გააბრუნა ფრანგისხევში, ჩვენთან კვისტენბერის ოჯახი ჩამოსახლდა, რათა ეყიდა თუ დაექირავებინა, ყოველ შემთხვევაში – სახმარად მიეღო „სნოუპსის სასტუმრო“, რომელიც ახლა „სნოუპსის სასტუმრო“ კი აღარ იყო უკვე, არამედ „ჯეფერსონის ოტელი“ გახლდათ, თუმცა გაჩერებით იქ იგივე ხალხი ჩერდებოდა – საქონლის ვაჭრები და საოლქო სასამართლოს ნაფიცი მსაჯულები. რასაკვირველია, იმდენად მოწიფული კაცი კი იყო დინკი, მისტერ სნოუპსის სიძეობა რომ შეეფერებინა, ოღონდ იმას არავინ იფიქრებდა, „მისტერი“ ეწოდებინათ ამნაირი კაცისთვის.

დინკი სადგურზე იყო, მისტერ სნოუპსმა თუ გამოგზავნა ალბათ, და იმ ბავშვების დანახვაზე ალბათ იმანაც იგივე იგრძნო, რაც ჩვენ ვიგრძენით, თვალი როცა მოვკარით, და რასაც, როგორც ეტყობოდათ, უფროსი გამცილებლებიც, მატარებლის უფროსიც და ვაგონის გამცილებელიც გრძნობდნენ მოყოლებული ახალი ორლენიდან, სადაც ეს საკვირველება რაღაც ტვირთი ჩაებარებინათ. იმიტომ, რომ ის არსებანი ადამიანებს არ ჰგავდნენ. გველის წიწილებს ჰგავდნენ ისინი. თუმცა იქნებ ამის თქმაცნამეტანია. ასეა თუ ისე, ბავშვებს არ ჰგავდნენ ნამდვილად; ყველაზე ნაკლებად ბავშვებს ჰგავდნენ – მუქი, შემუშუპებული სახე ჰქონდა ყოველ მათგანს, შავ-შავი ჯაგარი თმა, თვალელები სულ შავი, სულ უძრავი, არც ერთ ჯეფერსონელს, იოკნაპატოფას ოლქის არც ერთ მკვიდრს ერთხელაც არ დაუნახავს, თვალი რომ დაეხამხამებინოს რომელიმე მათგანს.

არ ვიცი, დინკი გაგებინებით რას აგებინებდა იმ არსებებს, რადგან გამცილებელმა უკვე ყველას უთხრა, ვინც კი უსმენდა (არადა, საამდროოდ მის გარშემო კარგა ძალი ხალხი შექუჩებულიყო) – არც ერთი ენა, რომელიც კი ოდესმე გამიგონია, ამგენმა არ იციან, ჰოდა, ისე ფრთხილად ყოფნა კი გმართებთ, იმიტომ, რომ ამათგან ერთს დასაკეცი ექვსდუმიანი დანა აქვსო. ის აღარ იცოდა გამცილებელმა, რომელს ჰქონდა დანა, ოღონდ არც იმის სურვილი გაუწყლავნებია, რომ გამოერკვია ეს ამბავი. ასე იყო თუ ისე, დინკმა ის არსებები მანქანაში ჩასხა, ჰოდა, მატარებელი თავის გზას გაუყვა.

იქნებ ამით იყო სწორედ, ხალხს რომ აშინებდნენ ის არსებები, ანდა, ყოველ შემთხვევაში, სკიტს მაკჰაუნი რომ დააშინეს კრისტიანის საკონდიტროში. იმიტომ, რომ ერთი კვირაც არ იყო გასული, კრისტიანის საკონდიტროს შეეჩვია ოთხივე (ისე სიარულით ოთხივე ერთად დადიოდა ყოველთვის, გეგონებოდათ, ექიმი იყო თუ სხვა ვიღაცა, ყოველ მათგანს დაბადებისთანავე გადაჭრილი ჭიპლარით უფროსს მიაკოჭავდაო. საამდროდ უკვე ვიცოდით, ვინც იყვნენ ისინი: ბაირონ სნოუპსის და

ჯიკარილელი აპაშების ტომის ინდიელი ქალის შვილები გახლდნენ). ჰოდა, იმ საკონდიტროში შევიდოდნენ და ორ წუთში უკან გამოდიოდნენ ნაყინით პირგამოტენილნი.

ქალაქშიც განუშორებელნი იყვნენ ისინი და ქალაქგარეთაც, დღე იქნებოდა თუ, როგორც მერე გამოირკვა, ღამე: ერთხელ, ღამის ორ საათზე ოტის ჰარკერმა იმ დროს წაასწრო, „კოკა-კოლას“ ჩამოსასხმელი ფაბრიკის კუთხიდან რომ მოიწკაპებოდნენ. რანაირად მოხვდნენ შიგნით, ღმერთმა დასწყევლოს მაგენის თავი, არ ვიციო, – ოტისმა თქვა, – ყველა კარი ჩაკეტილი იყო და არც ამომტვრეული ფანჯარა მინახავს, ოღონდ ხუთი-ექვსი ფუტის სიშორეზე კი ვიგრძენი თბილი სიროფის სუნი, უმცროსს სიროფი იმ თავის პერანგია თუ რაღაცა უბედურება, იმაზე გადასხმოდაო. ამაზე ახლოს არ მივკარებივარ, შევუყვირე, ვუბრძანე – სახლში წადით-მეთქი, სნოუპსთან (ოტისს იმის თქმა უნდოდა – „ჯეფერსონის ოტელშიო“), მაგრამ ხმის ამოუღებლად იდგნენ და მომჩერებოდნენო; დაშავებით არ დამიპირებია, რამე დამეშავებინა, ის მინდოდა, ადგილიდან დამრულიყვნენ, იმიტომ, რომ ჩემი იქნებ არც ესმოდათო. ისე გაუშლია ოტისს ხელები, ვითომ დაჭერას უპირებდა, შეუყვირებია და მაშინვე ხმა ჩასწყვეტია – მის წინ დანამ იელვა თურმე, იელვა და უმაღლ გაუჩინარდა. ოტისს იმის დანახვაც ვერ მოუხწრია, სამთაგან რომელს ჰქონდა დანა დამალული – გოგოს თუ რომელიმე უფროს ბიჭს. ჰოდა, მეორე დილას მისტერ კონნორსი დინკ კვისტენბერს მიადგა და უბრძანა – ღამდამობით ქუჩაში აღარ გაუშვაო.

– კი, როგორ არა, – დინკს უთქვამს, – თქვენ თვითონ სცადეთ ერთი. თქვენ სცადეთ, რომ არ გაუშვათ, ქუჩაში იქნება თუ სხვაგან სადმე. კი, გაძლევთ ამის უფლებას, მომეხმარეთ, თქვენი ჭირიმე!

ასე რომ, იმ ძაღლის ამბავი როცა მოხდა, თავად მისტერ ჰებ ჰემპტონმაც ვეღარ გაბედა, იმათ მიჰკარებოდა. ამბავი კიდევ ამნაირი გახლდათ: იმხანად ჯეფერსონში ქუჩებს კირწყლავდნენ და ქალაქში ბევრი ახალი ინჟინერი, მოიჯარადრე თუ სხვა ხელობის კაცი ჩამოვიდა თავ-თავის ოჯახიანად (როდელის ოჯახის არ იყოს, იმათი შვილი გახლდათ, მანამდე ორი წლის წინ არდადეგები რომ მოგვიწყო). ერთ მათგანს შვილი არა და, კადილაკი კი ჰყავდა, მის ცოლს კიდევ, ძაღლი ჰყავდა, მისივე ნათქვამის მიხედვით – ხუთას დოლარად ღირებული. მანამდე ჯეფერსონში ორმოცდაათ დოლარზე ძვირი ძაღლის ამბავი არ გაგვეგონა, კარგად დაგეშილ პოინტერს ან სეტერს თუ არ ჩავთვლით (და ერთ ძაღლს კიდევ, ლომი რომ ერქვა, ელდერტერიერის ნაჯვარს, ოდესღაც მაიორ დე სპეინს რომ ჰყავდა, მისტერ დე სპეინის მამას – ჩრდილომისისიპელი მონადირეები იმ ძაღლის ამბებს დღემდე ჰყვებოდნენ); ჰოდა, საყელურზე ოქროს ფირფიტამიმაგრებული ის ჩინური ფინია კადილაკით დაბრძანდებოდა, მანქანის სარკმლიდან მარტო სხვა ძაღლებს კი არა, ხალხსაც უღრჭენდა კბილებს, თანაც საგანგებოდ შერჩეულ ხორცს მიირთმევდა, მისტერ უოლ სნოუპსის მეხორცე საგანგებოდ რომ უკვეთავდა კანზას-სიტიში, რადგან ხალხს ერთობ ეძვირებოდა იმ ხორცის ყიდვა და შეჭმა.

ჰოდა, უცებ გაქრა ის ძაღლი. არავინ იცოდა, როგორ მოხდა ეს ამბავი, იმიტომ, რომ, როცა კი ის ძაღლი კადილაკის სარკმლიდან არ აღრჭენდა კბილებს, მაშინ იმ სახლის ფანჯრიდან იკრიჭებოდა, მას... მის პატრონებს რომ ჰქონდათ ნაქირავები. ოღონდ, ასე იყო თუ ისე, გაქრა ის ძაღლი. ჰოდა, მე ასე მგონია, ქვეყანაზე არც ერთ ქალს მისის უიდრინგტონივით არ მოუკლავს თავი ამნაირი ამბის გულისთვის: მემფისის და ჩრდილო მისისიპის, დასავლეთ ტენესის და აღმოსავლეთ არკანზასის ყველა გაზეთში გამოაქვეყნა განცხადება. ძაღლის მპოვნელს დიდ გასამრჯელოს აღუთქვამდა;

ამასობაში მისტერ ჰემპტონსაც და მისტერ კონნორსაც მილი ჰქონდათ გატეხილი ღამლამობით, - მისის უიდრინგტონი წამდაუწუმ ტელეფონით ურეკავდა, ჰოდა, სადაზღვევო კომპანიის აგენტი (იმ ძაღლის სიცოცხლე, რასაკვირველია, დაზღვეული იყო, იქნებ ჯეფერსონში დაზღვეული ადამიანი მეტი კი იყო, ვიდრე დაზღვეული ძაღლი, მაგრამ ამ შემთხვევაში დაუზღვეველნიც ხომ სჭარბობდნენ ძაღლებს), დღე იქნებოდა თუ ღამე, მისისუიდრინგტონთან ერთად ეზო-ეზო დარბოდა და გაიძახოდა „ძი! ძი! ძი!“ - უფრო სწორად, მე და ალექსენდერს გვეჩვენებოდა ასე, ოღონდ მერე გვეინ ბიძიამ აგვიხსნა - იმ ძაღლს ჩინელი პოეტის პატივსაცემად ლაო-ძი ერქვაო. ჰოდა, ერთხელ ოთხივე ინდიელი სნოუჰსი კრისტიანის საკონდიტროდან რომ გამოდიოდა, ვიღაც გამვლელმა მიათითა და - შეხედეთო, - იყვირა:

ოქროსფირფიტისანი საყელური გახლდათ. უმცროსს ჩამოეცვა კისერზე იმ თავისი პერანგის ზემოთ. მისტერ კონნორსი უძალვე გამოცხადდა და უძალვე აფრინა მისტერ ჰემპტონთან კაცი. მაშინ იყო სწორედ, მისტერ ჰემპტონმა იმათთან მიახლოება რომ ვერ გაბედა, ჰოდა, ჩვენ ყველამ ალბათ იგივე გავიფიქრეთ, რაც მისტერ ჰემპტონმა: რა დომხალი აირევა ტროტუარზე, მისტერ ჰემპტონის ვეება სტომაქი იმ დანას რომ წამოეგოს, თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებსო. ჰოდა, ოთხი სნოუჰსი ინდიელი თუ ინდიელი სნოუჰსი (აღარც ვიცი, რომლის თქმა იქნება უფრო სწორი) იქვე ჩამწკრივებულიყო, მისტერ ჰემპტონს მისჩერებოდნენ და საშიში შესახედავი სულ არ ყოფილან, სულ არა; რასაკვირველია, ის არ ითქმის - უმანკო შესახედავი იყვნენო, მით უმეტეს - სანდომიანიო, ოღონდ საშიშარნი არ ჩანდნენ - ოთხი დაკეცილი ჯიბის დანაც ხომ უწყინარი ჩანს თითქოს. ბოლოს მისტერ ჰემპტონმა თქვა:

- კარგი, ბატონო, ნაყინის საჭმელად დაიარებიან აგერ და ღამლამობით იმ ფაბრიკაში დაძვრებიან, ხომ? სხვა დროს სადღა არიან?

- სადგომის თუ რეზერვაციისნაირი რაღაცა აქვთ მოწყობილი გამოქვაბულში, თვითონვე გამოთხარეს დიდ ხევში სკოლის უკან, - უთხრა მისტერ კონნორსმა.

- შეგიხედავთ იმ გამოქვაბულში? - შეეკითხა მისტერ ჰემპტონი.

- რასაკვირველია, - მიუგო მისტერ კონნორსმა. - არაფერი არაა შიგ რაღაც ნაყარნუყარის და ძვლების მეტი, ჰოდა, მაგენის სათამაშო ხარახურაა კიდევ.

- ძვლებიო? - მისტერ ჰემპტონმა იკითხა. - რა ძვლები?

- ჩვეულებრივი, - თქვა მისტერ კონნორსმა. - ქათმის ძვლები და რაღაც ნეკნები, ნამუსრევია ალბათ.

მაშინ მისტერ ჰემპტონი შებრუნდა და თავის მანქანაში ჩაჯდა, მისტერ კონნორსი კიდევ - თავისაში, წითელი ფარები და სირენა რომ ეყენა, სხვებიც შეეჭედნენ, ვინც კი დაეტია, და ორივე მანქანა სკოლისკენ გაემართა, ჩვენ კიდევ, დანარჩენებმა, ფეხით გავსწიეთ, რადგან ჩვენც გვინდოდა შევსწრებოდით, როგორ შეეცდებოდა იმ გამოქვაბულში შეძრომას მისტერ ჰემპტონი თავის ღიპიანად, და, თუკი შეძვრებოდა, მერე გამოძრომას როგორღა მოახერხებდა. არადა, მართლა შეძვრა. მისტერ კონნორსმა გამოქვაბული დაანახვა, ოღონდ პირველობა კი დაუთმო, რაკი მისტერ ჰემპტონი შერიფი გახლდათ. ჰოდა, მისტერ ჰემპტონმა კერის პირას დახვავებული ძვლების გროვა ფეხსაცმლის ჭვინტით მიმოაზნია, მერე კი ზოგიერთი ძვალი გვერდზე გამოაცალკევა. მისტერ ჰემპტონი ხომ მონადირე გახლდათ, თანაც გვარიანი, კარგი მონადირე, ვიდრე ღიპი იმხელაზე წამოეზარდა, რომ უღრან-უღრან ძრომიალი ვეღარ შეძლო.

- აგერაა თქვენი ძალი, - თქვა მისტერ ჰემპტონმა.

მახსოვს, - მას აქეთ ხუთი წელიწადი გავიდა, - როგორ ვუსხედით მაგიდას ყველანი, ქუჩაში მატ ლივიტის მანქანამ გაიქროლა და მამამ გვეინ ბიძიას უთხრა - ეს რა სუნი მომდისო? რაღა თქმა უნდა, იმ სპილენძის ამბავი მისტერ სნოუპსს ელექტროსადგურში ჩემს დაბადებამდე შეემთხვა; იმ დილას კიდევ, გვეინ ბიძიას კაბინეტში მისის უიდრინგტონი და დაზღვევის აგენტი გახლდნენ, რადგან ის ფინია ავადმყოფობაზე ან უბედურ შემთხვევაზე, ან კიდევ სტიქიურ უბედურებაზე იყო დაზღვეული მხოლოდ, ჰოდა, დაზღვევის აგენტმა განაცხადა (მე მგონია, საკმაო ხანს იყო უკვე ჯეფერსონში, რათა რეტლიფთან გამოლაპარაკება მოესწრო; ამ ამბავს ვერავინ ასცდებოდა, ვინც კი რამდენიმე საათით მაინც მოხვდებოდა ჩვენს ქალაქში, იმისას აღარაფერს ვამბობ, ერთი კვირით ვინც ჩამოვიდოდა ხოლმე) - ის ოთხი ნახევრად სნოუპსი ინდიელი ამგვარ უბედურებათა რიცხვს არ მიეკუთვნებიან, ასე რომ, სასამართლოში ჩივილი თვით ქალაქ ჯეფერსონის წინააღმდეგ შეიძლებაო. მისტერ სნოუპსის და სპილენძის დაკარგული ნაწილების ამბავი გვეინ ბიძიასგან ვიცოდი მხოლოდ, ოღონდ იმას კი შევესწარი, მამამ როგორ თქვა მაშინ - ეს რა სუნი მომდისო? ჰოდა, მერე მისტერ სნოუპსი შემოვიდა, შლაპა მოიხადა და - დილა მშვიდობისაო, - ისე მოგვმართა ყველას, გინდაც არავისთვის მიემართოს; მერე დაზღვევის აგენტს შეეკითხა - იმ ძალის გადასახდელი რამდენიაო.

- იმ ჯიშის ძალის სრული ღირებულება ხუთასი დოლარი გახლავთ, მისტერ სნოუპს, - მიუგო აგენტმა და მისტერ სნოუპსი დაჯდა (დაზღვევის აგენტი წამომხტარიყო და თავისი სკამი მისტერ სნოუპსისთვის დაეთმო საწერ მაგიდასთან), ჯიბიდან ჩეკის ბლანკი ამოიღო, თანხა ჩაწერა, ის ბლანკი გვეინ ბიძიას მიუჩოჩა მაგიდის იქით, წამოდგა და - ნახვამდისო, - ისე მოგვმართა ყველას, გინდაც არავისთვის მიემართოს, შლაპა დაიხურა და გავიდა.

ოღონდ ამას არ დასჯერებია, იმიტომ, რომ მეორე დღეს ბაირონ სნოუპსის ინდიელები გაქრნენ. რეტლიფი მოვიდა და გვიამბო ეს ამბავი.

- რასაკვირველია, - თქვა რეტლიფმა, - ფრანგისხევში გაამგზავრა ფლემმა ისინი. მაგენის არც ერთმა დედაკაცმა, მე იმის თქმა მინდა - ა. ო-ს არც ერთმა ცოლმა არ მოინდომა იმგენის შეხიზნება. მაგრამ ბოლოს და ბოლოს დუიტ ბინფორდმა (დუიტ ბინფორდსაც სნოუპსების ქალი ჰყავდა ცოლად, უორნერის დუქანთან სახლობდა) წაიყვანა თავისთან. ოღონდ იმპირობით, რომ ყველა სნოუპსმა თანაბრად მომაშველოს კვირაში სულზე დოლარ-დოლარიო. რაღა თქმა უნდა, თუკი გაუძლო ერთ კვირას იმგენს.

ასეც გამოვიდა სწორედ. მე იმის თქმა მინდა, მართლა თითქმის ერთ კვირას გაუძლო-მეთქი. რეტლიფი ისევ მოგვადგა, დილა იყო. - ჰო, ჩემო ბატონო, გუშინ ნაშუადღევს ფრანგისხევში აღარ გახლდით უკვე, ახლა ალბათ მთელი ოლქიც თავდახსნილია ჩვენგან. ახლა სადგურზე გახლავართ მუყაოს ფირფიტებდაკრული, ბარგის საფასური გადახდილია, ოცდამესამეს ველოდებით, სამხრეთისკენ მიმავალ რეისს, ან სხვა რომელიმეს, ოღონდ კი ტეხასში ელ-პასოსთან ახლოს ჩაიაროს სადმე, - ჰოდა, მოჰყვა ამ ამბისას: ამნაირი შეჯვარება, შეიძლება ითქვას, მეცნიერებისთვის საგულისხმო - რა ჰქვია იმას? - და გვეინ ბიძიამ - ანთროპოლოგიურსო, - უკარნახა, - ანთროპოლოგიურ ცდას წარმოადგენს; გადაშენების გზაზე დამდგარი წითელკანიანი

ამერიკელების ის ოთხი ნაშეირი ერთ თეთრკანიანს იმსხვერპლებდა, დორის სნოუპსის დედასა და მეზობლებს დროზე რომ არ მიესწროთო.

ჰოდა, გვიამბო: დუიტ ბინფორდმა ისინი თავისთან რომ მირეკა, ნახა თურმე, რომ ისინი ლოგინზე დაწოლას არ აპირებდნენ, ლეიბი იატაკზე ჩამოუთრევიათ და იმაზე ჩაწკაპულან, მეორე დღეს კიდევ დუიტს და მის ცოლს უნახავთ, რომ იმათ საწოლიც ნაწილებად დაეშალათ და ის ნაწილები კუთხეში კედელზე აეყუდებინათ, ალბათ - არ შეგვაფიქროვოსო. ეს ყველაფერი ისე უჩუმრად გაეკეთებინათ, ჩქამიც არ გაეღოთ. დუიტს უთქვამს: სანამ უმცროსისთვის შევწუხდებოდი და ვიზრუნებდი, ჯერ იმ აზრმა გამკრა - რა არის, რომ მაგათსას ვერაფერს გაიგონებო. იმათი წასვლა-მოსვლისას ოჯახში არავინ იცოდა - შინ იყვნენ თუ არა ისინი; ასე რომ, ისიც შეეძლოთ, დუიტის საწოლ ოთახში მდგარიყვნენ ღამით, სიბნელეში და მას დასჩერებოდნენ.

- ჰოდა, ადგა დუიტი და გადაწყვიტა - შევამოწმებო, - გვიამბობდა რეტლიფი. - ტალის ოჯახში გადასულა, ვერნონისთვის ფარანი გამოურთმევია, შუადამემდე მოუცდია და მერე ჩუმად - ჩემს სიცოცხლეში ამაზე უხმაუროდ არ გავნმრეულვარო, თქვა - წინა ოთახიდან იმგენის ოთახის კართან მიპარულა სუნთქვაშეჩერებული. ის კარი კიდევ, ჩემო ბატონო, წინასწარ გაუხვერეტია იმნაირი ვარაუდით, რომ, ფარანს რომ მოვიფათურებ და მივანათებ, სინათლე სწორედ იმ ადგილას დაეცეს, სადაც ნაბჯის ლეიბზე ორი თავია მიდებული, იმათი, შუაში რომ წვანანო. ჰოდა, სუნთქვაც შეუჩერებია, მიუყურადებია, ვიდრე არ დარწმუნებულა, ჩამიჩუმი რომ არ ისმოდა, და მერე ჩაურთავს სინათლე. ოთხივე თავი იქ დახვედრია და რვა დაჭყეტილი შავ-შავი თვალი ამას მოსჩერებოდა თურმე.

დუიტმა თქვა - კი, სიხარულით გავბრუნდებოდიო. მაგრამ ახლა სულ გადარევედა იმ უმცროსის გამო წუხილი. ჰოდა, აღარ იცოდა თურმე, რა გაეკეთებინა, იმიტომ, რომ იმ დანის ამბავზე გაეფრთხილებინათ უკვე, თუმცა თვითონ დანახვით არ დაენახა დანა. მაშინ გახსენებია სწორედ ის ტაბლეტები, ოპიუმის ტაბლეტებიანი შუშა, ის ტაბლეტები მოწიფულ კაცს წააქცევდაო, - ექიმ პიზოდის მიუცია მისის დუიტისთვის, ინკუბატორის ლამპა რომ აუფეთქდა და იმ ქალს წინა მხარეს თმა ამოუწვა ერთიანად. ჰოდა, დუიტს რვა ტაბლეტი აუღია. დუქანში ოთხი ბოთლი გაზიანი წყალი უყიდია, ყოველ ბოთლში ორ-ორი ტაბლეტი ჩაუგდია, ბოთლებისთვის თავი ხელახლა დაუცვია და იქ დაუმაღავს, სადაც, მისი შეხედულებით, ძებნა უნდა დაეწყოთ იმგენს. ჰოდა, რა რომ დადამებულა და ის ოთხი ბოთლიც გამქრალა, იმას ერთხანს მოუცდია, წამალს რომ ემოქმედა. მერე ვერნონის ფარანი აუღია, წინა ოთახი გაუვლია და ლეიბისკენ გაცოცებულა - ახლა უკვე გამოცდილებით იცოდა, სადაც ეძინა იმ უმცროსს, ერთი სიტყვით, სადაც იწვა მაინც. ცალი ხელი ფრთხილად გაუწვდია და იმ ღამის პერანგის კალთა მოუფათურებია, მეორე ხელში ფარანი ჰქონია გამზადებული.

ჰოდა, ამ ამბავს რომ მიყვებოდა, ტიროდა კაცი, იმდენად შიშისგან არა, რამდენადაც იმისგან, რომ საკუთარ თავსაც ვერ უჯერებდა.

დაშავებით არაფერს დავუშავებდიო, - მითხრა, - ცუდს არაფერს ვუპირებდი, ღმერთმანი, მარტო იმის გაგება მინდოდა, იმათგან რომელი...

- რა - იმათგან რომელიო? - შეეკითხა გევინ ბიძია.

- მაგას მოგახსენებთ სწორედ, - უთხრა რეტლიფმა. - ფარნის ანთებამ აღარ მოუწია იმ კაცს. ის იყო, რომ იგრძნო, როგორ აეწვა ორივე ლოყა ზევიდან ქვევით. სამდროოდ უკვე ოთხზე დამდგარი უკანვე გამოვრბოდიო, - თქვა. - კი ვიცოდი,



იმის დროც აღარ მქონდა, შევბრუნებულიყავი, მით უმეტეს - წამოვმხტარიყავი და გამოვქცეულიყავი, იმისას აღარაფერს ვამბობ - კარის მიკეტვის დრო ხომ არ მქონდა და არ მქონდაო. ჰოდა, იმ ოთახში რომ შევარდნილა, რომელშიც მისის დუიტთან ერთად ცხოვრობდა, იმ ოთახის კარის დაკეტვის დროც აღარ ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ მაინც მოუხდა ის კარი მიეჯახუნებინა, მიეკეტა და აყვირებულობდა, მისის დუიტისთვის დაეძახა. ამასობაში კამოდი მიუჩოჩებია კართან გასამაგრებლად, მისის დუიტს კიდეც, ლამპა აუნთია და მის საშველად მოუბრუნია, ოღონდ ამან უყვირა თურმე - ჯერ ფანჯრები ჩაკეტეო. ლამის ატირებულობდა ის კაცი, ლოყებზე სისხლი მოწვეთავდა, ცალი თვალი ამოუვსია სისხლს და მთელ სახეს მოსდებია ზაგის კუთხეებამდე, გინდაც გადაბარდნილი ღიმილი ყოფილიყოს. კი, ის ღიმილი ისევე შერჩებოდა სახეზე, რომ არ მოეწმინდა. ჰოდა, მერე გადავწყვიტეთო, - თქვა, - ის აჯობებს, ლამპა ჩავაქროთ და სიბნელეში ვისხდეთო; ოღონდ ამასობაში გახსენებია, რომ „კოკა-კოლას“ ჩაკეტილ ფაბრიკაში ისე შეძვრნენ ისინი, პატენტთან სიგნალიზაციასაც რომ არ გაჰკარებინან.

ასე რომ, ფანჯრები ჩაკეტეს, ლამპა აღარ ჩაუქრიათ, ჰოდა, ასე მსხდარან იმ სიციხეში გამოკეტილ ოთახში, სანამ იმდენად არ გათენებულა, რომ მისის დუიტს სამზარეულოში შეპარვა, ღუმლის დანთება და საუზმის მომზადება გაეხდა. ოღონდ სახლში აღარავინ ყოფილა უკვე. რასაკვირველია, თავი სამშვიდობოს არ ეგულებოდათ, მაგრამ, ასეა თუ ისე, სახლში აღარავინ ყოფილა და იმგენს უფიქრიათ - ხომ არ აჯობებს, ფლემს ან ჰებ ჰემპტონს შევუთვალეთ, ეს ინდიელები მოგვაშორონო, ანდა ნასაუზმევს ხომ არ შევკრათ და ტალს ხომ არ მივუგდეთო. ასეა თუ ისე, მე და ჩემმა ქალმა გადავწყვიტეთ, აწი გვეყოფა ეს ამბავი, ჯანდაბას კვირაში ოთხი დოლარიო. ჰოდა, ცხრა საათი იქნებოდა, დუქანში მისულა ის კაცი, რომ იქიდან ჯეფერსონში დაერეკა, მაგრამ ამასობაში მისის სნოუპსი მიშველებია, მე იმის თქმა მინდა, ა. ო-ს ცოლი-მეთქი, მეორე ნომერი, მანამდე რომ გადააყენეს, სანამ ქალაქში გადაბარგებას მოასწრებდა.

დორის სნოუპსს ჩვენც ვიცნობდით. რომც არ გვცნობოდა, ერთი შეხედვისთანავე მივხვდებოდით, ვინც იყო ის ბიჭი, იმიტომ, რომ ძალიან ჰგავდა თავის უფროს ძმას - კლარენს (სენატორ კ. ეგლსტონს სნოუპსს, ჩვენს - ანდა, რეტლიფის და გევინ ბიძიას ნათქვამის არ იყოს, - უორნერის წარმომადგენელს შტატის სენატში), ორი წვეთი წყალივით ჰგავდა (ამასაც გევინ ბიძია ამბობდა). გონებრივი განვითარებით მცირეწლოვანს დაედრებოდა, კლარენსზე უმცროსი იყო, ოღონდ მისი შემხედვარე იმას კი არ იტყოდით - უმცროსიაო, იმას იტყოდით - უფრო უხმარი არისო. ისე, როგორც საქმეში ნაკლებად გამოყენებული ნაჯახი ან ტყვიამფრქვევი არის ხოლმე უფრო უხმარი. ზორბა, ლოხი, ასე, ჩვიდმეტი წლის ბიჭი იყო, თავის ძმასავით რადანაირად ლეგა: ძენძივით წანაცრისფრო თმა ჰქონდა, ცომივით დონდლო წანაცრისფრო სხეული, იტყოდით - ჭრილობიდან სისხლი კი არა, რაღაცა უფერული შვრიის ფაფა დასდინდებო. ერთადერთს იმას გაუხარდა სნოუპსთაგან, თუ ფრანგისხეველთაგან, თუ გნებავთ, იოკნაპატოვას მთელი ოლქის მკვიდრთაგან, ტეხასელი სახლიკაცების ჩამოსვლა. კაცმა რომ თქვას, პირველი დღიდანვე იშვილა კიდეც ისინიო, - რეტლიფმა გვითხრა. ჰოდა, დორისს თურმე უთქვამს - იმათთან ლაპარაკს ვახერხებო, სანადიროდაც შემიძლია მეძებრებივით დავგეშოო, სად ესენი და სად უბრალო მეძებრების ხროვა, ადრე იქნება თუ გვიან, ძაღლები დაილღებიან და სახლისკენ მოუხვამენ, ამათთვის კიდეც, გინდა აქ ყოფილან და გინდა იქ, სულერთიაო.

ისე კი შეუდგა კიდეც იმათ დაგეშვას. ჯერ ის გააკეთა, რომ დუქნის წინ კუნძზე გაზიანი წყლის ბოთლი შემოდგა, თოკი ჩააბა, ის თოკი დუქნამდე მიაწვდინა, თვითონ

გალერეაში ჩამოჯდა და უყურებდა, როგორ უვლიდნენ ისინი გარშემო, სანამ ისე მიუახლოვდნენ, რომ რომელიმეს უკვე შეეძლო, ხელი ეტაცა ბოთლისთვის. მაშინ ამან თოკს ხელი გამოკრა და ბოთლი კუნძიდან ჩამოაგდო ისე, რომ ისინი ვეღარ მისწვდომოდნენ. ოღონდ ეს ერთხელ მოახერხა მხოლოდ. მერე და მერე ის უხდებოდა, გაზიანი წყალი თვითონვე შეესვა, ბოთლში კი ჭუჭყიანი წყალი ან სხვა საძაგლობა რამე ჩაესხა ხოლმე. არადა, სხვაგვარი ხერხით წვრთნიდა კიდეც – კანფეტის ქაღალდს აიღებდა, შიგ მიწას გაახვევდა, ანდა არაფერსაც არ გაახვევდა ხოლმე, ჰოდა, ისინი ვერაფრით ვერ ხვდებოდნენ, რა უბედურება სჭირდათ, მით უმეტეს, თუკი დროდადრო ნამდვილ კანფეტსაც გაურევდა, ან კიდეც, ხენდროს თუ ფორთოხლისწყლიან ბოთლს დაუდგამდა.

ერთი სიტყვით, სულ იმათთან იყო ის ბიჭი, როცა ხალხიც უყურებდა, მაშინ უყვიროდა და ხელებს უქნევდა ძაღლებსავით – აქეთ წამოდით თუ იქით გავარდითო. რაღაც ადგილიც ჰქონდათ სათამაშო იმათ, გამოქვაბული თუ რაღაცა ამდაგვარი, ისიც ხევში, გზიდან, ასე, ნახევარ მილზე. აბა! ჰოდა, იმნაირი ზორბა ბიჭი, დორისი რომაა, ლამის მოწიფული, პატარასავით თამაშობდა ხოლმე იმ ოთხთან ერთად.

მოკლედ, დუიტიც მიადგა დუქანს და დორისის დედაც გამოჩნდა გზაზე ყვირილ-ყვირილით – ინდიელები, ინდიელებიო! დედის გულმა უგრძნო რაღაცა, დედის ინსტინქტმა; იმიტომ, რომ ჯერ მგონი, არაფერი იცოდა, რადგან, რომც სცოდნოდა, ისეთ დღეში იყო, მეტს ვერაფერს იტყოდა სულერთია: დუქნის წინ გზაზე გაჩერდა, ხელებს იმტვრევდა და ისე ყვიროდა – ინდიელები, ინდიელებიო! – ვიდრე გალერეაში ჩამომჯდარი კაცები ნელ-ნელა არ წამოიშალნენ და მერე კიდეც გავარდნენ, რადგან ამასობაში დუიტიც მივიდა. იმან კი იცოდა, რისი თქმაც უნდოდა მისის სნოუჰისს. იქნება იმას დედის გული არ უცემდა მკერდში და დედის ინსტინქტი არ გააჩნდა, მაგრამ მისის სნოუჰისისთვისაც ხომ არ დაუსვიათ იმ ღამეს ორივე ლოყაზე დანა!

– ინდიელებიო? – აღმოთქვა დუიტმა. – ღმერთო მომკალი, გავვარდეთ ახლავე, ბიჭებო! იქნებ დავაგვიანეთ უკვე!

ოღონდ დაგვიანებით არ დაუგვიანიათ. სწორედ სულზე მიუსწრეს. მალე შემოესმათ კიდეც დორისის ღრიალი და ჭყვილი, მერე დორისიც დაინახეს შორიდან, ჰოდა, მაშინ ყველაზე ფეხმარდები ვინც იყვნენ, ისინი გავარდნენ და ხევში ჩაცვივდნენ, სადაც ხეს მიკოჭილი დორისი იდგა და მის გარშემო შეშის გვარიანი ზვინი იყო შემოწყობილი, სწორედ ახალაბრიალებული.

ასე რომ, ნამდვილად სულზე მიუსწრესო, – გვითხრა რეტლიფმა. ჯოდის მაშინვე დაურეკავს ფლემისთვის; ისე, კაცმა რომ თქვას, წუხელის უნდა მომხდარიყო ეს ამბავი, მაგრამ დორისის მეძებრები ამ დილაამდე ვეღარსად უნახავთ. ჰოდა, ამ დილას დუიტს ფარდა რომ აუწევია, დაუნახავს, რომ ისინი გალერეაში ყურყუტებდნენ თურმე საუზმის მოლოდინში. ოღონდ დუიტის სახლი ბარიკადებად იყო ქცეული გუშინწინდელი ღამის მერე. ჯოდის ავტომობილიც იქვე იდგა, როგორც იტყვიან, ყოველი შემთხვევისთვის გამზადებული. ჰოდა, იმ ავტომობილში იმგენის შეტყუება სულ არ იყო ძნელი საქმე, იმიტომ, რომ, დორისის თქმის არ იყოს, იმგენისთვის რა – გინდა აქ ყოფილან და გინდა იქ, სულერთია...

ასე რომ, ჩემო ბატონო, ახლა სადგურზე ბრძანდებიან ისინი. იქნებ გნებავთ რომელიმეს, წამომყვეთ და შეხედოთ იმას, რასაც საბოლოო სცენა ეწოდება, თუკი არ

მეშლება ნათქვამი. ჯეფერსონში აშკარად სნოუპსური მოქცევის ნამდვილი ბოლო ეს გახლავთ, თუკი ნათქვამი არ მეშლება.

მე და რეტლიფი სადგურისკენ გავემგზავრეთ და გზადაგზა ბოლომდე მომიყვა ამბავს. ყველაფერი მის იუნის ჰებერშემს მოუგვარებია: ჯერ ახალ ორლენში დაურეკავს, ტურისტთა მომსახურების ბიუროში - ვინმე დახვდეს ჯეფერსონის მატარებელს და მეორე მატარებელში გადასვას ისინი, ელ-პასოსკენ მიმავალშიო; მერე ელ-პასოს ბიუროში - საზღვარზე გადაიყვანეთ და მექსიკის პოლიციას ჩააბარეთ ბაირონ სნოუპსთან სახლში მისაყვანად, ან რეზერვაციაში გასაგზავნად, ანდა სხვაგან სადმე გასამწესებლად. ჰოდა, ამ დროს კოლოფი დაგუნახე რეტლიფს და - ეს რა არის-მეთქი? - ვკითხე. მაგრამ რეტლიფმა არაფერი მიპასუხა, თავისი პიკაპი სადგომზე გააჩერა, ის მუყაოს კოლოფი წამოიძღვანა და ბაქანზე გავედით. იქ იყვნენ ისინი - სამს კომბინეზონი ეცვა, მეოთხეს, უმცროსს - ჩაფართხუნებული ღამის პერანგი. ოთხივეს ახალი ფირფიტა ჰქონდა მკერდზე მავთულით მიბნეული:

გამგზავნი: ფლემ სნოუპსი. ჯეფერსონი. მისისიპის შტატი.

მიმღები: ბაირონ სნოუპსი. ელ-პასო. ტეხასი.

ჩვენ რომ მოვედით, იმათ გარშემო კარგადალ ხალხს მოეყარა თავი, ოღონდ მაინცდამაინც ახლოს არავინ ეკარებოდა. ჰოდა, რეტლიფმა იმ თავის კოლოფს თავი ახადა; ყველაფერი ოთხ-ოთხი ეწყო შიგ - ოთხი ფორთოხალი, ოთხი ვაშლი, ოთხი შოკოლადი, მიწის თხილის ოთხი პარკუჭი, ოთხი საღეჭი რეზინი. - ფრთხილად იყავი, - მითხრა რეტლიფმა, - იქნებ აჯობოს, ძირს დავდოთ ეს ყუთი და, ჯოხით იქნება თუ სხვა რაღაცით მიუჭოჩოთ, - ოღონდ ამის გაკეთება არ დაუპირებია, ყოველ შემთხვევაში, არ მოქცეულა ასე, ის მითხრა მხოლოდ: - წამოდი, შენ მოწიფული კაცი არ ხარ ჯერ, მე მგონია, არ უნდა დაგბინონ, - მიუახლოვდა და ფორთოხალი გაუწოდა, ჰოდა, ის რვა თვალი არც ფორთოხალს უყურებდა, არც ჩვენ მოგვჩერებოდა და არც არაფერსუმზერდა ირგვლივ; მერე იმ გოგომ, სხვების უმაღლესი რომ იყო, სწრაფად და გაურკვეველად თქვა რაღაცა, გეუცნაურებოდა კაცს, ბავშვის წვრილა ხმა რომ ამბობდა იმას. მაშინ ერთი ხელი გამოგვიწოდა და ფორთოხალი ჩამოგვართვა, იმას სხვები მოჰყვნიენ ფრთხილად და აუჩქარებლად, ოღონდ სწრაფ-სწრაფად. ჰოდა, მე და რეტლიფი ვურიგებდით იმ ხილს, იმ კანფეტებს, პარკუჭებს, და ხელები ხელახლა მოიწევდნენ ჩვენკენ, ჰოდა, ჩვენი საჩუქრები ისე უცებ ქრებოდა სადღაც, თვალის მოტანებასაც ვერ ვასწრებდით, მხოლოდ ღამისპერანგიან ბიჭუკელას არ ჰქონდა, ეტყობა, ჯიბეები. ბოლოს გოგო დაიხარა და, რის შენახვაც იმას ვერ მოეხერხებინა, ის გამოართვა.

მერე მატარებელიც ჩამოდგა; უპლაცკარტო ვაგონის კარი ღრჭიალ-ღრჭიალით გაიღო და კარის ჭრილში ვიწრო კიბე გადმოეკიდა ვიწრო ჩამოვარდნილ ყბასავით. მის ჰებერშემმა ალბათ უფროს გამცილებელს დაურეკა ან კიდევ, გზის უფროსს (ანდა იქნება ვიცე-პრეზიდენტს თავად), რადგან ვაგონიდან ორივე გამცილებელი გადმოვიდა, ერთმა სწრაფად გადაიკითხა ოთხივე ფირფიტა, ჰოდა, ჩვენ - ჩვენ ყველანი: ჯეფერსონის წარმომადგენელნი გახლდით ჩვენ - გავყურებდით, როგორ აიწკაპნენ კიბეზე ის არსებანი და როგორ გაუჩინარდნენ რკინის გაუმადლარ ხახაში: კომბინეზონიანი გოგონა და ორი ბიჭი, მერე კი ის ბიჭუკელაც, კოჭებამდე ჩაფართხუნებული პერანგი რომ ეცვა, მამაკაცის ნახმარი პერანგის მინაგვანი, ფქვილის ტომრისგან, ანდა იქნებ ძველი კარვის ნაგლეჯისგან შეკერილი - ჩვენ ვეღარ შევიტყვეთ, რისი იყო.